ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

10

1986



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

351

გამოცემის ოცდამეათე წელი

10

ოქტომბერი

1986

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

ალექსანდრე ჭავჭავაძე — 200

3. რომანტიზმის მესაძირკვლე

პოეზია და პროზა

5. ალექსანდრე გაბური — ლექსები
7. თემურ ჩხეტიანი — ლექსები
9. გიგი ხორნაული — ცარიელი კასეტები. მოთხრობა
17. ლალი თოთაძე — ლექსები
20. რევაზ დანელია — ლექსები
23. როსტომ ბეჟანიშვილი — მიწურვილ იყო ზაფხული. მოთხრობა
47. ბადრი გუგუშვილი — ლექსები
49. ლია ჯაყელი — ლექსები
51. გიორგი ხორგუაშვილი — მარად ქალწული თემიდა. ნაწყვეტი რომანიდან
104. გრიგოლ ჯულუხიძე — ლექსები
107. ალექსანდრე დიდებაშვილი — ლექსები
109. რეზო ვეკუა — ლექსები

სერგო ორჯონიკიძე — 100

110. აკაკი ირემაძე — სერგო ორჯონიკიძე სამოქალაქო ომის ფრონტზე

საერთაშორისო ცხოვრება

124. ნანა ჭედია — საერთაშორისო ორგანიზაციები და აშშ: დიქტატიდან კონფრონტაციამდე

წერილები

131. სოსო სიგუა — $H_2 SO_4$ და მემარცხენეობა

შთაბეჭდილებები

142. გიორგი ჩარკვიანი — „ვისთვის რას იტყვი“. დასასრული

სპორტი

152. ფრანც ბეკენბაუერი — ჩემი მეგობრები — მეტოქენი

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ზურაბ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
თემურ გიორგაძე
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
შოთა ნიშნიანიძე
ზურაბ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომანტიზმის მესაძირკვლე

1786 წელს დაიბადა ალექსანდრე ჭავჭავაძე. მამამისი, გარსევან ჭავჭავაძე ერეკლე მეორის სრულუფლებიანი ელჩი გახლდათ რუსეთის კარზე და, ბუნებრივია, მისი მოღვაწეობის დადებითმა შედეგმა საბოლოოდ განსაზღვრა ამ არისტოკრატიული ოჯახის მომავალი, მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ალექსანდრეს ნათლავს რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორე!

დრო კი რთულია და წინააღმდეგობით აღსავსე.

პოეტი მომსწრე და თვითმხილველია იმდროინდელ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა. იმპერატორის პირტიტველა ნათლული 1804 წლის მთიულეთის აჯანყების მონაწილეა. ახალგაზრდა მეამბოხეს დროებით გადასახლებაში უწევს ყოფნა. მალევე შეიწყნარებენ და პაჟთა კორპუსში ჩარიცხავენ. ეს არის იმდროინდელი ქართული არისტოკრატიის უმთავრესი გზა. ქართული სამხედრო ნიჭი და ტემპერამენტი, სიმამაცე და მეომრული თვისებები ამ გზაზე არაერთ სახელოვან მხედართმთავარს წარმოშობს.

რვა წლის მერე ალექსანდრე ჭავჭავაძე უკვე კახეთის აჯანყების ჩაქრობაში იღებს მონაწილეობას, შემდეგ კი ნაპოლეონის უკუქცეულ ლაშქარს პარიზში შეჰყვება...

ცხადია, ეს გზა მხოლოდ მეომრის გზა არ ყოფილა. მისი გამჭრიახი მზერა პარიზის ელიტარული სალონების ხილვისას ბევრ რამეს სრულიად ახალი კუთხით ხედავს; თარგმნის კორნელის, რასინის, ვოლტერის, ლაფონტენის ნაწარმოებებს, მის შემოქმედებაში ჩნდება ლექსი, რომლითაც წოდებრივი იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მდგომი პოეტი სოციალურ თანასწორობას ღაღადებს:

...რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორებას.
არ მარადის იშვათ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!

ლექსში გადმოცემული თამამი, რადიკალური აზრი იმდროინდელი მოწინავე, პროგრესული მსოფლმხედველობის უშუალო გამოძახილია, ქართული ლიტერატურის ისტორიაში მანამდის სრულიად ახალ მოტივს აძლევს დასაბამს. ეს მოტივი შემდგომ გრიგოლ ორბელიანისა და განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში აღწევს თავის ზენიტს.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში კი ეს ლექსი ერთგვარ გაელვებასავითაა. პოეტის ნიჭი უმთავრესად სამხედრო კარიერას ეწირება და ბრწყინვალე გამარჯვებებსაც აღწევს! ამ გზაზე, სამხედრო და სამოღვაწეო კარიერის გზაზე, ფიანდაზასავით იშლება უზრუნველი ცხოვრების ფეიერვერკი... იწერება სასიყვარულო ლირიკის ნიმუშები, რომელნიც იმდროინდელ პოეზიაში დახვეწილობითა და არტისტიზმით გამოირჩევიან. მაგრამ პოეტის ტალანტი ამ ფეიერვერკების მიღმა დროდადრო ცხოვრების უფსკრულებსაც ფსწორებს მზერას და იწყება ამა სოფლის წარმავლობასა და სიმუხთლეზე დაფიქრებული

კაცის გულწრფელი ელეგიები. მათში განზოგადოებულია ის საერთო ტკივილი და საწუხარი, რაც მის თაობას, მთელ იმდროინდელ რადიკალურად მოაზროვნე საქართველოს აწვა გულზე. ამ მოტივების მაღალმხატვრულად გადმოცემის წყალობით იქცა ალექსანდრე ჭავჭავაძე ე. წ. ქართული რომანტიზმის დამწყებად, მის პირველ მესაძირკვლედ... ამ საძირკველზე აღმოცენდა შემდგომ ის გრანდიოზული ტაძარი პოეზიისა, რომლის კარიბჭეზეც გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავი სახელები აწერია!

ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ ტიპის ლექსებში, წარსულის იდილიური სურათების ფონზე, აწმყოთი უკმაყოფილო პოეტის განწყობილებებია გადმოცემული:

ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად
წარილტვნენ, გაჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარად;

ამგვარივე გაუნელებელი ეროვნული ტკივილითა და მოქალაქეობრივი გამბედაობით გამოირჩევა ლექსი „ვისაც გსურთ“:

ყოველ ჭეშმარიტ პოეტს თავის შემოქმედებაში გამოერევა ხოლმე ერთი ლექსი როგორც ემბლემა, როგორც ყველაზე მაღალმხატვრული გამოვლინება საკუთარი სულისა. საყოველთაო აღიარებით ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის ამგვარი ლექსია „გოგჩა“.

მართალია „გოგჩაში“ ჯერ კიდევ არ ჩანს ის დიდი შინაგანი ენერგია და დაუოკებელი ეროვნული ძალის მიმოქცევა, რომლითაც ბარათაშვილის პოეზია სუნთქავს, მაგრამ ფილოსოფიური სიღრმე, ენობრივი სინათლისა და დემოკრატიზაციისაკენ სწრაფვა, კონკრეტული პოეტური სახეები და გამოკვეთილი სათქმელი ამ ლექსს უთუოდ გამორჩეულ ადგილს აკუთვნებს ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში.

როგორც პოეტი რომანტიკოსისთვის, ერთის მხრით თუ ამგვარი ელეგიური განწყობილებებია ბუნებრივი, როგორც ფხიზელი მოღვაწე და მოაზროვნე იგი კარგად ხედავს იმ სიკეთეს, რაც ახალმა ყოფამ მოუტანა საქართველოს. მისი პოლიტიკური კრედო ნათლადაა გამოხატული მონუმენტურ ლექსში „კავკასია“.

განიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება.

სწორედ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი გვევლინება ამის უტყუარ დასტურად! მისი სახლი და ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი მეურნეობა წინანდალში დღესაც აღტაცებას ჰგვრის მნახველს დახვეწილი გემოვნებით, სიფაქიზით, მაღალი კულტურის დონით. ამ სახლში გარდა ეპოლეტებიანი სამხედრო მოსამსახურეებისა თავს იყრიან იმდროინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა, რუსული მწერლობის საამაყო სახელები... ეს კავშირები ღრმავდება და ნათესაურ ურთიერთობებში გადადის...

ოქროს ასოებით იწერება ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის ისტორია!

ამ ისტორიის წიგნში გამორჩეული ადგილი უჭირავს ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელს. ამ წიგნს ფურცლავს ახლა გონების თვალით საქართველო და ორასი წლისთავზე სიყვარულით იგონებს თავის სახელოვან პოეტსა და მოღვაწეს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ალექსანდრე გაბური

იმ შეცდომებით, ტკივილით, ტანჯვით,
დღეებით — მთვარის ვნებით
დამთვრალით,
ფეხდაფეხ მომდევ და ვიცი დამსჯი,
ერთხელ დადგება ბოლო ზამთარი.

ჩაქრება დღეთა ლურჯი ხარება,
ქარებს წაყვება ზაფხული ცხელი.
ზღვა სიხარულს და ზღვა მწუხარებას
გადამიწონი ერთადერთ ცრემლით...

მანანებ მზეზე დაფერილ სურვილს,
ღამეებს — შენზე ფიქრებით დაღლილს

და შეიქმნება ცივი და ჩუმი
დედა-სამყარო — ვეება სახლი.

იმ სიხარულით, ლტოლვით, განცდებით,
იმ ტყუილ-მართლით, ფიქრით,
დარდებით,
ერთხელ ხელებში შემოგაცვდები,
გაგელევი და გაგითავდები.

ექოდ მიქრება ძახილი გულთა,
ბოლო წყურვილთან გამიშრობ ბაგეს,
წარსდგები შენი სამსჯავროს
ზღურბლთან
და პასუხს ჩემი სიცოცხლით ვაგებ...

ვერც შენ მიშველე, ისევ ის დილა,
ისევ ის დღე და ისევ ის ფერი...
ფოთლის ყვითელი ფრთებით მიფრინავს
ეს შემოდგომა — სული სიბერის.

და, ნოემბერი თეთრი ქარებით
ფერს უცვლის დღეებს — ნაგროვებს
კრძალვით,
შელეწილია ზღაპრის კარები,
მაგრამ აღარსად ზღაპრული ქალი...

თურმე ხვალესაც ამაოდ ველით,
წლებს მიაქვთ რწმენა — დღეთა
დგაფუნით.
რა იყო: ორი ობოლი ცრემლი —
ორი ტკივილი — შენ და ზაფხული.

აღთქმულ ცასთანაც ბინდით
მივედით
შორით რომ გვიჩნდა უკვდავ ჰანგებად
და გიცქერ, როგორც ბოლო იმედის
ბოლო ღალატს და ბოლო წაგებას.

### ზღვაზე

ზღვა... მარადიულ მუსიკას ვისმენ,
მოვედი, მაგრამ... დამაგვიანდა...
სხივი მომწყდარი ტალღათა ქიმზე
შენს მზეშერეულ ღიმილს მიაგავს.

აქ უფრო გინდა ამაყს, გულიანს,
რომ ზღვა —- წყურვილი ცამდე
გაფინო...

ზვირთი ბობოქრობს, თუ ეს სულია
ამბოხებული და უნაპირო?

ვისმენ მუსიკად გარდაქმნილ ოხვრას,
იხსნება ზღაპრულ ქვეყნის კარები.
დამაგვიანდა.. შენ აქ არ მოხვალ,
აქ ზღვა მიცინის შენი თვალებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სურათი

სურათი მაინც დამხატველს გავდა,
ფერი ლაჟვარდი, ფერი სოსანი
და შეძრწუნებულ სინათლეს თვალთა
მოჰყვება სევდა საღამოსავით.

სულს შეაფარე სხივი გამთბარი,
რომ ეს ცხოვრება წამში ჩატიო.
რაღაც ხომ უნდა დარჩეს მართალი,
სანუგეშები და საპატიო...

თორემ ლაჟვარდ ფერს გიშერი
შეცვლის,
წაუვა ხაზებს სინაზე, სითბო...
ვინ დაგიბრუნებს პირველი ცეცხლის
ხსოვნით მოტანილ იმ ზაფხულს, იმ
თოვლს.

და საყვედური მაღალი ღმერთის
თმებს ჩამოათოვს, ჩაშლილს ჩქერებად
...მერე ქაღალდზე თითები თეთრი
შენს დახრილ თვალებს მოეფერება.

## დრო — ყივჩაღი

„შემომეყარა ყივჩაღი“.
**ხალხური**

ეს მწვერვალებიც გავლიეთ,
ის ღამეც ცოდვის მზიდველი...
დავკივლეთ იმერს-ამიერს,
მაგრამ დრო, დრომ რომ მიგველის!

არც ღვინოს მოგვთხოვს ტიალი,
არც ხორცს — ალაზნის ხოხბისას.
რწმენას დამიჭრის იარით,
მაგ თვალებს მწუხრით მონისლავს.

მზეს მოგვტაცებენ ქარები,
დღე ღრუბლის ლეჩაქს მოიხვევს...

დრო — მტერი შენი თვალების,
დრო — ჩემი რწმენის მოსისხლე.

ზაფხულს წაყვება გადაშლილს,
რაც ვევნეთ, რაც ვიმარხულეთ,
ხმალს გადაგვიტეხს ვადაში,
გადაგვშლის, გადაგვახუნებს.

ცამაც ცის წილი იტირა
(ნეტავ აქ რისთვის მოგვიხმეს?)
მუხრანის ბოლოს, გზის პირას
დრო ჩაგვისაფრდა მოსისხლე...

## მამული

შენი სიხარულით ვხარობ,
შენი სატკივარი მტკივა,
ხან, თუ ციდან მზე გიგალობს,
ხან, მინდორ-ველს გითოშს ყინვა...

ყველა მტერი დაგრჩეს ოხრად,
(კოშკებს შერჩეს მრუდე ხელი...)
შენ ამ დღემდე შორით მოხვალ,
ჩემთან ხარ და მაინც გელი...

ალალ შენთვის ღამეთ თევა,
უფრო მეტად — მშვიდი ხვალე...
შენს ლაშქარში მცველად ვდგევარ,
სხვა თუ არა... ჯართ გიმრავლებ.

მწყინს გულშავი შენი მტერი,
მატკბობს შენი ყანის წვიმა...
— სხვა რა, დიდი არაფერი:
მწიფეს ვესვრი... მკვახე ცვივა...

## თემურ ჩხეტიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ზამთრის ხეები

მაინცდამაინც
თქვენგან მინდა რამე ვისწავლო,
უფრო მეტად კი
ის, რასაც დღეს „გაძლებას" ვარქმევთ.

ალბათ ძნელია დრო და მანძილი
უკანასკნელი ფოთოლიდან
პირველ კვირტამდე,
მაგრამ ისიც ხომ შეიძლება,
რომ თავდახრილმა — თავი აიღოს?

უკანასკნელი ფოთოლიც მოსწყდა,
მაგრამ იყო კი უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი?
ან იმ პირველ კვირტს
პირველობა ვინ მიანიჭა,
როცა წინ არის უამრავი... ისევ
პ ი რ ვ ე ლ ი?

თითქოს ჩემს გულზე დავაბიჯებ
ამ მკვდარ ფოთლებში, —
დავალ თქვენს შორის,
თქვენს გვერდით ვდგავარ,
მაგრამ რას მეტყვით
მომლოდინე ზამთრის ხეებო?

### განწყობილება

რაც გინდა თქვი და, სოფელი მაინც
სხვაა, მეგობარო:
გადასულია შუაღამე,
მიჩუმებულია ყველაზე ერთგული
მყეფარიც
და სიჩუმეა,
სიჩუმეა სევდისმომგვრელი...
სძინავს სოფელს,
სძინავს ღამესაც
და გრილი თითებივით მეხება სახეზე
მისი სუნთქვა — სუსტი ნიავი.

და არ მგონია, მე ვიყო მიზეზი,
მაგრამ ცხადია —
ვარსკვლავებს რაღაც უხარიათ, —
მე ვხედავ მხიარულ ვარსკვლავებს,
ოღონდ არ მესმის მათი სიცილი —
მე მესმის მხოლოდ ჭრიჭინების
ხმასუსტი სერენადა,
სხვა არაფერი.

და რაღაც გაკრთა ცისკიდურზე,
თითქოს ერთ-ერთ პატარა ვარსკვლავს
ფეხი დაუცდა
(ვარსკვლავი მოწყდაო, ასეთ დროს
ამბობენ),
მაგრამ მეც ვიცი, რომ ვარსკვლავები
ცას არასდროს არა სწყდებიან
და ესეც მხოლოდ მტვერი იყო
მცირე და უმნიშვნელო,
მტვერი — თუნდაც ვარსკვლავისმიერი.

და ნურასოდეს რამე დიდსა და
მნიშვნელოვანს
ნუ ჩაუთქვამ ცას მომწყდარ
ვარსკვლავს,
ნუ გაიხდი საალალბედოდ —
არ ღირს რაიმე სერიოზულზე
ბავშვური თამაში.

### საღამოს ფოსტა

ეს შაბათიც ასე ჩაივლის:
უხალისოდ, უსტუმროდ და ამბის
გარეშე;
გადაივლიან ცაზე ღრუბლები,
და ჩიტებიც გადიფრენენ —
სასხვათაშორისოდ,
ჩემი მზერა კი უკვე ფერცვლილ
ფოთლებს შერჩება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს შაბათიც ასე ჩაივლის:
უმნიშვნელო საქმეში და იგივეს
ფიქრში;
და ეზოში მყოფს
გზიდან ვინმე მომესალმება —
გავიღიმებთ და ცოტას კიდეც
წავისაუბრებთ.

ჩამოივლიან სკოლის ბავშვები,
ჯერ — პატარები,
მერე კი უფრო მოზრდილები,
თითქოს სიდინჯეშეპარული ტოლი
ნაბიჯით.

და დღის დასასრულს
ჩამოივლის ტანმორჩილი ფოსტალიონიც
და ამ დღისას ფოთლებივით
ჩამოარიგებს...

ეს შაბათიც ასე ჩაივლის:
უხალისოდ, უსტუმროდ და ამბის
გარეშე;
და მერე, გვიან, დაძინებამდე —
ტელევიზორთან, ჩაის სმის დროს, თუ
წიგნზე დახრილს
რატომღაც თვალი გამიშტერდება.

## სულთაკრეფა

განა ჩემთვის კი ნათელია,
რატომ ვარ ასე დაფანტული?

მაინც სადაა ჩემი სული —
რით სულდგმულობს,
ვის კარზე სძინავს?

თოვლი იყო. თოვლიც წავიდა,
მაინც სადაა ჩემი სული —
იქნება იმ ქალს გავაყოლე
აპრილივით რომ ჩაიარა მოუხედავად?

გადაიარა სეტყვის ღრუბელმა, —
სველ მიწაზე ყრია ფოთლები,
ყრია მტევნები,
გაქვავებული ცრემლებიც ყრია.

მაინც სადაა ჩემი სული? —
იქნებ გადამფრენ ფრინველებში,
ფუსფუსისა და ამგზავრების დღეებს
რომ გრძნობენ;

ან იქნებ წყალში, —
ფსკერზე, ლოდებქვეშ —
თვალხილული რომ იძინებენ ხოლმე
თევზები?...

## ყველაფრის მკურნალი დრო

თებერვალს აცვია თეთრი ხალათი
და პალატებში ფეხაკრეფით დაიარება,—
როგორც იციან სათნოების დებმა —
ქალებმა,
უხმაუროდ რომ არსებობენ და
ანათებენ.

თებერვალს აცვია თეთრი ხალათი,
თავს დაგვტრიალებს, გვამშვიდებს
და.. ჩვენ ავადა ვართ —
შეცდომათაგან და უილბლო
ფათერაკთაგან,
და დავიწყების ამბებსა ვსვამთ
ძალის-ძალათი.

თებერვალს აცვია თეთრი ხალათი,
გვისინჯავს პულსს და შუბლზეც
ფრთხილი ხელით გვეხება,
და სურს წამალოს ჩვენში ქენჯნა თუ
დაეჭვება
და დაგვიტოვოს შვებად რამე —
სიტყვა, ბარათი...

თებერვალს აცვია თეთრი ხალათი
და პალატებში ფეხაკრეფით დაიარება.

გიგი ხორნაული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცარიელი კასეტები

მოთხრობა

„დატევებასა მტრისასა
დაწონვა უნდა გან ძალი“.
ხალხური

სასაცილო და საკვირველი ის იყო, რომ „მედვედას“, ვინც მთელ სკოლა-ინტერნატს შიშსა და ზიზღს ჰგვრიდა, ერთმა უბირმა მეხუთეკლასელმა ბიჭმა ისეთი დღე აყარა, რომ დევისა და ნაცარქექიასი არ იყოს, „მედვედაც“ იძულებული გახდა, გადაკარგულიყო და მას შემდეგ იგი თვალითაც აღარავის უნახავს.

მთის ეს პატარა სკოლა-ინტერნატი, სანამ „მედვედა“ გამოჩნდებოდა და იქაურობას აურდაურევდა, თავისი სანიმუშო წესითა და რიგით ცხოვრობდა. შორეული, პატარ-პატარა სოფლებიდან ჩამოკრებილი ხალასი ბავშვები, დედის ძუძუდანვე წესრიგს, პატიოსნებას, უფროსისადმი პატივისცემას, ოჯახის საქმეს მიჩვეულნი, სკოლაშიც სასიამოვნონი იყვნენ, ქალაქიდან მოსული მასწავლებლები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ. თვალზე ცრემლმომდგარნი ეფერებოდნენ, თავზე ხელს უსვამდნენ, ამხნევებდნენ შინისაკენ დაწუხებულ ბალღებს. ამიტომ ბალღებიც, როგორც ხევისბერებს, როგორც ღმერთებს, ისეთი მოწიწებით ეპყრობოდნენ თავის საყვარელ, ძალიან საყვარელ მასწავლებლებს.

და აი, სკოლა ინტერნატის ეს საამური ცხოვრება ერთხანობას გააუგემურა ნადია მასწავლებლისა და მისი შვილის „მედვედას“ აქ მოსვლამ. „მედვედა“ იმიტომ შეარქვეს ზედმეტ სახელად, რომ ტანად დიდი იყო, ძლიერი. ნამდვილი სახელი ჟორა ერქვა, მაგრამ ჟორას აღარავინ ეძახდა თავისი დედისა და ზოგიერთი მასწავლებლის მეტი.

„მედვედას“ დედა, ნადია, იმ წელს მოვიდა ისტორიის მასწავლებლად, მაგრამ ამ ფაშფაშა, ურცხვმა დედაკაცმა ჭორაობის მეტი არაფერი იცოდა, გულღრძოც იყო — მოკლე დროში მოასწრო თითქმის ყველა მასწავლებლის გალანძღვა, ვინც მის შვილს კარგი ნიშანი არ დაუწერა, ვინც მას ხათრი არ შეუნახა. აქ არავის გაეგონა მშობლის მასწავლებელთან დავა ნიშანზე, შვილის გამართლება, მასწავლებლის გამტყუნება. ნადია კი გაფოთებული კრუხივით ზედ ეფოფრებოდა თავის „ვაჟკაც“ შვილს და ყველას უნისკარტებდა. როცა „მედვედას“ ვინმე ორიანს დაუწერდა, ნადია ჯერ მისი თათხვით იჯერებდა გულს, მერე შვილს ანუგეშებდა: რას იზამ, გაუგებარია, მაგას რა უნდა მოსთხოვო.

ლაპარაკობდნენ, და არც ტყუილად, ნადია აქ იმიტომ წამოსულა მასწავლებლად, შვილს ეგება კარგი ატესტატი ავაღებინო, მიყრუებულ მთის სკოლაში ეს უფრო იოლად მოხერხდებაო, მაგრამ თავიდანვე იგრძნო, აქ ეს არ გამოუვიდოდა, ამიტომ ცოფდებოდა. ბავშვებსაც დაუწყო დაცოფვა. ხუთოსნებს ხუთიანს აღარ უწერდა. ის კი არა, გაკვეთილებსაც აღარ ატარებდა. მთელი კვირა დაიკარგებოდა, მოიტანდა რაღაცა გასაყიდებს: ეს ნათესავმა გამომატანაო, ეს მეზობელს პატარა მოუვიდაო. ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ თვითონ სპეკულანტობდა. ეს კარგად ჩანდა თუნდაც მისი გაქნილი ვაჭრობიდან, როცა მთიელებს ძვირფას ვერცხლის სამკაულებს სულ კაპიკებად დასცინცლიდა ხოლმე.

„მედვედა“ უარესად გაბოროტდა. ისედაც მორქენალ ბულასავით ყოველთვის სახედაბრეშილი, ეხლა კბილებსაც აკრაჭუნებდა. არც უფროსი იცოდა, არც უმცროსი. ბავშვებს ხომ სიცოცხლეს უმწარებდა. ისე, ტყუილუბრალოდ ზოგს სილას გააწნავდა, ზოგს წიხლს ამოჰკრავდა. განსაკუთრებით ხუთოსნებს იყო კატა-ძაღლივით გადაკიდებული. მათ საწვალებლად ათას რაღაცას იგონებდა. ხან დაძინების წინ წყალს ჩაუსხამდა ლოგინში, ხან კაკლის ნაჭუჭს ჩაუყრიდა და როცა გულტყუად ჩაწოლილი ბავშვი გველნაკბენივით წამოვარდებოდა, „მედვედასა“ და მისი ძმაბიჭების სიცილ-ხარხარი მთელ შენობას აზრიალებდა. სველ ლოგინში, ისიც ზამთარში, აბა, ვინ როგორღა ჩაწვებოდა, მაგრამ წყენის გამოხატვაც არ შეიძლებოდა. ხმა-კრინტი და „მედვედა“ ალიყურს აჭმევდა, თქაფანს გაადენდა და ახლა ამაზე იცინოდა.

ყველაზე მეტად მაინც „ველოსიპედზე შესმა“ მოსწონდათ. „მედვედა“ და მისი ძმაკაცები ისეთ დროს ჩამოივლიდნენ ოთახებს, როცა ზოგს ეძინა, ზოგს — არა და მძინარე ბავშვებს ფეხის თითებში ცეცხლმოკიდებულ ქაღალდს ჩაუტენიდნენ. ლამის სიცილისაგან იფხრიწებოდნენ, როცა მძინარე ჯერ ფეხების ქნევას დაიწყებდა, მერე კი შეშლილივით წამოიჭრებოდა. ერთ კვირას მაინც კოჭლობით დადიოდნენ ფეხდამწვარი ბიჭები და მათი დანახვაც ყოველთვის მხიარულ გუნებაზე აყენებდა „მედვედას“.

აქ თავიდანვე საიდანღაც დაირხა ხმა, „მედვედა“ კაცის მჭამელიაო. მაგას გარტყმაში კაცი ვერ აჯობებსო, მაგარი გამრტყმელიაო, თავისზე ბევრად დიდი ბიჭებისათვის უცემიაო, ერთისათვის ყბა ჩაუმტვრევია, ამის გამო კინაღამ ციხეშიც ჩაუსვამთო.

ბავშვებმა კი არა, ბევრმა უფროსმაც ირწმუნა „მედვედას“ კაცისმჭამელობა და რაღაცნაირად ელოლიავებოდნენ, ვაჟკაცობას უქებდნენ და ერიდებოდნენ. ზოგი უბრალოდ შარში გახვევას ერიდებოდა, ეს კი მაინც ისე გამოდიოდა, თითქოს „მედვედასი“ ეშინოდათ, და საბოლოო ჯამში ყველამ ირწმუნა, რომ „მედვედასთან“ შებმა ხეირს არავის დააყრიდა. ამიტომ ბევრმა ძმაკაცური ურთიერთობა ამჯობინა მასთან. გაამაყდა „მედვედა“, გაიფხორა, თავის მომრევი აღარავინ ეგონა. აღარც არავის არაფრად აგდებდა.

თავისი თანაკლასელებიდან ყველა ვერა, მაგრამ ზოგ-ზოგები თავიდანვე აიყოლია „მედვედამ“. ეს ის ბიჭები იყვნენ, ვინც მაინცდამაინც ვერ ბრწყინავდნენ ვერც სწავლითა და ვერც ყოფაქცევით. ხშირად დასალევადაც იპარებოდნენ, არც ჩხუბს ერიდებოდნენ, მაგრამ ვერ ყელყელაობდნენ, რადგან ძირითადად წესიერება იყო სკოლა-ინტერნატში გაბატონებული. „მედვედას“ მოსვლით კი თითქოს ეშველათ, უცებ იქცნენ ვაჟკაცებად. მისგან გაიგეს, რომ კარგად სწავლა წიგნის ჭიაობაა, და არა ვაჟკაცობა. თავის მხრიდან იმათაც დაუმატეს — დედაჭუაობააო.

— ჰო, დედაჭუაობაო! — სიტყვა მოეწონა „მედვედას“. მალე ეს ბიჭები „მედვედას“ ორეულებად იქცნენ, პატარა „მედვედებად“. ყველაფერში იმას ჰბაძავდნენ — ქცევაში, ლაპარაკში. ძველბიჭურ-ქალაქური ჟარგონიც უცებ შეითვისეს. ლაპარაკში „ტო“-ს ხმარებაც ისწავლეს, მაგრამ ხშირად ისეთ უადგილო ადგილას ჩაურთავდნენ, რომ ხალხს აცინებდნენ.

— დალევის ხასიათზე ვარ, დავლიოთ! — თქვა ერთ საღამოს „მედვედამ“. ბიჭებს ფული გაატანა და ზენა სოფლიდან არაყი ჩამოატანინა. ინტერნატში სასმელის შეტანა, იქ სმა, მანამდე არავის გაეგონა. ვინ გაბედავდა! „მედვედამ“ გაბედა. თავისი კლასელების ოთახში საწოლებზე ჩამოსხდნენ, არაყიანი ჩაიდანი ფეხებშუა ჩაიდგეს და წყლის სასმელი ერთადერთი ჭიქაც მოიმარჯვეს. მერიქიფეობა დიდთავა ერასტემ იკისრა, თამადობა, რაღა თქმა უნდა — „მედვედამ“. ერასტემ ნახევრამდე შეავსო ჭიქა და მიაწოდა.

— რას მაწვდი მაგას, ტო, გაავსე!

— აუჰ! მე კი მაგ ჭიქის დამლევი არა ვარ და თქვენი საქმისა თქვენ იცით! — ჩაიბურტყუნა ერასტემ.

— სავსეს ვერც მე დავლევ! — დაუმოწმა ლადომ.

„მედვედამ“ გაპიპინებული ჭიქა გამოართვა ერასტეს და პირველი სადღეგრძელო ძმაბიჭობისა და ვაჟკაცობისა თქვა. ჭიქა პირთან მიიტანა, უცებ აიქნია და ერთ ყლუპად ჩანთქა. გაოცებისაგან შეჰყვირეს ბიჭებმა. არც ასეთი რამ ენახათ. მიბაძვა მხოლოდ ელგუჯამ გაბედა, მაგრამ კინაღამ დაიხრჩო. სხვებმა კი ნახევარ-ნახევარი ჭიქა წრუპვა-ჭმეხვით ძლივს გამოცალეს. განსაკუთრებით ლადომ დაიზიზღა.

— დაი... დაი... ფუი! ნუ გამიფუჭე სმის ხასიათი! — ბრაზით შეუძახა „მედვედამ“, — დალიე რა, კაცი არა ხარ!

— ვა, არ შემიძლია და რა ვქნა, ვერ ვიტან სასმელს! — თავი იმართლა ლადომ. თუმცა მეორე ჩამოყოლებაზე ისე ძალიან აღარ გასძნელებია დალევა.

უცებ შეუჯდა თავში ბიჭებს, აყაყანდნენ. ის იყო მესამ-მესამე უნდა ჩამოეტარებინათ, „მედვედამ“ ახალი სადღეგრძელო წამოიწყო, რომ თამარ მასწავლებელმა (ძიძა იყო, მაგრამ მასწავლებელს ეძახდნენ) შემოაღო კარი. ბიჭები, ჩვეულებისამებრ, ფეხზე წამოდგნენ და შეეცადნენ არაფერი შემჩნეოდათ. მაგრამ რა აზრი ჰქონდა ფაციფუცს, როცა „მედვედამ“ არაყიანი ჭიქის დამალვა არ იკადრა, არც კი შეტოკებულა. მარცხენა ხელის თითებში მბოლავი სიგარეტი ჰქონდა გაჩრილი. პაპიროსის მოწევაც სასტიკად იყო აკრძალული, „მედვედა“ კი ორივე ხელით დანაშაულს სჩადიოდა.

— აი, ყოჩაღ! ესლა გაკლდათ და ესეც მოგიხერხებიათ! კი, მაგრამ, ფიქრობთ, რას სჩადიხართ?

— ეს თქვენ გაგიმარჯოთ, თამარ მასწავლებელო!

— უი, მეხი შენც დაგაყარე და შენ გამარჯვებასაც! ან ამ ბავშვებს რაზე ღუპავ, შე გა-

ოხრებულო, ან მე რას მერჩი! ის არ იკმარე, რომ გაახულიგნე ეს ბავშვები და ახლა ლოთობაც დააწყებინე! უი, ის დღე დაიქცეს, როცა შენ აქ მოეთრიე!

— რატომ მლანძღავთ, თამარ მას. მე ეგეთი ცუდი ბიჭი ვარ? — ჩაილუღლუღა „მედვედამ“. — არა ნამდვილად არა ვარ ცუდი ბიჭი! რა გავაკეთე ცუდი, მოპარულს ხომ არა ვსვამთ! ჩემი ფულით ნაყიდია. მეორეც, ქეიფი რატომ გვეკრძალება? ჩვენ რა, ვისზე ნაკლები ვართ?

— კიდევ იმას მკითხულობ, რა გავაკეთე ცუდიო? ვერც გრძნობ! არა, მე შენი მოთმენა აღარ შემიძლია, ან შენ დარჩები აქ, ან მე! კი მაგრამ, ლოთობა და ოხრობა თუ გინდოდათ, გასულიყავით სადმე ჯანდაბაში! თქვენ სწავლა არ გინდათ, მაგრამ სხვებს რას ერჩით! ამ თქვენ უაზრო ულავულუვში რა უნდა იმეცადინოს ეხლა ამან. ხომ ხედავთ, ბავშვს წიგნი უჭერია.

ეხალაღა მიაქციეს ყურადღება: ოთახის მეორე კუთხეში, თავის საწოლთან თავჩაქინდრული იდგა თოთია, ხელში თითით ჩანიშნული წიგნი ეჭირა და ელოდა თამარ მასწავლებლის გასვლას, რომ კვლავ ჩამომჯდარიყო და კითხვა გაეგრძელებინა. ბეჯითი იყო თოთია, ხუთოსანი. წიგნის კითხვის მეტი არაფერი აინტერესებდა. არა, როგორ არ აინტერესებდა. მთასიქეთიდან გადმოყვანილმა ბიჭმა პირველად აქ ნახა მანქანა, ელექტრონი, რადიო. ყველაფერიც აინტერესებდა, მაგრამ წიგნების კითხვა ყველაფერს ერჩივნა. მთელი დღე იჯდა და წიგნს ჩაჰკირკიტებდა. მით უმეტეს, რომ ამ დიდ ბიჭებთან საერთო ბევრიც არაფერი ჰქონდა. მათ ოთახში შემთხვევით აღმოჩნდა საცხოვრებლად. ცოტა გვიან გადმოიყვანეს მთასიქეთიდან მშობლებმა და მეხუთეკლასელების ოთახში უკვე შევსებული იყო ადგილები.

თავიდან კარგად მიიღეს „გამოსულმა“ მეთერთმეტეკლასელმა ბიჭებმა „გამოუსვლელი“ უბირი ბიჭი, მაგრამ მერე და მერე, როცა დაინახეს, წიგნის მეტი არაფერი აინტერესებსო, დაცინვა დაუწყეს, „წიგნის ჭია-დედაჭუას“ ეძახდნენ, ზედმეტ სახელად კი „ხიკლები“ შეარქვეს, რადგან ხინკლების ნაცვლად ხიკლებს ამბობდა.

— ვა! დედაჭუა წიგნის ჭია! აქ იყო? არც კი შემიმჩნევია! ეს როგორ მოგვივიდა?! კაცო, აქა ყოფილა, ჩვენ კი ჭიქაც არ მივაწოდეთ! — დამცინავად ტკეპნიდა „მედვედა“, — ხიკლები! აბა, მოდი აქ, ერთი დაგვილიე! აი, თამარ მასწავლებელი ადღეგრძელე!

თოთია მხოლოდ უხერხულად შეწრიალდა. ისედაც ეუხერხულებოდა აქ ყოფნა. არ უნდოდა ყურით მოესმინა „მედვედას“ მკრეხელური სიტყვები თამარ მასწავლებლის მიმართ, არ უნდოდა ეხილა „მედვედას“ აბუჩი ქცევა.

— არ გესმის, ბიჭო! მოდი აქ!

— არ დავლევ, არ ვსვამ! — წაიდუდღუნა თოთიამ.

— მოეშვი ბავშვს! — ჩაერია თამარ მასწავლებელი.

— არ დალევ და კისერში ჩაგასხამ! — თოთიასთან მივარდა „მედვედა“. ის კი ისევ თავჩაქინდრული იდგა და კისერიც ისე ჰქონდა გადასხნილი, თითქოს ჩასასხმელად გამზადებული. „მედვედამაც“ არც აცია, არც აცხელა და მთელი ჭიქა არაყი მიუშვა კისერში. თოთია ცივი არყისაგან ერთი შეისხრაპნა, ელვისებური მოძრაობით დააძრო მამის ნაჩუქარი ხის ტარიანი დანა და თავის სათამადო ადგილას დაბრუნებულ „მედვედასაკენ“ კატასავით იფრინა. ბიჭები ეცნენ, დაიჭირეს აღმუვლებული თოთია. ხელიც გაუკავეს, მაგრამ დანა კი არ წაურთმევიათ, რადგან მთიელთა წესით, იარაღის ხელიდან წართმევა დიდი შეურაცხყოფაა კაცისა. თხოვდნენ, დანა შეინახეო, საიარაღო და სადანაო არაფერი მომხდარაო. „მედვედამ“ დრო იხელთა, გაკავებულს ხელიდან წაგლიჯა დანა, ფეხით გადატეხა იატაკზე და ღანჯრიდან გადააგდო. დრო იხელთა თამარ მასწავლებელმაც, არაყიანი ჩაიდანიც ფანჯრიდან გადაუშვა, მაგრამ ბევრი აღარაფერი იდგა შიგ, ბიჭებს უკვე თითქმის მოესწროთ გამოცლა.

ატირებული თოთია აიძულეს ტანთ გაეხადა და ლოგინში ჩაწოლილიყო. თამარ მასწავლებელმა შინ წასვლა ურჩია „მედვედას“. ბიჭებიც იმას გაჰყვნენ.

კედლისაკენ პირნაქნარ თოთიას ჯავრის ამოყრის ბრაზიანი ფიქრები ეღეოდა თავში. ხმამაღლაც დაემუქრა, არ შეგარჩენო. თოთიას ვერ გაეგო, რა უნდოდა „მედვედას“ მისგან, რატომ ჩაგრავდა, რად იგდებდა აბუჩად. თვითონ ხომ ყოველთვის პატივს სცემდა. სოფლიდან რამდენჯერაც რამე გამოუგზავნეს, ნახევარზე მეტს „მედვედა“ უჭამდა, ეს ბიჭები უჭამდნენ. აბა რა ექნა! უარს ეტყოდა და, რა კარგი დღე დაეყრებოდა. არც, თვითონაც არ იყო ხარბი, დამზოგავი, მით უმეტეს, როცა ხედავდა, სხვას უფრო შიოდა. ინტერნატში ულუფა ერთნაირი ეძლეოდა ყველას, იმათ კი, დიდ ბიჭებს, უფრო მეტი ჭამა უნდოდათ. ხანდახან ეს ბიჭებიც უნაწილებდნენ ხოლმე თოთიას, როცა რაღაცა ჰქონდათ, მაგრამ იშვიათად. ისინი დილის ცვლაში იყვნენ, თოთია — მეორეში. თავისას თოთიას გამოსვლამდე შეჭამდნენ ხოლმე, თოთია კი იმათ ხელში იყო.

თავიდან, როცა ამ დიდ ბიჭებთან შემოასახლეს, „მედვედამ“ თითქოს მფარველის ხელი დასდო: ყველას გამოუცხადა: თოთიას არავინ აწყენინოთო. სხვამაც თუ ვინმემ რამე და-

გიშავოს, მე მითხარი და მე მოვუვლით. მართლაც, მხარს უჭერდა ყოველთვის. ერთმა მეცხრე-კლასელმა კალამი წაართვა, აღარ აძლევდა. „მედვედამ“ ეს რომ გაიგო, ერთი-ორი [illegible] და თავისი ფეხებით [illegible]. მერე და მერე კი თვითონვე დაუწყო წვალება. უცებ გაა-წნავდა ბოლომე ხილას და იცინოდა თვითონაც, ძმობილებსაც აცინებდა. ხან „ნიორს ულებდა თავიდან“, ხან ამოპანჩურავდა. სხვებს არ აძლევდა ამის უფლებას, სხვისგან იცავდა, ესარჩლე-ბოდა, თვითონ კი [illegible] გაიგო თოთიას. იჯდა ამ გაურკვეველ ფიქრებში ახლართული. დროდადრო ხან ამ და ხან იმ ოთახში იფეთქებდა სიცილი, ხარხარი. ეს „მედვედა“ და მისი ამალა არბევდნენ ოთახებს, ერთობოდნენ ადრე ჩაძინებული ბიჭების გამოღვიძებით. ეთვლიმებოდა, მაგრამ ცდილობდა არ ჩასძინებოდა. იცოდა, „მედვედა“ „ველოსიპედზე შეუსმელს“ არ გაუშვებდა.

ეს შაბათ საღამოს იყო. მეორე დღეს კი, აპრილის თბილ კვირა დღეს, ინტერნატის ეზო-ში ლახტი გაეხურებინათ მეცხრე-მეათე კლასელ ბიჭებს. გარედან ეხლა მეცხრეკლასელები იყვნენ, ოთხი ქამარი უკვე გამოეტანათ, ერთიღა იყო გამოსატანი. თმაგაწეწილი, პიროფლიანი ბიჭები ქორებივით უტრიალებდნენ წრეში მყოფთ და რიგრიგობით ურტყამდნენ ქამრის აბზინდასთან ჩაბიჯგებულ ლადოს ფეხს. ჯერ სხვების ცემის უფლება არა ჰქონდათ, სანამ იმ ქამარსაც არ გამოიტანდნენ. დაძაბული მომენტი იყო. უკვე სადაც იყო, იმასაც გამოი-ტანდნენ და მერე მეცხრეკლასელები ჯავრს იყრიდნენ მეათეკლასელ ვირგლა ბიჭებზე, რომ-ლებმაც წელან ასე უმოწყალოდ აუჭრელეს წვივები. მაყურებელი თითქმის მთელი სკოლა იყო, ვისაც ინტერნატის ფართო კიბეზე ვეღარ ეშოვა ჩამოსაჯდომი ადგილი, ლახტის წრის ირგვლივ მოჯარულიყო. გოგონები კიბის თავზე იდგნენ თამარ მასწავლებელთან და სხვა რამ-დენიმე აღმზრდელთან ერთად. აქვე იდგნენ დანარჩენი მეათეკლასელები მედვედას მეთა-ურობით. ის შიგადაშიგ რაღაცას წასძახებდა მოლახტავეებს, რითაც ირგვლივ მყოფთ აცინებდა. უცებ, რამ გაახსენა, ან რა შუაში იყო, თოთიას რომ დასცინოდნენ, ის ჩაადიალოგა:

„სად იყავ, თოთიავ?“ „დათვისს“. „რა შჭამე?“ „ხიკლები“. ატყდა სიცილ-ხარხარი. ახლა ვითომ ამ სიცილის პასუხად მიაყოლა: „ჭირი!“ „შენ თავს!“ „შენ თავს, შენდ უფრო მად-ლი!“ კიდევ ხარხარი ატყდა. თოთია ორი საფეხურით დაბლა იჯდა თავის კლასელ ბიჭებთან ერთად. ბრაზიანად შემოხედა „მედვედას“. თქმით კი არაფერი უთქვია. იცოდა „მედვედას“ სწორედ ასე, ხალხის სათვალფროდ უყვარდა ვაჟკაცობის გამოჩენა და კიდევ უფრო მეტად შეარცხვენდა. შემთხვევა მაინც არ გაუშვა „მედვედამ“, შარისათვის შემოხედვაც იკმარა.

— უყურე შენ ამას, როგორ მიბრიალებს თვალებს! — „მედვედამ ბავშვებს გადაალაჯა თავზე, მისწვდა თოთიას და შუათითის ღვინჭა შემოუტკაცა თავზე.

— ყორა, მოეშვი მაგ ბავშვს, რას გადაეკიდე, რა გინდა! — უყვირა თამარ მასწავლებელმა.

— მე რომ მაფრთხილებთ, მასწავლებელო, იმას რატომ არაფერს ეუბნებით, რატომ მი-ბრიალებს თვალებს, რატომ მაშინებს? იქნებ სუსტი გული მაქვს?

ახლა ამაზე ატეხეს სიცილი. თოთიას კი სიმწრის ცრემლები მოადგა თვალზე.

ამასობაში ლადომ აბუეზბული ფეხის შენაცვლება სცადა და მარჯვედ მოქნეულმა ქამარ-მა ის დარჩენილი ქამარიც გამოაფრინა წრიდან. მეათეკლასელები წრის შუაგულში მოგროვ-დნენ. მეცხრეკლასელებმა შემოუქროლეს და შემოუტყლაშუნეს.

— ბიჭებო, ბიჭებო! აბულაძე სურათს უღებს ბაჭუას! ოოო, რა საინტერესოა! გამიშვით ჩქარა, ჩქარა! — იყვირა „მედვედამ“, ბავშვებზე გადალაჯებით ჩაჭვლითა კიბის საფეხურები, მიჰყვნენ ამფსონებიც. ლახტის წრეზე გაირბინეს და საცემლად გამზადებულნიც თან გაიყო-ლეს. არ უგდეს ყური მეცხრეკლასელთა მოთხოვნას, წრეში დარჩენილიყვნენ. მიხვდნენ, რომ ითაღლითა „მედვედამ“. მერე თვითონაც სირბილ-სირბილით მიჰყვნენ გაქცეულებს.

არაგვის გადასახედთან აბულაძე მასწავლებელს რკინის ფეხებზე დაემაგრებინა გარმონი-ვით გაშლილი ფოტოაპარატი, შორიახლოს კი ცნობილი ვაჟკაცი ბაჭუა ათოთქრავებდა კისერ-მოღრეჯილ ცხენს. ამდენი გამოქცეული ბავშვის დანახვაზე რომ დაფეთდა.

— ნელა, ბალღებო, თორო ბაჭუას მეძახიან! — ჩახლეჩილი ხმით იმუქრებოდა შეზარხო-შებული მთიელი. აბულაძე მასწავლებელს კი ეღიმებოდა აქოშინებული ბავშვების შემყუ-რეს, ჭიკავ-ჭიკაობით რომ იჭერდნენ ადგილს მის ირგვლივ. მან შავი მატერია გადააფარა აპა-რატს, მერე ის მატერია თავზეც გადაიფარა და ისე რაღაცას აკეთებდა. ბაჭუამ კაბდოხავით ხანჯალი გამოსაჩენად შეისწორა წელზე და შუბლშეკრულმა გამოხედა აპარატს. თოთია გაფა-ციცებით ადევნებდა თვალს აბულაძის ყოველ მოძრაობას და შეუმჩნევლად, სხვებთან ერთად სულ უფრო ახლოსა და ახლოს მიიწევდა. იქამდე, რომ ბოლოს ლამის ობიექტივს ჩამოეფარა.

— ხიკლები! დაიწი უკან! რას შეძვერი აპარატში! — უყვირა „მედვედამ“. თოთია დარ-ცხვენილი მიაწუდა უკან. აბულაძემაც სწორედ ამ დროს ამოჰყო თავი, თოთიას გადმოხედა, გაუღიმა. „აბა, ვიღებო!“ — გასძახა ბაჭუას, აპარატი ჩააჩხაკუნა, „მადლობაო“ უთხრა, აუჩქარებლად აიღო აპარატი და შინისაკენ წაკოჭლდა. ჩია კაცი იყო, კოჭლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა რომ გაიარა, შემობრუნდა და თოთიას დაუძახა, აქ მოდიო.

— გაინტერესებს ფოტოგრაფია?

— დიახ.

— გინდა ნახო, როგორ იბეჭდება სურათები?

თოთია გაურკვევლად შეაჩერდა.

— მაშინ, გაიქეცი ჩვენსა, დოქს მოგცემენ და თვალის წყალი გამოიტანე ფოტოწამლებისათვის.

არაგვს გაღმა, ტყიანი ფერდობის ძირში გადმოჩუხჩუხებდა ყინულივით ცივი, კამკამა წყარო — თვალის წყალი. თუ ვინმეს მოუნდებოდა გემოზე წყლის დალევა, ან განსაკუთრებით რაიმესათვის სჭირდებოდათ, მაშინ გამოჰქონდათ ხოლმე თვალის წყალი. მასწავლებლებმა ჩვეულებრივ მოსწავლეების მოუმცრობა იცოდნენ, რაც ბავშვებისათვის დიდ პატივად ითვლებოდა, თოთიასაც ამიტომ შეესხა ფრთები. სირბილით გავიდა აბულაძე მასწავლებლის სახლში, სირბილით გავარდა არაგვს გაღმა და სირბილითვე გამოიტანა სავსე დოქი. აბულაძემ ალერსით მოუჩეჩა ქოჩორი და წამლების გახსნას შეუდგა. თან უხსნიდა თოთიას, რა თანმიმდევრობით იხსნებოდა გასამჟღავნებელი წამლები, რა თანმიმდევრობით კიდევ — გასამაგრებელი. ერთადერთი ოთახი ჰქონდათ, ის უნდა ჩაებნელებინა, ამიტომ ცოლ-შვილი სასეირნოდ გაუშვა და ფანჯარას ფლასი ჩამოაფარა. წამლიანი, წყლიანი თეფშები ჩაამწკრივა, ფოტოქაღალდის პარკები ამოალაგა უჯრიდან, ფანერის ყუთში გამოწყობილი წითელი შუქი ჩართო.

— ყველაფერი მზადა გვაქვს? — თვალი გადაავლო აბულაძემ, — მოდი, თოთია, შენ აქ დამიჯექი, — მარჯვნივ სკამზე მიუთითა. — გასამაგრებელში შენ გადაიტან ხოლმე.

აბულაძემ შუქი ჩააქრო და წითელი შუქის წინ ჩამოჯდა. უცებ შეიქმნა რაღაცა ჯადოსნური, იდუმალებით მოცული სამყარო, თვითონ აბულაძე მასწავლებელიც ჯადოქარს დაემსგავსა. წითელი სახე, წითელი ხელები. წითელმა შუქმა ყველაფერს რაღაცა არნახულად ლამაზი ფერი დასდო, მაგრამ თოთიას მთელი ყურადღება ეხლა მხოლოდ იქითკენ იყო მიპყრობილი, რას მოიმოქმედებდა მასწავლებელი, რა ადამიანური ჯადოსნობით გამოიხატებოდა ქაღალდზე სხვათა და სხვათა სახეები.

აბულაძემ გახსნა ერთ-ერთი პარკი, თეთრი ქაღალდი ამოაძვრინა, ის ჩარჩოში ჩადო, ზემოდან ნეგატივი დაადო, სამაგრები მოუჭირა, მერე წითელმინიანი სარკმელი გასწია, ჩარჩო ჩვეულებრივ შუქს მიუშვირა, ათამდე დათვალა, სარკმელი ისევ ჩაკეტა, ჩარჩო გახსნა, ქაღალდი ამოიღო, გასამჟღავნებელში ჩაუშვა და წეპწკლით გაალაღლაღა. მერე გადმოაბრუნა თოთია თვალმოუშორებლივ ჩასცქეროდა. ფოტოქაღალდზე ჯერ მკრთალი ლაქები გამოჩნდა, მერე მკრთალი ლანდები, რომლებიც თანდათან მუქდებოდა... თოთიას აზრით, სურათმა გამომჟღავნება ისეთ დროს შეწყვიტა, როცა საკმარისად გაშავდა, ამოღება იყო საჭირო, მაგრამ აბულაძე არა ჩქარობდა.

— შუქი დააკლდა, — თქვა აბულაძემ, გასამჟღავნებელი ჩაწკლიტა, წყლიან თეფშში ჩააგდო და თოთიას უთხრა, კარგად გაავლე და გასამაგრებელში გადაიტანე, თუმცა კი არ ვარგა, არა ღირსო.

მეორე ქაღალდს თხუთმეტამდე დაუთვალა. იმან უცებ დაიწყო გამომჟღავნება და მეტადაც გაშავდა. თოთიას ეჩვენებოდა, რომ ეს სურათი ნახშირივით შავი იყო და აღარაფრად ივარგებდა. აბულაძე კი მშვიდად დასცქეროდა. თოთიამ ვეღარ მოითმინა.

— ძალიან გაშავდა, მასწავლებელო!

— არა, არ გაშავდა ძალიან! ეს წითელ შუქზე ჩანს ასე, თორემ ჩვეულებრივ შუქზე მკრთალი იქნება. მატყუარაა წითელი შუქი.

აღარას ამბობდა თოთია, გული კი უწუხდა, მასწავლებელი ტყუვდება, ალბათ თვალთ აკლია, ვერა ხედავს, თორემ წითელი შუქი რა შუაშია, შუქი შუქიაო. კიდევ რამდენიმე სურათზე თქვა აბულაძემ — შუქი დააკლდაო და სწორედ ისინი ეგულებოდა ყველაზე კარგ სურათებად თოთიას.

მორჩნენ ბეჭდვას, ფანჯარას ფლასი ჩამოხსნეს, სურათები გარეცხეს, გაზეთზე გაშალეს და თოთია გაშრა: ძალიან გაშავებული რომ ეგონა, სწორედ ისენი იყო კარგი სურათები, ხოლო კარგ სურათებად რომ ეჩვენებოდა, ესენი, მართლაც, არაფრად ვარგოდა.

იმ დღიდან მოყოლებული აბულაძე ყოველთვის თოთიას იხმარებდა სურათების ბეჭდვაში.

მეორე სასწავლო წლის დასაწყისში თბილისიდან მთაში დაბრუნებულ აბულაძეს მხარზე „ზორკი" ეკიდა, ფირიანი აპარატი. თავისი ძველი აპარატი კი თოთიას გადაულოცა — ჯერ ამაზე ისწავლე და მერე შენც ფირიან აპარატს იყიდიო. იქვე, თვალწინ დაუტენა თორმეტი კახეტი შუშის ფირფიტებით, გადმოუღო აპარატის ფეხები, შავი მატერია, კიდევ ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუხსნა, რა როგორ უნდა გაეკეთებინა და კისერში წამოუცაცუნა — აბა შენ იცი. როცა თორმეტივეს გადაიღებ, მითხარი, ერთად გამოვამჟღავნოთ და სურათებიც დავბეჭდოთ.

—სად შეინახავ? ყუთი, ჩემოდანი რაიმე გაქვს?

— ყუთი მაქვს, მასწავლებელო, აი გასაღები, — ქამარზე შებმული გასაღები აჩვენა თოთიამ.

— კარგი, კარგი. თუ რამე იყოს, ჩემთანვე შეგინახავ.

მართალი იყო აბულაძე მასწავლებელი, როცა ინტერნატის საერთო საცხოვრებელში აპარატის შენახვაზე შეეჭვდა. „მედვედას“ მოსვლამდე ინტერნატში ქურდობა არ გაიგონებოდათ. ეხლა ზოგს რა ეკარგებოდა და ზოგს რა. ჩაკეტილ ყუთებსაც ხსნიდა, როგორც ამბობდნენ, მაგრამ მნახველი და პირზე დამდგომი არავინ იყო. ისე კი, აბა, ვინ რას გაუბედავდა. თოთიას ცოტა სხვანაირი კლიტე ჰქონდა და ეიმედებოდა, ჩემ კლიტეს ვერა ხსნიანო. იმას კი აღარ ანგარიშობდა, როცა შიგ რაიმე ჰქონდა, თვითონვე უხსნიდა ხოლმე.

ფოტოაპარატმა, რომ იტყვიან, ძილი და მოსვენება დაუკარგა თოთიას. გაკვეთილებზე იმდენს ველარა ფიქრობდა, რამდენსაც იმაზე, თუ რას გამოიწვევდა მისი ფოტოაპარატით გადასვლა თავისიანებთან, სოფელში. აქ ხომ გასაქანს აღარ აძლევდნენ თავისი კლასელი ამხანაგები, გოგონები — გადაგვიღე და გადაგვიღეო. მთასიქით გადასვლა და თავისიანებისათვის ხუთი კადრის გადაღებამ დიდი ჭირის ოფლი აღვრევინა. კლასელები მთელი კვირა ემზადებოდნენ სასურათედ. სად რა იშოვეს, ვისი რა ჩაიცვეს, მერე ლამაზი ადგილიც შეარჩიეს და გადაიღეს. ახლა როგორ ელოდებოდნენ სურათების დაბეჭდვას!

ერთი კადრის გადაღება მეათეკლასელებმა, თოთიას ოთახელებმა და „მედვედამ“ სთხოვეს. თავიდან „მედვედა“ ჯერ იმას ეუბნებოდა, მათხოვე აპარატი, მე თვითონ გადავიღებო. თოთიამ უარი უთხრა. გაუკვირდა კიდეც „მედვედას“ თავხედობა: რაღა ნამუსითა მთხოვსო, ანდაც ჩემგან რატომ უნდა ჰქონდეს იმედი სურათის დაბეჭდვისაო. მაინც გული მოუბრუნდა თოთიას რაკი უთხრეს, გამოსაშვები კლასი ვართ, ჩვენ მეტად ველარ მოვიყრით ერთად თავს, თქვენ კი ბევრი სურათის გადაღება შეგიძლიათო.

გადაუღო იმათაც თოთიამ ბოლო კადრი და აბულაძესთან გაჩნდა — მოვამთავრე გადაღებაო.

— აბა, მაშ კვირას გამოვამჟღავნოთ!

აბულაძის ოთახში კვირამდე არ ხერხდებოდა დამარტოება. თოთიას კი კვირამდე აღარ ეთმინებოდა. სულ ისევ და ისევ იმ თავის გადაღებულ სურათებზე ფიქრობდა, ფიქრობდა იმათზე, ვისაც გადაუღო. ცდილობდა იმათი სახეების წარმოდგენას, როცა თავის სურათებს ნახავდნენ. რამდენი სიხარული იქნებოდა და ამ სხვისთვის მინიჭებული სიხარულით წინასწარ გული-გულში ზეიმობდა თოთია. წინასწარ ნიშანს უგებდა იმათაც, ვინც ეჭვობდა თოთიას ფოტოგრაფობას. მაგრამ უცებ ჭირის ოფლი გამოუონავდა ხოლმე, როცა წარმოიდგენდა, ვთქვათ და, ნეგატივები გაუფუჭდეს, არ გამოვიდესო. იქნებ გადაღების დროს რაიმე შეცდომა დავუშვიო, შუქი საიდანმე შემეპარაო, დიაფრაგმა გამეხსნევინა მეტად, ანდა პირიქით, სულ არ გამიხსნიაო. კიდევ საფიქრალი და თავსატეხი უნდოდა თოთიას! სწორედ წინა დღეს, შაბათს, მასწავლებელმა წიგნის მოსატანად გამოუშვა თოთია გაკვეთილიდან და ისეთ დროს შევიდა თავიანთ ოთახში, როცა „მედვედას“ მისი ყუთი გაეხსნა და აპარატს ხელში ატრიალებდა, ელდა ეცა თოთიას, აილეწა.

რა მოხდა, ვნახეთ, განა შეგიჭამეთო! — აქეთ შემოუტია „მედვედამ“.

თოთიამ გამოართვა აპარატი და ყუთშივე ჩაკეტა. მაგრამ უსიამო გრძნობა აეკვიატა: ბოროტია „მედვედა“, რატომ გახსნა ჩემი ყუთი, ალბათ მოპარვა უნდოდა, კიდევ კარგი, რომ მოვასწარიო. ხვალ კი აპარატს აბულაძესთან დავტოვებ, თორემ, რაკი ჩემ კლიტესაც აღებს, მომპარავსო. გამოსვლისას „მედვედამ“ მიაძახა: სურათებს როდისა ბეჭდავო?

— ხვალ! — მწყრალად უპასუხა თოთიამ.

— ჰოო? აბა, შენ იცი. კარგი სურათები დაბეჭდე! — ხვეწნის კილოზე უთხრა „მედვედამ“. ბიჭებიდან ვილაცამ ჩაიფრუტუნა.

ისედაც ათასი ფიქრი იმედისა და უიმედობისა აწვალებდა თოთიას, ესლა უნდოდა! როგორც იქნა, დადგა კვირა. აბულაძემ ადრევე დაუძახა თოთიას, ნეგატივები ადრე გავამჟღავნოთ, რომ გაშრობა მოასწროს და ბარემ სურათებიც დავბეჭდოთო.

სიხარულისაგან წამოწითლდა თოთია. წყალი, რაღა თქმა უნდა, თვალის წყლიდან გამოიტანა, ორივე წამალი თვითონ გახსნა, თეფშები დააწკრიალა. ყველაფერი მოამზადეს, ოთახი ჩააბნელეს და... ისევ ის ჯადოსნური სამყარო, რომელადაც წითელი შუქი გარდაქმნიდა ხოლმე ამ ღარიბულ, ძალიან ღარიბულ ოჯახს. ისევ ლალისა და იაგუნდისაგან გამოთლილს დაემსგავსა უბრალო შუშის საფერფლე, ჭიქა, თეფშები, წეპწკალი, მაკრატელი... კასეტების ყუთის ფხაკუნი როცა ჩაესმა თოთიას, გული ლამის საგულედან ამოუვარდა. აბულაძემ გახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხნა კასეტი და რომ ეგონა თოთიას, თეთრი ფირფიტა გამოანათებდა, შავი სიცარიელე შერჩა. გული უსიამოვნოდ შეეწურა. თვალებს არ დაუჯერა, მერე კი — ნეტა ვის გადავუღე ცარიელზე, ვინ დამრჩა მოტყუებულიო, — ცეცხლივით გაჰკრა გონებაში.

— ვა! რატომ არის ეს ცარიელი?! ნუთუ გამომრჩა დაუტენავი? — წყენით შესძახა აბულაძემ და ახლა სხვა კასეტი გახსნა — ისევ ცარიელი!

— რაშია საქმე?!

მესამე გახსნა, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე... ცარიელი კასეტები ჟღრიალით ეცემოდა ერთურთზე. მათი ჟღრიალი თითქო ტვინში ურტყამდა თოთიას, გულს უკუმშავდა და მოწოლილი სისხლის შუილს ახშობდა ყურებში. თორმეტივე კასეტი ცარიელი იყო.

— მდა! — წყენით დააქნია თავი აბულაძემ, — ვიღაცამ კარგად გაგვამასხარავა მე და შენ, ჩემო თოთია! ვის ჩაუგდე ხელში აპარატი?

— არავის.

— მაშ, ვის შეიძლებოდა ექნა ეს, საიდან, როგორ?

— „მედვედას“ გაკეთებულია... გუშინ იმას გაეხსნა ჩემი ყუთი და აპარატი ამოეღო.

— „მედვედა“ კი, უარესსაც იზამდა... არამზადა! — აბულაძე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ფლასი ჩამოგლიჯა. დღის სინათლემ თითქოს არცა ყოფილაო, ისე გააფერმკრთალა წითელი შუქი. საგნებსაც, წამის წინ ზღაპრული ლალისფერი რომ დაჰკრავდა, თავისი ნამდვილი, უბრალო სახე დაუბრუნდა. გაქრა ჯადოსნური სამყარო. ორიოდე წუთის წინ ლამაზ ბურუსში გახვეული, საამო ღელვით სავსე თოთია ეხლა მთლად სასოწარკვეთილი და განადგურებული იჯდა. რამდენი სირცხვილი, რამდენი დაცინვა ელოდა! რამდენი ხალხი რჩებოდა მოტყუებული! როგორი იმედი ჰქონდათ, რომ თოთიას მეშვეობით იხილავდნენ თავის პირველ სურათს, სოფელში მოხუცების სურათიც გადაალებინეს — ამათი სურათი არა გვრჩებაო და მედვედამ... ოო, რა ბოროტებაა, როგორი ბოროტი ყოფილა! თავისი კლასის სურათიც მიაყოლა, თავისი კლასელებიც ფეხებზე დაიკიდა, თოთიას კი როგორ ეხვეწებოდა, უსურათოდ ნუ დაგვტოვებო!

— აუ! — ღმუილივით აღმომხდარმა თავისმა ხმამ შეაკრთო. თეფშებზე უხმარი წამალი კამკამებდა. ფარდის ჩამოხსნის შემდეგ ყოველთვის შემღვრეული, ნალექიანი, ხამუშევარი წამლები რჩებოდა. როგორ გულდაგულ, რა სიყვარულით იყო ნამზადები გრამიგრამ ნალოლიავები, ნაზოგი წამლები და თურმე რა ტყუილად...

თოთიას ეხლა გაახსენდა თავისი ოთახელების ის საეჭვო ღლინცვა, თან დილიდანვე რომ აჩქარებდნენ სურათების დასაბეჭდად. მერე „მედვედაც“ მოვიდა: წუხელ არა მძინებია სურათზე ფიქრითო. მოუთმენლად დაგელოდებით კიბეზეო.

ინტერნატის ფართო ცემენტის კიბე თავშესაყარი იყო, საფიხვნო, „ბირჟა“ ინტერნატელებისა. წარმოიდგინა. ეხლა, კვირა დღეს რამდენი ბალღი იქნებოდა კიბეზე. ალბათ უკვე ყველამ იცოდა თოთიას კასეტების ამბავი. ვისაც ვერ გადაუღო, ისინი გაიხარებდნენ კიდევაც და „მედვედასთან“ ერთად ბევრსაც იცინებდნენ. ეხლა ალბათ ელიან თოთიას გამოჩენას, რათა იცინონ და იცინონ.

ბრაზისაგან კანკალი აუვარდა თოთიას. მისი დაბინდული გონება მხოლოდ ერთ აზრს მოეცვა — „მედვედას“ ჯავრი ეყარა, მაგრამ როგორ, დანაც იმან გაუტეხა, იარაღი აღარაფერი ჰქონდა, უიარაღოდ კი იმას ვერ გაუმკლავდებოდა, მე შენ გეტყვი და, აბუჩად აგდებული ხალხიდან ვინმე დაუჭერდა მხარს, ვინმე მიეხმარებოდა „მედვედასთან“ შებრძოლებაში. პირიქით, თოთიაზე გაიცინებენ, ზოგი ნაძალადევად, „მედვედას“ საამებლად, მაგრამ მაინც კბილებს გამოაჩენენ.

„შევაკვდები და ამას არ შევარჩენ!“ — თავისი ბრაზიანი ფიქრები შეაჯამა თოთიამ. დანის, რაიმე იარაღის საძებნელად მოაცეცა თვალები და მაკრატელს წამოავლო ხელი. ყური არ ათხოვა აბულაძის ძახილს — მოიცადეო, გამოვარდა და ინტერნატისაკენ გაიქცა.

მართლაც, ზუსტად ისე იყო, როგორც თოთიამ წარმოიდგინა: ინტერნატის კიბე სავსე იყო სეირის მომლოდინე ბავშვებით. „მედვედა“ კიბის თავზე იჯდა, შუაში. თოთიას გამოჩენაზე უცებ წამოვარდა და შესძახა:

— ჩვენი ფოტოგრაფი მოსულა! სურათებიც მოუტანია! აბა, ჩქარა, ჩქარა, ვნახოთ, როგორ გამოვსულვართ!

ყველაზე მეტს, ყველაზე ხმამაღლა „მედვედა“ იცინოდა, იგრიხებოდა. შიგდაშიგ თითს თოთიასაკენ იშვერდა, ვითომ კიდევ რაღაცის თქმა მინდა, ველარ ვამბობ და იმას შეხედეთო, იმას...

უცებ ნირი ეცვალა „მედვედას“ და სხვებიც ჩაქრნენ, როცა გაისარჩინეს პირგამეხებული თოთია და ისიც, რაღაცამ წვერუკულმა, რომ გაილაპლაპა მის ხელში, მედვედა შეეცადა შიში არ შეემჩნია. ბიჭებს გადახედა, ჩანს, ისევ იმათი იმედი ჰქონდა — ეცემიან, დაიჭერენო.

— გადით, არავინ მომეკაროთ, თორემ დაგხოცთ! — იყვირა თოთიამ და გაშმაგებით დაიქნ-მოიქნია მაკრატელი. იგრძნეს, რომ აღარ ხუმრობდა თოთია. ყველანი განზე გადგნენ და გზა უტიეს. მარტოდ დარჩა „მედვედა. განწირულივით მიმოიხედა, თვითონაც იმ ბიჭების მხარეს გადახტომა დააპირა, მაგრამ ვაჟკაცის სახელი ბოჭავდა, უშიშარი ბიჭი შემკრთალი არ უნდა ენახათ. ამასობაში კი თოთია ეგრუზა და მაკრატელი გამეტებით დაუქნია. „მედვედამ“ მართლა დათვივით შებღავლა, თოთიამ კიბის საფეხურებზე იფრინა, მაკრატლის წვეტმა კანზე უწია, ბეჭთან, და ხალათიც ჩამოუფლითა. ორი ნახტომით ჩაათავა საფეხურები. უკან მოიხედა და როცა დაინახა თოთია ეწეოდა, კიდევ იბღავლა და მთელი სისწრაფით დაეშვა თავდაღმა. კელიასავით მიჰყვა თოთიაც და ჩაეფარნენ არაგვისკენ — წინ „მედვედა“ და უკან თოთია.

— არიქათ, მოკლავსო! შეიქმნა ერთი ყვირილი, ჩოჩქოლი. გაეკიდნენ კიდეც გამშველებლები, მაგრამ იმათ ვინღა დაეწეოდა. გამოიშალნენ აღმზრდელ-მასწავლებლებიც, გამოიშალა მთელი ბაღლობა. „მედვედას“ დედა, ნადია წიოკით მიფახფახებდა თავდაღმა.

თოთიამ კი ამასობაში სოფლის ბოლო შემოარბენინა „მედვედას, ხევ-ხევ ამოატარა და მაღაზიის მხრიდან გამოჩნდნენ. აღმართში სირბილს ორივესთვის გამოეცალა არაქათი. „მედვედა“ მთლად გალექებულიყო და შიში რომ არა, ადგილზე ჩაიკეცებოდა.

მდევრებმა აქ მოუჭრეს გზა. „მედვედა“ გამოიცილეს, თოთიას ეცნენ, ამშვიდებდნენ, ასუსუებდნენ:

— რაზე ჰკლავო, სამაგისოც არაფერი მომხდარაო, თავს ხათაბალაში რად იგდებო!

— ხულ ერთია ცოცხალს არ გავუშვებო! — კიდევ იზიდებოდა თოთია, მერე კი გული ამოუჯდა და ტირილი აუვარდა.

— რა მოხდა, რაზე იჩხუბესო? — კითხულობდნენ.

— რაზე და ასე და ასე იყოო.

— რა გახდა, მართლაც, ეს „მედვედა“ ბოლოს და ბოლოს!

— „მედვედა“ კი არა, კურდღელა ყოფილა, როგორ დაიფრინა ამ თითისტოლა ბაღლმაო...

— ფუი, თურმე რა დედალი ყოფილა და ხალხს კი დიდი ვაჟკაცი ეგონაო.

— სუო, — კიდევ აწყნარებდნენ თოთიას. — გატეხილის და გაქცეულის შული აღარც უნდა იკადროს ვაჟმა! სირცხვილად ეგაც ეყოფაო.

— ამას შეხედეთ, ამას! — ვიღაცამ მაკრატლიანი ხელი აუწია თოთიას, — მაკრატელი აქვს!

— ა, დედა ვაცხონე ვაჟისა, თურმე მაკრატლით არ დაუფრენია ეს გმირი! — ატყდა სიცილი.

— მაგაზეა ნათქვამი: „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო...“

— ა, დედა ვაცხონე შენი, თოთიავ!

— იცის ვაჟამ.

— როგორი ბიჭია თოთია, ვერ დაგიფრინათ ფალავანი? აკი ვერავინ მოერევაო!

იქით მხარეს „მედვედას“ ცოტანი შემოხვეოდნენ, იმათაც თვალი თოთიას მხარეს ეჭირათ, თოთიას ირგვლივ შემოკრებილ ხალხთან ყოფნა ეწადათ, ეინტერესებოდათ, რას ხორხოცობდნენ. აქ კი აღარც რამეს „მედვედა“ ამბობდა და არც მის ირგვლივ მდგომნი. რა უნდა ეთქვათ?

ქვემოდან „მედვედას“ დედა ამოქოშინდა.

— ვაიმე, სადა ხარ, შვილო, ცოცხალი ხარ? — მერე თოთიას მხარეს დაიქნია მუშტი, — დაუძახეთ მილიციას! რა უნდა სკოლაში ველურს, ტყიდან გამოვარდნილს, ხულიგანს!

— ველური და ხულიგანი ეგ შენი დებილი შვილია! — მიაძახა აბულაძემ, რომელიც ამდენ ხანს მორბოდა და ეხლაღა მოკოჭლდა. მანაც თოთიას მიაშურა.

— დანების ტრიალს უწონებთ მოსწავლეებს, არა? დანითა აქვთ დიდი გული? ვნახოთ, ვნახოთ!..

— ნახეთ, ნადია მასწავლებელო, აი, მაკრატელია, მაკრატლით გამოსდგომია თოთია, დანით კი არა! — სიცილით ასწია მაკრატელი თავს ზემოთ ლადომ.

უცებ თითქოს დამუნჯდა ნადიაც და მისი შვილი „მედვედაც“. მარტო იმათ არ ეცინებოდათ, ვისაც ეცინებოდა, ეცინებოდა უფრო მეტად „მედვედას“ ჯიბრზე.

დედა-შვილი მთლად წამხდარი შეიძურწა შინ. მეორე დილით ადრიანად რაღაცა მანქანით გაპარულიყვნენ. წავიდნენ და, იმ დღიდან მათი თვალით მნახველიც კი არავინ შეხვედრიათ მთის პატარა სკოლა-ინტერნატელებს. და იმ დღიდან თოთიასათვის „ხიკლები“ აღარავის უკადრებია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლალი თოთაძე

### თქვენს ბაგეებზე

ნაცნობ სახეებს კვლავ ვახსოვარ, ისევ მწყალობენ,
(უკვე ამოსდით ბაგეებთან მთვარე ნამგალა),
მათი თვალები ჩემს სახეზე ხეტიალობენ,
ჩემი სახე კი რახანია ლეთამ განბანა.

თითქოს მათ სევდას ჩემი ცრემლი რწყავდა ულევი,
ჩამჩურჩულებენ: ჩვენს სულებში ისევ ბარდნისო,
შენს ბაგეებზე ყაყაჩონი გათიბულები,
ჩვენს ბაგეებზე სურნელია ძველი ვარდისო.

მე კი თვალები გამქცევია უკვე სახლიდან,
ორი პატარა დაუთმენი და შავი ლულა,
გაბეზრებულნი ჩემი სახის მტანჯველ მახითა,
სხვა სახეებში შეპარულან და შემალულან.

რაც არ მხიბლავდა, მიბრუნდება თითქოს დროებით,
მე თავს ვიბრუნებ, სხვა თვალები რომ არ განახოთ,
ჩემს ბაგეებზე გათიბული ყაყაჩოები
თქვენს ბაგეებზე უნდა დამარხონ.

### ახსოვდათ ზეცა

შეკრთნენ ვარდები. გარიყრაჟზე, დაყარეს ნამი,
ყვავილებს შორის, სადაც იყო მაღალი ბორცვი,
ხავსიან ლოდზე, გამოცვლილი რწმენით და კანით.
თბებოდა გველი, კმაყოფილი გრძნეული ლოცვით.

ჰაერი ხბილი წუთებს დიად მზერით დათვლილებს
არწევდა სუნთქვით ლაჟვარდებში წასატანითა
და ყაყაჩოებს, მოელვარე ქრისტეს კვართივით,
ახსოვდათ ზეცა გაფრენილი მათი ტანიდან.

საღამოობით მოჩახჩახე უთვალავ ფერთა
ზეიმი იყო სასეიროდ გამოსულ ქარში,
ჩამოივლიდა ჰადესიდან გრძნეული ლეთა,
გაყუჩდებოდა ყვავილების ამოსუნთქვაში.

ბაღი კეთილი, მშვენიერი და მომლოდინე,
მახსოვს. ოდესღაც ეღალატათ და გაეყიდათ.
იწვა ლოცვებში გარინდული ხავსიან ლოდზე
კანგამოცვლილი პატარძალი უცნობ ქვეყნიდან.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქ ერთადერთი სილამაზე იყო მართალი,
გაბრწყინებული ანგელოზით და სატანითა
და ყაყაჩოებს, მოელვარე ქრისტეს კვართივით,
ახსოვდათ ზეცა გაფრენილი მათი ტანიდან.

## მინდვრებში დადის

ჩემი თვალები ვინმე მჩხიბავს უნდა რგებოდა
და ჩემი ტვინი პირველყოფილს, პირველ ხილვებით,
ადუღდა ლავა, უფსკრულებში მე რომ მელოდა,
დაფეთებული მიმორბიან ცეცხლის ირმები.

აი, ეს არის ჩემი ტვინი, მარტივი, ბნელი,
მოხეტიალე, ბედნიერი, სწუხს და მიგალობს,
ოცდამეათე წელიწადი — ჭრელი ფრინველი,
ტყეების მფარველ დიდ ღვთაებას უნდა მივგვარო.

ტყე კი შრიალებს მშობლიური სევდით და მადლით,
არ არსებული მოლოდინის სურვილი მსჭვალავს,
ოცდამეათე წელიწადი მინდვრებში დადის,
ჭრელი ბუმბულით თავს აწონებს ხეებს და ჭალას.

მირეკავს ირმებს თვალებწვრილი უდაბნოს ქარი,
მირეკავს სიტყვებს, მზეს და მთვარეს, ცხადსა და სიზმრებს,
ფრთხილად ილება მღვიმისა თუ უფსკრულის კარი,
პირველყოფილი გამოდის და ნაღველით მიმზერს.

ოცდაცხრა სტუმარს საოცარი და საკვირველი
მჩხიბავი უცქერს ერთმანეთის მსგავსებს და ტოლებს,
ოცდამეათე წელიწადი — ურჩი ფრინველი,
მინდვრებში დადის და ჭრელ ბუმბულს ეკლებზე ტოვებს.

## ხელმეორედ

მე მომაგონდა შენი სახე, ძველი მირაჟი,
შენი ნათება აღსავალთან და დასავალთან,
როგორც ყინვისგან დახატული სევდა მინაზე
გაბრწყინდა უცბად, ჩაიქროლა და დასამარდა.

ზარდაცემული უამრავი მარცხით და ომით
ვდგებოდი ქვაზე ვარსკვლავების გრძნეულ ხარხარში
და უფსკრულებთან პირდაბჩენილ, აღრენილ ლომებს
შენს მონატრებას ყვავილებით ვჩრიდი ხახაში.

მე მომაგონდა შენი სახე, შორი, უცვლელი,
რომელშიც დიდხანს თავგანწირვით ვმარხავდი თვალებს
და ბედისწიგნის ობმოდებულ, ყვითელ ფურცელზე
არბოძებული სიხარულის წუთები ვთვალე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ო, ბედისწერავ, ხელმეორედ შემოჰკარ ტაში,
წამშალე შუბლზე შენი სიტყვა მკაცრი და ავი,
გადამიწიე ურჩი თმები და სისხლის ტბაში
შემოაცურე სიხარულის პატარა ნავი.

როცა ქვესკნელის კარიბჭესთან შევწყვეტ გალობას,
მთვარე რომ ისევ შემახარბებს ზეცის მარმაშებს,
სიყვარულიდან მომიტანე შენი წყალობა
და ხელმეორედ გამეთამაშე.

## როგორც ეგვიპტე

ის სიყვარული, დაფარული ცრემლით და მტვერით,
ჩეუბნებოდა, რას დამეძებ, კიდევ რა გინდა
და იყო ღამე იდუმალი, როგორც ეგვიპტე,
გამოხმობილი უძველესი სარკოფაგიდან.

მე დავინახე ჩემი თეთრი, გამხმარი ძვლები
მხარზე გაედო ვიღაც მონას მშიერს და მზებნელს.
და ქურუმებმა უცნაური აზრით და გზნებით
ჩემს ბაგეებზე მომავალი ჩხრიკეს და ძებნეს.

თეთრ ჟასმინებთან შენს სიყვარულს ალბათ ეძებდნენ
ის ქალწულები, უცნაური ფერის თვალებით,
მახსოვს სიტყვები მოცახცახე, როგორც თევზები,
ნილოსის პირას დაყრილები და შემკრთალები.

მე გავეყრები სახლს და ოჯახს, დავტოვებ ყველას,
რომ მოცახცახე ღამეებში დავკარგო კვალი.
ხნა — ხატავს ცაზე მოელვარე უფლის მარჯვენა,
ხნა — ვწერ მიწაზე საიდუმლო ორგიის კვამლით.

თავისუფლების მოკაშკაშე წუთთა მაგიერ
მე რას მომცემდა მეუღლეთა მკაცრი ორდენი,
ხან მუმია ვარ, ხან მხევალი, ხანაც მაგია,
ვკვდები, ვცოცხლდები, მიყვარდება და ვმეორდები.

არ ვარ ცოდვილი, ვინც მაწამა, მტანჯა და მიმტრო,
ამ სიყვარულში ჩაიფერფლა, ჩაქრა, გაფითრდა
და დამაქვს სული იდუმალი, როგორც ეგვიპტე,
გამოხმობილი უძველესი სარკოფაგიდან.

# რევაზ დანელია

## ცით მთვრალი ლანდები

ცით მთვრალი ლანდები ცას ყელზე
ეხვევიან.
იცინის სისხლისფერი უნაბი.
ვაზი მთლად ოქროსფრად მორთულა.

შაშვის ჭახჭახით... ცეკვავს ჰაერი.
თბილის ნოღელა ჯერაც.
უჭირავთ ალვებს ქარის დაირა, —
ქარია დაირის ფერი!

ცით მთვრალი ლანდები ცას ყელზე
ეხვევიან.
საცაა ჩე გოლას ჩამოთოვს.
ნიკამ და კახამ ბარათი მიიღეს
ბებოსგან: „შვილებო, ჩამოდით!..“
ცით მთვრალი ლანდები ცას ყელზე
ეხვევიან.
იცინის სისხლისფერი უნაბი.
ვაზი მთლად ოქროსფრად მორთულა.

## მინდორზე მთვარე აბრეშუმის

მინდორზე მთვარე აბრეშუმის... —
ცა ემზადება სახვალიოდ.
მინდორზე მთვარე აბრეშუმის...
ეს მთვარე მართლა ახალია?

ვნება ცბიერი და უკუღმართი
აღარ შორდება მთვარეს, შეხედე!
მინდორმა ხელი ცას გაუმართა, —
კვლავ დაუკოცნა მთვარეს ხელები!

მინდორზე მთვარე აბრეშუმის...

## ნინო გახდებოდა ნოემბერში შვიდი წლის

„დღეები რბიან, ვით“...
აცივდა. მთებს ესტუმრა თოვლი —
თეთრი დედოფალი.
მესმის —
„ცირა ქოგგალეს“ მღერის
ვიღაც
ჩემს ულა ჰაზეს სამეგრელოში.

ახლა, ალბათ, დედაჩემი მწუხარეა
ნინოს გამო.
ფიქრში უხმოდ ამბობს:
ნ ი ნ ო
გახდებოდა ნოემბერში შვიდი წლის.
თოვლი. ნოემბერი. ნინო.

## წვიმა. წვიმები

საღამო ხორბლისფერ გზას გაუყვა.
„ეს ისე, ცოტახნით გადაიღო, —
თქვა ვიღაცამ უბრალოდ, —
წვიმები
ამაღამ
უფრო
გაცოფდებიან, —
ხეთა ფესვები ღრმად ამოისუნთქავენ“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მართლაც, დაღამდა თუ არა,
ამოფრიალდა აღმართზე წვიმა,
წვიმა — ფეხშიშველი და
ყელმოღერილი,
როგორც ის გოგო,
რომელიც დღითიდღე უფრორე
საშველს არ აძლევს ჩემს გულს!.. —
წვიმას, იმ წვიმას მერე სხვა წვიმაც
დაემგზავრა.
ასე რომ,
წვიმები,
წვიმები,
წვიმები
ცირებივით
ველს
მიამშვენებდნენ.

ის წვიმა, წვიმა!.. —
ფრუტუნებდა მინდორზე ცხენი, —
იმის ნახვას, იმ ცხენის ნახვას
ელვას ვუმადლი,
თორე
ღამე იყო ირგვლივ ყოვლის
ბატონ-პატრონი!
საღამო ხორბლისფერი აუყვა აღმართს,
თვალს მიეფარა.
საღამოს ნატერფალი...
წვიმები ჩამოფრინდნენ და, როგორც
ზეცას — ბუდეს,
საღამოს ხორბლისფერ ნატერფალს
შეაფარეს წვიმებმა თავი!

წვიმა. წვიმები.

## სისხლის ყაყაჩო

აკოცა შველს შვილდისარმა ჩალისფერ
მკერდზე?
თოვლის გულისპირზე სისხლის ყაყაჩო
აწრიალდა.
ხოლო ნისლებს ჩაეკეცათ ლამაზი
ფეხები.

აკოცა შველს... —
გაუყვა გზას ქარი ბორიალა
და ჩაესვენა უგრნოდ ხევში!

## გაზაფხული

ლამაზი და მაღალია გაზაფხული
შენსავით.
გაზაფხულის
სადღეგრძელოს
მთაშიც
მალე
შესვამენ.

თოვლი — თბილი, თეთრფეხება
ცას აივლის, ცას წავა.
გულს წვიმები იოხებენ.
ფეხს, ფეხს იდგამს ნიავი.

ლამაზი და მაღალია გაზაფხული
შენსავით.

გაზაფხულის
სადღეგრძელოს
მთაშიც
მალე
შესვამენ.

ქარაფიდან (ეს ქარაფი!)
ალი გადმოეშვება.
ატირდება ცა არაფრით!
მე ალს მივეშველები!

ლამაზი და მაღალია გაზაფხული
შენსავით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მე შენ რატომღაც წვიმას გადარე

სიმღერასავით ლამაზი და
ჩვეულებრივი
იმზირებოდა ცა.. დაბლა...
მე შენ რატომღაც წვიმას გადარე —
ლამაზფეხებას, გადარეულს...
მინდორს ყიჟინით — სიცოცხლით,
სიხარულით,
ჰქარგავდნენ ყმაწვილები,
ქარები მორცხვად... —
ნოღელასავით ტანმღვრიე სიცილი
კოშკის თავზე დროშასავით
აღმართულიყო!

სიმღერასავით ლამაზი და
ჩვეულებრივი...
ფრთა გამოესხა ტობავარჩხილს და
მოფრინავდა.
დალოცვილს მთები მოაცილებდნენ...—
შენ არავის და არაფერს ზედაც!..
შენ არაფერი გაოცებდა!..

სიმღერასავით ლამაზი და
ჩვეულებრივი
იმზირებოდა ცა... დაბლა...
მე შენ რატომღაც წვიმას გადარე —
ლამაზფეხებას, ყელწკრიალას და
გადარეულს!

## ტყე

ტყე მორთულა და ტყე მოქარგულა
იის ფერით და იის სურნელით.
გაუმართიათ ცაში მარულა
თოვლს გამოქცეულ მაგ შენს კუნელებს.

მთვრალია დილა! ეს დილა მთვრალი
შენს მდინარისფერ თმებს ეფერება.
ტყე ცით მორთულა. ცაა უბრალო.
მზე მოიმღერის იის ფერებით!

## სიზმრების კოცონი

დღემ საღამო გადაკოცნა. გამოეთხოვა.
სოფელს მოადგნენ ნებიერი სიზმრები
დაირით,
წყაროსპირს ჩამოსხდნენ,
ჩაალურეს იისფერი ფეხები წყალში, —
მთვარის აყვავებას ელოდებიან.

ნიავმა ყელწვრილმა ტყეს ხელი
დაუქნია,—
ირმებს თან გამოჰყევით,
გვიკადრეთ,
გვესტუმრეთ,

მერმე წყაროსკენ გამოფრინდა
და სიზმრებს მიესალმა.

ამასობაში აყვავდა მთვარეც.
სიზმრები
ცეკვით
და
სიმღერით
სოფლისკენ დაიძრნენ.
მოედო სოფელს სიზმრების კოცონი!

დღემ საღამო გადაკოცნა. გამოეთხოვა.

როსტომ ბეჟანიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მიწურული იყო ზაფხული

მოთხრობა

წვრილმანს ვერ დავარქმევდით საყოველთაო სურვილს, ყველა თბილისელს ქალაქის მახლობლად აგარაკის აშენება რომ უნდოდა.

რედაქცია, სადაც გოგი გედევანიშვილი მუშაობდა, არ იყო გამონაკლისი. თანამშრომლები ყოველ თავისუფალ წუთს საბაღე სახლის მშენებლობაზე საუბრობდნენ და გულდაგულ ემზადებოდნენ თავიანთი მომავალი „მამულის" სანახავად.

ადგილს, სადაც ისინი მიემგზავრებოდნენ, ერთობ მომხიბვლელი სახელი ერქვა — ორბისა, მაგრამ ავტობუსი უკვე მთელი საათია მიხრიგინებდა და გაუვალი ძეძვნარისა და ქვა-ღორღის მეტი არაფერი ჩანდა.

მოაგარაკენი გულს მაინც არ იტეხდნენ.

ნაშუადღევი იქნებოდა მძღოლმა მათ მხარზემოდან რომ გადმოსძახათ:

— ვის უნდოდა ორბისა?! მინდორი რომ ჩანს, ეგ არი.

გოგიმ, როგორც მგზავრობაში გამოცდილმა და რადარიგიანმა, მძღოლს თავაზიანად ჰკითხა, უკან რომელი საათისათვის გამოივლიდა. როცა პასუხი მოისმინა და ფულიც მიუთვალა, დაანამუსა, აქ დაგელოდებით და არ დაგვალალატოო.

დღის ორი საათი იყო. ცხელ მზეს ისეთი ხვატი დაეყენებინა, რომ ჭკვიანი კაცი თავს გარეთ არ გამოყოფდა. მაგრამ სიხარულით გულაძგერებული მეგობრები გახრიოკებულ მინდორს ისეთი სიამოვნებით გასცქეროდნენ, თითქოს ედემის ბაღში მოხვედრილიყვნენ და ველარ გადაეწყვიტათ, თვალი რომელი სილამაზისათვის მიედევნებინათ.

მაგრამ...

არ იყო მისასვლელი გზა.

არც ელექტროგანათების ბოძები.

არ ჩანდა წყარო.

არც ტყე.

არც ბუჩქი.

იყო უზარმაზარი ცხელი მინდორი და ჭრიჭინობელების ყურისწამღები მუსიკა.

— რა ჰაერია! — თქვა ერთმა.

— სრული იდილია, — დაუმატა მეორემ.

— რა დაასახლებს აქაურობას? რა ფული ეყოფა? — შეეჭვდა გოგი.

— ამიტომ უფულობა არის ჩვენი ბედნიერება, — იხუმრა პირველმა.

— მთელი დღე რომ არც მკვდრებში ხართ და არც ცოცხლებში, — პათეტიკურად წამოიწყო მეორემ, — ამობრძანდით აქ შაბათ-კვირას, წამოიღეთ ფიცარი, ლურსმანი, ჩაქუჩი.. თუმცა ჩაქუჩი არ არის საჭირო, ეგე, როგორი ქვებია! და ააშენეთ ნელ-ნელა. ერთბაშად არც თბილისი აშენებულა.

— შენ რა, მართლა სახლის აშენებას ფიქრობ? — ჰკითხა გოგიმ.

— მაშ რისთვის მოგვცეს ნაკვეთი?

— სასეიროდ, ჩვენი ჭიის გასახარებლად.

—მე ჭია არ ვიცი! — იყვირა მეორემ. — ივლისში რომ დააჭერს თბილისის ხვატი და წუნეთელები ერთ ოთახში ათას მანეთს მოგთხოვენ, აქ ამოხვალ კი არა, ამოფრინდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მარტოხელა კაცს რად მინდა ავარაკი?! — არ დასთმო გოგიმ, — ავიღებ რედაქციიდან მივლინებას და მოვივლი ზღვასაც და მთასაც.

— რედაქტორს სწორედ ეგ ადარდებს, ზაფხულში რომელ კურორტზე გაგიშვას.

— ბოლოს და ბოლოს ჩემს სოფელში წავალ! შვებულება ხომ მეკუთვნის? რაც ბებია დავკრძალე, აღარ ვყოფილვარ. მივხედავ იქაურობას...

გოგი გედევანიშვილმა ტუჩზე იკბინა.

ათი წელია, რაც თავის სოფელში აღარ ყოფილა. წყაროსთვალში მივლინებითაც აღარ გაუვლია.

სანამ სპორტულ გაზეთში მუშაობდა, რუსეთის არც ერთი ქალაქი არ დარჩენია უნახავი, საზღვარგარეთაც იყო რამდენიმეჯერ. შორეულმა ხილვებმა სოფელი და ბავშვობის მოგონებები ისე დააპატარავა, ისე უმნიშვნელოდ და პაწაწკინტელად აქცია, რომ გოგის დაავიწყდა კიდეც, წყაროსთვალში ძველი სახლი რომ ჰქონდა.

მხოლოდ ახლა, ორბისაში ამოსვლისას გაახსენდა კაკლის ვეება ხეებით დაჩრდილული სოფელი, ცივი წყაროები ყოველ ბექობთან, თონიდან ამოკლაკნილი თეთრი ბოლიც დაინახა და შინ შობრუნებული მაძღარი ფურის თბილი ფშვინვაც იგრძნო.

უცებ ისე მოუნდა წყაროსთვალში წასვლა და ძველი ნაფუძვარის მონახულება, რომ მოსალოდნელი შეხვედრის სიხარულით ანთებულმა, თავი ძლივს შეიკავა, რომ არ დაეყვირა.

ამხანაგები უკვე სამანქანო გზისკენ მიდიოდნენ, გოგი მათ მისდევდა და ველარაფერს ამჩნევდა: ვერც უგზოობასა და სიცხეს, ვერც ლანჩებმოღვეულ ფეხსაცმელს, ვერც მორუხებულ ცას, ამ ტრიალ მინდორში თქეშით გამასპინძლებას რომ აპირებდა. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ხვალ დილით, მივიდოდა თუ არა რედაქციაში, აიღებდა შვებულებას, დაჰკრავდა ფეხს და წყაროსთვალში ელდასავით ჩავარდებოდა. და განა რაიმე შეედრებოდა იმ ბედნიერებას, რასაც ახლა გოგი გრძნობდა? ეს იყო მოზღვავებული სიხარულის ტალღა, დავიწყებული სიჭაბუკის შხაპუნა წვიმა, რომელიც მის დასიცხულ სახეს უტლაშუნებდა და თან ეფერებოდა.

შუადღე იყო გადასული, გოგი წყაროსთვალში რომ ჩავიდა. თბილისიდან არნადით მოსახვეტი ბევრი არაფერი წამოუღია და ათი წლის უნახავ, გაციებულ კერაზე წაუხემსებლად მისვლა შეეზარა. გზად სოფლის სასადილო შენიშნა.; სულს მოვითქვამ და დავნაყრდებიო, — გაიფიქრა.

პატარა სასადილოში იმდენი ხალხი იყო, ფეტვის მარცვალი რომ გაგვარდნოდა ხელიდან, არ დაგეკარგებოდა. შექეიფიანებული, შავტუხა ბიჭები თამბაქოსა და ღვინოს ოხშივარში იყვნენ გახვეული.

გოგიმ უკან გამობრუნება დააპირა, მაგრამ დაბალი მებუფეტე, თეთრ-ყვითელი ხალათი რომ ეცვა, მაშინვე ჩიკორივით გამოგორდა.

— დაბრძანდი, სტუმარო! — უთხრა და ცელისოდენაზე გაიღრიჯა.

— ადგილი არა გაქვთ, — იუარა გოგიმ.

მებუფეტეს თუ დასჭირდებოდა, კლდიდან რძეს გამოადენდა, ახლაც ერთს მუჯლუგუნი წაჰკრა, მეორეს ყურში რაღაც ჩაუფუჩუნა და მალე ცარიელი მაგიდაც გაჩნდა და სკამიც. გოგიმ მადლობა გადაუხადა და დაჯდა.

— რას მიირთმევთ? — თავი კალთაში ჩაუდო მებუფეტემ.

— მასადილე, — შინაურულად უთხრა გოგიმ.

ამ დროს სასადილოში დალხენილი ბიჭები შემოვიდნენ.

— სადა ხართ, ხალხნო? ნადიმს გაეყარეთ? — სათითაოდ ხელი ჩამოართვა მათ მებუფეტემ.

— ეგ ვინ არის? — ჰკითხა შემოსუ-

ლთაგან უფროსმა და გოგის ხარისო-დენა თვალებით გადმოხედა.

— მგზავრია ვიღაც. ამ „მინუტში“ გავუშვებ.

— შენ იცი.

მებუფეტე ციბრუტივით დატრიალდა. ასი კაციც რომ სწვეოდა, მუჭაზე დაყრილს გამოიტანდა საჭმელს, მაგრამ ისეთი რიხით, თითქოს თითოეულისათვის ხონჩით ზიარება მიჰქონდა. მოლოკილი ენით იმისთანა მწყერს შეუწვავდა, დამშეულიც რომ ყოფილიყო კაცი, გაუჭირდებოდა შეჭმა. ჯერ ხომ სანავარდოდ აღერებულ ბიჭებს საჭმელ-სასმელი არ შეექვეთათ, მაგრამ მებუფეტე უკვე მეწველ ფურთან იდგა და წველიდა.

— რას გვაჭმევ? — ჰკითხა ხარისთვალამ.

— „ექსტრა“, „გამარჯვების სალუტი“ და „სამო!“ — სხაპასხუპით მიაყარა მებუფეტემ და თან ირიბად გახედა უცხო სტუმარს, რომელმაც ქაღალდზე რაღაც ჩაიწიშნა.

ნატვრის სუფრის მოიმედე მუშტრებმა კარგად იცოდნენ, რომ ლილიფარა კაცი მათ სხვადასხვანაირად შეკაზმულ ლობიოს სთავაზობდა, მაგრამ მაინც არჩევანს უგორებდა. ეს რომ იცოდა უკუდო მგელზე მჯდომმა მებუფეტემ, ამიტომ გრეხდა რბილ თოკს.

მერე მებუფეტემ გოგისაც მოუტანა კარგად ამოზელილი, ქონდრითა და წიწაკით შეზავებული ლობიო, მაგრამ სტუმარმა ღვინოზე უარი რომ განაცხადა, იქვე დაამტვრია ტაბიკები — ღვინოც უკან წაიღო და ლიმონათიც.

დალხენილ ბიჭებს ღობურად სმა გაეჩაღებინათ, თამადად ვიღაც ენადგაკრეჭილი დაეყენებინათ და იყო ერთი ხორხოცი.

გოგი მოქეიფეთ აღარ უსმენდა, ერთ მოხუცს მისჩერებოდა, რომელსაც ლობიო შეესვლიპა, ჩრდილში დარჩენილი პურის ნაჭერი უბიდან ამოცოცებულ ხელსახოცში გაეხვია და ტყავის აბგაში ისე გულდაგულ ინახავდა, თითქო

იდან არასოდეს აღარ უნდა ამო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გედევანიშვილების სახლი წყაროსთვალში სოფლის განაპირას იდგა.

წნელით მოწნული ღობე ჩატეხილიყო, ფერშეცვლილი, ჩიჩვირჩამოშვებული ჭიშკარი ცალ ყულფზე ეკიდა. მიწას პირი დაელო და დაბალი სახლი ბალახს თითქმის დაეფარა. საჩეხში, დამტვრეულ ფილაქანს შუა, ჭია-ღუას დაებუდებინა.

სახურავი უფრო სავალალო დღეში იყო. ხავსმოდებული კრამიტი სეტყვას და ბაღლების შურდულს დაემტვრია. ოდესღაც კირით შეთეთრებულ კედლებს წვიმის ყვითელი ლაქები დაჩნეოდა. ოთახი თითქოს ცისფრად იყო განათებული, რადგან ვიწრო ფანჯრებიდან შემოპარულ მზის სხივს კაკლის ფოთლების ფერი შემოჰქონდა.

საკუჭნაოს თაგვები დაჰპატრონებოდნენ. იქიდან შმორის სუნი მოდიოდა. ძველი სკამები ობით იყო დაფორაჯებული.

გოგი ეზოში გამოვიდა, ხავსმოდებულ კუნძზე ლაბადა დადო და დაჯდა.

გული ეტკინა, თითქოს რაღაც ჩასწყდა და ვეღარ ამოისუნთქა. არ ელოდა, ათი წლის უნახაობა თუ ასე გააპარტახებდა საყვარელ კერას, სადაც ბავშვობა გაატარა და გაიზარდა. მართალია, ირგვლივ ობისა და სიძველის სუნი ტრიალებდა, მაგრამ გოგის მაინც უბეში ჩიტი ეჯდა, როცა თავის გაციებულ ბუდეს შესცქეროდა. იგი ასე ილალად საყელოს არ აიბერტყავდა, ფიქრობდა, საიდან დაეწყო დალაგება და მეზობლებისათვის რა დახმარება ეთხოვა.

ალბათ, ხელოსნებიც დასჭირდებოდა: გატეხილ კრამიტს გამოცვლა უნდოდა, ფანჯრის გალრეცილ ჩარჩოებს, შეკეთება, ჩალეწილ მინებს ახლის ჩაყენება.

ბალახიც უნდა გაეთიბა, ღობე კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წნელით შეღობა, წნელს ტყიდან მოიტანდა.. გოგის სიამოვნებით გული გადაუქანდა, როცა წარმოიდგინა, დილაუთენია წალდით ხელში ტყეში რომ წავიდოდა.

წამოდგა და სათონეს გახედა. ნატრობდა, თონეში ქინქარი არ ყოფილიყო ამოსული. თონეს თავსახური ახადა და გულს მოეშვა. მხოლოდ ნაცარი ყოფილა ამოსაწმენდიო, — გაიფიქრა.

მერე დანაზოგი ფული გადათვალა და დაახლოებით გაიანგარიშა, ეყოფოდა თუ არა ამ სამუშაოებისათვის.

კვირას ბაზარზე ფქვილს იყიდიდა და მეზობლის დედაკაცს პურს გამოაცხობინებდა. დანარჩენი, ზაფხული იყო და როგორც ბავშვობიდან სჩვეოდა, მცირედითაც იოლას წავიდოდა.

ცხოვრება შეიძლებოდა. ძველ სახლში მეტი რა უნდა დახვედროდა მზადმოკილი და გალეწილი.

გაუმარგლავ, გამეჩხერებულ, აქაიქ გადამხმარ ბაღში ვაშლით დახუნძლულ ხესთან მივიდა. სუფთა მოლი წითელ ნაყოფს აეფერადებინა. სიჩუმე და უცნაური სინაზე იდგა.

ლიკა გაახსენდა, წამოსვლის წინ სულ რამდენიმე წუთით რომ მოინახულა. ნაწყენი ხომ არ დატოვა? ნეტავი, რას აკეთებს ახლა?

თვალწინ დაუდგა თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე რვასართულიანი ვეება შენობის განიერი სადარბაზო, სადაც ის ყოველთვის სწრაფად აირბენდა ხოლმე ლიკასთან შეხვედრის მოლოდინით სასიამოვნოდ გულაფრიალებული.

გოგიმ ზარის ღილაკს თითი შეახო. ჰოლში ლიკა გამოვიდა.

— მარტო ხარ? — ჰკითხა გოგიმ.

ლიკამ თავი დაუქნია.

— საოცრად კარგი დღეა. სადმე წავიდეთ.

— არ მინდა. რატომ არ დაჯდები?

მცირე სიჩუმის მერე:

— რას აპირებ?

— ლამაზად ჩავიცვა და შინ დავრჩე. დღეს მინდა შინ ვიყო, ოღონდ ლამაზად, გამომწვევად ჩაცმული.

ლიკამ კარადიდან აბრეშუმის კაბა გამოიღო. სარკეში მხოლოდ მაშინ ჩაიხედა, როცა მძივს იკეთებდა. ცერად შეათვალიერა თავისი სილუეტი და სევდიანმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— შენზე ბევრს ვფიქრობ, ლიკა, — უთხრა გოგიმ. — რამდენი ხანია, ერთად ვართ და მხოლოდ ახლა ვგრძნობ, რომ მიჭირს უშენოდ. უშენოდ მეშინია. არ ვიცი — რისი. თანაც ვიცი, უნდა დაგკარგო. ამ განაჩენს ვერსად გავექცევი. და ყველაზე საოცარი ის არის, რომ მშვიდად ვარ, თითქოს არაფერი არ უნდა მოხდეს.

— იგონებ ყველაფერს, იმიტომ, რომ არ გიყვარვარ, — თქვა ლიკამ.

— შეიძლება.

ისინი ფანჯარასთან იდგნენ. ლიკამ ტელეფონის ჯიხურს გახედა ქუჩის კუთხეში. ჯიხურში ვიღაცის ლანდი მოძრაობდა.

— ხედავ! — მიუთითა ჯიხურზე. — ასე ვართ ჩაკეტილი ჩვენს ნაჭუჭში და ერთმანეთისა არ გვესმის.

— არ მოგბეზრდა ამ სახლში ცხოვრება? — ჰკითხა გოგიმ.

— რატომ? ეს ჩემი უბანია. აქ გავიზარდე.

ლიკამ სამზარეულოდან ღვინო და ხილი გამოიტანა.

— არ დალევ? — ჰკითხა ვაჟს.

— შენ ისეთი ქალი ხარ, ვისთანაც თვალთმაქცობა არ შეიძლება, — თქვა ჩაფიქრებულმა გოგიმ. — რესტორანში წავიდეთ. აქ ძალზე შინაურულია ყველაფერი. ის კაბა ჩაიცვი, მე რომ მიყვარს.

საკმაოდ გვიან იყო, „ივერიაში“ რომ შევიდნენ. მაგიდებს უკვე ალაგებდნენ.

— დავბრუნდეთ, — თქვა ლიკამ.

— ცოტახანს დავსხდეთ.

— მაშინ ბევრი არ დალიო.

— პირობას გაძლევ.

გოგი მოშივებული იყო, რაც მოუტანეს, ყველაფერი შეჭამა. მერე ჰაღ-

ების შუქზე გახედა ღვინით სავსე ჭიქას და ღიმილით თქვა:

— დღეს აქ უსათუოდ უნდა მოვსულიყავი; დღეს უნდა მეგრძნო, რომ მემსახურებიან, თორემ საკუთარი თავის პატივისცემას დავკარგავდი.

ოფიციანტი შორიახლო მოღუშული იდგა, რადგან მისი ამხანაგები უკვე გარდერობში ტრიალებდნენ, ის კი აქ ნაგვიანევ სტუმრებს ელოდა.

— იცი, ლიკა, — — განაგრძო გოგიმ, — ხანდახან უცნაური გრძნობა მეუფლება. მთელი დღე, რომ დავუკვირდე, სხვათა სამსახურში ვარ, რედაქტორის ბრძანება შევასრულე; განყოფილების გამგეს მოუსმინე; ადგილკომის თავმჯდომარეს უნებური წყენის გამო ბოდიში მოუხადე, თორემ სამრეწველო დეფიციტური საქონლის სიიდან ამოგშლის. ამ ბოლო დროს დამტარებელმაც დამიწყო შენიშვნის მოცემა... მოკლედ, მთელი დღე ვიღაცას თვალებში უნდა ვუყურო. აქ კი მე ვარ უფროსი. ეგ ოფიციანტი მთელი საათი გაუნძრევლად იდგება ერთ თუმანს თუ ვაჩუქებ. ხოლო როცა მეორედ მოვალ, ყველაზე კარგ ადგილზე დამსვამს და ჩემს შეკვეთებსაც უდიდესი ხალისით შეასრულებს... მაგისთვის ახლა მე ვარ ქრისტე, ბუდა და მაჰმადი.

— გეყოფა წუწუნი, — ხელზე ხელი დაადო ლიკამ. — წავიდეთ.

ისინი მარტო იყვნენ ვეებერთელა დარბაზში. ჭაღები ჩაქრა. ოფიციანტმა მაგიდაზე ფრთხილად დადგა ძველებური შანდალი, რომელშიც სურნელოვანი სანთელი ენთო.

— ხომ გითხარი, — წასჩურჩულა ლიკას გოგიმ. — ეგ ახლა ყველაფერს გააკეთებს, ოღონდ გვასიამოვნოს.

— უთხარი მადლობა და წავიდეთ.

— დამაცადე, სად გეჩქარება? იცი, ლიკა, მეჩვენება, რომ ამაღამ ყველა ნატვრა შემისრულდება. სამოთხეც რომ ვინატრო, ალბათ, იქაც მოვხვდები. ნუ შეკრთი, ჯერ სიკვდილს არ ვაპირებ... ამ წუთში ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ხვალ რა გუნებაზე ვიქნები, არ ვიცი.

— შენ გინდა მართლა შემაშინო, — თქვა ლიკამ.

— ახლა კი წავიდეთ, სული მეხუთება.

ისინი ნელა მიუყვებოდნენ დაცარიელებულ ქუჩას. გოგი მოეხვია. მერე უცებ ხელი შეუშვა და ფილარმონიასთან კიბეზე ჩამოჯდა. ლიკამ გაიარა რამდენიმე ნაბიჯი და მერე გაოცებულმა შემოხედა.

— არაფერია, იჯექი! — უთხრა და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

ლიკა მდუმარედ შესცქეროდა ვაჟს, თითქოს ეხმარებოდა, ბოლოს და ბოლოს, ეპოვა გამოსავალი. როცა გოგი ისევ წამოდგა, ლიკამ ხეებს შეავლო თვალი, ალიონის სიო ოდნავ რომ არხევდა. მერე თითქოს რაღაცას მიხვდა და ჩუმად თქვა:

— ვიცი, რომ წახვალ.

— დღეს არსად არ წავალ, — წაიდუდუნა გოგიმ.

ის კარგად იცინოდა.

მინდორში, თეთრ ქვაზე იჯდა, სადაც ბილიკი წყდებოდა და რბილი გზა თავისკენ უხმობდა მხედრებს.

როცა საქმე სიცილს ეხებოდა, გოგი ძალიან მგრძნობიარე იყო. ვერ იტანდა, უხეიროდ თუ იცინოდნენ, განსაკუთრებით გოგონები.

ერთ თავის კოლეგასთან იმიტომ შესწყვიტა ურთიერთობა, რომ მის ჩაბჟირებულ ხითხითს ვერ იტანდა.

ის გოგონა კი, თეთრ ქვაზე რომ იჯდა, კარგად იცინოდა.

ვერ იტყოდით, რომ ხმამაღლა, მაგრამ ხალისიანი, უდარდელი სიცილი მისი მშვენიერი პირიდან ნაკადულივით მოსჩქეფდა.

გოგიმ თავისი ბედაური შორიახლო გააჩერა, რომ დამტკბარიყო უცნობი გოგონას სიცილით. მაგრამ გოგონამ უცებ შეწყვიტა სიცილი და სივრცეს მიაჩერდა.

მერე ჩანთიდან საქსოვი ამოიღო და ჯემპრის ქსოვა განაგრძო. ჯემპრი მართლაც კარგი იქნებოდა. რამდენიმე რბილი ფერი ზოლად მისდევდა ერთმანეთს. მარდად ამოძრავებდა გოგონა საქსოვ ჩხირებს, ალბათ, ამ საქმის კარგი ოსტატი იყო, თითების მოძრაობა ისეთი გაწაფული ჰქონდა, რომ შეეძლო საქსოვისათვის არც კი დაეხედა. დროდადრო სახეზე ღიმილი გადაურბენდა, ხან ლურჯად მოხაზულ მთებს გახედავდა, ხან მოტორტმანე ყვითელ ღრუბლებს და დაფიქრებული ისევ მარდად ამოძრავებდა გრძელ ნატიფ თითებს.

გოგი ფიქრობდა, როგორ დაეწყო საუბარი.

დასაწყისი ყოველთვის მნიშვნელოვანია.

თუ კარგად დაიწყებ, მერე შეიძლია ფრაზები მაგიდის ჩოგბურთის ბურთებივით გასცვალო, პარტნიორმა რომ მარდად მიიღოს და უკანვე დაგიბრუნოს. თუ ეს გამოგივიდა — საუბარი სულ რაკრაკით წავა.

მაგრამ პირიქითაც ხდება. სულელურად დაიწყებ საუბარს და, შეიძლება ხმაც არ გაგცენ, ზურგი შეგაქციონ.

ამიტომ გოგი გონებაში დასაწყისისათვის ფრაზების რამდენიმე ვარიანტს ამოწმებდა. შესაძლოა, ასე დაეწყო:

„მაგარი ჯემპრი გამოდის. კარგი გემოვნება გქონია“.

მას, იქნებ ეპასუხა:

„მადლობთ ქათინაურისთვის“.

მაშინ ვაჟი ეტყოდა:

„ნეტავი იმას, ვინც მაგ ჯემპრს ჩაიცმევს. საინტერესოა, ვინ არის ის ბედნიერი? ალბათ, ძმა? იქნებ მეგობარი?“

ამ შეკითხვის პასუხისათვის გოგის ძალიან ყურადღებით უნდა მოესმინა. თუ ის მიუგებდა „მეგობარი“, მაშინ გოგის უსათუოდ უნდა ეკითხა:

„იქნებ შეყვარებული?“

„მე შეყვარებული არა მყავს“, — ალბათ, უპასუხებდა გოგონა და ისევ გაიცინებდა კეკლუცად, სანდომიანად.

ის გოგონა ლიკა გვიშიანი იყო. ცამეტი წელი გავიდა იმ დღიდან. გოგი ლიკას თითქმის ყოველდღე ხვდებოდა. ახლაც მოუთმენლად მოელოდა მის ჩამოსვლას წყაროსთვალში.

გზა ქამანდასავით იყო დახვეული. ბუჩქნარში ყვითელი ფარნებივით ენთო ყვავილები. ფართო მუხნარი მიუყვებოდა კლდიანეთს. მარჯვნივ, მიწა ასევე წალკოტად იყო ქცეული, ოღონდ იგი მდინარისკენ, ხევ-ხევ ეშვებოდა. აქა-იქ ლაქაშები და ჩალა გარეოდა. იქ, სადაც მოშიშვლებული იყო, ლურჯ დიდრონ ქვებს ამოეყო თავი. ქვები ძალიან ლამაზი ჩანდა. ალაგ-ალაგ ხეობა ვიწროვდებოდა, მოსახვევები უფრო ხუჭუჭდებოდა. წვიმის მერე მოდიდებული ნიაღვრები გზისკენ ჩამორბოდნენ, ფერდობებს რეცხავდნენ და ზოგან მანქანას მოცურების საფრთხე ელოდა.

ლიკა წყაროსთვალში თავისი მანქანით ჩამოვიდა. სოფლის თავში გოგი დახვდა. მოასფალტებული გზა სწრაფად გაიარეს და მერე სოფლის ოღროჩოღრო ორღობეები დაიწყო.

— გიყვარდეს, დაგვანჯღრევს. — თქვა ლიკამ.

ძრავი არ ეწეოდა და ლიკამ მესამე სიჩქარე გადართო. მიხვეულ-მოხვეულ ორღობეში მანქანა ხტუნვით მიდიოდა.

— კარგ დროს გამატარებინებ... — წაიბუზღუნა ლიკამ.

გზა პირშელმა, მთაში მიიწევდა და ქვემოთ, ბარში დარჩენილი მდინარე სულ უფრო წვრილდებოდა, ვერცხლის მბზინავ სარტყელს ემსგავსებოდა.

ლიკა საჭეს ჩაჰფრენოდა, თვალებგაფართოებული გაჰყურებდა გზას და

ცდილობდა, მანქანა ორმოებისათვის აერიდებინა.

— თუ სულ ასეთი გზაა, ოც კილომეტრზე მეტით ვერ ვივლით, — თქვა ლიკამ.

— რა გვეჩქარება, — მიუგო გოგიმ. — აქ შეგიძლია, არაფერზე არ იფიქრო და მშვიდად მიეცე ნეტარებას.

ლიკამ ტყავის ჩანთიდან კასეტი ამოიღო და გოგის გაუწოდა.

— ჩადე. ზუსტად ისეთია, ამ პეიზაჟს რომ მოუხდება.

გოგიმ კასეტს დახედა.

— ოღონდ ეს არა.

— ბითლზები მოგწონს?

— ვგიჟდები.

ლიკამ დამრიგებლური კილოთი თქვა:

— დღევანდელ ახალგაზრდებს დაწყნარებულ მელოდიაზე გული გერევათ. თქვენ ულოგიკო, ერთმანეთთან დაუკავშირებელი კაკაფონია მოგწონთ, ალბათ, იმიტომ, რომ თქვენი სტიქიაა — დაამსხვრიოთ ყველაფერი.

გოგიმ შემწყნარებლურად გაიღიმა.

— აჭარბებ, გოგონი, მაგრამ დამეთანხმე, რომ ეგ მუსიკა ძველია. ასეთი მუსიკა დედაშენს მოეწონებოდა.

— გემოვნებაზე არ კამათობენ.

— ეს გემოვნებაზე კამათი არ არის. ეს, უბრალოდ, დროის მოთხოვნაა.

— მაკვირვებ, რატომ არ უნდა მოგწონდეს ხალხური მელოდიები? ხალხური მუსიკა ჩაგაფიქრებს, რაღაცას მოგაგონებს. ეს კი სიმღერისათვის ცოტა არ არის.

გოგიმ თანაგრძნობით შენიშნა:

— შენ სანტიმენტალური გახდი!

ლიკამ მხრები აიჩეჩა.

—შესაძლოა. თანაც არა მგონია, ეს ნაკლი იყოს.

— მადლობა ღმერთს, გზა გასწორდა, — თქვა გოგიმ.

ლიკა წინ გადაიხარა, გზაზე გადართხმულ მოზრდილ ხვლიკს მანქანა მოარიდა და რაღაც წაიდუდუნა.

— გზა დანგრეულია და გარემოც თითქოს პირქუში გახდა, — შენიშნა გოგიმ, — მაგრამ თანახმა ვარ, საყვარელ ქალთან ერთად, აქ მთელი სიცოცხლე გავატარო, ოღონდ ერთი პირობით: თუ იმ ქალს სულ ვეყვარები.

ლიკა დაიმანჭა.

— ეგ მართლაც სანატრელია. სად ნახავ ასეთ ქალს.

— რატომ გაქვს ცუდი შეხედულება ქალებზე?

ლიკამ არ უპასუხა. სიჩუმეში მკვეთრად ისმოდა როგორ კვნესოდნენ ამორტიზატორები ორმოებზე გავლისას.

— მაინტერესებს, როგორ მოგწონს ახალგაზრდა კაცი, რომელიც მიდის სოფლად და არჩევს მშვიდ ცხოვრებას? — ჰკითხა გოგიმ. — და კიდევ: ახალგაზრდა, რომელიც ყოველნაირად ცდილობს, თავი დააღწიოს სოფელს და ქალაქში გაიქცეს.

ლიკამ დაუფიქრებლად მიუგო:

— რა შეკითხვაა?! რა თქმა უნდა, იმისი უფრო მესმის, ვინც ქალაქში ჩამოდის.

— სოფლის სიმყუდროვეში, — გაწელა გოგიმ: — ტელეფონი არ რეკავს, მანქანას სადაც გინდა, გააჩერებ, ქუჩაში გადასასვლელი არ არის... ღამით კი, როგორი სიჩუმეა! ყურებში რეკავს სიჩუმე და პირველად ხვდები, რაღაცის მოსმენა რომ შეგიძლია.

— რისი მოსმენა?

— თუნდაც სიჩუმის.

— ეგ ისეთი იდილიაა, რომ ჩვენს დროში არსად არ არის.

— პირიქით, ეს წყაროსთვალის ჩვეულებრივი ცხოვრებაა. ის კი, ქალაქში რომ გარბის — ლაჩარია და ეგოისტი.

— რატომ ლანძღავ?

— დიახ, ეგოისტი, — მტკიცედ გაიმეორა გოგიმ. — და კიდევ კარიერისტი, ობივატელი, ფულსა და სარფიან თანამდებობას რომ ეძებს. ქალაქს ეპოტინება, სადაც მისი გაგებით, ფუფუნება და ძალაა!..

— მაგრამ თუ ის მუქთახორა არ არის და სადღაც მუშაობს? — შეაწყვე-

ტინა ლიკამ. — განა არ ემსახურება საზოგადოებას?

—შენ ყველაფერს აუბრალოებ, ლიკა.

— რატომ? ყველას აქვს არჩევანის უფლება, რომ იპოვოს თავისი ადგილი ცხოვრებაში. არ შეიძლება სოფელი და ქალაქი მექანიკურად გათიშო და, ვინც არ მოგწონს — იმას დეზერტირობა დააბრალო. შეიძლება სოფლიდან არსად არ გაიქცე და მთელი სიცოცხლე მაინც მუქთახორად დარჩე. მაგრამ შესაძლოა, ქალაქები მოიარო, ქვეყნებიც მოიარო და ყველგან შენს ხალხს, შენს ქვეყანას ემსახურო. მთავარია, რისთვის ირჯები და რა შედეგი აქვს მთელს შენს ცხოვრებას.

— ეს უკვე სერიოზული საუბარია, — გაიღიმა გოგიმ. — გზაც საბოლოოდ გამოსწორდა.

— ახლა მუსიკის მოსმენაც შეიძლება, — თქვა ლიკამ და მაგნიტოფონის ღილაკს თითი შეახო.

გზის დარჩენილი ნაწილი ჩუმად გაიარეს, თუ სიჩუმეს დავარქმევთ იმას, რომ მანქანის სალონში გამომწვევად როკავდა ბოლერო, გოგი და ლიკა კი თავიანთ ფიქრებში იყვნენ ჩაძირულნი.

თავისუფალ დროს გოგი მუშაობდა. ფული სჭირდებოდა. სასადილოს კერძი კარებამდე არ ჰყოფნიდა.

ქალაქის გარეუბნებში მიდიოდა, სადაც ნაცნობს არავის შეხვდებოდა. სამუშაო ყოველთვის ჰქონდა: ხან ქუჩას აფართოებდნენ, ხან რაღაცას ანგრევდნენ ან აშენებდნენ. ღონიერი მუშა ყველას უნდოდა. ფულსაც იქვე აძლევდნენ, დაკავების გარეშე. ნაღდი საქმე იყო.

— ქანცი გაგძვრება, ბიჭო! — უთხრა გოგის ზორბა მუშამ.

— არა უშავს, მიჩვეული ვარ. უქმად არც ესენი მსხდარან.

— ჰო, გუშინ წაუქცევიათ კედელი. ჩვენ უროთი უნდა დავფშვნათ და მერე ძარაზე შევყაროთ.

— სხვა რა უნდა გავაკეთოთ?

— მეტი რაღა გინდა? საქმე ბლომად არის.

— თუ კარგად აეწყო, ოთხამდე მოვრჩებით?

— ოთხზე რა, პაემანი გაქვს?

— ლექციები მაქვს. ვერ დავიგვიანებ.

ზორბა მუშამ ურო ერთი ნაბიჯით წინ წაჩოჩა და ნაღვლიანად თქვა:

— ამ სიშორეზე თრევა არ გინდა?! რისთვის დაანგრიეს?

— არ ვიცი, — მიუგო გოგიმ. — ალბათ, ახალი სახლი უნდა ააშენონ, ან სამინისტრო.

— მთელი დღის საქმეა. მოსაშარდიც არსად ჩანს.

— სადმე იქნება ახლომახლო. აბა, ვინც აქ მუშაობს, სად დადის?

— რა თქვი, სამინისტროს აშენებენო?

— ეგ არ მითქვამს. ათასი რამე შეუძლიათ ააშენონ. იქნებ ახალი მაღაზია ან სკვერი.

— რისი კედელი იყო?

— ნოტარიუსის ძველი შენობა ყოფილა.

— მერე სად წავიდა ნოტარიუსი?

— ნუ გეშინია, ცისქვეშ არ დარჩებოდა.

— დიდი ხანი იყო აქ? — არ ეშვებოდა ზორბა მუშა.

— ალბათ. შენ რაში გედარდება.

მათ ქუჩის მეორე მხარეს დააპირეს გადასვლა. ჯერ ველოსიპედისტების კოლონა გაატარეს, მერე საბარგო და ბურახის მანქანა, მაგრამ შავი ლიმუზინის წინ არ გაჩერებულან. ნელა გადადიოდნენ, თითქოს ლიმუზინი არც ყოფილიყოს.

შუა გადასასვლელზე გაჩერდნენ. ზორბა მუშამ სიგარეტი ამოიღო და გოგის შესთავაზა. მანქანა გაჩერდა მუხრუჭების ღრჭიალით. მძღოლი ხმას არ იღებდა, მაგრამ ისეთი სახით შესცქეროდა, რომ, ალბათ, მათ დედ-მამის სულს უტრიალებდა. ისინი კი მშვიდად განაგრძობდნენ გზას.

როცა დანგრეულ კედელთან დაბრუნდნენ, ქაღალდის ნახევი იპოვეს. ქაღალდზე მისამართი და ტელეფონის ნომერი ეწერა. ალბათ, დანგრევის წინ ნოტარიუსმა ჩაიწერა და კედელზე ჭიკარტით მიაკრა.

— თითქოს მიწისძვრა მომხდარაო, — თქვა ზორბა მუშამ, — უცებ ნაგვის გროვად იქცა ამხელა შენობა. შეხედე, ყვავილები! საიდან გაჩნდა აქ ყვავილები?!

—კედელი ვუშინ დაანგრიეს, — თქვა გოგიმ, — ყვავილები, ალბათ, მაგიდაზე ექნებოდათ.

— აკრიფე და კუთხეში მიაქუჩე. ხედავ, თვითმცლელიც მორახრახდა. არ დაგელოდება.

თვითმცლელი უკანა სვლით მოადგა კედელს. მძღოლი კაბინიდან გადმოხტა, ძარას უკანა ბორტი შეხსნა და თვითონ შორიახლო, ქვაზე ჩამოჯდა. თან სიგარეტს აბოლებდა.

გოგიმ შურით შეხედა. „რატომ მძღოლად არ ვმუშაობ", — გაიფიქრა,

მძღოლს მანქანა გამართული ჰქონდა და მეტი არაფერი ედარდებოდა. იჯდა და არხეინად აბოლებდა. მუშები კი წელს იწყვეტდნენ.

გოგის და ზორბა მუშას ხვითქი გადასდიოდათ. ნიჩაბზე მძიმედ წვებოდა აგურის და გაჯის ნატეხები. თვითმცლელის ძარიდან რახარუხის ხმა ისმოდა. უცებ ნიჩაბის პირს ყვავილები წამოედო. გოგიმ ფრთხილად აიღო გათელილი ყვავილი, ჯერ გადაგდება უნდოდა, მერე გვერდზე გადაეყუდა და ყუთზე დააწყო.

— ოთხის ნახევარია, — თქვა გოგიმ. — ლექციებზე დავიგვიანებ.

— შაბაშ! — მიუგო ზორბა მუშამ. — შენ კარგი ბიჭი ყოფილხარ. ბრიგადირს ვეტყვი, რომ კედელს საღამომდე მოვუნდით.

— ხვალ კიდევ მოვალ, — დაუძახა გოგიმ, ტანსაცმელი გაიფერთხა და მოახლოებულ ტრამვაის შეახტა.

●

— ჩაო!

ლიკამ ერთი წუთით შეწყვიტა გამშრალება, მხარზემოდან გადმოხედა, რათა დაენახა, ვინ ესალმებოდა და მშვიდად განაგრძო ხაოიანი პირსახოცის ფართხუნი.

— ჩაო! — გაიმეორა გოგიმ, რომელსაც უნდოდა მეორედ უფრო ხმამაღლა და დაუდევრად ეთქვა, მაგრამ ჩუმად და მოკრძალებულად კი გამოუვიდა.

— სხვაც თუ იცი ამგვარი? — ჩაიცინა ლიკამ.

— ისე სწორად ამბობ სიტყვებს, თითქოს გაზეთს კითხულობდე, — მიუგო გოგიმ. — დედისერთა ხარ?

გოგიმ ასე იმიტომ თქვა, რომ ეგონა, დედისერთები ძალიან იყვნენ თავის თავზე შეყვარებულნი და ამიტომ მათთან საუბარი უჭირდა.

— არა, დაც მყავს, — უპასუხა ლიკამ.

— ნამდვილად არ მეგონა, — თქვა გოგიმ. — ისეთი სახე გაქვს, რომ დედისერთას ჰგავხარ.

— ესე იგი, რაღაცით არ მოგწონვარ?

გოგი წყლიდან ამოყვანილი ფინიასავით იდგა. ოცდაერთი წლისა იყო და გოგონას შენიშვნამ აშკარად დააბნია.

— კიოსკში გაზეთებს ვიყიდი, — თქვა გოგიმ. — შენ რას წაიკითხავ?

— არაფერს, როცა ვისვენებ, არ ვკითხულობ.

გოგი კიოსკისაკენ იმიტომ წავიდა, რომ გზაში მოეფიქრებინა უხერხულად შეტრიალებული საუბრიდან ყველაზე ლამაზი გამოსავალი. ვერაფერი მოიფიქრა. მაშინ გადაწყვიტა, კიოსკში საზღვარგარეთული გაზეთები ეყიდა. ჯიბრზე, რუსული გაზეთებიც არ იყო. გოგის კი თავისი გერმანულით უნდოდა გოგონას გაოცება.

როცა უკან დაბრუნდა, ლიკა ადგილზე აღარ დახვდა. გადაირბინა მოედანი და გასასვლელში დაელოდა. აქ არ შეიძლებოდა ლიკას არ გამოევლო.

აგერ ისიც გამოჩნდა. მზის სათვალე ეკეთა და სადღაც, შორს იცქირებოდა. გოგი არც კი შეუმჩნევია, როცა გვერდით გაუარა.

გოგიმ გადაწყვიტა, უკან გაჰყოლოდა და გაეგო, ლიკა სად ცხოვრობდა. მაგრამ უცებ ხელ-ფეხი შეეკრა, ნაბიჯი ველარ გადადგა. პერანგი მჭიდროდ მიეკრა ოფლით დანამულ ბეჭებზე.

— გადიხარ თუ შემოდიხარ? — ჰკითხა ვიღაცამ ბოხი ხმით.

გოგიმ არ უპასუხა. გაშტერებული იდგა.

კაფეში ახალგაზრდები ირეოდნენ, სიგარეტს ეწეოდნენ და ლაზღანდარობდნენ. იატაკზე სიგარეტის ნამწვი და დაჭმუჭნილი ქაღალდის ხელსახოცები ეყარა. გოგი ბუფეტის დახლს მიუახლოვდა. გამყიდველმა თავი დაუქნია და ჰკითხა:

—ლუდს დალევ?

— ლუდს.

მან დახლზე დადგა კათხა და ლუდი და ხურდა დაუბრუნა.

— ისევ მიდიხარ? — ჰკითხა. მგზავრებს, რომლებიც ავტოსადგურიდან ხშირად გადიოდნენ, გამყიდველი სახეზე ცნობდა. გოგი თითქმის ყოველ კვირა მივლინებაში იყო.

გაღებული მინის კარიდან თბილი ორთქლი შემოდიოდა. ის იყო გადაიღო შხაპუნა წვიმამ., სველი ასფალტი ნაადრევად ჩამოცვენილი ფოთლებით იყო მოფენილი.

მილიციის მანქანამ გაიქროლა. ოფიცერი მეგაფონით რაღაც ბრძანებას იძლეოდა, მაგრამ ისე სწრაფად და გაურკვევლად, წკავწკავის მეტი არაფერი ისმოდა.

საბურავების შრიალი ტალღასავით ეფინებოდა. მეგაფონის ხმას. ფართო ქუჩაზე წამდაუწუმ მისრიალებდნენ მანქანები და წვიმის გუბეებიდან შხეფს ისროდნენ.

— დასვარეს ქუჩა, — თქვა გოგიმ და სიგარეტს მოუკიდა.

კაფეში შემოვიდა კალთამაღლიანი ქალი, რომელსაც გოგი იცნობდა. მის ცისფერი, გულამოღებული ჯემპრი ეცვა, პატარა ძუძუები არც კი ემჩნეოდა.

გოგი მიესალმა.

— როგორ ხარ? — ჰკითხა.

— ცუდად, — ამოიკვნესა ქალმა, თუმცა ღიმილი არ დავიწყებია, მიმზიდველი და ტკბილი.

— რას დალევ? — მიეფერა გოგი.

— არაფერი არ მინდა.

გამყიდველმა გაუპარსავ სახეზე ხელი მოისვა და ქალს ჩუმად ჰკითხა:

— რა ქენი?

— მიჩივლებს, ალბათ.

— მერე?

— დარწმუნებული ვარ, არ იდარდებ,

— ტყუილად გგონია.

გოგიმ ქალს ხელი მოჰკიდა და გარეთ გაიყვანა. როცა გოგიმ ხელი მოჰკიდა, ქალი შეკრთა და ფისოსავით გაინაბა.

— გავიაროთ, — შესთავაზა კალთამაღლიანმა.

— დღეს არ შემიძლია, მივლინებაში მივდივარ.

— ავტობუსი როდის მიდის?

გოგიმ არ უპასუხა, დაიხარა და აკოცა.

— ცოტა მეტი გრძნობით რომ გეკოცნა, არაფერი დაგემართებოდა, — თქვა ქალმა. — საშარო საქმეზე მივდივარ. გამაცილე, მარტო წასვლა არ მინდა.

ქალაქის თავზე პატარა მოტორტმანე თვითმფრინავი ჩანდა, ის ცისფერ სივრცეში მიფრინავდა და კუდში უზარმაზარი თეთრი სერპანტინი მისდევდა.

— გეყოფა ცქერა, დამაგვიანდება, — უთხრა ქალმა.

გოგიმ ტაქსი გააჩერა.

— საით? — ჰკითხა ქალს.

ქალი მანქანაში ჩაჯდა და მძღოლს მისამართი უთხრა.

ქუჩა სავსე იყო მანქანებით. ორმხრივ მოძრაობაში ყველა მძღოლი გასწრებას ცდილობდა. მათი ტაქსიც არ

ჩამორჩებოდა სხვებს და შუქნიშანთან ყოველთვის პირველი მიდიოდა.

— ცოტა ნელა იარე, — უთხრა ქალმა მძღოლს.

შემოდგომის პირს ქუჩა სპარსულ ხალიჩას დამსგავსებოდა. სხვადასხვა ფერის ფოთლებზე მანქანების საბურავები თავიანთ კვალს სტოვებდნენ.

— შეხედე, — უთხრა ქალმა გოგის.

მაღაზიის ვიტრინებში პლაკატები გაეკრათ. მოქალაქეებს შემნახველ სალაროში ფულის შესატანად ეპატიჟებოდნენ.

— თითქოს ბევრი ფული მქონდეს, — წაიჩურჩულა ქალმა.

ისინი ხიდამდე მივიდნენ. აქ მანქანები ნაკლები იყო. მხოლოდ ახლა გაიგონეს რაღაც მელოდია რადიომიმღებიდან. ქალს სახეზე ნაღვლიანი ღიმილი დასთამაშებდა. ახლა ის ლამაზიც იყო და საბრალოც.

იმ ქალს კარგა ხნის მერე გოგი ისევ შეხვდა. ადრინდელი სილამაზის ნატამალიც აღარ შერჩენოდა, ძალზე ნათრევი ჩანდა და გოგიმ ზიზღით მოარიდა თვალი.

გოგიმ ერთი წელი იცხოვრა ქირით, მერე ფულიც შემოელია და მოთმინებაც. დეკანს სთხოვა და სტუდქალაქში მისცეს ჭერი.

ოთახში ხუთნი იყვნენ. კირით თეთრად შეფეთქილი ნესტიანი კედლები შეყვითლებულიყო მტვრითა და თამბაქოს კვამლით. ფანჯარას აღებდნენ, მაგრამ ოთახში მაინც მუდმივად ტრიალებდა ოფლის სუნი. სამზარეულოში, სადაც მთელი კორპუსი დადიოდა — არ შეისვლებოდა. იატაკზე გუბედ იდგა წყალი. ყველა კუთხე-კუნჭული საჭმლის ნარჩენებით იყო მოთხუპნილი. ღამღამობით ძველის-ძველ იატაკს ვირთაგვები ხრავდნენ. გოგის მოუსვენრად ეძინა და ამხანაგები ამის გამო დასცინოდნენ.

ბიჭები მალე მიეჩვივნენ ერთმანეთს. სასადილოში წყალწყალა წვენს შეხვრეპდნენ, მერე კი შინ ფაციფუცობდნენ: ელექტროქურაზე ძეხვს შეწვავდნენ ან სოსისს მოხარშავდნენ, ხან ცივ ღვეზელს გააცხელებდნენ. დილა-საღამოს ჩაის ადუღებდნენ. თან ფრთხილობდნენ, კომენდანტს არ მოესწრო, რომელიც ელექტროქურებს, როგორც დივერსანტებს, ისე დასდევდა.

ასე იყო თუ ისე, იოლას გადიოდნენ. ახალგაზრდები იყვნენ და ბევრი რამის უკმარისობას წუწუნის გარეშე იტანდნენ. როცა ძალიან გაუჭირდებოდათ, სიცილითა და ხუმრობით დარდს ქარს ატანდნენ.

გოგი თავისუფალ დროს დღიურ სამუშაოზე დადიოდა და ფულს შოულობდა. ხანდახან კაფეში ან სახინკლეში შეუძღვებოდა ბიჭებს.

ლიკას ხშირად ხვდებოდა. დღე არ გავიდოდა, სადმე არ წასულიყვნენ.

ისინი მაგიდასთან დასხდნენ.

გოგიმ ნაყინი და წვენი აიღო. ჩუმად იჯდა გულზე ხელებდაკრეფილი და ლიკას უყურებდა.

ლიკამ ვეღარ მოითმინა და სიჩუმე დაარღვია.

— სად იყავი?

— ავჭალაში ვიმუშავე. წავიდეთ კინოში?

— რა ფილმია?

ისევ ჩამოვარდა სიჩუმე. გოგიმ წვენი მოსვა. მისი სახე არაფერს არ გამოხატავდა. წვენი ბოლომდე დალია და ჰკითხა.

— როგორ არის დედაშენი?

ლიკამ გაიღიმა. ამ ბიჭს უცნაური ჩვევა აქვს, ხან ალთას იყოს და, ხან ბალთას. თითქოს აზრები აქა-იქ აქვს გაბნეული და არ ცდილობდეს მათ შორის რაიმე კავშირის დამყარებას.

როცა ისინი კინოთეატრში მივიდნენ, ფილმი უკვე დაწყებული იყო. გოგიმ მაინც იყიდა ბილეთები და ჩაბნელებულ დარბაზში სადღაც ჩაეკვეხნენ.

მალე ლიკამ იგრძნო, რომ მის ხელს

---

**რუსტამ ბეჟანიშვილი**
**მიწურვილ იყო ზაფხული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილად გადაეფარა გოგის ხელი. გოგონამ მსუბუქად გაითავისუფლა თავი. მაგრამ გოგიმ ისევ დაადო ხელი, მერე დაიხარა და ხელისგულზე აკოცა.

ლიკას დაავიწყდა ფილმი, დაავიწყდა, რომ ხალხით გაჭედილ დარბაზში იჯდა, თითქოს ეს მუსიკა, ხმები მხოლოდ მისთვის იყო, მას ეფერებოდა. ნელა შემობრუნდა ვაჟისაკენ და უცებ გონს მოეგო.

რას აკეთებს? რამ გადარია?

ფილმი ისე დამთავრდა, რომ არაფერი გაუგიათ. სინათლე აინთო და ისინიც ხალხის ტალღას გაჰყვნენ გასასვლელისაკენ.

ქუჩაში წვიმდა. მაყურებელთა ნაწილი ჰოლში იდგა და წვიმის გადაღებას ელოდა.

ისინი წვიმაში გაცვივდნენ. გოგი შხაპუნა წვიმას სიამოვნებით უშვერდა სახეს.

— ჩქარა! დავსველდებით! — ეძახდა ლიკა.

— არ გიყვარს წვიმა?

— არა.

გოგიმ გაიძრო პიჯაკი, ლიკას თავზე გადაახურა და ასე მივიდნენ სახლამდე. სადარბაზოში რომ შევიდნენ გოგიმ, ნაწვიმარი სახე დაუკოცნა გოგონას.

— წამოდი ჩემთან, ბიჭები წასულები არიან, — სთხოვა ხმადაბლა.

საკმარისი იყო, ლიკას დუმილი კიდევ რამდენიმე წამს გაგრძელებულიყო, რომ ვაჟს ეს თანხმობად მიეღო.

— არა გოგი, ეს შეუძლებელია, — თქვა ლიკამ.

გოგის სახე მოეღუშა.

„რას იზამს? ძალას დამატანს?“ — ფიქრობდა ლიკა. უნდოდა, ვაჟს კიდევ ეკოცნა, ეტაცნა ხელი და სტუდქალაქში გაექანებინა, სადაც ის მარტო იყო... მაგრამ გოგიმ თავი ჩაღუნა და წაიბურტყუნა:

— რახან ასეა...

უცებ შეეგუა მარცხს.

იქნებ ლიკას მეტისმეტი მოუვიდა, ძალიან მკაცრი კილოთი უთხრა უარი. ეროვნული ბიბლიოთეკა
რატომ არის ასეთი გულუბრყვილო და ქალის სიტყვებს რატომ გებულობს პირდაპირ?

მაგრამ ვაჟი უკვე შებრუნდა, სადარბაზოს კარი გაიჯახუნა და მალე წვიმაში გაუჩინარდა.

სველი პიჯაკი კი აქ დარჩა, ლიკას ფეხებთან. ლიკამ დაავლო პიჯაკს ხელი და ნელი ნაბიჯით შეუყვა კიბეს. უცნაურად იყო დაბნეული. თვითონ უთხრა უარი და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს იგი უარეყოთ. სახლში არავინ დახვდა. ოთახებში სრულ სიჩუმეს დაესადგურებინა. ლიკამ კარი შეაღო სასტუმრო ოთახში. იქაც ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, როგორც გუშინ, ერთი კვირის და ერთი თვის წინ.

დაბნეულმა მიმოიხედა და მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ხელში გოგის პიჯაკი ეჭირა. მაშ აქვს მიზეზი ესტუმროს! ლიკამ პიჯაკი ჩანთაში ჩადო, ლაბადა მხრებზე მოისხა და მთრთოლვარე სიხარულით გაიხურა კარი.

ლიკას არ დაუთვლია, რამდენი საათი გავიდა, რაც ამ ხმელ ტაბურეტზე ზის ნახევრად ბნელ ოთახში. ელექტროქურის სპირალი წითლად ღუის, მაგრამ ოთახს მაინც ვერ ათბობს. მისი შუქი ცერად ეცემა გოგის სახეს.

გოგის მშვიდად სძინავს, სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებს. ლიკამ ვაჟის ძველი ქურთუკი აიღო და მოიხურა. ესიამოვნა ხეშეში, მძიმე ქურთუკი მხრებზე. მაინც ვერ გათბა.

გოგიმ ძილში გაიღიმა — ბედნიერმა და კმაყოფილმა. ლიკას არ შეეძლო თვალი მოეშორებინა ამ მშვენიერი სახისათვის, რომელიც ქურის შუქს უცნაურად გაენათებინა.

წუთით თავი აიღო და ოთახი მოათვალიერა.

მთელი ჯოგი საწოლებისა. ფეხებმოღრეცილი მაგიდა. ფანჯრის რაფებზე ძველი გაზეთები ყრია. გაბზარული მინები ასევე გაზეთებით არის აკრული. დაჟანგული ბატარეიდან წყლის

ცივი წვეთი წკაპუნებს. კარი ღრიჭოებით არის დასირმული და დროდადრო იქიდან ცივი ქარი სისინებს. როგორც კი დერეფანში ვილაც გაივლის ან სინათლეს აანთებს, ლიკას აცახცახებს. რა იქნება, რომ გოგის ამხანაგები დაბრუნდნენ?

ადგეს და წავიდეს, სანამ დროა. რაღას ელის?

ის, რაც მოხდა, ტკბილი ბურუსია, გაუგებარი და შემთხვევითი. არ შეიძლება ლიკას ასეთი რამ დამართოდა.

იქნებ ყველაფერი სიზმარია...

ლიკა შეკრთა. ელექტროქურა მხოლოდ წვივებს უთბობდა, მთელი სხეულით ცახცახებდა. სხეულში კი ჯერ ისევ გრძნობდა გოგის სითბოს. ყმაწვილისკენ ზურგშექცევით იჯდა და ელექტროქურას მისჩერებოდა. წითლად გაღუებული ქურა თითქოს ნუგეშის ალით ეთამაშებოდა, არ უნდოდა შეეხედა თეთრი, დალაქული კედლებისათვის, საიდანაც სიცივე და ბოლმა იმზირებოდა. ლიკას სციოდა, სიბნელესა და ჭუჭყში იჯდა, მაგრამ ბედნიერი იყო, როგორც პაწაწკინტელა კოცონი ქარიან დღეს თრიმლის ძირას დანთებული.

„საწყალი გოგი, — ფიქრობდა ლიკა, — განა ასე უნდა ცხოვრობდეს? როგორ სძინავს მაგ უსინდისოს, ვითომც არაფერი მომხდარიყოს! არა, მაინც, რა ჯადო აქვს თვალებში? წელან, სადარბაზოდან რომ გამოვაგდე, რა უჩუმრად გაიპარა. მერე კი, მე თვითონ მოვედი და ლოგინში ჩავუგორდი... ვინ ვარ?“ ლიკა გაჩერდა, აღარ იცოდა, რომელი სიტყვა ეთქვა თავისი მდგომარეობის გამოსახატავად.

ყველაფერი უცებ მოხდა. სიტყვის თქმაც არ აცალეს ერთმანეთს. აქამდე მორიდებულნი, უცებ გაშინაურდნენ, თითქოს მთელი სიცოცხლე ამ შეხვედრისათვის ემზადებოდნენ. ეს მართლაც მონატრებას ჰგავდა. ნიაღვარივით მომსკდარ მონატრებას. რა ჰქვია ამას? თავდავიწყება. ზოგჯერ, ალბათ, თავდავიწყება სჯობს, ვიდრე როცა თავი გახსოვს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოგი შეინძრა, ძველი, დაგლეჯილი საბნიდან ხელები გამოყო. ტკბილად გაიზმორა, ღრმად ამოისუნთქა და თვალები გაახილა.

მერე დაფეთებული წამოჯდა საწოლში და ლიკა დაინახა.

სპილენძისფრად ავარვარდა სიბნელეში მისი ნავარჯიშევი, დაკუნთული სხეული. ლიკამ შეხედა და თვალი ვეღარ მოსწყვიტა.

— შორს რატომ ზიხარ? — ჰკითხა გოგიმ.

— უნდა წავიდე.

— ამაღამ აქ არავინ მოვა.

ლიკა მიუახლოვდა და, როგორც ხატს, ფრთხილად აკოცა.

გოგიმ ხელები გაიშვირა. მის მზერაში იყო ძახილი, მუდარა, ბრძანება და სინაზე ერთდროულად... და ლიკა მიხვდა, თვითგვემა ამაო იყო. ახლა იგი არაფერზე არ ფიქრობდა. გოგი ეძახდა და მიჰყვებოდა მას თვალებდახუჭული.

ხეობებს შორის მთების მუქი სილუეტი მოჩანდა. თოვლის ბოხოხი, მთებს რომ ეხურა, ზოგან მზეს გაეცვითა და კოპწია გორაკებთან შედარებით, მთები სნეულ ბერიკაცებს დამსგავსებოდნენ. მზემ, რომელიც აქამდე შავი ღრუბლების ბუდეში იჯდა, გამოანათა. მთვლემარე და მიძინებული ბუნება გამოცოცხლდა, ენა ამოიდგა, ამოძრავდა. მდინარიდან ახლეტილი მუქი ლილისფერ მთებს რაღაც ზღაპრულ ფერიასავით ეხვეოდა. მუქი მწვანე ფოთლები სარკესავით ლიცლიცებდა და ტყეს თითქმის გაუვალსა და ულრანს ხდიდა. ხეობების თავზე კი მზის სხივთა კონა თაღივით იყო გადებული...

ლიკა და გოგი ტელევიზორში „მოგზაურთა კლუბის“ გადაცემას უყურებდნენ. ოთახში სიჩუმე იწვა. ტელეეკრანიდან დიქტორის ჰრიჰინობელასა-

ვით მორაკრაკე ხმას გაუგებარი წამო-ძახილები შეუერთდა ოროობეში.

— მოუსმინე დღევანდელ გამოს-ვლას? — ჰკითხა გოგომ.

— ვერაფერი შვილი იყო.

გოგი დაიმანჭა.

— სულ გაათრიეს კორესპონდენტე-ბმა.

— ნუ დაგავიწყდება, რომ შენც იმ-ათი ამქრიდან ხარ. თანაც მე არ მომჩ-ვენებია, რომ რეპორტაჟი წყალწალე-ბული იყო.

— აშკარა პროპაგანდა გულს მირევს.

— მაინც, რა არ მოგეწონა? — ლი-კამ ტელევიზორს ხმა დაუწია და გო-გისკენ გადაჯდა.

— მართალი კი თქვეს, მაგრამ...

— შენ გუშინდელის გამო ხარ გა-ცოფებული. რა მოხდა, გრაფიკში ვერ ჩაგსვეს, ნუ გეშინია, ოღონდ რამე და-წერე და, შრომას არ დაგიკარგავენ.

— არაფერი მაგის მსგავსი. მე ასე მწამს: თუ გინდა მოგისმინონ —შტამ-პებს უნდა მოეშვა. დღეს ჩვენ შტამ-პები კი არა, არგუმენტები გვინდა.

ლიკას გაეღიმა.

— შენ სულ არგუმენტებით ლაპარ-აკობ, მაგრამ ბევრი არ გიჯერებს, ბევრს კი, უბრალოდ, არ ესმის შენი.

გოგიმ შემრიგებლურად შემართა ორივე ხელი, თითქოს საკურთხეველში იყო და ლოცულობდა. მერე ლიკას მიეფე-რა და დააცქერდა მავედრებელი თვა-ლებით:

— ალმასკომის თავმჯდომარე გელო-დება! ხომ დაჰპირდი, კულტურის სახლს სამუშაო თემატიკას შევურჩე-ვო? პირობას შესრულება უნდა.

— განა დავპირდი?

— ლიკა, სოფელში ვართ და აქ ტყუ-ილი არ შეიძლება.

— როცა ჩიხში მოგაქცევ, მაშინვე სხვასთან მისტუმრებ, — წამოდგა ლი-კა. — რატომ არ დალიე ღვინო?

— მარტო დავლიო?

— ჩემთან დალევაც აღარ გინდა. იყო დრო... ლიკა თეძოების რხევ-ით ნელა გაემართა კარისკენ, გოგომ ხარბად გააყოლა თვალი ჯინსებში მჭი-ფიოდ მოხაზულ მის თეძოებს.

— ყოველდღე უკეთესი გოგო ხდე-ბი.

ლიკა შემობრუნდა.

— მაინც არ გინდა, რომ შენგან შვი-ლი მყავდეს.

— დავანებოთ მაგას თავი.

— ყველაფერი რაც ბრწყინავს, ოქ-რო არ არის.

— მაგას რატომ ამბობ?

— იცი შენ.

— დროზე წადი, თავმჯდომარე გე-ლოდება.

— სჯობდა, ეგ ღვინო დაგელია, — ცივად გაიღიმა ლიკამ და მერე ისე უცებ მოისხლიტა თვალებიდან სხივი, რომ გოგის შეეშინდა.

კონსერვატორიაში იმ საღამოს შო-პენის სონატას უკრავდნენ ვიოლონჩ-ელისა და ფორტეპიანოსათვის. დარბა-ზში მუსიკოსები და მუსიკის მოყვარუ-ლნი ისხდნენ. ისინი სტკბებოდნენ მუ-სიკით და ერთმანეთით, რადგან აქ მსხდომთაგან ყველამ იცოდა კლასიკ-ური მუსიკის ფასი, არავინ გააჭრაჭუ-ნებდა სკამს, არ გავიდოდა სიგარეტის მოსაწევად ან ბუფეტში. რაც მთავა-რია, ყველა ფხიზელი, ერთგვარად გან-წმენდილიც იყო, ისე ამგვარ კონცერ-ტზე არც შემოვიდოდა.

ლიკა სიამოვნებით უსმენდა მუსიკ-ას, მაგრამ შუა ნაწილიდან რატომღაც მოუსვენრობა დაეუფლა. მას მერე, რაც გოგის დაუახლოვდა, მკვეთრი გარდა-ტეხა მოხდა მის ცხოვრებაში.

ეს თავბრუსხვევას ჰგავდა.

არც იქამდე იკლავდა თავს ოჯახში საქმით, მაგრამ ახლა თითქმის აღარა-ფერს აკეთებდა. როგორც კი დედ-მა-მას სადმე გაიგულებდა, მაშინვე გოგი-სთან გარბოდა.

დღეს მშობლები შინ არ იქნებოდ-ნენ. ლიკას მოსალოდნელი ტკბობით გული უფრიალებდა.

კონცერტის მერე აპირებდა გოგის ნახვას, ასე იყვნენ შეთანხმებულნი.

ახლა სულმოუთქმელად ელოდა, როდის დამთავრდებოდა მუსიკა, თუმცა შოპენი უყვარდა და სიამოვნებით იჯდა ხოლმე ამ დარბაზში.

გოგი ამხანაგის ნაქირავებ ოთახში უკვე მეორე საათია ელოდა ლიკას. სტუდქალაქში შეხვედრას ერიდებოდა, რადგან კომენდანტმა რაღაც დაყნოსა და მკაცრად გააფრთხილა.

ოთახი, სადაც გოგი ელოდა, ნესტიანი და ცივი იყო. როცა ლიკა შემოვიდა, გოგი ჩვეულებრივ არ შეჰგებებია, რეფლექტორს აკეთებდა, რომელსაც სპირალი გაწყვეტოდა.

— მთელი საათია, ამას ვეწვალები, — შესჩივლა გოგიმ, თითქოს ლიკა ამის გასაგებად იყო მოსული. — მოძებნე, გენაცვალე, ჭანჭიკი, საწოლისქვეშ შეგორდა. სპირალი თუ არ გავაკეთე — გავიყინებით.

ლიკა ღიმილით უყურებდა ყმაწვილს, მოსწონდა ასეთი შეხვედრა — ზომიერი, აუმღვრეველი. ეს უცნობი ნესტიანი ოთახი და სიცივეც კი ახარებდა, თითქოს აქ რაღაც განსაკუთრებული და მიმზიდველი საიდუმლოება სუფევდა, რაც ლიკას თავის გაჩახჩახებულ-გაკრიალებულ ბინაში არ ჰქონდა.

ლიკამ ჭანჭიკი იპოვა.

— ახლა ეგ ბრტყელტუჩა მომაწოდე.. ეგ არა, მეორე! მადლობთ, ჩემო ძვირფასო.. ხომ ხედავ; მავთული გაწვეტაზეა. მერე კი გახურდება, ო, როგორ გახურდება!.. — გოგიმ ამღვრეული თვალები ხარბად შეანათა და ლიკა მოწყვეტით დაეშვა სკამზე.

ოთახში გაყინული იყო ყველაფერი. წყალიც კი გაყინულიყო გრაფინში, რომელიც მაგიდაზე იდგა.

ლიკამ პალტოს კალთები მუხლებზე გადაიფარა. ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა გაშიშვლებულიყო ამ სიცივეში. კისერზე ბეწვის საყელო წამოიწია და მაგიდას კიდევ ერთხელ გახედა.

პურის ნამცეცები და ძეხვის კანი შენიშნა. ალბათ, გოგიმ ახლა შეჭამა. ბიჭს სქელი ჯემპრი ეცვა და პირიდან ორთქლი ამოსდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა ნამდვილად იმუშავებს! — გამარჯვებული სახით გამოაცხადა გოგიმ და რეფლექტორი ჩართო. სპირალს ცისფერი კვამლი აუვიდა და მერე შეწყვიტა ლაპლაპი. გადაიწვა. გოგიმ დაავლო რეფლექტორს ხელი და ოთახის კუთხეში მიაგდო.

— რა ვქნათ ახლა? — წაიბურტყუნა და დამნაშავესავით შეანათა თვალები ლიკას.

—აქ ძალიან ცივა. ჩემთან წავიდეთ.

— შენთან?!..

— წავიდეთ, რომ გეუბნები.

ლიკამ ეს უცებ გადაწყვიტა. ტაქსის ფული თვითონ გადაიხადა, ბარნოვის ქუჩაზე ერთ განათებულ სადარბაზოში გოგი შეიყვანა და თავისი ბინისაკენ გაუძღვა. როცა ლიკამ ჯიბიდან გასაღები ამოიღო, გოგის გულს მოეშვა.

— მაშ...

— ჰო, — თავი დაუქნია ლიკამ და გაუღიმა.

ბინაში სასიამოვნოდ თბილოდა. ბედნიერების შეგრძნება ისეთი ძლიერი იყო, რომ ლიკას ტირილი მოუნდა. მერე ორივე ხელი მოხვია გოგის და ხანგრძლივი კოცნით უპასუხა.

გოგი მაღაზიიდან გამოვიდა.

— ვახშმისათვის მინდოდა მეყიდა რამე, მაგრამ ყველაფერი დაუტაცნიათ.

— მანქანა შენია? — ჰკითხა ლიკამ.

— საბარგოზე მეკითხები? ჩემია. საღამოობით ვმუშაობ მძღოლად. რა ვქნა, სტიპენდია არ მყოფნის.

— მერე რამდენ ხანს იმუშავებ შოფრად? — ჩაიცინა ლიკამ.

— სანამ უნივერსიტეტს არ დავამთავრებ. თანაც, რომ იცოდე, ცოტას არ ვიღებ.

— ცოტას არ იღებ! ეგ გგონია მთავარი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხელმოკლე სტუდენტისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

— როგორ გითხრა...

— ქედმაღლობა არ გაკლია, — შენიშნა გოგიმ.

— დიახ, დიახ! — გაიცინა ლიკამ. — ვინც მომწონს, ინტელექტუალურად ჩემზე მაღლა უნდა იდგეს. ეს კი თურმე შოფრად მუშაობს და თანაც ამაყობს ამით.

— ინ-ტე-ლექ-ტუა-ლუ-რად! — დამარცვლა გოგიმ. — რა ძნელი სიტყვაა, ენას მოიტეხს კაცი.

ასფალტზე წაფენილ მტვერში წვიმის პირველმა წვეთებმა პაწია ორმოები ამოჭრა. ლიკამ ცერად გახედა ცას და თხელ წვიმას მისი ცივი ხმა გადაება.

— ჩემზე მაღლა იდგეს — ეს ნიშნავს: მეტი უნდა იყოს ყველაფრით. მე თუ ინსტიტუტს დავამთავრებ, ის ასპირანტი მაინც უნდა გახდეს. მე თუ..

— და როცა დოცენტი გახდები, მეგობარი, ალბათ, ქრისტე-ღმერთი გეყოლება?

— ეგ შენ არ გეხება.

— მაგრამ მე რომ შენს ინტელექტუალზე მეტი ვარ, ახლავე დაგიმტკიცებ!

— სიამოვნებით ვნახავ, — გამომწვევად უთხრა ლიკამ.

— შენმა ინტელექტუალმა თუ იცის, რა არის გადაბმის დისკო?

— დისკო... შენ, ალბათ, მაგნიტოფონის კასეტაზე მეკითხები? ამერიკულია? სახელს სწორად ამბობ?

— ახლა უფრო მარტივი შეკითხვა: რა არის დეტონაცია? არც ეს იცის. მაშინ სულ მარტივი: რისთვის არსებობს მაყუჩი?

ლიკა თვალებდაჭყეტილი იყურება. გოგი სიამოვნებისაგან იცინის.

— სულ არ შეგიძლია კულტურულ ქალიშვილთან თავის დაჭერა, — ამბობს ლიკა. — შეწყვიტე სულელური ხითხითი და ამიხსენი შენი რებუსი.

გოგი თავდახრილი დგას და მოწყალების თვალით შესცქერის.

წვიმამ მოუმატა,. ხელოსნები ბრეზენტის კარავს შეფარებიან.

— ჩაჯექი, თორემ გავიწუწებით, — ყვირის გოგი. — მარჯვენა კარი გაუღო, თვითონ შემოურბინა მანქანას და საჭესთან დაჯდა.

ლიკამ შუბლიდან წვიმის წვეთები მოიწმინდა.

გოგი მანქანაში ისე ზის, თითქოს შინ იყოს.

მარჯვენა ხელისგულით ნაზად ეფერება სიჩქარეთა გადამრთველს. მერე ხელსაწყოთა დაფას ათვალიერებს.

ლიკა ყურადღებით მისჩერებია გოგის ხელებს. ეს ხელები თითქოს სხვანაირი გახდნენ. ისინი ახლა დინჯი, მძიმე და ძლიერია. ქალიშვილი წინაღმდეგი არ იქნება მათ გვერდით თავისი ხელიც დადოს.

— იქნებ შენ გინდა გაიგო? — ჰკითხა გოგიმ. — რა არის გადაბმის დისკი? ან დეტონაცია? ან მაყუჩი?

— რა თქმა უნდა, — მიუგო ლიკამ. — მანქანაში ამიტომაც ჩავჯექი. დ ი დ ი ყურადღებით მოგისმენ.

— მაშ ასე: გადაბმის დისკი თანამედროვე ავტომობილში ძრავის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. მისი საშუალებით ხდება...

გოგი ელოდება, რომ ლიკა კვლავ ირონიულად დაიწყებს სიცილს, მაგრამ ქალიშვილი დუმს და ყურადღებით უსმენს.

წვიმა უკაკუნებს მანქანის სახურავზე და ქარსარიდ მინაზე მრავალ ნაკადულად იღვრება.

— მე კი სულ სხვა რამ მეგონა, — დამორცხვებული ამბობს ლიკა.

— ხედავ? მხოლოდ ძველი რომის და ბიზანტიის ისტორია კი არ ვიცი, ესენიც ზეპირად ვიცი, — თვალებს ამაყად აბრიალებს გოგი. — მეორე კლასის მძღოლის გამოცდა რისთვის ჩავაბარე?!

— არ [illegible] და[illegible]არა?

— წარმოიდგინე, რომ არავინ. ბიძა არა მყავს, რომ ჩაეწყო. ვისწავლე პატიოსნად.

— მაგას რატომ მიყვები? — წაიჩურჩულა ლიკამ და გაფითრდა.

წვიმამ გადაიღო, მაგრამ გოგი არ დაძრულა. მანქანის კაბინაში სიჩუმე და სითბო იყო. გვერდით მილიციის საპატრულო მანქანა გაჩერდა. ინსპექტორი მოახლოვდა და კაბინაში შეიხედა.

— აქ გაჩერება აკრძალულია, — თქვა ინსპექტორმა.

— მივდივარ, — მიუგო გოგიმ, გასაღები გადააბრუნა, პირველი სიჩქარე ჩართო და მსუბუქად დაძრა მანქანა.

— სად მიგიყვანო? — ჰკითხა ლიკას.

— შინ.

— შეიძლება ზედმეტი გითხარი, ლიკა, მაგრამ ვინმეს ხომ უნდა ვუთხრა.

— მაპატიე.

— კარგი ერთი, — გოგიმ დანამულ თმაზე ხელი გადაუსვა და გაუღიმა.

კულტურის სახლში მუშაობა ლიკას ჯოჯოხეთად გადაექცა. მაგიდაზე დახვავებულ ქაღალდებს პასუხი ესაჭიროებოდა, ზოგს ადრესატისათვის გადაცემა, ზოგს გამრავლება და თანამშრომლებში დარიგება, მაგრამ ლიკას არაფერი არ შეეძლო. ვეღარც რეკლამის სქემას აკოწიწებდა, აქამდე სახელდახელოდ რომ აკეთებდა ხოლმე. უბრალო ბარათის დაწერაც უჭირდა.

თავზე მეტი იყო, გოგი არ ენახა და ლამის გაგიჟებულიყო.

გოგი სტუდქალაქში დიდი ხანია აღარ ცხოვრობდა. ლიკამ შემოირბინა ყველა მისი ნაცნობი. ზოგი ეუბნებოდა, აკადემიური შვებულება აიღოო, ზოგი — რუსეთში წავიდა სამუშაოდო. რიგიანად არავინ არაფერი იცოდა.

ლიკა გრძნობდა, რომ გოგის კარგავდა. რაც უნდოდა, ხომ მიაღწია?! ახლა რატომ ნანობს?

ვინ იცის, მერამდენედ იგონებდა სკანდალს რესტორანში.

რატომ შეხვდა ასე ცუდად? რატომ გააღიზიანა? თვითონ თუ ასეთი კულტურულია, მიეწვია სუფრასთან, გაეცნო ხიტა. ქმარყოფილი ხომ მშვენივრად გაიგებდა ყველაფერს. ასეთი რამეები მას არ ეშლებოდა. ერთად ისადილებდნენ და არაფერი არ მოხდებოდა.

ახლა რა გამოვიდა, გაწირა გოგი და ვისთვის? ხიტასთვის, რომელიც არასოდეს არ ჰყვარებია.

— რამ აურია ასე ჭკუა-გონება? რა ბზიკმა უკბინა? ის რაღა იყო, ლაღიძის წყლებთან სილა რომ სტკიცა. პატარა ბიჭი ხომ არ არის! გინდა პატარაც იყოს. სილა?!

გოგი მართალია. მართალია იმიტომ, რომ არასოდეს არ ტყუის. არ დაგიდევს კორექტულობის წესებს, რომელიც ხშირად ლამაზად შეფუთული სიყალბეა.

მართლაც, რა აქვს საერთო ლიკას ხიტასთან? გაეყარა და მორჩა. რისთვის იყო საჭირო ეს საბედისწერო შეხვედრა რესტორანში?

„გოგის თავისუფლება უყვარს, იგი წმინდაა და პატიოსანი. ვერ მოატყუებ. ვერ დაადგამ იმ უღელს, რომელშიც მე ბავშვობიდან ვარ გაბმული", — დამწუხრებული ფიქრობდა ლიკა, კიცხავდა თავს და აღარ იცოდა თავისი დანაშაული როგორ გამოესყიდა.

ბოლოს და ბოლოს, ვინ არის გოგი? რა ნახა ამ ბიჭში მომხიბვლელი? ობოლია, ოჯახი არა აქვს, ხან ქირით ცხოვრობს და ხან ვიღაცასთან შეკედლებულია. ნიჭიერია? რად უნდა მისი ნიჭი თუ გოგი და ლიკა სხვადასხვა წრის შვილები არიან და, ალბათ, ასეც დარჩებიან ყოველთვის.

არა, გოგი ჩემია, მე ჩამოვქნი ისეთ კაცად, როგორც მინდა, — ფიქრობდა ლიკა. მერე თითქოს ყველაფერი მობეზრდებოდა, ხელს ჩაიქნევდა და უნდოდა დაევიწყებინა. მაგრამ რაც უფ-

რო მეტად ცდილობდა დაევიწყებინა გოგის სახე, მით უფრო ცხადად იკვეთებოდა იგი.

მიდიოდა დღეები და ამ წამებას არ უჩანდა დასასრული.

ერთ დღეს დარეკა ტელეფონმა.

ლიკამ ყურმილი აიღო.

უცნობმა ხმამ უთხრა:

— ლიკა ხართ? მე გოგის მეგობარი ვარ.

ლიკამ სული მოითქვა და ჰკითხა:

— სად არის გოგი?

— ჩემთან არის. სწრაფად უნდა მოხვიდეთ. ავად არის. ჩაიწერეთ მისამართი.

ლიკამ ჩაწერა და მხოლოდ ეს მოასწრო ეკითხა:

— სად არის ეგ ქუჩა?

— ნაძალადევში, — მოისმა და ხაზი გაწყდა.

ლიკა ქუჩაში გავარდა. აიყვანა ტაქსი და მისცა მძღოლს მისამართი. გაიარეს ვაგზლის მოედანი, მერე ხიდქვეშ გაძვრნენ, უკან მოიტოვეს ხუდადოვის ტყე. მძღოლმა ჯერ თბილისის ზღვისკენ აიღო გეზი, მერე კიოსკთან შეჩერდა, გამყიდველს შეეკითხა და ახლა ქვევით, ოქტომბრის ქუჩას დაჰყვა. იქიდან აუხვია ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ. ლიკამ იმედი დაკარგა, რომ როდისმე გააღწევდნენ ამ ვიწრო ქუჩების ლაბირინთს. ამ დროს მანქანა გაჩერდა, მძღოლმა სარკმლიდან თავი გაყო და ქუჩის ნომერს შეხედა.

— მოვსულვართ, — უთხრა ლიკას.

ერთსართულიანი, წაფერდებული სახლი იყო. ჭიშკართან ლიკამ ლანდი შენიშნა, რომელიც ტაქსის დანახვისთანავე მისკენ გამოეშურა.

— თქვენ დამირეკეთ? — ჰკითხა ლიკამ.

— მე დავრეკე, — მიუგო უცნობმა. — ტელეფონი გოგის უბის წიგნაკში ვნახე. ავად არის. მაღალი სიცხე აქვს. ექიმი არ მომაყვანინა.

ლიკა ბნელ ეზოში ძლივს მიდიოდა. რაღაცას ფეხი წამოჰკრა და იგრძნო, წვივები გაეზუნზლა გუბიდან ასხლეტილი ჩქეფით. ყურადღება არ მიუქცევია. გაიარა ტალანი და აშმორებულ ოთახში შევიდა.

ჭერზე სუსტი ნათურა ანათებდა. მის გვერდით ეკიდა ქაღალდის და გაჯის ნაფლეთები. იატაკზე სიგარეტის ნამწვი ეყარა. იქვე ეწყო ტალახიანი ფეხსაცმელი.

გოგი ნაცრისფერ ლეიბზე იწვა, კედლისკენ შებრუნებული. ლეიბს ქვეშ გაზეთები ეფინა და მისი ბოლოები აქეთ-იქით იყო გაშვერილი.

— გოგი! — დაუძახა ბიჭმა. — შენთან სტუმარია.

გოგი არ განძრეულა. ლიკამ ხელი მოჰკიდა.

— გოგი, მე ვარ!

გოგი ნელა გადმობრუნდა სინათლისაკენ.

შეშუპებული, ფერმკრთალი სახე, შეჯაგრული და ოფლიანი. თვალები წითლად უელავდა. უცებ ხველა აუვარდა. დახეთქილი ტუჩებით გრაფინს დაეწაფა. მერე მიხვდა, რომ ლიკა მართლა მოსულიყო და დაიყვირა:

— აქ საიდან გაჩნდი?! რა გინდა?

— გოგი, შენ ავად ხარ, — წაიჩურჩულა ლიკამ.

უცნობმა, რომელმაც ლიკა მოიყვანა, კარი გაიხურა.

— გინდა ავად რომ ვიყო, მაგრამ არა ვარ ავად! — დაიყვირა გოგიმ. — პირიქით, ძალიან კარგად ვარ. თუ წახვალ, უფრო კარგად გავხდები.

— არსადაც არ წავალ, — მტკიცედ თქვა ლიკამ. — მითხარი, რა დაგემართა და, საერთოდ, სად დაიკარგე?

— გულმოწყალე ყოფილხარ, ქალბატონო, — გაღიმება სცადა გოგიმ, — მაგრამ თავი დამანებე. იმასთან წადი...

— მომისმინე, გოგი, — მშვიდად უთხრა ლიკამ, — არ შეიძლება დარჩე ამ სილატაკეში: შენ დიპლომი გაქვს. სამსახურს იშოვი. დამიჯერე, წამოდი ჩემთან. დავივიწყოთ, რაც მოხდა.

— შენთან წამოვიდე?! — წამოჯდა გოგი და ხველა აუვარდა. — სად, გაკრიალებულ მდიდრულ სახლში? მადლობელი ვარ, ძვირფასო, მე ძალიან კარგად ვგრძნობ თავს ამ სიღატაკეში, — სული რომ მოითქვა, უფრო მტკიცედ განაგრძო: — აქ ვიცი, რომ არავინ დამაყვედრებს და არ დასცინებს ჩემს სიღარიბეს. ირგვლივ სულ ჩემნაირი ხალხია. ამათ შეიძლება არ იციან იმ ქუჩის „წესები“ სადაც შენ „გაიზარდე“, მაგრამ სიამაყე არ აკლიათ, — მერე უცებ მოეშვა და ხველებით, ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა: — ამქვეყნად ყველაზე მეტად ფარისევლობა მძულს...

— გოგის თვალები სისხლით აევსო. ხელით ანიშნა ლიკას ფანჯარა გაეღო, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა.

ლიკა მიეფერა.

— გოგი აქ დაიღუპები. მითხარი, რა გინდა გავაკეთო და მე ყველაფერზე თანახმა ვარ.

— არ მინდა თავი შემომწირო და მერე მთელი სიცოცხლე ინანო.

— ერთი გავიწყდება. მიყვარხარ. სიყვარულს კი ბევრის გაკეთება შეუძლია, — საცაა ატირდებოდა ლიკა.

—რომელ სიყვარულს? — ქმარყოფილთან კურკურს რომ არის დაჩვეული?

ლიკამ უმწეოდ მიმოიხედა. მერე უფრო დაუწია ხმას.

— დამიჯერე, ხიტა მხოლოდ ამხანაგია. შენ თუ გსურს — აღარ შევხვდები. კიდევ რა გინდა?

— ფიცს იმიტომ სდებენ, რომ მერე გატეხონ. ამაში არის რაღაც სიტკბო! ტკივილით გაიცინა გოგიმ.

— შენ მიყვარხარ, — გაიმეორა ლიკამ.

— გიყვარვარ? — სული მოითქვა გოგიმ. — როგორ გგონია, ერთი თვე ბერად ვიყავი შემდგარი? ამ უბანში არ არიან შენზე კარგი გოგოები? მართალია, იმათ პრეტენზია არა აქვთ შენნაირ კულტურულობაზე, სამაგიეროდ არ ტყუიან. ვერ წარმოიდგენ, რა კარგი გოგოები არიან...

—გაჩუმდი! — დაიკივლა ლიკამ.

— გეწყინა? — შეუბღვირა გოგიმ.

— შენ ახლა მოწყალება გალაპარაკებს და არა სიყვარული.

ლიკა უყურებდა გოგის და ტიროდა. მან კარგად იცოდა, გოგის მის მეტი არავინ ჰყავდა. ლიკა იყო ჰერი, სითბო, ჯავშანი და, ალბათ, მომავლის გარანტია. „უხეშია, ფიქრობდა ლიკა, — მაგრამ სულით ძლიერია. გოგი არ უნდა დავკარგო, გოგი ჩემი უნდა იყოს“, — ლიკა მიუახლოვდა, მუხლებით წაემხო ლეიბზე, გოგის მოეხვია და შეევედრა:

— მომკალი, გოგი! მიყვარხარ და მომკალი! ოღონდ ახლა წამოდი ჩემთან. მოგარჩენ, ფეხზე დაგაყენებ და მერე, თუ გინდა, მიმატოვე. ოღონდ ახლა წამოდი...

მაგიდა ფანჯარასთან იდგა, იქ, სადაც ნოხი თავდებოდა. ოფიციანტმა ბოთლები გახსნა და წავიდა. ლიკა და ხიტა ჩუმად სადილობდნენ.

უცებ ლიკას ლუკმა პირში გაეყინა. გოგი დაინახა, რომელიც მდუმარედ უახლოვდებოდა მათ მაგიდას.

ემჩნეოდა, თბილისის ყველა რესტორანი მოევლო, სანამ აქ მოაგნებდა. გაფითრებული სახე მოღრეცოდა, თვალები შეშლილივით უელავდა.

ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე.

ლიკას მზერაში იყო მუდარა — გოგი ახლავე წასულიყო.

ხიტა არ იცნობდა გოგის, ჯერ ლოთი ეგონა, ჰიქა ღვინოს რომ მათხოვრობენ, მერე ნარკომანი, რომელიც ფულის სათხოვნელად მოსულიყო.

— გამარჯობა, ლიკა! — თქვა ბოლოს გოგიმ, — შეიძლება თქვენს მაგიდასთან დავჯდე?

— არა! — მკვახედ მიახალა ლიკამ და ძლივს შეიკავა თავი, რომ არ დაეკივლა.

— რატომ, ჰირიმე? — გაუკვირდა გოგის. — ნუთუ ხელს შეგიშლი?

— ძალიან.

გოგის სახეზე ტყვიისფერმა გადაკ-

რა. იგი განწირულივით ქშინავდა, ზიზღით დაებერა ნესტოები, თუმცა არ იყურებოდა იმ მხარეს, სადაც ხიტა იჯდა.

— კულტურულ საზოგადოებაში, გენაცვალე, ახლად მოსულ სტუმარს წარადგენენ ხოლმე, — მოკუმული ტუჩებით გასცრა გოგიმ. — ასე მისწავლია შენგან, ძვირფასო ლიკა. — მერე ირონიულად ჩაიცინა და დაამატა: — როგორც ვატყობ, არა გსურს. ძალიან კარგი, მაშინ ამას მე თვითონ გავაკეთებ.

თეატრალურად დაიმანჭა და ხიტას წარუდგა:

— მე გოგი მქვია. შენი კი — ხიტა. შენ ლიკას ყოფილი ქმარი ბრძანდები. ასე არ არის? ხომ არ მეშლება? შენ ჩემს შესახებ არაფერი იცი, მე კი, სათნო ლიკამ ბევრი რამ მიამბო შენი კომერციული ტალანტის შესახებ. ამჟამად თქვენ გაყრილები ხართ, მაგრამ მეგობრობთ, რადგან კულტურული საზოგადოების წესები არ ეწინააღმდეგება ასეთ...

ლიკამ ცერად გახედა ხიტას. დრო იყო, ქმარყოფილს ხმა ამოეღო და ეს დაუპატიჟებელი სტუმარი გარეთ მიებრძანებინა. მაგრამ ხიტა მშვიდად იღიმებოდა, მაძღარი კაცის თვითდაჯერებით, რომელსაც ყველაფერი აქვს და ამგვარი წვრილმანი კინკლაობა ვერ გამოიყვანს წონასწორობიდან. ხიტა გოგის ყურადღებას რომ არ აქცევდა, ეს თავისებური შურისძიებაც იყო. ლიკა ხომ მარტოობას უჩიოდა...

— სხვათა შორის, ბატონო ხიტა, — მაღალფარდოვნად განაგრძო გოგიმ, — მე სწორედ ასე მყავდი წარმოდგენილი: კარგად ჩაცმული, მდიდარი და კმაყოფილი. გარეთ, ალბათ, „ვოლგა" დგას? ხომ ასე? ხომ არაფერი მეშლება? ვაკეში კერძო სახლი და წყნეთში აგარაკი. ლიკა, ძვირფასო, შენ მართლა შესცდი, მე როგორ შევედრები ამ... ამ...

ლიკა სირცხვილისა და მრისხანებისაგან ძლივს სუნთქავდა. თავს ზევით მხოლოდ იმიტომ არ იღებდა, რომ არ უნდოდა სკანდალის მაყურებლად მთელი რესტორანი შეყრილიყო. მერე ძალიან ჩუმად, მუდარით წაიჩურჩულა:

— გეყოფა, გოგი. წადი...

აქამდე გოგის თვალებში იყო თხოვნა და მწუხარება, თუმცა იგი მკვახედ ლაპარაკობდა. ლიკას სიტყვებზე აენთო და გაბრაზებულმა მიახალა:

— გუშინ დაგვავიწყდა შევთანხმებულიყავით, ძვირფასო, ამაღამ შენ მოხვალ თუ მე მოვიდე?

— გაეთრიე აქედან! — წაისისინა ლიკამ.

— კულტურულ საზოგადოებაში ასე არ ლაპარაკობენ, ქალბატონო.

გოგი ახლა უკვე მასხარად იგდებდა. ხიტამ ხმადაბლა გადაულაპარაკა ცოლყოფილს:

— გავიყვან და მივბეგვავ.

— არა! — წამოიძახა ლიკამ. — ეს ლაზღანდარა აქ სკანდალისათვის არის მოსული. არ მივანიჭებ ამ სიამოვნებას. მე თვითონ წავალ. ხიტა, არ გამაცილო. მერე დაგირეკავ.

რესტორანში უკვე ირონიულად იყურებოდნენ ამ მაგიდისაკენ და როგორც კი ლიკა წამოდგა, ოფიციანტმა მოირბინა. ჭურჭელს უფრთხილდებოდა, მაინცდამაინც მის მაგისათან დამსხდარ სტუმრებს ემართებოდათ ყველა უბედურება, ასეთი იღბალი ჰქონდა.

ლიკამ ამაყად გაიარა გრძელი დარბაზი, თუმცა ღაწვებზე ცრემლი ჰქონდა მოკიდებული. გრძნობდა, გოგი ფეხდაფეხ მოსდევდა.

უნდოდა ტაქსი გაეჩერებინა, ერთ წამს შეყოვნდა, მერე ფეხით გაუყვა გზას.

მიდიოდა ხმაგაკმენდილი, რათა ჩაეცხრო მრისხანება და სული მოეთქვა. ძლიერ უცემდა გული. რამდენიმე ნაცნობს თვალი მოარიდა. ახლა არავისთან არ უნდოდა შეხვედრა.

უცებ ლადიძის წყლებთან გზა გა-

დაუღობა ტურისტების დიდმა ჯგუფმა. რამდენიმე ტურისტი ფოტოაპარატს აჩხაკუნებდა. ამ დროს წამოუარა გოგიმ და წინ დაუდგა — ფეხებგაჩაჩხული და ხელებგაშლილი. ლიკა ისეთ რკალში მოექცა, რომ გაძრომა აღარ შეეძლო.

— დაიმახსოვრე, ძვირფასო, რომ მე არა ვარ იმდენად კულტურული, ქმარყოფილთან შენს კურკურს შევეგუო! — ძლივს ამოღერღა გოგიმ. — ნუთუ აქამდე ვერ გამიცანი?!

— ძალიან კარგად გაგიცანი, — ჩაიცინა ლიკამ. — შენ უხეში, უზრდელი და ხულიგანი ყოფილხარ! სულელიც ამავე დროს! შენი არაფერი არ არის წმინდა. სირცხვილის გრძნობაც დაგიკარგავს... მეზიზღები!

გოგიმ ხელი შეავლო. ლიკა დაუსხლტა.

— არ მომეკარო! მძულხარ!

და უცებ სილა სტკიცა. ისე ძლიერ, რომ მხარი ეტკინა.

გოგი დაიბნა, გაშეშდა.

უცხოელი ტურისტები უკეთესს რას ნახავდნენ: აზუზუნდა კინოკამერა, აჩხაკუნდა ფოტო.

საიდანღაც მილიციელის ქუდიც გამოჩნდა.

ლიკამ ისარგებლა საერთო ჩოჩქოლით და გაიქცა.

უფრო წინ გოგი მიდიოდა. იგი სამანქანო გზაზე ჩასულიყო და შემხვედრი ნაკადის საპირისპიროდ მიძუნძულებდა. მილიციელის სასტვენის ხმა ამაოდ მისდევდა უკან.

უცებ დიდი ავტობუსი გამოქანდა.

ლიკამ თვალები დახუჭა და დაიკივლა.

მერე ნელ-ნელა გაახილა თვალები. ქუჩა დაწყნარებულიყო. არ ჩანდა არც გოგი და არც უცხოელი ტურისტები.

●

ბიჭვინთაში წასვლაზე ლიკამ სასტიკი უარი განაცხადა.

არც გაგრა უნდოდა.

სოფლის მოედანზე რამდენიმე საბარგო და მსუბუქი მანქანა მოჩანდა. გზა ზედ მოედანთან თავდებოდა, იქ, სადაც საყვავილე იყო და დამჭკნარ მაგნოლიებს ყიდდნენ.

მოედნის შუაგულში ობელისკი იდგა, რომელსაც დაფა ჩამოვარდნოდა და ამიტომ არავინ იცოდა ობელისკი რისთვის იყო აღმართული.

ობელისკის გარშემო გრძელი სკამები ეწყო, ზოგი მწვანედ და ზოგი ლურჯად შეღებილი. შორიახლო სასადილო ჩანდა.

გოგი და ლიკა სასადილოში შევიდნენ. ყველა მაგიდა დაკავებული იყო. მიმტანი ქალი მათ მიუახლოვდა და საიდუმლოსავით გაანდო:

— აივანზე არის თავისუფალი მაგიდა.

აივნიდან ნაცრისფერი გზა მოჩანდა, რომელზეც ყვითელი ზოლი იყო გავლებული, შორს — მდინარე, ერთ ნაპირზე ტყე რომ მიუყვებოდა.

მერე მოვიდა ქალი და ანგარიში მოიტანა. გოგიმ ფული გადაიხადა.

ისინი ნელა გაუყვნენ ზღვის სანაპიროს. მწუხრი ეფინებოდა შემოგარენს. ზღვა მშვიდი იყო, ჰორიზონტის წითელი ზოლი ერწყმოდა ლურჯ სივრცეს.

საოცარი სიჩუმე იდგა, ისეთი, რომ ფრინველების ჟღურტულიც არ ისმოდა. გული უბაგუნებდა და მისი ხმა ფარავდა ყველაფერს.

„ისევ ერთად ვართ, — ფიქრობდა გოგი. — ყოველდღე ვეუბნები თავს, რომ ხვალიდან ახალ ცხოვრებას დავიწყებ, მაგრამ გათენდება და ისევ ძველებურად რჩება ყველაფერი. რას ველოდები? ან რას მიშლის ლიკა? ვინა მყავს მაგის მეტი, ჩემს ბუზღუნს რომ გაუძლებდა? რაზე ვიმტვრევ თავს? ჩვენ ე რ თ ა დ ვართ და ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავს. ერთად ყოფნაა მთავარი, დანარჩენი — მოვლენა“, — გოგი მიხვდა, რომ მიაგნო მარტივ, მაგრამ ყველაზე სწორ გადაწყვეტილებას. მიაგნო და იგრძნო მთელი გულით.

ახლა ეს ძაფი არ უნდა გაწყვეტილიყო, მას უნდა გაფრთხილებოდა თვალისჩინივით...

— მიყვარხარ, ლიკა, — უთხრა უცებ, მოსხლეტით და თვითონვე გაუკვირდა.

ლიკას თვალები გაუფართოვდა. კარგა ხანს იყო მდუმარედ.

— მეშინია, არ ვიცი რატომ, მაგრამ ძალიან მეშინია, — თქვა ბოლოს.

— იცი, რომელი საათია? — ჩურჩულით ჰკითხა ლიკამ. — შვიდი. ჩვენები საცაა მოვლენ. — ლიკა გამოძვრა საწოლიდან და ხალათი შემოიცვა.

— საით? — ჰკითხა გოგიმ.

— ქალაქში გავიაროთ.

რამდენიმე წუთის მერე გოგი სასტუმრო ოთახში იჯდა, ჩაცმული და თმადავარცხნილი. მოლუშული სახით იცქირებოდა აქეთ-იქით, სარჩულჩამოცმულ, ფართო, ბორბლებიან სავარძლების სიმძიმეს უფრთხოდა, შემინულ თაროებზე გამწკრივებულ უსაქმურა ნივთებს ათვალიერებდა — ჩინურ სპილოებს, იაპონურ თოჯინებს, სიფრიფანა ანტიკვარიატს, რომელსაც მხოლოდ შორიდან შეიძლება უცქირო და ირონიული ღიმილი არ შორდებოდა სახიდან. როიალზე რაღაც ნაქარგი შენიშნა და ხელი დაავლო.

— ქარგავ? — ჰკითხა ლიკას.

— რატომ გიშლის ნერვებს ჩემი ბინა და ხელსაქმე? — მზრუნველად მიეფერა ლიკა. — შენ ასაკში ყველაფერი უნდა გახარებდეს. შენ კი არაფერს არ სცნობ.

ტელეფონმა დარეკა. ლიკამ ყურმილი აიღო.

— დიახ... — თქვა გაურკვევლად. — კარგი. ყოველ შემთხვევაში...

გოგიმ მეორე აპარატის ყურმილი აიღო. ლიკა აწრიალდა.

„დღეს საღამოს არა გცალია?“ — ჰკითხა ლიკას ვაჟმა.

„დღეს ვერ შევძლებ“, — მიუგო ლიკამ.

„მაშინ როდის? ხვალ?“

„არ შემიძლია“.

გოგი თვალებანთებული მიჩერებოდა ლიკას. ლიკა ღელავდა, არეულად პასუხობდა. ხაზის მეორე ბოლოზე ვაჟი ამ მღელვარებას გრძნობდა, მაგრამ მიზეზი ვერ აეხსნა.

„კვირას შევხვდეთ“, — თქვა ბოლოს ლიკამ.

„იაპონიაში ვიყავი. კარგი საქონელი ჩამოვიტანეთ. ცოტას, ალბათ, მაღაზიებსაც მიუგდებენ“.

„მეჩქარება. ნახვამდის“, — ლიკამ ყურმილი დადო.

გოგი აღარ ილიმებოდა, სახეზე ნაცრისფერი ედო. მღელვარებისაგან დალაპარაკებას ვერ ახერხებდა.

— ვინ იყო? — ჰკითხა.

— ხიტა. ჩემი ყოფილი ქმარი.

— ქმარი გყავდა? რატომ არ მითხარი?

— ძველი ამბავია. არ ღირდა მოსაგონებლად.

— ჰო, წვრილმანია.

— თავის დროზე გეტყოდი.

— როდის? დაიყვირა გოგიმ.

— როცა ჩვენი სიყვარული მოკვდებოდა.

გოგის ყელი ამოუშრა. წყალი დალია.

— რატომ გირეკავს? რა უნდა?

— დარეკვას არ ვუკრძალავ.

— სად ხვდებით?

— ერთი რესტორანი უყვარს.

— რაზე საუბრობთ ხოლმე რესტორანში შენ და ბატონი ხიტა? — ჰკითხა გოგიმ მოჩვენებითი სიმშვიდით.

— საერთო ნაცნობებზე.

— რაღაცას გიუქნის, ალბათ? — ჩაიცინა გოგიმ და შემინულ კარადაზე ანიშნა.

— ყველაფერი შეგიძლია თქვა, — თავი დახარა ლიკამ. — მაგრამ დამიჯერე, შენს მეტი არავინ მიყვარს.

— თუ ასეა — გიკრძალავ იმ ვაჟართან შეხვედრას.

— შენ არა გაქვს აკრძალვის უფლება, — წყნარად თქვა ლიკამ.

ჯერ მათ არაფერზე არ ეკამათათ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკამ არ იცოდა ამ შეხლას როგორი ბოლო ექნებოდა. მას არ უნდოდა განხეთქილება გოგისთან. არჩია, ყველაფერი დაეთმო, ოღონდ გოგი არ დაეკარგა.

— როგორი იყო ბატონი ხიტა? — ყრუდ ჰკითხა გოგიმ.

ლიკამ არ უპასუხა. გოგიმ უხეშად ჩაავლო მხრებში ხელი.

— მოგწონდა ლოგინში? თუ მე უფრო კარგი ვარ?

ისევ დარეკა ტელეფონმა.

— ხიტა! — დაიბღავლა გოგიმ და ყურმილს ხელი დასტაცა. ქალის ლიკლიკი მოესმა. შეიგინა და ყურმილი ლიკას მიუგდო.

წინ მიმავალმა მანქანამ უცებ დაუკლო სისწრაფეს და გოგიმ მკვეთრად დაამუხრუჭა, მერე ფრთხილად აუარა გვერდი მარცხნიდან.

— შენ, ეი! არ იყურები? — მიაძახა ლიკამ და გახედა. — შტერია ვიღაც.

— თექვსმეტი წლისა ვიყავი, პირველად გოგო რომ შემიყვარდა, — განაგრძო გოგიმ თხრობა.

— არ მჯერა, როდისმე შენც თუ იყავი შეყვარებული.

ძრავი თანაბრად და ლონივრად ეწეოდა. გზას ორივე მხარეს ალვების სწორი მწკრივი მისდევდა... სუფთა ველზე შეუმჩნეველი, მწვანე ტალღები მოძრაობდა და ჰორიზონტისაკენ რბილად ეშვებოდა. ცხვრის პატარა ფარა ძოვდა ბალახს.

— აქ რატომ არ დაუთესიათ? — ჰკითხა გოგიმ უკან მჯდომ აგრონომს, რომელიც მათ მეგზურად ახლდათ, მაგრამ მთელი გზა სდუმდა და ქალაქელ სტუმრებთან რატომღაც საქციელწამხდარივით იყო. — წყაროსთვალში იმდენი მიწა გაქვთ, რომ დასათესს სტოვებთ?

— მიწას, ბატონო გოგი, დასვენება უნდა, — მკვეთრად და ხაზგასმულად დამარცვლა აგრონომმა.

— ამას, ალბათ, თავისი სახელიც აქვს? — ჰკითხა გოგიმ.

— მიძინებული მიწა ჰქვია.

— რა ლამაზი სახელი რქმევია, — წაიჩურჩულა ლიკამ, მერე გადაიწია და გოგის აკოცა.

უკანა სავარძელზე აგრონომი თავგვივით გაიყურსა, თავი სადღაც ჩამალა.

— ჩვენ მასპინძელს თავზარი დაეცი, — გაუღიმა, გოგიმ და აგრონომზე ანიშნა.

— საჭეს მოჰკიდე ხელი!

გოგი რაღაცაზე ფიქრობდა, სარკმლიდან შორს იყურებოდა.

მწვანე ველზე აუარებელი წითელი ყაყაჩო იყო. ლიკა მოჯადოებული ეფერებოდა ყაყაჩოებს.

— რამდენია! როგორ ღაღანებენ! მწვანე ბალახი როგორ უხდება!

სერპანტინი დაიწყო.. სწორი მონაკვეთი სულ უფრო იშვიათად ჩანდა. ახლა გზის ორივე მხარეს ბებერი წაბლის ხეები იდგა. აქ ჩრდილი მეტი იყო.

გოგიმ გადართო მესამე სიჩქარე, მოუმატა გაზს და ორ მოსახვევს შუა მძიმედ მიმავალ საბარგოს გაასწრო.

— დღეს რას ვაკეთებთ? — იკითხა ლიკამ.

— შენ პიონერხელმძღვანელებს ნახავ. მე ამ ამხანაგს გავყვები ფერმაში, — სარკეზე ანიშნა.

ლიკა დაიმანჭა.

— ქალებს საიდან მივუდგე?

—ქალებს ჯერ სიყვარულზე ესაუბრე და მერე შეაპარე, რაც გინდა, — თქვა გოგიმ.

— გგონია სიყვარულზე ყველას სიამოვნებს საუბარი?

— შენ ხარ გამონაკლისი.

— ვინ გითხრა?

— წაგებული ხარ! — გაეღიმა გოგის.

— მაგას არ გეუბნები. ეს ქალები მთის სოფლებში ცხოვრობენ და ბევრი რამ, რაც ჩვენთვის — ქალაქელებისათვის, საინტერესოა, მათთვის გროშ-

კაპიკად არა ღირს. ეს უნდა გაითვალისწინო ყოველთვის.

გოგიმ გაბრაზებით თქვა:

— განა არ დადგა დრო, რომ მთაშიც და ბარშიც გაიგონ, რა ხდება ქვეყანაზე?!

ლიკამ მაგნიტოფონს ხმა დაუწია და მერე ჩაფიქრებულმა მიუგო?

— გეთანხმები, მაგრამ ისიც ნუ დაგავიწყდება, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს.

— მოდი, ეს საკითხი შენს ხელმძღვანელობას შემოუნახე ანგარიშისათვის.

— სწორი გადაწყვეტილებაა. საჭეს მოჰკიდე ხელი!

გოგიმ საჭე გაასწორა და მერე განაგრძო ხმამაღლა ფიქრი.

— იცი, რა არის მთავარი? მთავარია, შევცვალოთ მთაში მცხოვრებთა პატრიარქალური აზროვნება. სანამ ამას არ შევცვლით, ცივილიზაციის ყველა სიკეთე მათთვის ნაძალადევად თავსმოხვეული იქნება და არათუ მადლობას არ გვეტყვიან, მტრულადაც მოეკიდებიან ყველა ჩვენ კეთილ წამოწყებას.

— როგორ ლამაზდები, როცა ასეთ ბრძნულ რჩევას იძლევი, — გაიცინა ლიკამ.

— დამეკარგე! — ხელი აუქნია გოგიმ.

— სამაგისო რა ვთქვი?

გოგიმ თავი დახარა.

— ნუ გაბრაზდები. შენ მშვენივრად იცი, რომ ჩემი რჩევა საერთო აზრია.

— ღვთის გულისათვის! — დაიწივლა ლიკამ. — ოღონდ ეგ არა თქვა — საერთო აზრი! საზოგადოებრივი ღირებულება!.. ყელში ამოვიდა ეს გაცვეთილი სიმღერა. საქმე საქმეზე რომ მიდგება, მაშინ კი მხრებს აიჩეჩავენ და თანაგრძნობით გაგიღიმებენ — ეს არის და ეს. ჩვენ აზრს მაშინ აქვს ფასი, როცა შედეგს ხედავ.

— მერე რა გამოდის აქედან? — მკაცრად თქვა გოგიმ.

— არაფერი, მაგრამ ამით თავის მშვენელობას მაინც არ კარგავს. მითხარი, რას დაემსგავსებოდა სამყარო, ქალებს ყველა ოცნება რომ ახდომოდეთ?

გოგის ხმა გაებზარა და მერე ძლივს ამოისუნთქა.

— ერთი მეორეს ხელს არ უშლის.

მანქანამ გრძელი მოსახვევი გაიარა და ისევ მესამე სიჩქარით განაგრძო გზა. გოგიმ სიგარეტს მოუკიდა.

— სჯობს, გავჩუმდე. ასე არ არის? — ჰკითხა სარკეში.

აგრონომი შეკრთა, თავი დააკანტურა და რაღაც წაილუღლუღა.

— რატომ? ვიკამათოთ! — გამომწვევად თქვა ლიკამ. — ცოცხალი აზრი სჯობს დამყაყებულ სიმშვიდეს. — კულტურას ყველა უნდა ეზიაროს.

— მე კულტურაზე არანაკლებ ადამიანის შინაგან წესრიგს ვცემ პატივს.

ლიკამ თავი გადასწია.

— აღარ მომიკიდებ? — უთხრა ისე, რომ პირიდან სიგარეტი არ გამოუღია.

გოგიმ სანთებელა აანთო. ლიკამ ღრმა ნაფაზი დაარტყა.

— როგორც ყოველთვის, აჭარბებ, ლიკა, — მშვიდად თქვა გოგიმ. — ამბობ უფრო პათეტიკურ სიტყვებს, ვიდრე საქმეს ესაჭიროება. სოფელში სიახლე უნდა შევიტანოთ! თანახმა ვარ. მაგრამ როგორ? ალბათ, იმით, რომ თავიდან ბოლომდე ვუთხრათ სიმართლე.

შემხვედრმა მანქანამ ისე დაუდევრად ჩაიქროლა, რომ გუბიდან ასხლეტილი წყლის შხეფი სალონში გაიფანტა.

— ხულიგანი! — დაადევნა ლიკამ.

— მთვრალი იქნებოდა, — გაამართლა აგრონომმა.

— დაუფიქრდით, მეგობრებო, — განაგრძო გოგიმ, — ახლა ჩვენ ერთი გზა დაგვრჩენია — სიმართლე, რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს იგი.

მანქანამ აღმართი აიარა, მკვეთრად მოუხვია მარცხნივ, მერე ლონიერი რკალი მოხაზა და ვაკეზე გავიდა.

წინ ჯერ დიდი გზა იდო.

## ბადრი გუგუშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გულგრილობა

დამივიწყებს სუყველა,
გულგრილობა სიყვარულივით მომხვევს ხელს
და გავუყვებით ღმერთებისგან მიტოვებულ ლაბირინთებს.
გულგრილობა ოდნავ თბილია,
მან არ იცის მგზნებარება,
თავისი დაბალი ტემპერამენტით
და ამ ტემპერამენტის საზღვრებში მოქცევის ვირტუოზულობით,
იგი მიმზიდველიც კია.
ასეთ დროს საოცრად მშვიდად ვგრძნობ თავს
და ფიქრები მტოვებენ,
სამყარო მთლიანად შემოდის ჩემში და მეუფლება
(ალბათ იმიტომ, რომ სამყაროც გულგრილია).
მე ვგრძნობ სივრცეს სრულ საზღვრებში.
ასეთ დროს: მე, სივრცე და გულგრილობა ვერთიანდებით
და ნეტარებას ვეძლევით.
ყველა დამივიწყებს,
გულგრილობა სიყვარულივით მომხვევს ხელს...

### სუფრა

მოუთმენლად ველით ხოლმე, როდის შევხვდებით ერთიმეორეს,
მაგრამ ყოველთვის როცა შევიკრიბებით,
ძველისძველი ნაცნობები — მარტოობა და მოწყენილობა
შეგვრჩება ხელში...

და ისღა გვრჩება,
ერთიმეორეს ერთმანეთით გავუმასპინძლდეთ;
მაგრამ ხორცის გემო არ გვყოფნის
და ერთმანეთის სულსაც გვინდა გამოვკრათ კბილი.

ამ სუფრაზე ჩვენ გვსურს ცხოვრების ყადრიც გავიგოთ,
ოფლით და სისხლით რომ იწონებს კომიკურ სახეს.

ო, ეს ცხოვრება, სუფრის თავზე რას არ დაგიდგამს,
ხონჩით რას არ შემოგთავაზებს.
მას სრულებით არა სცხვენია თავისივე ნამოქმედარის
და ყველაფერს შენ დაგაბრალებს, თუ არ შეძრწუნდი
და გაუსინჯე მორთმეულ კერძს ოდნავად გემო,
მოწყენილობის დასაფარავად.

ჰოდა, ხედავ, როგორ ვტკბებით ერთმანეთის მარტოობებით,
ამაოების სხვადასხვა კერძებს რომ ვაყოლებთ ხოლმე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სანთელი წარსულში

მოგონებები,
აი, ნანგრევი მთლიანობისა,
რომელიც უკვე გაილია შენი სხეულით.
სული დღეებში ნაწილდებოდა,
ვით ფუტკრის მიერ ატაცებული ნექტარი
ფიჭათა შორის.
დღეებიდან დღეებზე ჰქროდი უფლის ხელივით;
იქნებ ადამის მსგავსად შენც შეგეხო იგი,
რომელიც ახლა თითქოს ისვენებს,
წამის ტყვეობაში მიმოქცეულ შენს არსებაში.
სიმშვიდეს გფენს ამის შეგრძნება.
ერთმანეთზე დაფენილი მოგონებები
ლივლივებენ წარმოსახვის უვრცეს ეკრანზე.
სულს რა დაანგრევს,
ეს სხეულმა მოიხარა ქედი წუთის მახვილთა შორის.
სულს რა დაანგრევს,
ის ხომ ყოველთვის მდიდრდებოდა:
ადამიანთა სახეებით, ეკლესიათა ნანგრევებით
და მოყვასთა დასამარხავად ამოთხრილი ღრმა ორმოებით.
ო, რამდენ ორმოს დასცქეროდი, ო, რამდენ ორმოს,
თითქოს ზღვაში იძირებოდნენ
ტალღებთან ბრძოლით დაქანცული მეზღვაურები.
შენ კი დღეები გიბრალებდნენ,
როგორც მორწმუნე ქრისტიანებს საჰარის ქარი.
როგორ გიკვირდა იმ ორმოების,
ეკითხებოდი: ვის ასამარებთ — კაცსა თუ დღეებს,
დღეებს, რომელიც ამ კაცმა ნახა,
თუ კაცს, რომელმაც გზა დაკარგა დღეების ტყეში?
და ზარები ამოსთქვამდნენ ორად ორ სიტყვას:
კაცი, დღეები... დღეები, კაცი...
დღეები, სულთა ნაკვალევნი, არა ქრებიან —
გპასუხობდნენ სახეები მიცვალებულთა.
რამდენი სახე დაგინახავს წუთების ტევრში,
მერე შენით რომ დასამარდნენ მახსოვრობის თეთრ ორმოებში.
ო, იმ სახეებს რა აღადგენს, ნუთუ ეყოფი?!
იმ სახეებით მოქარგული შენი ხალიჩა წარსულში რჩება:
ხეები, გზები, სადგურები,
ქალის თბილი ტუჩები, ოდესღაც რომ შეგეხო ლაწვზე —
წარსულში რჩება.
დღეებს რა კვალავს, ვისი სანთელი?

ნუთუ დგას ვიღაც მომავალში?!

## ლია ჯაყელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ერთი ლაპარაკობდა,
მეორე არ უსმენდა,
თუმცა პირველს ეტყობოდა,
რასაც ამბობდა, ჭკვიანურს ამბობდა.
როცა პირველმა ყველაფერი თქვა და —
ასეა, ჩემო კარგოო,
მეორეს გვირილა გაახსენდა
იორნარევ მიწაზე გართხმული,
ქარმა რომ მაინც ათქმევინა,
თეთრი პერანგი ქუდბედივით
თან დამყვა, თორემ, ალბათ,
სხვა ფერს ავირჩევდიო.

### მეორე მხარე

როგორ შემიყვარე
ასეთი ლამაზი, ალტაცებული და
უდარდელი...

### ვიოლინო

ქარი — არ კეთილი,
კარი — დაკეტილი,
ჰგოდებს ვიოლინო
სასოწარკვეთილი...
თავზე, როგორც ძაძა,
ღამე მაფარია,
ღამე ჩემი სულის
ჩუმი საფარია.
მიხმობს ბედისწერა
თვალებანთებული,
მევე ჩემი კუბო
მხარზე გადებული
უსამართლობისთვის
გამიმეტებია...
ცრემლი არ იქნება,
წვიმის წვეთებია,
ლაწვებს რომ მიკოცნის
სურვილგაცვეთილი...
ზენამ დაასრულა
მწუხრის გაკვეთილი,
სეზამ, გამიღეო
კარი დაკეტილი...
ჰგოდებს ვიოლინო
სასოწარკვეთილი.

●

კოკტეილი ჰგონიათ...
სხვადასხვა ფერის ჩხირებს
წარმოდგენილ შუშის ფსკერზე
აფათურებენ —
წრუპავენ,
წრუპავენ...
დაბოლოს, როცა
ამოსაწრუპი აღარაფერი რჩება,
ფერადი ჩხირები აიკრიფებიან და
ახლა სხვაგან ჩაჰყოფენ ცხვირებს...
შენი და მისი ერთიანობა კი
სონორებიან მდინარეს ჰგავს
და იქნებ აქვს კიდეც
ფსკერიც, ნაპირიც,
მაგრამ,
აბა, მდინარესთან,
თუნდ პატარასთან,
კოკტეილის ჩხირი რა მოსატანია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

პირველი სიყვარულის და
პირველი ღალატის შემდეგ
დაპატარავდა სიტყვა „პირველი“,
დაპატარავდა და
როცა ეგონა,
სულაც გაქრა,
პირველი თოვლი შეეხო
მის დაშაშრულ ტუჩებს.

●

მიჰყვება, მისდევს თოვლიან კიბეს —
მაღლა და მაღლა თოვლი მატულობს.
(მხატვარი დაღლილს ასვენებს თითებს
თეთრ მოსასხამში ახვევს ნატურას.)
და ჰა, შეეხო ტერფებით მწვერვალს,
გადმოიხედა დაბლა ქოშინით...
და ერთი ლაქა შეაკვდა მზერას
ძირს დარჩენილი ძველი ქოშივით.

●

ეს ქალი მახსოვს...
სიცილით მახსოვს,
ცრემლებით მახსოვს,
სიმღერით მახსოვს
და ბზინვარე შავი თმით მახსოვს.
ამ ქალს
სიცილი ღიმილში,
ცრემლი და სიმღერა
ღიღინში გადაუღვრია
და შავ თმაში გარეულ ჭაღარას
ისე უმზერს,
როგორც პირმშოს
მძიმე მშობიარობის შემდეგ.

●

ვეძებ ყველაზე პატარა წერტილს...
აი, ვიპოვე!
ვითომ მართლა პატარაა ეს
ვარსკვლავი?
თქვენ კი მჩუქნიდით
ყველაზე ლამაზს,
გამორჩეულს და მოკაშკაშეს...
უმადურობად ნუ ჩამითვლით,
არც დედისერთა მთვარე მინდა,
არც ის სხვების თვალნაჭერი
დიდი ვარსკვლავი.

## გაზაფხულდა

დილით სარკესთან
ახალგაზრდა ქალს შეეფეთა —
შეცბუნებულმა შეიბნია
თალხის ღილები...
ქუჩის გადაღმა
თავაწყვეტით ჩერჩეტობდა
ქართან ტყემალი...

●

ისე დიდი ხარ,
ისე ძლიერი,
ისე ლაღად თესავ სიკეთეს,
რომ დუნიაზე ერთი კალთაც არ
გეგულება —
თავი ჩამოსდო და გაიყურსო.

გიორგი ხორგუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარად ქალწული თემიდა*

შეიყუარეთ სიმართლე...
რამეთუ სიმართლე მარადის უკვდავ არს...

წიგნი სიბრძნისა.

## ჩემი სამზერი

— ტ ა რ ი ე ლ  დ ე ვ ი ძ ე გახლავართ! — მოსვლისთანავე მომეთამამა.

„რა სცხია ტარიელისა ამ დალოცვილს, ან ამ გვარის ქვეშ რაზე კვნესის!“ — უნებლიედ გავივლე გუნებაში და ერთხელ კიდევ შევათვალიერე ეს ცქნაფა, დალეული, თმაშეჭირხლული კაცი, შელერებული ბიჭივით რომ პეწენიკობდა.

თითქოს მიმიხვდაო, თვითონვე გაიკენწლა თავი:

—სად არის სამართალი, მე ტ ა რ ი ე ლ ი უნდა მერქვას, თანაც დ ე ვ ი ძ ე ვიყო და „მოდი-მნახეს“ დახლიდარს პ ა წ კ ო  წ რ უ წ უ ნ ა შ ვ ი ლ ი, სპილოსავით რომ ზნაქაზნუქობს ის ჩემი ცოდვით სავსე?! თვრამეტი ჩემხელა გამოიჭრება. რომ მოინდომოს, ნეკზე შემისკუპებს და არღნის ჩიტივით მათამაშებს... მეორე სახელიცა მქვიან, მეორე კი არა, პირველი უფროა: ბ ი რ ი ლ ე ს ა ც მეძახიან, იცით, რატომ? ჩვენს სოფელში ერთ კაცს ერქვა ბირილე, დალეული იყო, უშვილძირო, ციცქნაა, არ იტყოდით, მაგრამ არც უმისობა ეთქმოდა. დიახ, ტანმორჩილი იყო, გამხდარი, გაროკნილი, ცქმუტი, გრძელცხვირა, ენაც კარგა დაეგრძელებინა, ერთთავად არაკუნებდა წისქვილის სარეკელასავით, ცოტა ჭკუამხიარულიც გახლდათ ჩემსავით, რატომღაც იმას მიმამსგავსეს ტანითაც და ქცევა-მარიფათიანობითაც და ჩვენი უბნის ბიჭებმა, უფრორე იმათ, ვინც ჩემგან დავალებული ბრძანდებოდნენ მეტსახელების შერქმევის გამო, ამითღა ამოიყარეს ჯავრი, — ბირილედ მომნათლეს, ალი-ქვალი ბირილე ხარო.

„კარგი უქნიათ!“ — გავიფიქრე.

ის კი თავისას მისდევდა.

— რაკი ერთმა დამიძახა, სხვებსაც ჭკუაში დაუჯდათ, უფრორე იმათ, ვისაც გული ეფხანებოდათ ჩემზე, და დიდი და პატარა ბირილეს მეძახის დღესაც. ტარიელ დევიძე რომ იკითხოთ სოფელში, უთუოდ მხრებს აიჩეჩენ: ეგეთ ვინმეს არ ვიცნობთო, სხვები რა გავამტყუნო, ჩემიანებიც ბირილეს მეძახიან. მამაჩემს რომ გავაბრაზებდი ხოლმე ჩემი სიკერპით უფრო, ჯავრის ამოსაყრელად წამოიძახებდა: ჰაი, შე ბირილეს შაქნილო, შენაო!

დედაჩემი მაშინვე პირში ეცემოდა, მაგ არდასაცალებლის გულისათვის მე რაღასა მლანძღავო, მაგრამ თავადაც ბევრჯერ წამოუძახია:

„ეე, ბირილეს კანჭო, რატო არ წამიწდები წყალზედა, რამდენჯერ უნდა დამაყვირო!“ და თუ კიდევ არ შევიბერტყავდი ყურებსა, „მიწაში დასაბინავებელსაც“ გამხდიდა და „პირქვე დასამარხსაც“. რა თქმა უნდა, ენა მწყევლიდა, ძუძუები კი მლოცავდნენ.

ღიმილს ძლივს ვიოკებდი.

— მგონი ფიქრობთ, ეს ვილას დაკარგვიაო, მაგრამ კარგად რომ გამიც-

* თავები რომანიდან.

ნობთ, თუ ეს ბედნიერება მეღირსა, არ ინანებთ. მერე თქვენი გულვა რომ გამიგია... არგასაშვები ვარ... ხელიდან. — და უცნაურად შემომკრიჭინა.

კვლავ ცნობისმოყვარედ შევათვალიერე.

— ჰო, ჰო, ნუ გაიკვირვებთ, მართლა არგასაშვები ვარ, რო გაიგებთ, რაზეც გეახელით, არ გამიწყრებით.

ეხლა კი გაკვირვებით შევხედე. „ეს ცოტა რაღაც..." — კვლავ გავივლე გულში, მაგრამ ენაზე კბილი დავიჭირე, ნაადრევად, ცოდო არა ვთქვა-მეთქი. მან კი, თითქოს ახლაც მიმიხვდაო, თავისებურად მიაყოლა:

— ეს კაცი ნამდვილად ჭკუაშემღერებული იქნებაო... ჰო, ვხვდები ეგრე ფიქრობთ, მაგრამ ეგრე არ არის საქმე... უნდა გამოგიტყდეთ, ცოტა გადაკრულშიც გახლავართ და იმიტომაც გეთამამებით... სანამ აქ მოვიდოდი, ერთი ნახვის ნატრული ნაცნობი შემხვდა, აღარ მომეშვა, ხუთიოდე ჭიქით მივესიყვარულეთ ერთმანეთსა და... იმიტომაც ვჭიკჭიკებ, მაგრამ ისეთი არ გეგონოთ, თქვენ რომ გაიფიქრეთ... იქნება ასე სჯობია, გული გავითამამე, თორემ შეიძლება სულაც ვერ მომებედა მოსვლა.

— რამ შეგაწუხათ?

— ისეთმა არაფერმა... თქვენი ნახვა მინდოდა... შორიდან კი გიცნობთ, ნაწერებით უფრო, მაგრამ... მაგაზე მერე... ეხლა კი... აი, ამისი გულისთვის გეახელით... — და ხაკის ჩანთიდან ამოიღო კარგა მოგრძო ხანჯალი, მოვერცხლილ-მოსევადებული.

გამოვართვი და დაკვირვებით შევათვალიერე. თვალები ზედ დამრჩა.

— გამოგადგებათ?

— „გამოგადგებათ" რას მიქვიან... — სიხარული ვერ დავმალე. — ვისი ნაქონია?

— მამის პაპის-პაპისა.

— რამდენს ითხოვთ?

— უი, როგორ გეკადრებათ... არც კაპიკსა...

დაკვირვებით ავხედ-დავხედე — ღმერთო, შეგცოდე და, ესეც გავიფიქრე: ნაღდად რაღაცა ჩაუძირია გულში, ეხლა თუ არა, მერე მაინც დამისაჭიროებს. ან ლექსებს უღიტინებენ და რედაქციებისკენ გამიძღოლებს ან თავკაცებთან მიმაგზავნის რაიმეს მოსაკვარახჭინებლად.

— ვიცი, ეჭვის თვალი გაგეხილათ გულში, მაგრამ მე ის კაცი არ გეგონოთ, მამა-პაპის სახსოვარს კი არა, სინდისსაც რომ გაჰყიდის.

— სასიამოვნოა თქვენი მსჯელობა.

— გულახდილად რომ გითხრათ, კარგა ხანია მწადია თქვენი გაცნობა. თუ თქვენმა გულმა მიმიღო, ხო რა კარგი! მერე დარწმუნდებით, რომ მართლა არგასაშვები ვყოფილვარ. თუ არა და, ეს ხანჯალი მაინც მიიღეთ სამუზეუმოდ, შემოწირული ჩვენი წინაპრების პატივისცემელისაგან. ათ კაცსაც რომ ჩაუყენოს გულში ნათელი, თუნდა ჩემი სიკვდილის მერეცა, მეც გამინათლდება სული.

— ათს კი არა, უთვალავ მნახველს გაუმხიარულებს გუნებასა.

— ჰო, ვინ იცის, რა კეთილი გრძნობანი და ფიქრნი აღძრავს გულგაურყვნელი ყმაწვილების გულში მაინცა და, მაშინ მეც თამამად შემეძლება საიქიოში საქმე აღვძრა იმათ მიმართ, ვინც დიდი ხანია ფეხებზე დაიკიდეს ხანჯალიცა და მისი სიმართლისათვის მომხმარებელიცა... ვგონებ, თვალსაჩინო ჩანს.

— უდავოდ... ხანჯლები ბევრი გვაქვს მუზეუმში, მაგრამ ამნაირი არ მეგულება.

— თავგადასავალი უფრო ყურსახარბი აქვს.

ყური მოვიძაბრე.

— მაგ ხანჯლის წვერზე აცმულია ერთი უცხო თესლი.

— ვინ?!

— აბა, ქარქაშს დააკვირდით საყუესთან!

დავაბღვერდი და თვალები გამიბრწყინდა, როცა მზერა ვკიდე მინიატურულ მონახატს, გამადიდებელი მინა

მოვიმარჯვე და უფრო ნათელი გახდა: საყდრის გვერდით ორი კაცი ებრძვის ერთმანეთს: ნაბდისქუდოსანს მოუმარჯვებია ხანჯალი და გულში ჩაცემას უპირებს ჩალმოსანს, შიშისაგან რომ უკან გადალმერთილა. მონაკაწრ-მონახატი საოცარი ოსტატობით იყო შესრულებული, ეკლესიაც შტრიხებით იყო გამოსახული, თავისი სარკმლითურთ, ლორფინოზე პატარა ბუჩქი მოჩანდა, მებრძოლნიც უწვრილესი ნაკაწრით იყვნენ გადახატულნი. აქაც დარღვეული იყო გეომეტრიული თუ ანატომიური პროპორცია-კანონები, შინაგანი განცდა-მღელვარების მინიშნება-წარმოსახვაც მოეხერხებინა, ნაბდისქუდოსანს მრისხანებით დაელო პირი, ალბათ, თან დაჰკიოდა რაღაცას, ხანჯალიც ღონივრად დაექნია, თითქოს კუნთიც კი უთახთახებდა. სასიკვდილოდ განწირულ ჩალმოსანს შიში მოუჩანდა გადმოკარკლულ თვალებშიც და უზომოდ დაღებულ პირშიც. ჰო, დავყურებდი და მიკვირდა, როგორ მოეხერხებინა უცნობ მხატვარს რაღაც დიდისმთხრობელი ამბის მოხატვა-მოკაწვრა ამ გოჯისტოლა ადგილზე, თანაც ასე თვალსაამო რომ ყოფილიყო.

— რა ამბავია გამოსახული? — ვკითხე კაი ხნის დუმილის მერე.

— ქართველი გლეხი ლახვარს სცემს ყიზილბაშს, ეკლესიას რო უნგრევდა.

— სინამდვილეა, თუ...

— სინამდვილეა და როგორი! ეგ ნაბდისქუდოსანი მამაჩემის პაპის-პაპაა, წ ყ ა ლ ო ბ ა. ეგ ხანჯალი, წეღანაც ხო ვთქვი, მისი ნაქონია, ქარქაში კი იმ ამბის მერე გაკეთებული საგანგებოდ. ჩვენებურივე კაცის ნახელავია იმ ჩემი წინაპრის გულის მურაზითა.

— მაინც რა მომხდარა?!

— ეხლა ვერ გეტყვით, ბოლოში მომიხდია, ხო გითხარით, ნაყლაპი ვარ-მეთქი და ენაც მერევა, დალაგებულად ვერ მოგიყვებით, ცოდოა ამ მშვენიერი ამბის აბდაუბდა მოყოლა, სხვა დროს მოგითხრობთ. თუ ღმერთმა ჩემკენ გადმოიხედა და თქვენთან ურთიერთობის ღირსი გამოვდექი, ბევრ სახარბიელო ამბავს მოგიყვებით [illegible] მარტო მე რაც გადამხდენია, ის გეყოფათ კაი ხნის საწერად. ახლა სხვებისა რომ ვიცი?! მართალია, ბირილეს მეძახიან, ენაულაგამოსაც, მაგრამ ისეთი კი არა ვარ, ჩემი გაცლა ინატროთ. სხვებისაც მეჯავრება უაზრო ლაქლაქი და ფუტურო სიტყვების ხანხალი.

მართლა ენაულაგმო გამოდგა ბირილე. მაგრამ ზურგშესაქცევი კაცი არა ჩანდა. ეგრე შევატყვე, რაღაცა გულის სითბოს გამოსცემდა. მარწმუნებელი სიტყვა მოუდიოდა, სათქმელის გაზვიადება და, ვგონებ, გასენსაციურებაც კი უყვარდა, მაგრამ ყური ითმენდა და ხალისობდა კიდეც. ვატყობდი, შიგადაშიგ წატრაბახებაც სჩვეოდა, მეტადრე მაშინ, ალბათ, როცა „დალოცვილით“ იყო შეხალისებული და შქუაშემღერებული. „მართალია, დიდი ნასწავლი არა ვარ, მაგრამ...“ ამ სიტყვებს მაშინ უფრო დაატანდა, სახარბიელო სათქმელს რომ მიუახლოვებდა.

— გესწავლა, დალოცვილო!..

— ეჰ, რა ვიცი, მეც მაგას არ ვეკითხები ჩემს უჭკუო თავსა?

— ნიჭმა ხომ არ გიმტყუნა?

— არა, ჩემ ნიჭთან დასამდური არავისა ჰქონდა, თუ მოვინდომებდი, მაგრამა...

— მშობლები ხომ არ...

— არა, ცოდო როგორია ვთქვა, ღარიბ-ღატაკები იყვნენ, მაგრამ ეგ სიმდიდრე მაინცა ჰქონდათ, რომ ცოდნის წყაროსთან მივეგდე მოწყურებული ხბოსავითა. წიგნის წყურვილიც დედაჩემმა გამიჩინა, პირველად იმან დამიდო წინ „დედაენა“ — ქართველი ყმაწვილის „ვეფხისტყაოსანი“, ჩამომიჯდებოდა და: „აი ია“ დამიმარცვლიდა და იასავით სურნელს გამოსცემდა დედაჩემიც და თვითონ წიგნის ფურცელიც, ლურჯთვალა ია რომ ეხატა. „ეს არის თი-თი“, თვითონაც გააყოლებდა დალანჩებულ თითებს, ძროხის ძუძუების სრესვით რომ ჰქონდა დაჯირჯირვებულ-დაგრძელებული დილა-საღამოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წველითა, გაადევნებდა და მეც გამაყოლებინებდა სალოკ თითსა. მარტო „დედა-ენას“ კი არა, სხვა წიგნებსაც მომაჩეჩებდა ხელში და დამახარბებდა კიდეც.

— მამა?

— არც მამაჩემზე მეთქმის სამდურავი, უსწავლელი კაცი იყო, ნახევრადაც ვერც კი წერდა თავის გვარსა, მაგრამ გულის შიგნიდან იცოდა წიგნის ყადრი. „ჰაი, დედასა, მე რომ სამი კლასი მაინც დამემთავრებინა, კაცი ვიქნებოდი“ — მეტყოდა ხოლმე, ღვინით რომ შექეიფინდებოდა, — წინათ იყო ისეთი დრო, თორემა... ეხლა რო სახრით დაგდევენ, გინდა თუ არა, ისწავლეო, ეგრე კი არ გახლდათ უწინა... კაცი მაშინა ხარ, აქ რო მოიგროვებ, აქა, აი!“ — შუბლზე დაიჭერდა ხოლმე სალოკ თითსა. დაწყებითში ფრენაფრენით ვსწავლობდი. მერე კი... სიზარმაცე რომ დამძალავდა და გაბრაზებულ „ორიანს“ დამაკერებდნენ, გაცეცხლებული მამაჩემი ისეთს შემომილაწუნებდა, რომ ცა გამიწითლდებოდა. „შე შობელძაღლო (ხან ყურში არჩასაშვებ სიტყვასაც მესროდა „ძაღლოს“ სანაცვლოდ), ან შინ რაზე მიცდები, ან გარეთაო. მაგას არ მაკმარებდა, ან საბარად გამაგდებდა, ან სათოხნავადა. ამომიყენებდა გვერდში და ცას აღარ დამანახვებდა. მისავათებული რომ მივეგდებოდი, ნიშნის მოგებით მომაძახებდა: „არ გინდა წიგნი და გეჭიროს ფუთიანი თოხი!“ მაშინვე თუ ვერ ვიღებდი ყურადა, მერე მაინც დავუხმობდი ჭკუასა, ნიშანს ავუწევდი ცხარე სილის, მწარე სიტყვისა და ფუთიანი თოხის შიშით უფრო. დედაჩემზე ადრე მამაჩემს ვახარებდი „კარგსა“ და „ფრიადსაც“ კი. ისიც ღიმილად დადნებოდა, გადამხვევდა ხელსა და მოსაფერებლად ამომიჩრიდა იღლიაში, საალერსოდ გადამისვამდა იმ დახეთქილ ხელსა და ჩემს გასაგონად უფრო მიმართავდა დედაჩემსა: „ეს რა ბიჭი გვეზრდება, კაცოო, რაც ჩვენს მამაპაპას დააკლდა, სულ ამან უნდა შეასრულოს... ვენაცვალე ამასა, შავარდენივით ბიჭია, შავარდენივითაა! დახე როგორი „ფრიადებით“ მოფრინავს... ეგრე, ჩემო ბირილე, ეგრე! ისეთი დიდი კაცი უნდა გამოხვიდე, რომ მტერს დედა ვუტიროთ და მოყვარეს გული გავუხაროთ!“

როგორ დიდი კაცი-მეთქი.

— როგორა, შე შობლის ნაშობო და, რა ვი, ან მილიციის უფროსი გამოდი, ან გამომძიებელი, ან მოსამართლე, ანდა სულაც რაიკომის მდივანი. სუ რო სხვები არ ისხდნენ, ერთი ჩემიც დაჯდეს ვინმე სამლოცველო ადგილზე, რო სუ ნათელი აფრქვიოს დაბლა...

დედაჩემს ყურს ეჩოთირებოდა ეს თანამდებობანიც და თვითონ ხორკლიანი ნათქვამიცა და თავისებურად შეუწყრებოდა:

— რაღა მაგ სადავიდარაბო რამეებს ჩასჩიჩინებ, ექიმი გამოვიდეს, რომ ჩვენს ჯანსაც უპატრონოს, თავის თავსაცა და სხვაცა ლოცულობდეს მაგისთვის დანთებულ სანთელზე.

— ვხუმრობ, თორემა, თანამდებობანი მაინცდამაინც არ მეჭაშნიკება. თუ კაცად არ ვარგიხარ, გინდა ხელმწიფის ტახტზე დაჯდე, კაპიკია შენი ფასი თუ სიყვარულს ვერ დათესავ, თუ ხალხს არ უყვარხარ, გინდა გივლია ამ ქვეყანაზე, გინდა არა, მთავარი ეგ არი-მეთქი, კაცი გამოვიდეს, კაცი. კაცი კი ოფლსა და წიგნს გამოჰყავს.

მშობლები ხომ ეგრე მაძალებდნენ წიგნსა, მასწავლებლებიც თავს დამქათქათებდნენ. ტრაბახით არ ვიტყვი, ნიჭიც არ მაკლდა, მთესველის სიტყვას არ დაკარგავდა ჩემი ყური, მაგრამ სწორედ იმ ყურს ყოველდღე მიგრძელებდნენ მაღლა-მაღლა წევითა, უფრორე იმის გამო, რომ შემეძლო და არა ვსწავლობდი. ეს ხომ ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ, ნიჭიერებს მეორე ნიჭიც აქვთ — ზარმაცობის ნიჭი, მე კი მესამეც მალე გამოვამჟღავნე, მესამედ კი არა, პირველად მექცა — სიყვარულის ნიჭი...

— სიყვარულის ნიჭი?

— კი, სიყვარულის ნიჭი... ამაზეც მერე გიამბობთ, ეხლა კი... — უცებ შეყოვნდა. — ერთი სიტყვით, ნაადრევად მოვლენილმა სიყვარულის ნიჭმა ორივეს, მეცა და ჩემკლასელ სათაყვანებელსაც, მგონი, სამუდამოდ გაგვიფრთხო სწავლის ნიჭი. ასეა თუ ისე, წითელი დიპლომის მაგიერ შოფრის წიგნაკი და სანადირო თოფიღა შემომრჩა, ეჰ, ჩემს სულსწასულობას რა ვუთხრა, თორემა... რო მესწავლა, ცხოვრებაში კაცს არ წავიყენებდი წინა, ჩემს თავსაც მეტს ვარგებდი და ქვეყანასაცა.

„ნასწავლი არა ვარო, მაგრამ წიგნებს მაინც არ გასწყრომოდა. თავიც მოიბრძენა: უწიგნო ცხოვრება რა სიცოცხლეაო, წაიხუმრა კიდეც. მამაჩემს ქულუკანა მჭადი ჰქონდა ხელიდან გაუგდებელი, მე — წიგნიო. ხანდახან ისე გამიტაცებს ხოლმე, ჭამასაც მავიწყებს და იმიტომაც არის, ყურებში შუქი გამდის და ნეკნებიც დამეთვლებაო. უფრო ისტორიულ საკითხავს ეტანებოდა. როგორ ულრმავდებოდა, მაგაზე ვერ დავენამუსები, მაგრამ დიდ სიამოვნებას რომ ჰგვრიდა, თვალებშიც ამოიცნობოდა.

მართლა არგასაშვები გამოდგა. მეც მივეგულთბილე, უფრო გათამამდა, სამსახურშიც გამიშინაურდა და შინაც მომეჩვია. რაღაც საბაბ-მიზეზით მოვიდოდა, ჯერ იმას იტყოდა, მერე გულში ნაბრუნებისკენ გადაღმერთავდა სათქმელსა, მოვიდოდა და თავისებურ ნობათს მოიყოლებდა. ხან სიტყვას გაუხელდა თვალსა. ხან ძველ ნივთს გამოაჩენდა, სულ რომ უმნიშვნელო გამომდგარიყო, მაინც მოვუწონებდი და უხაროდა, საყურადღებოზე ხომ პატარა ბავშვივით აცმუკდებოდა.

დიახ, ყველას გვსიამოვნებდა ბირილეს მოსვლა. მოვიდოდა და მცირეოდენი ნობათით მაინც გაგვახარებდა. თუ ნივთიერს არას მოიტანდა, ყურმოსაკიდ სასაუბროს მაინც მოიყოლებდა.

იმ დღისითაც იმედიანი ღიმილით შემოაღო კარი.

უამბოდ არ გაირჯებოდით-მეთქი.

ისეთით ვერაფრით გაგახარებთო, მაგრამ...

— მაინც?!

უცნობი კაცის მემუარები მოგიტანეთო და კარგა სქელი საქაღალდე დამიდო მაგიდაზე.

„აჰა, მიმართლებს გუმანი — ამდენ ნობათს, მათ შორის უძვირფასეს ხანჯალს, ტყუილ-უბრალოდ არ გამოიმეტებდა. და თავსაც ისე არ მოგვაჩვევდა, რაიმე მიზანი რომ არა ჰქონოდა. ხო ვიგულისხმე შემოქმედების ჭია აწვალებს-მეთქი, უცნობი კაცისას არქმევს, მაგრამ თავისი ნაწერი იქნება, — გავიფიქრე და:

— ვისია?

— ჩემსავით უბრალო და ჩემსავით უსწავლელი კაცისაა.

უნდომანდოდ წავატანე ხელი.

გარეკანს დიდი ასოებით ეწერა ს ი ნ დ-ი ს ი ა ნ ი, კი არ ეწერა, ფერად-ფერადად ეხატა.

ფსევდონიმი იქნება-მეთქი.

კიო.

„სინდ-ისიანი“, — გავიმეორე ჩემთვის და უფრო დაკვირვებით დავხედე თვალმიმპყრობ ნახატს. ფსევდონიმის პირველი ასო „ს“ მთავრულივით იყო გადიდებული და შიგ შავ ფერად ჩახატული იყო ხნიერი ადამიანის თავი, რომელსაც ღრმად ჩაფიქრებული კაცის იერი დაჰკრავდა. შუბლზე ასხმოდა ხშირი ნაოჭები, ხშირსავე ულვაშებში ამოიცნობოდა ავტორის მოჭარბებული სინდისიერება, რამეთუ უწინ ულვაშის ღერი სინდისის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. თავისებურ სიმბოლოდვე მომეჩვენა აგრეთვე თავზე დახურული დიდი, ბოხოხა ქუდი — იგივე ნამუსის ქუდი. იგივენაირად მოხატული, მაგრამ მასზე მოგრძო ასოებით ეწერ-ეხატა წიგნის სათაური:

ჩემი სამზერი,

რომელსაც ეპიგრაფად ჰქონდა წამძღვარებული:

> ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან.
>
> ილია ჭავჭავაძე.

აქ კი ასომთავრობდა მარტო პირველის კი არა, მომდევნო სიტყვის პირველი ასოც. „ჩ“-ში მინიატურულად იყო ჩახატული მოხრილი, კისერ წაგრძელებული კაცი, რომელსაც ფართოდ გახელილი თვალი მიეახლოვებინა კარის ჭუჭრუტანასთან და დიდი გულმოდგინებით იჭყიტებოდა. მომდევნო ასოების თავზე მოჩანდა ბარიანმთიანი ხმელეთი, მის მიღმა კი დახატული იყო უსასრულო ცა, რაშიც, ჩემი მიხვედრილობით, ავტორი გულისხმობდა სივრცესა და დროს მთლიანობაში, „ჭ“-ში ჩაუხატიათ გაფრენილ ცხენზე ამხედრებული კაცი, რომელიც სადავემიშვებულ თეთრონს გართხმოდა ქარისგან გაწეწილი ფაფარამდე და თავგანწირვით მიაქროლებდა უსასრულო სივრცეში.

— გარეკანი თვალსახარბი ჩანს...

— შინაარსიც არა მგონია ურიგო იყოს, მაგრამ თქვენ როგორ შეხედავთ.

— ვინ არის ეს „სინდ-ისიანი?“

— მაპატიეთ, მაგრამ ვერ გეტყვით, სანამ არ წაიკითხავთ.

— იმას მაინც ვერ მეტყვით, ცოცხალია, თუ...

— ცოცხალია... დამაფიცა. — არავითარ შემთხვევაში არ გამემჟღავნებინა მისი სახელი, სანამ თქვენს მსჯავრს არ ვეტყვი. და მერეც ვინ იცის, ინებებს თუ არა ვინაობის გამხელას.

— რატომ?

— ერთი დიდი ავადმყოფობა გაუჩინა წიგნმა.

— რა?

— მე ციებ-ცხელება დავურქვი.

— თვითონ რას ეძახის?

— ურწმენა-ურწმუნოებას.

— ?!

— ხან სჯერა, რომ ამაზე უკეთესი მემუარები არ დაწერილა არც ერთ ენაზე, ხან კი ყველაზე უარესად ეჩვენება. უფრო მეტად უარესის ეჭვი ანაღვლიანებს და ნაღველის განქარვებას ცდილობს სიცილით. ანუ, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ვიდრე სხვა დაასწრებდეს, თვითონვე დასცინის თავის მემუარებს, რომელსაც ხან „თავის ტვინის ცინგლს“ ეძახის, ხანაც „მოცლილობის ჟამს ნაბოდიალებს“. გულის გულში კი მაინც სწორუპოვარი ჰგონია დაცინვის ჟამსაც კი, ესა სტანჯავს სულიერად ღრმად პატივცემულ „სინდ-ისიანსაც“ და მის ხელში შემყურეებსაც...

უკმაყოფილოდ გავიქნიე თავი.

— თქვენს განაჩენს ელის. თუ იმედი არ გაუცრუვდა, მერე თავადაც გეახლებით. ხოლო თუ პირიქით მოხდა, თავს აღარ გამოაჩენს არც თქვენთან და არც თქვენნაირებთან. მეშინია, სულაც არ გაუჩინარდეს სამუდამოდ.

მეც შევფიქრიანდი.

— სახიფათო ჩანს, ვაითუ... იქნებ უკან წაგეღო.

— ო, არა, ამის უპასუხოდ დაბრუნება და მისი სიკვდილი ერთი იქნება.

— მე პირდაპირი და დაუნდობელი მემსჯავრე გახლავართ, — ესღა მოვისაზრე.

— სწორედ ამიტომ აიხირა: გინდა თუ არა, თქვენთან მომეტანა.

„ეს რა ხათაბალაში გავიხლართე!“ — უსიამოდ გავივლე გულში.

ბირილე ჩვეული ხალისით გამომემშვიდობა. მე კი ფიქრიანად გავაყოლე თვალი, და ერთხელ კიდევ დავაცქერდი ნახატ გარეკანს, შიგნითაც ხალისით შევყევი.

„პირველი ნაღვაწი“

„ჩემო სათაყვანებელო მკითხველო, მე, თქვენმა მონა-მორჩილმა თაყაე სტატეს ძე გაბიდაურმა, მთელი ჩემი შეგნებული და ბობოქარი

ცხოვრება მივუძღვენი ხალხის, სიმართლისა და სიკეთის სამსახურს. მე და ჩემს განუყრელ მეგობრებს — ნუგეშასა და შავრას (ვინ და რანი იყვნენ ისინი, ქვემორე წარმოგიდგენთ) იმხელა თავგადასავალი გვაქვს, რომ ოცნების ფალავნებს — მწუხარე სახის რაინდსა და მის ღვიძლ ძმას როსინანტსაც შეშურდებოდა და აგრეთვე საქვეყნოდ სახელსაჯირითო, ჩვენი ჭკუახერხიანი რაინდი ნაცარქექიაც შემოგვნატრებდა. ბარე ხუთი ჭკუადამჯდარი კალმოსანიც ვერ წარმოაჩენდა ღირსეულად. მე ვინა მთქვა ადამიანის სულის მესაიდუმლედ, საქმე, რამდენიც გნებავთ, იმდენი მაკეთებინეთ, თუნდა პიტალო კლდე მასწორებინეთ, წერით კი, მომკალით და მაწერინეთ. მე მოქმედი კაცი გახლავართ და არა მოქმედების აღმწერ-მოლაპარაკე, ანუ უფრო გასაგებად რომ ვთქვა, საქმის კაცი უფრო მეთქმის, ვიდრე სიტყვის: ამავე დროს ჭარბად გულახდილიც მიგულეთ და აქვე გამოგიტყდებით, რომ წერაში მაინცდამაინც ვერა ვხალისობდი ბავშვობიდანვე, ამის გამოც იყო, რომ...

ჩემი ბატიფეხური ახლომახლო სოფლებშიც იყო სახელგანთქმული, მეხუთე კლასის მოსწავლე გახლდით. საკონტროლო თხზულებას თავისუფალ თემაზე — „სწავლის ძირი მწარე არი...“ გვაწერინებდა იმ დროის კვალობაზე ფრიად განათლებული მასწავლებელი ე პ ი ფ ა ნ ე ჭ კ უ ა ს ე ლ ი, რომელიც დღენიადაგ ჩამჩიჩინებდა: „სტავლა, სტავლა და სტავლა...“ მე იმდენად ღრმად მწამდა ჩემს თვალში ღმერთამდე ამაღლებული ეპიფანე მასწავლებლისა, რომ მისი გამოთქმა „სტავლა“ უზუსტესად მიმაჩნდა, ხოლო განთქმულ „სწავლა მოსწავლეთას“ ორთოგრაფიულ შეცდომად ვუთვლიდი უფრორე წიგნის მბეჭდავ-გამომცემლებს. ჰოდა, იმ მიზნით, რომ ჩემი უტყუარი ცოდნაც გამომემჟღავნებინა და ეპიფანე მასწავლებლის გულიც მომეგო, სათაურივე დავაზუსტე და მოზრდილი ბატიფეხურით დავწერე „სტავლის ძირი მწარე არი“, თვით შინაარსის თხრობის დროს ხომ საცა სიტყვა „სწავლა“ იყო საჭირო (და ამას თითქმის ყოველ წინადადებაში ვიმეორებდი, ზოგან ორჯერაც კი) ყველგან „სტავლა“ ჩავწერე. როგორც კი დავწერე „ისტავლე, სტავლის მძებნელო...“ დიდად პატივცემული მასწავლებელი ეპიფანე დამადგა თავსა, დახედა თუ არა (მისკენ გაპარებული განაბული თვალით შევამჩნიე) ჩემს ნაწერს, უცებ წამოენთო, ნერვებმა უმტყუნა და კარგა სქლად ნაჩორკნი სახაზავი დამიშვა კიდეც თითებზე, ისე მემწვავა, რომ თვალებიდან ნაპერწკლები წამომცვივდა. სიმწვავით ხომ მემწვა და უფრო იმაზე გავცეცხლდი, რომ ნაადრევად დამსაჯა — ის ხომ შავად ნაცოდვილარი იყო და გადათეთრების დროს, იქნებ ვაპირებდი ხელის გამოსწორებას. ჰო, უფრო მეწყინა, ვიდრე მეტკინა, ფეთიანივით წამოვხტი, და გარეთ გავვარდი, თან მივაძახე: აქ დამბრუნებლის ნამუსი შევარცხვინე-მეთქი და მის მერე ფეხი აღარ მიმიკარებია (მართალი რო გითხრათ, ისედაც წკიპზე ვიჯექი, რადგან მშიერი მუცლით ჯდომას როკიან და ლურსმნიან მერხზე და ისტორიის მასწავლებლის, აგრეთვე ფრიად განათლებული, ბატონი კ ი რ ი ლ ე ს წყლიან საუბარს, წარსულზე უფრო მეტად მომავალზე რომ გველაპარაკებოდა და ამ მომავალს ჩვენთვის გასაგები ენით რომ ისე გვიხატავდა, სულ შემწვარ-მოხრაკული უნდა გვეჭამა, — დიდი გამძლეობა და ნებისყოფა უნდოდა. ჰო, დავკარი ფეხი და ვეღარც ეპიფანე მასწავლებლის ხვეწნა მუდარამ, ნუ დამღუპავთ და პირიდან ლუკმას ნუ გამაგდებინებო, ვერც კირილე მასწავლებლის რჩევა-წაქეზებამ — ეგ ღვთითნაბადი ნიჭი არ წაიხდინო წყვდიადშიო და ვეღარც მამაჩემის გაჭაქუნებამ ყვირმალზე, ვეღარ დამაბრუნეს სკოლაში.

თუმცა აქვე უნდა გაუწყოთ, რომ გულმაც მომთხოვა და საჭიროებამაც,

რომ ღამის სკოლაში გამეგრძელებინა სწავლა. გამოგიტყდებით, იქ, ღამის სკოლაში, მიღებულ ცოდნას ცოდნად არა ვთვლი და კინაღამ ვეთანხმები ცხონებული ბებიაჩემის მაშინდელ გაბრაზებულ ნათქვამს: ჯერ დღის სკოლაში სიარული რა ხეირს აძლევს ბავშვსა, რო ღამის სკოლაც გამოიგონეს ამხელა მუტრუკების მოსაცდენადაო.

ჰო, მაინცდამაინც არ მეხალისებოდა წერა, მაგრამ ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ წერას მაინც არ ამაცდინა ბედისმწერელმა, მე იმდენი მიწერია აქტები თუ დაკითხვის ოქმები, რაპორტები თუ მოხსენებითი ბარათები, რომ არ შემრცხვეს, ერთ დიდ სანახშირე ვაგონს გაავსებდა. მაგრამ ეს გახლდათ, ასე ვთქვათ, მოსე-მწერლობა და არა ნაღდი, სიტყვაკაზმულობა. ეხლაც ხომ ვკორესპონდენტობ ჩემს საყვარელ „წინსვლაში“ (რაიონული გაზეთია) და, ვგონებ, უჭირო კიდეც უჩემობა, მაგრამ, რასაკვირველია, არც ამას ვთვლი თავანკარა ლიტერატურად.

არა, გეფიცებით ჩემს ნუგეშასაც და შავრასაც და მათზე უფრო მაღლა დასაყენებელ სინდისს, რომ სამარგალიტო კალმოსნობა არასოდეს გამივლია გუნებაში (თუმცა, ვისზე რა ნაკლები ვარ). მაგრამ ჰოი, საოცრებავ და ბედის მწერალო, მე დღეიდან მწერლად, უფრო სახიერად, მემუარისტად უნდა ვიქცე. კალამს ხელი წამატანებინა ერთმა მოულოდნელმა ამბავმა, გინდა წკიპურტს დავარქმევდი, ან თუნდაც იმას, რომ შემთხვევითობა იქცა აუცილებლობად.

ეს მოხდა ჩურჩხელების ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, უფრო ზუსტად მშვენიერ საათს — ჩემი არწივას ბანაობის ჟამს. არწივა ძაღლს მიქვიოდა, ჩემს თავს რომ მერჩივნა, ბანაობა ძალზე უყვარდა, თითქმის ყოველდღე ვაბანავებდი, ერთი და იგივე დროს, ანუ ერთი და იგივე საათს. როგორც კი გემრიელად გავღვრიჭე ჩემი არწივა, პატარა ბავშვივით ტიტლიკანაზე ამოვარტყი ხელი და ალერსით მივაყოლე: წადი, შენებურად გაიხავარდე-მეთქი, — თავს წამომადგა ორი ასული, ერთმანეთზე უკეთესები, ერთი ნაცნობი გამოდგა, — ჩემი ფრიად ახლობელი „წინსვლის“ თანამშრომელ-კორესპონდენტი — ლალი ბასილაშვილი, რომელმაც წარმომიდგინა თანხმლები სტუმარი: — ეს ჩემი თანაკურსელი გახლავთ, თათია ვაშაკიძე, ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელი გაზეთის სპეცკორიო.

უცნობ ქალიშვილს თვალებში ვარსკვლავები ამოსდიოდა, მაგრამ სიტყვა „სპეცკორი“ ჩემში უარყოფით ემოციებს იწვევს ხოლმე მას მერე, რაც ერთმა სპეცკორმა (ვაჟი იყო) კაი ხნის წინათ თავიც მოიჭრა და გაზეთიც შეარცხვინა ქრთამის გამოძალვის გამო და იმათმა შეშინებულმა უნდო-მანდოდ შევხედე. მან, თათია ვაშაკიძემ კი, სანდომიანი ღიმილი გადაივლო სახეზე, უამურობა გადამყარა გულიდან, ხალისით გამომემცნაურა და თამამად მომმართა:

— ბატონო თაყა, თქვენ ფრიად დიდმნიშვნელოვან საქმეზე გიმსახურიათ, ფრიად საპატივსაცემო ადამიანი ბრძანდებით და ფრიად საყურადღებო ამბების მომსწრეც იქნებით უთუოდ.

ესე უცებ რომ სამი ფრიადი დამიწერა ზედიზედა, მართალი გითხრათ, სიხარულით უფრო დავიბენი და ზრდილობა-თავმდაბლობის ნიშნად უღონოდ ამოვილუღლუღე:

— ისე, რა...

— გთხოვთ მოჭარბებულად ნუ ითავმდაბლებთ და ნურც დაიმორცხვებთ, — შინაურივით გამამხნევა ჯერ კიდევ ისევ უცხომ ჩემსავე ეზოში.

— რაზე შეწუხებულხართ?

—თქვენი დღესასწაული ახლოვდება და...

— ჩემი საიუბილეო თარიღი შორს გახლავთ და რომც შევესწრო, დაფიცებული ვარ, არამც და არამც არ გადავიხადო, რადგან საამისო არა დამიმსახურებია რა, და საერთოდ წინააღმ-

დეგი ვარ იუბილეების გადახდისა, ვინაიდან ერთ ბერაში გაჰყავთ ღირსეული და უღირსი, ქალბატონო.

— ჯერ ერთი, მე ქალბატონი კი არა, საქალბატონე გახლავართ, — გასათამამებლად და გასაშინაურებლად უფრო გამიღიმ-გამეხუმრა — მეორეც, ვისზე რა ნაკლები ბრძანდებით, ვინღა აღარ იხდის იუბილეს, და მესამე და მთავარი: საკუთარ იუბილეზე კი არა, თქვენი პროფესიის ადამიანების დღესასწაულზე მოგახსენებთ... ჩვენც ჩვენებურად გვინდა გამოვეხმაუროთ, დაგეგმილი გვაქვს მთელი გვერდები მივუძღვნათ ამ თარიღს და რედაქტორმა ჩემი თავი გაახლათ იმად, რომ დაგვიწეროთ რამე...

— მაინც რა?!

— თქვენი თვალით ნახულიდან ან განცდილიდან. თქვენ ხომ ბევრი რამ საინტერესო გადაგხდენიათ თავს და ბევრი რამ გინახავთ!

შუბლი შევიკარი.

— ნუ გაიძნელებთ, ბატონო თაყა! — მავედრებლად მომაჩერდა ლალი.

— თქვენ ხომ „წინსვლის" აქტიური თანამშრომელი ბრძანდებით, ეს მთელი ჩვენი კოლექტივისთვისაც ცნობილია, მეც წამიკითხავს თქვენი სტატიები და დიდი სიამოვნება მოუნიჭებია სიმართლის, სიმახვილისა და სისხარტის გამო, — გამომცდელად მომაჩერდა თათია და თვალებში ჭარბი სითბო მოიყენა.

— პირდაპირ მიზანში ურტყამს! — წამოეშველა ლალი და ისიც მოურიდებლად მომაჩერდა თბილი თვალებით.

— ახლა, ამჯერადაც არ ააცდენს მიზანს! — თათიამაც კვლავ გადაივლო სანდომიანი ღიმილი.

— გამიჭირდება, — ვეგულწრფელე.

— რატომ, ბატონო თაყა?

— რასაც თქვენ მავალებთ, მაგას მწერლის დონე უნდა! მე კი მწერალი არ გახლავართ.

— ჯერ ერთი, რომ მწერლებად თავიდანვე არ იბადებიან, და არცა გთხოვთ დიდოსტატობას, მეორეც! ჟურნალისტის დონით დაწერეთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— როგორც მაგ თემას ეკადრება, ვერც ჟურნალისტის კალმით დავწერ.

— როგორც შეიძლოთ, ისე დაწერეთ!

— ზერელე ნაწერი გამომივა, მე კი, საერთოდ, არ მიყვარს ზერელე საქმე, მით უმეტეს — ზერელე წერა.

— სწორედ იმიტომ გვინდა, რომ თქვენ დაგვიწეროთ, თორემ რამდენია ქვეყანაზე თქვენი პროფესიისა და თქვენნაირი თავგადასავლის მქონე კაცი...

— ვერა, რა! — კვლავ ვიგულწრფელე.

— უარს ნუ გვეტყვით...

— ნუ გაგვაწბილებთ, რა?! — თითქმის ერთდროულად მომაჩერდნენ, უფრო მეტი სითბო მოიყენეს თვალებში, უფრო გაიუხვეს ღიმილი.

რო არ დაგიმალოთ, მეც შემითბა თვალები, თითქოს დავიბენი კიდეც და ისღა დამრჩენოდა, ღიმილითვე მიმეგო: ბატონები ბრძანდებით-მეთქი!

ცხრა უცხო რომ მომდგომოდა კარსა, ცხვირზე მურს არ ჩამოვისმევდი და ამ სასიკეთო საქმეზე მოსულებს როგორ გავუშვებდი უპატიოდ. დაახლოებით შუა საუბრისას ვანიშნე თვალით ჩემს მოგვირგვინეს, დასაწყისშივე რომ შემოგვიერთდა და იმანაც მაშინვე იღო ყურად, მოგვიბოდიშა და თავისებურად დატრიალდა. ჩვენ რომ საუბარი დავამთავრეთ და გამოსამშვიდობებლად გამომიწოდეს ნაზი, თივთიკა ხელები, ჩემმა მოგვირგვინემ, ქალბატონმა ვარვარამ, ჩემზე ადრე გამოიწია ყელი — გვეცით პატივი და ოჯახი დაგვილოცეთო. ვერა ქალბატონოო, ზრდილობის გულისთვის უფრო ბრძანეს სტუმრებმა და კვლავ დამასწრო ჩემმა მოსარეცლემ: გინდა ფეხი დაგიკრავთ ჩემს გულზე და გინდა დაულოცავად წაბრძანებულხართო. სტუმრების დამყოლმა ღიმილმა ორივე გაგვახარა, დალოცვით არ დაკმაყოფილებულან და პაწია ჭიქებიც გა-

მოწრუპეს, არც მეორე და მესამე სადღეგრძელოები დაუტოვებიათ სიტყვის ამარად. მისატანებელითაც კარგად ისიამოვნეს და „წინსვლის“ კორესპონდენტმა ერთხელ კიდევ დაადგა თვალი ღვთისმშობლის მინიატურულ ხატსა, ყრმა იესო რო მიერქმია გულზე, მართლაც რომ განსაცვიფრებელი სინატიფით იყო შესრულებული, რა გადასარევი რამ არისო, ბარე მეხუთედა ბრძანა და ამდენჯერვე დაატანა, ძველი ნივთების გიჟი ვარო. მივუხვდი. რისთვისაც ჩასციებოდა და, ინებეთ, ქალბატონო-მეთქი, ულონოდ ვთქვი, იმ იმედით უფრო, რომ ერთ თქმაზევე არ წაავლებდა ხელსა, მაგრამ მან დიდი მადლობა გადაგვიხადა და უმალვე მოიქცია საკმაოდ მოზრდილ ჩანთაში. იმის გარეთ გატანას, უფრო იმიტომ, რომ ბებიაჩემის სახსოვარი იყო, მთელი ქონების გატანება მერჩივნა, მაგრამ პირი პირი იყო და ცივი ღიმილითღა გავაყოლე თვალი. არ ვიცი, რატომ, თათია წამოინთო და ცხელი თვალებით მომაჩერდა. მეც გახარებულმა და დაბნეულმა ჩქარ-ჩქარა გამოვალე კარადა და ღიმილით ვუბოძე „რუბენსი“, სადაც ღვთისმშობელიც იყო და უამრავი სხვა შედევრიც, ეს თქვენ ინებეთ სახსოვრად-მეთქი, მერე უცებ გამახსენდა, რომ თავის მხრივ ესეც საჩუქრად იყო მორთმეული ჩემი ვარვარას დაბადების დღეზე, მაგრამ უკან გამორთმევას როგორ ვიკადრებდი, აქვე გამოვტყდები, რომ არც პირველად მომრთმევმა, არც მაშინდელმა იუბილარმა ვარვარამ და არც მე ღირსეულად არ ვიცოდით ამ უძვირფასესი ალბომის ჭეშმარიტი ღირსება, თორემ ვერ გავიმეტებდი, რაც უნდა აფიფინებული ვყოფილიყავი. სიხარულით დაბნეულმა თათიამაც ულრმესი მადლობა მოგვახსენა და იმანაც ჩქარ-ჩქარა გაიმზადა წასალებად. ეს ჩემი დაუფიქრებელი „ინებეთ!“, „ინებეთ!“ ბარე, ორკვირიან გაბუტვად დამიჯდა ჩემს მოგვირგვინესთან, მაგრამ მეც გულს ვინედლებდი და ქალბატონ ვარვარასაც ვარწმუნებდი, რომ უფრო დიდი უკუგება ექნებოდა ამ გამ[illegible] საჩუქრებს — საქალბატონე კორესპონდენტი საცნაურს გახდიდა ჩემს სახელს და, მაშასადამე, ჩემი მოგვირგვინის სახელსაც, რამეთუ ჩემი თავგადასავალი ჩემი ვარვარას თავგადასავლადაც მიიჩნეოდა, რითაც ამაყობდა შინაურებში უფრო და გულის ტკივილით დაასკვნიდა ხოლმე: რაც ამ ჩემს უთქმელ ქმარს სასიკეთო და საამაყო თავგადასავალი აქვს, სხვა რო იყოს, ქვეყანას თავ-პირს წააჭამდა, ალმწერლებს დაიხვევდა თავსა, ეს კი ზის და მარტო მე მიყვება ხოლმეო, და აჰა, დადგა სხვისთვის ხმის გაღების ჯერიც ერთ ამბავზე მაინც...

დრო საკმაო მქონდა. თითქოს არა ვჩქარობდი, მაგრამ გულიც ვერ მითმენდა, რომ ადრევე არ შევდგომოდი ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას.

დავჯექი საწერად და ერთ კვირას თავი არ ამიღია მაღლა, დილა-უთენია რომ მივუჯდებოდი, გვიან საღამოს ძლივს ამაგლეჯდა მაგიდას ჩემი ვარვარა. ბარე ოცი მოზრდილი გვერდი გავაშანშალე. ჩემი ნაცოდვილარი პირველად შევამოწმებინე ჩემს უპირველეს კრიტიკოსს არა მხოლოდ წერის დარგში, არამედ საერთოდ ცხოვრებაში — ჩემს ვარვარას, რომელიც კარგად იყო გაწაფული ჩემი ბატიფეხურის გაშიფვრაში. თავის ქანქარზე და შიგადაშიგ ღიმილზე შევატყვე, რომ უთუოდ უნდა მოსწონებოდა.

— ისე, როგორრია?! — ველარ მოვითმინე.

— კინალამ არა უშავს.

— როგორ „კინალამ არა უშავს?!“ — გული შემიქანდა.

— აი, ეგრე, ისეთი ვერ არის.

— მაინც როგორი?

— ისეთი, რომ გულიანად თუ არა, ცოტათი მაინც აცინოს მკითხველი.

მე არც ვაციე და არც ვაცხელე, როგორც საერთოდ მჩვევია, პირდაპირ მივახალე:

— არ გეწყინოს, ჩემო ვარვარა, და, დაბალი დონის მკითხველი ბრძანებულხარ. სასაცილოდ და სახარხაროდ კი არ ვწერ.

— აბა, დამწერმა თუ არ გაამხიარულა მკითხველი, სატირალი და საწუხი ისედაც ბევრი აქვს.

ჩემს მოგვირგვინეს ბევრი ჭკვიანური უთქვამს და ამ ნათქვამმაც დამაფიქრა.

— მაშ, არ ვარგა, ჰა?! — მორჩილად შევციცინე თვალებში.

— მთლად წყალში გადასაყრელი არ არის, მაგრამ ბევრი ნაკლი აქვს.

— მაინც?!

— პირველი ის, რომ, როგორც გითხარი, მკითხველს ვერ გააცინებს.

— სხვა?!

— სხვაც რამდენიც გნებავთ.

— კერძოდ?!

— ამ ბატიფეხურს კაცის შვილი ვერ წაიკითხავს ჩემს მეტი და, მე ხომ ისედაც ყურები მაქვს გამოჭედილი შენი ნაამბობით.

— შე კაი დედმამის შვილო, ლურსმულ წარწერებს შიფრავენ და...

— ახლა მეცნიერები დამახვიე თავზე!

— კიდევ?

— თავიდან ბოლომდე გავედი და წამლად რომ მდომებოდა, ერთი სასვენი ნიშანი არ შემხვედრია.

გულმა ვეღარ მომითმინა და შევუწყერი:

— სადა მცალიან, ქალო, სასვენი ნიშნებისთვის, მაგეებზე მეფიქრა, თუ ამ ღრმა-ღრმა აზრებზე, აქ როა მიკარგულ-მოკარგული. სუ მზამზარეულს ხომ არ მივართმევდი, რედაქცია რას მიკეთებს. დადგეს ის ჩვენი ნაცნობი საქალბატონე კორესპონდენტი და ჩამოამწკრივოს, რომელ ნიშნებსაც მოიხდენს. დავალებული არ არის ჩვენგან, თუ...

სხვა შენიშვნებზეც მოიქაჩლა თავი, მაგრამ ყველაზე საკადრისი პასუხი მიეგო ჩემს უპირველეს კრიტიკოსს. საბოლოოდ ხელები ავაწევინე და ვათქმევინე: ძალიან კარგი რამ დაგიწერია, ყველა რედაქცია გაიხარებდა შენი მიტანითაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე დავდექი და თავიდან ბოლომდე გადავათეთრე ჩემი ნაწერი, რასაც ზარე ერთ კვირას მაინც მოვუნდი, უფრო იმის გამო, რომ შიგადაშიგ ვამდიდრებდი ახალ-ახალი მოსაზრებებით და თუნდაც მარგალიტებითაც. რასაკვირველია, სასვენი ნიშნებიც არ დამვიწყებია. გადავათეთრე და ჩემი ხელით მივიტანე რედაქციაში, რომლის თანამშრომლებმაც დიდი სიხარულით და, მე ვიტყოდი, დიდი სიყვარულითაც მიმიღეს. იმ ჩემმა დამკვეთმა საქალბატონე თაჟიამ ხომ ფრთები გამოისხა. რასაკვირველია, პირველი ის შემომეგება, მამაშვილურად გადამკოცნა და ხელებში შემომაფრინდა, სიხარულით გამომტაცა მოკრძალებით წაწვდილი ნაწერი და წასაკითხად აიჭიმა ნართის ძაფივით დაწვრილებული წარბები. მართალია, ალაგ-ალაგ გაუჭირდა წაკითხვაც და აზრის გაგებაც, მაგრამ სახიდან ღიმილს არ იშორებდა, ხან კი შეყოვნდებოდა ხოლმე და გულიანად ჩაკუჰკუჰდებოდა. სახეზე ღიმილი გადასდიოდა მსმენელებსაც, რომლებიც გარს შემოხვეოდნენ აღტაცებულ თათიას და ღიმილით იჭყიტებოდნენ ჩემს ნახელავში. რასაკვირველია, მოსმენას არ დასჯერდნენ, გამოსტაცეს ხელიდან ჩემი ნაწერი და ერთმანეთს არ აცლიდნენ კითხვასა თუ თვალიერებას. ეგრე სიცილ-სიცილით გადადიოდა ხელიდან ხელში. წარმადგინეს რედაქტორთან, რომელმაც დინჯი, დიდკაცური, ძლივსშესამჩნევი, მაგრამ მრავლისმეტყველი ღიმილით ფურცლა ჩემი ნაწერი და უღრმესი მადლობით გამომაცილა კაბინეტის კარამდე. თანამშრომლები კვლავ შინაურულად შემომეხვივნენ გარშემო. ერთმანეთს არ აცლიდნენ კითხვების მოცემას. უნდოდათ, რაც შეიძლება ბევრი დაეცინცლათ ჩემი მოგონებების სალაროდან, მაგრამ, მაპატიონ და, ვერ მივართვი. ჯერ ეგ დამიბეჭდეთ და

სხვებზე მერე ვილაპარაკოთ-მეთქი, გავიფიქრე გუნებაში და მათ შორის გამიზნულ კითხვებს, რომლებსაც იუმორის სამოსელში მალავდნენ, ხუმრობითვე ვისხლეტდი. ისიც შევატყვე, რომ თუმც მამაშვილური, მაგრამ მაინც ქალური ეშმაკური ღიმილით ჩემი დაბმა ეწადათ, მაგრამ ვერც ამჯერად ჩაუვიდათ ფეხი, მეჩქარება, შინ დამხვდება სხვა გაზეთის წარმომადგენელი-მეთქი, განზრახ ვიცრუე და ქუდის მოხდით გამოვემშვიდობე. ისეთი მადლობა-მადლობით და ღიმილით გამომისტუმრეს, რომ გაოგნებული მივედი სახლში. გულში ნადები ჩემს მეგვირგვინესაც გავუზიარე, რომც არ დამიბექდონ და წყალში ჩამიყარონ ამდენი ჯაფა, არ ვინაღვლებდი, რადგან რედაქციის თანამშრომელთა, რასაკვირველია, უფრორე ქალბატონებისა და საქალბატონეების გაცნობა, თბილი თვალები და კეთილი (მაგრამ ეშმაკური) ღიმილი იმ ჩემს პატარა ნაწერს კი არა, მთელ ტომს მირჩევნია-მეთქი.

— ყველა თათიასნაირი იყო? — თვალვიწროდ ამხედ-დამხედა ჩემმა ვარვარამ.

— ჰო, ქალები იყვნენ, რომ მზეს ეუბნებოდნენ, შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდეო. და რომ თვალებში ჩამდგარი ეშვი გამექრო, იქვე მივაყოლე: მალე გაგაცნობ, ჩემო ვარვარა, და მერე დარწმუნდები, რომ...

— ეჰ, შე დაუბერებელო ბებერო, ჭკუაშემლერებულო ბიჭო! — უნაღვლო ამოოხვრით ამოთქვა და თავისი საქმე განაგრძო.

●

და მაინც, უწინარესად მელანდებოდა ჩემი ნაღვაწი, რომლისგანაც მოველოდი სხვა სიკეთესაც — რედაქციის ლამაზმანების (ასე შევარქვი გულში) თბილ ღიმილს, თუმცა მამაშვილურს, მაგრამ მაინც ქალურად ეშმაკურს და გულის მაამებელს. ჰოდა, სულმოუთქმელად მოველოდი გაზეთის ნომერს, რომელსაც უნდა გამოეცადა ჩემი ნიჭიც და ჩემი გუმანიც, ბევრი, ბევრი სიხარული უნდა მოეტანა ჩემთვისაც და სხვისთვისაც. დიახ, სიკეთისკენ მიიწევდა გული და არც ამჯერად უღალატია გუმანს, ხელისა და გულის კანკალით გადავშალე საიუბილეო ნომერი და მესამე გვერდზე რომ ჩემი გვარ-სახელი ვიხილე, სიხარულით შევყვირე — „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!“ — და არც იმას დაგიმალავთ, რომ ხბოსავითაც შევიკუნტრუშე, მერე ისე სულმოუთქმელად ჩავიკითხე თავიდან ბოლომდე, რომ ვერც შევატყვე სხვისი ხელი, მესამედ რომ ჩავიკითხე, ამჯერად კი მახვილი თვალით, მაშინ მივხვდი, რომ გვარიანად შეეცვალათ. ბევრი რამ მეუცხოვა, მაგრამ ღრმად რომ გავიაზრე, დავმშვიდდი: ის სული მაინც შეენარჩუნებინათ, რაც მე შთავბერე. რასაკვირველია, რედაქციას ოდნავ დაუფერია, უფრო მართლად, გაუფერმკრთალებია თავისებურად, მაგრამ ბევრი ვერაფერი უვნიათ. ეგეც არაფერი-მეთქი, გავივლე გულში.

— რა დღეში ხარ! — შემომისწრო მოგვირგვინემ, თავი რომ მიენებებინა სადიასახლისო საქმისათვის და ჩემი ალტაცების მიზეზსაც მიმხვდარიყო.

— აჰა, შენი ბედნიერი თვალითა ნახე! — ამაყად გავუწოდე გაზეთი.

მანაც გულდასმით ჩაიკითხა ხმამაღლა და:

— ხო, პირველად მე დავადგი ბედნიერი თვალი, შესაქებს შეგიქე, დასაწუნი დაგიწუნე, რაც შენც გაითვალისწინე და, ალბათ, რედაქციამაც. ჩემი თვალი და ჭკუა ქვეყნის მისაბაძია!.. — ჩემზე უფრო მეტი სიამაყით ბრძანა ვარვარა ქალბატონმა.

— ჰო, საცა სამართალია, შენი სახელიც უნდა ეწეროს ჩემს მერე-მეთქი.

— ჩემი და შენი რას გაუყვია, ჩემო ერთადერთო; — გაბრწყინებული თვალებით შემომმზირა და ისე შეცმუკდა, როგორც მაშინ, პირველად რომ შეუთრთოლდა მხურვალე ბაგე.

რასაკვირველია, მეც მივუხვდი, იმაზე უფრო მეტად გამიაპრილდა გული,

ამჯერადაც ვივაჟკაცე და ვიპირველე. სისხლმაჭრიანი გოგო-ბიჭივით თრთოლვით შევახეთ ბაგენი ერთმანეთს.

ჩემი მოგონებანი, უფრო მართლად, მოგონებათა ერთი ეპიზოდი, ერთ ნომერში ვერ დატეულიყო და გაგრძელებებით დაიბეჭდა. მიმიხვდებით, რა გულის ფანცქალით მოველოდით მეც და ჩემი ვარვარაც გაზეთის მომდევნო ნომრებს და რა სიხარულს გვანიჭებდა მართლაც უსაყვარლესი გაზეთი.

## საყურე

ვიცი, დამძრახავთ, მაგრამ გულახდილად გეტყვით, დიდ, ანუ ვრცელ წიგნებს იშვიათად ვეპოტინები. ეს ზნე ადრე უფრო მჭირდა. ცნობისმოყვარეობით გადავშლიდი, თორემ სადა მქონდა იმდენი დრო. დავიწყებდი, მაგრამ ბოლომდე გამსვლელი არ ვიყავი, მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი" ჩამითავებია ბოლომდე, (თანაც არაერთხელ), პატარ-პატარა წიგნების კითხვა მიყვარდა. მაშინაც და ეხლაც დიდი პატივისმცემელი ვარ იმ მწერლებისა, რომლებიც ცოტას წერენ, მაგრამ კარგსა. ამას რა სჯობია, კაცი ადვილად ასწრებს კიდეც მცირეს წაკითხვას და, გონებაშიც სამუდამოდ იბეჭდება. გთხოვთ, ცალმხრივად არ გამიგოთ, გეთანხმებით: ის უფრო სჯობია, კარგიც იყოს და დიდიც, არანაკლები „ვეფხისტყაოსნისა", მაგრამ სადღაა ეგეთები, ვინღა მისდევს ჩვენი სულმნათის მცნებას. ჰო, დიდი თაყვანისმცემელი გახლავართ მცირე — ფრიადისა, ამ მხრივაც ვაღმერთებ ბარათაშვილს, მეც ვგიჟდები მის „მერანზე", ვერ კი გეტყვით, რატომ? სხვებიც რომ გიჟდებიან, მეც ჭკვიანი მგონია თავი. მაგრამ „მერანზე" ნაკლებად როდი მიყვარს ტატოს ერთი ლექსი, რომელმაც გამიბრწყინა ჩემი ბედის ვარსკვლავი. თუმცა თავიდან მოყოლა აჯობებს...

ის დღე ცოცხლად შემომრჩა მეხსიერებაში და ჩემს სულს ცხოვლად დააჩნდა სამარადჟამოდ...

— შემდეგი! — ბრძანა კრების თავკაცმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი გაიღო და ფრთხილი ნაბიჯით შემოვიდა ერთი ტანკენარი ქალიშვილი, შემოვიდა და რაღაცა თავისებური შუქი შემოიყოლა, მდაბლად დაგვიკრა თავი, წინასწარ ნაკარნახევ ადგილას გაჩერდა და კითხვების მოლოდინში გაინაბა. ჩვენ, კრების მონაწილენიც გავინაბეთ უნებურად და თითქმის ერთდროულად შევათვალიერეთ ყველამ. ბარე ოცდათხუთმეტი წყვილი თვალი მიაჩერდა და წამწამებდახრილი ასულიც წამოჭარხლდა უხერხულობისაგან თუ სიმორცხვით. ქალიშვილმა ჩვენი ყურადღება, უწინარესად კი კომუჯრედის მდივნის. — კ ო ბ ა ც უ ც ქ ი რ ი ძ ი ს და პირადად ჩემი, როგორც მოადგილისა, მიიქცია მოულოდნელი ჩაცმულობით. უჯრედის წევრის ქალიშვილები რომ გახუნებული, ალაგ-ალაგ დაკემსილი და დაკერებული ჩითის კაბებით ისხდნენ, მას, კომკავშირში მისაღებს, ძვირფასი ქსოვილის მუქი ლურჯი კოსტიუმი ამშვენებდა, პიჯაკის შიგნით აბრეშუმის კოფთა ეცვა, მოქარგული საყელოთი და ღილ-კილოებით შელაზათიანებული. ტანსაცმლისათვის შესაფერისი შავი ფეხსაცმელი უპრიალებდა, წინდები მუქი და თხელი ეცვა, თმაც მოდურად ჰქონდა დაყენებული, მხრებზე ჩამოშვებული.

დიახ, თითქმის ერთდროულად შევათვალიერეთ ყველამ. ქალიშვილმა იმ წუთიერ დუმილში უხერხულადღა ჩაახველა, უფრო გაებადრა ისედაც ფერიანი სახე და საყვედურიანი სიმორცხვით მიმოგვავლო ნუშა თვალები. რაკი შეგვამჩნია, რომ დაჟინებით მივჩერებოდით, უფრო აელანძა ლოყები და შემკრთალმა დაიხედა სავსე გულ-მკერდზე, ამით, ალბათ, შეამოწმა, ჩახსნილი ხომ არა მაქვს კოფთაო და თავი რომ დაირწმუნა, შედარებით შვებით მიმოგვავლო თვალი, თან თითქმის უხმოდ გვისაყვედურა: რას მომჩერებიხართ, ხომ ხედავთ,

ყველაფერი რიგზეაო. მერე მაღლა შეიღერა თავი და ჭერს მიაშტერდა უაზროდ. სწორედ მაშინ გამოუჩნდა ლამაზი ყელი მთელი სისავსითა და სიმშვენიერით. სწორედ იმ თვალებციმციმის დროს შევარქვი ყ ე ლ ხ ო ხ ო ბ ა, ანუ უბრალოდ, ხ ო ხ ო ბ ა, რა თქმა უნდა, გულში.

ჰო, უხერხულობისაგან შეიღერა თავი ხოხობამ. შეკითხვებისთვის გაინაბა, მაგრამ ამჯერადაც დააყოვნეს. კომუჯრედის მდივანიც და მისი ჩამოდალმა წევრებიც მისაღებ ქალიშვილს გაკვირვებით უთვალიერებდნენ იმ დროისთვის და ვითარებისთვის უჩვეულო, შესაცხადებელ ჩაცმა-მორთულობას. მეც, როგორც კომუჯრედის მდივნის მოადგილე, ვალდებული ვიყავი, კრიტიკული თვალით შემეხედა, ეგრეც ვაჩვენებდი თავსა, მაგრამ სინამდვილეში მის მოქნეულ ტანსა და გაბადრულ სახეს უფრო მივჟინებოდი, რაიც, რომ არ დაგიმალოთ, დიდ სიამეს მგვრიდა, და იმასაც ვცდილობდი, მისი თვალებიც დამელანდა როგორმე, მაგრამ საამისო საშუალება არ მომეცა. ხოხობამ მხოლოდ ორჯერ გამოიხედა ჩვენკენ და ორჯერვე კობა ცუცქირიძეს მიანათა თვალები (ამიტომაც არის კარგი პირველკაცობა, ყველა შენ შემოგციცინებს და პირველი სიამ-სიხარულიც შენია). კობას მივხედე ჩემდა უნებურად და გამიკვირდა, რომ ამრეზით უმზერდა ამ სხივოსან ქალიშვილსა. კიდევ უფრო იმან გამაოცა, რომ თითქმის ყველა მისი ხელქვეითი ბაძავდა ათვალწუნებით ცქერაში და იმასაც ცდილობდნენ ეს თავიანთი განწყობილება როგორმე ეჩვენებინათ უფროსისათვის.

მესამედაც უფრო მორცხვად და საყვედურით შემოგვხედა ხოხობამ, მესამედაც უფრო უხერხულად და ნერვიულობითაც შეიღერა თავი. სწორედ მაშინ შეერხა კარგა მოზრდილი ოქროს საყურეები. ყველა ერთბაშად მივჩერებოდით და, ალბათ, ყველას ერთი და იგივე აზრი უტრიალებდა გუნებაში, მე კი კინაღამ დამავიწყდა, სად ვიჯექი და სულ სხვა თვალით მივჩერებოდი ახლად შერხეულ საყურეებს. მხოლოდ ბაჯაღლო ოქროს ბრწყინვალება კი არა, უფრო მეტად ოქროს ბუდეში ჩასმული პატიოსანი თვლების ელვარება მაოცებდა, კიდევ უფრო მეტად თვით გამოსახულებანი — ხოჭოები. იმ დალოცვილ დიდოსტატს პატიოსანი თვლით — ლალით ისე ზედმიწევნითი სიცხოველით შეექმნა ნატურალური სიდიდის ხოჭოები, ლალის შესეტყვისად გამოთარგულ ოქროსავე ბუდეში ისე შეერწყა და შეეხამებინა, თითქოს ხოხობას ნამდვილი, ცოცხალი ხოჭოები ასცოცებოდა ბროლისფერ ყვრიმალებზე. თითქოს მისი თბილ კანზე ფრთხილად მოსჭიდებოდნენ განზე გაფარჩხული წვრილი ფეხებითა და საკბენად წასწვდომოდნენ ყურის ბიბილოებზე. სწორედ რომ იმ პაწია დრუნჩით ეკიდნენ წვრილ რგოლებზე. ხოჭოების სინსილას ვწყვეტდი ხოლმე ბავშვობაში უფრო, საცა მოვასწრებდი, უმალვე გავსრესდი ხოლმე ფეხითა, მაგრამ ის ოქრო-ლალის ხოჭოები ისე უცებ შემიყვარდნენ, რომ ჭიამაიასავით დავისვამდი ხელის გულზე,

სწორედ ეს ოქრო-ლალის ხოჭო-საყურეები უფრო აშტერებდა და, ეტყობოდა, ანერვიულებდა კიდეც კომუჯრედის მდივანსაც და მის ჩამოდალმაც მსხდომთაც.

ვიდრე თავკაცი ხმას გაიღებდა, ხოხობამ, როგორც იტყვიან, ერთი სიკვდილი გაათავა.

კობა ცუცქირიძემ წინასწარ გაზეპირებული, ტრადიციულად დალაგებული კითხვებიდან დააპირველა თითქმის შუა რიგებში მყოფი კითხვა:

— თქვენი ოჯახური მდგომარეობა?

— გაუთხოვარი: — ლოყებზე ალმური ავარდა ხოხობას.

სხვებისა არ ვიცი, მაგრამ გულში გამეხარდა ხოხობას პასუხი, ვერ კი გეტყვით რატომ, და უფრო მეტი ჟინით შევათვალიერე იგი.

— სოციალური წარმოშობა?! — უფრო დაიბოხა ხმა კომუჯრედის მდივანმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ღარიბი გლეხის შვილი! — რაღაც სიამაყე გამოაყოლა ხოხობამ.

კობა ცუცქირიძემ პირი დააღო გაკვირვებისაგან, სხვებმაც მიჰბაძეს, მართალი გითხრათ, მეც გამიკვირდა და, ვერ გეტყვით რატომ, მეწყინა — კიდეც.

— ღარიბი გლეხის შვილი?! — გამომცდელად შეუბრიალა თვალები კომუჯრედის მდივანმა.

— დიახ! — კვლავ მოიღონიერა სიტყვა.

— თქვენს სოფელში ბევრნი არიან თქვენნაირი ღ ა რ ი ბ ი  გ ლ ე ხ ი ს  შ ვ ი ლ ე ბ ი? — ხმას აუწია კობამ.

— ჩვენი სოფელი, როგორც მოგეხსენებათ, პატარა, მივარდნილი სოფელია, ყველას კარგად ვცნობ და, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველა ოჯახი ღარიბია.

— რაღაც არა მჯერა, ამხანაგო ბ ა რ ბ ა რ ე! — კინაღამ კბილებიც გააღრაჭუნა კობა ცუცქირიძემ და სიტყვა „ამხანაგო" ისეთი გამორჩეული, მუქარიანი კილოთი ბრძანა, რომ ვიფიქრე ხოხობას საქმე კარგად ვერ წავა-მეთქი.

— მამის სულს გეფიცებით! — ახლა კი ხმა შეებზარა ბარბარეს და ვგონებ ცრემლიც მოაწვა.

კობა ცუცქირიძეს უფრო გაუღვივდა ეჭვი და ძლივშეკავებული ღელვით ბრძანა:

— მ ა მ ი ს  ს უ ლ ს  გ ვ ე ფ ი ც ე ბ ი?!

— კი, — კვლავ ჩაუქრა ხმა ხოხობას.

კომუჯრედის მდივანი სამაზრო ქალაქიდან იყო გადმოსული და კარგად არ იცნობდა თავის უჯრედის ოჯახებს, მით უმეტეს, მისაღები ქალიშვილისას და ნაძალადევი სიმშვიდით ბრძანა:

— ვინ არიან ამ ამხანაგის რეკომენდატორები?

რეკომენდატორები გაუბედავად წამოიმართნენ.

— რეკომენდაციას რომ აძლევდით, ხომ იცოდით, პასუხისმგებელი იქნებოდით თქვენს დაწერილზე?

— კი.

— დიახ, — უფრო ჩაუქრათ ხმა.

— კარგად იცნობთ მისაღებ ამხანაგს?

— საკმაოდ.

— კარგად.

— ღარიბი გლეხის შვილია.

— ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, თქვენთან თუ ღარიბი გლეხის შვილები ესე ძვირფასი კაბა-კოსტუმებით დადიან, მდიდრის შვილებს როგორღა უნდა ეცვათ!

რეკომენდატორებმაც ეჭვით შეხედეს ხოხობას.

„კაი-კია და გინდა ღარიბი გლეხის შვილი დაარქვი და გინდა ხელმწიფის ასული!" — ჩემდა უნებურად გამეფიქრა და ერთხელ კიდევ ვაამე თვალგული.

— რას იტყვის ამხანაგი ბარბარე?!

ქალიშვილმა ხმა ვეღარ გაიღო.

ეჭვის ჭია კიდევ უფრო გაუძლიერდა ისედაც ეჭვით ავადმყოფ კობა ცუცქირიძეს.

— არამც და არამც არა მჯერა, რომ მისაღები ამხანაგი ღარიბი გლეხის შვილი ბრძანდებოდეს. ან სოვდაგრისა უნდა იყოს, ანდა კულაკისა, უფრო მეტიც, იგი მატყუარაც მგონია და, ვაი სირცხვილო, ღმერთის მორწმუნეც, რადგან იფიცება და თანაც სულს იფიცებს...

— მამის სული დაიფიცა, — წაიჩურჩულა ვიღაცამ.

— სული სულია, გინდა მამისა იყოს და გინდა ეშმაკისა, — გადაბღვირა დარბაზს ცუცქირიძემ. — მისაღები ამხანაგის პიროვნება საეჭვოდ მეჩვენება, საჭიროა ღრმად იქნას შესწავლილი მისი ვინაობა და იდეოლოგიური მომზადება. ამის მერე განვიხილავთ მისი მიღების საკითხს.

რაკი კომუჯრედის მდივანმა ბრძანა, სხვებმაც ერთხმად ასე ჩათვალეს საჭიროდ და ეს ერთხმობა დადგენილებაშიც აისახა.

---

**გიორგი ხორგუაშვილი**

**მარად ქალწული თემიდა**

კობა ცუცქირიძე ყველაზე მეტად მე მენდობოდა, როგორც მის მარჯვენა ხელსა, დარწმუნებული იყო ჩემს ალალ-მართლობაში და სწორედ ამიტომაც მე დამავალა ბაბალე ივანეს ასული ტიტველაშვილის სოციალური მდგომარეობისა და იდეოლოგიური მომზადების შესწავლა-გარკვევა.

●

საქმის გადადება არც მაშინ მჩვეოდა. მეორე დღესვე გავეშურე დავალების შესასრულებლად.

— აი, ეს არის ტიტველაანთ სახლი! — ხელი გაიშვირა ჩემმა მეგზურმა ბიჭმა.

თითს თვალი გავაყოლე, ცნობისმოყვარედ მიმოვიხედე თითქმის ზედ მიმდგარმა და უკმაყოფილოდ გავიქნიე თავი, სახლი კი არა მიწური უფრო ეთქმოდა, მიწაში ნახევრად ჩამჯდარს. კაი დატკეპნილი ბანი მოუჩანდა. ბანზე სახმობი მარცვალი ეფინა, ქეჩელი ყოფილიყო. საფენს გვერდით მოსჯდომოდა ერთი ქალი, რომელსაც კოჭებამდე გადმოეფარებინა გრძელი, ფარფარა კაბა, სახეც საიმედოდ მოებურდნა გახუნებული თავშლით, ცალ ხელში ჩიტების საქშეველა ეჭირა, მეორეთი მუხლებზე გადაშლილი წიგნი დაემაგრებინა და ხმამაღლა უკითხავდა გარშემო შემომსხდარ თითქმის ტიტლიკანა ბავშვებს (წიგნი „დედაენა“ გამოდგა). ხმამაღლა მკითხველიც და მსმენელიც ისე იყვნენ გატაცებულნი, რომ სანამ ჩემმა მომყოლმა ბიჭმა თითები არ ჩაიჩარა პირში და გემოზე არ ჩაუსტვინა, თავი არ აუღერებიათ. ბალღებიც ცნობისმოყვარედ მომაჩერდნენ და მოზრდილებიც.

— უ ი, თ ა ყ ა გ ა ბ ი დ ა უ რ ი! — სიხარულით წამოიძახა მოზრდილმა, უმალვე მოიძრო თავსაბურავი, წიგნიც და საქშეველაც ბალღებს მიაჩეჩა, რაღაცაც წაუტუტუნა და ჩემკენ გამოეჩქარა. მოსვლამდე შევიცანი ხოხობა. ჩემზე მეტად იმას გაეხარდა, დაუფიქრებლად გამომიწოდა ხელი, ღონივრად მომიჭირა, გადასახვევადაც მოიმუქდა, მაგრამ მაგდენი ველარ გაბედა და უხვ ღიმილშიღა ამჟღავნებდა დაუოკებელ სიხარულს. ალალად, ადამიანურად უხაროდა და ღვიძლი ნათესავივით შემომეგება, თანდათან ჩაიცხრო სიხარულით გამოწვეული ღელვა, თითქოს რაღაცა მოაგონდაო, უცებ დაიცქირა ტანზე, ტუჩზე იკბინა და გვერდულად დადგა, ახლა კი უხერხულობით კრთოდა და ცქმუტავდა. როგორც მოგვიანებით მივხვდი, მოშიშვლებულ მხარ-მკლავებს ალარა ჩიოდა, ალაგალაგ დახეული კაბა სცმოდა და მოვარდისფერო ხორცი უჩანდა, მარცხენა ფერდთან, ძუძუს გამოსწვრივ ციდამდე ჩარღვეოდა სამოსი და, ეტყობოდა, იმიტომაც მედგა მხარშექცევითა. მეც უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი და უაზროდღა შევღიმოდით ერთმანეთს.

ისევ ხოხობამ იმკვირცხლა. უცებ მოიბოდიშა, მიწურში შევარდა და კარი მოიკეტა. ორიოდე წუთის შემდეგ კარი გააღო, ხელები გაშალა და შინ შებრძანება მთხოვა, გაშალა და ის ხოჭო-საყურეებიც აუქანქარდა. და მეც ამიქანქარდა გული, ახლა უფრო უხდებოდა იმ გასაქრობსა. ეს, რასაკვირველია, დიდ სიამოვნებას მგვრიდა. მაგრამ ეჭვის ჭია წამომიცოცხლდა უცებ, და სწორედ ამ წამოცოცხლებული ჭიის თვალებით ავათვალ-ჩავათვალიერე. ხოხობას კაბა გამოეცვალა. წინიდანაც და უკნიდანაც გულდასმით შევათვალიერე, უფრორე იღლიის ძირებში ჩავუკვირდი. ეს კაბაც უბრალო, ჩითისა იყო, თანაც გახუნებული, ჩიტის თვლებივით დაწინწკლული, შევათვალიერე და ველარსაიდან შეაღწია თვალებმა, ანუ დახეული აღარსად ჰქონდა. ალაგალაგ კი დაეკემსა, ისე რომ თუ ძალიან არ დააკვირდებოდა კაცი, ვერც შეამჩნევდა, გამოგიტყდებით, მოვალეობის გარდა, ჩემდა უნებურად სხვა საზრისითაც წამიგორდა თვალი და ამ კაბაში უფრო საამოდ მომეჩვენა ხოხობა, ვიდ-

რე იმ ძვირფას კოსტიუმში, კრებაზე რომ ვიხილე. ახლა ოქრო-ლალის საყურეები?! ეს კონტრასტი რატომ? — უფრო სიღრმეში მიწვევდა ეჭვი.

— მობრძანდით, მობრძანდით! — ჩემი თვალის ასასხლეტად უფრო მაჩქარებდა.

— მე, ხომ იცი, რისთვისაც ვარ გამოგზავნილი? — შევეკითხე უხერხულობისგან თავის დაღწევის მიზნით.

— მივხვდი.

— ჰოდა, იმასაც მიმიხვდები, მხოლოდ იმ მიზნით ვაცეცებ თვალებს.

— გასაგებია, — უნებლიედ გაეღიმა, — მეც იმიტომ გიწვევთ შიგნით, სახლიც კარგად დაათვალიეროთ.

ვცდილობდი ისე მომეჩვენებინა თავი, ვითომ ზერელედ ვიხდიდი მოვალეობას, სინამდვილეში კი გულდასმით მიმოვხედე იქაურობას. მიწურის ავლადიდებას წარმოადგენდა: ერთი გრძელი ტახტი, კედლიდან კედლამდე რომ იყო ჩამართული, და ყოველ ორ ნაბიჯზე თითო ბოძკინტი ჰქონდა შედგმული, ხმელ ტახტზე თავიდან ბოლომდე გაფენილი იყო ალაგ-ალაგ ამოჭმულ-ამოცვეთილი ერთიანი ჭილობი, როგორც საუბრიდან გამოირკვა, ტახტი ასრულებდა მთელი ჯალაბობის საწოლის მოვალეობასაც, მაგიდის მაგივრობასაც ეწეოდა და აქვე სრულდებოდა ისეთი საოჯახო ხელსაქმეები, როგორიცაა მატყლის ჩეჩვა, რთვა, ქსოვა და ათასი მისთანანი, ტახტის გვერდით ჩამწკრივებული ჰქონდა დაბალი ტლანქი სკამები, რომლებიც, ჩემი ფიქრით, შინაურის ნაფინაჩარი უნდა ყოფილიყო. მოპირდაპირე კედლის ძირში იდგა საკმაოდ ხნოვანი კომოდი და სკივრი, რომლებიც, როგორც გამოირკვა, ხოხობას დედის მზითები ყოფილიყო.

— აი, დედაჩემიც მოვიდა! — გაუხარდა ხოხობას და გამაცნო.

დეიდა სოფიო ორიოდე სიტყვით გამომესაუბრა, მერე მოიბოდიშა, დაგვეთხოვა, თავშლის ფოჩები აიკეცა და სასტუმარმასპინძლო საქმეს შეუდგა. უფრო ბუხართან მარიფათიანობდა.

მე კი სახლის დათვალიერება-შემოწმებას ვაგრძელებდი. თუმცა ბევრი აღარაფერი დამრჩენოდა თვალდაუკრავი. როგორც მევალებოდა, ყველაფერს ურწმუნო თომას თვალით ვუცქეროდი. ამ მიწურისა და მისი დგამავეჯის პატრონები რომ ღატაკები უნდა ყოფილიყვნენ, ამაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული, მაგრამ ეს ბაჯაღლო ოქროს და უძვირფასესი ლალის საყურეები?! ამ ეჭვმა მეორე ეჭვის მარცვალიც ჩამითესლა. ხომ არ იეშმაკეს და სხვის ბინაში ხომ არ მიმიყვანეს-მეთქი. ამ თვალით უფრო მივხედე კედელზე გაკრულ ხალიჩას, ესეც კაი ხნის ნაქონ-ნახმარი ჩანდა, ხალიჩის თავზე ეკიდა შავჩარჩოიანი სურათი, საიდანაც ამაყად იმზირებოდნენ ჩოხაში გამოწყობილი, ჭოტაულვაშიანი კაცი, ბოხოხა ქუდით და ჩიხტიკოპიანი ქალი. არ ვიცი, მესურათის პეიტრობით, თუ თავიანთი გულის წადილით, თავები ოდნავ გადაეხარათ ერთმანეთისაკენ, ვითომდა იღიმებოდნენ, მაგრამ ღრმად შეცვივნული თვალები და შეჭმუხნილი შუბლი მეტყველებდნენ, რომ ძალიან ხალისით არ უნდა ეწიათ უღელი.

— ვინ არიან?

— ბებიაჩემი და პაპაჩემი, — მომიგო ხოხობამ.

— ეს ხმალიც პაპაშენის ნაქონი იქნება! — ყურადღება გადავიტანე ქარქაშიან ხმალზე, სურათის ქვემოთ რომ ეკიდა დაცერავებითა.

— გამოიცანი, ეგ ხმალი თურქეთის ომშია ნაშიშვლები.

— ესენი ვინღა არიან? — შევახედე ჯერ ისევ ახალგაზრდა წყვილის სურათისკენ.

— მამაჩემი და დედაჩემი.

ცალი თვალით იქვე მოტრიალე ქალს, ანუ ხოხობას დედას შევხედე, ცალით ისევ სურათს ვაკვირდებოდი, მსგავსება რომ აღმოვაჩინე, გულზე მომეშვა.

ყველაფერს ცნობისმოყვარედ ვათვალიერებდი. ხომ სიღარიბე სუფევდა, მაგრამ მაინც ესიამოვნებოდა თვალსა,

ყველაფერი დაემარმარებინათ, მიწის იატაკიც მოეკირწყლათ, მტვრის ნასახიც არსად ჩანდა, ბუხარში ნაკვერცხალი ღუდღუდებდა და საამო ორთქლი ასდიოდა თანგირა ქვაბს, რომელშიც მოჩანდა ფეხებშეშვებული, ჩაყვითლებული დედალი. მისი საამო სურნელი მაცდუნებლად მიღიტინებდა ცხვირში, რო არ დაგიმალოთ, კარგადაც მომშივებოდა, რადგან დილანდელი ნაუცბათევი შენაყრების მერე ლუკმა არ გამეღეჭა, მაგრამ ვცდილობდი არ შემემჩნევინებინა, ვითომ კანჭებშეშვერილ დედალს კი არა, ბუხარს ვათვალიერებდი გასაგები მიზნით. არ ვიცი, ჩემი გულისთვის იხარშებოდა დედალი, თუ სხვისთვის იყო გათვალისწინებული, სულ ერთია, მიპატიჟება არ ამცდებოდა, მაგრამ მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, აუცილებლად ხელები გამეტატანებინა. მით უმეტეს, გაფრთხილებულიც ვიყავი: არამც და არამც სუფრას არ გავეკარებოდი, თუნდა კალთები ჩამოეხიათ ხვეწნითა, თორემ... (მაშინდელ თითის დაქნევას და „თორემას“ დიდი შიში და სიფრთხილე გამოსდევდა). ჰოდა, იმის საპასუხო სიტყვას ვეძებდი წინასწარ, თუ როგორ მეთქვა უარი.

ვიდრე დეიდა სოფიო მარიფათიანად დიასახლისობდა, მე და ხოხობა ჩვენს ამოცანას მივუბრუნდით. ტახტს მივუჯექი და საწერად გავემზადე, განა რა იყო იქ იმდენი, რომ მეხსიერებიდან დამკარგვოდა, მაგრამ ქაღალდზე მონიშვნა ვამჯობინე. ხოხობასაც გამოვუჩინე საქმე. ვთხოვე დამხმარებოდა იქაურობის აღწერაში. ისიც ჩამოჯდა დაბალ სკამზე, ვერც იმან შემართა ფეხები ტახტის ქვეშა. ჩვენდა უნებურად ორივე გვერდულად, ერთმანეთის პირისპირ მოქცეულნი ვისხედით ტახტთან. ეხლა უფრო დაკვირვებით შევათვალიერე, რა თქმა უნდა, მეტისმეტი სიფრთხილითა, თითქოს ხოხობას კი არა, მის მიღმა ბუხარს ვუცქერდი. „ეს კაბა გასაგებია, მაგრამ საყურეები“? ამ ეჭვმა ერთი ეჭვი კიდევ გამიჩინა. ცხოვლად ჩამესმა კობა ცუცქირიძის თუმცა გაბრაზებით, მაგრამ მაინც ოფიციალურად ნათქვამი: ძირფესვიანად შეამოწმეო, მაპატიეთ, მაგრამ საცვლებიც კი გაუსინჯეო (იმან უხეში სიტყვა წამოროტა, რაც არ მიესადაგება ხოხობას სილამაზეს, სილაზათეს და პატიოსნებას), რახან ბაჯაღლო ოქროს და ლალის თვლებიანი ფუთიანი საყურეები ჰკიდია, საცვალიც, ალბათ, ამილახვრიანთ კნეინას საკადრისი ეცმევაო, ჩემთვის რომ ეკითხათ, ხელმწიფის ასულის ღირსი ალერსიც (ანუ საცვალი) უპრიანი იქნებოდა ხოხობასთვის, მაგრამ დავალება დავალება იყო და... მე რა თქმა უნდა, არამც და არამც ასე არ გავკადნიერდებოდი და კობას ეჭვიც რომ გამართლებულიყო, კრინტსაც არ დავძრავდი ხოხობას ალერსზე, მაგრამ მაინც მინდოდა როგორმე მეხილა ჩემი ეჭვის გასაფანტავად უფრო. ამ მიზნით ჩავუყევი ქვემოთ-ქვემოთ, რასაკვირველია, მეტისმეტი სიფრთხილითა და სიფაქიზით, მაგრამ ამაოდ. ხოხობა თითქოს მიმიხვდაო, ერთმანეთს ღონივრად მიატმასნა მუხლისთავები და თითქმის ფეხის წვერებამდე გადმოიჭიმა ისედაც გრძელი კაბა, მხრებიც გამეტებით მიიწურა, მორცხვად მოიძუძგა და რაღაც მუდარით მომაჩერდა, თითქოს მდარაჯობდა, კიდეც, წაცდენილი თვალით არ გამეხედა მისკენ. სინდისმა დამქენჯნა, წამოვწითლდი და ახლა მე ვემუდარებოდი უხმოდ. რომ ეპატიებინა, სწრაფად გადავედი საქმეზე (თუმცა წინა ღამეს მოქმედება საქმედ მიმაჩნდა). პირველად ავეჯი მიმოვათვალიერე და ჩამოვწერე კიდეც. ხოხობას ორიოდე შეკითხვა მივეცი უფრო იმ მიზნით, რომ აქტიურად გამერია საქმეში, მერე თვით ხოხობაზე გადავიტანე საქმიანი მზერა. ჯერ კაბა შევუთვალიერე, მერე — საყურეები, გული მაინც ვერ დავიმორჩილე, ბაგეები და ღაწვები შევუთვალიერე, მერე თვალისკენაც გამექცა თვალი, ვკიდე კიდეც, უთუოდ იმანაც დაიტკბო გული, სულ მეათედ წამსაც არ გამიჩერდა, უცებ გამარიდა, გრძელი

წამწამები დაპრიხა, საწერს დააშტერდა და სახე აელანძა. მე ჩემდა უნებურად ღრმად ჩავისუნთქე და ამოსუნთქვაც რომ შემენელებინა, ფილტვები შევიბოჰე და ნაწილ-ნაწილ ამოვუშვი ერთბაშად ამოსასუნთქი. ვითომ ვწერდი რაღაცას, ცალი თვალი ისევ გავაპარე ხოხობასკენ და მივუხვდი, რომ ისიც ჩემსავით იბოჰავდა ფილტვებსა, სავსე მკერდი მაინც თვალში საცემად აუდ-ჩაუდიოდა და კიდევ უფრო გამეტებით იძუძგებოდა. სირცხვილში იწურებოდა. ვეღარც შემოხედვას ბედავდა და ვეღარც წამოდგომას, აღარ იცოდა, რა ექნა.

„თვით ხოხობას შესახებ", ვთქვი ქალიშვილის გასაგონად და თავი გვერდზე გადავხარე საწერად.

— მე ბაბალე მქვიან! — ვითომდა საქმიანი კილოთი მომიგო.

— სულ ერთია... ეს ისე... „აცვია ძალიან უბრალო, გახუნებული, დაკემსილი კაბა..." — წავიჩურჩულე და ამოვასველე კალამი.

— ეგ რაღა ჩასაწერია?!

— ესეთებია მთავარი.

—რომ მცოდნოდა, სულაც...

— ნუ ღელავთ, რაც მევალება, მხოლოდ იმას ვაკეთებ.

ხოხობა კვლავ წამოენთო, უკმაყოფილოდ გააქნია თავი და ჰილობს დააცქერდა. თავის გაქნევის დროს საყურეები გაუქანქარდა და ღაწვებს მოელამუნა. მას ტახტისკენ დაეხარა თვალები, მაგრამ ვატყობდი, ჩემკენაც გამოაპარებდა ხოლმე მზერას.

—ბაბალე!

— რაა, დედი! — სიხარულით გაეპასუხა.

— სტუმარსაც რომ არ მოაკლო ყურადღება და ხანდახან მეც წამომაშველო ხელი, არ შეგიძლია?! — საყვედურიც გაურია.

— როგორ არა! — მიუგო დედას და მე უფრო შემომხედა, ავდგე თუ არაო.

— ეხლავე, დეიდა, ორიოდე შეკითხვაცა და ბაბალეც გათავისუფლდება და მეც მოვრჩები ჩემს საქმესა, რა ვქნა, დავალებული მაქვს, თორემ შეგაწუხებდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უი, რასა ბრძანებთ, განა საწყენად ვთქვი, შვილო! —და თავის საქმეს მიუბრუნდა.

ჩემს მოქმედებას ჩავუფიქრდი და თავი გავიკიცხე, გული კი თავისას არ იშლიდა. ჰოდა, სწორედ მის ჯინაზე წამოვდექი, ჯერ ყველაფერი არ გამომეძია, მაგრამ დეიდა სონას გამოსამშვიდობებლად გავუწოდე ხელი იმ იმედით, რომ დანარჩენს გარეთ შევეკითხებოდი ხოხობას.

— უი, რას ამბობ. პირველადა ხარ ჩემს სახლში და ისე როგორ გაგიშვებ!

— რასა ბრძანებთ, ამხანაგო თაყა, მომავალი კომკავშირელის ოჯახში შემოხვედი და ერთი ჰიქით მაინც არ უნდა დაილოცო! — დამანამუსა ხოხობამაც.

მიმიხვდებოდით, რომ არამც და არამც არ მინდოდა წამოსვლა და მიხაროდა, რომ გულით მეხვეწებოდნენ.

— არა, არა მცალია-მეთქი! — კვლავ გავატატანე ხელები.

— რა ისეთი ცალები გკიდია, რომ უკაცო ოჯახს მიწიხლავ! — წუთით შემომხედა დეიდა სონამ.

— არა მშია, დეიდა სონა! — და სწორედ ამ დროს გამიჰყრიალა მუცელმა. კიდევ კარგი, დროზე ჩავახშე ნაძალადევი ხველითა, თორემ მომეჭრებოდა თავი და მერე რა დროს!

— ქართველი არა ხარ?! — კვლავ მისაყვედურა დეიდა სონამ.

— ხომ არაფრისა გეშინიან! — ერთ წამს შემომხედა ხოხობამ და ძლივს შესამჩნევი ღიმილი გაუკრთა თვალებში.

თქვენი ნება იყვეს-მეთქი, ძლივს შევიოკე სიხარული. — ჰო, ასე აჯობებს, უფრო ღრმად შევისწავლი საკითხს, — მასპინძლების გასაგონად წავიჩურჩულე.

მალე პატარა ბიჭებმაც გამოიჩინეს თავი, მეზობლისგან ნათხოვარი მაგიდა შემოიტანეს და ტახტის გვერდით გა-

მართეს. დიასახლისები დატრიალდნენ.

მაგიდას სამნი ვუსხედით: მე, ხოხობა და დედამისი.

ხოხობა სიყრმის შვილი ყოფილიყო. მისი მომდევნო და-ძმანი განგებ განერიდნენ დედას. ორი პატარა ხომ მაღლა, ბანზე იჯდა და გასაშრობად გაშლილ ქეჯრელს ყარაულობდა, უფრო ძვალმომაგრებულები ვენახში გაერეკა სამუშაოდ.

სახლის, ანუ მიწურის ჭერი დავლოცეთ. ნურც სტუმარი გამოგლეოდეთ და ნურც გასასტუმრებელი-მეთქი და ჩემდა უნებურად გამომეცალა ბოლომდე.

— ეგრე, შვილო! — უფრო გამხიარულდა დეიდა სონა, — რო წასულიყავი, ხო ყელი გამომეჭრებოდა. რას იტყოდნენ, ხალხს რომ თავი დავანებოთ, შენს ნამუსს რას ეუბნებოდი, მე შვილივით მიგიკარი გულზე, შენ კი... ამის მერე ხო ერთად უნდა იმუშაოთ და და-ძმასავით უნდა იყვეთ ერთმანეთთან....

ძალზე მშიოდა, მაგრამ ჭამას არ ვჩქარობდი. ვითომდა ოჯახის პატივსაცემად უფრო ვიჯექი, ცალი თვალით, ვითომდა სასხვათაშორისოდ შევცქეროდი ჩათქვირებულ დედალს, თეთრ ლანგარზე რომ იყო ფეხებშეშვერილი, და ჩემთვის ვფიქრობდი: ღარიბი კაცი ორ შემთხვევაში ჭამს ქათმის ხორცს: ან როცა პატრონი ავადაა, ან — ქათამი. პატრონებიც კაი ჯანზე ჩანან და ქათამიც საღ-სალამათი უნდა ყოფილიყო, მაშ რაშია საქმე? მართლა მე მცემენ პატივს, თუ?.. კვლავ წამომიცოცხლდა ეჭვის ჭია და გულში ჩავითქვი: ფრთხილად, თაყა გაბიდაურო, არ გაყულაპონ!..

როგორც მაშინდელი ადათი მოითხოვდა, სტუმრის პატივსაცემად რომ იყო მიჩნეული, დედალი მე დამაჭრევინეს. ჯერ მათ მივთავაზე და მერე ჩემს თეფშზე დავიდე ერთი ბარკალი, რომელიც მოჩვენებითი აზიზ-მაზიზობით გავძიძგნე, რა თქმა უნდა, თონის პურის მიტანებით. რაკი მეორე ნაჭრის გადაღებას არა ვჩქარობდი, ხოხობა დასწვდა და ქათმის კურტუმი მომთავაზა. დედამ წყრომით შეხედა, თვითონაც მიხვდა შეცდომას და წამოწითლდა.

ნელინელა მოვიმადლიერე კუჭი, სამიოდე ჭიქა ღვინოც მივაყოლე, ჩინებულ გუნებაზე დავდექი, მაგრამ ჩემი მოვალეობა არ მავიწყდებოდა, ისევ შემმოწმებლის თვალით ვუცქეროდი იქაურობას.

— მაშ, ეს მზითვის კომოდია, დეიდა სონია? — შორს გავმიზნე კითხვა.

— ჰო, აი ამ კიდობანთან ერთად გამომატანეს ჩემმა მშობლებმა.

— აჰა, გასაგებია, თქვენს ტანსაცმელსაც ამ კომოდში ინახავთ, ალბათ.

— მა სად წავიღებ? — წყენით მომიგო.

— ბაბალეს ტანსაცმელს?

ორივემ გაკვირვებით შემომხედა. ვატყობდი, ეხამუშებოდათ და ეუხერხულებოდათ კიდევ ჩემი შორსგამიზნული შეკითხვები, იქნებ, იფიქრეს კიდეც ეს ბიჭი კარგად ვერ არისო, მაგრამ მე მაინც მშვიდად მივყვებოდი:

— ის კოსტიუმიც და ფეხსაცმელიც ამ კომოდში გიწყვიათ? — მივხედე ხოხობას.

— რომელი? — ძლივს გაილო ხმა.

— კრებაზე რომ გეცვა.

ხოხობა წამოენთო და თავი ჩაღუნა. დედამისმაც შეიკრა შუბლი.

„გამოჭერილი ბრძანდებით!“ — ჩავიცინე გულში.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

— ძალიან კი გიხდებოდა! — ღიმილით შევმზირე ხოხობას.

დედა-შვილმა ერთმანეთს შეხედა.

— ის კოსტიუმიც და ფეხსაცმელიც ნათხოვარი იყო, — ძლივს ამოილუღლუღა ხოხობამ.

— ნათხოვარი?! — გამიკვირდა.

— ჰო, საგანგებოდ ვითხოვეთ! — დამიდასტურა დეიდა სონიამ. — ძაან ხალისით კი არ გვითხოვია, რო მივდიოდით, ფეხქვეშ დედამიწა გვენგრეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, რა გვექნა, ამ ძველი კაბით ხომ არ გამოვცხადდებოდი! — თავი ჩაღუნა ხოხობამ და ალმაცერად გამომხედა.

— ეგ საყურეები?

— ეს საყურეები კი ნამდვილად ჩემია.

— საიდან, როგორ?! — მაინც არ მასვენებდა ეჭვი.

— მამაჩემის სახსოვარია.

— შეძლებული მამა გყოლია...

— უთხარი დედი, როგორ იყო.

— საწყალმა მაგისმა მამამ წიდვნის დროს ამოყარა ძველისძველი ქვევრისნაირი საფლავიდან, სამი ბარის პირის სიღრმეზე წასწყდომოდა, თავის ქალასთან ეწყო, თურმე, აქეთ-იქიდან. მარტო ეგ კი არ ეპოვა, ხელის მტევნის ძვლებზე სამი ბეჭედი ჰქონიყო, სამივე ბაჯაღლო ოქროსი, კარგა მოზრდილები, სამივენი იქვე დაურიგა, თურმე მუშებსა, წიდვნაზე რომ იშველიებდა. მოწყალე გულის პატრონი იყო (იმიტომაც ვიყავით ღარიბები) თორემ ჩვენ საკუთარ ვენახში ნაპოვნი სხვისთვის რად უნდა მიეცა, მაშინვე საქონლად ექცია, თითოში ორ-სამი ძროხის საფასური მაინც მიეცათ, ჰო, ის სამი ბაჯაღლოს ბეჭედი იმათთვის ეფეშქაშა. ეს საყურეები და მთლად გადარჩენილი დოქი თვითონ წამოიღო, დოქი გამოვაყენეთ და ესე ვხმარობთ სუფრაზე, გარეთ არ გაგვაქვს, რო არ გაგვიტყდეს, საყურეები კი თავის სიყრმის შვილს აჩუქა. მაშინ შვიდი წლისაც არ იქნებოდა. სულს რო ლევდა ის საცოდავი, ეგრე დაგვიბარა: სუ რო შიმშილით იხოცებოდეთ, ამ საყურეებს ნუ გაყიდითო, ჩემ სახსოვრად ატაროს ჩემმა ბაბალემა, როცა დამიბარიშნდებაო, უცხო ხარ, მაგრამ არ დაგიმალავ, გაჭირვება რა საძრახისია, ჩვენი წელანგაროობით ხომ არ მოგვსვლია, მართლა ბევრჯერ გაგვჭირვებია, სული უწიწკნია სილატაკესა, მაგრამ ამ საყურეებზე თვალი არ წაგვგორებია გასაყიდადა. მანამ პატარა იყო ეს ჩემი მამის კანჭაი, ეგრე ვინახავდით ამ საყურეებსა, წამოიყლორტა და, რაკი ერთხელ გაისინჯა, პატარა ბავშვივით აფიფინდა და მას მერე ეგრე უკონწიალია და აღარ იშორებს... ეგრე არ არი, გოგო?

— განა ყველაფერი უნდა თქვა სტუმართანა! — მორცხვად გაარხია თავი ხოხობამ და საყურეებიც გაუქანქარდა.

— დასამალი რა არის, შვილო, ალალი ოჯახის შვილი ხარ და იცოდეს, მით უმეტეს, ამის გამოსარკვევად ყოფილა მოსული.

ჩემთვის ყველაფერი გასაგები იყო. ეჭვის ნატამალიც კი აღარ დამრჩა გულში.

— გეთქვა კრებაზე ეს ყველაფერი და... — მივხედე ხოხობას.

— სირცხვილით ხმას როგორ გავიღებდი!..

ნათელი მოეფინა ყველაფერს.

საქმე მოთავებულად ჩაითვლებოდა. გული დარჩენას მთხოვდა. რა მექნა, წამოსასვლელად წამოვიწიე.

— რა გეჩქარება! — თქვა დიასახლისმა.

— უფროსი მელოდება, დღესვე უნდა მოვახსენო, — ვიცრუე და ენაზე კბილი დავიდგი, „ქართლელი ქალია და მეტი რო აღარა მთხოვოს, ხო სამუდამო სანანებლად დამრჩება“ — თან გავიფიქრე და ხოხობას მივხედე.

— მამაჩემის შესანდობარი არ მიგირთმევია და ისე მიბრძანდები?! — ღიმილით მისაყვედურა ხოხობამ.

— ისეთი სტუმართმოყვარე მამა ჰყავდა, რომა... — ნაღველნარევად თქვა დეიდა სონამ.

სურათს მივაცქერდი. ხოხობას მამაც კეთილი თვალით გადმომყურებდა.

— ამით უყვარდა დალევა! — ქაშანაურის ჯამი შემივსო ხოხობამ.

შუბლშეკვრით მოვიხსენიე და ბოლომდე გამოვცალე. გულში ნათელი ჩამიდგა. თბილი თვალებით შევხედე დედა-შვილს. გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთსა. მესიამოვნა, რომ ორივეს შუბლზე ღიმილი გადასდიოდა.

ახლა სათითაოდ დავლიე მათი სადღეგრძელო, კარგადაც შევხალისდი და გავთამამდი კიდეც. წეღან ხომ ჩავითქვი გულში, სხვა თვალით აღარ შევხედავ-მეთქი ხოხობას, მაგრამ სიტყვა ვერ გავიმაგრე, სულ მისკენ მიმიწევდა თვალიც და გულიც, ძაან ვფრთხილობდი კია, არ შემემჩნევინებინა, მეტადრე დედისათვის. ვნატრობდი, ცოტა ხანს მაინც დაგვტოვოს-მეთქი დეიდა სონიამ. ისე აგიხდეთ ყველა კეთილი ნატვრა, როგორც მე მაშინ შემისრულდა, დეიდა სონას მეზობელმა დაუძახა (როგორც მერე გაირკვა, ცომის საფუარი ეთხოვა), მოიბოდიშა და გარეთ გავიდა.

მარტოკები დავრჩით. ხოხობამ თავი ჩაღუნა. უჩვეულო განცდამ მეც დამამუნჯა.

— ძაან ეჭვიანი უფროსი გვყავს. შენი გვარის სინამდვილეშიც კი შეეპარა ეჭვი. ხომ ნამდვილად ტიტველაშვილი ხარ?.. — უხერხულობიდან თავის დაღწევის მიზნით უფრო შევეკითხე.

— შენც ხომ არ გეპარება ეჭვი? — ალალი ღიმილით მომიგო.

— არა, მაგრამ მაინც საინტერესოა, რატომ ხარ ტიტველაშვილი?

ხოხობამ კვლავ მორცხვად დახარა თავი და:

— მამაჩემის პაპის პაპის დაი, სალომე, დასანიშნად გამზადებული, ტიტველა გამოჰქცევია შუაღამისას ვიღაც ჯერ არ ქმარსა და... — წყვეტილ-წყვეტილად მიყვებოდა.

ის ეგრე დამორცხვებით მიყვებოდა და მე მას ვუმზერდი მწყურვალე თვალებითა. გახუნებულ, ალაგ-ალაგ დაკემსილ კაბაში უფრო ტანმოქნეული და მკერდსავსე მოჩანდა, ვიდრე მაშინ, ძვირფას ტანსაცმელში რომ იყო გამოწყობილი, სახითაც უფრო მემშვენიერა. საყურეებიც მეტად უხდებოდა. საუბრის დროს ოდნავ ექანქარებოდა და მეც მიქანქარებდა გული. თხრობა რომ დაამთავრა, დამორცხვებით შემომღიმა. მე, რასაკვირველია, ჩემდამი სითბოდ მივითვალე და ცხელი თვალებით მივაჩერდი, მანაც ნელ-ნელა გამოაპარა თვალი. უცებ ვკიდეთ მზერა ერთმანეთსა და იმ ერთ წამში მოვასწარი ისე ღრმად ჩამეხედა, რომ მისი გულის მოძრაობა გამომეცნო, მომეჩვენა, რომ ჩემსავით ღრმად ამოსუნთქვა ეწადა, მაგრამ ფილტვებიდან წყვეტილ-წყვეტილად ამოუშვა ამონასუნთქი, ისევ მალე დაპრიხა წამწამები და სახეზე ალმური ავარდა. აღარ იცოდა, რა ექნა. მერე იდაყვი შეიბჯინა ნიკაპზე და მაგიდაზე ჩამოეყრდნო. უცებ მიხვდა, რომ ასე არ უნდა მოქცეულიყო, ისევ ჩამოიღო ხელი და თავდახრილი დააცქერდა თავის უბეს, წეღან რომ მოღიავებოდა მაგიდისკენ გადმოხრისას. მაგრამ, ჰოი, კდემამოსილებავ, ღია უბისკენ აღარ გამქცევია თვალი, მისი სიმშვენიერით ვითანგებოდი. რაც უფრო მწყურვალედ ვუმზერდი, მით უფრო ღვთაებრივი მეჩვენებოდა და სიტყვის გაკარებაც მიმძიმდა. ალბათ, იმანაც გამოიცნო ჩემი გულის მოძრაობა, კმაყოფილებით შემომღიმა ძლივსშესამჩნევად. სიამე და სიხარული მომემატა. ჩემი გულის ჩურჩულის გამგრძელებელი საუბრის წამოწყება მეწადა, მაგრამ ვერა და ვერ ვახერხებდი, როგორც იქნა, მივაგენი დასაწყისსა. ღიმილის დროს ლოყები ეჩვრიტებოდა ხოხობას და ძალიანაც შვენოდა. ეს მივიჩნიე გაქათინაურების საუკეთესო საბაბად. „რო იცოდე, ღიმილი როგორ გიხდება". — ამით მინდოდა წამომეწყო შორს გამიზნული საუბარი. მაგრამ დეიდა სონაც მობრძანდა და უთქმელი დამრჩა სათქმელი. მან თავის მეზობელზე ჩამოაგდო საუბარი. სადღეგრძელოს თქმის ნებართვა ვითხოვე იმ მიზნითაც, რომ თავი გამომეჩინა ამ თქმით: „ავი მეზობელი ამომავალი მზეა და კარგი რადა იქნება", მაგრამ ჩანაფიქრმა არ გამიმართლა, რადგან მათ ჩემზე უკეთესად სცოდნოდათ ეს ანდაზა და დეიდა სონამ მეორეც დაუმატა: „მეზობელი თვალის ჩინიაო". მე ისღა დამრჩენოდა, რომ კმაყოფილებით შემეხედა ჯერ დეიდა სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასთვის და მერე ხოხობას შემზერით დამეტკბო თვალი.

მასპინძლები აღარ მაძალებდნენ. ვატყობდი, არც იმათ ვეთმობოდი, მაგრამ უხერხულობდნენ: უცხო სტუმარმა, თანაც საქორწილომ, ასე რომ გავიჯეჯილე უკაცო სახლში, ჩემს თანატოლთან, ვგონებ, შიშობდნენ კიდეც: ემანდ არ დაითროს და არაფერი წამოროტოსო. მე კი დარბაისლურად მეჭირა თავი. მერე მივხვდი, რომ დიდხანს გამიჯეჯილებია, თორემ მაშინ სულაც ვერა ვგრძნობდი. ამ გულისმზიანობაში მზე ისე ჩაწვერილიყო, ვერ გავიგე. მიწურში რომ ბინდი შემოიჭრა და დეიდა სონამ ნავთის სასესხებლად გააქცია ხოხობას პატარა დაი, მაშინ მივხვდი, დილით მისული ოქროდ მიჩნეული სტუმარი, საღამოთი უკვე ვერცხლად რომ ვიყავი ქცეული, თუ კიდევ დავაგვიანებდი, ბრინჯაოდ გადავიქცეოდი (ეს დეიდა სონასთვის, თორემ...), ჰოდა, დავემადლობე, ჩვენი გზები დავლოცე და დავემშვიდობე. მივედი, როგორც უცხო სტუმარი და წამოვედი როგორც მასპინძელი, უფრორე ხოხობას გულზე გამობმული ახლობელი, წამოვედი და თან გამომყვა ხოხობას ღიმილი და თვალები. მისი საყურეების ხატი.

●

**თაყა გაბიდაურის მოგონებებიდან (გაგრძელება):**

მომდევნო კრებაზე წარვადგინე დამატებითი საბუთებიცა და თვით ბაბალე ტიტველაშვილიცა, ახლა უკვე ხოხობას წარდგენა ჩემი წარდგენაც იყო. წარვსდექით მეტად გულდაჯერებით. იმედით, რწმენით, რომ, როგორც იტყვიან, წყალი აღარ გაუვიდოდა, იმის ფიქრშიღა ვიყავით, რით აღგვენიშნა ეს განსაკუთრებული მოვლენა, როგორ გვეცა პატივი კობა ცუცქირიძისთვის, ჩვენი ფიქრით დავასკვენით, რომ იმ დღისითვე უხერხული იქნებოდა ხოხობას გაბედნიერების სადღეგრძელოს დალევა, (ასე დავარქვით ამ სამანივით დღეს). და გადავწყვიტეთ, სხვა დროისთვის გვეთქვა სუფრაზე ჩვენი სიხარული (მე განზრახული მქონდა, სულაც ჩვენი ბედნიერების ანუ ქორწილის დღისთვის დაგვემთხვია), ისევ იმ თვალსაჩინო ადგილას დააყენეს ხოხობა. ისევ ის ორმოცამდე წყვილი თვალი მისჩერებოდა. ახლა სულ სხვა ჩაცმულობით წარსდგა კრების წინაშე, კინაღამ მეც ვერ ვიცანი. ახლა უბრალო, ჩითის კაბა ეცვა, ღია შავი, ჩიტის თვალისტოლა თეთრი წინწკლებით დაწინწკლული. გახუნებულ-გაშავებული, ალაგ-ალაგ, უფრორე იღლიებშიღა რომ შემორჩენოდა სიმუქე, როგორც მერე შევიტყვე, ალაგ-ალაგ დაკემსილიც ყოფილიყო, მაგრამ კაციშვილი ვერ ამჩნევდა, ნაცრისფერი, გახუნებულივე წინდები ემოსა, ფეხები კი უბრალო ჩუსტებში წაედგა, ისინიც, ვგონებ, დაკერებული იყო, მაგრამ ვერც ამას ამჩნევდა ვერავინ. ანდა თვალს როგორ მოხვდებოდა ნაკემსი და ნაკერები, როცა ტანის მოხდენილობა-სილამაზით ხარობდა. ეხლა უფრო სხვა თვალით ვუცქეროდი, ძაან მოხდენილი ტანი ჰქონდა, ძაანა. კალმახივით მოსხლეტილი. დიახ, ძაან ღარიბულად ეცვა. თითქმის ახლა სწორედ ამ სიღარიბისა რცხვენიანო, თავდახრილი იდგა და შეკითხვების მოლოდინში განაბული მორცხვად ითვალიერებდა ძველ სამოსსაც და სამოსსამალავსაც, ისე რომ თან ჩვენკენ ჰქონდა მოპყრობილი სერიოზული მზერაც და გულისყურიც. დასცქეროდა თავის ტანსა და სახეზე ალმური ასდიოდა, სახე უფრო მემშვენიერა. ყელი ხომ... ტყუილად კი არ შევარქვი ხოხობა... ანგელოზსა ჰგავდა ის დალოცვილი, ანგელოზსა, ხორციელსა, მიწაზე ნასიარულებსა.

მთელი კრებული მისჩერებოდა, უწინარესად კობა ცუცქირიძეს გაენაბა თვალი, მერე ერთი კიდევ აათვალიერჩაათვალიერა თავიდან ბოლომდე და შეეკითხა:

— მართალი ბრძანეს ამხანაგებმა?

— ტყუილი რა საკადრისია! — თავის შექნევით თქვა ხოხობამ. შეიქნია და თან შეერხა ის ხოჭოიანი საყურეები, შეერხა და მეც შემერხა გული, ამჯერად უფრო იმიტომ, რომ რაღაც ავად მენიშნა კობა ცუცქირიძის შეკითხვის კილოც და საყურეებზე თვალის შეჩერებაც.

— რა ეღირება ეგ საყურეები?! — ახლა უფრო ავგუმანიანი კილოთი იკითხა და საეჭვო ღიმილიც რომ მოაყოლა და სხვებიც, უფრორე პრეზიდიუმში მსხდომნიც რომ აიყოლია ასეთ ღიმილში, მეც შემიქანდა გული.

— ვერ გეტყვით, ჩემთვის შეუწონავი ფასი აქვს, — მიუგო ხოხობამ და კვლავ წამოენთო ლოყები.

კობა ცუცქირიძემ უკმაყოფილოდ ამობრიცა ტუჩები და პრეზიდიუმში მსხდომებმაც მიჰბაძეს.

— ურწმუნო თომა ვარ და, რა ვქნა! უჭკვიანესი ადამიანები გვასწავლიან, რომ ყველაფერს ეჭვის თვალით შევხედო, სწორედ ამ თვალით რომ ვუცქერი, კიდევ არ მჯერა, რომ ამხანაგი ბარბარე ტიტველაშვილი ულარიბესი გლეხის შვილია. ხომ ხედავთ, რა შეუფასებელი საყურეები ჰკიდია.

— ხომ განგიმარტეთ! — წამოვიძახე მე.

— რაღაც დაუჯერებელი მეჩვენება თქვენი განმარტება! — სცადა ჩაჩუმება.

— ძველ ტანსაცმელს მაინც ვერწმუნოთ, — წამომეშველნენ დარბაზიდან.

— ძველი ტანსაცმელიც ნათხოვარი მგონია.

— არა, არა!

— რასა ბრძანებთ.

— ბარბარე მართლა ულარიბესი გლეხის შვილია! — ფეხზე დადგა მთელი დარბაზი.

— ეგრე იყოს, გიჯერებთ! —ხმაჩაქრობით თქვა, მაგრამ სიფათზე შევატყვე, რომ გულში მაინც არ გვიჯერებდა.

ხოხობა ისევ თავდახრილი იდგა და მომდევნო კითხვებს ელოდა. მე ჯერ ხოხობას მივხედე, მერე — კობა ცუცქირიძეს და ეხლა შევამჩნიე, რომ რაღაცა მწყურვალე თვალებით მისჩერებოდა ხოხობას, უფრორე მოთახთახე მკერდზე და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ღრმადაც ამოისუნთქა, რაც ავად მენიშნა.

კობა ცუცქირიძე არა ჩქარობდა. ახლა მისაღების ცოდნის დონის გამორკვევაზე გადავიდა.

უმთავრესად წესდებისა და პროგრამის ირგვლივ უსვამდა კითხვებს, ხოხობა მართლაც გამართულად პასუხობდა, ერთი-ორგან წაიფორხილა, მაგრამ თვითონვე წააშველა სიტყვა, ეს სიამოვნებდა თვით კობასაც, ხოხობამაც გაითამამა ტანიც და სიტყვაც, მეც მიხაროდა, რომ გამოცდას კარგად ვაბარებდით, საქმე კეთილად მთავრდებოდა, ვგონებ, ეგეთი კეთილი თვალით ახედ-დახედა ხოხობას, მერე ჭერს მიაპყრო მზერა. ერთ წამს გაშტერდა, უთუოდ უყრიდა კენჭსა და გვეგონა საამისოდ მიხედავდა კრების თავმჯდომარეს, მაგრამ, ალბათ, კიდევ ცოდნის დონის გამორკვევის მიზნით შეეკითხა:

— წიგნებს თუ კითხულობ?

— კი! — ულონოდ მიუგო ხოხობამ.

— რა გაქვს წაკითხული?

— „ვეფხისტყაოსანი“

— კიდევ?

— ბარათაშვილი.

„დავიღუპეთ!“ — გავივლე გულში.

— რომელი ლექსი უფრო მოგწონს?

— ყველა.

— ზეპირად რომელი იცი?

ხოხობა შეყოვნდა. გულის მოძრაობას უწინარესად მე მივუხვდი. ჩემგან იცოდა, რომ კომკავშირელმა ტყუილი არ უნდა თქვას. ისედაც არ შეეძლო, სიცრუე და ორპირობა მასში არ იჯდა. მხოლოდ „საყურე“ იცოდა ზეპირად და ვერ დამალა:

— „საყურე“

მთელი კრებული მიაშტერდა ხოხობას ხოჭო-საყურეებსა.

— ვერ გვეტყვით?! — გამოუცნობი ღიმილით მიაშტერდა.

— ვერა! — თავიც გაიქნია და კვლავ გაუქანქარდა საყურეები.

დარბაზი შეირხა. მეც იმ საყურეებივით გამიქანქარდა გული, მაგრამ ამჯერად უსიამოდ.

— კიდევ რა გაქვს წაკითხული? — ვგონებ დაძაბულობის განმუხტვის მიზნით უფრო შეეკითხა.

— „კაცია — ადამიანი?!“

„გადაირიე!“ — გავუწყერი გულში, მაგრამ, ჩემი არ იყვეს, სიცრუე არ შეეძლო და რა ექნა!

— „კაცია — ადამიანი!“ — გაიკვირვა.

— კი.

— რა სულ დიდგვაროვნებისა და თავადების წარმომადგენელთა ნაწარმოებებს გაუტაცნიხარ! — ხმამაღლა წამოსცდა კობას.

— მეტი წიგნები არა მქონდა, ბატონო!

— გაიმეორეთ, რა თქვით!

— მეტი წიგნები არა მქონდა-მეთქი, ბატონო! — სიტყვა „ბატონო“ ახლა უფრო გამორჩეულად, თბილად და მოკრძალებით ბრძანა ხოხობამ, ალბათ, იმისთვის, რომ პატივისცემაც და ზრდილობიანობაც გამოეხატა, მაგრამ უფრო საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია კობა ცუცქირიძეში და, მაშასადამე, პრეზიდიუმში მსხდომ ამხანაგებშიც.

— ბატონებიც და ბატონობაც უკვე დავამხეთ, ამხანაგო ბარბარე, რისთვისაც ამდენი სისხლი დაიღვარა, შენ კი... — უკმაყოფილოდ გაიქნ-გამოიქნია თავი.

ხოხობამ პასუხი ვეღარ მოახერხა, იდგა და ფეხქვეშ დედამიწა ერღვეოდა.

„ჩავიჭერით... უარი...“ — ვთქვი გულში.

მთელი კრებული გასუსული მისჩერებოდა ხან ხოხობას, ხან კობა ცუცქირიძეს. ყველაზე მეტად მე ვღელავდი, კობამ კიდევ დაკვირვებით აათვალიერჩაათვალიერა, ჯერ საყურეებზე შეაჩერა მზერა, ტუჩი ამობრიცა, მერე — გულ-მკერდზე, ალბათ, იმიტომ, რომ ძაან ღონივრად აუდ-ჩაუდიოდა მეტისმეტი განცდისაგან, არ ვიცი შეებრალა, თუ ნერვიულობდა რამეზე, იმანაც ღრმად ამოისუნთქა. და ერთ წამს თვალები განაბა კიდეც. მერე უცებ შეიცვალა სიფათი, შუბლი მოიფიქრიანა, საქმეში ღრმად ჩამხედავი კაცის იერით გადახედა დარბაზს და მზრუნველი თავკაცის კილოთი ბრძანა:

— ამხანაგი ბარბარე ტიტველაშვილი ურიგო ახალგაზრდა არ უნდა იყოს, გარკვეულ ცოდნასაც ამჟღავნებს, მაგრამ არ გვიწყენს, თუ იმასაც ვიტყვით, რომ ვერ ერკვევა კლასთა ბრძოლის არსში, მიდრეკილება აქვს იკითხოს გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა ნაწარმოებები, რო არ დაგიმალოთ, საყურეების ამბავიც მაეჭვებს. ამიტომ ვფიქრობ, კვლავ გადავდოთ მისი მიღების საკითხი, კიდევ ღრმად შევისწავლოთ, ყველაფერი დავაზუსტოთ, კარგად მოემზადოს და ისე წარდგეს მომავალ კრებაზე. ჭკვიანური ნათქვამია: ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო. ჩვენც ასე მოვიქცეთ.

ეს წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

ჩემს თვალწინ ბარე შვიდი ახალგაზრდა იქნა მიღებული კომკავშირის რიგებში, მაგრამ ასე არავის გართულებია, როგორც ხოხობა ტიტველაშვილს. მიკვირდა: ასეთ დიდ ყურადღებას და სიფხიზლეს მის მიმართ რატომ იჩენდა ახალგაზრდობის თავკაცი. ერთხანს დავასკვენი: ან ძაან შორს იხედება და სადიდქალოდ ამზადებს აქედანვე, ანდა რაღაც უჩოჩქოლებს გულში-მეთქი. მაგრამ ეჭვის-დრო და საფუძველი აღარ მომცა, რადგან ხოხობას სახლში გაცილების სასიამოვნო პატივი მე მხვდა წილად. როგორც მერე გახდა ნათელი, ეს თვით ხოხობას წადილი იყო, ნათქვამი სხვისა პირით.

**ბაბალე ტიტველაშვილის ნაამბობიდან**, ისევ იმ ფსონის ქეიფის ჟამს: სიკვდილმა გაათაოს ისინი ადრე და მალე, რომ მართლა ერთი სიკვდილი გავათავე მაშინ, ვიდრე ჩემი საკითხი ჩათავდებოდა, იმას აღარ ვჩიოდი, საით გადახრიდნენ სასწორის ენას, ერთი სული მქონდა, როგორმე გამოვცლოდი იქაურობას. არ გინდოდა იმდენი კაცის ცქერისთვის გაგეძლო?! ალბათ, უმრავლესობა ალალ-მართალი თვალგულით მიცქერდა, მაგრამ შურისა და ჭორის თვალით მაცქერალნიც ხომ ერივნენ თვით დარბაზშიც და პრეზიდიუმში მსხდომნი ხომ... იმ ჩემი ცოდვით სავსე თაყა გაბიდაურს ხომ ვიცი საკეთილოდ ადნებოდა თვალები და ეს გულის-გულში მახარებდა კიდეც, მაგრამ სხვების თვალ-გულები ხომ არ იყვნენ მართალნი?! ხომ ეგრე დაძაბული ვიდექი, მაგრამ შეუმჩნეველი არა მრჩებოდა, გული მომდიოდა, რომ როგორც კობა ცუცქირიძეს ესიამოვნებოდა, ისე იქცეოდნენ და ასრულებდნენ. პირველად მაშინ ვნახე ჩემს ცხოვრებაში; რაც თავკაცს უხაროდა, ისე მოქმედებდნენ, ისე იღიმებოდნენ, ისე იჭმუხნიდნენ შუბლსა, და, ალბათ, გულისცემაც იმისთვის აეყოლებინათ. შეგირცხვეთ-მეთქი ნამუსიც, გულიცა და გონებაც, — ვთქვი მაშინ, როცა კობა ცუცქირიძესნაირად გაიღიმა ყველამ, მე რომ „გამომიჭირა“ ცოდნაში, მაშინ.

თვით კობა ცუცქირიძე ხომ... უწმინდეს ახალგაზრდად მიმაჩნდა, სხვანაირად ვერც წარმომედგინა, ყველაფერს დავუჯერებდი, ანდა სიტყვის შებრუნებას როგორ გავუბედავდი, მაგრამ ის არ მომწონდა, გაშტერებით რომ მომაყინდებოდა ხოლმე. აი, სწორედ მაშინ ვდნებოდი სირცხვილითა, სხვები რას იტყოდნენ! მაგრამ იქვე ვიმშვიდებდი გულსა; ალბათ, სავალდებულო იყო ჩემი შინაგანი ბუნება შეესწავლა და ხელსაყრელ ჟამს არ უშვებდა ხელიდან. ალბათ, სხვა მისაღებ გოგონებსაც ასე ექცეოდა-მეთქი. იქვე დავირწმუნე თავი კობას გულსუფთაობაში და მესიამოვნა კიდაც. როცა გამომშვიდობებისას ხელი ჩამომართვა, ოდნავ მომიჭირა კიდეც, ალბათ, გულთბილობის ნიშნად და თბილი სიტყვებით ბრძანა: კარგად მოემზადე, ბაბალე, მე თვითონ გაგესაუბრები წინასწარო.

ჩემი გაცილება წილად ხვდა თაყა გაბიდაურს.

მზე იწვერებოდა, ძაან ლამაზი საღამო იყო, ძაანა. იქნებ არც ისე ლამაზი, მაგრამ მე მემშვენიერებოდა ასე, რადგან ჩემს გვერდით მოდიოდა, თაყა გაბიდაური და ჩვეული სიხალისით მესაუბრებოდა. რასაკვირველია, მაშინ უფრო მეტს მესაუბრებოდა, როცა დუმდა. ის უფრო მაამებდა. უჩუმრად ჩამოვსხედით კენჭიყარას წყაროსთან, ღელეში რომ ამოჩუხჩუხებდა და მართლა მაღლა ყრიდა და ისევ იბრუნებდა ჭროლა და ნაცრისფერ კენჭებსა, წყაროს თავზე დიდი ფშატი იდგა, კალოსხელა ადგილზე რომ სცემდა მისი ჩრდილი, ფშატი ყვაოდა და მერე როგორა, სუ ყვითლად იყო გადაპენტილი, ვერცხლისფერ ფოთლებს ძაან შვენოდა ოქროსფერი, ყვითელ-ყვითელი ყვავილები, მერე, ის ჩამავალი მზის სხივები რომ ეცემოდნენ და უფრო მეტად ბზინავდნენ პატარა და ხშირი ფოთლებიცა და ჩიტის ენებივით წამოყოფილი ყვავილების ფოთლებიცა, იმაზე უმშვენიერესი ხე დედამიწის ზურგზე არ მეგულებოდა. სიო საამოდ აშრიალებდა ფშატის ფოთლებს და საამო სურნელებას აფრქვევდა, ისეთს, რომ სიმღერის გუნებაზე დააყენებდა სულდგმულსა, აკი თავდავიწყებით გალობდნენ კიდეც ფოთლებისა და ყვავილების სიღრმე-სიხშირეში შეკარგული შაშვები. არ ჩანდნენ, მაგრამ გალობით ვგებულობდით, სად უნდა მსხდარიყვნენ, იმასაც მივხვდით, დედალ-მამალი რომ უნდა ყოფილიყვნენ, თანაც ახალი დაჩიტებულები, სისხლმაჭრიანები, ვგონებ აბზუვნებულნიც. ან იმ ფშატის სიმშვენიერის ცქერას რა სჯობდა, ან მისი სურ-

ნელით ტკბობასა, ან იმ შეყვარებული შაშვების გალობის მოსმენასა, მაგრამ ჩვენ ჩვენი საამებელიც გვქონდა, სულის სალხენიც და საგალობელიც.

ვდუმდით, მხოლოდ თვალებსა და გულებს ვალაპარაკებდით, ისე მივეხიდეთ ერთმანეთსა და ისე შევახეთ ბაგე-ბაგესა, რომ ვერ გავიგეთ როგორ მოხდა, კვლავ თავდავიწყება, კვლავ ნეტარების ჟამი, ისე საამო იყო, რომ ენით ვერ ითქმოდა, მით უმეტეს ეხლა ვეღარ აღვიდგენ მეხსიერებაში, ის კი ცხოვლად ჩამებეჭდა გულსა და გონებაში, მოულოდნელი, უჩვეულო რომ დამემართა, ვიცი, დამალავთ, მაგრამ მჯერა თქვენშიც მოხდებოდა, რაც მე მომივიდა: ტუჩი ტუჩს რომ მომაკარა, და მომაცხრა ის ჩემი ცოდვით სავსეი, კვლავ უჩვეულო განცდამ დამიარა, გულამდისა, ეს სიცხოველე თუ ცეცხლი მთელ სხეულს მოედო...

— საღამო მშვიდობისა — მოგვესმა მოულოდნელად. გული შემიფრთხიალდა. თაყამ უცებ მიშვა ხელი და განზე გაიწია, მეც უბე მოვიწესრიგე. თვალები ვაცეცეთ, ძეხორციელი ვერ დავლანდეთ. ხომ არ მოგველანდა ყურში? არა, ნამდვილად კაცის ხმა იყო. თანაც ნაცნობი, როგორც მერე დადგინდა, მეველე გოლას ხმა იყო. უცებ წამოგვდგომოდა თავსა, თვალი მოეკრა ჩვენთვისა, ჩვეულებრივი მგზავრები ვეგონეთ, წყაროსთან შემსვენებლები, ვერ გარკვეულიყო საქმის ვითარებაში, თუ რას ვიქმოდით, საღამო მშვიდობისაო რომ წამოიძახა, მერე მიმხვდარიყო ჩვენს „მამაძაღლობასა“ (გოლას სიტყვებია), მიმხვდარიყო და იმიტომაც გაუჩინარებულიყო უცებვე. ტუჩზე უკბენია, რატომ წამოგვაწყდა და რატომ დაგვირღვია მყუდროება, მაგრამ კრინტი არსად დაუძრავს, ჩვენც ძაან გვიან გამოგვიტყდა. ძაან კაი კაცი იყო მეველე გოლაი, ძაანა. მარტო მაგიტომ კი არა, ჩვენ რომ არ გაგვთქვა, საერთოდა.

კიდევ კარგი, ისეთ დროს წამოგვაწყდა, ჯერ ისევ რომ წამომჯდარნი ვიყავით, ბალახზე არა ვბუბნაობდით, კიდევ კარგი, კარგა შებინდებულიც იყო და ლანდებივით ვეჩვენებოდით, თორემ რა მდგომარეობაშიც ვიყავით, ის რომ ყველაფერი კარგა დაენახა, ნამდვილად ვეღარ გაიმაგრებდა სიტყვასა მერე მაინცა და თავი მოგვეჭრებოდა. ისე კი... ღმერთმა ააშენა მეველე გოლა რომ წამოგვაწყდა. თორემ ის წამცდუნებელი ეშმაკი ბოლომდე გაგვიყოლებდა იმ აყვავებული ფშატის ძირში და ნეტარების ჟამსაც დაგვაკარგვინებდა. უსასრულო სივრცეში რო ნეტარებ და კიდევ მიისწრაფვი მიუწვდომელისაკენ, ის არის სულის ლხენა, თორემ...

მერე,.. როცა დამეწმინდა სისხლი, გული და გონება, მტკიცედ ჩავითქვი, რომ ტუჩებს ქვემოთ აღარ მიმეკარებინა ის ჩემი ცოდვით სავსე თაყა გაბიდაური. ეს აზრი ჩემს თაყას გავანდე იმ ჟამს, როცა საკოცნელად ათრთოლებული ბაგე წამომიშვირა, წამით შევაჩერე და თითის მიჭერით შევუკავე თრთოლვა. თაყამაც ღიმილით დამიქნია თავი. ჩვენი აზრები ამ საკითხშიც შეეცოლქმარნენ და უფრო გაგვიცხოველდა სიყვარული ნეტარების, ანუ სულის ლხენის ჟამი გაგვიგრძელდებოდა. ბედნიერები ვიყავით: ნეტარების წამი საუკუნის ტოლი იყო.

### მოულოდნელი ჰიტლაყი ანუ ბატონი ბრძანდებით

მე რომ ახალშერთულთა დროის განმგებელი ვყოფილიყავი, თაფლობის თვეს წელიწადად ვუქცევდი. ისეთ ადგილს მივუჩენდი ნაპატარძლევსა და ნანეფარსა, სადაც ძეხორციელი ვერ გაიჭაჭანებდა და ვერც ვისიმე ხმა შეაღწევდა. თუ ტყე-უდაბნოში ყოფნას არ ისურვებდნენ მოლანდებული შიშის გამო, შევყრიდი ერთ პატარა ოთახში, გადავურაზავდი კარსა და, მანამ თვითონ არ მოინდომებდნენ, მზეს არ დავანახებდი, შიგნიდანაც საიმედოდ ჩაკეტილიყვნენ, დამსხდარიყვნენ და მოეკლათ ერთმანეთის წყურვილი. მე დალოცვილო არსთა განმრი-

გვე, მიდი და მიუშვი ნებაზე ახალშე-თვისებულნი, მაგაზე უკეთეს სამოთხეს სად გამოუძებნიდი, — მიეცი საშუალება, რომ სულიც ალხინონ და ხორციელადაც იამონ. ეგეც ხომ ვინმეს სამოწყალო არ არის, მარტო დროსა და მყუდროებას გთხოვენ, მეტს ხომ არაფერსა, ვის რა დააკლდება, ანდა ევნება იმათი ლხენა-ნეტარებითა! პირიქით, თვითონ რომ სულსა და გულს გაიმზიანებენ, ორიოდე სხივი ხომ მაინც მიეცემა ამ ბნელ-ნათელ ქვეყნიერებასა! დროისა და მყუდროების წყურვილი ჩემს თავზეც გამომიცდია და მიტომ ვუნატრებდი თავიანთ ნებაზე ლიღარის მოკვლასა თაფლობის თვეში მყოფებსა, გინდა გულთან მოჩვეული ახლობელი იყოს და გინდა ცხრაუცხო.

მე და ჩემი ხოხობა ამჯერადაც გამოგვარჩია ბედმა, თაფლობის თვეები გავატარეთ ერთ პატარა ფიცრულში, ერთოთახიანი სახლის გვერდით რომ გვედგა. ის ფიცრული, ტარიელი რომ ფუტკრის სკასავით აიტაცებდა მაღლა, ჩვენს გაბედნიერებამდე მრავალგვარი სათავსოს მოვალეობას ასრულებდა, საგანგებოდ მოგვიცალეს, ჰუჭრუტანებიც დაუბრმავეს, შეგვრეკეს და სხვა დროს რომ ფაჩიფუჩსაც გაიგონებდა შიგნითმყოფი, ჩვენ ისე გავიმყუდროვეთ, რომ აღარც ჩვენიანების ხმა გვესმოდა, აღარც მეზობლების ფრატაფრუტი, არც ძაღლების ყეფა-ყმუილი, არც საქონლის ბზუილ-ბღავილი და არც დედალს გამოდევნებული მამლის ქასქასი. ჰო, ეგრე გავიმყუდროვეთ და ისე შეგვიყვარდა, ხელმწიფის შვილის სახლსაც გვერჩივნა.

ჩვენი სიყვარულ-სიხარულის ვერჩამწარებაში მშობლებზე მეტი ღალა მეზობლებმა გაიღეს. თვითონ იკლებდნენ და ჩვენთან შემოჰქონდათ კუჭის მოსამადლიერებელი, მერე შევიტყეთ, თვითონ შიმშილით ეწვოდათ კუჭი და ჩვენსა მოჰქონდათ წვითა და დაგვით ნაშოვნი, თანაც ისეთი ხალისით, თითქოს ამილახვრიაანთ საკუჭნაოდან გამოეგზავნოთ, რა ვიცოდი, თორემ უჩუმრის პირით გავუბრუნებდით უკან. მე არა მწამს სხვის სიმწარეზე აღმოცენებული ჩემი სიხარული, ასეთი პატივი ჩემი წუხილია, იქნებ არ დაიჯეროთ და, არც მახობლიანი პური გვენატრებოდა და არც ჩაკვერცხილი დედლის ნაჭრები, რაზედაც ერთმანეთს ვეხვეწებოდით, არა შენ მიირთვი, არა შენაო. მაგრამ კუჭის ჯილდო ვერაფერ სიხარულს ვერ გვგვრიდა, გემოსაც ვერა ვგებულობდით, და ხან ისე დაგვიღამდებოდა, ლუკმასაც არ ჩავუშვებდით პირში, მთელი გრძნობა და გონება ერთმანეთის ალერსისთვის იყო მომართული. დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი, რომ მე და ჩემს ხოხობასაც მოგვანიჭე უმაღლესი სანეტარო სიყვარული, გვიწილადე სიხარული და გვიბრძანე: აჰა, მიბოძებია უმაღლესი ნეტარების ნიჭი, თქვენ იცით და თქვენმა ჭკუა-გონებამა, თუ შნო და ლაზათი გაქვთ, გონივრულად გამოიყენეთო. მე და ხოხობაც ერთგულნი ვიყავით ამ შეგონებისა.

მაშინაც, იმ ღირსახსოვარ დღეს, უფრო მართლად, ღამეს, მე და ხოხობა იმ ჩვენს სანეტარო ფიცრულში ვიყავით შეკეტილნი. როგორც იტყვიან, თავდავიწყებას ვიყავით მიცემულნი, ჭირსა ვჭამდით ერთმანეთსა, თვალებიდან მზე ამოგვყავდა, ხანაც ნაზად ვეამბორებოდით და სულს ვილხენდით, ჩამიჩუმი არ ისმოდა და არც არავინ გვახსოვდა.

„ერთიც!" — მწყურვალედ გავიჩურჩულებდი ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ სულ ახალი აცილებული ვიყავი ხოხობას მხურვალე ბაგეს.

„ათი იყოს, რა, ჩვენი ნება არ არის?!" ღიმილითვე მომეჩურჩულებოდა და ამღვრეულ თვალებს მოიჟუჟუნებდა, რაიც ახალი ამბორის დაწყების ნიშანი იყო. კვლავ თრთოლვით შევახებდით ბაგეებსა და გიყვარდეთ,

თაფლობის თვეში მყოფნო! ყველა ქეთილს მიეცეს ის ლხენა და სიამე, რასაც ჩვენ მაშინ განვიცდიდით. ისე მიდიოდა საქმე, რომ ის ღამეც უნდა დაგვთენებოდა ერთმანეთის ალერსში. შუაღამე მომდგარიყო, მბჟუტავ ლამპას ჩავუწიეთ და ახალი სიხარულის მოლოდინში წავიღიღინე:

„ამაღამდელო ღამეო, ნუ
გათენდები მალეო",
„პატარძალი გვერდს ვუწევარ,
უნდა გავიგოთ რამეო". —

და გვერდზე მიმეგდო, რომ მოულოდნელად ატყდა კარების ბრახაბრუხი.

ვითომ სიკვდილს მოებრახუნებინოს, ეგრე გვეცა გულზე. ვიტვრინეთ იმ იმედით, რომ ჭკუას მოეგებოდა ის ვიღაც ოხერი და გაგვეცლებოდა, მაგრამ უფრო უარესად აბრახუნდა კარი. „ვინ არის ის არდასაცალებელი!" — დაიწყევლა ხოხობამ და სასწრაფოდ გადაიცვა იმ წუთს გახდილი კაბა. მეც ჯიგრიანად გადავუკურთხე ჩვენი სიამის გამშხამებელს, ნელა გავისწორე ბეჭის ფრთებამდე გადმოტანილი ხალათი, ზანტად წამოვდგი ნაბიჯი, და უნდო-მანდოდ გამოვწიე ურდული. პირი ღიად დამრჩა, როცა უცებ შემომეფეთნენ მამაჩემი და ჩვენი კომუჯრედის მეორე ამხანაგი, ანუ მოადგილე ყარამან მენაღარაშვილი: მამაჩემი საცვლებისა და ბეჭებზე წამოსხმული ძველი ფარაჯის ამარა იყო, თვალებს იფშვნიტავდა, მივხვდი, „მოულოდნელმა სტუმარმა" გააღვიძა და იქნებ ეუარა კიდეც, მაგრამ ახირებული ყარამანა აღარ მოეშვა და კარზე მოგვადგნენ. მამაჩემი ხმას არ იღებდა, სტუმარმა კი „შუაღამემშვიდობისას" მაგიერ დიდი საყვედურით მოგვმართა:

— დაიხოცენით?!

— რა იყო, ყარამან?

— ერთი საათია ხან გიკაკუნებთ, ხან გიყვირით, ვერა და ვერ გაგაგებინეთ.

— ან შუაღამე არ იცით, ან შუადღე?! — ახლა მე ვუსაყვედურე.

— საქმემ არც შუაღამე იცის და არც შუადღე!

— რა საქმეა ისეთი?!

— წამოდი და გაიგებ!

— არ ითქმება?!

— ვიცი და არ გეუბნები?!

— დილა არ გათენდებოდა?!

— ქალაქიდან კაცია ჩამოსული, სასწრაფოდ გამოგვაქციეს და მეც იმიტომ მოგადექით ამ შუაღამისას.

შევყოყმანდი, წავიდე, თუ არა-მეთქი. რო წარმოვიდგინე, რა სიამე მიშხამდებოდა, გუნება ისე ამემღვრა, კინაღამ ხმამაღლა წამომცდა გულში ნაგინები ყარამანისა და მისი გამომგზავნის მიმართ, მაგრამ ჭკუას დავუხმე და ხმაჩაქრობითღა მივმართე, წადი და წამოგეწევი-მეთქი.

— არა, არა, მიდი, ჩაიცვი ერთად წავიდეთ!

ეხლავე-მეთქი და უბოდიშოდ მივხურე კარი. ხოხობა ვედრებით მომჩერებოდა, მეც უხმოდ მივახვედრე, მეტი გზა არ არის-მეთქი და ნელად ვაკოცე უფრო იმ მიზნით, რომ საქმე გაეარაფრებინა და გუნებაზე მომეყვანა.

ხოხობას მალე დაბრუნება შევპირდი და ყარამანთან ერთად გამოვწიე საბჭოსკენ, სადაც ჩემზე ადრე მოერეკათ სხვა აქტიურნი, ანუ მხურვალედ მოწინავე მოქმედნი, მოერეკათ და გუმანით მიხვედრილი საგანგებო დავალების მოლოდინში ფიქრიანად ეწეოდნენ საძმოდ ჩამორიგებულ „არსენას", ჩემს მერე ორიოდე ყმაწვილი კიდევ შემოიძღოლეს თვალების ფშვნეტითა და საგანგებო თათბირიც დაიწყო. თათბირის წინამძღოლმა შალვა ჩლაიძემ

შეკრების მიზანი გვაუწყა და ზემოდან მოვლინებული პასუხისმგებელი მუშაკი კ ი ტ ა ა რ თ მ ე ლ ი ძ ე წარმოგვიდგინა. პატივცემულმა კიტამ პირადად ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ეს შუახნის ტანწრიოკა კაცი, თვალმაცაცერა და ცქმუტიცა ჩანდა, ეს თვისებანი უმალვე შეგვამჩნევინა თავისდა უნებურად. შალვა ჩლაიძე რომ მას გვაცნობდა და შიგადაშიგ საქებარ სიტყვებს შეურევდა, ბატონი კიტა უხერხულად ცქმუტავდა, მალიმალ წაივლებდა თითებს აზიურების ყელებზე, გამეტებით იჭიმავდა მაღლა-მაღლა. და თითქოს ყელში რაიმე არჩასაშვები გადასცდენიაო, ყრუდ ახიხინ-ახველებდა. ალბათ, სიმორცხვით უფრო ჩაღუნა თავი, მაგრამ ერთი წამითაც არ მოუშორებია თვალი ჩვენთვისა, ერთი გამოხედვით მთელ კრებულს გვლანდავდა და რაკი ჩვენც მოწიწების ნიშნად ვუკატუნებდით თავსა, იგი უფრო მეტი მონდომებით იჭიმავდა აზიურებსა და ხიხინ-ხველასაც უმატებდა. სიტყვა რომ მისცეს და ფიცხლად წამოხტა, დაციდავებული ხელები უცებ ჩაივლო ქამრის აბზინდის ნაპირებში, სუსტ მენჯებზე გადაფარებული თეთრი ხალათის კალთა უკან გაიხვეტა, მკერდი წინ წამოიზნიქა, დიდ გაჭიკნულ ჯიბეებზე ჩამოისვა ხელები, ჭოტა ულვაშები შეატოკა და წვრილი, მძრომიალე ხმით დაიწყო სათქმელი თანაც ისეთი სიმტკიცითა და რიხითა, რომ იქვე გვაგრძნობინა: რასაც ვიტყვი, წყალი არ გაუვაო. რო არ დაგიმალოთ, ეჭვმა გამკრა: ესეც სიტყვის ჭლექი არ იყოს-მეთქი, მაგრამ საიმედოდ გამოგვიბა ენაზე. გული უფრო მოგვითვინიერა გულახდილობით და-მართალი სურათის დახატვითა. გაჭირვება გაგვიმუქა, სოფელს ძუ-მგელივით მოხტომია შიმშილი და სიკვდილივით დაუნდობლად მძვინვარებს თითოვით გალოკილ ოჯახებშიო, მაშინ, როცა კულაკებს ასობით ფუთი პური აოხრიათ და აღარ იციან, სად გადამალონო. მეტად ძნელი, მაგრამ საპატიო ამოცანის წინაშე ვდგავართ, მაგრამ თქვენ ისეთი ვეფხვები ჩანხართ, შიმშილს კი არა, სიკვდილს გააბრუნებთ უკანო. ჩვენც სიამაყით გაგვიგანიერდა მხრები და ღიმილით გადავხედეთ ერთმანეთს. ბატონ კიტასაც იმედით გაუღვივდა თვალები და წინასწარ გადაგვიხადა მადლობა მოსალოდნელი არსებობისათვის.

თათბირს სახელდახელო დაარქვეს, მაგრამ დილაბინდამდე გასტანა. ასჯერ გაზომე და ერთხელ მოსჭერიო, მალმალე შეგვახსენებდა კიტა ართმელიძე და ჩვენც ეგრე ვიქცეოდით, ათასნაირად აგვაწონ-დაგვაწონინა, თუ როგორ გვემოქმედა. გადამალული მარცვლეული გვეგულებოდა ნადარბაზევსა და ხურვალეთში, სადაც ბლომად იყვნენ კულაკები, აქტიურთა ერთი ჯგუფი ნადარბაზევს გაამწესეს შალვა ჩლაიძის მეთაურობით, კობა ცუცქირიძეც მას გაჰყვა, ხოლო მეორე ჯგუფი გაემგზავრა ხურვალეთისაკენ თვით კიტა ართმელიძის თავკაცობით, მეც, როგორც ახალგაზრდობის ერთი ლიდერთაგანი, მას ამომიყენეს მხარში. ხურვალეთს მივადექით „ბიუკის“ ფირმის ავტომანქანით, რაც მაშინ დღევანდელ კოსმოსში გაფრენის ტოლი გახლდათ. მივადექით და მივიყოლეთ უჩვეულო სიხარული, ღარიბ-ღატაკნი ისეთი ყიჟინით და ამავე დროს შიშითაც შემოგვეგებნენ, როგორც უცხოპლანეტელებს, ზოგი დახეულ პერანგს მოაფრიალებდა და ზოგი დაგლეჯილ ქუდს ისროდა სიხარულითა. ხოლო მქონებელნი, ვინც ალმაცერად უცქეროდა ახალ ცხოვრებას, მიხვდნენ, რომ მათ სახეიროდ არ ვიყავით ჩასულნი და უმალვე მიიმალნენ.

ჩემი რჩევითა და კიტა ართმელიძის მხარდაჭერით, პირველ რიგში მოვიძიეთ ჩვენი დასაყრდენი ძალა-საიმედო და უღალატო ბიჭები, რომელთაც კარგად ვიცნობდი. მათი დახმარებით ჯერ ღატაკების კრება ჩავატარეთ, მერე ვესაუბრეთ საშუალო გლეხებს, რომელთაც გამოვცანცლეთ მარცვეულის მქონებელთა ვინაობა. „ჩვენი არსობის“ ყველაზე დიდ ბატონ-პატრონად დაა-

სახელეს ფ ე დ რ ა ფ უ ხ ა შ ვ ი ლ ი, რომლის ოჯახში ითვლებოდა სამოცდაათამდე სული. ჩვენც საქმიანი ნაბიჯებით გავეშურეთ იქითკენ, მივადექით ერთ კარგ არტელისხელა ოჯახის კარმიდამოს, დიდიან-პატარიანად გამოიკრიბა მრევლი, ზოგი სახლიდან ამოიკუზა, ზოგი — ეზოდან და ზოგმაც უფრო შორიდან იჩინა თავი, გვიახლოვდებოდნენ დაწყვილებულნი თუ დაკენტებულნი, მოდიოდნენ ნელი ნაბიჯით, უჩუმრის პირით, ქვეშ-ქვეშა ცქერითა და ბღვერით. ვის ბარი ეჭირა, ვის — თოხი, ვის — ცელი, ვის — ნამგალი, ვისაც რა მოხვედროდა ხელში: ფიწალი, ნიჩაბი, კომბალი, კეტი, ცოცხი, ასტამი, თუშფლანგი, სრუტუნა ბავშვებიც კი არ მოჩანდნენ ხელცალიერნი — პატარა ხელჯოხები ჩაებღუჯათ და ტუსტუსით მოსდევდნენ პატარა ჯიგიტებს, რომლებსაც ვერ გეტყვით, რატომ, თანგირა ქვაბები ჩამოემხოთ თავებზე და დაფდაფებივით იბრახუნებდნენ ტაბიკებსა. ყველა მხრიდან მოგვეჯარნენ, ალყად შემოგვერტყნენ. ალბათ, უფრო იმ მიზნით, რომ მარჯვედ დავენახეთ, ვინ ვიყავით და რაზე ვესტუმრეთ. ერთი კი ცხადი იყო, ყველა საბრძოლო მზადყოფნაში გახლდათ.

„აქ, მგონი, კარგად ვერ უნდა წავიდეს საქმე!“ — უამურმა ფიქრმა გამკრა და უნებურად მივხედე კიტა ართმელიძეს. თუ გუმანი არა მღალატობდა, ბატონმა კიტამაც ჩემნაირად გაიფიქრა, ვგონებ, უფრო მეტიც: ჩაისვეla კიდეც, რასაკვირველია, შიშისგან. მაგრამ მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სულაც არ შეიმჩნია, გული გაიმამაცურა, მკერდი წინ წამოიჭიმა, მხრები გაიგანა, ხელები დაიციდავა, ბრტყელ ქამარს გააყოლა და მოვიწროვებული თვალებით მიმოავლო უხმოდ მდგარ კრებულს. მერე, თითქოს უცებ გაახსენდაო, შეცბუნებულივით დაიტყაპუნა მარჯვენა ხელი თეძოზე, ხალათის კალთა გადაიჭიმა ამობურცულზე, ვითომდა შეისწორა, სინამდვილეში კი ფუხაშვილების ჯარს ანიშნა: ისეთი არაფერი გაბედოთ, თორემ... ხელცარიელი არ მოვსულვარო, მერე ორიოდე ნაბიჯი წარდგა, ვითომდა დინჯად და რიხიანად იკითხა:

— ოჯახის უფროსი რომელია?!

— მე გახლავართ! — გვიან ამოთქვა ჩასხმულმა, ხნიერმა კაცმა, მერე ღონივრად გადმოაბიჯა ქალამნიანი ფეხი, დახეთქილი ხელები გაფარჩხა, თეძოს თავებზე დაიბჯინა, ამრეზით გადმოაპურჭყა, ცალი თვალი მოხუჭა და კისერშეღრეცით შეათვალიერა კიტა ართმელიძე.

ბატონმა კიტამ უკმაყოფილოდ შეატოკა ცალი წარბი და მკვირცხლი თვალებით ახედ-ჩახედა.

— ამბავი?! — იკითხა უკვე მიხვედრილმა ფედრამ.

— მშვიდობა! — ნაძალადევი სიმშვიდით წარმოთქვა ბატონმა კიტამ.

— ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგიშალოთ!

— ამინ!

— მაინც რამ შეგაწუხათ?

— ისეთმა არაფერმა.

— „არაფრის“ გულისთვის არ გაირჯებოდით.

კიტა ართმელიძემ ერთხელ კიდევ აზომ-ჩაზომა წინ გაჯგიმული ფედრა და შორიდან მოუარა:

— იცით, რომ ხალხი შიმშილობს?

— მერე, მე რა შუაში ვარ?!

— შენა გაქვს ზედმეტი პური და იმ შუაში ბრძანდები.

— ზედმეტი კი არა, ჩემი სამყოფიც არ მატიალია. რა პური გაუძლებდათ ამ ბელტიყლაპიებსა, აბა, შეხედე, რამხელა პირები დაუღიათ, დღეში თითო თონე არა ჰყოფნის თითოსა! — კიტასი არ ვიცი, მე კი მართლა შევხედე ფედრას ბიჭებსა, დიდებსაც და პატარებსაც, ზოგი, ალბათ, შვილი იყო, ზოგი — შვილიშვილი, ძმისწულებიც ერივნენ და დისწულებიცა, მართლა ბელტიყლაპიებსა ჰგავდნენ, მართლა თითო



ეროვნული ბიბლიოთეკა

თონე არ ეყოფოდა თითოსა. ძვალმსხვილნი, ლონიერები ჩანდნენ. გუთანში რო შეგებათ, კამეჩებს დააჩოქებდნენ. ასულებიც შევათვალიერე, ისინი უფრო უხვობდნენ, ქმრიანიც ბევრი ჩანდა და უქმროცა, დიდები შურისძიებით აბრიალებდნენ დიდრონ თვალებსა, პატარები გულუბრყვილოდ და შიშით შემოგვცქეროდნენ. ჰო, დაკვირვებით შევავლე თვალი და ვიფიქრე: ცოდო არ არის, ამათ ლუკმა გამოვტაცოთ პირიდანა, ხო ვიცი, რომ ამათი ოფლითაც იქნება მოყვანილი ის წასართმევი ხორბალი, უშრომიათ და ჰქონდეთ, ვინ იცის, რა უსამართლობას ჩავდივართ, როგორ დაგვსჯის მომავალი! ხო ვიცით, რომ თავიანთ მიწაზეა მოყვანილი, რა ვუყოთ, რომ ბევრი უკიჟინებს, ეს მიწა თავდაპირველად მაგათი არ ყოფილიყო, ფედრას პაპა ჩამოსახლებულა რომელიღაც ხეობის სათავიდან, აქაურობა მოსწონებია და სამუდამოდ დამკვიდრებულაო, ჯერ ცოტა მიწას ჩაბღაუჭებია და მერე გაუდიდებიაო...

მაგრამ თვალწინ რომ დამიდგნენ აპეურაანთ ვანას უჭულბუჭულები, და ქვრივი სონას ქულფათები, შიმშილით რო ბლაოდნენ შუაღამისასა, გორულაანთ ისაკას გოგო რო მიწასა ჭამდა და გადაყვა კიდეცა, იმერლიაანთ ანუკას რომ შიმშილით ამოძვრა სული და მისი თერთმეტი თვის ბიჭი მკვდარი დედის ძუძუს ღლოჭნიდა ტირილითა. კიდევ ბევრი რო დამეხატნენ, ვის ოჯახებშიც შიმშილი თარეშობდა, მტკიცედ ვთქვი, ერთი ჩანახიც რო ვუპოვოთ, ფედრა იქნება თუ მისი ფერი, უნდა წავართვათ და მოშიმშილეებს გავუნაწილოთ. თუ გაჭირდა, უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებ-მეთქი.

— რა ლუკმა გამემეტება, — განაგრძნობდა ფედრა — აბა, შეხედეთ, თითო მოხარშული კამეჩი არ ეყოფა თითოსა! — სიამაყის კილოთი უფრო ამბობდა, ვიდრე საცოდაობითა და ამით უხმოდ გვანიშნებდა: შეხედეთ, რა ლომები და ბოკვერები მახვევია თავს, თუ არ მოგვეშვებით, კეთილი არ დაგეყრებათო!

კიტამ ისე შეიკრა შუბლი, რომ მეგონა, გაფუჭდა-მეთქი, მაგრამ ჯერ რომ მე შემომხედა და რწმენით თვალები შევაგებე, მერე რომ ჩვენს უკან მდგომ ბიჭებს მიმოავლო მზერა, და იმათაც უშიშროება და მზადყოფნა აგრძნობინეს, უცებ გაუმზიანდა გუნება, მარჯვენა ხელი ფიცხლად გაიქანა ჯიბისკენ, ვითომდა ცხვირსახოცის საძებნად იქექებოდა, მაგრამ ჯიბეს ვერ პოულობდა, ხალათის კალთა მაღლა ამოიხვეტა, ბურვაკის ბარკალივით დაკიდებული რევოლვერის ბუდე გამოაჩინა და ირიბი ღიმილით გადახედა შეჩოჩქებულ-შეფიქრიანებულ კრებულს.

ფედრას ძარღვი შეუტოკდა შუბლზე, მარცხენა თვალი ამოიკიჟა და რაღაცის მანიშნებლად მიხედა თანგირაქვაბოსნებს, რომლებმაც უმალვე დაიბრახუნეს ტაბიკები. რაღაც უჩვეულო ჟღერადობა ჰქონდა ამ ქვაბებს. უამური, ავისმომასწავებელიც და შემაშინებელიც. მართალია, მე პირადად არ შემშინებია, მაგრამ კიტა ართმელიძე თანგირა ქვაბების დაბრახუნებაზე ამჯერადაც შეკრთა, დაიღრიჯა და შეშინებულივით მომხედა. მე თვალებში ღიმილი მოვიყვანე, რითაც ვანიშნე: ეგ არაფერია, განმტკიცდი-მეთქი და მანაც უმალ გადაიყარა დაღრეჯილობა. მიკვირდა, რომ ფიწლოსნები, ნიჩბოსნები, ბაროსნები, ცელოსნები, ნამგლოსნები და მისთანანი უძრავად იდგნენ. ჩვენი ბიჭები კიდევ უფრო მიუახლოვდნენ ბატონ კიტას, მე კი ფეხი არ მომიცვლია გარკვეული მოსაზრების გამო...

— გულახდილობა გირჩევნია, ფედრა! — გააფრთხილა ბატონმა კიტამ, — ნუ მალავ!

— მე დასამალ-დასაჩქმალი არა მაოხრია-რა!

— რო გიპოვოთ?!

— რაც არ მატიალია, რას მიპოვით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონმა კიტამ ნერვიულად მოიფხანა კეფა.

— გატიალია კიდეც და გიპოვით კიდეც! — წამოვიძახე გულმოსულმა.

ყველამ განცვიფრებით შემომხედა.

— პურის მადლი გამიწყდეს, თუ ზედმეტი მარცვალი გვებადოს! — თავის მოკატუნება არჩია ფედრამ.

— ჩვენ პურის ორმოზე ვდგავართ! — ისეთი დარწმუნებით ვთქვი, ტყუილიც რომ ყოფილიყო, დამიჯერებდნენ.

ფედრას ფერ-ფურმა გადაჰკრა, მისი ჯალაბობაც აყაყანდა. კიტა ართმელიძემაც განცვიფრებითა და თვალგაცისკროვნებით შემომხედა.

—არა გჯერათ? ეხლავე დაგარწმუნებთ, მიბოძეთ შამფურები! — უფრო განვიმტკიცე სიტყვა.

იქაურმა ახალგაზრდამ, კოლა შულლიაშვილმა, ჩემს უკან რომ იდგა და ერთი წუთითაც არ მომშორებია, უმალვე გამომიშვირა გრძელი შამფურები ( აქვე გამოვტყდები: ვიდრე ფუხაშვილებს მივადგებოდით, კოლა შულლიაშვილმა წამომჩურჩულა და ნიშანდობლივად მითხრა, თუ სად, რა ადგილას ჰქონდათ პურით სავსე ორმო. იმიტომ მივაყენე ჩვენი ბიჭები კიტა ართმელიძის მეთაურობით და იმიტომ დავდექი ნაგულისხმებ ადგილას. რომ არ მოვტყუებულიყავი, დროდადრო ქუსლით ვსინჯავდი მიწას და საიმედოდ რომ იდრიკებოდა, რწმენა მემატებოდა, ხალისიც და გამბედაობაც). ჰო, კოლა შულლიაშვილმა გამომიწოდა შამფურები, უცებ ვტაცე ხელი და ღონივრად ვაძგერე მიწას, შამფური სრიალით წავიდა ფხვიერ მიწაში, მეც სიხარულით შევიკუნტრუშე და გამეტებით რომ დავასკდი, მიწამ ფახაფუხი დაიწყო და გული მომეცა.

ფედრა ფუხაშვილმა ენა ვერ დაძრა, მთელი კრებული გასუსული შემოგვცქეროდა.

— თქვენც გასინჯეთ, ამხანაგო კიტა! — შამფური გავუწოდე ჩვენს ლიდერს, — კიტა ართმელიძემ მარჯვენა ხელი თეძოსკენ წაიღო, მარცხენათი შამფური მოიმარჯვა და იმანაც ღონივრად აძგერა.

— ნალდია! — ალტაცებით წამოიძახა და კრებულს მკვირცხლად მიმოავლო თვალი.

ახლა მას მივაჩერდით ყველანი.

— გადათხარეთ! — დაიძახა რიხიანად.

— არავინ გაბედოს, თორემ ზედ წასაკლავდება! — კბილებიც ღონივრად გააკრაჭუნა ფედრა ფუხაშვილმა და ხანჯლის ტარზე წაივლო აცახცახებული ხელი.

ფედრას პატარა ბიჭებმა ეხლა უფრო გამეტებით შემოიცხეს ქვაბ-ჩაჩქანებზე ტაბიკები, რაიც ავის მოახლოვების ნიშანი იყო.

— ბატონო ფედრა, გარეკე ის შენი თანგიროსნები აქედან, თორემ დიდი ცოდვა დატრიალდება, იცოდე, ამ კაცს (თვალით ვანიშნე კიტა ართმელიძეზე) ახლოს ახლავს... ხომ ხედავ, რა მალმალე გაურბის ხელი იარაღისკენ. იმაში ცხრა ჩადის... მე რო მაგის ხასიათი ვიცი, ჯერ შენ შვილებზე იყრის ჯავრსა და მერე შენზე... სხვანიც არა ვართ ხელცარიელნი, გარეკე-მეთქი, ცოდო არ დაგვატრიალებინო! — ჩავჩურჩულე უფრო იმ მიზნით, რომ ჩვენი ძალაც გვეგრძნობინებინა და წინასწარ გაგვეფუჭებინა. ფედრამ თვალის ამოკიჟვით შემომხედა, ვგონებ, ჰკუაში დაუჯდა ჩემი ნათქვამი, მიუბრუნდა თანგიროსნებს და წარბის გაქნევით ანიშნა: დამეკარგეთ აქედანო. თანგიროსნებმა ტაბიკები ააბრახუნეს და მოკურცხლეს. ფედრამაც დაიზლვია შვილების სიცოცხლე და რო არ დაგიმალოთ, მეც გულზე მომეშვა, რადგან მართლაც გარდუვალად მიმაჩნია დიდი უბედურების დატრიალება, და ბატონმა კიტამაც შვებით ამოისუნთქა, რამეთუ ყველაზე მეტად ის იშლებოდა ნერვებზე, თანგიროსნები რომ აბრახუნებდნენ. მეგონა, ფედრა წახდებოდა ჩემს ნათქვამზე, მაგრამ ასე არ მოხდა. თანგიროსნები კი გაარიდა მოსალოდნელ უბედურებას, მაგრამ თვითონ უფრო უშიშრად

წამოიჭიმა მკერდი და კიტა ართმელიძეს მიუახლოვდა. მისი მრევლიც ორმოსკენ მოჰგროვდა, ის სამუშაო იარაღი, წეღან რომ თითქოსდა მშვიდად ეჭირათ, ახლა საბრძოლველად შემართეს და ოჯახის თავის დაძახილს უცდიდნენ.

ჩვენი ბიჭებიც წინ წამოდგნენ ბარებითა და ნიჩბებითა, დილას რომ ითხოვეს ღარიბებისგან, დასჭირდებოდათ, მშვიდობის მიზნით გამოიყენებდნენ, დასჭირდებოდათ, საბრძოლო იარაღად აქცევდნენ.

კიტა ართმელიძე და ფედრა ფუხაშვილი პირისპირ იდგნენ და თვალებს უბრიალებდნენ ერთმანეთსა. მათ მიღმა იდგა ორი მოპირისპირე, ურთიერთსაწინააღმდეგო სამყარო. შეჯახება გარდუვალი იყო. კიტას რევოლვერის ტარზე ეკიდა მარჯვენა ხელი, ფედრას — ხანჯლის ტარზე.

— ფედრა ფუხაშვილო, ძვირად დაგიჯდება მაგ თვალების ბრიალი! — თითქმის ჩურჩულით უთხრა კიტამ და ორი ნაბიჯი გადადგა უკან.

— არც თქვენ შეგარჩენთ ამ აწიოკებასა! — ვალში არ დაურჩა ფედრა.

— ბარები! — ბრძანა კიტა ართმელიძემ.

ბაროსნები წინ წამოდგნენ.

და პირველი ბარი თვით კიტამ დასცხო მიგნებულ ორმოს თავს.

დასცხო და ფედრა ფუხაშვილმაც იშიშვლა ხანჯალი, იშიშვლა და მაღლა შემართა, შეიშვირა და გამეტებით ჩამოუქნია დაკუზულ ართმელიძეს ბეჭებისკენ, ჩამოუქნია და, ალბათ, მართლა დააკლავდა ზედა, მე რომ არ მემარჯვა, შკუადაკარგულ ფედრას უცებ ვწვდი მაჯაში და მთელი ძალ-ღონით დავეჭიდე, დავეძგერე და მაჯა გადავუგრიხე, ხანჯალი გამოვტაცე და ჩვენი ბიჭებისკენ გადავისროლე, ერთ წამს მივიხედე და დავლანდე, თუ რა მარჯვედ იგერიებდნენ კომბალ-კეტებითა და ბარ-ნიჩბებით მოსულ ფუხაშვილებს. მათი ყურების დრო სადა მქონდა, გავეშებული ფედრა ყურში არჩასაშვები სიტყვებით იგინებოდა და ცხვირ-პირის ჩალეწვას იმუქრებოდა, თან მკლავებს იკარწახებდა და გულდაგულ მოიწევდა ჩემკენ, როგორც ყველაზე საშიშ მეტოქისაკენ. მეც, რასაკვირველია, სრულებითაც არ შემშინებია და გულდაგულ ვეცი. ვეცი და როგორც ამირანი და ბაყბაყდევი, ისე შევერკინენით ერთმანეთსა. ისეთი გულმოსული და დაიმედებული ვიყავი, რომ მეგონა, თვალის დახამხამებაში დავცემდი მიწას და ღრიალს დავაწყებინებდი, მაგრამ, გამოვტყდები, კვეხნად მექცა ქადილი, ფედრა ჩემზე ღონიერი გამოდგა, შეუდარებლად ღონიერი, ეშმაკიცა, ჯერ მადროვა, ღონე მომისინჯა, მერე გავეშდა, მოულოდნელად ამომარტყა თეძო და ისე უღმერთოდ დამახეთქა გულაღმა, რომ ცა გამიწითლდა. მეტი აღარაფერი მახსოვს. რამოდენიმე წამს გონებადაკარგული ვეგდე, თურმე, ჩემს მიერ მიგნებული პურის ორმოს თავზე, გაჭირვებით წამოვიწიე და, რას ვხედავ: ჩემს ფერხთით გდია გულწასული ახალგაზრდა, იგი ფედრას ვაჟი — ყაზბეგა გამოდგა, თავდაპირველადვე გვერდში რომ ედგა მამას და მის ერთ-ერთ დიდ ნუგეშს წარმოადგენდა. როგორც გამოვარკვიე, ყაზბეგას ეს ჩაედინა: მე რომ ფედრას ვერკინებოდი, მამის მოსაშველებლად მოემარჯვებინა კომბალი, ის იყო, უნდა თავზე დაეშვა ჩემთვის, მაგრამ მამამისს სწორედ მაშინ ამოურტყია თეძო ჩემთვის, უღმერთოდ ძირს დასახეთქებლად განწირულმა მაინც ღონივრად მოვიქნიე ფეხი და ფილთაქვასავით წამოგრძელებული ფეხსაცმლის ჭვინტი ზედ სანაშენოზე ამოვარტყი ყაზბეგას. ისე ღონივრად ამომირტყია, რომ ერთი მწარედ დაკივლება კი მოუსწრია და გულწასული დავარდნილა მიწაზე, დავარდნილა და ყველა იმას დასევია: მამაც, დედაც, დებიც, ძმებიც, ბიძებიც, ძალუებიც, ძმისწულებიც, დისწულებიც ზოგი ყურის ბიბილოებს უსრესდა, ზოგი წყალს ასხურებდა შუბლზე, და ზოგიც თავ არაყს მოარბენინებდა ჩემს ნაჭიტლაყარზე წასაცხებად და უღმერთო ტკივილის

გასაყუჩებლად. საცოდავი, ისე გულსაკლავად ყმუოდა, რომ ქვაც კი ატირდებოდა იმისი ცოდვითა. სწორედ ამის გამო უფრო გაცეცხლებულიყო მამამისი და ხელმეორედ მეძგერა უკვე წელში ამართულსა, მეც გულდაგულ შევერკინე, დავიძაგრენით და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი თალია წავაფორხილე კიდეც, კვლავ გავეშდა გაცეცხლებული ფედრა, კვლავ ამომარტყა თეძო და ხელმეორედ დამახეთქა მიწაზე. როგორც იქნა, წამოვიწიე და კვლავ საკვირველება: ჩემს თავთან ეგდო თვით ფედრა ფუხაშვილი და ჭიანჭველანაჭამი დათვივით ყმუოდა, თან დედის გინებით იკლებდა მომდევნო შვილს — კიმას, რომელსაც ჩემს მოსაკლავად მოუქნევია მუხის მარგილი, მაგრამ, რაკი წავიქეცი, მე ამცდენია ის ღონივრად მოქნეული მარგილი და მამამისს მოხვედრია სწორედ იმ დროს, როცა ზედ დამსკდომია ჩემი წამქცევი, კიდევ კარგი, თავს ასცდენია და კისერზე დაუკრავს მთელი ძალ-ღონითა, თორემ ზედ წამომაპნევდა სულსა, ის ჩემი ცოდვით სავსე. მიკვირს, ან კისერზე დარტყმას როგორღა გაუძლო, თუმცა, რა გაძლება ეთქმის. გულდაღმა ეგდო, სიმწრით მიწასა ფხოჭნიდა, დათვივით ღმუოდა და უშვერი სიტყვებით იგინებოდა. ახლა იმას მიესივნენ, ახლა იმას დაუწყეს მოსულიერება. ბარე ორი ჩარექა თავი არაყი შეახარჯეს იმის დაჟეჟილ სქელ კისერსა, მაგრამ ვერ უამებდნენ.

არ იკითხავთ, რას იქმოდა ბატონი კიტა იმ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების დროს? არ ვიცი შიშის გამო თუ „ბრძოლის ველის“ კარგად დანახვის მიზნით, იგი განზე გამხტარიყო და ყვირილით მოგვიწოდებდა, ძალადობას შევშვებოდით და დარწმუნების მეთოდი გამოგვეყენებინა. მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო და ძალიანაც რომ მოგვენდომებინა, ველარ დავიხსნიდით თავსა მოსალოდნელი ხიფათისაგან, რადგან ფუხაშვილების „არმია“ მეტისმეტად აგრესორობდა. რაკი თავად მიხვდა, რომ სხვა გზა აღარ არსებობდა. ახლა იმას მოგვიწოდებდა, რომ მკვლელობამდე მაინც არ მიგვეყვანა საქმე, ჭიდაობაზე გადაევლო ჩვენს შეტაკებას. მაგრამ რაკი შეატყო, რომ არც ამჯერად ვიყავით ყურისმგდებელნი, დააძრო თავისი რევოლვერი და თავადაც მეტად შეშინებული უფრო იმის გამო, რომ ეს ცოდვა მისი თაოსნობით დატრიალდა, ფუხაშვილების შესაშინებლად უფრო ატკაცუნებდა ჰაერში. რაკი ჩვენი მოწინააღმდეგენი დარწმუნდნენ, რომ ბატონი კიტა მათზე ტყვიის დამმიზნებული არ იყო და, საერთოდ, ფუჭად ატკაცუნებდა რევოლვერსა, ყური არ ათხოვეს და თავიანთსას განაგრძობდნენ.

შეტაკება გრძელდებოდა.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ამ ჩემმა საბედისწერო ჭიტლაყმა მთელი გარდატეხა მოახდინა „ფრონტზე“, რაკი ფუხაშვილების „მთავარსარდალი“ ყაზბეგა კინაღამ საიქიოს ბეწვის ხიდზე შევაყენე და „ბელადი“ ფედრაც დავამარცხე მისი მეორე „მთავარსარდალის“ — კიმას ხელით, ჩვენს ბიჭებს სიმხნევე შევმატე და უფრო გაბედულად გადაეღობნენ გაალმასებულ ფუხაშვილებს, რომლებიც სულით დაეცნენ და იძულებულნი გახდნენ იარაღი დაეყარათ, იმასღა ცდილობდნენ, ნაჭიტლაყარის და მარგილით დაჟეჟილი კისრის ტკივილი დაეამებინათ „მთავარსარდლისა“ და „ბელადისთვის“. მთელი ჯალაბობა სულით დაეცა. ბალღები ხო მაშინვე აღრიალდნენ, დედებიც ავიშვიშდნენ და ხვეწნითღა ცდილობდნენ ჩვენს განზრახვაზე ხელის აღებინებას, მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილება შეუვალი იყო და მიზანსწრაფვული მოქმედება განვაგრძეთ.

— ბარები, ბიჭებო! — თითქმის სიმწრით ბრძანა გახარებულმა კიტამ. და ერთბაშად დავესიენით ჩასული ამხანაგებიც და ადგილობრივი მხარდამჭერნიც. დავესივენით და სულ სიმღერ-სიმღერით გადავუქექეთ თავი იმ ორმოსაც, მე რომ ზედ ვიდექი და მის ახლო მდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარე სხვა ორმოებსაც, პირთამდე რომ იყო გადავსებული დარკვეული ხორბლითა. ჯერ მიწა გადავაცალეთ დიდი გულმოდგინებითა, მერე ნამჯა ამოვყარეთ დიდი სიფრთხილითა. მერე ძველი ფარდაგები ავაშორეთ და შვინდის სიმსხო ხორბალმა ამოგვცინა. ჰო, მოვუშიშვლეთ თავი დარკვეულ ხორბალსა და დიდ-დიდ ტომრებს ვავსებდით სიმღერ-სიმღერითა. ფუხაშვილების ჯალაბობა, რასაკვირველია, დიდად დამწუხრებული მოწმენი გახლდნენ. მოძალადენი ხელფეხგაკრულნი ეყარნენ, მორჩილნი დაგვდგომოდნენ თავსა და ხორბლის სიმსხო ცრემლები სცვიოდათ. ფედრას ხომ მარგილით დაყეყილი კისერი მივიწყებოდა და ახლა იმიტომ ბღლვინავდა დედამიწასა, რომ წასაღებად გამზადებულ სავსე ტომრებს უცქეროდა. ბღლვნიდა, მაგრამ რას გააწყობდა ხელფეხგაკოჭილი.

ათასამდე ფუთი ხორბალი ამოვიდა ფუხაშვილების ორმოებიდანა, ერთი იმდენი სხვა კულაკებისაგან „შევისყიდეთ“, დავტვირთეთ იმავე სოფელში მობილიზებულ ურმებზე, ქარავნებად ჩავამწკრივეთ და დიდი ზარ-ზეიმით გამოვუყენეთ ქვემო ღელეს გზას. მივდიოდით გამარჯვებულნი ზურნა-დალაბანდის კვრითა და სიმღერითა და თან მოგვქონდა ორი ათასი ფუთი სიხარული — პური ჩვენი არსობისა. ბატონი კიტა ნიშა ცხენზე იჯდა, მალ-მალე წამოიწყებდა „მოვდივართ მოგვიხარიაო“, და ბათქაბუთქი გაჰქონდა მაღლა შეშვერილ რევოლვერსა.

სოფელი ისეთი ზარ-ზეიმით შემოგვეგება, თითქოს ბრძოლის ველიდან ვბრუნდებოდით გამარჯვებულნი. დიახაც, რომ ბრძოლის მოგებას უდრიდა. ვინ იცის, რამდენი მშიერის, ღარიბ-ღატაკის, ქვრივ-ობრის, ობოლ-უპოვარის მადლი მოვისხით, რაც უმთავრესია, რწმენა განვუმტკიცეთ მთელი ხეობის სოფლებს, იმედის ხე გავუნედლეთ და სულიერად დავამშვიდეთ, აწმყოში სახედი თვალ-გულიც დავუწმინდავეთ და მომავალში სამზერიცა ათასობით კაცს, უფრორე ახალგაზრდას, რწმენა ხომ უსასრულოდ გადამდებია.

სანამ ჩვენს მიერ მოპოვებული ხორბალი, ანუ სოფლის სიხარული არ დავაბინავეთ და პატრონი არ გავუჩინეთ, გვერდიდან არ მომიშორა კიტა ართმელიძემ. მერე გადაკოცნით დამემშვიდობა და მომაძახა:

„სიკეთე არ იკარგება ქვეყანაზე!“

შებინდებისას მიუვედი ხოხობას შინა, მეც კარგა დაღლილ-დაქანცული და ნათეთქვი გახლდით და არც ხოხობა დამხვდა თვალგადაკარებული, იმ, წინა ღამითაც ხომ არ მოეხუჭა თვალი და მთელ დღესაც არ მოშორებოდა სარკმელსა, იჯდა, თურმე, და ერთთავად ჩემს გზას გამოსცქეროდა. ავი ფიქრები ებურვოდა. იმის მაგალითები უფრო უღრღნიდა ტვინსა, ჩემნაირად რომ გაურკვეველი მიზნითა და მიმართულებით გაუყვანიათ ჩემნაირები და მერე სულაც რომ ველარ დაბრუნებიან კერას. ვაი თუ, რაიმე შარში გახვიეს და უკვე დამაქვრივეს კიდეცო. ამნაირი შავი ფიქრებით ამოულამებია თვალები, არც ლუკმას იკარებდა, თურმე, და არც სიტყვას არავისასა, ცრემლები იყო მისი პასუხი, რო მივუვედი და დამინახა, ცხრა ცისარტყელა გადაევლო თავზე, არავისი დაირცხვინა, პატარა ბავშვის სიხარულით გამოქანდა, უცებ შემომაღოლდა მკერდზე, ხელები მაგრად მომხვია და ისეთი ჯიგრიანად გადამკოცნა, თითქოს ცხრა დღის ნაომარი დავუბრუნდი. ჩემ ამბავს რო ვუყვებოდი, სუ ტანში აზრიალებდა, რას ამბობ, ცხარე ომი გაგივლიაო, რო მოგსვლოდა რამე, თავს აღარ ვიცოცხლებდიო. ერთი ასად გავეზარდე თვალში და ცდილობდა ერთი ასად ესიამოვნებინა. რა საამო ყოფილა ქალის ალერსი ბრძოლის მერე. დაილოცა ქალის ალერსი, უფრო კი თაფლობის თვეში!

●

მოგვიანებით გავიგე, რომ ამ დიდი „ბრძოლის“ მთავარ გმირად მე ველიარებინე შინაურსაც და გარეულსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მდიდარს ართმევს, ღარიბს
აძლევს,
ღმერთი როგორ წაახდენსა“. — მღეროდნენ სოფელში, მეგონა ბიჭბუჭები ისევ იმ სახელგავარდნილ ყაჩაღს ადიდებდნენ, მაგრამ, თურმე, მე მგულისხმობდნენ მდიდრის წამრთმევად და ღარიბის შემწედ.

ხურვალეთში კულაკებსა
აწყევლინა ბედისწერა,
ამოუჭირა ჭიტლაყი,
ბაყბაყ დევსაც ძირს დასცემსა,
ასი ტომარა აავსო,
მისხალი არ დააკლდესა, — საიდანღა აღარ მესმოდა სიმღერები.

ვისაც სიმღერა არ შეეძლო, ასეთ სიტყვებს მაგონებდნენ:

„აგრემც შენ გამრავლებიხარ დედაშენსა, გაბიდაურიაანთ ესტატეს ბიჭო“.

„შენ რომ ლუკმა არ მოგეშველებინა, ერთმანეთს დავჭამდით!“

„შენ გაიხარე ჩემი შვიდი შვილის გაძღომისათვის“.

„დედამ რომ შვილი გაზარდოს, ამ ჩვენი თაყასთანაო“.

მე კი ისე ჩავივლიდი, ვითომც სულაც არ გამიგონია, გული კი სიამაყით მევსებოდა. ზოგან რომ თონეს ახურებდნენ, ზოგან რომ უკვე ამოყრილი ჰქონდათ ცხელ-ცხელი პურები და გულიანად ილუკმებოდნენ ეზოში გამოფენილი ბავშვები, მეგონა, მეც მეორედ დავიბადე. ჩემდა უნებურად ვასკვნიდი: დედამიწის დასამძიმებლად კი არ მოვსულვარ ამ ქვეყანაზე, პირიქით, მწვანე ბალახად ვქცეულვარ, რომ მეც დავამშვენო ბუნება და სულიერ არსებას ვარგო. ათიოდე კაცს თუ მაინც მოვუნამე გული, ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავსა, დიაღ, სულ ხალხზე ვფიქრობდი, სულ არსენა მელანდებოდა და მწყუროდა ისეთი მართალი, კეთილი და შემართებული ვყოფილიყავი, როგორც ის ცხონებული ოძელაშვილი.

ასი ტომარა აავსო,
მისხალი არ დააკლდესა,
მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს
ღმერთი როგორ წაახდენსა!

კვლავ მღეროდნენ ბიჭბუჭები. [illegible] არ დაგიმალოთ, მეც მემღერებოდა. არა, იმ ბიჭბუჭების ნამღერი, ირიბი ღიმილით ნამღერი არ გახლდათ, როგორც ეს ბევრ ქილიკას ეგონა, პირიქით, მათი სიმღერა გულის სიღრმიდან მოდიოდა და თავიანთი დედ-მამისა თუ და-ძმების სიხარულსაც გამოხატავდნენ. ჰო, ასე ღრმად ვიყავი დარწმუნებული და ახლა იმაზე ვიჭყლეტავდი ტვინსა, თუ როგორ მეარსებნა. კეთილი საქმისთვის ქმედება და თავგანწირვა, სადაც უნდა იყოს, ყველგან არსენობააო, შემომაშველა ჩვენებიაანთ წყალობამ და გულზე მომეშვა.

●

ჩემი სახელი მაღლაც აჭრილიყო. სამაზრო კომიტეტში ცამდე ავეყვანე კიტა ართმელიძეს. ასეთი მოხერხებული, გულადი და თავგადაკლული ახალგაზრდა მთელ რაიონში არ მეგულებაო. ისიც კი თქვა, თაფლობის თვე ჰქონდა ბიჭსა და არ ვიცოდიო. თაყა გაბიდაური რომ არ ყოფილიყო, დავალების ჩაშლას ვინღა იჩივლებდა. ცოცხლებიც ველარ გამოვასწრებდით ფუხაშვილებსაო.

ეს ამბავი მილიციის უფროსის — ლ ა ზ ა რ ე კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი ს ყურშიც ჩავარდნილიყო. ბატონი ლაზარე იმ ხანებში, თურმე, მარჯვე ბიჭებს ეძებდა თავისი სამსახურისთვის, უნახავად მოვწონებოდი და, ცოტა არ იყოს, მეუცნაურა კიდეც, რომ თვითონვე მეახლა სოფელში და შემომთავაზა, რომ მასთან გადავსულიყავი სამუშაოდ. მე, რასაკვირველია, შევიცხადე, ჩემი მისხის-მისხი არა ყოფილა ეგეთ სამსახურში, ეგ რა ჩემი საქმეა-მეთქი. კვანტალიანს სწყენოდა კიდეც, რომ ტლინკები ვუყარე მისთვის საამაყო სამსახურს, სილაღეს ჩვეული ვიყავი, ჩემს ნებაზე აღმა-დაღმა მორბენალი. ან დრაგუნა ჩექმებს როგორ დავიდებდი ბორკილებად, ან ბოლომდე შეკრულ-შეკოჭილ საყელოში როგორ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოვიხუთავდი სულსა, ანდა როგორ გავუძლებდი დროის არტახებსა. ლაზარე დამილონდა, საბჭოს თავმჯდომარე და კომკავშირის კომიტეტის მდივანი წაეშველნენ: ხალხის სარგო საქმეა, ჩვენ ყველანი ხალხის სამსახუროდ ვართ წოდებულნი, ხალხი ითხოვს, რომ მას ემსახურო და გვიკვირს, რად შეგიშვერია თავი შენივე ხელით აგდებული ქვისთვისო.

— ხალხი?! — შევჭოჭმანდი.

— ჰო, ხალხი, რომელიც თავის გმირად გაღიარებს, — შემომცინა უფროსმა.

მაშინ ეჭვი შემეპარა უფროსის ნათქვამში, მაგრამ იმათი წასვლის მერე, ბარე ხუთი ჩვენებური გლეხი რომ მომადგა, თანაც ისეთები, რომლებსაც ჭკუა ეკითხებოდათ და რიგრიგობით მირჩევდნენ — ბედი კარზე მოგდგომია და ხელს ნუ ჰკრავო, თუ გინდა, რომ ხალხსა და სოფელს არგო, მაგ ხელობას უნდა მოჰკიდო ხელიო, ცოტა გული მომილბა, მაგრამ ვეუარე, ჩემს სილაღეს ოქროს ხუნდებზე არ გავცვლი-მეთქი.

მერე მღვდელი მეახლა, იმან ზეციდან დამიწყო, მე მალე ჩამოვიყვანე დედამიწაზე, იმასაც უარი, — ვერა, ბეწვის ხიდზე ვერ შევდგები-მეთქი.

ლაზარე კვანტალიანი კვლავ მეახლა, კვლავ უარით ვატკინე გული.

— არსენა ოძელაშვილი რომ ჩემს ადგილას ყოფილიყო, ფორმას ჩაიცმევდა?!

უფროსმა ყური ჰკიდა ჩემთვის ნათქვამ-ნაჩურჩულებს და უმალვე მომიგო:

— არსენა რომ ცოცხალი იყოს, რიგითი მილიციელი კი არა, პოდპოლკოვნიკზე ნაკლები ჩინი არ ექნებოდაო, სხვა, უკეთეს სამსახურს რას აირჩევდა სიმართლისა და პატიოსნებისთვის მებრძოლიო.

— თუ ასეა, რად ებრძოდა ფორმიან კუჭატნელსა და რატო თვითონ არ ჩადგა პოლიციის სამსახურში ის ჩვენი არსენა მარაბდელი? — ვიცოდი, მაგრამ განგებ შევეკითხე.

— მაშინდელი დრო სხვა იყო, ჩემო გაუზრდელ-გაუწვრთნელო ყმაწვილო, — ალერსით გადამისვა თავზე ხელი — ეხლანდელი სულ სხვაა. მაშინდელი პოლიცია ხალხს სულსა ხდიდა, ეხლა კი, ნუთუ მე უნდა გასწავლიდე, რომ პირიქით არის? ჩვენ ხომ სიმართლესა და ხალხს ვემსახურებით, არ დაგავიწყდეს, რომ სახალხო მილიციას გვეძახიან.

მე, მოწინავე კომკავშირელს, შემრცხვა, რომ ასეთი რამ წამოვროშე, სხვას ვარკვევდი ახალი ცხოვრების ვითარებაში და ეს როგორ წამომცდა, მაგრამ იქვე დავიმშვიდე თავი, რადგან უცებ გამახსენდა, ეს კითხვები იმიტომ დავუსვი, რომ უფროსის გონებრივი ავლა-დიდების გაგება მინდოდა. სადღაც მესიამოვნა კიდეც, რომ ჩემი და კვანტალიანის აზრები ერთმანეთს ემთხვეოდა, მაგრამ მაინც უარით გავისტუმრე.

„შენი ნებაა, კარგად დაფიქრდი! — ნაწყენად მომმართა და გამომემშვიდობა. — გახსოვდეს, რისთვის ხარ წოდებული, ხალხი გთხოულობს და წიხლს ნუ უკრავ ხალხის სურვილს!“ — მომაძახა და გაუჩინარდა.

მე კარგა ხანს ვწონე ეს სიტყვები ჩემთვის. მერე ჩემიანებიც მოვიშველიე, მაგრამ ბევრი ვერაფერი მიშეღავათეს. როგორც გუნებამ გითხრას, ისე მოიქეციო, მირჩია დედაჩემმა, მამაჩემმა იგივე დაადასტურა, ოღონდაც ის იგავი მაინც გამახსენდა, მამაშვილი რო მიდიოდა ვირითა სოფელსოფელა.

საბოლოოდ ხოხობას მივუგდე ყური: „ნება შენი ასრულდეს!“ — თქვა ხოხობამ თითქმის ჩურჩულითა, მე კი ვეამბორე იმ ბაგეზე, რომელმაც ჩემს გულზე საცხები სიტყვები წარმოთქვეს. ამბორით გაოგნებულმა ძლივს მოვისმინე მომდევნო ფრაზა: ურიგო არ იქნებოდა, ეგება ჩვენც მოვწყოდით წუთისოფელსაო. მე, რასაკვირველია, ვა-

ნუგეშე; ისედაც მოგწევ წუთისოფელსა-მეთქი.

მერეც თითქმის ერთდროულად მოგვეწყურებოდა ერთმანეთი. ბაგე-ბაგეს მივუახლოვეთ, იქაურობას გამოვეთიშე, ხოხობას მეტი არავინ და არაფერი მაგონდებოდა, მაღლა-მაღლა ასაფრენად ვიწეოდი, ხოხობაც, რასაკვირველია, მაღლა-მაღლა უნდა გამომყოლოდა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ასე აღარ მოხდა, „ციც!" — გამოუცნობად გამიღიმა ხოხობამ, ტუჩებზე თითები მიმაჭირა. თვითონაც უკან დაიხია და მეც უკან დამწია. მე ეს ჩვენი ალერსის ერთ-ერთ ილეთად ჩავთვალე, ჯერ ის თითები მოვუკოცნე, მერე მოხვევნა დავაპირე, მაგრამ, ვერ მოგართვით, და გამისხლტა. ესეც თამაშად მივუთვალე და ისევ განვიზრახე მისი მოხელთება. მაგრამ ხოხობა განზე გახტა...

— ეხლა კი ჩემი თავი შენ გენაცვალოს! — გამარჯვებულის ღიმილი გადაივლო, როცა პირობა დამტყუა. ხოხობამ მეორე დღესვე მაახლა ლაზარე კვანტალიანს და ღიმილით მათქმევინა: ბატონი ბრძანდებით-მეთქი.

ასე რომ სხვა ნურავინ ნუ ჩაიდებს წილსა, მხოლოდ ხოხობამ მომთაფლა თაფლობის თვეში და მიმაყენა იმ ახალსა, უძნელესსა, მაგრამ ხალხისთვის უუსაჭიროეს სარაინდო გზას, რომელიც რიგიანად ვერ წარმომედგინა, თუ საით წამიყვანდა.

ძალიან გვიან გავიგე, რომ ჩემი მრჩეველნი და გადამბირებელნი: გლეხები, მღვდელი, და თვით ჩემი დედა, მამა და ხოხობაც კი ღრმად პატივცემული ლაზარე კვანტალიანის მოგზავნილნი იყვნენ და სრულებითაც არ ვნანობ, პირიქით, უსაზღვროდ მოხარული ვარ, რომ სწორედ ამ ხიფათებით აღსავსე გზაზე დამაყენეს ბედმა, ცხოვრებამ თუ ხოხობამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კაი მთქმელს კაი გამგონე უნდა ანუ ყველაზე მძლავრი და ყველაზე გემრიელი რამ

ჩვევად მექცა: სამსახურიდან დავბრუნდებოდი თუ არა, უმალვე გამომეცვალა ტანსაცმელი და პირველ რიგში შემემოწმებინა ჩემი ნუგეშა — ტყვია არ დებულიყო შიგა და ეშმაკს არ გამოერტყა სალოკი თითი სასხლეტისათვის. ეს აუცილებლად მივიჩნიე იმიტომაც, რომ ჩემს ხოხობასაც უყვარდა ნუგეშას მალ-მალე ხილვა და მოფერება. ჩემი სიყვარულით მასაც ადამიანივით ელერსებოდა.

ხოხობას სხვა ზნეც დასჩემდა: შუაღამისასაც რომ მივსულიყავი (ასე დაგვიანებით მისვლა კი ხშირად მიწევდა ჩემი სამსახურის თავისებურების გამო), ჩემი ხოხობა უთუოდ თვალფხიზელი დამხვდებოდა და ღიმილით მომეგებებოდა. რასაკვირველია, მიხაროდა, მაგრამ მაინც ვუწყრებოდი, სიყვარულით უფრო:

— რატომ არ იძინებ ჩემს მოსვლამდე?!

— შენ გღვიძოს, ჩემო თვალისჩინო, და მე მეძინოს?!

— მე სამსახური მაქვს ეგეთი.

— მე უფრო დიდი სამსახური მაქვს.

— ?!

— შენზე ვიფიქრო და შენს ლანდს ვეფერო! — ღიმილით მომხედავდა და მეც ენა დამებმებოდა. ისიც დამრჩენოდა, ნაზი ამბორით გადამეხადა მადლობა.

ეს ზნე თაფლობის თვეში დასჩემდა და მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოჰყვა.

ჰო, მოვიდოდი სამსახურიდან, ზოგჯერ მამლის ყივილისას და ცისკრის წინა ჟამისასაც კი, გავივლიდი სოფელში, არე-მარე გატვრენილიყო, წყალსაც კი მოსვლოდა ძილი, ყველას სახლი ჩაბნელებულიყო, მარტოდმარტო ჩვენი ბინიდან გამოდიოდა სინათლე, ვერ დაგიმალავთ, გულში სიამე ჩამიდგებოდა, წარმოვიდგენდი:

ჩემი ხოხობა თავისი მზითვის მაგიდას უზის, ან ხელსაქმობს — თბილ-ქათქათა ხალათს მიქსოვს, ალბათ, ჩემს სახელს ამოქარგავს ფერადი ძაფითა, ანდა წიგნს კითხულობს (ესეც დასჩემდა ჩემს ლოდინ-ლოდინში). ძაღლები რომ გაიყეფებოდნენ, ჩემმა ქალბატონმა უკვე იცოდა, რომ მე მივდიოდი, წამოდგებოდა, კარებშივე შემომაგებებდა ღიმილს, ნაზი კოცნით დამაჯილდოებდა. ამას მით უფრო აუცილებლად თვლიდა: რომ სამსახურიდან გამოყოლილი ჯავრი იქვე გადაეყრევინებინა გულიდან, ტანსაცმელს ჩამომართმევდა, გაფერთხავდა, დაასუფთავებდა და იქვე ჩამოჰკიდებდა ირმის რქაზე, შესასვლელში რომ მქონდა მიმაგრებული! ისიც უნდა გავიხსენო, რომ ჩემი ტანსაცმელის მოვლის დროს ჩემი ხოხობა ყმაწვილივით ცნობისმოყვარეობდა; ჯიბეებსაც გულმოდგინედ მითვალიერებდა და, ღმერთო, შეგცოდე, ჩემ ვერდასანახად საფულესაც საფუძვლიანად მიქექავდა. მოგვიანებით ვიგუმანე: ეს უჩვეულო ჩვევა ჩემს ჩუმად ხომ არ გადაედო-მეთქი ჩემი თანამოსაქმე ე რ ა ს ტ ი  ვ ა წ ა ძ ი ს მოგვრგვინე ქალბატონ ს უ ლ ი კ ო ს ა გ ა ნ, რომელსაც, თურმე, ავადმყოფობად ჰქცევია: ქმარი რომ სამსახურიდან დაბრუნდებოდა, დიდი სიხარულით იმიტომ უფრო ჩამოართმევდა ტანსაცმელს, რომ ყველა ჯიბე გაეჩითა საგულდაგულოდ (ეს ჩემი ნიადაგსახმარი სიტყვა არ გახლავთ, დღევანდელ „მჩითავ“ ყმაწვილებს დავესესხე) და სასიხარულოსაც მიაგნებდა — იმ დღისით ნაშოვნ „პურის ფულსა“. ქალბატონი სულიკო, თურმე, ისე გულმოდგინედ უსუფთავებდა ჯიბეებსა და საფულეს, რომ ერასტი ვაწაძეს, რომელსაც ენაულაგამო ბიჭბუჭები „კუსოჩნიკს“ ეძახდნენ, ალბათ, მოფერებით უფრო, — ლუდის დასალევი ფული აღარ რჩებოდა და იძულებული ხდებოდა იმ დღისით ნაშოვნი „პურის ფულის“ მცირედი ნაწილი მაინც გადაემალა მიუგნებელ ადგილას — ან ქუდის შიგნით სალტეში ჩაეჩარა, ანდა თვით რევოლვერის ბუდეში გაეუჩინარებინა ტყავსა და ტყავს შუა; მაგრამ მეტად ყნოსვაგამძაფრებული (მაპატიოს ამ გამოთქმისათვის) ქალბატონი იქაც აგნებდა, თურმე, და გაწბილებულ ქმარს ისღა დარჩენოდა, რომ მწარე ღიმილით მიემართა: „მიაგენი, საყვარელო?“ ბოლოს ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ შეთანხმებულან, რომ თავისი ნაოფლარიდან, უფრო მართლად, ნამამაძაღლარიდან, ქმრისათვის დაეტოვებინა გარკვეული პროცენტი, რომელსაც „თავისი წილი“ შეარქვა, ლუდის ან ვაჟინიანი წყლის დასალევად, ისიც „გეგმის“ ზევით გადანაჭარბიდან.

ასეთი რამ შორს ჩვენგან. მხოლოდ იმად გავიხსენეთ, რომ ჩემი ხოხობა მაგის ქალი არ გახლდათ, ეხლაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ ავი განზრახვით არ მითვალიერებდა არც ჯიბეებსა და არც საფულესა, მით უმეტეს, ნუგეშასა, მით უფრო თაფლობის ჟამს. მის ხელის ფათურს მოსაფერებელი ხელის მოსმა უფრო ეთქმოდა. მელია რომ ყურძნის სიყვარულით ღობეს ეფერებოდა, ისე მოსდიოდა ჩემს პატარძალს. ხოხობამაც თავისი საკუთარივით შეიყვარა ჩემი ნუგეშა და თოთო ბავშვივით ეფერებოდა.

მაშინაც შუაღამისას მოვედი შინ. რასაკვირველია, ხოხობას ელვიძა. ჩვეულებისამებრ მომეგება, მხურვალედ მეამბორა, კარგა ხანს მეფერა და გულიდან გადამიყარა ყველა უამურობა, რაც იმ დღისით დამგროვებოდა (უამურ განცდებს რა გამოლევდა, ყველა საცოდაობა და უსამართლობა გულთან მიმქონდა). ჰო, იქვე გადამყარა უამურობანი გულიდანა, დატრიალდა, გემრიელად მავახშმა, მოკლედ მაამბობინა იმ დღისით მომხდარ ამბებზე, შესაქები შემიქო, დასაგმობი დამიგმო, რასაკვირველია, საალერსო ტონითა, კვლავ დამაჯილდოვა კოცნაალერსითა და გაშლილი ლოგინისაკენ გამიძღვა ხალისითა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი ნუგეშასათვის ძილის დროს განსაკუთრებული ადგილი მქონდა მიჩენილი, საწოლთან ახლოს ჩამოვკიდებდი ხოლმე, რათა თან შემემზირა ჟამიდაჟამ, და ხელიც მიმეწვდინა, ვინიცობაა მოულოდნელი რამ მომხდარიყო, უცებ წავწვდომოდი, ძილის წინ ერთხელ კიდევ მიმოვათვალიერებდი, მიმოვეფერებოდი კიდეც და ისე დავხუჭავდი თვალებსა. ამ ჩვევაშიც მძაბავდა ჩემი ხოხობა, ცოტა გადამეტებული ყურადღებითაც იქცეოდა ნუგეშასადმი, ჩემი სიყვარულის გამო უფრო.

იმ საღამოს ხოხობა ნაზად შეამბორა ძილის წინ, ლოგინში და ისე განემზადა საძილედ, უფრო მართლად, ჯერ მე დამახუჭინა თვალები თავის თითებით, ტუჩების შეხებასავით რომ მესიამოვნა, დილაზე ადრე მოგიწევს ადგომა, დაიძინე, სხვა არაფერზე იფიქროო. — ჩამჩურჩულა, ღამე მშვიდობისაც მისურვა და გადაბრუნდა. თვალი კი მეხუჭა, მაგრამ ვერ გეტყვით, რატომ, ვერა და ვერ გავიკარე ძილი. განზრახ შევწრიალდი, ხოხობასაც, თურმე, ტყუილად ეხუჭა თვალები, იმანაც უმალვე შეატოკა ტანი და სულ დამეკარგა ძილი, ფრთხილად ჩავახველე და ისიც არ დამრჩა ვალში.

— შენცა გღვიძავს? — მოგვიანებით გადავჩურჩულე.

— ჰო, — უმალვე მომიგო.

— რა გაფხიზლებს?

— რაც შენ...

ეს ზოგადი პასუხი საჩემოდ ვთარგმნე გულში, მესიამოვნა და ძუძუს გოჭივით გავტვრინდი.

ხოხობამაც იტვრინა.

ასეთ ჟამს, კეთილი ჯიბრით უფრო, განგებ მოიმძინარებდა ხოლმე თავსა და ძვირად მისვამდა განგებ გატვრენას და რომ „დაძინების“ საშუალება არ მიმეცა, ამჯერადაც მცირე საუბრის წამძღვარება განვიზრახე.

— ჩემო ხოხობა!

— ჰმ! — ძილისაკენ გადაძლეულივით წაიზმუკუნა.

— ხო არ წაგთვლიმა?

— ხო... არა... რა იყო?!

— თუ იცი, რა არის ყველაზე მძლავრი იარაღი?

ხოხობა, ეტყობოდა, სულ სხვა თემაზე სასაუბროდ იყო განწყობილი და ჩემი კითხვა შეიცხადა, მაგრამ სრულებითაც არ შეიმჩნია, გადმობრუნდა, ისიც გულაღმა გასწორდა და ცოტა დაფიქრების მერე მომიგო:

— რა და, ქვემეხი. (მაშინ ატომური ყუმბარა ჯერ არ იყო გამოგონილი).

— არა, ჩემო ხოხობა.

— ყუმბარა.

— არა.

— ავტომატი.

— არა.

— შაშხანა.

— არა.

— ჩვენი ნუგეშა! — სიხარულით წამოიძახა კარგა ხნის ფიქრის მერე.

— ვერ გამოიცანი.

ხოხობამ კვლავ იტვრინა. ეტყობოდა, ძაან დაძაბა გონება.

— ჰა, ხოხობა, რა არის ყველაზე მძლავრი იარაღი? — სიცილით შევახსენე.

მცირე ხნის შეყოვნების მერე ხოხობამ პირს სიცილი მოიყენა და წინასწარ დარწმუნებულმა მომმართა:

— რო გამოვიცნო, რას მომცემ?

— რაც შენ გინდა...

— დიდი ეშმაკი ხარ... — ხალისით შეწრიალდა ხოხობა.

— შენზე დიდი მაინც არა... აბა, გამოიცანი, რა არის ყველაზე მძლავრი იარაღი?

— რა, ჩემო სიცოცხლევ და... — სიცილითა და სიხარულით ჩამჩურჩულა, რამდენიმე სიტყვა, ღრმად იყო დარწმუნებული, წყალი არ გაუვიდოდა ამ ჩანაფიქრ პასუხს.

— ვერ მოგართვი! — სიცილითვე მივჩურჩულე.

ცხელ გულზე ცივი წყალი გადაესხა.

— მაშ, რა არის?! — გაბრაზებით შეტოკდა ლოგინში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაა, ჩემო ხოხობა და სინ-დი-სი.

— ეგ რაღამ მოგაფიქრა? — მისაყვედურა კარგა შეყოვნების მერე.

— რამა, ჩემო ხოხობა, და, ჩემმა ნუგეშამ მაფიქრებინა, დაწოლის წინ რომ შევავლე თვალი. გულში მადლობა ვუთხარი დღევანდელი ამბის გამოც, ერთხელ კიდევ რომ მასახელა, და საერთოდაც. გულში მივმართე: „ქვეყანაზე არ არსებობს შენზე კარგი იარაღი, რომელიც ბოროტებას თრგუნავს"...

— ეგ არ ვთქვი წეღან! — უცებ შეიშმუშნა ხოხობა.

— მაცალე, მეც ეგრე მეგონა, მაგრამ მაშინვე ვიღაცამ თუ რაღაცამ ჩამჩურჩულა ყურში: სიკეთეს მაშინ ემსახურება იარაღი, როცა მისი მომხმარებელი სინდისიერია და, მაშასადამე, მართალია (სინდისი, სიმართლე და სიყვარული ტყუპისცალი ძმები არიან), ხოლო თუ უსინდისო კაცის ხელში ჩავარდა იგივე იარაღი, მაშინ, პირიქით, სიკეთის დამთრგუნველი გამოდის. ამიტომ ყველაზე მძლავრი იარაღი სინდისი და, მაშასადამე, სიმართლე და სიყვარულია და არა ცეცხლსასროლი.

— სინდისი ყველაზე მძლავრი იარაღი კი არა, ყველაზე მძიმე ბორკილია, ტვინზე და გულზე რომ ადევს ადამიანს... — მოულოდნელად მომახალა თანამეცხედრემ... მე ჯერ შევიცხადე, როგორ უარყოფს ჭეშმარიტებას, რომელსაც წყალი არ გაუვა-მეთქი, მაგრამ მივუხვდი, რომ ან განგებ მაღიზიანებდა, რათა უფრო მკაფიოდ ჩამომეყალიბებინა ჩემი აზრი, რაიც სხვა დროსაც მოუმოქმედია, უფრო მართლად, აზრთა ჭიდილში დადგენილიყო ჭეშმარიტება, ანდა იმ შუაღამისას, როცა ყველას ეძინა ჩვენს გარდა, სულაც არ იყო განწყობილი ზნეობრივ საკითხებზე სამსჯელოდ და ერთგვარად ღიზიანდებოდა კიდეც ამდენს რომ ველაპარაკებოდი, ჩანაფიქრს ვუუგემურებდი. ისიც ვიფიქრე, ალბათ, სულ სხვა მიზანი აქვს ამის გამაღიზიანებელ პასუხს-მეთქი და სრულიად მშვიდად ვუსაყვედურე:

— რაღაც ვერ მომწონს შენი ნათქვამი, ჩემო ხოხობა!

— მაშინ სხვის ნათქვამს მოგახსენებთ, — მომიგო და საბნის ზემოთ თვითონაც ამოყარა შიშველი მკლავები და მეც ეგრე მაქნევინა, ალბათ, იმიტომ, რომ უფრო თავისუფლად გვეგრძნო თავი. მე იმთავითვე მიყვარდა სილაღე და ადვილად დავმორჩილდი. თანაც დამცხა კიდეც.

— ვის ნათქვამს? — ვკითხე იმ დროს, როცა საბანიც გამისწორა და განგებ თუ შემთხვევით თავისი ფუმფულა მკლავი მოუხვდა ჩემს ცხვირზე და საამო სურნელებამაც შემილიტინა ნესტოებში.

— ბებიაჩემისას, „ვეფხისტყაოსანი" ზეპირად რომ იცოდა და ზღაპრების გუდასაც ვეძახდით.

მე ვიტვრინე.

— ერთი ზღაპარი ჩამრჩა მეხსიერებაში, — თან მელაპარაკებოდა და თან საბანს დაბლა-დაბლა სწევდა. ალბათ, იმის გამო, რომ მასაც დასცხა.

— რომელი?

— „განკიცხული სინდისი", — კიდევ ჩაიღელა საბანი, ალბათ, იმიტომ, რომ ჩემზე უარესად უყვარდა სილაღე და სიგრილე.

— „განკიცხული სინდისი?!"

— ჰო, რას გაიკვირვე? — ჩემკენაც ჩაღელა საბანი.

— რაო, რა არის ნათქვამი? — უნებლიედ შევწრიალდი.

— სასაცილოა, მაგრამ ძაან დამაფიქრებელია!

მოსასმენად გავინაბე.

— ბებიაჩემის მონაყოლი ასე დამამახსოვრდა (რასაკვირველია, ძალიან მოკლედ მიამბო ხოხობამ, რადგან შუაღამე უკვე კარგა ხანია გადასული იყო და მეც ერთი სული მქონდა, როდის დაამთავრებდა) ერთ ქალაქში, მგონი, ისპაანში, მაშინ, როცა ქვეყანაზე ქუხდა, სინდისი დადიოდა კარდაკარ უჩინმაჩინის ქუდითა, ყველა

ხელობისა და სიმაღლის ადამიანს მიადგა და ყირამალა დააყენა ყველაფერი, ხელოსნის სულში ჩასახლდა და ხელობაზე ხელი ააღებინა.

სოვდაგრის სულში ჩასახლდა და ვალებში ამოაღრჩო.

მემამულის სულში ჩასახლდა და ისე გაღატაკდა, რომ გალოკილი თითივით დარჩა.

მოლას სულში ჩასახლდა და სული ამოხადა.

ფალავანის სულში ჩასახლდა და სამუდამოდ დასცა ბეჭებზე.

სარდლის სულში ჩასახლდა და თავისივე შუბი იძგერა გულში.

კარის პოეტის სულში ჩასახლდა და თავი ჩამოახრჩობინა.

შაჰის მცველის სულში ჩასახლდა და წყალს მიაცემინა თავი.

თვით შაჰის სულში ჩასახლდა და მეორე დღესვე ჩამოაგდეს ტახტიდან.

ერთი სიტყვით, ვის სულშიაც ჩასახლდა, ყველას ბედი უკუღმა დატრიალდა, — დაასკვნა ხოხობამ და, არ ვიცი, გამარჯვების ნიშნად თუ სიცელქე-სილაღით მოუვიდა, ფეხები აიქნია და საბანი ძირს გადავარდა.

— ეგ ზღაპარია, — თან თვალი გამექცა ხოხობას შიშველი ტანისაკენ, რაიც მშვენივრად ჩანდა სარკმლიდან შემოღწეული მთვარის შუქზე.

— სინამდვილეშიც ეხლავე გამოგიჭერ! — და კალმახივით შეიფრთხიალა ლეიბზე, რასაკვირველია, გამარჯვების იმედით აღტაცებულიყო.

მე ვიტვრინე.

ხოხობა კი ჩემკენ გადმობრუნდა, ძალიან ახლოს მოიწია, ცხვირი ცხვირთან მომიტანა და ღრმად ჩამაცქერდა თვალებში, მთვარის შუქზე ვამჩნევდი რომ ოდნავ ღიმილი მოეყენებინა თვალის კილოებში და დაჟინებით მომშტერებოდა, ალბათ, ეწადა შეეტყო, თუ რა ხდებოდა ჩემი თვალების სიღრმეში, და, მაშასადამე, გულშიც.

ამ უცნაურმა ჩაჟინებამ სულ ამიბნია გონება, სისხლი ამიჩქროლა და...

გავიხსენებ, რომ ისევ თაფლობის ჟამი გვედგა და ისევ ძლიერ გვწყუროდა ერთმანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰაა, ჩემო თაყა, ეხლა რაღას იტყვი?

— სათქმელი აღარაფერი მაქვს! — მივუგე დაბნეულმა.

. . . . . . . . .

— ხომ ვარ მართალი?! — გამარჯვებულის კილოთი მომმართა.

— არა! — მტკიცედ მივუგე მეც.

— მაშ წეღან რატომ დამეთანხმე!

— შენნაირ ლამაზ მანდილოსანთან სხვა გამოსავალი არა მქონდა, — სიცილ-სიცილით ამოვთქვი.

— უსინდისო! — სიცილითვე მომაწყევლა.

— მაგ წყევლითაც ადასტურებ, რომ სინდისი ყველაზე მძლავრი იარაღია და შენ მართალი არა ხარ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არასწორად უდგები საკითხს.

— არ მესმის.

— ის დრო და ქვეყანა სულ სხვა იყო, შენ რომ მოჰყევი, ჩვენ კი სულ სხვა ხანაში ვართ.

ხოხობამ იტვრინა.

— ბოლოს ხომ მაინც აგაწევინე ხელები! — თითქმის ჩურჩულით ვთქვი და გვერდზე გადავბრუნდი.

— მოიცა, ბევრჯერ შეგაცვლევინებ მაგ შენს „მსოფლმხედველობას“. — უკმაყოფილოდ ჩაიბუტბუტა ხოხობამ და იმანაც მომაქცია ზურგი.

●

ა ვ ტ ო რ ი ს მ ი ნ ა წ ე რ ი: ეს პაწია ამბავი თაყა გაბიდაურს თავად კი დაუწერია პირველ ვარიანტში, ანუ „გაშავებულში“, მაგრამ გადათეთრებულში აღარ გადაუტანია. გაშავებული ვარიანტი მოგვიანებით გადმოგვცა ტარიელ დევიძემ, იგივე ბირილემ, იმ შავშიც ბირილეს ხელი ურევია, მეტადრე ბოლოში, ბატონ თაყას შეზარხოშებისას აქვს ნათქვამი ჩემთანა, დასაკარგავად მეაფსუსაო. მართალი გითხრათ, მეც ვერ შეველიე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაყა გაბიდაურის მემუარების გაგრძელება:

ღრმად მწამდა, რომ წინააღმდეგ ხოხობას შეხედულებისა, სინდისი მართლაც ყველაზე მძლავრი იარაღი იყო, და მიუხედავად ჩემი შეუბზარავი რწმენისა, ხოხობამ ისეთ მდგომარეობაში ჩამაყენა, ისეთი თილისმა იხმარა, ისეთი გუნება-განწყობა შემიქმნა, რომ მცირეხნობით მაინც მომაქცია თავის აზრისაკენ და სინდისისაგან განმძარცვა. მერე რო დამეწმინდა გონება, ჩემებურად რომ ჩავუღრმავდი ჩემ აზრ-რწმენასა, აღარადაარ მასვენებდა სინდისი, რომ ასე უსინდისოდ მოვექეცი ჩემს რწმენა-შეხედულებას. სადაც ვიყავი, სამსახურში თუ სხვაგან, — სულ ამაზე მეფიქრებოდა, სულ სინდისის ღალატი მქენჯნიდა და ერთი სული მქონდა, როგორ გამომესყიდა ჩემი ცოდვა.

საამისო ჟამიც დამიდგა.

ცივი წყალი შევიშხაპუნე სახეზე, ტანიც გვარიანად დავიმასაჟე (ასე მჩვეოდა გაღვიძების მერე), ბაღში გაველი, ვაზებს ნამხრევი შევაცალე, პამიდორსაც შემოვუთოხნე, სხვა გასაკეთებელმაც არ მომასვენა, კაკლის ძირში ჩამოვჯექი კარგა მოღლილი და ხოხობას ვანიშნე (აქვე, ახლოს რომ ჩაცუცქულიყო და ხახვის კვალს მარგლიდა), ისიც მოსულიყო და დაესვენა. ცოტა მოვუფონე სათქმელს და მივმართე:

— რა აზრისა ხარ სინდისზე?

ხოხობამ შეიცხადა, თვალების მოვიწროვება-მოჟუჟუნებით ამხედ-ჩამხედა და ხალისით მომიგო:

— ეშმაკობას თავი გაანებე!... მაშინაც ეგრე შემოვლით დაიწყე...

არ ვიცი დარწმუნდა თუ არა, რომ არავითარი სიეშმაკე არ მედო გუნებაში, მრავლისმეტყველად ამხედ-დამხედა და კითხვა შემომიბრუნა:

— შენ რა აზრისა ხარ?

— ისევ იმ აზრისა.

— მეც ისევ იმ აზრზე ვდგევარ, თანაც ძალიან მტკიცედ.

ერთმანეთს ჩავხედეთ თვალებში.

— ხალხი, ხომ იცი, უტყუარია, ჩემო ხოხობა.

— ჭეშმარიტად, ხალხი არასოდეს არა სცდება.

— ჰოდა, ერთი ხალხური ლექსი გამახსენდა, ცოცხალი გახლავს იმისი მთქმელი, — თან გუნებაში ვიღიმებოდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, ვეტყოდი თუ არა ამ ლექსსა, უმალვე ავაწევინებდი ხელებსა ჩემს ჯიუტ მოწინააღმდეგეს. და ხან მარწმუნებელი გამოთქმით მივაყოლე:

ვერც ჯადომ მიგდო ხიფათი,
ვერც მომერია თილისმა,
ვერც გამაკვირვა სიცოცხლემ,
ვარდმაისობამ დილისამ,
ვერც გამაგიჟა ლამაზმა,
ვერც წამაქცია ღვინის სმამ,
...ვერცა მძვინვარე ზამთარმა,
ვერცა თაკარა ივლისმა.
და მხოლოდ შემკრა, შემბოჭა
ჩემმა კაცურმა სინდისმა! —

და უაღრესად დარწმუნებულმა, რომ ნაღდად გავიმარჯვე, ფხუკუნი წამომცდა.

ხოხობამ უფრო გაბედულად ჩაიფხუკუნა.

— რა გიხარია?! მაგ ლექსის ყველა სიტყვა შენ გამტყუნებს.

— არ გადამრიო! — კვლავ ამოვიფხუკუნე.

— ეხლავე დაგარწმუნებ.

— აბა, შენ იცი! — მაინც მეფხუკუნებოდა.

— „ვერც ჯადომ მიგდო ხიფათიო", იმდღეს არ წამოგცდა: ეს რა მოჯადოებულ წრეში ვტრიალებ შინ თუ გარეთო?!

— ეგ გაბრაზებულმა ვთქვი... მერე?!

— „ვერც მომერია თილისმაო", თილისმით არ იყო, იმ ღამეს რო აზრი შეგაცვლევინე სინდისზე?!

— ეგ მცირეხნობით, თანაც საჭიროების და გარემოების გამო, მერე?!

— „ვერც გამაკვირვა სიცოცხლემო", შენ არა ხარ სიცოცხლე რომ თავდავიწყებით გიყვარს და გიკვირს კიდეც?

— რა არის ცუდი ამაში?! მერე?!

— დილის ვარდმაისობამაც ვერ გამაკვირვაო, ვარდმაისობა არ იყო, თანაც დილა, მზე რომ ამოდიოდა და გიკვირდა, ეს რა უმშვენიერესი დილა არისაო, ეს რა საოცრებააო, თანაც ბავშვივით რომ ხტუნაობდი?

— შენი სიყვარულითა ვხტოდი, გოგო!

— „ვერც გამაგიჟა ლამაზმაო“, ვერ გაგაგიჟე?

— ჰო, მერე? — თან გულში მიხაროდა.

— „ვერ წამაქცია ღვინის სმამაო“, შენ არ იყავი, ტახტზე რო დაგასვენეს ლელტი მთვრალი, ბიძაჩემმა რომ დაგვპატიჟა?

— იმხელა ყანწი გამომაცლევინეს და... თანაც შენი სადღეგრძელო იყო და სწორედ შენი სიყვარულით დავთვერი.

— სულ ერთია, ხო წაგაქცია ღვინომ.

— მერე, მერე?! — თან პირს სიცილი მომდიოდა, რადგან ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ლექსის მოქნეული ბოლოთი ჩავჭრიდი ხოხობას.

— „და მხოლოდ შემკრა, შემბოჭა, ჩემმა კაცურმა სინდისმაო“, მეც ეგ არ გითხარი, სინდისი ბორკილია-მეთქი, ტვინზე და გულზე რომ აწევს პატიოსან ადამიანსა?! სინდისი თუ ეგრე შეგბოჭავს და შეგთოკავს, ხელ-ფეხს შეგიკრავს და ველარ გაინძრევი, როგორღა უნდა იმოქმედო, რაღა იარაღი ყოფილა ის შენი სინდისი?!

— მაგ ბოლო სიტყვას ღრმად უნდა ჩაწვდომა, ჩემო ხოხობა. კაცს ისე ვერაფერი შებოჭავს, როგორც სინდისიო, ლაპარაკი იმაზე, რომ ადამიანს ავსა და უსინდისო საქმეს არ ჩაადენინებსო.

— საქმე ის გახლავთ, რომ სინდისი მხოლოდ სინდისიერ, ანუ პატიოსან ადამიანს ბოჭავს, უპატიოსნოს და, მაშასადამე, უსინდისოს ვერ შებოჭავს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ შემბოჭველი, ანუ სინდისი მას შესაბოჭველი, საერთოდ არ გააჩნია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ამიტომ უსინდისო ადამიანი არ უნდა აღიზარდოს, მთელი ჩვენი სიცოცხლე და ენერგია უნდა მოვანდომოთ იმას, რომ ადამიანი დედის მუცლიდანვე აღვზარდოთ სინდისიერად.

— და მაინც რომ ასე უხვად არსებობენ უსინდისოები, იმათ რა ვუყოთ?

— სინდისიერად უნდა ვაქციოთ.

— რითი?

— სინდისით... — და გამომცდელად შევხედე.

— ვერა, ვერ გაგიგეთ ვერც შენ და ვერც შენს მთქმელს.

— კაი მთქმელს, კაი გამგონე უნდაო.

— მეც მანდა ვარ, ძაან კარგი მთქმელი ყოფილა ის შენი მელექსე და შენ ვერ გამომდგარხარ კაი გამგონე.

კამათი გაგვიცხარდა. ხოხობა ვერ დავარწმუნე. დავფიქრდი, რომ სხვა, უფრო ნათელი ნათქვამი მომეშველებინა ვისიმე.

ხოხობამ დამასწრო:

— ეგ ლექსი თავიდან ბოლომდე შენ გამტყუნებს, მაგრამ თავს არ იმარცხებ. შენ ისეთი გაქირე ხარ, თუ ჩემი წაკითხულიც არ მოვიმარჯვე, ვერ გაგიტეხნებ.

— აბა, რა გაქვს გუნებაში?!

— შენს ლოდინ-ლოდინში, რომ იცოდე, რამდენიმე წიგნი წავიკითხე.

— ძალიან კარგი.

— მართლა ძალიან კარგია... შენი თანამოსაქმის ერასტი ვაწაძის ქალბატონმა სულიკომ წამაკითხა. ნათარგმნი უნდა იყოს, აქ ერთი მოზრდილი ზღაპარია... ჰო, მოიცა, შენი თვალით უნდა წაგაკითხო. — გაიქცა ხელად, გამოარბენინა შინიდან... სალტიკოვ-შჩედრინის წიგნი გახლდათ, ხელად მოძებნა ის მოთხრობა (ჩანიშნული ჰქონდა), სათაურს კარგად ველარ ვიხსენებ, მგონი „სინდისი“ ერქვა, თუ მაგის მსგავსი, მთავარი მოქმედი პირი სინდისი გახლდათ, ცოცხალი ადამიანივით იყო წარმოდგენილი. ხმა-

მაღლა წამიკითხა ის ადგილები, ჯერ ქალბატონ სულიკოს რომ გაესვა წითელი ფანქარი და მერე ხოხობასაც რომ აღენიშნა ლურჯითა.

ეხლაც ცხოვლად მახსოვს, როგორი გულმოდგინებით, მკაფიოდ, გამოთქმით დამარწმუნებლად კითხულობდა ორივე ფერით (წითელი და ლურჯი) ნაზგასმულ ადგილებს:

„დაიკარგა სინდისი... ვერავინ მიმხვდარიყო, რომ უეცრად რაღაცა დააკლდათ და რომ ცხოვრების საერთო ორკესტრში რომელიღაც საკრავი ჩაჩუმდა. ბევრმა თავი უფრო მხნედ და თავისუფლად იგრძნო, უფრო გაუადვილდა ადამიანს ცხოვრება. უფრო მოემარჯვათ მოყვასისათვის სარმის გამოდება, უფრო მოხერხებული გახდა პირმოთნეობა, ქვემძრომობა, მოტყუება, ენატანიანობა და ცილისწამება. ყოველი სნეულება თითქოს ანაზდეულად გაუქარწყლდათ, ადამიანები კი არ მიდიოდნენ, არამედ მიჰქროდნენ, არა აწუხებდათ-რა, არა აფიქრებდათ-რა; აწმყოც და მომავალიც — ყველაფერი, თითქოს თავისთავად უვარდებოდათ ხელში, მათ, ბედნიერთ, რომელთაც ვერ შეამჩნიეს სინდისის დაკარგვა.

სინდისი უეცრად დაიკარგა... თითქმის ელვის მსგავსად! ჯერ კიდევ გუშინ ეს მომაბეზრებელი მუქთამჭამელი წამდაუწუმ თვალწინ კრთოდა, წამდაუწუმ ელანდებოდა აღგზნებულ წარმოდგენას და უეცრად... არარა! გაქრნენ გულის გამაწყალებელი მოჩვენებანი და მათთან ერთად დაწყნარდა ის ზნეობრივი ამბოხი, რომელიც თან მოჰქონდა მამხილებელ სინდისს. ადამიანებს შეეძლოთ შვებით ეცქირათ სამყაროსათვის და დამტკბარიყვნენ. ბრძენნი ამა ქვეყნისანი. მიხვდნენ, რომ, როგორც იქნა, გათავისუფლდნენ უკანასკნელი უღლისაგან, რომელიც აფერხებდა მათ მოძრაობას, და, რასაკვირველია, ისწრაფოდნენ გამოეყენებინათ ამ თავისუფლების ნაყოფი.

ხოლო ამასობაში საბრალო სინდისი გზის პირას ეგდო ტანჯულ-გვემული, შეფურთხებული და გამვლელ-გამომვლელთა ფეხით გათელილი. ყველა განზე სტყორცნიდა მას, როგორც უვარგის ძველ-ძვულს. ყველას უკვირდა, როგორ მოხდა, რომ კეთილმოწყობილ ქალაქში ყველაზე მარჯვე ადგილას, სადაც ამდენი ხალხი ტრიალებს, ასეთი აღმაშფოთებელი საზიზღრობა გდიაო“.

მეც ჩაფიქრებით ვუსმენდი, მაგრამ გულზე ჩრდილი არ დამცემია, რადგან ჯერ მომავალი საკითხავი წინ გვქონდა და ბოლომდე რომ გავიდოდა, მერე ავამოქმედებდი ჩემს განთქმულ ჭკუა-გონებასა.

შინაარსის მოყოლით არ გავკადნიერდები, მაგრამ ვერ ვითმენ, რომ არ გაუწყოთ, თუ როგორი სათავისო კილოთი კითხულობდა ხოხობა და იმ მშვენიერ სახესაც როგორც იცვლიდა იმის მიხედვით, თუ რა აზრს ამოიცნობდა — თავის გამამართლებელს თუ გამამტყუნებელს.

ერთმა უბედურმა ლოთმა რომ ხელი სტაცა ამ უვარგის ჩვარსა, ანუ ყველასგან მიგდებულ სინდისსა და სწორედ გამობრუჟულობის გამო რომ მოეჩვენა, რომ კარგი რამ იპოვა, ერთ თხლაშოზე მაინც გადავცვლიო: სინდისმა რომ ჯადოსნურად იმოქმედა საკეთილოდ, — არაყი რომ გამოუნელდა, მეხსიერება რომ აუფორიაქდა, წარმოდგენა რომ აუმეტყველდა — ცოცხლად რომ დაეხატა თავისი წარსული და მსჯავრიც გაეღვიძა; ერთი სიტყვით, ისეთი ძალისა რომ გამოდგა ის ჩვარში გახვეული სინდისი, რომ უეჭველი იყო, ლოთს ცხოვრებისაკენ მოაქცევდა, სულიერად და გონებრივად განწმენდა და ისევ კაცად იქცეოდა, მოქმედ, საზოგადოებისათვის გამოსადეგ კაცად, — სინდისის ამ სიკეთისა და ძალის თვისებას რომ სწვდებოდა, ანუ წინასწარ აკვიატებულ აზრს საწინააღმდეგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასკვნა რომ გამოჰქონდა თავისდა უნებურად, — ამ ადგილებს ისეთი ეშხით ვეღარ კითხულობდა, როგორც წინასწარ ხაზგასმულ სტრიქონებს, ხმა თანდათან უფერმკრთალდებოდა, პეწი ეკარგებოდა, რწმენა უხუნდებოდა, ის ნათელი შუბლი ებინდებოდა. გრძნობდა, რომ მარცხდებოდა და განიცდიდა კიდეც. ალბათ, ამ შინაგანი განცდა-ნერვიულობის გამო იყო, რომ გაუჭირდა მომდევნო ფრაზების შიგნით შეღწევა, კერძოდ, იმ ადგილას შეღწევა, სადაც ნათქვამია (და არც თუ ისე ძნელი მისახვედრია): გონს მოგებულმა ლოთმა თავის წარსულს რომ გადაავლო თვალი და მთლიანად დანაშაულად წარმოესახა თავისი ცხოვრება, იმდენად მცდარად მიიჩნია თავისი მოქმედება, იმდენად დათრგუნა მისმა ზნეობრივად დაცემის სურათებმა, რომ თვითგანსჯის პროცესი, რაც მან თავის თავს თავისი ნებით გაუჩინა, გაცილებით უფრო მტკივნეულად და სასტიკად ჰქენჯნიდა, ვიდრე ადამიანთა მსჯავრი: ისე მძლავრად ჰქენჯნის სინდისი, რომ განსჯის წონასწორობას ჰკარგავს, ანგარიშში არც კი იღებს, რომ დიდი ნაწილი იმ წარსულისა, რისთვისაც იგი თავის თავს სწყევლის, ეკუთვნის სრულიად არა მას, საწყალ და საბრალო ლოთს, არამედ რაღაც ფარულ, საშინელ ძალას, რომელიც ციბრუტივით ატრიალებს მას, როგორც ციბრუტივით ატრიალებს ქარტეხილი ველად უმნიშვნელო ჩალაბულას...

ამ მეჩეჩს რომ გასცდა ხოხობა, სიტყვების შიგნით შეღწევა რო გაიადვილა, რო ჩასწვდა: იმ ლოთს, თავისი შეგნება, თავისი ცხოვრების უტყუარად ხილვა და განსჯა რომ წამებად ექცა, რომ ის უტყუარი ხილვა-შეგნება ულმობელ კითხვებს აღუძრავდა და ულმობელსავე პასუხს მხოლოდ მდუმარებით მიაგებდა, რომ იმისი შიში აძრწუნებდა, დალეული ცხოვრება კვლავ ტალღასავით არ შევარდნოდა მას დანგრეულ ტაძარში, რომელიც უკვე ვეღარ გაუძლებდა მის მოზღვავება... რომ თვალახელილ ცხოვრებას ... თვის, ლოთისთვის, ვეღარ მოჰქონდა ვერც დამშვიდება, ვერც იმედი, ხოლო შეფრთხიალებული სინდისი უჩვენებდა მარტო ერთ გამოსავალს — უნაყოფო თვითბრალდებას; რომ წინათაც ირგვლივ სიბნელე იყო და ახლაც იგივე სიბნელეა, უფრო უემური სიბნელე, მტანჯველი მოჩვენებებით დასახლებული; წინათაც ბორკილი ეჩხარუნებოდა იმ ლოთს და ახლაც იგივე ბორკილი ადევს, ერთი ორად დამძიმებული, რადგან მან შეიგნო, რომ ეს ბორკილია და ყოველივე ამის გამო სინდისით ნაქენჯნი და ნაწამები ლოთი ცრემლებად იღვრება; რომ ლოთს, თურმე, ისეთი უბედური რამ უპოვნია, რომელიც ნაწილ-ნაწილად ფლეთდა მის გულსა და გადაწყვიტა, როგორმე მოეშორებინა ის ნაპოვნი სინდისი, — ამ ადგილებს რომ კითხულობდა ხოხობა, ხმას ძალას და დამაჯერებლობა უბრუნდებოდა და ემატებოდა კიდეც, ღიმილის ხაზებიც უმრავლდებოდა, რადგან კვლავ რწმუნდებოდა, რომ მისი აზრი იმარჯვებდა. ხოლო იმ ადგილს რომ მიადგა, ლოთმა რომ ვეღარ გაუძლო სინდისის ქენჯნას და მის მძლავრ სულის დამანგრეველ ძალას და წამოიძახა კიდეც: „ხალხნო! აღარ შემიძლიაო... ვერ ამიტანიაო“, მაგრამ ბრბომ სიცილი დააყარა; რომ ლოთმა მტკიცედ გადაწყვიტა, რაც უნდა დაჯდომოდა, მოეცილებინა ის ჩვარი — სინდისი და მოახერხა კიდეც — მის ნაცნობ მიკიტანს ჩვრად ჩაუდო ჯიბეში მაშინ, როცა მარტოდმარტო იჯდა თავის დახლთან და შეზარხოშებული თვლემდა კიდეც, — ეს ადგილი რომ წაიკითხა ხოხობამ, გულიანად გადაიკისკისა, მომხედა და მომაძახა კიდეც: „ეგეც შენ, ეგეც შენ!“

მე, რასაკვირველია, მოთმინებით ვუსმენდი იმიტომაც, რომ ის რომ კითხულობდა, გზადაგზა ვსჯიდი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიაზრებდი ყოველი სიტყვის მიღმა რა აზრი ღვივოდა და თან მეიმედებოდა, რომ შიგნით და შიგნით უფრო ბევრს მოვუძებნიდი ჩასაჭრელ კითხვას, მალე გამიმართლდა გუმანი, მალე მოაწია ისევ თავის საწინააღმდეგო აზრს — კვლავ გაუმკრთალდა ხმა, სახეზეც საეჭვო ბინდმა გადაჰკრა. ეს ცვლილება შეეტყო მაშინ, როცა მიადგა იმ ადგილს, თუ რა კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ლოთის მიერ მიჩეჩებულმა სინდისმა მიკიტანზე. რომ სინდისმა ისე განწმინდა ცოდვისაგან, მოტყუება დიდ ზნეობრივ დანაშაულად მიიჩნია, კაპიკსაც არ ახდევინებდა ზედმეტს არავისა, ზოგ უქონელს უფასოდაც კი ასმევდა და იმდენად გულკეთილი გახდა, რომ ხალხს, უფრორე უპოვართ, შეაგონებდა, სასმელი და, კერძოდ, არაყი მავნეა და ყოველგვარი უბედურების წყაროა. ერთი წვეთი რომ დალიო, ეგ არაფერია, გინდა სამმდეც არა უშავს, გაგახალისებს კიდეცო, მაგრამ ერთი ვედრო რომ ჩაისხა, პოლიციაში წაგათრევენ, იქ კი პერანგს აგიწევენ და კარგადაც მოგცხებენო; ლოთობას გადაეჩვიეთ, რომ თქვენი გარჯით ნაშოვნი ჩემნაირ სულელებს არ ჩაუყაჭოთო. ასე გაკეთილშობილებულმა მიკიტანმა თუმცა იმ დღისით ვერაფერი მოიგო, მაგრამ არხეინად დაწვა და მაშინვე დაეძინა. არცა შფოთავდა ძილში, არცა ხვრინავდა, როგორც ეს წინათ ემართებოდა ხოლმე, მშვიდად ეძინა და ფერად სიზმრებსაც ხედავდა.

ხოლო ის ადგილი რომ წაიკითხა ხოხობამა, მიკიტნის დედაკაცმა სინდისი რომ უნახა ქმარსა, საზარლად შეჰკივლა და თავისებურად შეუცაცხანა ქმარს, ეხლავე მომაშორე, თორემ ან შენ მიგახრჩობ, ან მე მოვიკლავ თავსაო, მიკიტანმა კი ვერავის შეატყუა და ისევ მისმა დედაკაცმა შეძლო სინდისის თავიდან მოშორება — მძინარე ქმარს მოპარა იგი, თავის მტვრევით მიაშურა ქუჩას და ჯიბეში მოხერხებულად ჩაუდო უბნის ზედამხედველს — ლოვეცს, გვარიან მექრთამეს, რომელიც ახლომახლო სოფლებიდან სავაჭროდ წამოსულ გლეხებს მოჰყვებოდა, (ქალაქში რომ მიდიოდნენ თავიანთი ნაჯაფის გასაყიდად), ვითარცა მოწესრიგე, — მიმიხვდებით, რა კილოთი წაიკითხავდა ხოხობა და როგორი იერი ექნებოდა.

იმასაც ადვილად მიხვდებით, თუ როგორ შეეცვლებოდა ხმაც და სახეც იმ ადგილას რომ მიადგა: მიკიტანის ცოლისაგან შეპარებულ-შეჩეჩებულმა სინდისმა უპატიოსნეს კაცად რომ აქცია გაქნილი მექრთამე, ზედამხედველი ლოვეცი, რომელიც ბაზარში დადიოდა და მართალი და შემწყალე თვალით შესცქეროდა გლეხებს და არამცთუ რამეს იღებდა ვინმესგან პირობით, სინდისმა ისე დაქენჯნა, რომ გახსნა სხვისი არამი ფულებით გატენილი საკუთარი საფულე და ურიგებდა იმათ, ვისგანაც ადრე აელო, ამას რომ არ დასჯერდა და უპოვარნი და უქონელნი მიაყენა თავის მეუღლეს ფედოსია პეტროვნას და უბრძანა კიდეც: დააპურე და გაეციო, ფედოსია პეტროვნა რომ კინაღამ ჭკუისაგან შეიშალა, რას ჩადის ჩემი ქმარიო. ქმრის გასულელების მიზეზს რომ მიხვდა და დაზლვეული, შტემპილიანი კონვერტით რომ გაუგზავნა სინდისი ებრაელ სამუელ დავითის ძე ბრუოცკის. — ხოხობამ გულიანად გადაიხითხითა.

აქ გასახსენებელია ერთი გარემოებაც, ხოხობა განსაკუთრებული გულმოდგინებითა და ემოციით კითხულობდა ლოვეცისა და მისი მოგვირგვინის ამბავს, ალბათ, იმიტომ უფრო, რომ ლოვეცი ზედამხედველი, ანუ ჩემი ხელობის კაცი გახლდათ, მალ-მალე შემომხედავდა წარბების აჭიმვითა და ძლივსშესამჩნევ ღიმილს მოიყენებდა თვალებში.

ეს ადგილი რომ წაიკითხა: წინათ მოიჯარეს, ახლა კი ფინანსისტსა და გამომგონებელს სარკინიგზო საქმეში — ებრაელ სამუელ დავითის ძე ბრაუოცკის რომ იმ დროს მოუვიდა ფედოსია პეტროვნასაგან გამოგზავნილი კონვერტი, როცა მთელი ოჯახი გარს შემოეხვია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ათი წლის ვაჟი, რევიმ სამუელის ძე გონებაში საბანკო ოპერაციებს წყვეტდა, შვიდი წლის იოსელი ამოცანას ხსნიდა, უფრო უმცროსები — სოლომონი და დავითი. სამუელის ძენი იმის ანგარიშში იყვნენ, თუ უკანასკნელს რამდენი პროცენტი მართებდა პირველისა ნასესხებ ყინვარშაქარში, ხოლო სამუელის ლამაზ ცოლს ლია სოლომონის ასულს ხელში ეჭირა პაწაწინა რიფულა (გოგონას სახელი), რომელიც ინსტინქტურად დედის სამაჯურს ეპოტინებოდა, ოჯახის თავმა — სამუელ დავითის ძემ სწორედ ამ დროს მიიღო დაზღვეული კონვერტი, რომელშიც სინდისი იყო. უმალვე იგრძნო, რაც იდო შიგა, იგრძნო და ისე შეძრწუნდა, რომ გველცემულივით შეხტა, ენით აუწერელი ტანჯვა-წამება განიცადა, მაგრამ გმირულად აიტანა ეს წამება და თან უცებ ისიც მოახერხა, რომ სხვა კონვერტში ჩაედო სინდისი, შიგ ასმანეთიანი ასიგნაცია ჩაეყოლებინა, დაებეჭდა კონვერტი და გაეგზავნა ნაცნობი გენერლისათვის, საქველმოქმედო დაწესებულებას რომ განაგებდა, გენერალმა რომ დიდი სიხარულით მიიღო ნაჩუქარი და დიდი მადლობა მოახსენა, ამ ადგილებს რომ კითხულობდა, ხოხობა სიცილით იხრჩობოდა.

„და ამნაირად დიდხანს ეთრეოდა საწყალი, განდევნილი სინდისი ქვეყნად, მრავალი ათასი ადამიანის ხელში გამოიარა მან, მაგრამ არავის უნდოდა დაეყენებინა თავისთან, პირიქით, ყველა მხოლოდ იმასღა ფიქრობდა, როგორმე მოეშორებინა და თუნდაც მოტყუებით, სხვაზე გაესაღებინა!“ — კვლავ მკაფიოდ, გამოთქმით წაიკითხა ხოხობამ და ამჯერად კი სინანული გამოესახა შუბლზეც, რაც გულში ასე გადმოვითარგმნე: ხოხობას ეცოდებოდა სინდისიც და შევეცოდე მეც, როგორც, მისი ფიქრით, მასთან დამარცხებული აზრთა ჭიდილში.

ორივე ვეცოდებოდით მაშინაც, ბოლოს რომ თავისი თავი თვითონვე მოსწყინდა და იქნებ მოსძულდა კიდეც საცოდავ სინდისსა, თავი რომ ვერსად შეაფარა და შეეხვეწა თავის უკანასკნელ მარჩენალს, ვიღაც მეშჩანინუკს, წვრილმან მოვაჭრეს, რომელიც ვერა და ვერ გამდიდრებულიყო სწორედ პატიოსნად ვაჭრობის გამო, რომ ეშველა რამე, რახან ყველა თავიდან იშორებდა, ერთი პაწია რუსი ბალღი მოძებნა და იმის გულში ჩაემარხა, ანუ ჩაეთესა, რათა იქნებ იმან, უმანკო ჩვილმა, შემივრდომოს და დამიურვოსო. და მეშჩანინუკამაც შეუსრულა წადილი, ალბათ, იმისათვის უფრო, რომ იმასაც თავიდან მოეშორებინა ყველასაგან განკიცხული სინდისი.

ორივემ ღრმად ამოვისუნთქეთ, ორივემ გამომცდელად შევხედეთ ერთმანეთს.

მის თვალებში ჯერ თანაგრძნობა ამოვიკითხე, თითქოს შეეცოდა ქმარი, თითქოს როგორც მე მწამდა, ხოხობამაც ისე იწამა. ვაპირებდი, რომ ჩემი მადლობა ამბორით გამომეხატა, რაიც ორივესათვის ფრიად სასარგებლო იქნებოდა იმ მხრივაც, რომ გზადაგზა გულის კუნჭულებში ჩამალული უამურობა გულიდან გადაგვეყრებოდა, სწორედ საამისოდ შემითრთოლდა ბაგე, და ოდნავ წავიშვირე კიდეც, მეგონა, ხოხობაც ასე იზამდა, მაგრამ იმან უფრო უკან გასწია სახე, თვალები უფრო მოივიწროვა და რაღაც გამოუცნობი, დამცინავი ღიმილი მოიყენა. მე მივუხვდი, რომ ხოხობა ისევ თავის ჯიუტ აზრზე იდგა და ამიტომ დავასწარი:

— შენი თავი შენვე გაიმტყუნე, ჩემო ხოხობა!

— რასა ბრძანებ! — ნაწყენნარევ-დამცინავად მიმოიქნია მხრები.

— ხომ დაინახე, რა მძლავრი ზემოქმედების უნარი ჰქონია სინდისს, ვის სულშიაც ჩასახლდა, ყველა გარდაქმნა, ცხოვრებისაკენ მოაქცია, ცოდვებისაგან განწმინდა, გააკეთილშობილა, მაშასადამე, მე მართალი ვარ, ყველაზე მძლავრი იარაღი ყოფილა სინდისი.

— მერე, რატომ მოიშორეს, თუ ეგრე სასიკეთო იყო?

— კაი მთქმელს კაი გამგონე უნდა, — კვლავ შევკადრე. — სხვათა შორის, ალბათ, აკვირდებოდი, ცოლებმა აიძულეს ქმრები, რომ სინდისი მოეშორებინათ, არამცთუ არ ასვენებდნენ, არამედ თვითონ აწვავლიდნენ სინდისის მოცილების გზას და თვითონვე ჩალიჩობდნენ...

— მერე, რად დაუჯერეს ქმრებმა, თუ ჩახვდი?

— ლაჩრები იყვნენ. ლაჩრების სულში სინდისი საცოდაობაა. სინდისსაც კარგი ვაჟკაცი, გონიერი და შემართული პატრონი უნდა, ისევე როგორც ლამაზსა და გონიერებითაც დამშვენებულ ქალსა.

— შენ მართალი ხარ და ცოლები მაშინ სჯობნიან ქმრებსა, როცა მართალნი არიან. სიმართლის საზომი კი სინამდვილეა. ის ცოლებიც მართლები იყვნენ თავიანთი ქმრების წინაშე. ცხოვრების სინამდვილემ დაანახვა, რომ სინდისი იმ შემთხვევაში აღმოჩნდა გამაღარიბებელი, გამალატაკებელი, საამო ცხოვრების დამკარგავი, სულის გამამწარებელი, ამაში ქმრებიც დაარწმუნეს. უფრო ცხოვრებამ დაარწმუნა. სხვათა შორის, ამით ისიც დასტურდება, ისევე როგორც სხვა უამრავი მაგალითით, რომ ქალს უფრო მახვილი, პრაქტიკული ჭკუა აქვს, ცხოვრება ქალმა უფრო იცის.

— იმ ყეყეჩების მოქმედებით ნუ გვაფასებთ ქმრებს, ცხოვრება მარტო ის არ არის, რაც იმ ქალებს წარმოედგინათ, ცხოვრება და ადამიანი სულ სხვაა... ძალიან დაკვირვებით უნდა ჩაიხედო ადამიანის სულში, მიწისა და ცის სიღრმეში.

ხოხობა მომაშტერდა.

— თანაც არ დაგავიწყდეს, ეგ ზღაპარი-მოთხრობა საუკუნის წინათ ყოფილა დაწერილი. ის სულ სხვა დრო იყო, ჩვენ სულ სხვა დროში ვცხოვრობთ... ბოლო სიტყვებს ძაან ღრმად უნდა ჩაფიქრება, ჩვილი ბავშვის გულში ჩაიმარხა სინდისიო, ბავშვიც იზრდება და სინდისიც, პაწია ბავშვი დიდი ადამიანი გახდებაო და მასში დიდი სინდისი იქნებაო. და მაშინ გაქრება ყოველივე უსამართლობა, ვერაგობა და ძალადობა ქვეყანაზედო. რადგან რომ სინდისი მშიშარა არ იქნება და შეძლებს ყველაფრის გამგებელი გახდესო.

— ეგ ხომ დამწერის ოცნებაა.

— ოცნება სინამდვილედ იქცა.

— მაშ უსინდისობა აღარ ბოგინობს ქვეყანაზე? — გამომცდელად მომიჟუჟუნა თვალები.

— არამც და არამც! — ცოტა ნაჩქარევი, არაზუსტი და ჟინიანი პასუხი მომივიდა, მაგრამ არც უკან დავიხიე და არც იერი შევიცვალე.

— მაშ შენი სამსახური რაღა საჭირო ყოფილა.

— იმიტომ, რომ თითო-ოროლა უსინდისო აილაგმოს და, საერთოდ, ადამიანში აღარ შეიჭრას უსინდისობის ბაცილა.

კამათი უფრო გაგვიცხარდა. ჩემზე მეტად ხოხობა გაჯიუტდა. ამაოდ ვაყრიდი კედელზე ცერცვსა. როგორც გაჭირვების ჟამს მჩვევია, ჩუმ სიმღერას მივმართე, იმჯერად ეს წამოვიღიღინე:

სუფრავ, გაშლილო, ვარდი ხარ,
ჭკუავ, ჩადი გონებასა,
ერთი ნამუსი სჯობია,
მილიონის ქონებასა.

ბოლო ორი სტრიქონი ბარე სამჯერ გავიმეორე (რასაკვირველია, სიმღერითა), მიმიხვდებით, რა მიზნითაც.

მაგრამ ხოხობას პირველ სტრიქონზე უფრო გაემახვილებინა ყურადღება და ღიმილით მომმართა:

— რაო, თაყა, ხომ არ მოგშივდა?

მზეს შევხედე, სამხრობის ჟამი გახლდათ. არც დილით მომიმადლიერებია კუჭი, რადგან საიმისო არა გვებადა რა. მხოლოდ ხმელა, ობიანი მჭადი ჩავლუღნე მცირეოდენი, ისეთი ხმელი იყო, რომ თავში რომ დამერტყა დამნაშავესათვის, უთუოდ შუაზე გაუტეხავდა (მაგრამ დამნაშავე იმ შემთხვევაში მე ვიყავი, რადგან წინა დღეებში არაფერი მომიტანია შინ, რომ საკადრისი რამ მოემზადებინა ხოხობას), კობჩხილოს მწნილიც მივაყოლე. ეგ იყო და ეგა,

მას მერე კბილქვეშ არაფერი შემიგდია, წესით, ამ დროისათვის კარგად უნდა მომშიებოდა, მაგრამ სულიერი საზრდოთი რომ კარგად ვარ ხოლმე დაპურებული, თუნდა მთელ კვირას ლუკმა არ გავლეჭო, კუჭი კრინტის დაძვრას ვერ გამიბედავს. წინა საღამოსაც კარგად ავივსე სულიერად, რადგან ერთი ახალგაზრდა ცოლ-ქმარის მადლი მოვისხი: ოჯახი დანგრევას გადავარჩინე. მაშინაც ხომ გავიხარე, ეს „აქტი“ რომ მოხდა და მერეც, მორიგეობის ჟამს სულ იმაზე მეფიქრებოდა, იმ შერიგებული ცოლ-ქმრის უნებლიე შეღიმება რო მაგონდებოდა, მათი ბიჭუნას დედის ძუძუსკენ ცქერა, ფათფათი და საკინძის გასახსნელად თოთო ხელის ფათური რომ მედგა თვალწინა, მეც გულში მეღიმებოდა იმ ბიჭივით უბრყვილოდ, იმ დღისით ხომ ხოხობასაც კარგა ხანს ვესაუბრე ისეთ მაღალზნეობრივ . საკითხზე, როგორიც სინდისია და, მიუხედავად იმისა, რომ მისი სიკერპე-სიჯიუტის გამო ვერ „დავამარცხე“, თავს მაინც მორალურად გამარჯვებულად ვთვლიდი, — ყოველივე ამის გამო, სულიერად ძაან ნასაზრდოები და ავსილი ვიყავი, — ჩემს კუჭს ერთხელაც არ წაუბურტყუნებია, ყოველ შემთხვევაში, ჩემს ყურამდე არ ამოსწვდენია და შიმშილი სულაც არ მიგრძვნია და არც ხოხობას შეხსენებისათვის მიმიქცევია ყურადღება.

— არა, მაინც რამ წამოგაგონა ეგ სიმღერა?

— აი ეგ სიტყვები ძაან მიყვარს. „ერთი ნამუსი სჯობია, მილიონის ქონებასაო“.

— თუ ის გამღერებს, რითაც იწყება; „სუფრავ, გაშლილო, ვარდი ხარო“,

— არა, სინდისს გეფიცები.

— მაშ, არა გშიან, ჰა!

— არა! — მტკიცედ მივუგე.

— ეხლა რო გაფაფხული ვარია გედოს თეფშზე, ჩაყვითლებულ-ჩასუქებული, რასაკვირველია, სიმინდით ნასუქი, ტაბაკად შემწვარ-შებრაწული ერბოწაშიშხინებულ ტაფაზე, ალაგ-ალაგ რომ შემსკდარი აქვს კანი, კაი ნიორწყალი ედგას გვერდით, კაი დედას პურიც მოგართვა ცხელ-ცხელი, კაი თავკვერიც აგიშიშინო ჭიქაში, მაშ არ მიირთმევდი?! — თვალების მოჟუჟუნებით მომაშტერდა.

— არა! — კვლავ მტკიცედ, მაგრამ ცოტა გაღიზიანებული კილოთიც მივუგე, რადგან კუჭმა ცოტა მაწყენინა, ოდნავ გამიჩურჩულდა. თითქოს თავი გამახსენა და საყვედურიც წამოსცდა: მე აღარაფერს მეკითხებიო? მე კუჭს გავუწყერი და შევეცადე ყურადღება აღარ მიმექცია, რისთვისაც მივმართე ჩემს ჩვეულ ხერხს: ვავხსენი მეხსიერების ყულაბა და გავიხსენე ყველაზე სასიამოვნო წუთები — ჩემს ცხოვრებაში. ეს სურათებიც ისევე ხოხობასთან მიდიოდა, ყველაზე მეტი და უმაღლესი სიამე მისგან მქონდა მოგვრილი, გამახსენდა პირველად რომ შევხედე ხოხობას და სიამოვნების ნერწყვი გადავყლაპე და სხვათა შორის,. კარგი ეფექტიც გამოიღო, მაშინდელი განცდით შევუთვალიერე ხოხობას ყელიც და ხაყურეებიც. მიმავიწყდა ჭამა და ხოხობას ცქერით ვტკბებოდი.

— ეხლა რო კაი სუკის მწვადი მოგართვა, სულ თბილ-თბილად ამოცლილი მკერდგაპობილი და გადაჩაჩხული ბურვაკის ხერხემლის გვერდიდანა, კაი გრძელ შამფურზე აგებული, ალაგ-ალაგ დასერილი და მომარილებული, წალმის ნაკვერჩხალზე შემწვარი, შიშხინი რომ არ დასცხრომია, ცვრიანი, საამო სურნელს რომ აფრქვევს, — არ გამომართმევდი?! თან რომ მაგიდაზე მახობლიანი დედას პური, დედაშენის გაკეთებული პამიდვრის ბაჟმაზი გეგულებოდეს და ატენური ღვინოც რომ შუშხუნებდეს საღვინეში, — არ მიირთმევდი?!

მე კიდევ ყველაზე სასიამოვნო რამ გავიხსენე, ახლა ხოხობას ბაგეები, პირველი ამბორი, მართლა მესიამოვნა ამის გახსენება, მაგრამ რასაკვირველია, ის სიამე ველარ ვიგრძენი, კუჭმა წაიბურტყუნა, და რომ დამეთრგუნა, დავიწყებოდა, ხოხობას სინამდვილეში გავუშვირე ტუჩები, იმან კი ხელი ამა-

ფარა, მომიშორა და სხვა საჭმელებზე ჩამომიგდო საუბარი. კაი ზუთხის ჩაქერი დამიხატა, ქინძ-ძმარში ამოვლებული, ციცნის ჩაქაფული, შემწვარი ვოჭი, და რო არ დაგიმალოთ, მუცელმა გამიჭყრიალა, ისე მძლავრად, რომ ხოხობამაც გაიგონა, ძლივსშესამჩნევად, გაიღიმა, „ჩემი ხარ“, ალბათ, გაიფიქრა კიდეც გუნებაში, მაგრამ მე ზურგზე არ ვეცემოდი, კვლავ მტკიცედ მივუგებდი, არა მშიან-მეთქი.

რო აღარა და აღარ მომეშვა, ცოტა შემოვუტიე კიდეც:

— კარგი, ლუარსაბ-დარეჯანიანობას ნუ მეთამაშები!

— ლუარსაბსა და დარეჯანს ჭამის მეტი არაფერი აგონდებოდათ, უმოქმედონი და უმაქნისები იყვნენ, იმიტომაც გაათახსირა ქართველების უგვირგვინო მეფემ, თორემ ჭამა ყველას უნდა, თუ მუცელს არ ჩააყარე ძაან აუცილებელი მაინცა, აღარც შენი ყველაზე მძლავრი იარაღი გექნება და აღარც შენ თვითონ იქნები... მე თუ მკითხავ, კუჭია ყველაზე მძლავრი იარაღი...

— არა გრცხვენია, ხოხობა, კუჭის ფილოსოფიამდე რო დახვედი? — წყენა გამოვიხატე შუბლზე.

— მე კი არა, შენ კუჭს არა სცხვენია, რომ ასეთ ფრიად საყურადღებო საკითხზე ვლაპარაკობთ როგორც სინდისია, ის კი უსინდისოდ იქცევა, ასე ხმამაღლა გიჭრიალებს მუცელსა...

— არაფერიც... ეგ იმას ნიშნავს, რომ შენ გიბრაზდება.

— ჰოო?! მაშ ეხლა რო ოჩხიდან ამოყრილი ციდისტოლა ციმორი მოგართვან, შაბიან წყალში როა მოხარშული, აი, თეთრი მუცელი რო აქვს, მოლურჯო ზურგი, კარგა ჩასუქებული როა, ყელში რო თავისთავად ჩასრიალდება ხოლმე, უარს იტყვის შენი ჭკუის კუჭი? — და კვლავ „დაუმატა“ ჩემმა მუცელმა — უღმერთოდ ხმამაღლა გაიჭყრიალა.

— ჰო, კაი, გეყოფა... მე იმ აზრისა კი არა ვარ, საერთოდ ჭამა არ უნდა-მეთქი ადამიანს... მოიტა რამე, მაჭამე!

— კი, ბატონო, ხოხობა მოგიკვდეს, თუ გაწყენინოს, მაგრამ მანამ მოგეცთმევდე, მითხარი, რა არის ყველაზე გემრიელი? — თან ეშმაკურად შემომცინა.

გამოვტყდები, დავიბენი, უცებ სხვაგან გამექცა გონება, რაღაცას ეშმაკობს ხოხობა-მეთქი. გავიფიქრე და მეც ეშმაკურად შევცინე, რათა მიმიხვედრებინა, რომ გამოვიცანი.

— ვიცი, რა პასუხიც იგულისხმება შენს ეშმაკურ თვალმოჟუჟუნებაში, მაგრამ ამჯერად საჭმელებზე გეკითხები.

— კარგი-მეთქი!

— არა, თუ არ მითხარი, ლუკმას არ მოგართმევ.

ვიცოდი ხოხობას ახირებული ხასიათი და ნებას დავუყევი.

— რა არის და, რაც ამჟამად გაგვაჩნია.

— არა, უნდა წესიერად მიპასუხო.

საუკეთესო საჭმელები ჩამოვუთვალე ჩქარ-ჩქარა და, გამოვტყდები, ნერვიულადაც.

— არა, მაგათზე გემრიელი კიდევ არსებობს! — ჯინაზე გაიცინა.

ვიტვრინე.

— არა?! — კიდევ ეშმაკურად შემომაშტერდა.

— მაშ, შენ თვითონ თქვი! — უფრო ნერვიულად მივმართე.

— ყველაზე გემრიელი ჩემო თაყა, არის სინ-დი-სი.

ეხლა მივხვდი, თურმე, რატომ ჩამომიგდო საუბარი ჭამაზე, რატომაც დამიხატა ნერწყვის მოსადენი საჭმელები. ზოგი თანამედროვის ლექსიკონს რომ დავესესხო, ხოხობამ გამომიჭირა, იმჟამად, რა დასამალია, საერთოდ სურსათი ძალზე მცირე იყო ჩვენში, თითქმის მთელი სოფელი შიმშილობდა. მათ შორის, ჩვენც არაფერი გაგვაჩნდა. თითქმის ერთი კვირა იყო, სველი საჭმელი კი არა, ხმელი პურიც გვენატრებოდა მაძღრისად გვეჭამა, და ამის მთავარ დამნაშავედ მე მთვლიდა ხოხობა, როგორც ოჯახის უფროსს, მას მერე უფრო, რაც ჩაიხედა ზოგ-ზოგი „მშოვნელის“, მათ შორის ჩემი თანა-

მოსაქმეთა ოჯახებში, სადაც ხელი მიუწვდებოდათ, ყველგან რომ ჰყოფდნენ, მცირე მოხელეობით თუ მოჩრდილი, ჩუმ-ჩუმად რომ მიაცუნცულებდნენ შინ და კარგა რო დაემარაგებინათ სასმელ-საჭმელითა, ჩასაცმელიცა და მომავალში გამოსაყენებელიცა. ჩვენ კი, აკი ვთქვი, კბილქვეშ შესაგდებიც გვენატრებოდა, მე სულაც არაფრად ვთვლიდი, ხოხობას კი ასე მიუქცევია ყურადღება და, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, რაკი ვერა და ვერ გამოტეხინა საერთოდ კუჭის ფილოსოფიის საკითხში შეეცადა ჩემს გამოჭერას, რასაც დროებით მიაღწია კიდეც და იმიტომაც დაუნდობლად დამაჭირა თითი სატკივარზე და გამარჯვებული კილოთი კვლავ გაიმეორა:

— ყველაზე გემრიელი გახლავთ სინდი-სი.

ვიტვრინე.

— ჰო, ჰო, რას გაჩერდი, ძაან გემრიელი საჭმელია სინდისი, ყველა სხვა საჭმელი მოგონილია მასთან. უმიც რომ მიირთვა, მაშინაც კი თითებს მიაკვნეტავ, არამცთუ კარგი დიასახლისი რომ გულიანად დაამზადებს როგორც კერძსა, მართლა თუ ოსტატურად მოამზადე, თუ სანელებელი-საკაზმი გონივრულად უყავი, იმის ბადალი დედამიწის ზურგზე რა იქნება. თუ არა ვცდებით, გემოვნებიან დიასახლისად მთვლი, მახოხი და ღოლოს შეჭამანდი რომ მომიმზადებია, ძაან გემრიელად მიგირთმევია, და სინდისს რომ ჩემებურად მოგიმზადებ, ყველაფერი დაგავიწყდება. როგორ მოგიმზადო, საყვარელო, ჩავხოხბო თუ ტაფაზე შევწვა? მგონი სატაცურივით მოხარშვა აჯობებს, კვერცხიც დავახალოთ, მწვანილიც ბლომად უნდა ვუყო, თანაც ძაან ქორფა ვურჩიო, ცოტა ძმარსაც მოვანამავ, უფრო საამო გემოს მისცემს. ეხლავე, გენაცვალოს ჩემი თავი, შენ სინდისზე კარგად ჩამოაყალიბე აზრი, სანამ ორიოდეჯერ გაივარჯიშებ ტვინში, მანამ ცხელ-ცხელ სინდისსაც მოგართმევ აქვე!

ხმა არ გავიღე. ძაან მეწყინა, რომ ჩემი ხოხობა, ჩემი ხატი და ანგელოზი დღეს რაღაც გადარეული იყო. ასე უსინდისოდ ექცეოდა სინდისს.

ამ დროს მეზობელმა მათამაც შემოსძახა:

— ბაბალე-ეეე!

— ბრძანეთ! — გამოჩქარდა სამზარეულოდან.

— აჰა, ლობიო მიართვი თაყასა, შვილო!

— უი, უი, რად შეწუხდი, დეიდა მათო?! სწორედ ეხლა ვუმზადებდი საჭმელსა, ვარია უნდა შემეწვა...

— ვიცი, სხვის შემოსაშველებლად არა გაქვთ საქმე, ღმერთმა მოგცეთ, ყველაფერი ბევრი გაქვთ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ძაან უყვარს ლობიოცა და იქნებ ეს უფრო ესიამოვნოს! — და ლობიოს დიდ ჯამთან ერთად, ნივრის ფოჩის მწნილიც მიაწოდა ხოხობას.

ისეთი გემრიელად გვახელით ორივემა, რომ მეფის სუფრას გვერჩივნა.

— აი, ყველაზე გემრიელი საჭმელი! — ვთქვი მე.

— და მგონი, ყველაზე მძლავრი იარაღიც! — სიცილით მომიგო ხოხობამ.

მერე ერთმანეთს მივაშტერდით და ღრმა ფიქრებმა გაგვიტაცა. გვიან დავაშველეთ თვალები.

— არა, ჩემო ხოხობა, შენ არ გეპატიება, სინდისის ასე გაუფასურება, — ახლა კი ღონივრად ამოვთქვი, კუჭი რომ დავინაყრე და მუცელი ხმას აღარ ამოიღებდა, — სინდისი სულ სხვა რამაა, სინდისი სიყვარულის, ოცნების, სიკეთისა და სიმართლის ღვიძლ ძმაა, ის ცაში ბინადრობს და კაცშიც, ის განაგებს ყველაფერსა, ამიტომაც არის ყველაზე მძლავრი იარაღი.

— ეჰ, რა მოგარჩენს, შე საწყალო! — ესლა ჩაიბუტბუტა ხოხობამ, წამოდგა და საქმეს მიხედა.

ეს კი მის უსიტყვო კაპიტულაციას ნიშნავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გრიგოლ ჯულუხიძე

## პეპლები

შენსკენ ვიჩქარი
პიკის საათს,
პიკის ექსპრესით...
პიკის დამასავით გრიმწასმული
ქალბატონი
მაწვდის ბილეთს და
ვნებიანად მეუბნება:
— თუ არ შეწუხდებით, ვაჟკაცურად
დამიკომპოსირეთ!
ვუკომპოსირებ და
შენსკენ მოვიჩქარი.
სიწყნარეა სალონში,
ისეთი დღეა
ამინდზე ვერ გამოელაპარაკები
თანამგზავრს,
ამინდი არ იძლევა ამის საბაბს —
არც წვიმს,
არც ქარია,
არც ცხელა...
და მაინც აქა-იქ ყვავიან დეკოლტეები,
ძილისწინ,
ოცნებებში ნაქანდაკარი მზექაბუკების
მომლოდინე მანდილოსნებისა.

მე შენსკენ მოვიჩქარი...
რა დიდი გზაა შენამდე.
ორი პეპელა ამოფრინდა აღმართზე,
ამოჰყვათ მინდვრის ნიავქარი,
კვირტების სუნთქვა,
ფრთების ფრთხიალით გააფხიზლეს
მყუდრო სალონი
და რომ შეასკდნენ
ნილბებივით უძრავ სიფათებს,
დროით და ბედით დასრულებულ,
დამჯდარ სახეებს,
ბილეთის ყიდვაც ვერ მოასწრეს,
ისე ჩაფრინდნენ.

— აი,
ესაა ჩვენი ხვალე, ჩემო ბატონო! —
იპოვა „პიკის“ ქალბატონმა
სალაპარაკო —
დაზოგეს ათას ოხრობისთვის ოცი
კაპიკი!
ვიღაც გაცხარდა:
— გენაცვალე, ამათ შემყურეს,
მოუკვდეს დედა,
თვალისჩინი მრჩება უცოლოდ!..
— ჯერ ჩაცმა ნახეთ! — აქირქილდა
მთელი სალონი,
— ღიმილი!
— ჟესტი!
— გამოხედვა!
— თმები!
— წარბები!
— აი,
ამათთვის უნდა ვნაყოთ თავით
მარილი?!

მე ერთი ვიყავ სალონიდან
ისეთ ასაკში,
ვისაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ფრთები
საფრენი
და უცხო შიშით,
გაურკვეველ გულის კარნახით,
ფრთებდაკეცილი,
გავინაბე ჩემთვის კუთხეში.
სხვები,
ექსპრესის ყველა მგზავრი,
მე მომეჩვენა:
ტრანსპარანტებით,
ლოზუნგებით,
შეძახილებით...
მოწყდნენ სავარძლებს,
მოეფინენ ქალაქის ქუჩებს
და ზოგან ბადით დაერივნენ.
პეპლებს საჭერად...

ისეთი დღეა, არც ქარია,
არც წვიმს,
არც ცხელა,
შენსკენ ვიჩქარი,
ნუ მოდიხარ ჩემს შესახვედრად, —

ქალაქში დადის გულგრილობა
და ჩოგანბადით
ახალგაზრდობას სიბერისკენ
მიერეკება!...

შენსკენ ვიჩქარი,
ნუ მოდიხარ ჩემს შესახვედრად,
მე მოვალ შენთან,
ჩემი ფრთები დაგიფარავენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნუცუბიძის ფერდობიდან

ვახტანგ ჯავახაძეს

ნუცუბიძის ფერდობიდან,
(„ჩვენებურად“ პლატოდან)
ცხრა დეკემბერს,
ცხრა საათზე,
ცხრანაირად გათოვდა.

გადუარა ბაგებს,
ვაკეს,
სოლოლაკს და ღრმაღელეს...
მიყვარს თოვლი,
უთოვლობა
უფრო მეტად მაღელვებს.

ვუთვალთვალე,
ვუთვალთვალე
თოვლის ცვენას ზეციდან,
საათს ვიდექ,
მესამოცე
წუთზე, როცა შემცივდა,

სახლში შეველ,
იქნებოდა
ასე, ათის ჩეთვერი,
ღვინო ვწრუპე თერთმეტამდე,
გვარიანად შევთვერი,

ჩამეძინა,
გამაღვიძა
სამზე თოვლის ყვირილმა,

გადავხედე,
არ ეღვიძა
ირაკლის და ირინას.

დილამდე თუ ასე თოვა,
საჭესთან ვერ დავჯდები, —
ორს ოთხიდან დაჭირდება
სამუხრუჭე ჯაჭვები.

რიყრაყისხანს,
როცა სივრცე
განათდა და გაბრწყინდა,
ხემსი ხაშით დავასრულე
დაწყებული მაწვნიდან.

მეექვსეზე ვცხოვრობ, მაგრამ
თოვლი ისე მოვიდა,
რომ აღმოვჩნდი მეოთხეზე
ზუსტად თოვლის დონიდან.

ძვირფას წიგნის თაროებთან
ზუსტად ხუთ წუთს დავყავი,
ალბომების ოცეულებს ჩავუარე
თაყვანით.

ლექსს მივუჯექ ნაბახუსევს,
დამეფანტა ფეტვივით:
ერთი მძიმე,
ორი ტირე,
სამი მრავალწერტილი.

## სიყვარული

არ არსებობს სიყვარული ფრთების
გარეშე,
ქვეყნად
იმდენი წყვილი ფრთაა,
რამდენიც სიყვარული.
ცაც იმდენია,
ვარსკვლავიც იმდენი...
სიყვარულს მიწაზე ვინ დაინდობს, —
ან ვინმეს ფეხქვეშ წაებლანდება,
ან შეაკრთობს ნაგვის ზარი.

არ არსებობს სიყვარული ფრთების
გარეშე,
თუ არ იფრინა,
რა ქნას სიყვარულმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## პელაგია

მოკვდა პელაგია.
მოსკდა სოფელი...
კუბოში ჩაასვენეს,
გოგოსავით გააფარფაშეს,
ლოყები დაიკაწრეს:
სად მიდიხარ,
სად იკარგები...
ის კი სოფელში დარჩა,
სახლის გვერდით, —
სასაფლაოს მყუდრო კედელთან.

## თოკი

მომკივის როცა
და მცემს ულმობლად
ჩემი ქალაქი — დედინაცვალი,
შენსკენ მოვრბივარ,
დედაჩემო — ჩემო სოფელო.

ასე გავრბივარ აქეთ-იქით
ცხოვრების თოკზე,
რომლის ბოლოებს ჯერჯერობით,
ხელისკანკალით
იჭერს დედაც და დედინაცვალიც.
დედის ხელები ებრძვის
შვილის არარაობას,
დედინაცვალი
ჯამბაზობის მოტრფიალეა...
და მე გავრბივარ აქეთ-იქით
ცხოვრების თოკზე.

ვინ მომისაჯა თოკზე სირბილი?
გაუშვით ხელი ერთერთმა მაინც!

## მე ვიმეორებ ჩემს თავს

მე ვიმეორებ ჩემს თავს
ყოველ დღე,
ყოველ ღამ,
ყოველ წუთს...
და როცა ეს ვიგრძენი და აღმოვაჩინე
უკუღმა დატრიალდა ყველაფერი:
სხვისი სიარულით გავიარე,
სხვანაირად მეძინა და
სხვანაირად გავიღვიძე,
აი, ისე
დიდ ხალხს რომ ჩვევიათ.

ასე დავკარგე ჩემი თავი და
ძებნას მოვყევ,
იმ ადგილებში,
აი იქ,
სადაც დიდკაცობა მრავლობს,
მე კი
ამ დროს
თურმე დედასთან ვიჯექ,
მის კალთაში თავჩადებული
და ვინ იცის
მერამდენედ ვკითხულობდი:
— სიმინდის რამდენი ბწკარი დარჩა
გასამარგლი.

## ბალახი

ბალახი,
რომელიც შენი მკერდიდან ამოიწვერა,
მარტო ბალახი არ არის...
და თუ ერთ მშვენიერ დღეს
ჩამოვლილმა ნახირმა ჩამოგძოვა,
ქვეყანას ნუ შეძრავ,
ჩივილს ნუ მოყვები,
ნახირისათვის ბალახი ბალახია,
ესეც რომ არ იყოს,
მკვდრად გამოგაცხადებენ —
ბალახს რა უნდა ცოცხალის მკერდზეო.

ბიბლიოთეკა

# ალექსანდრე დიდებაშვილი

## ბებრის ციხე

ბებრის ციხეზე სიჩუმე სუფევს,
არ შეუძლია ციხეს ხმაური,
ზედაზნისაკენ მიმავალ ღრუბლებს
თვალს მიაყოლებს,
ვით მოგზაური.

ო, რამდენ ავდარს გაუძლო ხალხმა,
ბევრი დღე ახსოვს ციხეს წყეული...
სამშობლოს ბედზე ლოცულობს გალმა
კაცი, თეთრ სვეტად გადაქცეული.

## მცხეთა

დუმილი არ ძალუძს სამრეკლოს.
დიდია მიხმობის სურვილი...
ფიქრივით შემორჩა გარემოს
ნანთები სანთლების სურნელი.

სულთა მგზნებარება ქვაშია,
სათავე რა მხნეა, რა შორი.
ჩუქურთმა გაამხელს ხვაშიადს
რიჟრაჟის საამო ამბორით.

გვაშუქებს გონების ნათელი,
მხარგაშლა — ზღაპრული მეტოქე.
აქ მიწას ბევრი აქვს სათქმელი,
ღაღადი სწყურიათ ეპოქებს.

და რაიც ღაღადებს თვალნათლივ,
დიდია,
მაღალი,
უცილო...
დროს კვალი დასტურად წავართვით,
რომ არ ვართ უფესვო, უძირო!

## ზედაზენი

აი სიმაღლე — მხარგაშლა სივრცის,
თვალი ამ ფერებს ვერა და ვერ თმობს.
გათქვირებული ძუძუთა კვიცის
სინატიფე აქვს ჩაფენილ ფერდობს.

მზის ცხელი ფერფლი აცვივდა მცხეთას,
გამძაფრებულა გაძლების ჟინი.
ათინათებში გუმბათებს ხედავ
და გულში იტევ კაშკაშა ავნისს.

ხავსიან თათებს დრო სადღაც მალავს,
წინაპრის ნიჭი ქედს როდი იხრის...
აქ მთას უპყრიხარ აწვდილი მაღლა,
აქ საუფლოა მაღალი ფიქრის.

## მთის სოფლის საყვედური

ველურ სიჩუმით აგზნებულ ლოდინს
გზისკენ უპყრია თვალები სველი
და ორღობეში არავინ მოდის,
ლამის ობობამ გააბას ქსელი.

ბილიკს იპარავს ხასხასა მოლი,
ქრება დაჭედილ ფლოქვების კვალი.
სახურავებზე მოხუცის თრთოლვით
წელს აითრევენ სვეტები კვამლის.

დუმილი რამდენ საყვედურს ფარავს,—
დიდი ქალაქი სიხარბეს იჩენს,
თავისკენ მართავს უამრავ შარას,
მიაქვს ხმაური და სიხალისე.

ხან მისანივით წინასწარ გრძნობენ
და შრიალებენ თეთრი ვერხვები,
რომ სიხარული ეწვევა სოფელს
შვილიშვილების ნორჩი ფეხებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## უკუნისი გზებიდან

გავხედავ დროის
მრუმე ნაშრევებს,
ლურჯ ნისლში კვალი
რას არ მახსენებს:
როგორ მინგრევდნენ,
რაიც ვაშენე,
ლოცვის ჟამსაც კი
არ მომასვენეს.

ვერ დამიბინდეს
სულის ტატნობი.
სხვას ვუკიაფე
სიბრძნის სანთელი.
სიკეთის ღვედით
შევკარ გვარ-ტომი,
მზის ამოსვლამდე
მაინც გავძელი.

მდევდნენ...
ვჩეხავდი...
მედგა კედელი.
ვაზს ვიწელავდი
ძვლებზე ძარღვებად...
ასე მოვდივარ
შეურცხვენელი...
მე ჩემი სისხლი
მეამაყება.

## მუზის მასპინძელი

ვაჟას ცხოვრებიდან

ფარფატა ხისლთა ტევრში
ლურჯად ანთია მთები...
დადის დევკაცი მთებში,
დექის ჩივილზე კრთება...

ზოგჯერ დაიჭერს გუთანს,
ხარებს უძღვება ცოლი,
ქალს იქნებ რამე უთხრას, —
სიტყვით დაუდოს ტოლი, —
ტოვებს ცოლსა და ხარებს,
თავის მიწურში შერბის,
უკვირთ ახოვან ფშაველებს:
„— ეს კაცი რასა შვრების!“

რჩება უკვდავი კვალი,
ქაღალდი იშრობს მელანს
და ერთადერთი თვალი
ღვთიური ალით ელავს...

და, აჰა, წერას მორჩა, —
ტვირთი მოეხსნა თითქოს,
გულის ლადარით როცა
ცეცხლი შეუნთო სტრიქონს.

## კეთილი კაცი

ნუმც გამოლიოს სიკეთის სხივი,
ნუმც ჩააჩუმოს სიკეთის ბუკი,
ეს მისი მადლით — სამყარო ღვივის
ლორთქო ფოთლებში გაცრილი შუქით.

სიცოცხლის მძაფრი ხალისი მოგდევს,
ქარში გაარჩევ ყვავილთა ლოცვას,
სიკეთის სილბოს შეიგრძნობ ოდეს,
სიკეთე გულებს ანათებს როცა.

და მწამს აღმართებს გაუძლებს მუხლი...
და სულში იის ნაწური მაწვიმს...
რამეთუ ჟამსაც ავდრის და მწუხრის
შემწედ მეგულვის კეთილი კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო ვეკუა

●

მთებს შემოენთო მზე სისხლიანი,
გზაგასაყართან დაეცა ჩრდილი,
ცვარში არეკლილ მზის ათინათით
ერთობა ჩვილი...
და ქართვლის დედა ორი ბოკვერით
გზაგასაყართან ელის ამირანს...
კავკასიონი შეირხა თითქოს,
ისმის ნანინა.

მზე აიწია, მიჰყვნენ ფეხდაფეხ,
(გზადაგზა ჩრდილსაც აცლიან მნათობს)
მივალ, მივყვები ნატორალ ბილიკს,
დაწევას ვლამობ...
ვერთობი ასე ჩუმ ოცნებებთან
მდუმარე (დუმილს არავინ მიშლის),
ცაო, აშორე ამ წუთისოფელს
დაქცევის შიში!

## ძილი ნებისა

ძილი ნებისა,
ჩემო პატარა ქალბატონო,
ძილი ნებისა,
უმინო სივრცე ცრუ კარ-ფანჯრებს
იტევს უამრავს,
შეალე ჩუმად, შეალე ჩუმად,
ფიქრი ანდე მფრინავ ხალიჩას,
თუმცა აქამდე ბევრმა რაშით
შემოუარა
მთვარესთან ერთად ჩვენს დედამიწას...
ძილი ნებისა,
ჩემო პატარა ქალბატონო,
ძილი ნებისა,
ზღაპრულ წამებზე ვისაუბროთ
გათენებისას.
მტრედისფერ კვამლით ივსება უმინო
სივრცე და
მხრებზე მაწევს ღამის ფიქრი —
ცისფერი ნისლი,

ძილი ნებისა,
ჩემო პატარა ქალბატონო,
განთიადამდე მე ვეწვევი ისევ ჩემს
ჯარგვალს,
იმ ჯარგვალს, სადაც
გაცხადებული სიზმარივით მხვდება
ბავშვობა,
ცისფერი გზები,
მწვანე შუქი,
მწვანე შუქი და ცისფერი გზები...

ფიქრი ფიქრით ილევება
და ფიქრს ისევ ფიქრი ეწევა,
ასულდგმულებს იმედს იმედი,
და ძილის დრომდე რადგან მივედით,
ძილი ნებისა,
ჩემო პატარა ქალბატონო,
ძილი ნებისა,
ზღაპრულ წამებზე ვისაუბროთ
გათენებისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ირემაძე

# სერგო ორჯონიკიძე სამოქალაქო ომის ფრონტზე

როცა მტერმა ხელი აღმართა გამარჯვებული პროლეტარიატის ხელისუფლების წინააღმდეგ, სერგო ორჯონიკიძე რევოლუციის დამცველთა პირველ რიგებში ჩადგა. მან დიდი როლი შეასრულა პულკოვოსთან კერენსკი-კრასნოვის ჯარების განადგურების, იუნკერთა აჯანყების ჩაქრობის, რევოლუციური პეტროგრადის დაცვის საქმეში. მან კერენსკის მიერ აჯანყების ჩასაქრობად გამოგზავნილი მთელი ბატალიონი პეტროგრადის მისადგომებზე შეხვედრისას აჯანყებულთა მხარეზე გადმოიყვანა. კერენსკის განადგურების შემდეგ მალე იგი პარტიის პეტროგრადის კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის წევრად აირჩიეს. თითქმის ყოველდღე გამოდის მიტინგებზე, კრებებზე. 20 ნოემბერს გაემგზავრა მინსკში, სადაც მონაწილეობა მიიღო დასავლეთის ფრონტის მეორე საფრონტო ყრილობის მუშაობაში, ხოლო ცოტა მოგვიანებით, მას და მურანოვს დაევალათ დასწრებოდნენ, როგორც ცკ-ის წარმომადგენლები საარმიო და საფრონტო ყრილობებს. ნაყოფიერად მონაწილეობს პეტროგრადის კომიტეტის მუშაობაში.

1917 წლის 19 დეკემბერს რსფსრ სახკომსაბჭომ ორჯონიკიძე უკრაინის დროებით საგანგებო კომისრად, ცენტრის სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშნა პოლიტიკურ, სამხედრო, სასურსათო, საბანკო და სხვა საკითხებში. ლენინი რწმენას გამოთქვამდა, რომ საბჭოთა უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ანტონოვი იმოქმედებდა უკრაინის ცენტრალურ საბჭოთა ხელისუფლებასთან და სახკომსაბჭოს მიერ დანიშნულ დროებით საგანგებო კომისარ სერგო ორჯონიკიძესთან სრულ კონტაქტში.

მანდატი, რომელიც სერგოს 1917 წლის 20 დეკემბერს გამოუწერეს, იუწყებოდა: „ამით დასტურდება, რომ ამ მანდატის წარმომდგენი ამხანაგი ს ე რ გ ო   ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე დანიშნულია უკრაინის რეგიონის დროებით საგანგებო კომისრად მუშაობის ყველა დარგში (სამხედრო, სასურსათო, საბანკო და ა. შ.) იქ მოქმედი საბჭოთა ორგანიზაციების მოქმედების გაერთიანებისათვის.

სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე

ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლენინი)

ეროვნების საქმეთა
სახალხო კომისარი   ი. ს ტ ა ლ ი ნ ი..."

მანდატში აღნიშნული რწმუნების დამატებით, ახსნა-განმარტების სახით რსდმპ(ბ) ცკ-ის სამდივნო წერილობით აცნობებდა უკრაინის ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს, რომ ორჯონიკიძეს, უფრო ფართო რწმუნებები აქვს და ამხანაგ ანტონოვს არ შეუძლია გადადგას რაიმე ნაბიჯი, გარდა სამხედრო ნაბიჯისა (ე. ი. ოპერატიული საკითხების გადაწყვეტის გარდა. — ა.ი.) ამხანაგ ორჯონიკიძის გარეშე". პრაქტიკულად ორჯონიკიძეს ევალებოდა პოლიტიკური ხელმძღვანელობა საბჭოთა ჯარების შტაბის მუშაობისათვის უკრაინაში.

საბჭოთა მუშაობის ხაზით მინიჭებულ რწმუნებებთან ერთად, სერგოს დიდი უფლებები ჰქონდა აგრეთვე უკრაინის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გასაერთიანებლად. „ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი უკრაინაში, — აღნიშნული იყო ცკ-ის პლენუმის დადგენილებაში, — არის ამხანაგი სერგო".

საგანგებო კომისარი, რომელიც ამავე დროს სურსათის სახალხო კომისარიატის სრულუფლებიან რევიზორად დაინიშნა ქვეყნის სამხრეთში, თავისი „აპარატით", რომელიც ყველაზე საიმედო და გამოცდილი ოთხი მუშაკისაგან შესდგებოდა, უმალ ჩავიდა ხარკოვში. აქ და საერთოდ ადგილებზე საბჭოები არსებითად მენშევიკებსა და ესერებს ჩაეგდოთ ხელში, (რადგან თვალსაჩინო ბოლშევიკები ფრონტზე

წავიდნენ) და შეგნებულად ახდენდნენ მისი მუშაობის პარალიზებას. ამით ისარგებლა მტერმა და მან ფართო ფრონტით გაშალა კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტური საქმიანობა. ეწეოდა საბოტაჟს, დივერსიებს, აწყობდა ანარქისტულ გამოხდომებს. ყოველნაირად აბრკოლებდა სურსათის გაგზავნას სამრეწველო ცენტრებში. პიტერს კი შიმშილის სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა. აქ დღეში 50-60 გრამი პურის მიცემას ძლივს ახერხებდნენ მუშებისა და ჯარისკაცებისათვის. ლენინი საგანგაშო დეპეშას უგზავნის ორჯონიკიძეს: „ორიოლსა და კურსკს შორის შეიქმნა ხერგილი, რომელიც ხელს უშლის ქვანახშირითა და პურით დატვირთული მატარებლების მოძრაობას. ყოველგვარი შეჩერება ქმნის შიმშილისა და მრეწველობის შეფერხების საფრთხეს. ეჭვი გვაქვს რკინიგზელთა საბოტაჟზე, რადგან იქ არა ერთხელ ყოფილა ამის შემთხვევა. დაბეჯითებით გთხოვთ მიიღოთ უაღრესად ულმობელი რევოლუციური ზომები, გთხოვთ გაგზავნოთ აბსოლუტურად საიმედო ადამიანთა რაზმები. ყოველი საშუალებით გაგზავნეთ პურით დატვირთული ვაგონები პეტროგრადში, თორემ შიმშილი გვემუქრება... გახსოვდეთ, რომ თქვენზეა დამოკიდებული პიტერის გადარჩენა შიმშილისაგან".

მეორე დღეს კიდევ ერთი დეპეშა ჩააბარეს სერგოს. „ხვთის გულისათვის, — წერდა ლენინი ორჯონიკიძეს — მიიღეთ უ ა ღ რ ე ს ა დ ენერგიული და რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ზომები პ უ რ ი ს, პ უ რ ი ს ა და პ უ რ ი ს გასაგზავნად!!! თორემ პიტერს შეიძლება სული ამოხდეს. განსაკუთრებული მატარებლები და რაზმები. შეგროვება და ჩაბარება. გააცილეთ მატარებლები. მაცნობეთ ყოველდღე.

ხვთის გულისათვის!"

ბელადის დავალება სერგოსათვის კანონია. სერგო დღელამეს ასწორებს, მთელ ძალასა და ენერგიას ლენინის, პარტიის დავალებების შესრულებას ახმარს: პირველ რიგში ამსხვრევს ძველ, მესაბოტაჟე სურსათდამამზადებელ აპარატს და ჰქმნის პურისა და სასურსათო პროდუქტების დამზადებისათვის ახალს, სასწრაფოდ მილიონნახევარ ფუთ პურს აგზავნის დედაქალაქსა და სამრეწველო ცენტრებში, აერთიანებს საბჭოთა და სამხედრო დაწესებულებათა საქმიანობას.

უკრაინაში ორჯონიკიძე დიდ მუშაობას ეწევა რევოლუციური წესრიგის დასამყარებლად, საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შესაქმნელად, საბჭოთა რუსეთის პურითა და სხვა სასურსათო პროდუქციით მომარაგებისათვის, რაზმავს უკრაინელ კომუნისტებს გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად, ქმნის წითელი არმიის რაზმებსა და შენაერთებს. ლენინი ერთობ მაღალ შეფასებას აძლევდა ორჯონიკიძის საქმიანობას უკრაინაში. იგი განსაკუთრებით კმაყოფილი იყო იმით, რომ სერგომ ჩინებულად შეასრულა მისი დავალება პიტერის პურით უზრუნველყოფის შესახებ. „სულითა და გულით გმადლობთ ენერგიული ზომებისათვის სურსათის დარგში. თუ ღმერთი გწამთ, მთელი ძალ-ღონით განაგრძეთ სურსათის შოვნა, პურის ალებისა და ჩაბარების საჩქაროდ მოწყობა, რომ მოვასწროთ მომარაგების მოგვარება უგზოობამდე. მთელი იმედი თქვენზეა, თორემ გაზაფხულზე შიმშილობა გარდუვალია... მიიღეთ ზომები პიტერ-ხარკოვის გზის სამმაგი დაცვისათვის... სალამი და საუკეთესო სურვილები. ლენინი".

გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარების შემოჭრამ უკრაინაში რესპუბლიკის მდგომარეობა ერთობ გაართულა. გამწვავდა ქვეყნის სურსათით მომარაგების საკითხი. მენშევიკების, ესერების, ჰაიდამაკელების, პეტლიურელების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების ღალატით კიდევ უფრო ტრაგიკული შეიქმნა მდგომარეობა უკრაინაში. აქ საჭირო გახდა ფრიად ფრთხილი და ფრიად მოქნილი პოლიტიკის განხორციელება. ლენინი დაწვრილებით საინსტრუქტაჟო წერილს უგზავნის ორჯონიკიძეს: ამხანაგო სერგო, — წერს ბელადი, — ძალიან გთხოვთ სერიოზული ყურადღება მიაქციოთ ყირიმისა და დონის აუზს იმ თვალსაზრისით, რომ შეიქმნას ერთიანი საბრძოლო ფრონტი დასავლეთიდან შემოსევის წინააღმდეგ. დაარწმუნეთ ყირიმელი ამხანაგები, რომ ვითარება თავს ახვევს მათ თავდაცვას და მათ უნდა დაიცვან თავი, მიუხედავად საზავო ხელშეკრულების (ბრესტის. — ა. ი.) რატიფიკაციისა. გააგებინეთ მათ, რომ ჩრდილოეთის მდგომარეობა არსებითად განსხვავდება სამხრეთის მდგომარეობისაგან ომის გამოც. უკრაინის წინააღმდეგ გერმანელთა ფაქტობრივი ომის გამო ყირიმის დახმარება, რომელიც (ყირიმი) გერმანელებს შეუძლიათ სხვათაშორის შესანსლონ, არა მარტო მეზობლური მოვალეობის აქტია, არამედ აგრეთვე თავდაცვისა და თავის შენახვის მოთხოვნაა. შესაძლოა, რომ სლუცკიმ ვერ გაიგო შექმნილი სიტუაციის მთელი სირთულე და რაღაც სხვა გაუბრალოებულ ხაზს ადგას. მაშინ მას უკან უნდა დაახევინოთ გადაჭრით, რისთვისაც მე დამიმოწმეთ. პურისა და ლითონის დაუყოვნებლივი ევაკუაცია აღმოსავლეთისაკენ, ძირგამომთხრელი ჯგუფების შექმნა, ყირიმიდან ველიკორახიამდე, დაცვის ერთიანი ფრონტის შექმნა და საქმეში გლეხების ჩაბმა, უკრაინაში მყოფი ჩვენი ნაწილების გადაჭრით და უხიტყვოთ გადაკეთება უკრაინულ ყაიდაზე — ახეთია ახლა ამოცანა. უნდა აუკრძალოთ ანტონოვს თავს უწოდებდეს ანტონოვ-ოვსეენკოს, — მას უნდა ერქვას უბრალოდ ოვსეენკო. იგივე უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითქვას მურავიოვზე (თუ იგი დარჩება პოსტზე) და სხვებზე.

რაც შეეხება დონეცის რესპუბლიკას, გადაეცით ამხანაგებს არტიომს, ჟაკოვსა და სხვებს, რომ როგორც არ უნდა ცდილობდნენ გამოყონ უკრაინიდან თავიანთი ოლქი, იგი, ვინიჩენკოს გეოგრაფიის მიხედვით, მაინც შეტანილი იქნება უკრაინაში და გერმანელები შეეცდებიან მის დაპყრობას. ამიტომ სრულიად უაზროა დონეცის რესპუბლიკის მხრივ უარი ითქვას დანარჩენ უკრაინასთან დაცვის ერთიან ფრონტზე. მეჟლაუკი პიტერში იყო, და დათანხმდა ეცნო დონეცის აუზი უკრაინის ავტონომიურ ნაწილად. არტემიც დაეთანხმა ამას, ამიტომ დონეცის აუზიდან რამდენიმე ამხანაგის ჯიუტობა წააგავს სრულიად აუხსნელ და მავნე ჭირვეულობას, რომელიც ყოვლად შეუწყნარებელია ჩვენს პარტიულ რიგებში.

შეაგნებინეთ ყოველივე ეს ამხ. სერგო, ყირიმელ და დონეცკელ ამხანაგებს და მიაღწიეთ დაცვის ერთიანი ფრონტის შექმნას... ფულის შესახებ მიეცით განკარგულება გასცენ დაცვისათვის საჭირო, მაგრამ იყავით არქიფრთხილად. მიეცით მხოლოდ ყველაზე საიმედო ადამიანებს და უაღრესად სერიოზული კონტროლით, რადგან „წაგლეჯის" ან ტყუილად გადაყრის მსურველი ახლა ბევრია".

ლენინის წერილით, მისი მითითებებით და დარიგებებით აღფრთოვანებული სერგო ყველაფერს აკეთებს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების გასამტკიცებლად, უკრაინის ყველა რევოლუციური ძალების სრულიად უკრაინის ცაკის ირგვლივ დასარაზმავად, საბჭოთა და სამხედრო დაწესებულებების მეგობრული, შეთანხმებული მუშაობის მისაღწევად, აგვარებს საბჭოთა და სამხედრო დაწესებულებების ერთობლივ საქმიანობას სასურსათო პროდუქტების, პირველ რიგში პურის დასამზადებლად, ქმნის სამხრეთ რუსეთის საგანგებო სასურსათო კომიტეტს, რომელმაც საოცრად მოკლე დროში, განსაკუთრებული როლი შეასრულა სურსათის დამზადების საქმეში.

დიდი დრო დასჭირდა სერგოს, ლენინის მითითების შესაბამისად შეექმნა ერთიანი საბრძოლო ფრონტი და გაეერთიანებინა სრულიად უკრაინის, ყირიმისა და დონეც-კრივოიროგის რესპუბლიკის ჯარები ერთიანი სარდლობის ქვეშ, მაგრამ მენშევიკების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების გამცემლური ღალატით ამ საქმის 1918 წლის მარტის შუა რიცხვებამდე გაჭიანურებით მას დიდი დადებითი შედეგი აღარ მოჰყვა, აღარ მოხერხდა ამ გადაწყვეტილების პრაქტიკულად განხორციელება. გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარებმა უკრაინის მთელი ტერიტორიის ოკუპაცია განახორციელეს. ბრესტის საზავო პირობების შესაბამისად უკრაინამ თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა და იგი გავიდა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობიდან. სერგო ორჯონიკიძე ამიერიდან აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი — დროებითი საგანგებო კომისარი უკრაინაში.

1918 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით შეიქმნა სამხრეთის რაიონის დროებითი საგანგებო კომისარიატი. საგანგებო კომისრად ორჯონიკიძე დაინიშნა. კომისარიატს ევალებოდა ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების დირექტივების განუხრელად გატარება, ბურჟუაზიულ-თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის ორგანიზაცია, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება, სახალხო კომისართა საბჭოსთან ოლქებისა და გუბერნიების პირდაპირი კავშირის შენარჩუნება. მანდატი, რომელიც ორჯონიკიძეს გაუგზავნა ლენინმა როსტოვში, ავალებდა სახალხო კომისართა საბჭოებს, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს, რევოლუციურ კომიტეტებს, სამხედრო რევოლუციურ შტაბებს, ემოქმედათ ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებთან, საგანგებო კომისარ ორჯონიკიძესთან სრულ კონტაქტში. კომისარიატის ფორმირება სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით დაევალა თვით სერგო ორჯონიკიძეს, როგორც კომისარიატის თავმჯდომარეს კომისარიატი პასუხს აგებდა საქმის მდგომარეობისათვის ყირიმში, დონისა და ყუბანის ოლქებში, სტავროპოლისა და შავი ზღვისპირეთის გუბერნიებში, მთელ ჩრდილო კავკასიაში. კომისარიატი კურირებდა აგრეთვე შავი ზღვის ფლოტსაც. თითქმის მთელ სამხრეთ რუსეთს. სწორედ ამ რეგიონების თავკაცთაგან უნდა შექმნილიყო კომისარიატი.

მაგრამ მისი ფორმირება არ მოხერხდა თეთრგვარდიული კონტრრევოლუციისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის გააფთრებული შემოტევებით მდგომარეობის უმწვავესი გართულების გამო. ორჯონიკიძე მასზე დაკისრებული ამოცანების ფუნქციებს არსებითად ადგილობრივი რევოლუციური ორგანოების აპარატზე, წითელგვარდიულ რაზმებზე დაყრდნობით ახორციელებდა, რაც, რაღა თქმა უნდა, უმძიმეს და ურთულეს მდგომარეობაში აყენებდა მას. და, მიუხედავად ამისა, სერგო პარტიის ნების შესაბამისად რაზმავს სამხრეთ რუსეთის, მთელი ჩრდილო კავკასიის რევოლუციურ ძალებს თეთრგვარდიული კონტრრევოლუციური ბანდების, ანტისაბჭოური ამბოხებების წინააღმდეგ საბრძოლველად, ქმნის საგანგებო შტაბს, რომელიც ხელში იღებს მთელ ძალაუფლებას რეგიონში, აყალიბებს და წვრთნის წითელი არმიის საბრძოლო ნაწილებსა და შენაერთებს, წარმატებით ახორციელებს საყოველთაო სამხედრო სწავლებას. დონის ჩრდილოეთ ოკრუ-

გებში შექმნა საგანგებო სამობილიზაციო კოლეგია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამხედრო ბაზებისა და ნაწილების ჩამოყალიბებასა და საერთოდ დონის რესპუბლიკის შინაური კონტრრევოლუციისა და გერმანელი ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მართალია ახლად ფორმირებულმა სამხედრო ნაწილებმა დაამარცხეს გერმანელთა, ჰაიდამაკთა, და თეთრგვარდიელთა ჯარები და 7 მაისს დაიბრუნეს როსტოვი, თუმცა 8 მაისს ისინი იძულებული გახდნენ დამარცხებული გასულიყვნენ ქალაქიდან, მაგრამ ამ შეუპოვარ ბრძოლებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მტრის შემდგომი წინსვლის შეჩერებისათვის, დროის მოგებისა და ძალების მოკრებისათვის.

უკრაინისა და ახლა როსტოვის დაკარგვის შემდეგ ცარიცინს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამრეწველო ცენტრების — პიტერისა და მოსკოვის სურსათით მომარაგების საქმეში. ცარიცინის რკინიგზის კვანძი და სამდინარო ნავსადგური წარმოადგენდა ახლა ერთადერთ საშუალებას, რითაც შეიძლებოდა გაგზავნოდა პური ჩრდილოეთის სამრეწველო ცენტრებს. ამ ქალაქის შენარჩუნებას და დაცვას რევოლუციისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. ორჯონიკიძემაც დონის რესპუბლიკის საბჭოთა მთავრობასთან ერთად ცარიცინს მიაშურა.

ცარიცინში სერგომ იმთავითვე ხელი მოჰკიდა სურსათის დამზადებისა და გაგზავნის საქმეს. მან განახორციელა დამამზადებელი ორგანოების რეორგანიზაციის ღონისძიებანი, მიიღო სხვა სასწრაფო, ექსტრაორდინალური ზომები და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. დაიწყო გარდატეხა დამზადებისა და სურსათის გეგმაზომიერი მიწოდების საქმეში.

მაგრამ ამ დროისათვის ცარიცინს გერმანელთა ჯარები უახლოვდებიან, ირგვლივ ძლიერდება კონტრრევოლუციური კაზაკური და სხვა ანტისაბჭოური ამბოხებები. ქალაქის დაცვას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ცარიცინი ხომ თავისი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მდგომარეობით გადამწყვეტი მნიშვნელობის ქალაქი იყო. „რევოლუციის ბედის საკითხი, — აღნიშნავდა მაშინ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, — ახლა ვოლგაზე და ურალში წყდება“.

სერგო სათავეში ჩაუდგა ცარიცინის დაცვის ორგანიზაციას. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისა და ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების დახმარებით, იგი უპირველეს ყოვლისა წმენდს ქალაქს თეთრგვარდიული ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან, სპეკულიანტებისა და ჯაშუშებისაგან, ააქტიურებს, აფხიზლებს ადგილობრივ ხელმძღვანელ მუშაკებს, თუმცა ეს არცთუ უმტკივნეულოდ ხდება.

28 მაისს სერგო ლენინს წერდა:

„მდგომარეობა აქ არ არის სასურველი. საჭიროა გადამჭრელი ზომები. ხოლო ადგილობრივი ამხანაგები ერთობ მოშვებულნი [illegible] ყოველგვარ სურვილს — დაე[illegible], [illegible] ადგილობრივ საქმეებში ჩარევად. [illegible] გასაგზავნი პურით დატვირთული [illegible] შრუტო მატარებელი დგას და არ [illegible] კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ სა[illegible] ყველაზე გადამჭრელი ზომები. ცარიცინის გარშემო კონტრრევოლუცია ბობოქრობს“.

უფრო ადრე სერგომ წარმატებით უხელმძღვანელა ანარქისტ პეტრენკოს მიერ მოწყობილი ანტისაბჭოთა ამბოხების ლიკვიდაციის ორგანიზაციას. არადა, პეტრენკოს მითვისებული ჰქონდა დიდი რაოდენობის ფული და სახელმწიფო ფასეულობანი. ბანდები, რომლებიც უკრაინის ფრონტიდან ბრუნდებოდნენ, არაერთხელ ემუქრებოდნენ ქალაქს დარბევითა და ძარცვით. 12 მაისს პეტრენკოს 1000 კაციანმა რაზმმა, რომელმაც ფრონტიდან გაიტაცა 1,5 მილიონი მანეთი და სამი მილიონი მანეთის ფასეულობანი, ადგილობრივი საბჭოს იმ მოთხოვნის პასუხად, რომ ჩაებარებინა ბანკში ფასეულობანი და იარაღი — დეპუტატთა საბჭოს ტყვიამფრქვევებისა და იარაღის ცეცხლი დაუშინა. პეტრენკოს ბანდების განსაიარაღებლად განხორციელდა ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებანი“.

ცარიცინის დაცვის სამუშაოებთან ერთად, და ამ საქმის წარმატებით წარმართვისათვის სერგო ორჯონიკიძე ძალასა და ენერგიას არ იშურებს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობის, მათი ნორმალური ურთიერთობის, საბჭოთა და სამხედრო ხელმძღვანელებს შორის წარმოშობილი კონფლიქტების მოსაწესრიგებლად, ტრანსპორტისა და მთელი საქალაქო მეურნეობის წესრიგში მოყვანისათვის, ყველგან რევოლუციური წესრიგის დამყარებისათვის.

ცარიცინის დაცვის წარმატებით მოწყობაში დიდი როლი შეასრულა ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის მტრული ელემენტებისაგან გაწმენდის ღონისძიებამ, რომელიც სერგომ დიდი გულისხმიერებითა და რუდუნებით განახორციელა. ეს შტაბი, რომელიც ცარიცინის დაცვას ხელმძღვანელობდა, სავსე იყო მტრული ელემენტებით, მოღალატეებით შენიღბული კონტრრევოლუციონერებით, რომლებიც ყოველნაირად უშლიდნენ ხელს სერგოს დაემყარებინა რევოლუციური წესრიგი ცარიცინის ფრონტისადმი ხელმძღვანელობაში, ნამდვილად რევოლუციური, მტკიცე, სამხედრო აპარატის შექმნაში. სერგოს ცოცხალი თავით არ შეეძლო დაეშვა თუნდაც დროებით, მტრის მიერ

აკაკი ირემაძე
სერგო ორჯონიკიძე სამამულო ომის ფრონტზე

ცარიცინის ხელში ჩაგდება, რადგან ორჯონიკიძისათვის დღესავით ცხადი იყო ცარიცინის განუზომელი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა. მართლაც გერმანიის მიერ უკრაინის ოკუპაციისა და თეთრგვარდიელი კონტრრევოლუციის მიერ ციმბირის დაპყრობის შემდეგ, პურით და სურსათით საბჭოთა რესპუბლიკის მომარაგება შეიძლებოდა მხოლოდ დონიდან და ყუბანიდან. მაგრამ მტრის მიერ როსტოვის დაკავების შემდეგ ცარიცინი ერთადერთი ნერვი იყო, რომელიც ამ რეგიონებს რესპუბლიკის ცენტრებთან აკავშირებდა. აქედან მოედინებოდა ფრონტზე საომარი იარაღი და საჭურველი, ამ გზით ეძლეოდა მოსკოვს, პეტროგრადს, სამრეწველო რაიონებს სამხრეთის პური, სურსათი, სათბობი და ნედლეული მრეწველობას, ერთი სიტყვით ცარიცინი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთ-რუსეთის სიმდიდრეთა, მისი სასურსათო და სათბობის რესურსების გასაღები. ცარიცინის რკინიგზის კვანძი უკავშირდებოდა მოსკოვს, დონბასსა და უკრაინას, ყუბანსა და ჩრდილო კავკასიას, ხოლო სამდინარო ნავსადგური ვოლგაზე ცარიცინს აკავშირებდა მთელ ვოლგისპირეთთან, ასტრახანთან და რაც მთავარია კასპიის ზღვით ბაქოსთან და უცხოეთთან, რასაც საგარეო ვაჭრობისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ განსაკუთრებული სამხედრო სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობის გამო იყო ცარიცინი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, პირადად ვლადიმერ ლენინის შეუნელებელი ყურადღების ცენტრში.

ლენინის მითითებით ჯერ კიდევ 1918 წლის აპრილ-მაისში გატარდა ღონისძიებანი სამხრეთის ფრონტის გასაძლიერებლად. განსაკუთრებული ყურადღება ამ ღონისძიებებში მიექცა უშუალოდ ცარიცინის ფრონტს, რადგან, ერთი მხრივ, მისი „ჯარები იფარავდნენ აღმოსავლეთის ფრონტის მარჯვენა ფლანგს“ საშუალებას არ აძლევდნენ თეთრგვარდიელ კაზაკებს შეერთებოდნენ ჩეხოსლოვაკთა კორპუსს და ურალ-ციმბირის კონტრრევოლუციას, ხოლო მეორე მხრივ, ცარიცინის ხელში ჩაგდებით კრასნოვის თეთრგვარდიელ კაზაკთა არმიას სურდა „შეერთებოდა კონტრრევოლუციას და ერთიანი ფრონტით შეეტიათ მოსკოვზე“.

მაგრამ ახლა, 1918 წლის გაზაფხულის ბოლოს, როცა ცარიცინი გადაიქცა იმ რკინის სოლად, რომელიც ხლეჩდა აღმოსავლეთისა და სამხრეთის კონტრრევოლუციას, ხელს უშლიდა ამ მტრული ძალების გაერთიანებას, ფუშავდა კრასნოვ-დენიკინისა და კოლჩაკის არმიების მოსკოვზე ერთობლივი შეტევის გეგმებს, როცა იგი გახდა სამხრეთის ფრონტის ყველა კონტრრევოლუციური ძალის დარტყმის ცენტრი, მდგომარეობა აქ ერთობ გამწვავდა, არქიკრიტიკული შეიქმნა.

პარტია, ლენინი ახორციელებენ დამატებით, ექსტრაორდინარულ ღონისძიებებს: ამ ფრონტზე გადმოჰყავთ ჯარის ახალი ნაწილები, ლენინისავე განკარგულებით აქ გამოგზავნეს ლეგენდარული კიკვიძის რიგგარეშე ფორმირების პირველი საბჭოთა დივიზია. ამაღლებენ ჯარების საერთო ბრძოლისუნარიანობას. წითელ არმიაში ნებაყოფლობითი ჩაწერა იცვლება აქ მუშებისა და გლეხების საყოველთაო მობილიზაციით, სახალხო კომისართა საბჭო აქვეყნებს რიგ დიდი მნიშვნელობის დოკუმენტს, რომლებიც მოუწოდებენ მშრომელ კაზაკობას, დონელებს, ყუბანელებს, ხელი მოჰკიდონ იარაღს, ჩადგნენ სამშობლოს, საბჭოთა რესპუბლიკის დამცველთა რიგებში... ლენინი განგაშს ტეხს: „ქვეყნის მდგომარეობა უკიდურესობამდე მივიდა... ჩვენს წინაშე ახლა, 1918 წლის ზაფხულში, ჩვენი რევოლუციის, შეიძლება, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე, ყველაზე ძნელი და ყველაზე კრიზისული გადასვლაა“.

ცარიცინში სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით ჩამოდის მთავრობის წევრი, რკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი იოსებ სტალინი.

ცარიცინის რკინიგზის კვანძზე საგანგებოდ იქმნება სახკომსაბჭოს სამხედრო კომისრის თანამდებობა, რომელზედაც ინიშნება ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების აქტიური მონაწილე, უკრაინაში გერმანელი ოკუპანტების, ჰაიდამაკებისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ბანდების წინააღმდეგ ბრძოლების უშიშარი გმირი, უკრაინის მესამე და შემდეგ განსაკუთრებული არმიის სარდალი, პროფესიონალი რევოლუციონერი, სამხედრო სპეციალისტი ევსევი ჩიქვანაია.

ცარიცინის რკინიგზის კვანძზე სახკომსაბჭოს სამხედრო კომისარს დაევალა: „დონის კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ ენერგიული მოქმედება, ...ცარიცინის რკინიგზის მაგისტრალის დაცვა, მტერზე გამარჯვებისათვის მთელი ძალების მობილიზაცია და რკინიგზის გასწვრივ მდებარე რაიონებში საბჭოთა ჯარების მოქმედების კოორდინირება, ინსპექტირება და ხელმძღვანელობა“.

ჩიქვანაია ცარიცინში ჩასვლის უმალ დაუკავშირდა ორჯონიკიძეს, სტალინს და ცარიცინის დაცვის შტაბის წევრებთან, ერთმანეთან, ჩებატარიოვთან, ლევინთან, ლეონოვთან და სხვებთან ერთად დიდი მუშაობა გასწია ცარიცინის რკინიგზის კვანძის, ფრონტის გასამტკიცებლად, რეგიონში დაძაბული ვითარების გასამუხტავად. „თათბირზე, — წერდა ჩიქვანაია ცენტრში 8 ივნისს გაგზავნილ პირველ მოხსენებით ბარათში, — რომელსაც ესწრებოდნენ ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წევრები, ცარიცინის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხანაგი ერმანი, ფრონტის წარმომადგენლები, აგრეთვე ამხანაგები სტალინი,

ორჯონიკიძე და მე, შემუშავდა შემდგომი ოპერაციების გეგმა.4"

ცარიცინის დაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან ერთად ორჯონიკიძე დიდ მუშაობას ეწევა დონის, ყუბანის, შავიზღვისპირეთისა და თერგის პატარ-პატარა რესპუბლიკების გასაერთიანებლად. ამ მიმართულებით საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა ყუბან-შავიზღვისპირეთისა და დონის საბჭოთა რესპუბლიკების საბჭოებისა და ფრონტელთა მესამე საგანგებო ყრილობას, სერგოს ინიციატივით იქნა მოწვეული იგი და მისივე ხელმძღვანელობით ჩატარდა 1918 წლის 28 მაისს. ყრილობისადმი ლენინისა და სტალინის ხელმოწერით გაგზავნილ მისალმებაში ნათქვამი იყო: „სახალხო კომისართა საბჭო ძმურ სალამს უძღვნის ფრონტელთა ყრილობას და იქ წარმოდგენილ ყველა პოლკს, გმირულად რომ იცავდნენ საბჭოთა სამშობლოს. სახკომსაბჭო დარწმუნებულია, რომ შინაგანი და გარე მტრების წინაშე, რომლებიც ბორკილებს ჰედავენ მშრომელთა მასებისათვის, ყრილობა ღირსეულად დაიცავს შავიზღვისპირეთის, ყუბანის, დონის რევოლუციური ძალების ერთიანობასა და ურღვევობას. ვნიშნავთ რა ორჯონიკიძეს ჩვენს წარმომადგენლად ყრილობაზე, ვავალებთ მას ჩვენი სახელით მხურვალედ მიესალმოს ყველა სახელოვან მებრძოლ-მეომარს, რომლებიც საკუთარი სისხლით ადუღებენ საბჭოთა რუსეთის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას".

ორჯონიკიძემ ვრცელი და ღრმაშინაარსიანი სიტყვა წარმოსთქა ყრილობაზე. მან გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ტროცკისტებს, მემარცხენე ესერებს, მენშევიკებსა და ყველა ანტისაბჭოთა ელემენტს, ბრესტის ზავის ყველა მოწინააღმდეგეს. ყრილობამ მოიწონა ბრესტის ზავი, ერთსულოვნად მოითხოვა კონტრრევოლუციის საბოლოო განადგურებისათვის ბრძოლის ბოლომდე მიყვანა, ყველა იმ ღონისძიების დაუყოვნებლივ განხორციელება, რაც პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისაკენ არის მიმართული. პირველ რიგში ამ მიმართულებით ყრილობამ გააერთიანა ყუბანისა და შავიზღვისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკები ერთიან ყუბან-შავიზღვისპირეთის რესპუბლიკად, რომელიც წარმოადგენდა რსფსრ ნაწილს, ამასთან ყრილობამ დაავალა ორჯონიკიძეს უზრუნველყოს ახლო მომავალში სამხრეთის ყველა რესპუბლიკის გაერთიანება ერთ სამხრეთ რუსეთის რესპუბლიკად, რომელიც ასევე ნაწილი იქნება რსფსრ რესპუბლიკისა. ეს კი საბოლოოდ სამანს დაუდებდა ძალების დაქსაქსულობას, გათიშულობას, ადგილობრივ მიკერძოებულობას, რაც თავის მხრივ გააძლიერებდა და განამტკიცებდა საბჭოთა რესპუბლიკას, პროლეტარიატის დიქტატურას რუსეთში. მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობისა მაინც ის იყო, რომ ყრილობამ მოითხოვა ჩრდილო-კავკასიის ამ რეგიონის სამხედრო ძალების გაერთიანება კარგად ორგანიზებული წითელი არმიის სახით, რომელსაც, და ეს უდიდესი მიღწევა იყო, ერთიანი მტკიცე სარდლობა ეყოლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორჯონიკიძემ მტკიცე ნებისყოფა და დიდი დიპლომატური ნიჭი გამოავლინა გერმანელებთან შეიარაღებული კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში, ბრესტის საზავო პირობების შესაბამისად უკრაინასთან სამხრეთში, შეიარაღებული კონფლიქტის რაიონში, გერმანიასა და საბჭოთა ჯარებს შორის სადემარკაციო ხაზის დადგენაში. გერმანელებს უნდოდათ ესარგებლათ საბჭოთა რესპუბლიკის მძიმე სამხედრო და ეკონომიკური მდგომარეობით, ახალი და ახალი მიწები წაეგლიჯათ მისთვის და ამიტომ არ სურდათ კონფლიქტის მალე მოგვარება, ყოველგვარ მიზეზებს ეძებდნენ შეთანხმების მიღწევის გასაჭიანურებლად.

სწორედ საბჭოთა საზავო დელეგაციის, რომელსაც სერგო ორჯონიკიძე მეთაურობდა, მოთმინებითმა, მტკიცე და ენერგიულმა ნებისყოფამ აიძულა გერმანიის სარდლობა ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესახებ. ამ ხელშეკრულებით ჩაქრა ომის კერა ბატაისკსა და ტამანზე. მოიხსნა საბჭოთა ჯარების ერთი მეტად საშიში ფრონტი ძლიერ და ვერაგ მტერთან. ეს კი დიდი შვება იყო საბჭოთა რესპუბლიკისათვის იმ მძიმე, კრიტიკული ვითარების დროს.

1918 წლის ზაფხულში გენერლები ფიცხელაუროვი და მამონტოვი თეთრკაზაკთა დივიზიების ლაშქრობას ამზადებდნენ ცარიცინზე. მტრის განდაგურების საქმეში დიდი როლი შეასრულა მშრომელ კაზაკთა რევოლუციური ძალების მობილიზაციამ და დარაზმვამ. თათბირი წინასწარ ენერგიულად მზადდებოდა. გაზ. „იუჟნაია პრავდას" 1818 წლის 19 ივნისის ნომერში დაიბეჭდა სახკომსაბჭოს წევრ, სახალხო კომისარ იოსებ სტალინისა და სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისარ სერგო ორჯონიკიძის ხელმოწერით დეპეშა, რომელიც ველიკოკნიაჟესკაიას, დონის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, კოტელნიკოვოს, კუზჩევკას, კამენსკაიას, მიხეილოვსკაიას, მოროზოვსკაიას, დონის კაზაკურ-გლეხური რესპუბლიკის ყველა საოკრუგო აღმასკომს აუწყებდა, რომ „ახლანდელი მომენტის დიდი მნიშვნელობისა და დონის ოლქის მშრომელი მასების წინაშე მდგარი საკითხების გადაუდებლობის გამო, ჩვენ (სტალინმა და ორჯონიკიძემ. — ა. ი.) გადავწყვიტეთ მოვიწვიოთ 24 ივნისს ოლქის ოკრუგების წარმომადგენელთა საგანგებო თათბირი. გადამწყვეტი ხმით მოწვეულია დონის ოლქის ყველა ოკრუგის, აღმასკომების სამ-სამი წარმომადგენელი. თათბირის ადგილია ველიკოკნიაჟესკაია.

გთხოვთ აცნობოთ კონტრრევოლუციური

ბანდების მიერ დროებით დაკავებულ ოკრუგებს“.

თათბირი კარგად იყო ორგანიზებული. მან ნაყოფიერადაც იმუშავა და საარსებოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო.

თათბირის ყველა გადაწყვეტილება მიმართული იყო დონის რევოლუციური და სამხედრო ძალების კონსოლიდაციისაკენ, წითელკაზაკთა სამხედრო ნაწილების განმტკიცება, ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისაკენ. მაგრამ სამხრეთ რუსეთისა და განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიის რევოლუციური და სამხედრო ძალების, ეკონომიკური და შრომითი რესურსების გაერთიანებისათვის ჯერ კიდევ ბევრი იყო გასაკეთებელი. არადა საბჭოთა რესპუბლიკის კრიტიკული მდგომარეობა არ იძლეოდა საქმის გადადების შესაძლებლობას. კონტრრევოლუციური ძალები — შინაური თეთრგვარდიული კონტრრევოლუცია და უცხოელი ინტერვენტები შეთანხმებულად, ერთიანი გეგმით მოქმედებდნენ, და წარმატებასაც აღწევდნენ.

ყუბან-შავიზღვისპირეთის რესპუბლიკების გაერთიანების შემდეგ, მესამე საგანგებო ყრილობის დავალების შესაბამისად ორჯონიკიძის მთელი გულისყური მიპყრობილი იყო იქითკენ რომ მიეღწია სამხრეთის ყველა რესპუბლიკის გაერთიანება ერთ სამხრეთ-რუსეთის რესპუბლიკად, რომელიც შემადგენელი ნაწილი იქნებოდა რსფს რესპუბლიკისა. ამ ამოცანის, იმ დროისათვის ურთულესი და უმძიმესი ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლა სერგომ პარტიული ორგანიზაციების გაერთიანებით დაიწყო. 1918 წლის 2 ივლისს ორჯონიკიძემ შესძლო წარმატებით ჩაეტარებინა რკპ (ბ) ჩრდილო კავკასიის სამხარეო ყრილობა, რომელმაც ყუბანისა და შავიზღვისპირეთის, თერგის, სტავროპოლის — მთელი ჩრდილო კავკასიის პარტიული ორგანიზაციები დაუქვემდებარა ერთიან პარტიულ ცენტრს.

სერგო ორჯონიკიძის წინადადებით ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩრდილო კავკასიის ყველა რესპუბლიკისა და ოლქის — ჩრდილო კავკასიის ერთიან რესპუბლიკად გაერთიანების შესახებ. ახლად შექმნილი რესპუბლიკა, ყრილობის გადაწყვეტილებით წარმოადგენდა რსფს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს და ფედერაციის საფუძველზე შედიოდა მის შემადგენლობაში.

ყრილობის მსვლელობაში ვითარება დენიკინის შეტევების განახლების გამო კიდევ უფრო დაიძაბა. კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა თერგის ოლქში. აქ წითელი არმიის ზურგში იფეთქა ანტისაბჭოთა ამბოხებამ. ეს დანის ზურგში ჩაცემა იყო. საფრთხე ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. მდგომარეობა არქიმძიმე იმით ხდებოდა, რომ აქ „დაიწყო კონტრრევოლუციური მოძრაობა შკუროსა და ბიჩერახოვის მეთაურობით, რომელთა ბანდებმა დაიკავეს პროხლადნაია და გაწყვიტეს მასთან მოსვლა. ალექსეევი, ეკატერინოდარი რომ დაიკავა, მოაწვა ჩვენ ჯარებს და ამოცანად დაისახა გაეწმინდა ჩვენი ჯარებისაგან ჯერ ყუბანის ოლქი, შემდეგ კი მთელი ჩრდილო კავკასია“.

თერგის ოლქი მოსახლეობის სიჭრელით და ეკონომიკური მდგომარეობით განსაკუთრებული კუთხე იყო მთელ რუსეთში. შკუროსა და ბიჩერახოვს ანტისაბჭოთა ამბოხებას რომ გეგმავდნენ, იმედი ჰქონდათ მთიელი მოსახლეობის მხარდაჭერისა. რადგან მათ იცოდნენ, რომ მთიელები „ყოველთვის თავს გრძნობდნენ რუსული ხელისუფლების მონებად, თვლიდნენ, რომ ყველა უბედურება რუსებისგან წარმოსდგებოდა... მთიელთა შორის იწყება მოძრაობა ლოზუნგით „გავრეკოთ რუსები მთიელთა ტერიტორიიდან“. ჩეჩნები თავს ესხმიან გროზნოს. სპობენ მთიელ ხალხთა შორის გაშენებულ მთელ რუსულ სოფლებს, დაბებს და ლოზუნგი „ჰკა რუსებს“ ყველაზე პოპულარული ხდება“.

ორჯონიკიძე სასწრაფოდ ჯავშნიანი მატარებლით ვლადიკავკაზში ჩავიდა. მან აქ, როცა თერგის ოლქი მთლიანად მოწყვეტილი და იზოლირებული იქნა გარესამყაროსაგან, როცა როგორც ორჯონიკიძე შემდეგ იგონებდა, არა მარტო არავითარი დახმარება არ იყო გარედან, არამედ „ჩვენ დიდხანს არ ვიცოდით, რა ხდება რუსეთში. ხანდახან ისიც კი არ ვიცოდით, არის საბჭოთა ხელისუფლება თუ არა, ხოლო შავრაზმული პრესა გაზეთის ყოველ ნომერში იუწყებოდა მოსკოვისა და პიტერის დაცემის შესახებ“, ასეთ არქიკრიტიკულ სიტუაციაში ორჯონიკიძემ ზეადამიანური ძალისხმევით და რუდუნებით, ბოლშევიკი ხელმძღვანელის უდრეკი ნებისყოფით შესძლო თერგის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მონოლითური გაერთიანება, მათზე დაყრდნობითა და მათი დახმარებით შეკრიბა და შეამჭიდროვა საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგული ძალები, შექმნა და გამოაწრთო წითელი არმიის ახალი სამხედრო მაღალბრძოლისუნარიანი საჯარისო ნაწილები. მოახერხა ამ ნაწილების ისე გაწვრთნა და საბრძოლო აღჭურვა, რომ მათ შესძლეს არა მარტო შეეჩერებინათ კონტრრევოლუციური ბანდებისა და ანტისაბჭოთა მეამბოხეების შეტევები, არამედ მთლიანად გაენადგურებინათ კიდეც ისინი. და ეს მაშინ, როცა თვით ორჯონიკიძის სიტყვებით თუ ვიტყვით „სამოქალაქო ომის მთელი ხნის განმავლობაში, თერგის ოლქში ჩვენს ამხანაგებს ბრძოლა უხდებოდათ ისე, რომ არც ერთი ვაზნა, არც ერთი ყუმბარა, არც ერთი კაპიკი არ მიუღიათ ცენტრიდან და ...ამხანაგებს უხდებოდათ თავის დაცვა იმ ვაზნებითა და ყუმბარებით, რომლებსაც სპეკულანტებისაგან ყიდულობდნენ. თითო ვაზნას 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთად და თითო ყუმბარას რამდენიმე ასეულ მანეთად“.

აჯამებდა რა გაწეული მუშაობისა და გადაბდილი ბრძოლების შედეგებს, ორჯონიკიძე თერგის რესპუბლიკის მშრომელ ხალხთა მეხუთე ყრილობაზე 1918 წ. 28 ნოემბერს ამბობდა: „სამი თვის ბრძოლის შემდეგ კონტრრევოლუცია გასრესილია... დიახ, კონტრრევოლუცია გასრესილი და დამსხვრეულია, მაგრამ გამარჯვება ადვილად როდი მოვიპოვეთ... მე მახსოვს მომენტი... როცა ჩვენ ბეწვზე ვეკიდეთ... მომენტი, როცა ჩვენ არ მოგვყვებოდნენ და შიშით გვიყურებდნენ“.

ხოლო იმავე წლის 12 დეკემბერს სერგომ დეპეშით მოახსენა ლენინს: „ჩვენი წითელი ჯარების მძლავრი დარტყმით კონტრრევოლუცია თერგის ოლქში ჩახშობილია... თერგის განთავისუფლებაში ბრწყინვალე როლი შეასრულეს მთიელებმა ინგუშების მეთაურობით; გროზნოს წითელმა არმიამ, რომელიც ყველასაგან მოწყვეტილი, სამი თვის განმავლობაში გმირულად იბრძოდა ამხ. გიკალოს მეთაურობით, ერთმა მუჭა კავკაველმა წითელარმიელებმა და ქერმენისტ-ოსებმა... კაზაკმა წითელარმიელებმა სუნჟის ხაზზე ამხ. დიაკოვის მეთაურობით.

სვიატოკრესტოვსკაიას ნაწილებმა ამხ. შჩიპანოვის მეთაურობით, უმთავრესად მე-11 არმიის ნაწილებმა. შარიათის კოლონამ ამხ. მიროწენკოს ხელმძღვანელობით ერთი მძლავრი დარტყმით გაანადგურეს გენერალი მისტულოვი პროხლოდნაიასთან, ელვისებური წინსვლით აიღეს მოზდოკი და შეუერთდნენ ყიზლარს“.

ორჯონიკიძემ ზედმიწევნით ზუსტად იცოდა საქმის ვითარება ამიერკავკასიაშიც. იგი აქ მიმდინარე პროცესებში სწორად ერკვეოდა, საქმეებში გასაოცარ ჩახედულობას იჩენდა, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ვლადიმერ ლენინსაც უტყუარ ინფორმაციებს აწვდიდა, საქმის კურსში აყენებდა. „სომხეთ-საქართველოს ომი, — წერდა სერგო 1919 წლის 6 იანვარს ლენინისადმი გაგზავნილ დეპეშაში, — გრძელდება. საქართველოს ჯარებმა გაწმინდეს ბორჩალოს ხეობა... შულავერთან სომხეთის ჯარები დამარცხდნენ. შეტაკებები ხდება ახალქალაქის მაზრაში. საქართველოს ფარგლებიდან ასახლებენ ლტოლვილებს. საქართველოსა და სომხეთში ნაციონალისტური ვნებები ბობოქრობენ. თბილისში შეჩერებულია დაშნაკციკანურის გაზეთები და ნახევრად სოციალისტური გაზეთი „კავკაზსკოე სლოვო“. ამ უკანასკნელის რედაქტორი დაპატიმრებულია. თბილისზე გავლით ბაქოში გაემგზავრა ინგლისის მისია 70 ჯარისკაცით. ბაქოში შეიქმნა აზერბაიჯანის ახალი მთავრობა ცნობილი რეაქციონერის ხან-ხოისკის თავმჯდომარეობით. მის მთავრობაში შევიდა ორი რუსი. მთავრობის შემადგენლობა ბურჟუაზიულ-მემამულურია. ამ პორტფელს სომხებს აძლევენ. სომხებმა, რომლებსაც უარი არ უთქვამთ აზერბაიჯანის მეჯლისში... მონაწილეობაზე, უარი განაცხადეს მთავრობაში მონაწილეობაზე. აზერბაიჯანის რკინიგზებზე საყოველთაო გაფიცვაა, ეკონომიკურ ნიადაგზე. ინგლისელი ოფიცრები იყვნენ ელიზავეტოპოლის გუბერნიის შუაში და გენერალ ანდრიანიკის ბანაკში. თურქებმა დატოვეს შუშა, ალექსანდროპოლი, ერევნისა და სურგალინის მაზრები... უკანდამხევ თურქთა ეშელონებს თან მიაქვთ მილიონის ქონება. ბაქოს გუბერნიას ლენქორანში სომეხმა ჯარისკაცებმა სასტიკი რეჟიმის გამო მოკლეს პოლკოვნიკი ავეტისოვი... 31 დეკემბერს სომხეთსა და საქართველოს შორის მოკავშირეთა ზეგავლენით დაიდო დროებითი ზავი. საქართველოს ჯარები რჩებიან დაკავებულ პოზიციებზე შულავერის ახლოს. სომხეთის ჯარები კი დაიხევენ ამოსავალ პოზიციებზე. იწვევენ საზავო კონფერენციას. ბაქოში მწვავე კონფლიქტია ინგლისის სარდლობასა და მემარჯვენე ესერებს, მენშევიკებს, მემარცხენე დაშნაკცაკანებს შორის. გენერალმა ტომსონმა დააპატიმრა ამ პარტიების ლიდერები. ამის და ინგლისელთა პარპაშის სხვა ფაქტების საპასუხოდ ბაქოს პროფესიული კავშირების, საქარხნო კომიტეტისა და მეზღვაურთა კავშირის კონფერენციამ გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა და დემონსტრაცია ინგლისელთა წინააღმდეგ. გაფიცვა დაიწყო 24 დეკემბერს... და გამარჯვებით დამთავრდა. დაპატიმრებულნი გაათავისუფლეს. ინგლისის მთავრობა ბაქოში აშკარად მფარველობს ხან-ხოისკის მთავრობას და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ფიქციურ ჩერმოევის მთავრობას. საქართველოს მთავრობა აპატიმრებს და აძევებს ბოლშევიკებს. ამხანაგი ცხაკაია დაპატიმრებულია, შინაურ პატიმრობაშია თბილისში. მეტეხის ციხეში 200-ზე მეტი ბოლშევიკია... განწყობილება ამიერკავკასიაში ნაღვლიანია, მოსახლეობა მთელის ხსნას ბოლშევიკებისაგან... ყარსსა და ალექსანდროპოლში გაემგზავრნენ ინგლისელი ოფიცრები. პარიზში საზავო კონგრესზე მიემგზავრება აზერბაიჯანის საზავო დელეგაცია ალი-მარდანბეკ თოფჩიბაშევის მეთაურობით“.

ლენინმა სერგოს დეპეშითვე უპასუხა: „მივიღე თქვენგან დეპეშა. გმადლობთ, მოგესალმებით. გთხოვთ უფრო ხშირად გამომიგზავნოთ ცნობები“.

საქმე არც თუ ცუდად მიდიოდა, იყო გარკვეული წარმატებები, მაგრამ ორჯონიკიძის სიხარულს ნაღველს ურევდა საერთოდ საბჭოთა ჯარების მძიმე მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიაში, საქმე ის იყო რომ, აქ საბჭოთა ხელისუფლების ერთადერთ სამხედრო ძალას მეთერთმეტე არმიას, რომელიც მოწყვეტილი იყო ცენტრისგან და ვერ ღებულობდა სამხედრო საჭურველს და იარაღს, უტევდა მაშინ „ყველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ძლიერი, ყველაზე ორგანიზებული დისციპლინით შემჭიდროებული კონტრრევოლუციური მოხალისეთა არმია ალექსეევის, დენიკინის, პოკროვსკისა და სხვ. მეთაურობით. არმია, რომელსაც ჰყავდა ოფიცერთა რამდენიმე ყოველგვარი პოლკი, სადაც თითოეულში 5 ათასი ოფიცერი ითვლებოდა“.

და მიუხედავად იმისა, რომ მეთერთმეტე არმია დიდი ხნის მანძილზე უმკლავდებოდა და დიდ ზარალსაც აყენებდა ერთობ ჭარბ მტრის ძალებს, თვით დენიკინის აღიარებით მეთერთმეტე არმიასთან ბრძოლაში „მან მარტო მოკლულთა სახით დაკარგა 30 ათასი კაცი. მისივე სიტყვებით, კორნილოვისა და მარკოვის სახელობის ოფიცერთა პოლკები, რომლებშიც თითოეულში 5 ათასი კაცი იყო, ბრძოლიდან ისე გამოდიოდნენ, რომ 200-დან 500-მდე კაცი შერჩათ“.

დიახ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მეთერთმეტე არმია ამ დროისათვის მრავალ მიზეზთა გამო, რომელთა შორის მთავარი იყო ტიფის ეპიდემია და საომარი მასალის უქონლობა, დაუძლურდა, დაილუპა, გაიხრწნა. იძულებული გახდა ზურგი ეჩვენებინა მტრისათვის. ორჯონიკიძე სასწრაფოდ დეპეშას უგზავნის ლენინს: „XI არმია აღარ არის. იგი საბოლოოდ გაიხრწნა. მოწინააღმდეგე ქალაქებსა და სტანიცებს იკავებს თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად... არ არის ყუმბარები და ვაზნები. არ არის ფული. კავკავი, გროზნო აქამდე არ ღებულობდნენ არც ერთ ვაზნებს, არც კაპიკ ფულს. ექვსი თვეა ისე ვაწარმოებთ ომს, რომ ვაზნებს ხუთ-ხუთ მანეთად ვყიდულობთ... მდგომარეობას შეიძლება ვუშველოთ მაშინ, თუ თქვენ აქ გადმოისვრით 15 ან 20 ათას ახალ ჯარს, მოგვეცით ვაზნები, ყუმბარები, ფული. ჩრდილო კავკასიის გარეშე ბაქოს აღება და მისი განმტკიცება აბსურდია. გროზნოსა და კავკავის მუშებში ურყევი გადაწყვეტილებაა იბრძოლონ და არ დატოვონ ბრძოლის ველი. მთიელ ხალხთა სიმპატიები ჩვენს მხარეზეა“.

მაგრამ სასწრაფო დახმარება არსაიდან ჩანდა. მტრით გარშემორტყმულ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას იმ მომენტში არავითარი დახმარების გაწევა არ შეეძლო. მართალია საბჭოთა მთავრობამ სპეციალური სამარშრუტო მატარებლით, საგანგებო განკარგულებით გამოგზავნა ასტრახანში (სხვა გზა ჩრდილო კავკასიისაკენ მტრის მიერ იყო გადაჭრილი) მეთერთმეტე არმიისათვის ჩაცმულობა 40 ათას მეომარზე, სხვა საომარი იარაღი და საჭურველი, მაგრამ კავკასია-კასპიის რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ, რომელსაც მაშინ სათავეში შლიაპნიკოვი ედგა, გამცემლურად გაიტაცა, გაანიავა ეს სამხედრო ქონება და მეთერთმეტე არმიას, მისთვის ყველაზე კრიტიკულ დღეებში, არ მიაწოდა მისთვის საგანგებოდ გამოგზავნილი საომარი იარაღი და საჭურველი, ჩაცმულობა და მედიკამენტები — ყველაფერი ის, რითაც კიდევ შეეძლო მდგომარეობის უკეთესობისაკენ შემობრუნება. ორჯონიკიძე სისტემატურად, დაჟინებით უკიჟინებდა საბჭოს მდგომარეობის კრიტიკულობაზე და სასწრაფო დახმარების აუცილებლობაზე, მაგრამ კავკასია-კასპიის რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ მაინც „არ გააკეთა ყოველივე ის, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა“. მართალია შემდგომ სამხედრო ტრიბუნალმა რევოლუციური სამხედრო საბჭოს მოღალატე მუშაკთა ჯგუფი დახვრიტა, მაგრამ საქმეს უკვე აღარაფერი ეშველა. მეთერთმეტე არმია დაიღუპა, ჩრდილო კავკასიის ფრონტი მოიშალა. ორჯონიკიძე იმედს არ ჰკარგავს. აძლიერებს ჩრდილო კავკასიის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ტოტალურ ძალისხმევას, იწვევს რკპ(ბ) ჩრდილო კავკასიის სამხარეო საგანგებო ყრილობას, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ყველაფერი მოახმარონ საბჭოთა ხელისუფლების ჩრდილო კავკასიაში, ფრონტის რღვევის შეჩერებას.

როგორც უპირველესი ღონისძიება, ყრილობის დადგენილებით შეიქმნა ჩრდილო კავკასიის თავდაცვის საბჭო სერგო ორჯონიკიძის თავმჯდომარეობით. საბჭომ თავის ხელში აიღო რეგიონის მთელი შეუზღუდველი ძალაუფლება. ბევრი რამ გააკეთა სასწრაფოდ ჩრდილო კავკასიის თავდაცვის საბჭომ. ყველაფერი ფრონტისა და მტერზე გამარჯვების ინტერესებს დაუქვემდებარა, განახორციელა მატერიალური და სულიერი რესურსების ტოტალური მობილიზაცია, შექმნა ბრძოლისუნარიანი საჯარისო ნაწილები, ჯავშნიანი მატარებლები, წითელ მეთაურთა სკოლა, ჩეჩენთა, ოსთა, ინგუშთა ცხენოსანი ესკადრონები და რაზმები, კავალერისტთა დივიზია, რომელმაც ყუბან-სტავროპოლის ფრონტზე საგრძნობი დარტყმები მიაყენა დენიკინის ჯარებს. შეცვალა მეთერთმეტე არმიის სარდლობა, გაამაგრა ბუნებრივი დაცვის ზღუდეები, გათხარა სანგრები და ა. შ. ამან და სხვა ღონისძიებებმა, რომლებიც ჩრდილო კავკასიის თავდაცვის საბჭომ განახორციელა, საგრძნობლად დაამუხრუჭა დენიკინის არმიის წინსვლა, მნიშვნელოვანი ძალები მიიჯაჭვა, მაგრამ მდგომარეობის გადარჩენა ვერ შესძლო, საკუთრივ ადგილობრივი ძალებით ეს შეუძლებელიც აღმოჩნდა. მეთერთმეტე არმიამ ბრძოლისუნარიანობა დაჰკარგა, ჩრდილო კავკასიის ფრონტი დაინგრა.

ორჯონიკიძე ვლადიკავკავში დარჩა, რათა სათავეში ჩადგომოდა მტრის წინააღმდეგ მთიელებისა და თერგის გადარჩენილი ჯარის ნაწილების ბრძოლას, იმ იმედით, რომ ცენტრიდან დახმარების მიღებამდე დაეცვა მთლიანად თერგის ოლქი თუ არა, ვლადიკავკაზი მაინც. საკითხის სხვანაირად გადაჭრა სერგოს შეუძლებლად მიაჩნდა, რადგან უბრძოლველად

ოლქის დატოვებას მთიელი მოსახლეობა ორჯონიკიძის, ბოლშევიკების მხრივ ღალატად ჩათვლიდა, ადგილობრივი მცხოვრებლები ზურგს შეაქცევდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. მასების თვალში ეს აქცია პოლიტიკური დეზერტირობის ტოლფასი იქნებოდა.

სერგომ თავისი გადაწყვეტილების შესახებ რადიოთი აუწყა ლენინს და კვლავ დახმარება თხოვა.

ორ თვეზე მეტი გაგრძელდა უთანასწორო ბრძოლები თერგის ოლქში. დენიკინმა მთელი თავისი ძალებით გაშმაგებით შეუტია საბჭოთა ხელისუფლების კუნძულს. ცხარე, სისხლისმღვრელი ბრძოლები იმართებოდა თითოეული გოჯი მიწისათვის, თითოეული გამაგრებული ზღუდისათვის, თითოეული წინგადადგმული ნაბიჯისათვის.

თერგის დამცველთა მამაცობასა და თავგანწირვას საზღვარი არ ჰქონდა. ორჯონიკიძე პირადი მეომრული შემართებითა და უშიშრობით მაგალითს აძლევდა და აღაფრთოვანებდა მებრძოლებს, გმირ დამცველებს. მშობლიურ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, მთის ხალხებმა, განსაკუთრებით ინგუშებმა, პარტიისადმი უყოყმანო ერთგულება ბოლომდე შეინარჩუნეს.

სერგოს წინადადებით 1919 წლის 4 თებერვალს გამოცხადდა მთიელთა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა, რამაც მთიელი ხალხის წარმოუდგენელი ენთუზიაზმი გამოიწვია. ადგილი ჰქონდა, მაგალითად, შემდეგ დამახასიათებელ ეპიზოდს: კავკავი რომ სრულ რკალში მოექციათ, თეთრგვარდიელებს უნდა გაევლოთ ინგუშთა აული... ინგუშები თეთრებს არ უშვებდნენ. სარდლობამ აულს ულტიმატუმი წაუყენა: გაგვიშვით, თორემ აულს არტილერიის ცეცხლს დავუშენთ და მოვსპობთ. მოფიქრებისათვის გაძლევთ ორ საათსო. მთიულებმა, რომლებიც მეგობრობის კანონს წმინდად იცავდნენ, ამაყად უპასუხეს: — თქვენ შეგიძლიათ ცეცხლი ახლავე გახსნათ, ნუ დაუცდით ორ საათს, მაინც არ გაგიშვებთ. და არც გაუშვეს, აული თეთრებმა ვერ აიღეს. აი რატომ ამბობდა სერგო: მთები — ეს ჩვენი ციხე სიმაგრეა, მის ალებას დენიკინელები ვერ შეძლებენ, რა რიგადაც უნდა ეცადონო.

ვაჟკაცურად, რაინდული თავდადებით იცავდა სერგო საბჭოთა მიწა-წყალს, ვლადიკავკავს. თანდამსწრენი აგვიწერენ ასეთ ეპიზოდს ვლადიკავკავის გმირული დაცვის ეპოპეიდან: „სერგო დარჩა ვლადიკავკავში უკანასკნელ გასროლამდე, — წერს ამ თავდაცვის ერთი მონაწილე, — წითელ მეთაურთა სკოლამ (იგი შექმნა სერგომ და მან თავი ისახელა კავკასიის ბრძოლებში, სკოლის შემადგენლობის დიდი უმეტესობა აქ გმირულად დაეცა. — ა. ი.) სერგოს ბრძანებით დაიკავა სანგრები სასაფლაოზე, აულ დოლოყავოსთან. ჩვენ გვქონდა ორი ქვემეხი, მაგრამ არც ერთი ჭურვი. მებრძოლთ დარჩათ 30-40 ვაზნა თითოეულს. თეთრგვარდიელთა თითოეული ყუმბარის გასროლას ეწირებოდა ჩვენი რიგებიდან ახალი და ახალი მსხვერპლი. და აი, ამ დროს, როცა ჩვენ ვიმყოფებოდით ამ მძიმე მდგომარეობაში, ვხედავთ, — გაშლილ ველზე აულიდან სასაფლაოსაკენ მტკიცე, სწორი ნაბიჯით ჩვენსკენ მოეშურება ამხანაგი სერგო. იგი არ აქცევს არავითარ ყურადღებას ტყვიამფრქვევებისა და შრაპნელების ცეცხლს, მოვიდა სანგრებში, ჩამოგვართვა ყველას ხელი. ამან ჩვენები უაღრესად გაამხნევა, აღაფრთოვანა. კავკასიის სკოლის კურსანტებმა ახალი ენერგიით განაგრძეს ბრძოლა უთანასწორო ჭიდილში. ვლადიკავკაზის დამცველები, როცა მათ ყველაფერი გაუთავდათ, მთებში გაიხიზნენ. მათთან ერთად იყო სერგო ორჯონიკიძეც. იგი მთებში დარჩა 1919 წლის შუა აპრილამდე. სერგომ ეს დრო მტერთან უწყვეტ ბრძოლაში გაატარა. იგი აქ სათავეში ჩაუდგა მთიელთა პარტიზანული ომის გეგმის დამუშავებას: აგროვებს ბოლშევიკური პარტიის წევრებს, წითელ მეთაურებს. აწყობს მათთან თათბირებს, აძლევს საჭირო განაწესს და ა. შ. ვარაუდობდა მოსახლეობის გამოყენებასაც, რისთვისაც სერგო სოფელ-სოფელ დადიოდა და აგროვებდა გავლენიან ჭარმაგ ადამიანებს, რომელთაც სოფელში დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ, ისინი ყურანზე ფიცსა სდებდნენ, რომ დაეცვათ საბჭოთა ხელისუფლება უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. არა ერთხელ ჩაუტარებია ორჯონიკიძეს თეთრების მიერ დაკავებულ აულებში საიდუმლო მიტინგები, რომლებზედაც იგი მთიელებს მოუწოდებდა შეიარაღებისაკენ, თეთრებთან ბრძოლის განგრძობისაკენ. ბოლოს სერგომ ყველგან შექმნა წითელ პარტიზანთა ნაწილები, რომელთა ზოგიერთ რაზმში ათასზე მეტი მეომერი შედიოდა. რაზმებს, რომლებმაც შემდგომში დენიკინს ბევრი უსიამოვნება მიაყენა“, ხელმძღვანელობდნენ ნიკოლოზ გიკალო და ასლანბეკ შერიპოვი. მთავარი კი ის იყო, რომ მთიელთა პარტიზანულმა ბრძოლამ მიიჯაჭვა თეთრგვარდიელთა არმიის 15 ათასიანი საჯარისო ნაწილები, რის გამოც დენიკინმა ვერ შესძლო მთელი ძალებით შეეტია მოსკოვისაკენ. ...ლენინმა მაღალი შეფასება მისცა ამ პარტიზანულ ბრძოლებს დენიკინის ზურგში. „სასოწარკვეთილებამდე მისული მთიულები ესვეთნენ შკუროს პოლკებს და ხელცარიელი დატოვეს ისინი, წაართვეს რა შაშხანები და საჭურველი... დენიკინის მდგომარეობა მძიმეა. მას საუკეთესო ძალების ჩაბმა უხდება ბრძოლაში, რადგან უკრაინა ცეცხლის ალშია გახვეული და კავკასიაშიც აჯანყებაა“.

1919 წლის აპრილის ბოლოს, როცა მთაში პარტიზანებთან, ასე თუ ისე, შეძლებისდაგვა-

რად ყველაფერი მოგვარდა, ორჯონიკიძე ხევსურეთის გზით, ფარულად დაბრუნდა თბილისში. მაგრამ პარტიზანული ომი მთებში არ შენელებულა. პირიქით, სერგოს მიერ კარგად ორგანიზებულმა, გაწვრთნილმა და შეიარაღებულმა პარტიზანულმა რაზმებმა და შენაერთებმა მალე კიდევ უფრო გაშალეს და გააღვივეს საომარი ოპერაციები და 1919 წლის ზაფხულში პარტიზანულმა ომმა მოიცვა მთელი ყაბარდო, ჩრდილო ოსეთი, მინერალური წყლის რეგიონები, რამაც დიდად შეუწყო ხელი მოსკოვზე დენიკინის შეტევის ჩაფუშვას.

თბილისში სერგომ ერთი თვე დაჰყო. აქ იგი დიდ არალეგარულ რევოლუციურ და პარტიულ საქმიანობას ეწევა: ამყარებს კავშირს პარტიის სამხარეო კომიტეტის წევრებთან და მათთან ერთად განიხილავს ჟორდანიას რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებს. ატარებს თათბირს პარტიულ მუშაკებთან. სერგო პარტიის სახელით მოითხოვდა მენშევიკურ და სხვა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

თბილისიდან სერგო ბაქოში გაემგზავრა.

ბაქოში სერგომ ჩაატარა ამიერკავკასიის პირველი არალეგალური პარტიული კონფერენცია, რომელმაც განიხილა მუსავატისტური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, სერგო ლენინთან ჩქარობს, მისი დაგაწყვეტილებაა ჩავიდეს მოსკოვში და ჩრდილო კავკასიისა და ასტრახანის მხარის პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობის შესახებ დაწვრილებით მოახსენოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, თავდაცვის საბჭოსა და სახალხო კომისართა საბჭოს.

მაგრამ მოსკოვისაკენ ადვილი არაა მგზავრობა. ყველა სახმელეთო გზა მტრის მიერაა გადაჭრილი. მოსკოვში ზღვით მისი გამგზავრების ორგანიზაცია თავის თავზე აიღეს მიქოიანმა და კამომ. მგზავრობა გემით გადაწყდა. სერგოსა და კამოსთან ერთად 13 ივნისს 13 კაცი გაუდგა გზას. გზა ძნელი, უნდობი და ერთობ სახიფათო იყო. ზღვაზე დაძრწოდნენ დენიკინელთა და ინგლისელთა გემები, სერგო რომ მათ ხელში ჩავარდნოდა, მას 26 კომისართა ბედი მოელოდა.

უდიდესი მორალური და ფიზიკური გაჭირვება გადახდათ მგზავრებს — თითქმის ორი კვირა დაჰყო პატარა გემმა ზღვაში და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო საბედისწერო შეხვედრა მტერთან. ერთხელ ქარი ზღვაზე ხუთი დღით ჩადგა და იალქნიანი გემი უსიცოცხლოდ იდგა ერთ ადგილას ყოველ წუთს მტრის მოლოდინში. ამ მორალურ ჯოჯოხეთურ, ტანჯვას თან დაერთო ფიზიკურიც — წყლის ნაკლებობა. აი, როგორ აგვიწერს ამ მძიმე სურათს მოგზაურობის ერთი მონაწილე ივანე დუდინი: ხუთი მწარე, სატანჯველი დღეღამე გავატარეთ ჩვენ ქარის უნაყოფოდ მოლოდინში... უკანასკნელ დღეებში ნერვიულმა დაძაბულობამ მიაღწია ისეთ ძალას, რომ ერთმანეთთან ლაპარაკიც კი არ შეგვეძლო. სერგო და კამო დიდხანს ჩუმად ისხდნენ გემის კეჩოზე... ჩვენ მზად ვიყავით კატეგორიული უარი გვეთქვა საჭმელზე, მაგრამ წყლის ნაკლებობა ჩვენთვის იყო ყველაზე მძიმე უბედურება... როდესაც დაგვიწყეს დღეში ორი ჭიქა წყლის მოცემა — კაპტენარმუსის როლს კამო ასრულებდა — მაშინ გვეგონა ვერ გადავიტანთქო. ერთ ადგილზე დგომის მეხუთე დღე-ღამე იყო განსაკუთრებით მძიმე... გამშრალ ხახაში ნერწყვის მაგიერ რაღაც წებოვანი ქაფი იგრძნობოდა. ვერ ვსუნთქავდით, ძილი დაიკარგა. მთელი სხეული მოდუნდა, აზრი ხან აჩქარებით მუშაობდა, ხან კი სულ მიინაბებოდა...

საბედნიეროდ მალე ქარი ამოვარდა და ქანცგამოლეულმა მგზავრებმა უვნებლად ასტრახანს მიაღწიეს. აქ მათ სერგეი კიროვი დახვდათ. ეს იყო ორი გამოჩენილი რევოლუციონერის, შემდგომ განუყრელი მეგობრების პირველი შეხვედრა. აქედან სერგო მოსკოვს გაემგზავრა. მოსკოვში სახალხო კომისართა საბჭოს 10 ივლისის სხდომაზე ორჯონიკიძემ დაწვრილებით მოახსენა მთავრობას კავკასიაში შექმნილი ვითარებისა და იმ მუშაობის შესახებ, რომელიც მან აქ გასწია როგორც ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელმა — სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისარმა.

უცხოეთის სამხედრო ინტერვენცია და სამოქალაქო ომი გრძელდებოდა. სამოქალაქო ომის ფრონტებზე ვითარება სულ უფრო დაძაბული ხდებოდა. საბჭოთა რესპუბლიკა თავის ყველაზე კრიზისულ დღეებს განიცდიდა. გერმანიის დამარცხების შემდეგ გამონთავისუფლებულ უზარმაზარ, კარგად გაწვრთნილ და შეიარაღებულ ჯარებს ანტანტის სახელმწიფოები თითქმის მთლიანად საბჭოების რესპუბლიკის წინააღმდეგ ომში აბამდნენ.

1919 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე ანტანტის მთავარი დარტყმა გადმოტანილი იყო აღმოსავლეთიდან სამხრეთში გენერალ დენიკინის მოქმედების რაიონში. ერთდროულად შეტევა უნდა დაეწყო პოლონეთს დასავლეთის ფრონტზე, რათა მიეზიდა საბჭოთა ჯარების ყურადღება და თანაც დახმარება გაეწია იუდენიჩისათვის, რომელიც ამზადებდა ლაშქრობას პეტროგრადის წინააღმდეგ, დენიკინის დასახმარებლად.

პოლონეთის რეაქციული მთავრობა, რომელსაც ანტანტის სახელმწიფოები ეხმარებოდნენ და აქეზებდნენ, დიდი ხანია ეღოლიავებოდა იდეას საბჭოთა ბელორუსიის დაპყრობისა და მის კოლონიად გადაქცევის შესახებ. ანტანტა ყოველმხრივ მხარს უჭერდა პოლონეთის ამ იმპერიალისტურ ზრახვებს და მადას ულიზიანებდა კიდეც. პოლონელი შლიახტიჩები მოსკოვზე

გალაშქრების შესახებაც ოცნებობდნენ. ანტანტის დახმარებით საფრანგეთიდან გადმოსროლილი იქნა ცნობილი ჰალერის კორპუსი. იგი თითქმის მთლიანად შედგებოდა პოლონელებისაგან და მსოფლიო ომის დროს გერმანელების წინააღმდეგ იბრძოდა. პოლონეთს მიემატა კარგად შეიარაღებული, გამოცდილი 6 დივიზია, რომლებიც წარმოგზავნილი იყვნენ საბჭოთა დასავლეთის ფრონტის წინააღმდეგ. საბჭოთა ჯარების ძირითადი ნაწილები იყვნენ აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფრონტებზე. ბელორუსიაში მომქმედი მე-16 და მე-15 არმიები მცირერიცხოვანი იყვნენ, ზოგ ნაწილს შტატით გათვალისწინებული შემადგენლობის 40% ჰყავდა. პოლონელებმა თავის ჯარს თავი მოუყარეს ფრონტის ვიწრო უბანზე — მოლოდეჩნოსა და ვილეისკის მიმართულებით (რაც გზას უხსნიდა ბელორუსიის დედაქალაქის მინსკისაკენ) და რაღა გასაკვირია, მათ აქ შექმნეს ძალთა დიდი უპირატესობა — სამჯერ მეტი ვიდრე საბჭოთა ჯარებს ჰყავდათ.

ასეთი იყო მდგომარეობა 1919 წლის ივლისში, როცა სერგო მოსკოვში დაბრუნდა. სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა საბჭოთა ბელორუსია. საბჭოთა რუსეთმა დახმარების ხელი გაუწოდა განსაცდელში მყოფ მოძმე ბელორუსიის ხალხს. მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, მან შექმნა ახალი ნაწილები, გაუგზავნა სურსათი, იარაღი. იქ, მაშინ, როცა თვითონაც უჭირდა, გადაისროლა მთელი ჯგუფი გამოცდილი სამხედრო პოლიტიკური მუშაკებისა — იოსებ სტალინი, გრიგორი პოტიომკინი და სხვანი. სტალინმა ფრონტზე შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის გაცნობის შემდეგ პირველი რიგის ამოცანად მიიჩნია ფრონტის გამოცდილი ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცება. ამ მიზნით მან პარტიის ცეკას მოთხოვა დასავლეთ ფრონტზე გაეგზავნა სერგო ორჯონიკიძე, კამო, სერგეი მედვედევი და ათი სხვა ხელმძღვანელი მუშაკი. ცკ-ის საორგანიზაციო ბიურომ 14 ივლისს განიხილა და დააკმაყოფილა სტალინის მოთხოვნა. სერგო ორჯონიკიძე დაინიშნა დასავლეთის ფრონტის მე-16 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად. 15 ივლისს ლენინმა დეპეშით აცნობა სტალინს, რომ მისი თხოვნის შესაბამისად დასავლეთის ფრონტზე „გიტისი ხვალ მოდის, თუ უკვე არ წამოსულა. სერგო და სოლოგუბი წამოვიდნენ, სერგეი მედვედევი ავად არის. სმილგამ გასცა განკარგულება, მოგცეთ რაც შეიძლება მეტი მუშაკი“.

სწორედ ამ მომენტში სერგოსთან ერთად ფრონტზე წავიდა სერგეი მედვედევი და ათი სხვა საიმედო, გამოწრთობილი კომუნისტი. კრიზისული მდგომარეობა მწიფდებოდა დასავლეთის ფრონტზე.

მძიმე ვითარება იყო მე-16 არმიაშიც. არმიის შტაბში ქაოსი სუფევდა. უპასუხისმგებლობასა და გულგრილობას ღრმად გაედგა ფესვები არმიის სარდლობის ცხოვრებაში. ამისა და სხვა მიზეზთა და მიზეზთა გამო „ძველი შემ[illegible]ლი, დაღლილი ნაწილები XVI არმიისა, რომელსაც აწვება ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგე დასავლეთის ფრონტზე — პოლონელები, არა თუ ვერ უძლებენ შემოტევას, არა თუ უნარი არ შესწევთ თავი დაიცვან, არამედ მათ იმის უნარიც კი დაკარგეს, რომ დაიცვან უკან მიმავალი ბატარიები... ვშიშობ, რომ ნაწილების ასეთი მდგომარეობის დროს XVI არმია ბერეზინისაკენ უკანდახევის პროცესში შეიძლება უქვემეხებოდ და ულალაოდ დარჩეს... ჩვენ დაახლოებით იმავე მდგომარეობაში ვიმყოფებით, როგორშიც შარშან აღმოსავლეთის ფრონტი იყო, როდესაც ვაცეტისმა და კოსტიაევმა კოლჩაკს დაამსხვრევინეს ჯერ მე-3 არმია, შემდეგ მე-2, შემდეგ მე-5 არმია და... წაახდინეს მთელი ფრონტის საქმე... ახლა თვითონ გადაწყვიტეთ: შეგიძლიათ თუ არა მოგვცეთ ერთი დივიზია, თუნდაც ბრიგადობით, თუ მოწინააღმდეგეს დაანებებთ დაანგრიოს ისედაც დაშლილი XVI არმია. მაგრამ გადაწყვიტეთ დაუყონებლივ, ვინაიდან ყოველი საათი ძვირფასია“, — წერდა 1919 წლის 11 აგვისტოს დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე სტალინი. და აქვე იგი დასძენდა, რომ „ეს წერილი წაიკითხა და დაადასტურა დასავლეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრმა, აგრეთვე დასავლეთის ფრონტის სარდლობამაც“.

დასავლეთის ფრონტზე, კერძოდ მე-16 არმიაში მივლინებული ამხანაგების, მათ შორის სერგო ორჯონიკიძის წინაშე, პარტიამ დააყენა უაღრესად დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობის ამოცანები: უპირველეს ყოვლისა, როგორმე უნდა შეეჩერებინათ მოწინააღმდეგის წინსვლა, ამისათვის კი საჭირო იყო ფრონტზე და განსაკუთრებით მეთექვსმეტე არმიაში სამხედრო დისციპლინის განმტკიცება, ჯარების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, გამარჯვების რწმენის განმტკიცება. სარდლობის მუშაობის ძირეული გარდაქმნა.

მტერი, რომელიც იოლ, მსუბუქ გამარჯვებას ელოდა, იძულებული გახდა ჩაბმულიყო მძიმე, ხანგრძლივ ბრძოლებში. წითელი ჯარი სულ ხშირად აგემებდა მტერს საგრძნობ დარტყმებს. გზა მოლოდეჩნოდან მინსკამდე — 80 კილომეტრი — მტერმა შეძლო ბრძოლით გაევლო მხოლოდ თვე-ნახევრის განმავლობაში. გააფთრებული ბრძოლა მინსკისათვის უშუალოდ გაგრძელდა 12 დღე. 8 აგვისტოს მოწინააღმდეგემ ისარგებლა რა თავისი რიცხობრივი და შეიარაღების მხრივ უპირატესობით, მაინც შესძლო მინსკის აღება, მაგრამ ეს წარმატება მას ძვირად დაუჯდა — მისი საუკეთესო, ყველაზე ბრძოლისუნარიანი ნაწილები. სისხლიდან

დაიცალა და წელში გატყდა. სერგო ერთ დეპეშაში ამის შესახებ წერდა: „მეთექვსმეტე არმიის ფრონტზე მტერმა, უკანასკნელი ბრძოლებით ქანცგამოცლილმა, განიცადა დიდი დანაკლისი და დახარჯა თავისი რეზერვები“.

გატარებული ღონისძიებების შედეგად სექტემბერში ფრონტზე გარდატეხა დაიწყო. მდინარე ბერეზინთან თეთრპოლონელების შეტევები შეჩერებულ იქნა. უფრო მეტიც, ბობრუისკთან ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით განადგურებულ იქნა მტრის ჯარების დაჯგუფება. ჩვენი ჯარები — წითელი არმია მტკიცედ გამაგრდა ამ ხაზზე და არ მისცა შესაძლებლობა თეთრპოლონელებს წაეყულიყვნენ რესპუბლიკის სასიცოცხლო ცენტრებისაკენ. ამდენად მათი განზრახვა დახმარებოდნენ დენიკინსა და იუდენიჩს — ჩაიფუშა. დასავლეთის ფრონტზე მოპოვებულმა წარმატებებმა შესაძლებლობა შექმნა აქ განლაგებული ჯარების ნაწილი გადაგვეყვანა სამხრეთის ფრონტზე. დენიკინის მოსკოვზე გადამწყვეტი შეტევის დროს.

სამი თვე დაჰყო სერგომ ბელორუსიაში. მან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა 1919 წლის ზაფხულში ბელორუსიისა და კერძოდ მისი დედაქალაქის — მინსკის, გმირულ დაცვაში. მან დიდი მუშაობა ჩაატარა ჯარებში ბრძოლისუნარიანობის, დისციპლინის, რევოლუციური წესრიგის, გამარჯვებისადმი ურყევი რწმენის განმტკიცებისათვის. ასევე დიდია მისი წვლილი მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ღირსეული კადრების შერჩევისა და დაწინაურების, ჯარისკაცთა საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების, მოსახლეობაში პოლიტიკური მუშაობის, პარტიზანული რაზმების შექმნა-ხელმძღვანელობის საქმეში.

სამოქალაქო ომის ფრონტებზე მკაფიოდ გამოვლინდა სერგოს, როგორც სამხედრო მოღვაწის, ერთი ფრიად შესაშური თვისება: მას არ უყვარდა ფრონტზე მდგომარეობის შესახებ წარმოდგენა ჰქონოდა მხოლოდ ინფორმაციული მონაცემებითა და დეპეშების მიხედვით — მას თვითონ უნდა ენახა ფრონტი, შეემოწმებინა ვითარება, მომარაგება, მებრძოლთა განწყობილება, გასაუბრებოდა ჯარისკაცებს, მეთაურებს, კომისრებს. საკუთარი თვალით ენახა ბრძოლის ველი, მომავალი შეტაკების არენა.

ფრონტზე სერგოსათვის არ არსებობდა გადაულახავი დაბრკოლება. იგი ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი პოულობდა გამოსავალს. ერთხელ, როდესაც თეთრპოლონელებმა დაიკავეს ბორისოვი და შტაბს არ გააჩნდა ზუსტი ცნობები მტრის ძალებისა და გეგმების შესახებ, სერგო ჩავიდა სადგურ პრიამინოში და იქიდან თვითონ გაემგზავრა დაზვერვაში, ოც წითელარმიელისა და ბორისოვის რევკომის წევრთა თანხლებით წყვდიად ღამეში, კოკისპირულ წვიმაში, ფეხით გასწია მტრის მიერ დაკავებულ ქალაქისაკენ. იყო საფრთხე: ეს პატარა რაზმი შეიძლება წასწყდომოდა მტრის ჩასაფრებულ ნაწილს, ამიტომ სერგო მაქსიმალურ სიფრთხილეს იჩენდა: არ ლაპარაკობდნენ, პაპიროსს არ ეწეოდნენ. ოცი კილომეტრი გაიარეს დაჭაობებულ გზებზე, მიადგნენ ბორისოვის გარეუბნებს, სადაც ცხოვრობდნენ ტყავის ქარხნის მუშები. სერგო გაბედულად შევიდა ქალაქში, მუშებისაგან გაიგო რა მხეცობას ჩადიოდნენ ოკუპანტები. ორჯონიკიძემ მიაკვლია პარტიის არალეგალურ კომიტეტს, რომლისაგან მიიღო ზუსტი ცნობები მტრის ჯარების რაოდენობის შესახებ. სერგო შეუთანხმდა ადგილობრივ ამხანაგებს თეთრპოლონელთა წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით მოქმედების შესახებ. აქვე გაირკვა, რომ ქალაქში, თურმე, მტრის მხოლოდ მეწინავე რაზმი შესულიყო და გამაგრება ჯერ კიდევ ვერ მოესწრო.

სერგო ამომწურავი მასალებით დაბრუნდა სადგურ პრიამინოში. მან განკარგულება გასცა, ჩვენ ჯარებს დაუყოვნებლივ დაეწყოთ შეტევა ქალაქში მოკალათებული მტრის წინააღმდეგ. მტერი ადვილად გამოაძევეს ბორისოვიდან. წითელმა ჯარმა მტკიცედ შეინარჩუნა შემდეგშიც ეს მნიშვნელოვანი პუნქტი.

უმაღლესი რწმუნებულებებით უფლებამოსილ სერგოს არასოდეს ავიწყდებოდა უბრალო, რიგითი ადამიანი, — მისი თავისუფლებისათვის და ბედნიერებისათვის ილვწოდა მუდამ. ამ ნათელი მომავლისათვის ტანჯვა-წვალებას არასოდეს შეუშინებია. ამის დასტურია მრავალ ციხე-კატორღასა და გადასახლებაში გმირულად გატარებული წლები. მრავალი სახელმწიფოებრივი საქმეებით დატვირთულ სერგოს არასოდეს ავიწყდებოდა უბრალო ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები. უცხოელ დამპყრობთა და თეთრგვარდიელთა ჯარები, რომ იტყვიან ყელამდე სავსე იყვნენ ყველაფრით — სურსათით, ტანისამოსით, ფეხსაცმლით, საომარი მასალითა და იარაღით. ამ მხრივ მათ წითელ არმიასთან დიდი უპირატესობა ჰქონდათ: ოთხწლიანი ომით მოშლილ და განაწამებ ჩვენს ქვეყანას, მაშინ საშუალება არ ჰქონდა დაეკმაყოფილებინა საბჭოთა ადამიანების ელემენტარული მოთხოვნილებანი. და ასეთ მძიმე პირობებშიც კი სერგო კატეგორიულად მოითხოვდა მაქსიმალური ყურადღება გამოეჩინათ წითელარმიელთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. 1919 წლის სექტემბერში სერგომ დაათვალიერა ბიხოვის ყაზარმები. აქ მან აღმოაჩინა შემაზრზენი ანტისანიტარია. ამასთან წითელარმიელები სალამოობით ისხდნენ სიბნელეში. ყოველივე ამისათვის სერგომ სასტიკად დასაჯა უდარდელი და უპასუხისმგებლო ხელმძღვანელები — საბინაო განყოფილების გამგე ინჟინერი დონცოვი და რაიონის კომენდანტი მალაზოვი. აქ,

ამ საქმეშიც, ნათლად ჩანს სერგოს მუშაობის სტილი. მისი შეუნელებელი ყურადღება „წვრილმანებისადმი". მიღებული საქმისადმი გადაწყვეტილების შესრულების შემოწმება, კონტროლი. აი მისი 1919 წლის 19 სექტემბრის წერილი მოგილიოვის გარნიზონის უფროსისადმი: „გუშინ ბიხოვის ყაზარმების დათვალიერებისას", სადაც განლაგებულია სათადარიგო ბატალიონი, მივუთითე ეზოს შეუწყნარებელ ანტისანიტარულ მდგომარეობაზე. მიუხედავად ჩემი კატეგორიული ბრძანებისა საბინაო განყოფილების სახელზე ეზოს დაუყონებლივ გაწმენდის შესახებ, დღეს ეზო იმავე მდგომარეობაში რჩება. ადამიანის განავალი სანაგვე ორმოდან ავსებს ეზოს და სწამლავს ყველას და ყველაფერს. ჯარისკაცები ყაზარმებში სიბნელეში სხედან. ბატალიონის მეთაურის სიტყვით, მისი ყველა მომართვა თქვენდამი და საბინაო განყოფილებისადმი სრულიად უშედეგოდ რჩება. შენიშვნას გაძლევთ რა ყოველივე ამის გამო, გიბრძანებთ: საბინაო განყოფილების გამგეს ინჟინერ დონცოვს მისცეთ სასტიკი პატიმრობა ორი კვირით, რაიონის კომენდანტს მალახოვს — 20 დღით და გადააყენოთ დაკავებული თანამდებობიდან.

დაუყონებლივ მიიღეთ ზომები ყაზარმების გასანათებლად... შესრულება მომახსენეთ.

XVI არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს წევრი ორჯონიკიძე".

ბელორუსიაში, მეთექვსმეტე არმიაში 1919 წელს სერგო ორჯონიკიძის ხანმოკლე, მაგრამ ფრიად სასარგებლო მოღვაწეობა იმის საუკეთესო მაგალითად გამოდგება, თუ როგორ უნდა იბრძოლო ძალ-ღონის დაუზოგავად პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების განახორციელებლად, თუ როგორ უნდა, ურთულეს, განუწყვეტელი საომარი ოპერაციების პირობებში, მთელი ძალების მობილიზაცია ზურგში და ფრონტზე მტრის გასანადგურებლად. თუ როგორ უნდა შეახამო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ხანგრძლივი და მდიდარი გამოცდილება ლენინის მითითებასთან იმის შესახებ, რომ სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლებში საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმ ჯარების სულისკვეთებაზე, მორალური და პოლიტიკური რწმენის სიმტკიცეზე, რომლებიც ფრონტებზე იბრძვიან. მეთექვსმეტე არმიამ მტერი შეაჩერა და შემდეგ დაამარცხა იმიტომ, რომ იქ მივლინებულმა ბოლშევიკებმა სერგოს ხელმძღვანელობით შეძლეს უპირველეს ყოვლისა, ჯარების საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება, მებრძოლებსა და მეთაურებში გამარჯვების რწმენის შთანერგვა, სოციალისტური სამშობლოს სიყვარულის განცდის გულისტკივილამდე მიტანა.

სერგოს ხელმძღვანელობით აქ გადახდილი ბრძოლები ოქროს ფურცლად ჩაიწერა ბელორუსი ხალხის გმირულ ისტორიაში.

სამოქალაქო ომის ფრონტებზე ჩრდილო კავკასიაში და განსაკუთრებით აქ, სამხრეთის ფრონტზე ულმობელი ომების ცეცხლში გამოიწრთო, გამოიბრძმედა და [illegible]ტიის ნიჭიერი სამხედრო მუშაკი, რომელსაც ხელეწიფებოდა სწრაფად და ოპერატიულად შეედგინა დიდი სამხედრო ოპერაციების გეგმები, სწორად დაესახა სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები და წარმატებით, მინიმალური დანაკარგებით, მცირე მსხვერპლით განეხორციელებინა კიდეც იგი, მე-16 და მე-14 არმიებში სერგოს სამხედრო მოღვაწეობა მჭევრმეტყველურად ადასტურებს ნათქვამს. ამ არმიების, განსაკუთრებით მე-14 არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, მათ მიერ დიდი საომარი ოპერაციების წარმატებით განხორციელება, მრავალი ბრძოლის მოგება და ვერაგი, თავით ფეხებამდე შეიარაღებული მტრის სასტიკი დამარცხება გარკვეულწილად სერგო ორჯონიკიძის, როგორც ამ არმიების სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრის, უშუალო სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწეობასაც უნდა მიეწეროს. სწორედ აქ, დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტებზე გამოავლინა სერგომ დიდი უნარი საომარ ვითარებაში სწრაფი გარკვევისა, სწორი გადაწყვეტილების მიღებისა, დასახული ამოცანების, სამხედრო გეგმის განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების ოპერატიული გატარებისა, ძალების ენერგიული მობილიზაციისა; აქ გაიფურჩქნა მისი უზადო სამხედრო-ორგანიზატორული ნიჭი...

1920 წლის დამდეგი აღინიშნა წითელი არმიის ახალი წარმატებებით. საბჭოთა ჯარების მასირებული კონტრდარტყმების შედეგად, დენიკინის ჯარები დაიფანტა. დაქსაქსული მტრის ყველაზე დიდი ჯგუფი ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. შეცვლილ ვითარებასთან დაკავშირებით საჭირო შეიქნა ფრონტებისადმი ხელმძღვანელობის რეორგანიზაცია. 1920 წლის 10 იანვარს სამხრეთის ფრონტი გარდაიქმნა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტად, ხოლო 16 იანვარს სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი — კავკასიის ფრონტად.

1920 წლის 17 იანვრიდან სერგო კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრია. მის სახელთანაა დაკავშირებული უცხოელი ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელი კონტრრევოლუციონერების საბოლოო განადგურება ჩრდილო კავკასიაში, იქ პარტიული-საბჭოთა ორგანოების აღდგენა. სერგოს ყველგან აღტაცებით ხვდებოდნენ თეთრგვარდიელებისგან განაწამები მშრომელები. განსაკუთრებული სიყვარულით იყვნენ [illegible] მის მიმართ მთიელები, რომლებიც [illegible] აღმერთებდნენ მას, როგორც თავის განმათავისუფლებელს და საუკეთესო მეგობარსა და ძმას. სწორედ სერგოს ხელმძღვანელობით გამოცხადებული იყო დაღესტნის, ინგუშეთისა, ჩეჩნეთისა და ყაბარდოს ავტონომიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნანა ქედია

# საერთაშორისო ორგანიზაციები და აშშ: დიქტატიდან კონფრონტაციამდე

უკანასკნელ ხანს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის შედეგად მკვეთრად დაიძაბა საერთაშორისო ვითარება მთელს მსოფლიოში. აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და რეაქციული პოლიტიკური წრეების სწრაფვა სოციალიზმის „უკუგდების", კომუნიზმის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობის" წამოწყებისაკენ საფუძვლად ედება იმ ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ღონისძიებებს, რომელთა მეშვეობითაც აშშ-ის მმართველი ადმინისტრაცია ცდილობს თავის გავლენას დაუმორჩილოს სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები, განვითარებადი ქვეყნები, სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი, ახასიათებდა რა აშშ-ის მმართველი წრეების საგარეო პოლიტიკურ კურსს, მიუთითებდა: „ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები აშკარად კარგავენ რეალისტურ ორიენტირს ისტორიის ამ რთულ პერიოდში. აგრესიული საერთაშორისო საქციელი, პოლიტიკისა და აზროვნების მზარდი მილიტარიზაცია, სხვათა ინტერესების უგულებელყოფა აუცილებლად იწვევს ამერიკის იმპერიალიზმის მორალურ და პოლიტიკურ იზოლაციას, მასსა და მთელ დანარჩენ კაცობრიობას შორის უფსკრულის გაღრმავებას".

გაერგანმეკო (UNESKO, ЮНЕСКО) — გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე — მთავრობათაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც ოფიციალურად არსებობს 1946 წლის 4 ნოემბრიდან. ამ დღეს ძალაში შევიდა მისი წესდება.

ამჟამად გაერგანმეკო-ს წევრია 158 სახელმწიფო (სსრ კავშირი, უკრაინისა და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები გაერგანმეკო-ს წევრები არიან 1954 წლიდან). ორგანიზაციის წლიური ბიუჯეტი მასში შემავალი სახელმწიფოების საწევრო გადასახდებისაგან დგება.

გაერგანმეკო საერთაშორისო თანამშრომლობის აქტიური რგოლია და მოღვაწეობს იმავე პრინციპებით ხელმძღვანელობს, რითაც გაერო.

„ორგანიზაცია მიზნად ისახავს, — ნათქვამია წესდებაში — ხელი შეუწყოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას, რისთვისაც განავითარებს ხალხთა თანამშრომლობას განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში ყველა ხალხისათვის გაერო-ს წესდებით გამოცხადებული სამართლიანობის, კანონიერების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა".

გაერგანმეკო-ს წესდების პრეამბულაში დაფიქსირებულია სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი, განურჩევლად მათი სიდიდისა, საზოგადოებრივი წყობილებისა და ორგანიზაციის ბიუჯეტში მათი ფინანსური შენატანის ოდენობისა. ამ პრინციპიდან გამომდინარე ცხადია, რომ ყოველ წევრ-სახელმწიფოს ერთი ხმა აქვს. პრეამბულა გმობს რეაქციულ დოგმატებს რასათა სხვაობის შესახებ და აღიარებს რელიგიების თანასწორობას.

ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, რომელიც შედგება მასში შემავალ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან. იგი იკრიბება სესიებზე ორ წელიწადში ერთხელ. აღმასრულებელი საბჭო, რომელსაც გენერალური კონფერენცია ირჩევს, შედგება 45 წევრისაგან, იკრიბება სესიებზე ორსამჯერ. სამდივნოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. სამდივნოს მუშაკების დაკომპლექტება ხდება ძირითადად გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპით.

გაერგანმეკო-ს მოღვაწეობა, როგორც ვხე-

ლავთ. სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის, ფართო ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებზეა აგებული. იგი ორი პარალელური გზით წარიმართება, რომლებიც პრაქტიკულად ერთ მიზანს ისახავენ:

1. საერთაშორისო ინტელექტუალური თანამშრომლობა მის შემავალ სფეროებში;

2. ოპერატიული ქმედება სახელმწიფოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროთა განვითარებისათვის.

ეს ქმედება შემდეგ კატეგორიებს მოიცავს: განათლების განვითარება და ორიენტირება, რათა ხალხებს შეეძლოთ თვითგანვითარების ეფექტურად განხორციელება; დახმარება სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, რითაც თითოეულ ქვეყანას შეეძლება უკეთ გამოიყენოს საკუთარი რესურსები; ეროვნული კულტურის საგანძურისა და კულტურულ მონაპოვართა მოდერნიზება ისე, რომ არ დაიკარგოს ხალხთა ეროვნულობა და თვითმყოფადობა; სოციალური მეცნიერების, როგორც ადამიანთა უფლებების, სამართლიანობის და მშვიდობის დაცვის საშუალებათა განვითარების უზრუნველყოფა.

წლების მანძილზე დასავლეთის სახელმწიფოები, რომელთაც წამყვანი პოზიციები ეკავათ ორგანიზაციაში (საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების არყოფნის გამო) ხელს უშლიდნენ გაერგანმეკო-ს კეთილშობილური მიზნების განხორციელებას. ისინი ცდილობდნენ გადაექციათ ორგანიზაცია ყველა პოლიტიკური პრობლემისაგან განზე მდგარ წმინდა ტექნიკურ ორგანოდ. თავს ახვევდნენ რა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს განათლების, მეცნიერების და კულტურის დასავლურ მოდელებს, ისინი ცდილობდნენ გამოეყენებინათ ეს ორგანიზაცია ფართო კულტურულ-იდეოლოგიური ექსპანსიისათვის ამ ქვეყნებში. სსრ კავშირის, ბელორუსიისა და უკრაინის სსრ-ს შესვლით გაერგანმეკო-ს რიგებში ამ ორგანიზაციაში ახალი ეტაპი დაიწყო.

გაერგანმეკო-ს გენერალური კონფერენციის VIII სესია (მონტევიდეო, 1954 წ.) საბჭოთა დელეგატების მონაწილეობით პირველი გენერალური კონფერენცია იყო, რომელიც საბჭოთა კავშირის ინიციატივით პოლიტიკურ საკითხებს იხილავდა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო მშვიდობის, საერთაშორისო ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის პრობლემათა გადასაჭრელად.

ძალთა თანაფარდობის შეცვლის გამო აშშ-ს და მის მოკავშირეებს სულ უფრო და უფრო უძნელდებოდათ გაერგანმეკო-სათვის საკუთარი ნების თავს მოხვევა. „ის დრო წავიდა, — აღნიშნავდა ამერიკელი მეცნიერი ჯ. შუსტერი, — როდესაც კრიტიკულ შენიშვნებს ვაგზავნიდით ვაშინგტონიდან და ველოდით რომ ისინი გაერგანმეკო-ს გეგმებზე ზეგავლენას მოახდენდნენ“.

60-იანი წლებისათვის საერთაშორისო ასპარეზზე აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის სულ უფრო მეტი ქვეყნის გამოსვლამ ძირფესვიანად შეცვალა ორგანიზაციაში ძალთა თანაფარდობა, რამაც გაერგანმეკო-ს პროგრამის შინაარსის შეცვლაც გამოიწვია. მაგრამ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის მოწინააღმდეგე ძალები კვლავ ცდილობდნენ შეეცვალათ გაერგანმეკო-ს კურსი და თავიანთი ზეგავლენის გაძლიერებისათვის იბრძოდნენ.

ბურჟუაზიულ პოლიტოლოგიაში არსებობს ორი ძირითადი ტენდენცია, რომელიც გაერგანმეკო-სათვის „განსაკუთრებულ ფილოსოფიას“ უჭერს მხარს. ერთ-ერთი ასეთი მიმართულება ორგანიზაციის კრედოდ მიიჩნევს ბურჟუაზიული იდეოლოგიის დასავლურ ახსნას, რომელსაც ისინი „დასავლურ დემოკრატიულ ლიბერალიზმს“, „თავისუფალი სამყაროს იდეოლოგიას“ და ა. შ. უწოდებენ. ასე მაგალითად, უ. ლევისი და ჩ. ტომსონი წერენ: „ორგანიზაციას ისეთივე ძირითადი ღირებულებანი აკისრია ისტორიული თვალსაზრისით, რაც დასავლურ დემოკრატიულ ლიბერალიზმს“. ისინი პირდაპირ მოითხოვენ, რომ ყველაფერი, რაც კომუნისტურ იდეოლოგიას უკავშირდება (მაგ. სკოლისა და ეკლესიის განცალკევება) ამოღებულ იქნას გაერგანმეკო-ს პროგრამიდან.

მეორე ჯგუფი კი თვლის, რომ ამჟამად არ არსებობს განსაკუთრებული, ყველა სახელმწიფო იდეოლოგიისაგან განსხვავებული კონცეფცია-იდეოლოგია, ან ამგვარი იდეოლოგია უნდა შემუშავდეს და იქცეს გაერგანმეკო-ს მთავარ სამუშაო კონცეფციად. ეს იდეა უკანასკნელ წლებში სულ უფრო გულმოდგინე მხარდამჭერას პოულობს. ვაგნერ დე რეინის აზრით გაერგანმეკო თავისი დანიშნულებით უფრო მეტია, ვიდრე მისი შემქმნელი სახელმწიფოები.

გაერგანმეკო-ს სამდივნოს თანამშრომელთა და სხვა წარმომადგენლების გამონათქვამებში ხშირია „გაერგანმეკო-ს სულის“, „გაერგანმეკო-ს ფილოსოფიის“ ხსენება. ასე, მაგალითად, აშშ-ის სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული „იდეოლოგიური თანაარსებობის“ თეორია თვლის, რომ სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმალიზებას პირველ რიგში იდეოლოგიური ბრძოლა უშლის ხელს. მეორე გავრცელებული თეორია — „მშვიდობიანი თანაარსებობის დასავლური ფორმის კონცეფცია“ — სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულებას განსაზღვრავს არა სოციალურ-ისტორიული კანონზომიერებით, არამედ ცალკეულ სახელმწიფოთა ან მოღვაწეთა კეთილი თუ ბოროტი ნებით.

ორი სხვადასხვა საკითხის — „მშვიდობიანი თანაარსებობისა“ და „იდეოლოგიური კონვერგენციის“ — შეგნებული თუ შეუგნებელი აღრევიდან გამომდინარეობს ბურჟუაზიულ პოლიტოლოგთა მოწოდება „მშვიდობის შენარჩუნების მიზნით“ იდეოლოგიური ბრძოლის შეწყვეტის შესახებ. მაგ., რეაქციული ამერიკელი იდეოლოგი ა. მეიერი წერდა: „შესაძლებელია, ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ვესტფალიის ზავისკენ სწრაფვა წარმოადგენს“. ამ გზით, საყოველთაო „მორიგების“ მეშვეობით ცდილობს ა. მეიერი ხელი შეუშალოს კომუნისტური იდეების გავლენას, მათ გავრცელებას.

ითვალისწინებენ რა სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებლობას, სრულიად სხვაგვარად აფასებენ გაერგანმეცო-ს როლს სსრ კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები.

ბოლო წლებში საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების თანამიმდევრული პოლიტიკური ხაზის შედეგად მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა გაერგანმეცო-ში მშვიდობისა და განიარაღების საკითხების განხილვისას.

1968 წელს გაერგანმეცო-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა სსრ კავშირის ინიციატივით პირველად შეაფასა დადებითად ყოვლისმხრივი და სრული განიარაღების თაობაზე გაერო-ს საქმიანობაში გაერგანმეცო-ს მონაწილეობა.

გაერგანმეცო-ს ხელმძღვანელი ორგანოები მომდევნო წლებშიც საბჭოთა კავშირის ინიციატივით სერიოზულ გადაწყვეტილებებს იღებდნენ განიარაღების ეკონომიკური და სოციალური შედეგების შესწავლის, კულტურისა და განათლების საქმეში. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოები ყოველნაირად ხელს უშლიდნენ ამგვარ მოღვაწეობას. ამას ისინი იმით ასაბუთებდნენ, რომ ამ პრობლემების გადაჭრა გაერო-ს საქმეა და არ შედის გაერგანმეცო-ს კომპეტენციაში. მათ ხმაური ატეხეს „გაერგანმეცო-ს პოლიტიზაციის“ შესახებ, ცდილობდნენ შეეცვალათ მისი საქმიანობის დემოკრატიული პროგრესული გზები. სულ ახლახან აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ საერთაშორისო ორგანიზაციების დარგში ნიუელმა კიდევ ერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ გაერგანმეცო ახდენს საკითხების ზედმეტ „პოლიტიზირებას“ და აკრიტიკებს კაპიტალისტურ საზოგადოების საფუძვლებს.

ამგვარ ცილისწამებას ღირსეული პასუხი გასცა გაერგანმეცო-ს გენერალურმა დირექტორმა ა. მ. ბოუმ: „საუბარია გაერგანმეცო-ს პოლიტიზაციაზე. ის კი ავიწყდებოდათ, რომ გაერო-ს ტიპის ორგანიზაციები იმ მიზნით შეიქმნა, რათა სამართლიანი, მტკიცე მშვიდობა დამყარებულიყო კაცობრიობის პროგრესში საკუთარი ღვაწლისა და ურთიერთგაგების, ხალხთა შორის შემდგომი თანამშრომლობის გზით. სავსებით ბუნებრივია ის, რომ გაერგანმეცო ეხმაურება ყველა იმ პრობლემას, რომელიც დღევანდელ მსოფლიოს აღელვებს“.

გაერგანმეცო-ს სტრუქტურულმა რეორგანიზაციამ და მოქმედების საშუალო ხანგრძლივობის გეგმის გამომუშავებამ (1977-82 წწ.) ხელი შეუწყო მისი მოღვაწეობის ეფექტურობის ამაღლებას და მრავალი პრობლემის გადაწყვეტას.

ზემოხსენებული გეგმის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ორგანიზაციის მოღვაწეობაში სულ უფრო თვალსაჩინო ადგილს იკავებს თანამედროვეობის აქტუალური საკითხები.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია გაერგანმეცო-ს მონაწილეობა განიარაღების საკითხზე გაერო-ს გენერალური ასამბლეის პირველ სპეციალურ სესიაში. ჯერ კიდევ სესიის დაწყებამდე გაერგანმეცო-მ მთელი რიგი მოსამზადებელი ღონისძიებები გაატარა, გამოაქვეყნა მოხსენება შეიარაღებისა და განიარაღების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტის გამოკვლევის თანამედროვე ტენდენციებზე.

დიდ მნიშვნელობას იძენს გაერგანმეცოსათვის ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი და მასთან დაკავშირებული დებულებები. ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ამ დასკვნით აქტს განსაზღვრული აქვს საერთაშორისო თანამშრომლობა უმნიშვნელოვანეს სფეროებში, მათ შორის, გაერგანმეცო-ს ფარგლებში, რომელსაც დიდი როლი აკისრია ჰელსინკის ხელშეკრულების შესრულებაში.

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები სსრ კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს ადანაშაულებენ იმაში, თითქოს ისინი ხელს უშლიდნენ ევროპის სახელმწიფოების თანამშრომლობას ჰუმანიტარულ სფეროებში ჰელსინკის აქტის სულისკვეთებით.

ფაქტები საწინააღმდეგოს მოწმობენ. როდესაც საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები მოითხოვდნენ ჰუმანიტარულ სფეროში ევროპული თანამშრომლობის გაფართოებას, დასავლეთის სახელმწიფოთა ოფიციალური წარმომადგენლები ამის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. მაგალითად, წლების განმავლობაში სსრკ-ს წარმომადგენლები მოითხოვდნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენების აკრძალვას ომისა და ხალხთა შორის შუღლის ჩამოგდების პროპაგანდისათვის. ჯერ კიდევ 1974 წელს საბჭოთა კავშირის ინიციატივით შემუშავდა დეკლარაციის პროექტი, რომელიც გაერგანმეცო-ს მთელ რიგ თათბირზე მსჯელობის საგნად იქცა. გენერალური კონფერენციის XX სესიამ, დასასრულ, მიიღო „დეკლარაცია იმ ძირითადი

პრინციპების შესახებ, რომელნიც ეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მნიშვნელობას, მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო ურთიერთგაგების, ადამიანთა უფლებების განვითარებისათვის და რასიზმის, აპართეიდის, ომისაკენ მოწოდების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში“.

გაერგანმეკო-ს საქმიანობაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გენერალური კონფერენციის XXI სესია (1980 წლის 23 სექტემბერი — 20 ოქტომბერი). ამ სესიამ ნათელყო, რომ მიუხედავად მსოფლიოში მდგომარეობის გართულებისა და იმპერიალისტური წრეების მცდელობისა, კაცობრიობა „ცივი ომის“ პერიოდში დააბრუნონ, მშვიდობის დაცვის, ხალხთა ურთიერთგაგების, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ინფორმაციის სფეროში გაერგანმეკო-ს არ შეუცვლია თავისი კურსი. XXI გენერალურმა კონფერენციამ სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შეთავაზებული პროექტების საფუძველზე მიიღო რეზოლუციები: „გაერგანმეკო-ს როლი შეიარაღების წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის შექმნაში“ და „თანასწორუფლებიანი და ორმხრივ ხელსაყრელი კულტურულ-მეცნიერული თანამშრომლობა — მშვიდობის განმტკიცების, ხალხთა შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების მნიშვნელოვანი ფაქტორია“.

რეზოლუციებში დასახული იყო კონკრეტული ნაბიჯები მსოფლიო ინტელიგენციის მობილიზაციისათვის მშვიდობისა და ხალხთა კეთილდღეობისათვის აქტიურად ბრძოლაში.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი პროექტი — „გაერგანმეკო-ს წვლილი მშვიდობის სულისკვეთებით ხალხთა აღზრდის საქმეში“ — საფუძვლად დაედო გენერალური კონფერენციის მიერ მიღებულ შესაბამის ოფიციალურ დოკუმენტს.

მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი — „გაერგანმეკო-ს წვლილი კაცობრიობის გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში“. ეს რეზოლუცია ითვალისწინებდა გაერგანმეკო-ს მოღვაწეობის კონცენტრირებას მშვიდობის, განიარაღების პროცესის განვითარების, გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე.

აშშ-ის დელეგაცია ამტკიცებდა, რომ ამ პრობლემების განხილვაში მონაწილეობის მიღებით გაერგანმეკო-ს ცვლის გაერო-ს. სინამდვილეში პირიქით — თავისი გამოკვლევებით, პუბლიკაციებით, სიმპოზიუმებითა და კონფერენციებით გაერგანმეკო ადასტურებს თუ როგორ ამუხრუჭებს, ხელს უშლის, მაგ., განათლების სფეროში დასმული მრავალი მტკივნეული საკითხის გადაწყვეტას კაცობრიობის სულიერი და მატერიალური რესურსების შეიარაღებაზე ხარჯვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერგანმეკო მკაცრად ილაშქრებდა ახლო აღმოსავლეთში ისრაელისა და აშშ-ის აგრესიის წინააღმდეგ, გმობდა არაბეთის მიწაზე ისრაელის აგრესორთა ანტიარაბული პოლიტიკის შედეგებს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში.

ასევე გმობს გაერგანმეკო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ რეჟიმს, რომელიც დისკრიმინაციის პოლიტიკას ატარებს მილიონობით ზანგის წინააღმდეგ.

გაერგანმეკო-ს ამგვარმა ხაზმა განაპირობა აშშ-ის მმართველი წრეების უარყოფითი დამოკიდებულების ზრდა ორგანიზაციის მიმართ.

აშშ სულ უფრო ხშირად მიმართავს გაერგანმეკო-ში შანტაჟისა და მუქარის მეთოდებს.

აშშ ადრეც იმუქრებოდა, რომ დატოვებდა გაერგანმეკო-ს რიგებს.

გაერგანმეკო-ს მიმართ რეიგანის ადმინისტრაციის „პრეტენზიების“ არსი ჩამოაყალიბა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ა. რომბერგმა: „პრაქტიკულად გაერგანმეკო-მ პოლიტიკური ელფერი მისცა ყველა პრობლემას, რომელიც კი მის წინაშე წამოიჭრა, ორგანიზაცია თავისუფალი ბაზრისა და თავისუფალი პრესის ძირითადი ინსტიტუტების მიმართ აშკარა მტრობას იჩენს“. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მაშინდელმა თანაშემწემ გრეგორი ნიუელმა კი მოითხოვა, რომ გაერგანმეკო-ს შეეწყვიტა განიარაღების საკითხების საჯაროდ განხილვა, ვინაიდან ეს „ინსპირირებულია საბჭოების“ მიერო.

აშშ-ის ოფიციალურ პირთა ამგვარი საეჭვო „კომპეტენტურობა“ საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში ნათელყო გრეგორი ნიუელის სენსაციურმა „ჩავარდნამ“ სენატის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე. გასულ წელს, როცა მის კანდიდატურას ამტკიცებდნენ შვედეთში ელჩის თანამდებობაზე, გ. ნიუელმა ზემოხსენებულ კომისიას ვერ დაუსახელა ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკის წევრთა შემადგენლობა, ფრიად უზუსტო გამოდგა მისი ცოდნა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებისა და სსრ კავშირის შესახებაც. კომისია იძულებული გახდა უარეყო ახეთი ელჩის კანდიდატურა.

ძირითადი მიზეზი აშშ-სა და გაერგანმეკო-ს შორის განხეთქილებისა ნათელჰყო აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს დირექტორის ჩარლზ უიკის გამოსვლამ პარიზში, 1983 წელს შემოდგომაზე.

საქმე ისაა, რომ გაერგანმეკო ხელს უწყობს ახალი საერთაშორისო საინფორმაციო წესრიგის შემოღებას. ამჟამად სწორედ ინფორმაციის საერთაშორისო ურთიერთგაცვლის სფერო გადაიქცა პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ბრძოლის ასპარეზად. იმპე-

რიალისტური სახელმწიფოები ცდილობენ ინფორმაციის გავრცელების სფეროში დიქტატით თავიანთი საგარეო და სამხედრო პოლიტიკის გამართლებას, მიესწრაფიან ხელსაყრელი სამოქმედო პირობები შეუქმნან ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, ხორცი შეასხან მონოპოლისტური კაპიტალის იდეოლოგიას, მოახდინონ პროგრესული იდეების დისკრედიტაცია.

დღევანდელი „ინფორმაციული აფეთქება“ არსებით გავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, ამტკიცებს, თუ რა დიდი გავლენა შეუძლია ჰქონდეს საზოგადოებრივი აზრის ავტორიტეტს ანტიკოლონიურ, ანტიიმპერიალისტურ და ანტიფაშისტურ ბრძოლაში, ან პირუკუ. აშშ-ში გახმაურებულმა „უოტერგეიტის საქმემ“ აიძულა პრეზიდენტი რ. ნიქსონი გადამდგარიყო — პირველად შტატების ისტორიაში.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ თუ როგორ ჩამოყალიბდა ჩილეს რადიოსა და ტელევიზიის კომერციული არხით ანტისოციალისტური ოპოზიცია, როგორ მზადდებოდა ნიადაგი პოლონეთში პოლიტიკური გადატრიალებისათვის. ოფიციალური ვაშინგტონის მასირებულ ჩარევასთან ერთად ამას ხელი შეუწყეს ამერიკული ტრანსნაციონალური მონოპოლიების მიერ დაფინანსებულმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა.

„აშშ კაპიტალისტური სამყაროს ინფორმაციის სამსახურის მონოპოლისტად გვევლინება“ — წერდა ფრანგული ჟურნალი „მონდ დიპლომატიკი“. მართლაც, იგი აკონტროლებს მსოფლიო სატელევიზიო პროგრამების 75, ინფორმაციის 65, კინოპროდუქციის 50, გრამფირფიტებისა და მაგნიტოფირების 60, სავაჭრო რეკლამის 65 და, ორ ევროპულ ფილიალთან ერთად, ინგლისურ ენაზე, სატელევიზიო ახალი ამბების 90 პროცენტს. ამავე დროს მსოფლიოს 80 ქვეყანას საერთოდ არა აქვს საკუთარი ბეჭდვითი ინფორმაცია. უცხოური განვითარებადი ქვეყნების სატელევიზიო პროგრამების 70-80 პროცენტი.

აშშ აკონტროლებს მსოფლიოში 80-დან 27 მსხვილ სარეკლამო სააგენტოს, რომელთა წლიური ბრუნვა 1976 წელს შეადგენდა 66,2 მილიარდ დოლარს.

ექსპანსიის ამ ფორმამ „ინფორმაციული იმპერიალიზმის“ სახელწოდება მიიღო და სერიოზული საფრთხე შეუქმნა ახალგაზრდა სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებებსა და სულიერ ცხოვრებას.

გაერგანმეკო-ს გენერალური კონფერენციის XXI სესიამ (1981 წ.) საერთაშორისო კომუნიკაციური პროგრამის განსახორციელებლად დაამტკიცა სამთავრობათაშორისო საბჭოს წესდება, რომლის მიზანია „თანამშრომლობის გაფართოება და დახმარება კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის განვითარებაში, კომუნიკაციის სფეროში ცალკეულ ქვეყნებს შორის განხეთქილების შემცირება“.

სამთავრობათაშორისო საბჭოს მძაფრი პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზად იქცა 1981-82 წწ. ჩატარებული რეგულარული სესიები.

აშშ-მა, ყველაზე ძლიერმა კაპიტალისტურმა სახელმწიფომ, არ შეიტანა გაერგანმეკო-ს ანგარიშზე არც ერთი დოლარი საწევრო და წინადადება წამოაყენა კომუნიკაციების განვითარებისათვის სახსრები გამოყოფილიყო გაერგანმეკო-ს მიერ მოწონებული დახმარების ფონდის გარეშე.

გაერგანმეკო-ს IV საგანგებო გენერალურ კონფერენციაზე (1982 წ) აშშ-მა დიდი ყოყმანის შემდეგ მხარი დაუჭირა გაერგანმეკო-ს საშუალო ხანგრძლივობის გეგმას 1984-89 წლებისათვის. გეგმა ითვალისწინებდა, რომ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის გვერდით ინფორმაციის პრობლემა გადაიქცა ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ საბაზო მიმართულებად. სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ინფორმაციის ისეთ ელემენტს, როგორიცაა განვითარებადი ქვეყნების საინფორმაციო ორგანოების უზრუნველყოფა მათი მოთხოვნების შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით და მოცემული ტექნიკის მიმწოდებელი ქვეყნისაგან იდეოლოგიური დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

აშშ-ისა და დასავლეთის ზოგიერთ სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები ცდილობდნენ გამოერიცხათ გაერგანმეკო-ს საშუალო ხანგრძლივობის გეგმიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხსენება. აშშ-ის პოლიტიკა პრაქტიკულ ნაბიჯებსაც ითვალისწინებდა. მას 120.000 დოლარის გადაცემა სურდა კერძო ამერიკული ორგანიზაციის „განათლების განვითარების აკადემიისათვის“ — იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელს ემოქმედა აფრიკული ტელევიზიის პროგრამებზე, დაეფინანსებინა ამერიკული პროპაგანდა გაერგანმეკო-ს ხარჯზე. მაგრამ ეს წინადადება უარყვეს.

ყოველმხრივ წინ წამოსწევდნენ რა საბიუჯეტო საკითხებს, აშშ-ის ოფიციალური წარმომადგენლები გამუდმებით წუწუნებენ ორგანიზაციის მფლანგველობაზე, ხაზს უსვამენ იმას, რომ ეს იწვევს მის ფონდში ამერიკის საწევროს გაუმართლებელ ზრდას. ჯერ კიდევ 1981 წ. 17 სექტემბერს აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო დოკუმენტი, რომელიც „მოუწოდებდა აშშ-ს, შეეწყვიტა გაერგანმეკო-სთვის ფინანსური მხარდაჭერა, თუ კი გადადგმული იქნებოდა ნაბიჯები ინფორმაციისა და იდეების გავრცელებაზე კონტროლის დაწესებისაკენ“.

დოკუმენტმა პრეზიდენტ რეიგანის აქტიური მხარდაჭერა ჰპოვა. იგი თავის წერილში წარმომადგენელთა პალატის წევრებისადმი აღნიშნავდა: „არა მგონია, რომ ჩვენ შევეძლოს ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა გაერგანმეკო-სთვის დახმარების გაწევა, ვინაიდან მან ზურგი შეაქცია იმ ამაღლებულ მიზნებს, რომლის სამსახურსაც თავიდან აპირებდა“.

აშშ-ის წარმომადგენლებმა გაერგანმეკო-ს ორ ძირითად პუნქტში წაუყენეს ულტიმატუმი:

1. სესიას არ უნდა მიეღო განვითარებადი ქვეყნების წინადადებები „ჟურნალისტთა საერთაშორისო კოდექსის“ შესახებ, ვინაიდან ეს იქნებოდა მომავალი „თავდასხმა პრესის თავისუფლებაზე“;

2. ამერიკელი დელეგაცია წინააღმდეგი იყო არა მარტო გაერგანმეკო-ს ბიუჯეტის არსებითი ზრდისა და, შესაბამისად, აშშ-ს საწევროს გაზრდისაც, არამედ დაჟინებით მოითხოვდა საბიუჯეტო ხარჯების პრიორიტეტთა გადასინჯვასაც, ცდილობდა ეკარნახა ორგანიზაციისათვის საკუთარი სურვილები. რესპუბლიკური ადმინისტრაციის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ აშშ არ შეურიგდება გაერგანმეკო-ს მიერ „განიარაღების სფეროში“ აღმოსავლეთის ბლოკის ინიციატივებს, იმ ლტოლვილთა განათლების პროგრამებისათვის სახსრების დახარჯვას, რომელთა გამოყენებასაც თითქოს „აღმოსავლეთის ბლოკი“ ცდილობს „ფსიქოლოგიური ომის“ დანერგვისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ განვითარებადი ქვეყნების ხალხთა ამხედრების მიზნით.

გენერალური კონფერენციის XXII სესიამ 1984-85 წლების ორწლიანი ბიუჯეტი დაამტკიცა 847 მლნ დოლარის ოდენობით, გაზარდა რა იგი 8,5%-ით. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის საწევრო უნდა გაზრდილიყო მხოლოდ 2,5 მლნ დოლარით, ამერიკელთა დელეგაცია ერთადერთი იყო, რომელმაც უარყოფითი ხმა მისცა ბიუჯეტის დამტკიცებას.

აშშ-მა აგრეთვე წამოაყენა წინადადება, რომ ყოველი მნიშვნელოვანი საკითხი აღმასრულებელ საბჭოში მიღებულიყო 85% ხმის უმეტესობით. სესიის მონაწილეებმა ეს „ინიციატივა“ უარყვეს.

აშშ-ის წარმომადგენლები ყოველმხრივ უსვამდნენ ხაზს იმას, რომ მათ არც სესიის მუშაობის გეზი და არც მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ აკმაყოფილებდათ. გაერგანმეკო-ს გენერალური კონფერენციის XXII სესიაზე აშშ-ის კრიტიკით გაღიზიანებულმა ვაშინგტონმა ისე მიიღო გადაწყვეტილება ორგანიზაციიდან გამოსვლაზე, რომ... არც კი დაუცდია სესიის მუშაობის დამთავრებისათვის!

ბოლო წლებში ამერიკული პოლიტიკის ეფექტურობა ორგანიზაციაში ეცემოდა. ეს ხდებოდა მიუხედავად იმისა, რომ გაერგანმეკოს პერსონალის 68 პროცენტს შეადგენენ მოქალაქეები აშშ-დან. კანადიდან, დასავლეთ ევროპიდან. აზიის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის წარმომადგენლებზე კი ერთ მეხამედამდე მოდის. ასე რომ, ჩივილი „მესამე მსოფლიოს“ მხრიდან შევიწროების ყალბ არგუმენტებზე იყო აგებული.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ თვით აშშ-ში რიგი პოლიტიკური სტრატეგებისა მაინც თვლის, რომ გაერგანმეკო იმდენად მნიშვნელოვანია აშშ-სათვის, იმდენად დიდ როლს თამაშობს თანამედროვე მსოფლიოში, რომ მათ არ შეუძლიათ გამოსვლა ამ ორგანიზაციიდან და მისი „კომუნისტებისათვის დატოვება“. „გაერგანმეკო-სადმი დახმარების ამერიკული კომისიის“ წევრმა ჟაკ ტორჩინერმა განაცხადა: „ჩვენი დარჩენით — არაფერი შეიცვლება, ჩვენი წასვლით კი ყველას დავანახვებთ, რომ სერიოზულად ვმოქმედებთ“.

გაერგანმეკო-ს „მოსაფიქრებლად“ 1 წლის ვადა მიეცა. ამასთან დაკავშირებით დროულია გავიხსენოთ ს. ვეისის სიტყვები წიგნიდან „აშშ-ის პოლიტიკა საერთაშორისო ორგანიზაციებში“. „ჩვენს წინაშეა ალტერნატივა: ან მივატოვოთ ბრძოლის ველი სათანადო ძალების უქონლობის გამო, ან განვაგრძოთ ბრძოლა პროგრესული იდეებისათვის, რომლის ერთგულია მთელი თავისი არსებობის მანძილზე ამერიკელი ხალხი“.

უკანასკნელ ხანს აშშ-ის ადმინისტრაციამ კიდევ ერთი მტრული ნაბიჯი გადადგა გაერგანმეკო-ს მიმართ. აშშ-ს სენატი ერთი წლის განმავლობაში სპეციალურად „სწავლობდა“ ამ ორგანიზაციის მოღვაწეობას. გაერგანმეკო-ს ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებით შემაჯამებელ მოხსენებას კონფიდენციალური ხასიათი უნდა ჰქონოდა. მაგრამ ვაშინგტონელ მესვეურთათვის ჩვეული თვალთმაქცობით მოხდა ინფორმაციის „მოულოდნელი გაჟონვა“ — ამერიკის პრესამ გამოაქვეყნა სენატის კომისიის დასკვნა, რომელიც გაერგანმეკო-ში შექმნილ მდგომარეობას უკიდურესად მუქ ფერებში ხატავდა.

დასასრულ, 1984 წლის მიწურულში ვაშინგტონმა ოფიციალურად განაცხადა, რომ 1985 წლის 1 იანვრიდან ტოვებს გაერგანმეკო-ს და მართლაც დატოვა ეს მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია.

მაგრამ იმისათვის, რომ თვალყური ადევნოს გაერგანმეკო-ს, ვაშინგტონი აპირებს პარიზის საელჩოში დატოვოს მისია ექვსი კაცის შემადგენლობით, რომელიც „იმუშავებს“ იმ ქვეყნებთან ერთად, ორგანიზაციაში რომ რჩებიან. ამგვარად, ამერიკის ადმინისტრაციას სურს შეინარჩუნოს თავისი „არსებობა“ გაერგანმეკო-ში და ამის მეშვეობით გააგრძელოს შანტაჟისა და ზეგავლენის პოლიტიკა.

---

ნანა ჭედია

საერთაშორისო ორგანიზაციები და აშშ: დიქტატიდან კონფრონტაციამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, „პროგრესული იდეებისათვის მებრძოლმა“ ვაშინგტონის ადმინისტრაციამ „ჯვაროსნული ლაშქრობა“ წამოიწყო არა მარტო მსოფლიო კომუნიზმის, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების წინააღმდეგაც. ჯერ კიდევ გასული წლის მარტში გაერო-ში აშშ-ის მაშინდელმა წარმომადგენელმა ჯინ კირკპატრიკმა უხეშად განაცხადა: „დროა გავაგებინოთ სახელმწიფოებს, რომ მათი პოზიციები, მოქმედება და ხმის მიცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ჩარჩოებში განუხრელად იმოქმედებს მათ ურთიერთობაზე შეერთებულ შტატებთან გაერო-ს ფარგლებს გარეთაც“.

ასეთმა დაწოლამ, როგორც ჩანს, მაინც მოახდინა ჯეროვანი გავლენა ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაზე. სინგაპურის მთავრობამ თავისი მფარველის მსგავსად განაცხადა ორგანიზაციიდან წასვლის სურვილი, რადგან „არავითარი სარგებლობა არ მიუღია მასში მონაწილეობით“. ჟურნალი „ფარ ისტერნ ეკონომიკ რევიუ“ კი ასე ხსნის ორგანიზაციის დატოვების მთავარ მიზეზს: „სინგაპურის მთავრობამ უარი თქვა გაერგანმეკო-ზე, რათა ასიამოვნოს ვაშინგტონს“.

ვაშინგტონის „სიამოვნების“ ფაქტორმა სერიოზული გავლენა იქონია დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობის დამოკიდებულებაზეც. გაერგანმეკო-ს მიმართ — 1985 წლის 5 დეკემბერს ლონდონმაც განაცხადა ამ საერთაშორისო ორგანიზაციიდან გასვლის შესახებ. ბრიტანეთის კონსერვატორები ისე ჩქარობდნენ ვაშინგტონის გულის მოგებას, რომ არაფრად ჩააგდეს მოგება გაერგანმეკო-ს პროგრამებიდან, რომელიც სამჯერ აღემატებოდა ინგლისის ყოველწლიურ შესატანს ორგანიზაციის ბიუჯეტში.

გაერგანმეკო-დან გასვლას იმუქრება იაპონიაც, რომელზეც საბჭოთა კავშირის შემდეგ ორგანიზაციის ბიუჯეტში მოდის ყველაზე დიდი ნაწილი — 10,19 პროცენტი. პრაქტიკულად იაპონიის კონსერვატული მთავრობა თამაშობს „ტროას ცხენის“ როლს გაერგანმეკო-ში, ცდილობს რა, ყოველნაირად გააღრმავოს ურთიერთობა აშშ-თან. სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით გაერო-ში მთავარ რეზოლუციაზე ხმის მიცემისას იაპონიამ მხარი დაუჭირა აშშ-ს 69 შემთხვევაში.

ამრიგად, შეერთებული შტატები ცდილობენ გადააქციონ გაერგანმეკო ერთა ლიგის ანალოგად, ინკუბატორად, რომელიც გაუთავებელი, უშედეგო დისკუსიის ასპარეზი იყო და სადაც პრაქტიკულად ძალა მოიკრიბეს მეორე მსოფლიო ომის წამომწყებმა აგრესიულმა სახელმწიფოებმა.

მაგრამ თანამედროვე ისტორიული ეპოქა ძირეულად განსხვავდება ომის წინადროინდელი ეპოქისაგან. საბჭოთა კავშირი, მოძმე სოციალისტური ქვეყნები, „მიუმხრობლობის მოძრაობის“ მონაწილე სახელმწიფოები არ დაუშვებენ „ერთა ლიგის“ წარუმატებელი პოლიტიკური ექსპერიმენტის განმეორებას, იმას, რომ გაერო-სა და გაერგანმეკო-ში ნეოფაშიზმი აღორძინდეს.

მიუთითებდა რა მსოფლიო ასპარეზზე სახელმწიფოთა პოზიტიური თანამშრომლობის აუცილებლობაზე, ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე ამბობდა: „მსოფლიო სწრაფი ცვლილებების პროცესშია და არავის არ ძალუძს შეინარჩუნოს იქ მარადიული სტატუს-კვო. იგი შედგება ათობით სახელმწიფოსაგან, რომელთაგან თითოეულს აქვს საკუთარი სავსებით კანონიერი ინტერესი. მათ წინაშე, უკლებლივ ყველას წინაშე, დგას ფუნდამენტური ხასიათის ამოცანა: თვალი არ აარიდონ სოციალურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ წინააღმდეგობებს, დაეუფლონ იმ მეცნიერებასა და ხელოვნებას, რომ საერთაშორისო ასპარეზზე იქცეოდნენ თავშეკავებულად და წინდახედულად, ცხოვრობდნენ ცივილიზებულად, ესე იგი, კორექტული საერთაშორისო ურთიერთობისა და თანამშრომლობის პირობებში“.

### სოსო სიგუა

# „$H_2SO_4$“-დან „მემარცხენეობამდე“

დიქტატორობის უფლება, პირველობის პალმა, — აი რას ესწრაფოდა ყოველი ლიტერატურული ჯგუფი ოციან წლებში; არც ე.წ. ფუტურისტები ყოფილან გამონაკლისი. მათ პირველსავე მანიფესტში „საქართველო — ფენიქსი“, რომელიც 1922 წლის 6—7 მაისს გამოიცა, უარყოფილია წარსული მომავლის სახელით, თითქოს მყოფადი მანიფესტის ავტორებიდან იწყება /„უარყოფთ რაც ჩვენ უკან არის და ამიერიდან საქართველო ჩვენგან იწყება“/ და მათ უნდა შექმნან ელექტრონის და მანქანის საუკუნის შესატყვისი ურბანული ხელოვნება.

„საქართველო — ფენიქსს“ ხელს აწერენ — ნიკოლ თავდგირიძე /ნიკოლოზ ჩაჩავა, ს.ს./, აკაკი ბელიაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ბესარიონ ჟღენტი, სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ ორაგველიძე, პოლ ნოზაძე, ალექსანდრე გაბესკირია, მზია ერისთავი.

ცხადია, „დიქტატორობის მანიას“ ჰქონდა თავისი საფუძველი. იგი სათავეს იღებდა პოლიტიკური ატმოსფეროდან, პოლიტიკური პარტიების ისტორიიდან. როგორც დაუნდობლად, სასტიკად ებრძოდა ერთი პარტია მეორეს ჰეგემონიის მოსაპოვებლად, ისევე ლიტერატურული ჯგუფები ლამობდნენ თავიანთი დიქტატურის დამყარებას ხელოვნების ფრონტზე. გარდა ამისა, ჯგუფის ცნება მხოლოდ განკერძოების, გამოყოფისა და დამოუკიდებლობის მაუწყებელი როდი იყო. მას ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური კრედო და იდეალი და ამდენად — ახალ პარტიულ ორგანიზაციად გაფორმების შესაძლებლობა /შდრ — ვლ. მაიაკოვსკის „კომფუტი“/.

მანიფესტში, რომელიც სიმბოლისტური სტილის გავლენითაა დაწერილი, თითქმის არაფერია ნათქვამი სოციალიზმთან, საბჭოთა ხელისუფლებასთან მიმართებაზე. სამაგიეროდ ქართველი ხალხი გამოცხადებულია „მსოფლიოს მესსიად“ /იტალიური ფუტურიზმის ანალოგიით/.

1923 წლის 23 აპრილს მოეწყო ე.წ. ქართველი ფუტურისტების პირველი საღამო თბილისში, კონსერვატორიის დარბაზში.[1] ამ თარიღს ისინი განადიდებდნენ და ადარებდნენ იაპონიის მიწისძვრას, თავიანთ გამოსვლებსა და ნაწერებს მიიჩნევდნენ რევოლუციურ მოვლენად. თუმცა არსებითად ეს იყო ავანტიურა, ევროპულ-რუსული მოძრაობის გამოძახილი. თავდაპირველად ისინი ძეგნებულად შეებრძოლნენ კულტურას, მაგრამ სწორედ კულტურის კომპასით მივიდნენ სულის რადიუსამდე.

ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში დამკვიდრდა აზრი, თითქოს „$H_2SO_4$“ მხოლოდ ჟურნალის სახელწოდება იყო. ეს ასე არ გახლავთ. „$H_2SO_4$“ ერქვა ჯგუფს, რომელმაც გააერთიანა დადაიზმის, კონსტრუქტივიზმის და ფუტურიზმის პრინციპები და თავისი თავი გამოაცხადა სოციალისტური რევოლუციის ერთადერთ ხელოვნებად /ლათ. — futurum — მომავალი/.

მოვიტან რამდენიმე მაგალითს:

„ქართულმა პოეზიამ იცის ერთი სკოლა, ამ სიტყვის მართებული გაგებით და ეს არის „$H_2SO_4$“ /ბ. ჟღენტი, ორატორი ლაპარაკობს, „დროული“, 1926, №3/.

ბ.გორდეზიანი ყველგან მსჯელობს „$H_2SO_4$-ის საბჭოზე“, „პრაქტიკაზე“, „ძირებზე“ და სტაჟიასაც დევიზად აწერს — „$H_2SO_4$“ /სამი სანახაობა, „დროული“, 1925 №1/.

გაზეთი „დროული“ /№3/ აცხადებს, რომ 8 თებერვალს ხელოვანთა სასახლეში ტარდება „$H_2SO_4$“-ის მესამე საჯარო სხდომა. ამავე გაზეთის პირველ ნომერს აწერია — „$H_2SO_4$-ის საბჭოს ორკვირეული ორგანო“.

ჟურნალ „ლიტერატურა და სხვას“ უძღვის ემბლემა „$H_2SO_4$“. ზედმეტია მსჯელობა თავად ამ სახელწოდებით გამოცემულ ჟურნალზე.

ერთი სიტყვით, „$H_2SO_4$“ ისეთივე მეტაფორული სახელია, როგორც „ცისფერი ყანწები“, ოღონდ ანტირომანტიკული /მკითხველს შევახსენებთ, რომ $H_2SO_4$ გოგირდმჟავას ქიმიური ფორმულაა/.

საინტერესოა, რომ „დროულის“ მეორე და მესამე ნომრებს აწერია „მემარცხენე ფრონტის ყო-

ველკვირეული ლიტერატურული ორგანო“, ე.ი. „$H_2SO_4$“ შეცვალა „მემარცხენეობამ“, რითაც ჯგუფი დასცილდა პირველსაფუძვლებს და პროლეტარული მწერლობისაკენ გადაიხარა, ე.ი. თითქოს უარყო ავანგარდიზმი და სცადა რეალიზმის მიწაზე დაშვება /რუსი ფუტურისტების მსგავსად/.

„ცისფერი ყანწები“ იყო მოდერნისტული მოძრაობა, სიმბოლიზმის პრიმატით აღბეჭდილი, ხოლო „$H_2SO_4$“ – ავანგარდისტული, რომელშიც წამყვანი აღმოჩნდა ფუტურიზმი /ზოგჯერ „$H_2SO_4$“ „ქერმაფად“ იხსენიება, ხოლო პირველ მანიფესტში ნათქვამია; „ჩვენ ვიწამეთ სიტყვა დინამიური, ქეზაფივით რომ სწვავს საოპერაციო სხეულს“/.

მოდერნიზმსა და ავანგარდიზმს ერთმანეთისაგან განასხვავებთ რომანტიზმისადმი მიმართება. ამ მთავარ წყალგამყოფ ნიშან-თვისებაზეა აგებული მთელი მათი თეორია და პრაქტიკა, ესთეტიკა და პოეტიკა /გავიხსენოთ სიმონ ჩიქოვანი – „დავარტყათ თავში ლირიკას ჩექმა და დავადინოთ ცისფერი სისხლი“/. როგორც ბ. პასტერნაკი მიუთითებდა, თანამედროვე პოეზია გამოვიდა სიმბოლიზმიდან ან მასთან ბრძოლაში ჩამოყალიბდა.

„$H_2SO_4$“-ის საბჭოს 1924–1928 წლებში ჰქონდა სამი ჟურნალი და ერთი გაზეთი. შესაბამისად – ეს წლები უნდა ჩაითვალოს ამ ჯგუფის არსებობის თარიღად. შემდეგ იგი დაიშალა, რადგან აღარ გააჩნდა საკუთარი პრესა და თანდათან შეერწყა ერთიან ლიტერატურულ პროცესს, თუმცა გენეტური წარმომავლობა ყოველთვის საცნაური იყო. ასე მოხდა ავანგარდიზმის ტრანსფორმაცია რეალიზმად, მიუხედავად ცალკეული სპეციფიკური ნიშნების შენარჩუნებისა. ქართველი ავანგარდისტების ნაწერები /ოღონდ არა უკიდურესად ექსპერიმენტული/ სისტემატურად იბეჭდებოდა „მნათობისა“ და „ქართული მწერლობის“ ფურცლებზე.

1924 წელს გამოიცა „$H_2SO_4$“, ალბათ ყველაზე უცნაური ქართული ჟურნალი, გაუგებარი ლექსებით, უჩვეულო თეორიული სტატიებით, კუბისტური და კონსტრუქტივისტული სურათებით, ნაირგვარი და არეული შრიფტით, ერთ-ერთი მთავარი სპეციფიკა გახლავთ აზროვნება შრიფტის, საღებავის და ტექსტის გრაფიკული სქემის მეშვეობითაც, რაც სათავეს იღებს ფ. მარინეტის „ტიპოგრაფიული რევოლუციის“ იდეიდან.

ჟურნალი გამოსცა „$H_2SO_4$“-ის საბჭომ, რომლის წევრები იყვნენ ბენო გორდეზიანი, ნიკოლო ჩაჩავა, ირაკლი გამრეკელი, პავლო ნოზაძე, ჟანგო ღოღობერიძე, აკაკი ბელიაშვილი, ბიძინა აბულაძე, სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ შენგელაია, შალვა ალხაზიშვილი.

მონტაჟი და გარეკანის გაფორმება ეკუთვნოდა ირაკლი გამრეკელს, რომლის არაერთი კუბისტური სურათის რეპროდუქციაა მასში ჩართული.

1924–1925 წლებით თარიღდება „ლიტერატურა და სხვა“ /რედაქტორი ნიკოლოზ ჩაჩავა/. ყდა და კომპოზიცია – კირილე ზდანევიჩისა.

ჟურნალი ძირითადად ჩვეულებრივი შრიფტითაა დაბეჭდილი და საერთოდ შრიფტული სალტო-მორტალე, გრაფიკული სქემები, ფიგურული ლექსები თანდათან შემცირდა.

1925 ქლის 5 დეკემბერს გამოვიდა გაზეთი „დროული“ /რედაქტორი ჟანგო ღოღობერიძე/. დაიბეჭდა კიდევ ორი ნომერი (1926 წელს) და „დროულმა“ არსებობა შეწყვიტა. გაზეთი იუწყებოდა, რომ გამოვიდოდა ჟურნალი „ზერო“ ჟ. ღოღობერიძის რედაქტორობით. მაგრამ ასეთი ჟურნალი ჩვენთვის უცნობია /სხვათაშორის, „$H_2SO_4$“-იც ჰპირდებოდა მკითხველს, რომ 1924 წლის 9 ივლისისათვის გამოვიდოდა გაზეთი „O“/.

სამაგიეროდ 1927 წლის აპრილში იცემა „მემარცხენეობა“ /რომლის ნათლია ყოფილა ბ. გორდეზიანი/. პირველ ნომერს ხელს აწერს სარედაქციო კოლეგია – ბ. ჟღენტი, დ. შენგელაია, ნ. ჩაჩავა, მეორეს, რომელიც 1928 წლის ზაფხულში დაბეჭდილა – რედაქტორი სიმონ ჩიქოვანი. ჟურნალის ფურცლებზე გამოჩნდნენ ახალი თანამშრომლებიც – სიმონ დოლიძე, სტეფანე კასრაძე, აკაკი გაწერელია, დავით კაკაბაძე, ლეო ესაკია, მიხეილ კალატოზიშვილი, ნუცა ღოღობერიძე, ლევან ასათიანი, ვარლამ ჟურული, სერგეი ტრეტიაკოვი /ვლ. მაიაკოვსკის შემდეგ რედაქტორობდა „ნოვი ლეფს“/.

ყდის გაფორმება ეკუთვნოდა ირ.გამრეკელს.

ამრიგად, ე.წ. ქართველ ფუტურისტთა /ანუ ავანგარდისტთა/ ორგანოები ასეთი თანმიმდევრობით გამოიცა – „$H_2SO_4$“, „ლიტერატურა და სხვა, „დროული“ და „მემარცხენეობა“. ეს უნდა გავითვალისწინოთ, რათა თვალი გავადევნოთ ჯგუფის ევოლუციას 1924–1928 წლებში – „$H_2SO_4$“-დან (ე.ი. ავანგარდიზმიდან) „მემარცხენეობამდე“ (ე.ი. რეალიზმთან მიახლოებამდე).

რომ არა „ცისფერი ყანწები“, საეჭვოა გაჩენილიყო „$H_2SO_4$“, რადგან მეორე იყო პირველის რეაქცია, მისი უარყოფა. „ცისფერყანწელთა“ ნეორომანტიკული, სიმბოლისტური სული, ფორმის არტისტიზმი, სტილის კლასიკური ჰარმონია თავისი თავის ამოწურვის წინაშე იდგა. ევროპისა და რუსეთის ანალოგიით ჩვენშიც დაიწყო ანტირომანტიკული მოძრაობა. სიმეტრიას უნდა მოჰყოლოდა ასიმეტრია, დისციპლინას – ქაოსი, ესთეტიკას – ანტიესთეტიკა, სულს – გონება, ავადმყოფობას – საღსალამათობა... მოდერნიზმის დაძლევით წარმოიშვა ავანგარდიზმი ანუ ანტირომანტიზმი. ახალი ხელოვნება ძველთან დისკუსიაში გამოიწრთო და გაიზარდა, თუმცა საწყისები მასში ჰქონდა. მაგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცისფერყანწელთა“ პირველთქმა საკმაოდ იყო დავალებული ფუტურისტული მანიფესტებით, რაც „$H_2SO_4$“ — ელებმა აღნიშნეს კიდეც.

„ცისფერყანწელებს“ თავდაპირველად ფუტურისტებსაც უწოდებდნენ. პ. იაშვილი ერთ-ერთ ადრეულ მოხსენებაში მსჯელობდა „ცისფერი ყანწების“ ფუტურიზმთან მიმართებაზე (გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916, №75). სხვათაშორის მარინეტიმ სიმბოლისტებს ფუტურისტების ინტელექტუალური მამები უწოდა. შემდეგ ტ. ტაბიძე დადაიზმისაკენ გადაიხარა[2] და ამ ტიპის ლექსების ციკლი შეთხზა, თარგმნა დადაისტები და მათი მანიფესტები. დადაისტურ ლექსებს წერდა გრიგოლ ცეცხლაძეც. „ცისფერი ყანწები“ იყო არა მხოლოდ ლიტერატურული მიმართულება /სიმბოლისტები სხვებიც იყვნენ, მაგ. გ. ტაბიძე და ტ. გრანელი/, არამედ სკოლაც, რომელსაც აერთიანებდა ზიარი ესთეტიკური პრინციპები, იდეები, ცხოვრების წესი, ერთმანეთისადმი ფანატიკური სიყვარული. ასეთივე სკოლა აღმოჩნდა „$H_2SO_4$“, თუმცა აქ სტილური თუ იდეური სიჭრელე თვალში საცემი იყო. ისინიც, „ცისფერყანწელთა“ დარად, ერთმანეთს განადიდებდნენ /შდრ, აგრეთვე, „ცისფერი ორდენის“ „კოლაუ“ და „პაოლო“ და „$H_2SO_4$-ის“ „ნიკოლ“ და „პოლ“, „ნიოგოლ“ და „პავლო“/, ესწრაფოდნენ ქართული კულტურის რადიკალურ განახლებას, ურბანული პრინციპების დამკვიდრებას კლასიკისა და თანამედროვეთა უარყოფით. ამ მხრივ წინამორბედებს გადააჭარბეს და ნიჰილისტებად მოევლინენ პარნასს. ამგვარი სულისკვეთება „ტერორად“ მონათლეს /შდრ — დ. ბურლიუკის, ა. კრუჩიონიხის, ვლ. მაიაკოვსკის და ვ. ხლებნიკოვის მოწოდება — „Бросить Пушкина, Достоевского, Толстого и проч. и проч. с Порохода современности“/ და იგი პირველ რიგში გამოეცხადა „ცისფერყანწელებს“.

„$H_2SO_4$“-ს წინ უძღოდა „ზაუმნიკების კომპანია 41°“, რომელიც რუსმა ფუტურისტებმა 1917–1918 წლებში თბილისში ჩამოაყალიბეს /ა. კრუჩიონიხი, ი. ტერენტიევი, ი. ზდანევიჩი, კ. ზდანევიჩი, ვ. კამენსკი.../ და გამოსცა საკმაოდ ბევრი წიგნი. შესაძლოა, „41°“-თან სიახლოვით აიხსნას ტ. ტაბიძისა და გრ. ცეცხლაძის დადაით გატაცება /„მეოცნებე ნიამორებში“ დაიბეჭდა ვ. კამენსკისადმი მიძღვნილი ლექსიც — 1920, №4/.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ როგორც სიმბოლიზმის, ისე ფუტურიზმის მანიფესტი დაიბეჭდა ფრანგულ გაზეთ „ფიგაროში“ /პირველი ეკუთვნოდა ჟან მორეასს — 1886 წლის 18 სექტემბერი, მეორე ფილიპო ტომაზო მარინეტის — 1909 წლის 20 თებერვალი/. „ფუტურიზმის მანიფესტი“ დაწერილია ნიცშეანური პათეტიკით. ავტორი მოგვაგონებს ზარატუსტრას, რომლის თხრობაში ჩართულია თერთმეტპუნქტიანი დეკლარაცია[4].

XX საუკუნის დასაწყისი რევოლუციური სულის აპოთეოზის ხანა იყო. ირღვეოდა ძველი ქვეყანა, ტრადიციები, ნორმები. მსოფლიო ციებცხელებამ შეიპყრო. ამბოხებული, ელექტრონად და მანქანად ქცეული ფიქრი მიწაზე ვერ ეტეოდა. იდეები, ქვეყნები, კლასები ერთმანეთს ეჯახებოდნენ. სამყაროს ტოტალური განახლების ქარიშხალმა გადაუარა. თითქოს ყველაფერი თავიდან იწყებოდა და ნამდვილი ხელოვნების ლიბოც ახლად იკვრებოდა. ვ. ლენინი — რეალობაში, ა. აინშტაინი — მეცნიერებაში, ჩ. ჩაპლინი — კინემატოგრაფში, პ. პიკასო — ფერწერაში, ა. შონბერგი — მუსიკაში, თ.ს. ელიოტი — პოეზიაში, ჯ. ჯოისი — პროზაში მომავლის კულტურასა და ადამიანთა ურთიერთობის მოდელს ქმნიდნენ.

მათგან განსხვავებით ფ.მარინეტიმ მოინდომა მხატვრული აზროვნების წესის ძირეული შეცვლა /არა მხოლოდ ცალკეული ჟანრისა, სისტემისა და ფორმისა/, ე.ი. იმ ცნობიერებისა, რომელიც 40 ათასი წელი ყალიბდებოდა[5] — მოყოლებული Homo sapiens-ის გაჩენის დროიდან და რომელიც ადამიანს მემკვიდრეობით გადმოეცა. მარინეტის შეიძლება ეწოდოს „იდეების გენერატორი“, რომელმაც საწყისი მისცა არაერთ მიმართულებას ხელოვნებაში ან ზეგავლენა მოახდინა მათზე /ფუტურიზმი, კუბიზმი, ორფიზმი, დადაიზმი, სიმულტანიზმი, ზენიტიზმი, ლუჩიზმი, ვორტიციზმი, კონსტრუქტივიზმი, იმაჟინიზმი, ულტრაიზმი.../ და ამას თავადაც სიამაყით აღნიშნავდა.

როგორც ყოველი ლიტერატურული მიმდინარეობა, არც ფუტურიზმი ყოფილა ორთოდოქსული, ერთგვაროვანი. ყველა ქვეყანაში იგი ნაციონალური ფორმით შეიმოსა, რაც გამოიწვია მასალამ, გარემომ, სულისკვეთებამ /„Мой белый божественный мозг я отдал, Россия, тебе“, წერდა სიკვდილის წინ ველიმირ ხლებნიკოვი/.

რუსეთში ადრევე შეაღწია ფუტურიზმმა. აქაც გაჩნდა რამდენიმე განტოტება, რომელთაგან ყველაზე მთავარია ი.სევერიანინის ეგოფუტურიზმი /მალე დაიშალა/, ბურლიუკების, ვლ.მაიაკოვსკის, ვ.კამენსკის, ვ.ხლებნიკოვის, ა.კრუჩიონიხის კუბოფუტურიზმი /მასვე უწოდებდნენ „Будетлян“-ს — ვ. ხლებნიკოვის წინადადებით, „გილეას“ — ჰეროდოტეს მიხედვით — ბურლიუკების გამო/, ბ. პასტერნაკისა და ნ. ასეევის ცენტრიფუგა. ფუტურიზმი საკმაოდ გავრცელდა უკრაინულ ლიტერატურაშიც /მ. სემენკო, მ. ბაჟანი.../.

ფილიპო მარინეტი და ტრისტან ტცარა საქართველოში „ცისფერყანწელებმა“ და „41°“-მა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიყვანეს. ამ სახელებს გაჰყვნენ 19—20 წლის ჭაბუკები და მათ ფანტაზიას რუსული და ევროპული ავანგარდიზმის ელექტრული ციკლონი დაემგერა.

## „$H_2SO_4$"-ის თეორიული თვალსაზრისი

### 1. ჟ უ რ ნ ა ლ ი „$H_2SO_4$"

„$H_2SO_4$" ძირითადად დეკლარაციებისა და თეორიული სტატიების კრებულია. თეორიული ნააზრევის სიჭარბეს პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. ავტორებს უნდა აეხსნათ, განემარტათ და გაემართლებინათ თავიანთი უცნაური შემოქმედება, რათა სრულ გაუგებრობად ან სისულელედ არ ჩაეთვალათ. ამას ისინი მშვენივრად გრძნობდნენ. თუმცა მზერა მომავლისკენ ჰქონდათ მიპყრობილი, ეტყობა, მკითხველი და დამფასებელი თანამედროვეთა შორისაც სჭირდებოდათ. მართალია, მათი მსჯელობა ხშირად ბუნდოვანია, ექსცენტრული და ალოგიური, მაგრამ სწორედ ასე იგებს მკითხველი, რომ ამ მოძრაობას ჰქონდა წანამძღვრები და შემთხვევით არ გაჩენილა. „$H_2SO_4$"-ის საბჭოს წევრები ევროპულ მასალას მიმოიხილავენ, მაგრამ რუსული გზით, რუსული კულტურის მეშვეობით. მათი შეხედულებანი არაორიგინალურია, სააზროვნო ფორმებიც ნასესხებია /საინტერესოა აღინიშნოს, რომ დადაისტი რიბემონ დესენი პარიზში სცემდა ჟურნალს — „$O_4H_2$"/[6].

ჩვენში ხდებოდა ერთი პარადოქსი: საუკუნეების მანძილზე ქართული მწერლობა წინ ისწრაფოდა სხვათა შთაგონებით, სხვათა მიერ აღძრული იმპულსებით. უცხოური, ეპიგონური თანდათან მშობლიურად აღიქმებოდა. შემოტანილი არსებულს უხორცდებოდა და ტრადიციის ნაწილად ფორმდებოდა მომავალი თაობის თვალში. დღევანდელისათვის მართლაც უცხო და მიუღებელი ხვალისთვის დასაყრდენი, ბიძგი და საწყისი ხდებოდა.

ასე იქცა ფუტურისტულ-დადაისტური იმპორტი ნაციონალურ საწყისად 70—80-იანი წლების ჩვენი მწერლობის ერთი ტენდენციისა, რაც ირონიულ-პაროდიულ ნაკადად მოინათლა.

„$H_2SO_4$"-ის წევრები განიხილავდნენ ხელოვნების პრობლემას. განსაკუთრებით აინტერესებდათ ტექნიზებული დარგები, კერძოდ — კინო და ამიტომაც მთლიანი კულტურის ელექტრიზებას მოითხოვდნენ /შდრ — ტ.ტაბიძე — „ახლა იწყება ლექსის უკუღმა ელექტროფიკაცია"/. როგორც ვნახავთ, მათი ნააზრევი ეკლექტურია, ხშირად წინააღმდეგობრივი და ქაოსური, არალიტერატურული და მიუღებელი, მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით საგულისხმო, როგორც ცალკეულ თვალსაჩინო ხელოვანთა სიჭაბუკის ქარიშხალი.

ჟურნალ „$H_2SO_4$-ს" უძღვის შესავალი წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ქართული ხელოვნება დაშორდა თანამედროვეობას. ამიტომ უარსაყოფია ყველა სკოლა და ჯგუფი. თანაბრად მიუღებელია „ცისფერი ყანწები", პროლეტარული პოეტები, ხომალდელები, ილიონელები და სხვა ძველი მწერლები, რადგან ისინი ქადაგებდნენ „მშვენიერ ტყუილს" /იგულისხმებიან არჩილ ჯორჯაძე და მისი მიმდევრები/, ოთახის შარჟულ რომანტიკას, ხოლო „აღმშენებლობის სიმაგრეს" ვერაფერი გაუგეს. კომუნისტურმა რევოლუციამ მოსპო ძველი ქვეყანა, ძველი რომანტიკა, შექმნილი ფეოდალური და ბურჟუაზიული აზროვნების მიერ. შესაბამისად — ახალმა ხელოვნებამ უარი უნდა თქვას ძველ ესთეტიკასა და ხერხებზე. იგი იქნება თანამედროვე მასალის კინემატოგრაფიული გადალაგება და ორგანიზება. კომუნისტური პარტია აშენებს ახალ საზოგადოებას და ამ პროცესში მონაწილეობს ხელოვანი, როგორც რეჟისორი, რომელიც ახდენს მასის მოძრაობის ორგანიზებას სტრუქტურის ყალიბში. აქედან — კონსტრუქტივიზმის და ფუტურიზმის აუცილებლობა.

რედაქცია მოითხოვს, რომ ხელოვნებასა და სახელმწიფოს შორის იყოს ორგანული კავშირი. მთავარია ფსიქიკის რევოლუცია, მოძრაობის პროცესი, რაც გაგებულია როგორც თავისებური დადა. დეკლარაციაში უარყოფილია იტალიურ ფუტურიზმთან კავშირი, რადგან იგი თავისი ბუნებით არისტოკრატიულია, ფრანგული ექსტრემიზმი სალონურია და ფორმალისტური, ხოლო dada რევოლუციურია, მაგრამ დეკადენტური /ზოგჯერ მას „ომის დეზერტირს", კოსმოპოლიტურ ხელოვნებას უწოდებდნენ და მართლაც — იგი წარმოიშვა შვეიცარიაში, დამწყები იყო ფრანგულენოვანი პოეტი რუმინელი ებრაელი ტრისტან ტცარა/. „$H_2SO_4$" აღნიშნავს, რომ იგი ენათესავება რუსულ ფუტურიზმს, მაგრამ მხოლოდ იდეოლოგიისადმი მიმართებით.

დასკვნა ასეთია:

„ჩვენი დადა, ფუტურიზმი და კონსტრუქტივიზმი იხსნება სრული რევოლუციონური და კომუნისტური აღმშენებლობითი საწყისით. ახალი ინდუსტრიალიზმი, ორგანიზაცია მასიური მოძრაობის და საერთოდ ს.ს.ს.რ.". დასასრულ კი მსხვილი, შავი შრიფტით დაბეჭდილია, რომ ქართულ ხელოვნებაში მხოლოდ „$H_2SO_4$-ს" აქვს დიქტატურის უფლება".

„$H_2SO_4$"-ის ერთ-ერთი ლიდერი და უკიდურესი ექსპერიმენტატორი იყო ნიოგოლ /ნიკოლოზ/ ჩაჩავა. /„$H_2SO_4$"-ის ჯგუფიდან მხოლოდ იგი აირჩიეს 1926 წელს ხელოვნების მთავარი კომიტეტის წევრად, რომლის თავმჯდომარე იყო კ. მაყაშვილი/.

ჟურნალში დაბეჭდილია აფორიზმების კრებული /ალბათ ასე თუ მოინათლება ავტორის უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეული სტილი/, რომელიც უარყოფაა წარსული და თანამედროვე ხელოვნებისა. ნ. ჩაჩავასათვის „პოეზია$^2$+პოიეტი=0"-ს ამერიკანიზმი მისთვის მაშინალოგიაა. აქედან გამომდინარე — თუ გეოგრაფია გამოირიცხება /და მას გამორიცხავს კიდევაც ავტორი/, შეიძლება მივიღოთ ფორმულა „საქართველო-ამერიკა" /იმჟამად „ამერიკანიზმი" „ტექნიციზმის", „ინდუსტრიის" სინონიმად იყო გაგებული/. შემდეგ იწყება ქართული რომანტიკის დაშლა. პოეზია მიიჩნეოდა რითმოლოგიად, რაც არსებითად იყო „ქლიბაძის სტილი". მას ახასიათებდა „ცრემლები, მისტიკა, ფერუმარული, ქინაქინა, სარკე მამულიშვილობა..." ხოლო პოეტი იყო „მთვარე, ბერგანდეგილი, წმინდანი" /უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი დაცინვით წერს — „პოიეტი"/. პაროდირების მიზნით მოხმობილია ილიას, ვალერიან გაფრინდაშვილისა და აკაკი წერეთლის სტრიქონები, რომელთაც ახლდათ ზეციერისადმი ვედრება და სასიმღერო ჰანგები. „ურემი, გულუბრყვილობა და ლექსი", — აი „ნავტალინიანი ისტორიის" ოცნება, ხოლო სნეულება — ეპილეფსია, მალარია, დიზენტერია.

ჩამოთვლილია რომანტიკული სკოლები — დეკანდენტიზმი, აკმეიზმი, იმაჟინიზმი, ექსპრესიონიზმი. კურიოზულად მიიჩნევა ის, რომ იმაჟინიზმი პირველყოფილ ადამიანთა დარად აზროვნებს სახეებით, ხოლო ექსპრესიონიზმი დაბრუნებაა მიწასთან და რობინზონ კრუზოს იდეოლოგიასთან. ამ მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს იძლევა ქიმიური რეცეპტი, რომლის ფორმულებში გაიხრწნება ძველი ტკბილხმოვანი რომანტიზმი და ჩნდება $H_2SO_4$-ის სუნი ჰაერში. მისი მეშვეობით დამკვიდრდება ახალი ხელოვნება, რომელიც დიაგრამად არის წარმოსახული. იგი დაეყრდნობა დადაიზმს, როგორც „სამხედრო ტაქტიკას", კუბიზმს, კონსტრუქტივიზმსა და სუპრემატიზმს. ამავე რკალშია მოქცეული „$H_2SO_4$", რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ჩანაფიქრის მიხედვით იყო არა მხოლოდ ჯგუფი ან სკოლა, არამედ ახალი სინთეტური მიმდინარეობაც. ძველ მუზას შეცვლის ტექნიკა, — „ღირებულებას" — „პროდუქტი", კეთილშობილებას — ავანტიურა. სამყარო აღიქმება როგორც მილიმეტრებით განზომილი ოჯახიბგერა, ქუჩაბგერა, ისტორიაბგერა /იქვე დახატულია გრამოფონი/. ამის შემდეგ იწყება ძველი სიტყვების ქიმიური დაშლა, რაც „ლიგვოტექნიკადაა" წოდებული. სიტყვის მონტაჟის, სიტყვის ინდუსტრიის აღმნიშვნელი ტერმინია „როშვა". ხოლო როშარი „ლინგვოქიმიკოსია", ახალი დროის ესთეტი. პოეზიასა და შთაგონებას ცვლის „როშვა", „პოეტს" — „როშარი" /შდრ — ს.ჩიქოვანი — „ძველი მცხეთა, საქართველოს ფუძე, მე ვარ მისი გაზაფხულის როშარი"/, რომელიც ფორმულით ასე აღინიშნება — „ინერცია+მონტაჟიორი=როშვა". ეს ახალი დროს შემოქმედების ფორმულაა. ხოლო ძველი „პოეზია—პოიეტი" უდრიდა სიძის გიტარას მიმატებული გარმონი. ამ ექსკურსების შემდეგ ნოიგოლ ჩაჩავა ასკვნის, რომ „პოეზია+პოიეტი=0".

მეორე, თუ შეიძლება ეწოდოს „სტატია" — არის „სიტყვის ინჟინერია", რომელშიც ნ.ჩაჩავა გვიხსნის, რომ სიტყვის ინჟინერი არის რეჟისორი, რომ სიტყვა იქცევა ტელეგრაფის ენად /გავიხსენოთ დ.ბურლიუკი/, ფორმულებად, რომ, აქედან გამომდინარე — შემოდის მათემატიკის ცნება /იტალიელ ფუტურისტთა ორიენტირი/. ხოლო რეჟისორი უნდა აზროვნებდეს კინემატიკის ენაზე. შესაბამისად ითხზვება ასეთი ტერმინიც — „ოპტიოაკუსტიკა", ე.ი. ხედვითი ბგერა. ტრადიციული გრამატიკული ნორმები უარიყოფა, უარიყოფა ზმნა, როგორც მოქმედების აღმნიშვნელი. იქვე დახატულია გრამატიკის დიაგრამა — შავი ოთხკუთხედი, ე.ი. ის უკვე დამარხულია და მას ავტორი ნიშნისმოგებით ბრანწს უჩვენებს.

ამრიგად, ძველი ესთეტიკის მსხვრევის შემდეგ იშლება მისი საფუძველიც — ენა. ავტორი არღვევს დისკურსიული აზროვნების წესს, მეტყველებს ფორმულებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით, სიტყვათა უჩვეულო თანმიმდევრობით, გრაფიკული სურათებით, ნაირგვარი შრიფტის მოშველიებით, რათა შექმნას „ოპტიოაკუსტიკისა" და „ლიგვოტექნიკის" ეფექტი. აქ ავტორი მართლაც ჰგავს რეჟისორს თუ კონსტრუქტორს, რომელმაც ხატვაც უნდა იცოდეს.

აქ უნდა მოვიგონოთ ფ.ტ. მარინეტის „ფუტურისტული ლიტერატურის ტექნიკური მანიფესტი" /1912/. ავტორის მოთხოვნით, უნდა დაირღვეს ტრადიციული სინტაქსი, უარიყოს ზედსართავი სახელი, ზმნიზედა, პუნქტუაცია. სიტყვა უნდა შეცვალოს მათემატიკურმა ფორმულამ. არსებით სახელს უნდა ჰქონდეს ორეული — ანალოგიის მიხედვით, მაგ., „Женщина — реидь, толпа — прибои, площадь — воронка, дверь — крань». უნდა მოისპოს „მე" ლიტერატურაში, საერთოდ ფსიქოლოგია. არაა აუცილებელი, რომ ხელოვანი იყოს გასაგები. სახეების კატეგორიის სანაცვლოდ საჭიროა ანალოგიების ჯაჭვი. ავტორი უნდობლობას უცხადებს გონებას, „ღვთაებრივი ინტუიციის" სასარგებლოდ /აქედან — დადაიზმის საწყისი იდეა/. თუმცა ამავე მანიფესტის „დამატებაში" იგი მოითხოვს გონებისა და ინტუიციის მორიგებას, მეორის პრიმატით. მარინეტის ოცნება იყო ადამიანი მექანიკური სათადარიგო ნაწილებით, რაც კაცობრიობას სიკვდილს ააცილებდა![7].

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პავლო ნოზაძესა და ჟანგო ღოღობერიძეს არ იცნობს თანამედროვე მკითხველი. არადა მათ საკმაო პროპაგანდა გაუწიეს ავანგარდიზმის თეორიასა და პრაქტიკას. /საგულისხმოა, რომ 1926 წელს, ქართველ მწერალთა პირველმა ყრილობამ „$H_2SO_4$“ — ელთაგან საბჭოს წევრებად ეს ორი მწერალი აირჩია/.

პავლო ნოზაძის „ტრაქტატი დაწერილი პოეზიისათვის“ თანამედროვე უცხოურ მწერლობასთან კამათია. ავტორი მეტყველებს დეკლარაციის, მანიფესტის ენით, საკმაოდ ცუდი ქართულით, უფრო ზუსტად — დადაისტური კაკაფონიით. ამიტომ მსჯელობა ხშირად ლოგიკას მოკლებულია. იგი საუბრობს მრავალ პრობლემაზე, მაგრამ არა გულდასმით ან სიღრმეთა წვდომით, არამედ გადარბენით, უჩვეულო სათაურების მოხმობით /„მანიფესტი 3“, ტრაქტატი 1“, „რომანი 2“, „განთიადი 1...“/, რომელთა მეშვეობითაც უნდა დავაკვირდეთ აზრის ცვალებადობას. პ.ნოზაძე არ ინდობს ფუტურიზმის მამას — მარინეტის და მას არქმევს „სტამბის ჯამბაზს“, ხოლო გატაცებას — „მანქანების რომანტიკას“, რაც „საეჭვო სუნს აყენებს პოეზიაში“, თუმცა ერთი გვერდის შემდეგ „მაფარკა ფუტურისტს“ უწოდებს „დიდ წიგნს“ და იხსენებს დანუნციოს აზრს მარინეტიზე. ასევე უარყოფითად არის ავტორი განწყობილი რუსი ფუტურისტებისადმი /ტერენტიევი, რეშეტნიკოვი, „Леф“, კრუჩიონიხი/. ხოლო ბალზაკსა და ილია ჭავჭავაძეს სავსებით უდიერად იხსენიებს /კონტექსტი — „გავირთხებული, გათმებული და გაწვერულვაშებული მოღვაწენი“/. „$H_2SO_4$“-ისათვის მისაღები ყოფილა მხოლოდ dada და „41°“.

დასახელებულია კოკტო, აპოლინერი, სანდრარი, მარინეტი და მათი ავტორიტეტით გამასხრებულია სიმბოლისტები, რომლებმაც ამოწურეს თავიანთი თავი და ახლა ამაოდ ლაყბობენ. არც რუსი ფუტურისტებია დავიწყებული. ამჯერად მათდამი ხოტბაა აღვლენილი /კრუჩიონიხი, მაიაკოვსკი.../. ისევ ჩნდება დევიზი: „ჩვენ უარვყოფთ წარსულს“. მაგრამ დაუვიწყარია „ფეხები ვანგოგის, ღორი კრუჩიონიხის, რეჟისორი მეიერხოლდის, ქანდაკება ხლებნიკოვის, ჭამა ტ.ტცარასი, ნაცრისფერი თიკანი ხალხური შემოქმედების“, როგორც ნამდვილი პოეზიის ფაქტები. არაერთხელაა დასახელებული „41°“, ხან როგორც წინამორბედი და ნიმუში, ხან კიდევ — როგორც სკოლა. ხოლო ყანწელების შემოქმედება შეფასებულია „განმეორებად“, „წყალმანკობად“, ორშაურიან პოეზიად.

ჟანგო ღოღობერიძე განიხილავს პოეზიაზე კინემატოგრაფიის გავლენის საკითხს /სტატია— „მზადება, რომელიც მობრუნებულ შემოქმედებაში უდრის საზომს, დაბრუნებულ შემოქმედებაში — 3-ს და იწერება“/. ახალი დროის ხელოვნებამ — კინომ ფართო გავრცელება ჰპოვა. არ იყო შემთხვევითი, რომ მას ყურადღება მიაქცია „$H_2SO_4$“-მა. პოეზიის მოდელირება კინოს ანუ ტექნიკის ენაზე — აი, ამ სტატიის მიზანი. ავტორი ადგენს თეორიას, ასაბუთებს მაგალითებით, ეძიებს წინაპრებს, არკვევს მოძრაობის, დეტალის, ხედვისა და ხმის მნიშვნელობას, რაც კინოს დინამიკური ენაა და იწოდება „დაბრუნებულ მოქმედებად“. არსებითად ავტორი აერთებს რამდენიმე სკოლას, თანამოკალმეთა დარად. მაგრამ გამოყოფს სპეციფიკურ ნიშნებს, რომელთა სინთეზი უნდა მოხდეს ახალ ხელოვნებაში. ესენია: ფუტურისტული — მოძრავი მასალა, სისწრაფე, განივთება, მანქანის რიტმი, პროტესტი; კონსტრუქტივისტული — გამიზნული მასალა, ეკონომიკა, პროდუქტი, სიუჟეტის მოძრაობა, ტერორი; დადაისტური — ქაოსური მასალა, გამიზნული დალაგება, საგნების კომბინაცია, მოძრაობის ჟესტი, ტერორი. კინემატოგრაფის სიმბოლო იმჟამად იყო ჩარლი ჩაპლინი, ხოლო ფუტურიზმისა — მარინეტი. ამიტომ, ჟ. ღოღობერიძის აზრით, მარინეტის ელექტრონის მთვარეს უნდა დაეხუროს ჩაპლინის „კოტელოკი“. ეს იქნება პოეზიის კინემატოგრაფიზება, სიტყვის ამეტყველება ტექნიკის, მანქანის, ელექტრონის ენაზე. „რიტმით ავადმყოფობა“ უნდა შეცვალოს ტერორმა, მუსიკა — მოძრაობამ, სინტაქსი — სიტყვების თავისუფალმა განლაგებამ. საჭიროა „ენის გადახალისება“, რასაც რუსულ ლიტერატურაში ეწოდება „ზაუმ“. მოხმობილია ცალკეული ავტორიტეტები /კრუჩიონიხი, ასეევი, მაიაკოვსკი, ერენბურგი, პასტერნაკი, ელენსი, სანდრარი, ხლებნიკოვი, კოკტო, მარინეტი/, რომელთა შეხედულების შერევით წარმოიშობა ახალი სტილური მოზაიკა.

ოციანი წლების მიწურულიდან პ.ნოზაძე და ჟ. ღოღობერიძე, ისევე როგორც არაერთი რუსი ფუტურისტი, ლიტერატურას ჩამოსცილდნენ.

სიმონ ჩიქოვანი 21 წლისა იყო, როცა „$H_2SO_4$“ გამოიცა. მაგრამ მის სტატიებსა და ლექსებში საგრძნობია ენერგია და ერუდიცია, რაც თავდაპირველად სხვათა უარყოფისაკენ იყო მიმართული. დამკვიდრების პროცესში ეს დასაშვებია. მაგრამ, რასაკვირველია, გაუმართლებელია პოეზიის წმინდანების ხელაღებით ძაგება. უნდა ითქვას, რომ ს.ჩიქოვანი თავიდანვე ჩანს, როგორც ავანგარდიზმის იდეოლოგი. ეტყობა, ამას მაინცდამაინც ვერ ეგუებოდნენ. /იგი ვერ მოხვდა იმ ხუთ

დელეგატს შორის, რომელიც „$H_2SO_4$“-მა წარგზავნა საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე/. თანამოკალმენი დიდად აფასებდნენ, თვლიდნენ ნ.ჩაჩავასთან ერთად ფუტურისტული ლექსის მეტრად, მაგრამ ზოგჯერ აკრიტიკებდნენ კიდევ. „მემარცხენეობის“ ბოლო ნომერი გამოიცა ს.ჩიქოვანის რედაქტორობით, რაც უკვე მის ერთპიროვნულ ლიდერობას ნიშნავდა. სწორედ იგი იყო ინიციატორი, რომ „$H_2SO_4$“-ის ავანგარდისტული ჯგუფი რეალიზმისაკენ მობრუნებულიყო.

„$H_2SO_4$“-ის ფურცლებზე სიმონ ჩიქოვანმა ორი წერილი გამოაქვეყნა — „პროექტი ახალი კრეისერის. ფოკუსი მობრუნებული შემოქმედების“ და „$H_2SO_4$“ პოეზიის პარალიტიკებს“.

„მობრუნებული შემოქმედება“, როგორც ვიცით, მეთოდად გაიაზრა ჟ. ღოღობერიძემ. მიუხედავად ამისა, იგი ერთობ ბუნდოვანი და გაუგებარი იყო. ალბათ ამას თუ გრძნობდა ს.ჩიქოვანი, როცა მას ისევ მიმართა და ხელახლა წარმოგვიდგინა: მართალია, არც მისი მსჯელობაა ნათელი, მაგრამ თანამოკალმეთა კრედოს კი გვიხასიათებს. ს.ჩიქოვანისათვის მარინეტი კოლუმბია, რომელმაც აღმოაჩინა და იგრძნო „მექანიკური ქვეყანა“ — მას განსაზღვრავს საგანი და ნივთი. /შდრ— „ლეფელების“ „предмет“ და „вещь“/. ღვთაებრივს ცვლის კომფორტი. საგანმა შეიძინა უტილიტარობა და აკრობატიკა, რითაც იქცა ნივთად. ხოლო ნივთმა რელიგია მოსპო. დადა, წარმოებითი ფუტურიზმი, კონსტრუქტივიზმი ერთმანეთს შეერწყა. ქრონოლოგიურ შეცდომადაა მიჩნეული, რომ დადაიზმი ფუტურიზმის შემდეგ იშვა. დადას ევალება ფსიქიკის გაწმენდა რომანტიზმის შხამისაგან. იგი პირდაპირი მნიშვნელობით ხის სათამაშო ცხენია, გადატანით — ბავშვის ლუღლუღი. დადაისტებმა მოსპეს ჩვეულებრივი მეტყველება, შეადგინეს აფრიკული ლექსიკონი, რათა დასულიყვნენ ბავშვის გულუბრყვილო ცნობიერებამდე. ასეთივე ცდაა ალექსეი კრუჩიონიხის „Заумь“ /იგი იშველიებდა გერმანულ, თათრულ, კავკასიურ ენებს, ქმნიდა ახალ სიტყვებს. სიტყვათქმნადობას ეწოდა „გაუცნობიერებელი ექპერიმენტული ლაბორატორია“/, რომლის საწყისია მარინეტის შეხედულება ტრადიციული სინტაქსის „სასაცილო ამაოებაზე“. მართებულია შენიშვნა, რომ ფუტურიზმი „სხეულის ნაწილივით ატარებს დადას“. დადა აუცილებელია, რათა აინგრეს ძველი ფსიქიკა და პოეზია. იგი კომუნისტური რევოლუციის პარალელური მოძრაობაა /დადაიზმსაც „მემარცხენე“ ხელოვნებას უწოდებდნენ/. დღევანდელობის მიზანია ნივთების შექმნა, რადგან თავად „ხელოვნებას არ აქვს მიზანი“. ასევე აუცილებელია კონსტრუქტივიზმი, რადგან იტალიელთა მანქანებით აღტაცება საკმარისი როდია. საჭიროა სტრუქტურის ძიება როგორც ხელოვნებისა, ისე სინამდვილისა და ფსიქიკისა. იქვე შედარება — „მაიაკოვსკი დგას მოსკოვივით“ და დევიზი, რომ პოეზია არის ნივთი, მისი კონსტრუქცია და დინამიკა. ნივთის თვისებაა მყარობა და მოძრაობა, რაც პოეზიაში გრაფიკით ვლინდება. მისტიკას ცვლის გეომეტრია, ქალაქის თეორემა. ფსიქოლოგიზმი რჩება, მაგრამ დრამატიზმი უნდა მოისპოს, როგორც რომანტიზმის კუთვნილება/ „ლეფელთა“ აზრით, პოეტი არის გეომეტრი და არა ფსიქოლოგი/. ს.ჩიქოვანი თვლის, რომ მთავარია ფსიქიკის კონსტრუირება. უმოძრაო მიწის ბურთი საგანია, ამოძრავებული — ნივთი, რაც ბადებს რიტმს. ავტორის მეტყველება ნელნელა გადადის მათემატიკურ განსჯაში:

„ფაქტიდან ცხადი არის პოეზიის საჭიროება, როგორც უტილიტარული მოვლენის. ამის შემდეგ წარმოდგება ფორმულიროვკა მთელი ნათქვამის პოეზია ნივთი ფორმულა: 1—2 მოძრაობის რგოლი X ღერძი და y მიწის ბურთი *a* პლანეტა უდრის 1 ორბიტის გარშემო მოძრაობის დროს. ის აკეთებს მოძრაობის ორ ფორმას: მოძრაობას ღერძის გარშემო და ორბიტის გარშემო, მიწის ბურთი რჩება 1, მოძრაობის ფორმა 2, აქედან 1=2. მოძრაობის მეორე რგოლის გაკვეთის შემდეგ, რჩება მიწის ბურთი კიდევ ერთი მიწის ბურთის მოძრაობა ორბიტის გარშემო 2 და ღერძის გარშემო 2 და ღერძის გარშემო მრავალი რგოლებით“.

მეორე წერილში, რომელსაც აქვს ქვესათაური „კრეტინების ქარხანა“, ს.ჩიქოვანი მსჯელობს თანამედროვე ქართველ პოეტებზე. პირველი უარყოფის საგანია „ცისფერი ყანწები“, როგორც „მასხრული სკოლა“. მისი სარდალი იწოდება „მალარიის დეგენერატად“. ხოლო სიახლე — „შეტრუსული ფარშავანგების რევოლუციად“, მაგრამ ეს ფრინველები „ბალმონტისა და ბრიუსოვის კასტრალურ ზოოლოგიურ ბაღიდან“ ყოფილან მოპარული. ავტორის აზრით, ხარფუხი და ავლაბარი დამარცხდა და გაიმარჯვა იმერულმა სუფრამ.

ტიტე ტაბიძე — „მოგონების არხივია“, შანშიაშვილი — ფურცელაძისა და ქვარიანის ისტორიების გამრითმავი, გამსახურდია — „ექსპრესიონისტული დრამებით სახელის სპეკულიანტი“, კ. ნადირაძის „ავზნიანი ქალაქი“ კომბოსტოს გემოვნებაა“, პ.იაშვილი „მმაჩის ბიუროს დამაარსებელია პოეზიაში, ხოლო ლ.გუდიაშვილი — „კინტოების დირიჟორი“, ცისფერყანწელებმა“ მეთოდის სიახლე სონეტით ამოწურეს. ჯერ ღიღინებდნენ, შემდეგ აყროყინდნენ, ეფარებოდნენ გ.ტაბიძის კაბასა და ი.გრიშაშვილის აბანოს. „როგორც პოეტი — იაშვილი უდრის თავაძეს, ტიტე ტაბიძე — საშა აბაშელს, ვ.გაფრინდაშვილი — ციყვს, რომელიც სარკეში ზის და რომლის ამოყვანაზედაც ის ოცნებობს“. განსაკუთრებული დაცინვის ობიექტია ტ.ტაბიძე /მაგ., „ტაბიძის მეტყველება არის ბალალაიკის სტილი. ტიტეს არა აქვს სმენა. ქალდეს მისტიკა და ირონია ერთად დეზინტერიის დროს თუ მოთავსდება. შეიძლება აქ ზოგიერთისთვის რეზინის მილიც იყოს საჭირო“/. ავტორი ქართულ ხელოვნებაში არსებულ სიტუაციას „ანტი-სანიტარულ მდგომარეობად“ მიიჩნევს და გვთავაზობს ჰაერის დასაწმენდ რეცეპტს — $H_2SO_4$-ს.

ქართული კულტურის განახლებას ყოველთვის იწყებდა პოეტი. ტრადიციულად ლექსი იყო თავდასხმის პირველი ობიექტი. მისი რღვევით ფერი ეცვლებოდა სამყაროს. ისახებოდა ახალი ბუნდოვანი კონტურები. ლექსი ინტუიციური ქმნადობის ნაყოფია, რომელშიც ოდესღაც იყო კონდენსირებული სიტყვა, მუსიკა, მოძრაობა. შემდეგ იგი აფეთქდა, დაიშალა და დაიფანტა სხვადასხვა სახეებად. მაგრამ პიროვნება ინტუიციურად ესწრაფვის სამყაროსთან პირველადი კონტაქტის აღდგენას. იგი ისევე ატარებს სულში სამყაროს ხატს, როგორც ორსული ქალი ნაყოფს.

ლექსის „ქიმიური დაშლის“ შემდეგ დადგა მხატვრობისა და თეატრის ჯერი. მაგრამ აქაც პრაქტიკას წინ უსწრებდა თეორია, მოქმედებას განცხადება, ე.ი. „$H_2SO_4$“-ელები ჯერ სხვადასხვა წყაროთა მეშვეობით ადგენდნენ კონცეფციას და შემდეგ ცდილობდნენ მის რეალიზებას.

ბენო გორდეზიანი /შემდეგში ქართული შრიფტის კონსტრუქტორი/ გვაცნობს მხატვრობის ახალ თეორიას. მისთვის „ნივთი ფოტოგრაფიულად დახატული არის ავადმყოფობა“ /წინადადების შუაში ჩახატულია ოვალი, ალბათ თვალის, როგორც ხედვითი ორგანოს სიმბოლო/. სანიმუშო „რჩეულ“ მხატვრებად მიჩნეულია სეზანი, პიკასო, ბოჩჩონი, მალევიჩი, კანდინსკი, გროსსი, კოკტო, როდჩენკო /მას ეკუთვნოდა ჟურნალ „ლეფის“ ყდის გაფორმება და მონტაჟი/, „იზმებად“ — იმპრესიონიზმი, კუბიზმი, ლუჩიზმი, სუპრემატიზმი, პუანტილიზმი, კონსტრუქტივიზმი და DaDa /დაბეჭდილია ცალკე, გამოყოფით, მსხვილი შრიფტით/.

როგორც ვხედავთ, მხატვრის იდეალი და ორიენტირი ნათელია. შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით, სიტყვათა მინიშნებით იგი გადადის ქართულ მასალასა და გარემოზე, მოიხსენიებს ფიროსმანს, გუდიაშვილს, კაკაბაძეს. დაბეჭდილია სამივე ერთად, მსხვილი შრიფტით, რასაც ახლავს განსაზღვრება — ძველი თბილისი, კავკასიონი, განიერი შარვალი, მონასტრების ფოტოგრაფიული ფრესკები. რადგანაც ავტორმა მხატვრობაში ფოტოგრაფიულობა ავადმყოფობად მიიჩნია, არც ესენი იმსახურებენ შეწყალებას. სამაგიეროდ ჰყავს „$H_2SO_4$“-ს ორი ოსტატი — ირ. გამრეკელი და ბ.გორდეზიანი /დაბეჭდილია იმავე შრიფტით/, რომლებიც მოდიან ქალაქიდან, ქუჩის მოძრაობიდან, თუჯის ადამიანის დაჭიმული ძარღვებით. /შდრ — ვ.ხლებნიკოვის ქუჩის ხმა და სიმღერა, „ლეფის“ მოწოდება — ხელოვნება გასულიყო ქუჩებსა და მოედნებზე, შთაგონებულიყო დინამოთი და მოტორით/. ინგრევა ყალიბი, ხაზები ამტვრევენ ხაზებს, ფერები ერწყმიან ერთმანეთს და იბადება უჩვეულო, ჯერარნახული სამყარო.

ბ.გორდეზიანის აზრით, მხატვრობაში უნდა შეიჭრას ინჟინერია, რითაც მოხდება ნივთის გასაგნება და საგნის განივთება. ეს კი ახალი შეგრძნობის დასტურია. გაკეთებას შეცვლის ხედვა /ალბათ, იგულისხმება ჭვრეტა/ და რამდენადაც ეს მოხერხდება, მხატვარი იმდენად გამოავლენს ეროვნულ პოტენციას. რაკი „$H_2SO_4$“-ის ორივე ოსტატი ხედვის /ჭვრეტის/ ორგანიზატორია, ისინი აცხადებენ მხატვრობაში თავიანთ „დიქტატურას“. ამის შემდეგ ბ.გორდეზიანი გვთავაზობს „ტვინის ფორმულას“, რაც არის სქემურად გამოსახული „პლანეტი სამკუთხედით“ — ოთხი სამკუთხედი და მათ შორის რომბი. რომბი უდრის მსოფლიო ქალაქს. პირველი ორი სამკუთხედის ფუძეა „მიწასთან დაბრუნება“, „სოფელი“, „ველური“, ხოლო მესამე-მეოთხისა — „რელიგია“, „ქალაქი“, „კულტურა“. სამკუთხედთა წვეროებზე განლაგებულია „ტრაგედია“ და „ცივილიზაცია“. აი ამ სქემაში იკითხება ინდივიდის ცნობიერებაში არეკლილი სამყარო. მას ბუკოლიკური სახელი ჰქვია — „ნებიერი სანახაობა“, როგორც ერთდროული ირონია და პაროდია /როგორც ვნახავთ — „სანახაობა“ არის ცირკი, ე.ი. ავტორი ჟონგლიორობს/.

ბ.გორდეზიანი აღნიშნავს, რომ „$H_2SO_4$“-ს დაუარსებია „სიტყვის ლაბორატორია“ და „სამხატვრო დაზგა“, რომელთა ნიმუშებს ვეცნობით ჟურნალის ფურცლებზე. იგი წერს, რომ ქართულ კონსტრუქტივიზმსა და წარმოებით ფუტურიზმს /შდრ — „ლეფის“ „производственники“/ დაუმუშავებელი დახვდა როგორც ქართული ანბანის გრაფიკულობა, ისე სიტყვის მთელი ბუხჰალტერია /ეს შენიშვნა სავსებით სწორი იყო ანბანის მიმართ/. შემდეგ ავტორი გვაცნობს ქართული ანბანის, სიტყვის შრიფტის კონსტრუქციებს, გრაფიკულ სქემებს. ბ.გორდეზიანის დასკვნით, „ნაბეჭდის კითხვას ახალისებს შრიფტი და დახარჯული ენერგიის სიმცირე /უმთავრესად მხედველობითი/. ქართული შრიფტი ერთნაირია და მოსაწყენი“. მას ხალხური თქმა მიაჩნია სიტყვის საწყისად, მაგრამ თვლის, რომ მრავალი ქართული სიტყვა მწიგნობრულია და საჭიროა მეტი სიახლოვე სალაპარაკო მეტყველებასთან. ამიტომ აღადგენს მკვდარ ასოებს, შემოაქვს ზოგი ახალიც /პროექტი ეკუთვნის სიმონ ჩიქოვანს/, რომელთა მოტანა ვერ ხერხდება ტექნიკური მიზეზის გამო. ასევე ყურადღება ექცევა ასოების განლაგებას ხაზზე, მათ მოხაზულობას /გავიხსენოთ ისევ მარინეტის „ტოპოგრაფიული რევოლუციის“ პრინციპი/.

ბ.გორდეზიანის მსჯელობას კომენტარებს ურთავენ ს.ჩიქოვანი და ნ.ჩაჩავა, ს. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ ახლადშემოტანილი ასო-ბგერა დგას ქართულ ღ-სა და რუსულ э-ს შორის, აგრეთვე — ქართულ ყ-სა და ღ-ს შორის. იგი ჩარჩენილა მეგრულ, სვანურ და მთიულურ მეტყველებაში. ხოლო გავრცელებული ყოფილა „ქვის ეპოქაში“. იგი დაუდუპავს „ფეოდალურ გაშლილი ეზოებისა და ცაცხვების რომანტიკას“. მაგრამ მისი ჟღერა მოისმის „ავტომობილის სირენაში“. ხოლო ჶ და ჲ ადრეც იყო ჩვენს ალფაბეტში, მაგრამ ბ.გორდეზიანმა შეუცვალა გრაფიკა და სავსებით ქართული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახე მიანიჭა მათ.

ნ.ჩაჩავა გვთავაზობს ქართული ანბანის ერთგვარ ფილოსოფიურ გააზრებას. იგი ანბანს მიიჩნევს ოპტიკა+აკუსტიკად. მაგრამ „რუსულმა აკუსტიკამ მოსპო ქართული მრავლოვანი ხმები". მისი წარმოდგენით, ქართული ანბანი კლავიატურაა. დახასიათებულია ცალკეული ბგერების /გ, ქ, დ, თ, ბ, ფ/ ტონი, სიმაღლე და სიდაბლე, წარმოთქმის დროს დახარჯული დრო და ენერგია; შემოაქვს ერთ-ერთი მოკლე ხმოვანი, რომელიც ჟღერს მეგრულ მეტყველებაში. დროისა და სივრცის ეკონომიისათვის /რომლის პრაქტიკული რეალიზებაა ეს კომენტარიც/ საჭიროა ახალი გრაფიკა, მონათესავე ასოების ჩამოყალიბება, ქალაქის ბგერების რეკონსტრუქცია, რადგან ქალაქი ახალი ნივთების სამყაროა, რაც განისაზღვრება მეტყველებით, ენით. ქართულ ენას კი არ გააჩნია მრავალი, დროის შესაფერი სიტყვა. ამიტომ საჭიროა სიტყვათქმნადობა. იქვე მაგალითებიცაა დასახელებული — Poete — როშარი, Цирк — ხედეირა /სანახაობა/, Небоскреб — ცამდიარი.

სიტყვათქმნადობის პრინციპიც რუსი ფუტურისტებისაგან ისესხა „$H_2SO_4$"-მა. „ზაუმის" აღმოჩენა, როგორც მარინეტის ერთ-ერთი იდეის ხორცშესხმა, ეკუთვნოდა ალექსეი კრუჩიონიხს — „ფუტურისტული სიტყვის იეზუიტს". ხოლო ველიმირ ხლებნიკოვი — „დედამიწის ბურთის თავმჯდომარე" და „ახალი პოეტური მატერიკების კოლუმბი" /ვლ. მაიაკოვსკი/ — ქმნიდა პირველყოფილ სლავურ ენობრივ უტოპიას, ახდენდა არქაული აზროვნების სტილიზებას, ისწრაფოდა ფოლკლორული და მითოლოგიური მასალისაკენ. ხოლო მათზე დაყრდნობით ავითარებდა დროის რიცხვითი სიმბოლიკის თეორიას[8], რაც საბოლოოდ სიტყვაში კოდირებულ ბედისწერამდე მიდიოდა /შდრ — თეორიული სტატიები — „Учитель и ученик. О словах, городах и народах" (1912), „Наша основа. §3. Математическое понимание истории. Гамма Будетлянина" (1920)[9], „Слово о числе и наоборот" (1922), „Закон поколений" (1915).[10]

ნიკოლოზ შენგელაიამ /ისევე როგორც ირ.გამრეკელმა/ ყურადღება მიაპყრო ცირკის პრობლემას /„ქართული ცირკი"/. რადგან თეატრი „ნიღაბების ნიღაბია", ამდენად — რომანტიული და სინამდვილეს დაშორებული. ხოლო ნამდვილი ხელოვნება ცხოვრების ორგანიზატორი უნდა იყოს. ამ ფუნქციას იტვირთებს ცირკი, ოღონდ არა ტრადიციული, არამედ მეიერჰოლდისებური — „გაუმჯობესებული ცირკი" /შდრ — მარინეტის აღტაცება მუზიკ-ჰოლით./. ავტორი იხსენებს ტ.ტაბიძის ნიღბების ფილოსოფიას, რითაც იგი სიმბოლიზმისეროვნულ საწყისებს ეძებდა. ამგვარი მტკიცება გაუგებრობადაა მიჩნეული. მაგრამ არსებითად ნ.შენგელაია სარგებლობს ამავე ხერხით და იგი გადააქვს ცირკზე, რომელიც კლავს ძველ თეატრს. ხალხური შემოქმედება, ქორეოგრაფია და ჯამბაზობა ყველაზე ახლო დგას ცირკთან, რომლის თანამედროვე სახე კუბისტურად უნდა იქნეს გაგებული. ავტორის აზრით, საჭიროა ჯირითი, ხანჯლებით თამაში, საზანდარი, შაირობა ქალაქურ ყაიდაზე მოდერნიზდეს, იქცეს ეს ყოველივე მანქანურ მოძრაობად. ირ.გამრეკელს წარმოდგენილი ჰქონდა ცირკის ახალი პროექტი. ნ.ჩაჩავამ, როგორც ვიცით, იგი „ხედეირად" მონათლა. აქედან სრულიად აშკარაა, რომ „$H_2SO_4$" დაინტერესებული იყო ქართული ცირკის პრობლემითაც, რომლის არსი იქნებოდა ხმაურის, ქარხნების სიმფონიის, მასის, კლოუნადის, აკრობატიკის კონსტრუქტორული სინთეზი. ასე იქცეოდა იგი რეალობის ნამდვილ სახენიღაბად.

შალვა ალხაზიშვილი კინოხელოვნების მეხოტბე იყო. ავტორის აზრით, თეატრი წარმოდგენაა, კინო-ცხოვრება, ხოლო ნამდვილი ხელოვნება უდრის ცხოვრებას, ისევე როგორც ცხოვრება — ხელოვნებას. სიცრუეა, თითქოს თეატრი კრიზისს განიცდიდეს — იგი კვდება. კინო სინამდვილის კონსტრუქტორია, რომელიც ძლევს დრო-სივრცეს. იგი ცოცხალი კონკრეტობაა. მისი აქტიორი შემოქმედია, თეატრისა — „უბრალო გადამღები". ყველა ხელოვნება იყო ნაციონალური მოვლენა. ხოლო კინო ინტერნაციონალურია. ბრალს სდებენ კინოს, რომ იგი „დიდი მუნჯია", რომ იგი თეატრალური პანტომიმაა, მაგრამ მომავალი ხელოვნება იქნება უსიტყვო, რომელსაც ეყოლება ერთი აქტიორი — მასა და რომელშიც იქნება ჟესტი და ცეკვა. ამიტომ ყოველი ხელოვნება ყბედობად დარჩენა, თუ არ მოხდა მისი გაკინემატოგრაფება. სიტყვის იდეას ცვლის სიჩუმის იდეა. კინომ მოძრაობა სიტყვისაგან გაანთავისუფლა, რაც მტკიცდება ჩარლი ჩაპლინის გენიალობით. შ.ალხაზიშვილის აზრით, „თეატრი არის ლეში, ხელოვნების შუაგზაზე გამხლართული". ამიტომ უნდა მოხდეს თეატრების ლიკვიდაცია /იხ. სტატია „კინო"/.

შ.ალხაზიშვილი ბეჭდავს სპეციალურ წერილსაც — „თეატრი აბსურდი", რომელშიც კიდევ უფრო აზუსტებს თვალსაზრისს: ქართულმა თეატრალობამ 1850 წლის 2 იანვარს უღალატა თავის თავს. დაიწყო ერისთავ-ანტონოვ — ცაგარლების „ყოფა-ცხოვრების გამოფენა". გაბატონდა ეთნოგრაფია, ფოლკლორი, ზოოლოგია, მუზეუმი, ფეტიშიზმი, კრეტინიზმი /მარინეტის აზრით, იტალია უნდა განთავისუფლებულიყო „პროფესორების, არქეოლოგების, გიდების და ანტიკვარების განგრენისაგან". ხოლო მუზეუმი სასაფლაოს აგონებდა/. კ.მარჯანიშვილის დადგმები მონათლულია როგორც „ეკლეკტიური ნახერხი" და „თეატრალური შანტაჟი", მეიერჰოლდისა და ტაიროვის სუროგატი. ქართული თეატრის კრიტიკის შემდეგ უარიყოფა ყოველგვარი „იზმი", რითაც გაიჟღინთა როგორც უცხოური, ისე ჩვენი დრამატურგია. ერთადერთი სალამი ეკუთვნის ვსევოლოდ მეიერჰოლდს, რომლის გზა ბალაგანიდან იწყება. მას მოაქვს XX საუკუნის დინამიკა და ტექნიკა. ავტორის

მტკიცებით, თეატრი არ არის წიგნი, ოთახი, სარკე, სკოლა, ტაძარი ან კლინიკა. თეატრი არის აბსურდი, ცირკი, ბალაგანი, რომელსაც არ სჭირდება მხატვარი და პოეტი. საკმარისია მხოლოდ სცენარი. რჩება ჟესტი და მიმიკა, მოძრაობა და მოქმედება, რიტმი, კარნავალი; ემატება კლოუნი, ჟონგლიორი, აკრობატი. მხატვარს შეცვლის ინჟინერი. ასეთი თეატრისათვის რეჟისორიც ზედმეტი ყოფილა და მაყურებელიც /ალბათ ძველი გაგებით/. ბუფონადაა უმაღლესი რანგის ტრაგედია და არა მისტერია. სცენა იქცევა სტადიონად, სადაც აქტიორების დოღია გამართული. აბსურდის თეატრის იდეალები არიან ჩარლი ჩაპლინი და ჟან კოკტო. ასე მოხდება თეატრის კინემატოგრაფიზება, უფრო სწორად — იქცევა ცირკად. ასე რომ შ.ალხაზიშვილის „თეატრი აბსურდი" იგივეა, რაც ნ.შენგელიას „ქართული ცირკი". მაგრამ თუ პირველი მხოლოდ უცხოეთისაკენ იყურება, მეორე თავის შეხედულებათა გამართლებას ცდილობს ეროვნული მასალით /სხვათაშორის, ცნება „თეატრი აბსურდი" მექანიკური გამოთქმაა და არაფერი აქვს საერთო თანამედროვე ე.წ. „აბსურდის თეატრთან"/.

კინოს აპოლოგიას უკვალოდ არ ჩაუვლია. მართალია, ხელოვნების „კინემატოგრაფიზება" ვერ მოხერხდა, მაგრამ „$H_2SO_4$"-ის სკოლიდან გამოვიდა კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია, რომელმაც ჯერ კიდევ 1928 წელს გადაიღო „ელისო". ამავე ჯგუფს დაუკავშირდა მ. კალატოზიშვილის, ლ.ესაკიას, ს.დოლიძის სახელები /ს.დოლიძე „მემარცხენეობის" წევრიც იყო/. ს.ჩიქოვანი მ.კალატოზიშვილთან ერთად იყო უშგულში, როცა იგი „ჯიმ შვანთეს" იღებდა /ს.ჩიქოვანი, ერთი თვე სვანეთში, „ქართული მწერლობა", 1930, №№1–2, 3–4/.

## 2. ჟ უ რ ნ ა ლ ი „ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა  დ ა  ს ხ ვ ა"

„სიმონი გვებრძვის მანიფესტებით", — ოხუნჯობდა პაოლო იაშვილი. იტალიელ ფუტურისტებზე ხუმრობდნენ, რომ მათ ლექსებზე მეტი დეკლარაციები დაწერეს[11]. რუსი ფუტურისტებიც დიდი ხალისით თხზავდნენ მანიფესტებს. „$H_2SO_4$"-ელები უფრო თეორიებს ადგენდნენ და განმარტავდნენ იმას, რაც მომავალში უნდა დაეწერათ. დაპირებებსაც უხვად არიგებდნენ, ჩანაფიქრი უკვე აღსრულებულად მიაჩნდათ, ფიქრში არსებული სტატიები და ლექსები — დაწერილად და მათ შესახებ თავიანთი პრესის ფურცლებზე მკითხველებს აუწყებდნენ /მაგ. ს.ჩიქოვანი უთითებდა, რომ მზად ჰქონდა წიგნი ვ.ხლებნიკოვზე; ნ.ჩაჩავას მოჰქონდა ციტატები არარსებული წიგნებიდან — „მისტიკა და კომბინაცია", „ქართული სული ნატვრითი კილოში"; პ.ნოზაძე მკითხველს ჰპირდებოდა, რომ მალე დაბეჭდავდა ნაშრომს „თითონ dada"; 1924 წლის 9 ივლისს უნდა გამოსულიყო გაზეთი „0", ხოლო აგვისტოში — „$H_2SO_4$"-ის მეორე ნომერი; 23 ოქტომბერს გაიმართებოდა ირაკლი გამრეკელისა და ბენო გორდეზიანის „სურათების დემონსტრაცია №1"/იხ. „$H_2SO_4$"/.

ამ ჟურნალში მონაწილეობენ, აგრეთვე, დემნა შენგელია და ბესარიონ ჟღენტი. არ დაბეჭდილან — ჟანგო ღოღობერიძე და ბენო გორდეზიანი /იმჟამად თბილისში არ იმყოფებოდნენ/.

რა თქმა უნდა, „ლიტერატურა და სხვაც" ექსცენტრული ჟურნალია. მაგრამ „$H_2SO_4$"-ისაგან განსხვავებით ყველა ასპექტში საგრძნობია მეტი ზომიერება /თუკი ამგვარ პოზიციას ზომიერება დაერქმევა/.

ბიძინა აბულაძე ისევ უბრუნდება საკითხს თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე პოეზია /უფრო მეტი მობრუნებულ ფოკუსში"/. იგი მიმოიხილავს ტექნიკის, ამერიკანიზმის პრობლემას, რამაც დაამარცხა ძველი იდილია და გზა გაუხსნა ინტერნაციონალურ ენას, ყველასათვის მისაღებსა და გასაგებს. სიტყვა და ასო ერთიანდება. ასო გამომხატველია ბგერა — ქუჩა — მოძრაობისა, ე.ი. დროის რიტმი და ინერცია ბადებს ბგერათა ახალ კომბინაციას, შესაბამისად — ახალ სიტყვებს. მაგრამ რადგან მათ აღძრავს მსგავსი გარემო — ინტერნაციონალური ღირებულებაც ექნებათ. მაგალითად მოხმობილია ქართული „ვაი", რომელიც წამოცდება ელექტრონდაკრულ ადამიანს. ეს მწარე ამოძახილი ყველასათვის საერთო იქნება, შესაძლოა ერთნაირადაც გამოითქვას. იკარგება ზოგი ძველი ბგერა, რომელსაც აღარ გამოსცემს ახალი გარემო. საჭიროა აზროვნების ეკონომიის პრინციპიც, რასაც აღიარებდა მარინეტი /რომელსაც „კოლუმბს" უწოდებს ავტორი/. ტრანსფორმაციის ჟამს ყველაზე მახლობელი, მყარი დასაყრდენი შეიძლება იყოს ხალხური პოეზია. იგი უფრო გამძლეა, ვიდრე ჰომეროსი, „ღვთაებრივი კომედია" და „ფაუსტი". ეს იგრძნო ველიმირ ხლებნიკოვმა და ეს იყო ნოვატორული მოქმედება. დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხურ სასიმღერო მუსიკას, რაც გზაა ინტერნაციონალიზმისაკენ. ამ მხრივ საყურადღებონი არიან ბესიკი და ვაჟა ფშაველა. ბ.აბულაძის აზრით, ახეთ გზას ვერ მიაგნეს ა.კრუჩიონიხმა და ი.ზდანევიჩმა. ისინი იქცნენ „იგორის ლაშქრობის" პლაგიატებად, ისევე როგორც ბლოკი თავის „თორმეტნში" — ხლებნიკოვისა. ადამიანი უნდა გაექცეს ნივთის დიქტატურას, რაც დროებით წარმოშობს საგნისადმი რელიგიურ მისტიციზმს, მაგრამ საბოლოოდ მიგვიყვანს ინტერნაციონალურ პოეზიამდე.

შალვა ალხაზიშვილი კიდევ ერთხელ ანგარიშს უსწორებს ძველ პოეზიას /„პოეზია nec plus ultra"/, რომელიც „აყროლდა გრანდიოზულ სასაფლაოზე". ავტორი წუხს, რომ ჯერ არავის აუშენე-

ბია „პოეზიის მძორისთვის კრემატორიუმი“. საქართველო ოდითგანვე განთქმული ყოფილა „პოეზიის დეზენტერიით“. იგი ახალ ხელოვანს ადარებს ბანდიტს, ტერორისტს, შარაგზის ავაზაკს; სიყვარული „სქესობრივ ემოციათ“ ქცეულა, „მთვარე ონანიზმისაგან დაცლილა“, ამური ჩექმაწმენდელი გამხდარა. ხოლო სანტიმენტალიზმისათვის დარჩენილა მხოლოდ „ფეხსადგილი“. შ.ალხაზიშვილის აზრით, არსებობს ორი დიდი თარიღი — 1920 წლის 5 თებერვალი პარიზში და 1923 წლის 23 მარტი თბილისში. „რევოლუციამ მოიტანა ახალი გაგება“. იგი უსასრულოდ გრძელდება და მსოფლიოს მოედება. სიტყვა ჯერ ხმაა, მერე შინაარსი. აქედან — ზაუმის გამართლება. ავტორისათვის სიტყვა „ოფლი“ უფრო ლამაზი ყოფილა, ვიდრე „ვარდი“ /მარინეტის ასოციაცია: „Жар, исходящий от куска дерева или железа, нас волнует больше, чем улыбка и слезы женщины“/.

მისთვის თანამედროვე პოეტი არის ყოველდღიური დინამიური გაზეთი, აკრობატი, ჟონგლიორი, ეკვილიბრისტი, მკვლევარი და არა მეოცნებე /კოკტოს ანალოგიით/. რადგან ცხოვრება ქაოსია, პოეტი არის ამ ქაოსის კონსტრუქტორი. ამიტომ არის „ექსპრესიონიზმი ლიმონათის იარლიკი“.

ბესარიონ ჟღენტი ჯერ მსჯელობს მწერლობის თეორიულ საკითხებზე, შემდეგ განიხილავს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, ეხება პოეტიკას, მის როლს შემოქმედისათვის და შენიშნავს, რომ რუსეთში მოღვაწეობს არაერთი კარგი სპეციალისტი /ეიხენბაუმი, ტომაშევსკი, ჟირმუნსკი/, მაგრამ მათი ნაშრომები, რომლებშიც დამუშავდა ლექსის თეორია, არაფერში არგია შემოქმედს. პოეტიკა და კრიტიკა მხოლოდ ლიტერატურულ სკოლებს შორის ბრძოლის იარაღია. შემდეგ წამოჭრილია ფორმისა და შინაარსის პრობლემა და აღიარებულია მათი განუთიშველობა, ერთიანობა. ცალკეა გამოყოფილი პასეიზმისა და ფუტურიზმის ურთიერთ მიმართება, ღმერთისა და ნივთის ანტინომია, ნივთის პრობლემა, რაც არის შემოქმედების მიზანი, როგორც „დინამიური ელემენტი მშენებლობითი მოძრაობისა“. აქედან — ახალი ხელოვნება ანტიფსიქოლოგიური მოვლენაა. ავტორი შენიშნავს, რომ თემა და სიუჟეტი შემოქმედების იმპულსია. იგი იცავს რეალიზმს, მაგრამ მემარცხენეობის გაგებით, ე.ი. არგუმენტირებისას ემყარება კუბიზმს, სუპრემატიზმს, კონსტრუქტივიზმს, ფუტურიზმს. საინტერესოა ცალკეული მოსაზრებანი /მაგ., „რაც წინ მიდის კაცობრიობა, მით უფრო იზრდება ასოციაციური, წარმოდგენითი პოტენცია“/ და საერთოდ ამ სტატიის შესავალი, თეორიული ნაწილი ამჟღავნებს ავტორის ლიტერატურულ ერუდიციას, ზომიერებას, მსჯელობის კულტურას.

შემდეგ განხილულია „ცისფერი ყანწები“. იცვლება მსჯელობის ტონი. კრიტიკოსი მიმართავს „$H_2SO_4$“-ისათვის ჩვეულ ვულგარულ ტერმინოლოგიას. ბ.ჟღენტს „ცისფერი ყანწები“ დასავლური და რუსული ლიტერატურის ეპიგონად მიაჩნია, თვლის რომ სიმბოლიზმი ისევეა საარქივო მასალა, როგორც რომანტიზმი და ნატურალიზმი. ამ სკოლის ერთადერთ ღირსებად მთარგმნელობა მიაჩნია /რაც უდრის გადამღერებას/. მაგრამ ახლა ესეც არ ძალუძთ. კრიტიკოსი „ცისფერყანწებს“ „ლიტერატურულ შმორს“ უწოდებს. სწორადაა შენიშნული, რომ „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში ერთმანეთშია არეული სიმბოლისტური და ფუტურისტული ლოზუნგები. „ცისფერი ორდენის“ თეორეტიკოსად მიჩნეულია ტ. ტაბიძე. კრიტიკოსის აზრით, ერთი ავტორი აზროვნებს ახლად გამოსული წიგნის ან ჟურნალის გავლენით. ამიტომაც გახდა იგი კ.გამსახურდიას ექსპრესიონისტული დეკლარაციების ეპიგონი. ტ.ტაბიძე სულ „შესავლებს“ წერს და საკითხის გამორკვევას მომავლისათვის გვპირდება; თავიდან ამტკიცებდა ქართული ფსიქიკისა და სიმბოლისტური მსოფლმხედველობის იდენტივობას, შემდეგ ფუტურიზმისაკენ გადაიხარა. ახლა კი დადას აკავშირებს „ცისფერ ყანწებთან“, ახდენს წარსულის კულტივირებას, გატაცებულია ქალდეას მისტიკით, მალარიის, ტუბერკულოზისა და შხამის პოეზიით.

ასევე რამდენიმე სიტყვით არიან დახასიათებული პ.იაშვილი, ვ.გაფრინდაშვილი, კ.ნადირაძე, გ.ლეონიძე, რ.გვეტაძე. მართალია, ბ.ჟღენტის მსჯელობა ნიჰილისტურია და ზედმეტად მკაცრი, ახლავს შეურაცხმყოფელი ტონი /მაგ., გ.ლეონიძის მისამართით/. მაგრამ სწორ დაკვირვებებსაც შეიცავს /მაგ., ვ.გაფრინდაშვილის ლირიკის სპეციფიკა, ბალმონტის ზეგავლენა პ.იაშვილზე/. კრიტიკოსი მიუღებლად მიიჩნევს ამ სკოლას, როგორც დეკანდენტურს, რელიგიურს, ფსიქოლოგიურსა და ინდივიდუალისტურს.

ბ. ჟღენტი ეხება პროლეტარულ პოეზიასაც. მაგრამ უარყოფს, თითქოს იგი სკოლა იყოს, რადგან უპირისპირდება მთელს ბურჟუაზიულ კულტურას, რომელიც რამდენიმე ათეულ სკოლას შეიცავს. კრიტიკოსის აზრით პროლეტარული კულტურაც ასევე უნდა იყოფოდეს ცალკეულ მიმდინარეობებად, ე.ი. მას არასწორად მიაჩნია მხოლოდ იდეოლოგიური ნიშნით დეფინიცია და განმსაზღვრელად თვლის ლიტერატურულ სპეციფიკას. მაგ., რუსი პროლეტარული პოეტები სხვადასხვა სკოლის გავლენას განიცდიან. მათ მხოლოდ სოციალისტური მრწამსი აერთიანებთ. ეს კი, ავტორის აზრით, პოეზიისათვის არ კმარა. ხოლო საქართველოში პროლეტარული პოეზია „არ არსებობს“. ამიტომ თავს იკავებს მათი წევრების დახასიათებისაგან. ზოგადად კი აღნიშნავს, რომ ისინი უმღერიან სოფელსა და პრიმიტივს. პროლეტარიატი კი ქალაქის პირმშოა, მისი ფსიქიკაც ურბანულია. აქედან — ახალი ხელოვნებაც უნდა იყოს ურბანული. ბ.ჟღენტს ფსევდონიმი „ეული“, როგორც ინდივიდუალიზმის, სკეპტიციზმის გამოვლენა, შეუთავსებლად მიაჩნია პროლეტარიატის კოლექტივიზმთან, ისევე როგორც „ვაკელი“ ურბანულ გარემოსთან /„ვაკე“ — სოფლური გარემოა ასოციაცია/.



(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი ჩარკვიანი

# „ვისთვის რას იტყვი“

## ნაწილი მესამე

გრიგოლ ორბელიანის სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერილ ლექსებს მეტწილად მჭმუნვარება სდევთ. ვითომ მარტო სიკვდილის მოახლოების გამო? არ იყო გრიგოლ ორბელიანი იმდენად უვაჟკაცო პიროვნება, რომ გაქრობის შიშს ისე დაეთრგუნა, ერთი მხნე, ლაღი სიტყვა არ დასცდენოდა... ნამდვილ, რეალურად არსებულ მოხუცებს პირიქით უნელდებათ დასასრულის გარდუვალობით გამოწვეული ძრწოლა, უცხრებათ ცხოვრების ტრაგიკული შეგრძნების სიმძაფრე... ესეც ალბათ სინამდვილესთან შეგუების ერთგვარი გამოვლენაა...

პესიმიზმის მოძალება თავადაზნაურთა კლასის დაცემით იყო გამოწვეულიო — ვულგარული სოციოლოგიზმის მიმდევარი ზოგიერთი ლიტერატურისმცოდნის ეს აზრიც ვერ დაიკვეხნის სისრულით. თუმცა, ცხადია, პოეტი დიდგვაროვან არისტოკრატიას ეკუთვნოდა, მისთვის უცხო არ იყო ამ წოდების ამპარტავნობა, ცრურწმენები, გაზვიადებული წარმოდგენა თავისი კლასის როლზე თანამედროვე საზოგადოებაში და ისტორიაში... მაგრამ გრიგოლ ორბელიანს არასდროს გაუიგივებია თავადაზნაურობა და სამშობლო. საწინააღმდეგოს მამტკიცებელი საბუთი არავის მოუშველია... „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა? ერი — გულადი, პურადი, მებრძოლი შავი ბედისა!“ აქ და სხვაგანაც ერი მხოლოდ დიდებულებს, რასაკვირველია, არ გულისხმობს... საჭიროა ეს გვახსოვდეს, როცა ვკითხულობთ ყოველგვარ გარეგნულ სამკაულებს მოკლებულ ლექსს: „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო, გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით...“

აქ ექვსი წლით ადრე ბეთანიაზე შექმნილი შედევრის ხაზია გაგრძელებული და უცებ საბოლოოდ გადაწყვეტილი. ყოველგვარ ფიქრს აზრი წაერთვა. უაზრო ფიქრი — უწყლოდ დარჩენილი მდინარე. არაფრის მომცემია თავის ძალით გახალისების ცდა: „ბედსა რად სწყევლი? რად სწუხარ? რას გარგებს სულმოკლეობა? შე უგუნურო, დალიე, ქვეყანა შენი იქნება!“ რას გარგებს — რას არ გარგებს... როცა საქმე სამშობლოს ეხება, ამგვარი მსჯელობები უმართებლოა ყოველი პატრიოტისთვის...

ლექსს „დავბერდი“ დამამთავრებელი სიტყვის შემდეგ მრავალწერტილი აქვს დასმული. ვითომ იმედის მინიშნებაა? ვითომ ამ ფერწართმეულ იმედს უწერია მოჩიტება?

„უვაჟკაცო — ვისაც ვაჟკაცი არა ყავს, — უკაცო. სადაც ვაჟკაცი არ არის.“ ასე განმარტავს ამ სიტყვას აკადემიური ლექსიკონი. მაგრამ ზევით შენ სხვა მნიშვნელობით იხმარე, რასაც თვით გრიგოლ ორბელიანს დაესესხე. მას ერთ-ერთ წერილში ამნაირი წინადადება აქვს: „სურხაი ხანის შვილი — ჩემი ნოქერი იყო; ფინთი უჯიშო, უქკუო და უვაჟკაცო.“

თავადური ცრურწმენები, ამპარტავნობა... ყოველთვის გიკვირდა ბეჟანა მკერვალის თავგასულობა სალომე ჭავჭავაძისადმი მიმართულ ლექსებში. აი რა სიტყვებს აკადრებს ვიღაც მდაბიო ქალბატონს მისი ქალიშვილის დაბადების შემდეგ: „ეჭვი ვის აქვს, მამა ვინ არს? ჩემს ნაკერსა ვსცნობ ფრიად შორს!“ რა უპასუხა ამაზე სალომემ პოეტს? „ახლა უნდა ჩემი სოფიოს ქება მოგწერო, რომელსაც შორიდამ ლექსებით ეხუმრები.“ კაი ხუმრობაა... საქმე ისაა, რომ ბეჟანა, ლოპიანა და მათი დოსტები ხანდახან შეიძლება სუფრასთანაც დაესვათ... შინაურულ სუფრასთან. მაგრამ საერთოდ უბრალო მოქალაქეს იმდენად დაბლა აყენებდნენ, რომ თავადის ქალთან მისი სატრფიალო ურთიერთობის წარმოდგენა თავისი ფანტასტიკურობის გამო იუმორის ეფექტს ქმნიდა. სხვანაირად ძნელია ახსნა გამოუძებნო წერილობით ფრივოლობას, რაც ავტორს, ადრესატს, მის ქმარს, შვილებს გულიანად ახარხარებდა.

მოკალი თუ გინდა, არაფრით არ შეეძლო ერეკლე მეფის და ყაფლან ორბელიანის შთამომავალს თავის თავთან გაეტოლებინა მუშა ბოქულაძე და ნაყმევი ჯოხაძეები, რომლებსაც ოთხი ათეული წლის წინათ ნაღდ ფულზე

---

დასასრული. დასაწყისი იხილეთ „ცისკარი“ № 9.

ყიდდა („ჯოხაძეებისა ასე ჰქმენ: იანგარიშე, თუ რამდენს მოგცემს ხაზინა; მე მგონია, რომ ხაზინამ უმეტეს 3000 მან. მოგცეს, თუ ვერსად ვერ იშოვნე ენდრონიკაანთ მეტი მსყიდველნი.“)

იმპერატორ ნიკოლოზის ქებათაქება პოემიდან „სადღეგრძელო“ და მიბაძვა კონდ. რილეევის ლექსისა „ნალივაიკოს აღსარება“ ერთ პერიოდში დაიწერა. იმ დროისთვის ნიკოლოზის ბრძანებით რილეევი უკვე ჩამოახრჩეს პეტრე-პავლეს ციხეში. საგანგებოდ აგებული სახრჩობელა დიდი იყო — ხუთ კაცზე გათვალისწინებული. განაპირა თოკებმა გაუძლეს სიკვდილმისჯილთა სიმძიმეს. შუაში ჩამოკიდებული სამი თოკი გაწყდა. სამი ცოცხალი კაცი იქვე მდებარე თხრილში ჩავარდა. ერთმა ფეხები მოიტეხა. ხმა გასცეს ერთმანეთს, დაზარალებულს მოკიდეს ხელი, შეეცადნენ წამოეყენებინათ. ზევით მათი ამოყვანა ჯარისკაცებს გაუჭირდათ. დაიწყო თოკების გამოცვლა. დრო თავბრუდამხვევი სისწრაფით... მიიზლაზნებოდა. ერთმა თქვა რაღაც იმისთანა ქვეყანაზე, სადაც ხეირიანად ჩამოხრჩობაც კი ვერ ისწავლეს... იმედმა, რომ თოკი ხელმეორედ ჩამოწყდება, არც ერთს არ გაუმართლა. ხელმეორედ ჩამოწყვეტას შეწყალება მოყვებოდა.

•

ღამე გაყუჩებულიყო. მთაწმინდაზე ფხიზლობდა ტელეანძა.

მტკვარი თვლემდა.

ცილა, დაღვრილი ვარსკვლავთა, ქაშუეთს ეწებებოდა.

ქაშუეთში ეძინათ ყაფლანიშვილებს — ზაქარიას, ილიას, გრიგოლს.

გრიგოლის სიცოცხლის შვენებას ათასიოდე ნაბიჯში მამა-დავითის ეკლესიასთან მიწის შავი საბანი ეხურა.

„ვსცან, ტანჯვით არა გამქრალა გულს შინა ტრფობა ნამდვილი, თვარა აქამდის სიმწარის შემაშრებოდა მე ცრემლი!“

„შენ კი არვიცი გახსოვარ თუ არა...“

წინანდლის ვარდი, სახით ცისკარი, სულითა მტრედი — დაი ნინოსი კატინა აქედან შორს, კოლხეთში, მარტვილის მონასტერში განისვენებდა.

„ნეტავ ღმერთი როდის მაღირსებს კიდევ თქვენს ხილვას უწინდელის თქუენის მხიარულის გულით და ბედნიერებით. — დღენი თქუენთანა განტარებულნი არიან უნეტარესნი ჩემს სიცოცხლეში. — ყოველთვის ახალს სიამოვნებით ვიგონებ დღესა მას, როდესაც ეკატერინა ქუდჩაკეცილი დალისტნელ ლეკსავით ლეკურს თამაშობდა და იმღერიდა — ბროლის ფიცარი, აფიცარი გულს დაგეკონოს.“

მთაწმინდის პანთეონში ენახა სავანე გრიგოლის დაუდგრომელ დისშვილს, ვისი სხეული გარდაცვალების შემდეგაც თითქოს ვერ ჩერდებოდა ერთ ადგილას. განჯა... დიდუბე... მთაწმინდა...

სიცოცხლეში ეს კაცი ვერ ეღირსა აფიცრობას და ვერც გაუთხოვარი კატინას გულზე დაკონებას. ის არავინ იცის, მიიღო თუ არა შემდგომში უკვე მთავრინა ეკატერინესაგან ასაკოვანი სიყვარულის ოდნავ გახუნებული და მაინც მეტისმეტად სასურველი ფრაგმენტები. შთამომავლებს აინტერესებს ყველაფერი, რაც მის სახელთანაა დაკავშირებული. ეს ფუჭი ცნობისმოყვარეობა არაა. ბარათაშვილი რჩეულთა შორის აშკარად რჩეული იყო. თავისი დროის საზოგადოების ღვიძლი შვილი იგი მას ეკუთვნოდა და არც ეკუთვნოდა... მან გაანთავისუფლა, წყვდიადს მოსტაცა ლექსები, როგორც ცხრაკლიტულში დამწყვდეული მზეთუნახავები, და უკვდავებით დაასაჩუქრა ისინი. მან დაწერა „მერანი“ — უკვდავების და უსასრულობის ნაგლეჯი...

და დღეს სწორედ იმიტომ აქვს მნიშვნელობა, ვინ იყო ის აფიცარი თუ შტატსკი, რომელიც პირველი დაეკონა კატინას ბროლის მკერდს.

„კნეინა ეკატერინა მენგრელიისა გარდაიცვალა გორდსა 13 აგვისტოს. წავიდა ესეცა წარსულის დროისა საქართველოს მშვენიერება, დედუფლად დაბადებული. ვინც შეხედავდა, მაშინვე უნდა მდაბლად თავი დაეკრა. ესეთნი იყვნენ: ანნა, მანანა, მაია, ჩვენი ეკატერინა, ყაფლანის და, ნინა გრიბოედოვისა, მისი და სოფიო, ჩვენი მაიკო, ყაფლანის ელენე, მართა ერისთავისა და მრავალნი სხვანიცა აბა, ახლა თვალი გადაავლე ჩვენს საზოგადოებას, ვინ არის მათი მაგიერი. ჩემო ტასო, ბნელდება საქართველო“. (გრიგოლ ორბელიანის 1882 წლის წერილის ნაწყვეტი).

სასტიკი ჭეშმარიტებაა — „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.“ მაგრამ იმედის მომცემიც. საქართველოს დაბნელებაზე ლაპარაკი სრულიად უსაფუძვლო იყო.

ბარათაშვილი რომ წინანდლის მფლობელის სიძე გამხდარიყო, უფრო ადვილად გაიკაფავდა გზას სამსახურში... იქნებ ნახჭევანში და განჯაში წასვლა არ დასჭირვებოდა, მეტხანს ეცოცხლა... შვილები დარჩენოდა... მაგრამ ეს ქორწინება არ შეიძლება მომხდარიყო. სწორედ ამიტომაც არ შედგა. ქვეცნობიერად ალბათ ბარათაშვილი გრძნობდა კატინასთან შეუღლების შეუძლებლობას... და არასასურველობას. იქნებ შეუთავსებელი ხასიათები ქონდათ. პირადი მიზეზების გარდა, ამ ქორწინების გზაზე ხელისშემშლელი და მითუმეტეს გადაულახავი დაბრკოლება არაფერი ჩანს.

რა საამაყო, რომ წინაპრებზე შეგიძლია

თქვა — ჩვენები, ჩვენ. ჩვენებმა შეუტიეს ყიზილბაშებს... ჩვენ ვაშენებდით გუმბათიან ტაძრებს. ჩვენ დავწერეთ „ვეფხისტყაოსანი..." ჩვენ გავიმარჯვეთ დიდგორთან... მაგრამ... ჩვენ დავმარცხდით მარაბდასთან... თუმცა აქაც არის სიამაყე... მწარე სიამაყე... იმიტომ რომ თავი შევაკალით მტერს. და საერთოდ... მაინც გადავარჩინეთ მამული.

„მშობელი ხალხის მარჯვენავ, შენ ამიყვავე მარადა, — რაც ცეცხლით დასწვა მტრის ხელმა, რაც გადამიჭკნო მარაბდამ..."

აივანი მეხუთე სართულზე. პირდაპირ მთაწმინდა. ქვევით — მტკვარი. ღამე გრძელდებოდა. მთვარე გადახრილიყო.

ნოდარს არ ეძინებოდა. უცდიდა ადრიან გათენებას. უნდოდა კიდევ ერთხელ დაენახა, როგორ გაფერმკრთალდებოდა აღმოსავლეთი.

„დაჩნდა სინათლე ლალივით, კალმახის წითელ ხალივით..."

თბილისის დილაზე ლექსების წერა პოეტებს არ მოსწყინდებათ.

თუმცა როდის იყო პოეტებს საერთოდ მოსწყენოდათ ლექსების წერა. ისინი ყოველთვის ცდილობენ, რაც შეიძლება ხშირად გაიხსნან გული.

ასე აქეთებდა ის ქალაქელი მომღერალი, ვისი სახელი ჯერ კიდევ სკოლაში გსმენია. ვისი წიგნი-ბროშურა სტუდენტობისას იყიდე. ყდაზე ოვალურ წრეში ავტორის ფოტოპორტრეტი იყო ჩასმული.

„გთხოვ წყალობა გაიმეტო, ლამაზების პრეზიდენტო!"

ალბათ სწორია — „ტირის თათრულ სიმღერებით მწველი ეთიმ-გურჯი".

ეს ეხება არა მარტო გარეგან ფორმებს, იმას, თუ უპირატესად ლექსის რა ნაირსახეობას მიმართავს პოეტი — მუხამბაზს, რუბაის და ა. შ. არა მხოლოდ გარითმვის წესს, სტილისტურ ხერხებს, მელოდიკას, ინტონაციას, ბგერწერას... არამედ სახეების სტრუქტურას, მეტაფორული აზროვნების წყობას. აქაც შესამჩნევია აღმოსავლური დაღი.

ან სიტყვის გამეორება რითმის შემდეგ, ეგრეთ წოდებული რედიფი: „ედემის თაფლის ბუზი ხარ, ლამაზებში ჯერის ტუზი ხარ, ბულბულისთვის მაისი ხარ, თუ არ ჩემი მა ვისი ხარ..."

ან ეპიფორა — სალექსო სტრიქონების ბოლოს ერთიდაიგივე სიტყვის ხმარება: „დაკარგული შენი შვილი მოვედი... თორმეტი წლის უნახავი მოვედი..."

ბანგიანი სპარსული სუნი უდის მშვენიერ სტროფს: „მე ახალი დარდი მიყიდია, წყალში ვდგევარ — ცეცხლი მიკიდია."

მაგრამ მგოსნის სიმღერა მწველია იმის გამო, რომ შეფარდებით ორიგინალურია. გადამღერების ვაგლახიანი მოყვარული ვინ იცის რამდენი იყო. ვის ახსოვს მათი სახელები?

ნიჭი არასდროს კარგავს თავისთავადობას. ახალი ევროპული პოეზია დიდხანს აწვა არცთუ მსუბუქ ტვირთად ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებას. მაგრამ მისი შეფარდებითი ორიგინალობა სადაოა განა? „ზღვას ენატრება იყოს პატარა, ვით უნაზესი ჩიტი კოლიბრი, თავისი თავი ვარსკვლავს ადარა, ცაზე რომ ბრწყინავს დაუბრკოლებრივ." ამ ლექსს მოაწერა ფსევდონიმი — ტრისტან მაჩაბელი... ტრისტანი...

გრიგოლ ორბელიანის და აკაკის მუხამბაზების ბადალი სონეტი ქართულად არ დაწერილა. რაც შეეხება სექსტინას, რონდოს, რონდელს, მათთვის ხელი მგონი საერთოდ არავის მოუკიდია. ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ცნობად მისაღებია.

ლიტერატურის ისტორიაში ყველა კუთვნილ ადგილს იკავებს. ყველას ის მიეზღვება, რაც მის შემოქმედებამ დაიმსახურა. იეთიმ-გურჯს ძეგლი დაუდგეს. იგი უთუოდ ღირსია ამისა როგორც თბილისის ლიტერატურული ბოჰემის საინტერესო და კოლორიტული წარმომადგენელი...

ასეთ პატივისცემას ჯერჯერობით ელიან:
ბესიკი...
ალექსანდრე ჭავჭავაძე... გრიგოლ ორბელიანი...
ტიციან ტაბიძე... გიორგი ლეონიძე...

აღმოსავლურისგან განსხვავებით ქართული ხელოვნების მთავარი ღირსება, იქნებ, მაღალი სისადავეა, რასაც, ცხადია, დიდი სიღრმე განაპირობებს. ასეთია მცხეთის ჯვრის მოხაზულობა და ზედაპირები... ასეთია ურმული — „აღზევანს წავალ მარილზე..." ასეთია „მუხრანული ბალადა..." ცეკვა „ქართული..." ყინცვისის ფრესკები... „ლილეო..."

ეს მრავლის დამტევი სისადავე ქართველ ხელოვანებს იქნებ უკარნახეს ზღვამ, მთებმა... ზომიერმა ჰავამ, რომელმაც ფარგლებს ბევრად გადაცილებული — გამახელებელი სიცხე და გამთანგავი ყინვა არ იცის.

ჩვენი ბუნება ფერადოვანია, მაგრამ ჭრელა-ჭრულა არ არის.

გარეგნულად რა არის ზღვაზე ან მთაზე უბრალო. ზღვა — ლურჯი ან რუხი ზეწარი. მთა — მიწის და ქვების მწვანე ან თეთრი გროვა. მაგრამ მონოტონური არც ერთი არაა. ორივე თითქოს რაღაც საიდუმლოს ინახავს. ხანდახან შიშის გრძნობას იწვევს. მათდამი ირონიის გამომუშავება მეტისმეტად ძნელია. მათ მიმართ აგდებულ დამოკიდებულებას ვერ ისწავლი.

დიდი ხელოვნება ჭეშმარიტებას და სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს. მთლიანობაში ასეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის. მაგრამ არც სიკეთე, არც ჭეშმარიტება აბსოლუტები და უცვლელი, უმოძრაო ცნებები არ არიან. მკვეთრი გამყოფი ხაზი ჭეშმარიტებასა და სიცრუეს, სიკეთეს და ბოროტებას შორის თეორიულადაც არ გაივლება. სხვადასხვა შემოქმედებს სხვადასხვა დროს შეიძლება ამ ცნებების თავისებური გაგება ქონდეთ... ვინაიდან კონკრეტულად განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ... გარდა ამისა, ნებისმიერი ხელოვანი არ არის თავისუფალი, ასე ვთქვათ, მავნე ნიჭის ელემენტებისაგან, ხოლო ზოგიერთი ამ ნიჭის დიდი რაოდენობითაა დაჯილდოებული, მაგალითებია საჭირო? ოსკარ უაილდი, კიპლინგი... არა მარტო ინგლისელების დასახელება შეიძლება. „მავნე“ ნიჭი გაზვიადებულ დოზებშია საავგო; როცა ის გაბატონდება შემოქმედებაში, საერთოდ მიუღებელია. ხოლო მისი ელემენტები, ხანდახან ნაკადი აუცილებელი ხდებიან გარკვეულ შემთხვევებში. კერძოდ ამის გარეშე საგნების და მოვლენების კრიტიკული აღქმა ძნელდება.

ხელოვნება ცდილობს ყველაფერი არსებული ჩაიტიოს, ასახოს... მაგრამ პირველ რიგში იგი ჰუმანისტური იდეების ამრეკლავი, გამანვითარებელი და დამამკვიდრებელი უნდა იყოს.

ჩვენი ქალაქი მტერს არა ერთხელ და ორჯერ, არა სამჯერ და ოთხჯერ აღუგვია პირისაგან მიწისა. მაშინაც ასე იყო. სახლები ხალხთან ერთად გადაბუგეს; ვინც გარეთ გამოასწრო, ხმლითა და შუბით დაჩეხეს; მოკლულების დამმარხავიც არავინ დარჩა და გვამებს თვითონ მკვლელები მტკვარში ყრიდნენ... მერე ნაქალაქარზე, გავერანებულ ადგილზე შიიტური სამლოცველო სახლი ააშენეს... კირი ქართველების სისხლში გახსნეს, კედლებში ქართველების ძვლების ნამსხვრევებს ატანდნენ... დადგეს უშნოდ აწოწილი ნაგებობა, როგორც მათი ბინძური მიზნების განხორციელების სიმბოლო, როგორც ღაღადი მათი ხმლისა და რჯულის უძლეველობისა, როგორც მაჩვენებელი იმისა, რომ ამ მიწას სამუდამოდ დაეპატრონენ...

გარდახდნენ საუკუნენი. ხიდის მშენებლობამ უბნის რეკონსტრუქცია გამოიწვია და მეჩეთი დასანგრევ ზომაში მოყვა. არავითარ ესთეტიკურ ფასეულობას იგი არ წარმოადგენდა, არავითარი ხელოვნების ნიმუში არ იყო... რომ ყოფილიყო...

ერთი ხელოვანი შეგხვდა, ვინც ნანობდა მეჩეთის დანგრევას. შენ კითხე — როდენს რომ შაჰ-აბასის ქანდაკება გაეკეთებინა, თბილისში დადგამდითქო. კიო, გიპასუხა.

„მავნე“ ნიჭი და ნიჭის მავნედ გამოყენება —ორი განსხვავებული მოვლენაა.

ბოროტება ცხოველისთვის უცხოა. იგი იმიტომ კლავს, რომ ჭამოს ან თავი დაიცვას. ამიტომ არაა მართალი ექსპანსიონისტების ქალადობის ცხოველური საწყისის უშუალო გამომჟღავნებად მიჩნევა. ექსპანსიონიზმს სიმდიდრისკენ, უშრომლად შექმნილი კეთილდღეობისკენ სწრაფვა უდევს საფუძვლად. ამ სწრაფვის განხორციელებისას საჭიროების შემთხვევაში მეცხრე ხარისხში აყვანილ ბოროტებაზე არ ამბობენ უარს. საერთოდ არ არსებობს ბოროტება, რაც მოჭარბებულად ჩაითვლება, თუკი მიზნის განხორციელებას ცოტათი მაინც ემსახურება.

მოპასანის მოთხრობის („შეძრწუნება“) მოქმედება კოლონიზირებულ აფრიკაში ხდება. უფრო ზუსტად ამ მოთხრობაში შემავალი ერთი მიკრო-ნოველის მოქმედება. იქ ლაპარაკია იმაზე, თუ ექსტრემალურ სიტუაციაში რისკენ უბიძგებს თვითშენახვის ინსტიქტი სავსებით ცივილიზებულ ადამიანებს... უდაბნოში მიმავალი დამშეული და შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი უცებ დაიშლება. ყოველი მისი წევრი განცალკევებულად განაგრძობს გზას, რადგან... რადგან ეშინია მოყვასის, ვისაც ახლა შორიდან უთვალთვალებს. ისიც იცის, რომ საბოლოო დაშორება გარდუვალ დაღუპვას უდრის. წყაროს რომ გადაეყრება ხოლმე ეს უცნაური ქარავანი, თითოეული მხოლოდ მაშინ უახლოვდება წყალს, როცა წყურვილდამცხრალ წინამორბედს უსაფრთხო მანძილზე დაშორებულად დაიგულვებს... მერე მოხდა ისე, რომ ერთმა კაცმა მეორესთან დაახლოვება დაიწყო. ყველა გაჩერდა და უცქერდა, რა მოხდება. ის, ვისაც უახლოვდებოდა მშიერი მეზობელი, არ გაქცეულა. მიწაზე დაწვა და მომხდურს თოფი დაუმიზნა. ესროლა და... ააცდინა. თავდამსხმელის გასროლა ზუსტი აღმოჩნდა... ქარავნის წევრები თავქუდმოგლეჯილნი გამოიქცნენ მკვლელობის ადგილისკენ, რათა ზუსტად მიეღოთ თავისი წილი... ხორცი. შემდეგ ამგვარი რამ არაერთხელ განმეორდა... იძულებით კაციჭამიებად ქცეული შეურიგებელი მოკავშირეები სვლას განაგრძობდნენ...

როდესაც ეს მოთხრობა პირველად წაიკითხე, გინდოდა გეფიქრა, რომ ყველაფერი მწერლის ფანტაზიის ნაყოფია... მაგრამ გრძნობდი — ნაამბობი რეალურად მომხდარ ფაქტს ეყრდნობა... ცნობილია, ოკეანეში დაკარგულ გემებზე ხდებოდნენ ანალოგიური შემთხვევები. ბაირონმა ეს გამოიყენა „დონ ჟუანში“. თან შავ იუმორს მიმართა... ფლობერის „სალამბოში“ ორმოში მოთავსებული... მაიცა რა, კაი რამეები გაიხსენე კლასიკოსების ქმნილებებიდან ან თანამედროვე კალმოსნების ნაწარმობებიდან.

იმ შეძრწუნების გამომწვევი ამბების შემდეგ გულზე მალამოდ დაგედება ჩინებული დია-

ლოგი, რაც ქვეტექსტში ნატიფ დრამატულობას იტევს:

—მაგული, დღეს ცისფერ კაფეში, ვაი რომ ვერ წავალთ!

—თეზიკო, იცი რა საზიზღარი ხარ. თუ საღამოს კაკაოს ერთად არ დავლევთ, სამუდამოდ გაგებუტები.

რამდენი ჭეშმარიტი ტრაგედია, რამდენი წამება, სიხარული, აღმაფრენა და ბოროტმოქმედება თან სდევდა ტრფიალებას დასაბამიდან დღემდე. ამას მრავალი უკვდავი გვერდი მიეძღვნა ლიტერატურაში. შენ მწერლის ნიჭი და უნარი თქვი, თორემ... როცა ეს არაა, მაშინ გამოდის:

—თეზიკო, რას აჩუქებ ზიზის დაბადების დღეზე?

სკოლის დამთავრების შემდეგ ერთგვარად გაინტერესებდა ეს დაბადების დღეების მწერლობა. თითქოს თანამედროვე თემას აშუქებდა. აჩვენებდა იმ ლამაზ ცხოვრებას, რასაც სხვები ეწეოდნენ და რაც ახლო მომავალში იმედი გქონდა თავის კალაპოტში მოგაქცევდა. იქ იყო წმინდა სიყვარული... გაუგებრობაზე დამყარებული სათუთი უკმაყოფილება... სავარძელივით მოხერხებული რბილი კონფლიქტები... ნელთბილი ცრემლები... იქ მთავარ გმირს ყავდა მეგობარი — ოხუნჯი ვინმე, ყველაფერს რომ მასხრად იღებს. მაგრამ თურმე ნაზი გულის პატრონი. ფარულად გაგიჟებამდე შეყვარებული ქალგმირის უახლოეს მეგობარზე... ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, არაჩვეულებრივი იუმორით დაჯილდოვებული სათნო გოგოა... მთელ ამ ისტორიას დასასრული იმგვარი ქონდა ხოლმე, ჰოლივუდს რომ გაეგო, შურით გასკდებოდა. რადგან მისი სახელგანთქმული „ჰეპი ენდი“ უბადრუკი გამოჩნდებოდა.

კითხულობდი ამგვარ ოპუსებს, ვინაიდან გაინტერესებდა ის ცხოვრება, რომელსაც გეგონა ჯერჯერობით მოწყვეტილი ხარ. დიდიხანი არ დასჭირვებია იმის მიხვედრას, რომ ყველაფერი ეს ბანალურობაა, სუფთა წერაა, უნიჭო ბლეფია. მაგრამ ვინც ვერ მიხვდა, ასეთები ალბათ დღესაც არიან. ამ ტიპის ნაწარმოებების მოდიფიკაციები ახლაც იბეჭდებიან.

ადამიანი რომ ცხოველთა სამყაროს ეკუთვნის — ამაში ალბათ ნეანდერტალელს ეჭვი არ ეპარებოდა. ქრისტიანულმა რელიგიამ გაართულა ეს საკითხი. თუმცა...

მეფე ლირი ქარიშხლის დროს ვითომ გაგიჟებულს და ამის გამო გაშიშვლებულ ედგარს რომ დაინახავს, წარმოსთქვამს: ჩვენ ყველა ყალბები ვართ, იგი კი ნამდვილია. შეულამაზებელი ადამიანი სწორედ ეს საცოდავი, ტიტველი ორფეხა ცხოველია. სხვა არაფერი.

ლევ ტოლსტოის მოთხრობის „კაზაკების“ გმირი უღრან ტყეში ირმის ნაწოლთან მხართეძოზე წამოგორებული ფიქრობს. „და მისთვის ცხადი გახდა, რომ იგი სულაც არ არის რუსი აზნაური, მოსკოვის საზოგადოების წევრი, ამისა და ამის ან იმისა და იმის მეგობარი და ნათესავი, არამედ ისეთივე კოღოა, ან ისეთივე ხოხობი, ანდა ირემი, რომლებიც მის გარშემო ცხოვრობენ. „მეც ისევე, როგორც ისინი, როგორც ძია ეროშკა, ვიცოცხლებ, მოვკვდები. და ეროშკა მართალს ამბობს: საფლავზე მხოლოდ ბალახი ამოვა.“

ადამიანი ყოველთვის გრძნობდა ცხოველთან ახლობლობას. მარტო კენტავრის გამოგონება რად ღირს.

ცხოველთა დაცვის საზოგადოებები უცხოეთში უკვე მეცხრამეტე საუკუნეში დაარსდნენ. არც ჩვენში იყო ეგ საკითხი სულმთლად უგულებელყოფილი. აი რას წერდა გაზეთი „კავკაზი“ 1899 წელს (№ 190):

„წესიერი ნადირობის საიმპერატორო საზოგადოების და უმთავრესად მაზრის ადმინისტრაციის ყურადღებას ვაპყრობთ კოჯორში დამსვენებელ მონადირეების მიერ კანონის დარღვევაზე. ეს ვაჟბატონები საავარაკო სეზონის დაწყების დღიდან (1 ივნისი) უწყალოდ ანადგურებენ საცოდავ მწყერებს და სხვა გარეულ ფრინველს და ნადირს (გნოლს, კაკაბს, კურდღელს).“ ნადირობა ნებადართული ყოფილა: მწყერზე — 15 ივლისიდან, გნოლსა და კაკაბზე — 15 აგვისტოდან, კურდღელზე — პირველი სექტემბრიდან. გაზეთი უკმაყოფილებას გამოსთქვამს ტაბახმელის მიდამოებში არსებული საჩაფრო პოსტის უმოქმედობის გამო და დასძენს: „ნადირობას მრავალი დამსვენებელი ეწევა და არავინ აჩერებს ამ ბრაკონიერებს, არ ამოწმებს, აქვთ თუ არა კანონით გათვალისწინებული მონადირის სამმანეთიანი ბილეთი.“ (კანონის დარღვევის შემთხვევაში დამნაშავე პასუხისგებაში უნდა მიეცათ).

იგივე „კავკაზი“ 1914 წლის იანვარში აცნობებს მკითხველს, რომ ხარკოვში გაიხსნა ბუნების დაცვისადმი მიძღვნილი გამოფენა. „ბუნებისა, სილამაზის დაუშრეტელი წყაროსი, რაც ყოველთვის შთააგონებდა პოეტებსა და მხატვრებს.“ გაზეთი შეფიქრიანებულია ბელოვეჟის ტევრის და იქაური დომბის ბედით, იმით, რომ ფაბრიკები და ქარხნები მდინარეების წყალს აჭუჭყიანებენ...

ორი ათეული წლის უკან ცხოველებისადმი ვაი-უშველებელი სიყვარულის გამჟღავნება დაიწყო თავის სტატიებში ერთმა, უკაცრაული პასუხია, პუბლიცისტმა. აბ, მოდას არ აყვებო-

და! მითუმეტეს ასეთი თამაში გაგიჟებამდე მოსწონს — ხორცის ნაჭერში ქინძისთავს დამალავს და მერე კატას გადაუგდებს ხოლმე... აი მისი შემოქმედების ნიმუში:

„მეტი ჩარა არ არის, მეტი რაღა ჯანია. ძველი ხალხური ჩვეულებისამებრ ნაცარი უნდა წავიყარო თავზე ნიშნად უაღრესი მწუხარებისა და ჭმუნვისა. სულწასულები ნუ იქნებით, თავის დროზედ და ალაგზედ მოგახსენებთ, თუ რატომა და რითვინა. წინაპირველადა ურიგო არ იქნება ეპიზოდთა დასტა გავიხსენო ჩემს ნეტარმოსაგონებელ და კურთხეულ სიყრმითგან.

ეხლა ხომ ვარ და ვარ, მაშინაც მტრის გულის გასახეთქად რა კალმით ნახატი ბიჭი ვიყავ! საცრის ტოლა თვალები მქონდა, თავზე მამალ ბუზს არ დავისომდი, მითუმეტეს სამსახურის უფროსსა. ხაზმუზიანობა რა იყო, არ ვიცოდი, ჭლექსა და ტიფას ჩემთან რა ხელი ქონდა. გაიჭერა ყმაწვილს ულვაშები შემმწვანებოდა, არავის დავეძლევვინებოდი, თუ განგება ვინმეს სადავიდარაბოდ შემახვედრებდა. უკვე იმჟამად დონ-ჟუანს ვეთანაბრებოდი. გვიან შევიტყვე ი ხელმოცარული ესპანელი ჰიდალგო თუ კაბალერო ჩემთან რას მოვიდოდა. ეგ ბედოვლათი პაწაწკინტელა შეცოდებისთვინა ავადსახსენებელი კომანდორის ქანდაკმა სუ ჰიტლაყების კვრით წაიყვანა შავეთში, მე კიდევა... ხო, რა დასამალია, ქვეყნის კიდემდე გავარდა თავის დროზედ ხმა, რომ მინამ სკოლას დავამთავრებდი, სამი ასული გამოვასალმე სიცოცხლესა. ერთი, ი ბემურაზი, ზამთრის სუსხს არ მაერიდა, ჩვენი სოფლის ღელეში თავდაყირა ისკუპა ოფელიასავითა. ნილოსის დამჯაბნელი თვითრჯული ნაკადულის ზურმუხტოვან ზვირთებში პოვა განსასვენებელი სადგური.

მეორემან, ბედდამწვარმან, შამპანურის ბოთლი უებრო იმპორტული შხამით გაავსო, თავი დააცო და მაცივრის საყინულეში შეინახა. ლუდის კათხა აიღო, დიზინფექციითვინ საგანგებოდ სპირტში გამოხარშა. მერმე კარგა გაცივებული ბოთლი მაცივრიდანა ამაიღო, საცობი ხმაურით მოხადა, ორი ადლის სიმაღლითგანა სტერილურ კათხაში ჩაასხა და ქაფშეუმშრალად პირისკენ გააქანა. ჯერეთ დაიგემოვნა ფერადოვანი სითხეი და, რაკი ეამა, იწაფა და იწაფა, პირი ჩაიკოკლოზინა... ისე ჩაიქეცა, მითამ კაკალ გულში ტყვია მაახვედრეს ი უდღეურსა. თავი მაიწამლა ჯულიეტასავითა. არადა, აფსუს, რა ზღაპრული უკანალი ქონდა მაგ უპატრონოს, რო გამახსენდება ვაჟკაც კაცს ცრემლი მამერევა ხოლმე. ჰაი გიდი, განა სასიკვდილოდ გასამეტი იყო!

მესამე, ი წუწკის ნაშობი, გადამეკიდა, სიცოცხლე გამიმწარა. არ გიყვარვარ და ნუ გიყვარვარო, მაგრამა ნუთუ ჩვენი ოჯახის პატივისცემის სამაგიეროდ ერთ გოჯიტოლა სათხოვარს ვერ შამისრულებო. რა იქნება მა ტრახტორივით ღონიერი მკლავებითა ყელში მწვდე და დამახრჩოო. დავიჯერო ამითანა ბედნიერ დღეს არ გამითენებს გამჩენიო. მე რა — სხვებს ტოლობას ვერ გავუწევ, სხვებზე ნაკლები რითი ვარო... ქალი რო გადაგეკიდება, ლამის სიზარმაცეს დაგავიწყებს... ერთხელაც ცოტაი შეზარხოშებული ვესტუმრე. კაი ხასიათზე ვიყავ — სკამიდან ხუთჯერ გადმავარდი. ხოდა, რაღა ბევრი გავაგრძელეო, ერთი შტოფი ბუზის არაყი დავამატე და ხათრი ველარ გავუტეხე კეთილ მაინძელსა. ნოხიან ტახტზედ წამოვაგორე, მუთაქა პირში ჩავჩრე... მინამ ბოლომდე არ ჩავიდა, რას მოვეშვებოდი... უნებლიეთ, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ მარილზე გავაგზავნე, როგორც დეზდემონა. ისე დეზდემონას ეგ ჩემს მიერ საიქიოში გასტუმრებული შიმპანზე იმდენად ჰგავდა, რამდენადაც ი კუნაპეტივით შავი გორილა-ოტელო მგავს მენა — დახვეწილ ინტელიგენტსა...

დღესა კიდევა ერთი დედაკაცი გადამკიდებია ძველი ხურჯინივითა. კალთებს მაგლეჯს, მემუდარება. გავიგე, თურმე რევოლვერს კარგად ხმარობო და, რა იქნებაი, „პარაბელუმის“ ცხრა ფინდიხით ლამაზად დამიცხრილო ოქროს ძუძუებიო... ვაჰმე, ეგ რა ზაჰრუმალა ხალხია. აფხანიკო, რეიზა გინა გამააბდალო. სიდან გეიგე, რაფრა ვსროლულობ ფიშტოს. ცავ, მაგა თვალთა ციცაობა უძლურ არს გაალხოს გახერკინული გული კაცისა, რომელმან მრავალ იხილნა ავდრიანნი დღენი და სამარადისოდ იწამა ხოლოი ცნება: ამაოება ამაოთა...

სიტყუაი მე არ შაიძლება გამიგრძელდეს, გარნა დავუბრუნდეთ იმასა, რითაც დაგვიწყია. ვითარცა ვბრძანე — ერზე ზრუნვით გაჭაღარავებულ, თოვლივით სპეტაკ თავზე მმართებს მგელივით რუხი ნაცარი წავიყარო ნიშნად უაღრესი მწუხარებისა და ჭმუნვისა. მიმძიმს, მაგრამ ეგრე ხამს, ეგრე.

იმ ხანად გენიოსის მშობელ ჩვენს სოფელში დღისით საწყობის გამგედ ვმუშაობდი, ხოლო ღამით დისერტაცია-სალებელას ვჩარხავდი, რათა მეცნიერების — ამ დიდებული ბანკის ფოლადის სეიფები გამეღო ი ზემოთხსენებული სალებელათი, როგორც ღირსეულ მძარცველს ეგრედ წოდებულ „მედვეჟატნიკს“ შეეფერება...

ერთხელაცა პურმარილზედა ვსხედვართ მამაპაპათა ნაფუძვარზედ, საწყობშიდ, და ტრადიციისამებრ მაღაზიის არაყ ვსომთ, ჯანჯუხას შევექცევით. თანაც ადათისამებრ თავს ვირთობთ ტკბილი მეცნიერული საუბრითა. ერთი ვიღაც ოხერი გვეჯდა გაწყობილ საკანცელარიო მაგიდასთან. ნაღდი სუფრის ჭირი, ჭინჭყლი და ყიამყრალი. შამომიჩნდა, შამომიჩნდა, რა არის შაველავო და დასაბამი დაედოს სწავლულ დისკუსიასა. იმითვინა სადა მცალოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოთქზედა იმა დღის მოგებას ვანგარიშობდი. სამნიშნა ციფრს ვერაფრით ვერ გადავალაჯე, თუმცა რა არ ვიღონე... ხომ წარმოგიდგენიათ, რაფრა მომეწამლებოდა ხასიათი... ეს კატის თესლი კიდევა არ მეშვება — შენაო, ბიჭო, ჩვენი უნცროსი ძმებით — ცხოველებიო ფეხებზე გკიდიაო... გალიცლიცდა მათმინების ფიალა. სავსე ვერა და ცარიელი ბოთლი ვესროლე იმ ბოთლივით ცარიელ თავში. არა, ეს როგორ გამიბედა მა ავყია ყურუმსაღმა... თუკი რამე მიყორს ამ ქვეყანაზედა, ეგა პირველ რიგში ბურვაკის მწვადია, ინდაურის საცივი, ბატკნის ჩაქაფული, ტაბაკად შემწვარი წიწილა... ჩამოვთვალო კიდევა ტრფიალების საგნები თუ გვეყოფა? საქონლის ბასტურმა, კამეჩის მაწონი... არ გიყორსო კი არა, სულს ვანაცვალებ ი ტრედანა ქურანს, რომელიცა დოღში გაიმარჯვებს და ტოტალიზატორზედა ფულს მამაგებინებს...

რას იზამ, რას უშველი! ერთი მძიმე ცოდვა მაინც მქონდა ჩადენილი ჩვენთან უნცროს ძმათა — შინაურ პირუტყვთა წინაშე. და იმა ღრძო, ავენა კაცსა თვისი დამპალი ყური ჰქონდა ამ ანბისთვის მოკრული. ანბავი კი ეგა იყო:

ჩემდამი რწმუნებულ საწყობშია ვირთხები მომრავლდნენ. ე ოხერი, საწყობი უგვანო სარდაფში გვქონდა დროებით მოთავსებული, სულ რაღაც ორმოც-ორმოცდაათ წელიწადში სხვაგან გადასვლას ვაპირებდით... ხო, იმას მოგახსენებდით, ნესტიან კედლებს, მიწის იატაკს ვირთხის — ამ სათნო პირუტყვის დაჭლექიანება შეეძლო. კატა დავამწყვდიე საწყობში, რომა ვირთხებს მისი სუნის შაშინებოდათ, აღარ მოსულიყვნენ კოხის ჩხირების საყლაპად და რკინის ქილებში დაკონსერვებული ხიზილალის მისართმევად. ფინთი, ჩხავანა კატა აღმოჩნდა, ვერ დააფრთხო. უნებლიეთ იქით შემოეჭამათ იმ კეთილშობილ სულდგმულებს. მაშინა დიდი ძაღლი რომაა — დოგი, ღამით ის დავტოვე საწყობში. დილით არც ხიზილალა, არც ის ურგები ძაღლი არ დამხვდა. ახია იმ ვირიშვილზედა. ზოოპარკში წავედი — ვეფხვის დაქირავებას ვაპირებდი, მაგრამ გზაში გადავიფიქრე. ნასუქ დოგს მაერიენ ეგ გულკეთილი ოთხფეხები და ზოოპარკში შიმშილით დაოსებულ, ლაყე ვეფხვს განა უფრო ჭირის დღეს არ დააყრიან. ცხელ გულზე ეგეც რომ შეთოხლონ, ხომ დამღუპავენ პატიოსან კაცს. გაძვალტყავებული და უღირალი უძახე შენ, ფასი მაინც ცეცხლისა აქვს, მაგ თანხით ხუთ ავტომობილ „ტოიოტას" იყიდი... შეგაწერენ მაგ ფულს და ურიის ვალს აგაღებინებენ... ერთი წამი იყო, დავაპირე — თვითონ გამეთენებინა ღამე საწყობში... საკუთარი სიმამაცით აღფრთოვანებულს ცრემლები გადმომცვივდა... არა, არ იყო საჭირო ამგვარი რადიკალური ზომის მიღება. გადავწყვიტე მხნელად თვალსაჩინო აგიტაციის ძალა მეხმო... დაუკვირდით, რა შეურაცხმყოფელად ჟღერს სიტყვა ვირთხა. არც ვირთაგვა უქნია გამჩენს. ასეთ სახელს რომ უწოდებ გონიერ და საზრიან ძუძუმწოვარს, მისგან რა სიკეთეს უნდა ელოდო. მივხვდი — აუცილებელია დამამცირებელი ვირი შეიცვალოს მოხდენილი ცხენით... ცხენთხა არ ვარგა. უნიჭოდაა გამართული. ცხენთაგვა კარგია, მაგრამ ოდნავ ეშხი აკლია. რაშთაგვა. ჩინებულია. მერანთაგვა. დიდებულია. მერსედესთაგვა. ბრწყინვალეა. ლაზათით გატიკნილია. ეგაა, რაიც ვეძიეთ... მხატვარს პლაკატი გავაკეთებინე და სარდაფში გამოსაჩენ ადგილას გამოვკიდე. იქ ეხატა, ხიზილალის მარცვლებიდან როგორ იჩეკებიან ლიფსიტები და მერე სამმეტრიან ზუთხებად როგორ იქცევიან. თვალში საცემი, წითელი საღებავით შესრულებული წარწერა იტყობინებოდა: „ძვირფასო და სანატრელო მერსედესთაგვებო! ხიზილალის პაწია მარცვალი, რაც ჩიტის ბარტყს ვერ გაამღობს, სულ რაღაც ოც წელიწადში უშველებელ ზუთხად იქცევა. დღევანდელ კვერცხს ხვალინდელი ქათამი ვამჯობინოთ!"

მართლა სალად მოაზროვნე ძუძუმწოვრები აღმოჩნდნენ ეს მერსედესთაგვები. ცოდნიათ, რომ ოც წელიწადს ვირთხა კი არა ცხენი ვერ ძლებს... მოკლედ შესანიშნავმა პლაკატმა მოსალოდნელი უზარმაზარი ზემოქმედება კი მოახდინა, მაგრამ ხიზილალის ჭამა წამკითხველებს ასე უცებ ვერ მოაშლევინა...

სხვა რა გზა მქონდა. საღამოს ჟამს გამოვემშვიდობე ატირებულ ცოლ-შვილს და საწყობისკენ გამოვსწიე.

მოსისხლე მტერს ვუსურვებ ის გრძნობა განეცადოს, რაც მე მიღრღნიდა გულ-ღვიძლს. შიშით, რასაკვირველია, არ მეშინოდა, ოღონდ არ ვიცი რატომ, ოფლში ვიწურებოდი, სული კოჭებში მეპარებოდა. ალბათ გავცივდი ან გრიპი ავიკიდე. საწყობის კარი რომ გავაღე, რაღაცამ გაიფხაკუნა და თავზარი დამეცა. ჩავრთე საგანგებოდ ჩამოკიდებული ჭაღი, კლუბში ნასესხები პროჟექტორები... გაჩახჩახდა იქაურობა, თორმეტ ნაბიჯზე ჭიანჭველას დაინახავდი. მივუჯექი მაგიდას. მარჯვენა ჯიბიდან „პარაბელუმი" ამოვიღე, მარცხენიდან — „ვალტერი", უკანიდან — ნაგანი, ზურგიდან ორლულიანი თოფი მოვიხსენი. ყველაფერი ეს წინ მაგიდაზე დავალაგე ორ ყუთ ტყვიაწამალთან ერთად... უდროოდ რომ არ გავიქცე, კარები მეგობრებმა გარედან გადამირაზეს...

ვზივარ მცირედ შეიარაღებული კაცი და ველოდები განგების განაჩენს. აბსოლუტურად არაფრის არ მეშინია და მიკვირს, წელი რაზე მომწყდა. გულის გადასაქანებელი რა მაქვს, ტყვიაგაუმტარი ჟილეტი მაცვია. ცხრაპირი ბრეზენტის გალიფე, სქელი ტყავის ჩექმები

და ზედ — ალპინისტის ფოლადის ქაცვების მქონე წაღები... ერთი რამ მაქვს სანანებლად —ამ გაწამაწიაში ტანკის შოვნა ვერ მოვასწარი, თორემ შემოვიყვანდი აქ და შიგ პატარას წავუძინებდი ჯავშნით საიმედოდ დაცული... შიში რა სახსენებელია, მაგრამ მაინც საწყენია, რომ ქეციანი ხიზილალის გულისთვის, ხიფათს ასე უიარაღოდ ვხვდები. ტყვიამფრქვევი მე არ გამაჩნია და ზარბაზანი... ორლულიანი თოფის იმედზე ჩემი მტერი იქნა... ვერც ძველი მარკის სამი რევოლვერია დიდი შეღავათი... წელზე ჩამოკიდებულმა ხანჯალმა, სატევარმა, ბებუთებმა, ჯიბეში ჩაყრილმა ჯაყვებმა, სეკატორებმა, სასხლავმა დანებმა და პერანგის ქვეშ დამალულმა „პისკამ“ მითუმეტეს რა უნდა გიშველონ. არა, საქმე ცუდად არ არის, მაგას ვინ ამბობს... ცუდად არ არის, მხოლოდ ხელიდან წასულია და ჩაოხრებული... ჰაი გიდი, რა ბიჭი ვიყავი, ცხრანაწნავა გოგოებს გული უღონდებოდათ ჩემს დანახვაზე... ახლა გული თვითონ მიმდის. გრიპისგან.

ვზივარ, ტკბილად ვფიქრობ, ვის დააყენებენ ჩემს ქელეხზე თამადად. იმ ქელეხზე, დამარხვის შემდეგ რომ იქნება... თუ დარჩა რამე დასამარხი. თუმცა მაგიდას მაინც გაშლიან. უთანასწორო ბრძოლაში შეჭმული კაცის ხსოვნისთვის პურ-ღვინოს ვინ დაიშურებს. რიგიანი გადასახურავიც შემოვა. ცოცხალს არ შეგეწევა კაპიკს არავინ, თორემ საკმარისია მოკვდე, რომ ყველა ბლომად ფულს გამოაჩენს, ერთმანეთს იმაში შეეჯიბრებიან, ვინ დადებს მეტს... ოჯახის დარდიც გამიჩნდა... ცოლი ახლაც გაქცევაზეა, რევოლვერით ძლივს ვაჩერებ და მაშინ რა ჯანდაბა დაუდგება წინ... გათხოვდება, მონახავს თავის შესაფერის მუდრეგს, ჯვარს დაიწერს... ეს თეთრ ჩოხაში გამოწყობილი რეგვენი ვინაა? ისაა ის, ქელეხში თამადობა დარბაისელ ხალხს ხელიდან რომ გამოგლიჯა. მაშინვე ეტყობოდა კოჭებში, რა ბედაურიც ბრძანდება. გმირულად დაღუპული კაცისთვის ორი თბილი სიტყვა არ გაიმეტა. უყურე, უყურე პატარძლის შაბაში რა უსინდისოდ ჩაიჩხრიალა ჯიბეში. ეჭვი არ შეგეპაროს პირის სანახავსაც ეგ მიითვისებს. ენგრეთი კრიჟანგი ვინმეა, სუფთა ზეთი. ადრეც ვიცოდი და ეხლა კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. მაგან არ გამიმწარა დალხენილი ცხოვრება! იმას ჭირი და არგახარება არც ამ და არც იმ ქვეყნად, ვინც ეგ თაღლითი უფროსად დამინიშნა... სალოლიაო ახალგაზრდობა მაგან ჩამაშხამა, გოგირდის მჟავა ასხა კასრებით... ხელფასი არაფრით არ გამიმთელა — თხუთმეტი წელიწადი ნახევარ შტატზე ვყავდი... ამჟამად ცოლსაც მართმევს. არაა ეს ქალი დიდი განძი, მაგრამ მაგისთვის ეგეც არამია, მაინც დამენანება... მაცალეთ ცოტა ხანს. ამ წუთში გეტირებათ ყოფის დღე ორთავეს. ამხელად კი ამოვალ თქვენს ოხტში, კი ჩამოგაგდებთ იშკილებიდან, თქვე კრამზადებო... მადროვეთ, მივმართო დახმარებისთვის უმცროს მეგობრებს, ხომ გაგ[illegible] — ძმა ძმისთვისაო შავი დღისთვისაო. ამაზე კუპრი და წყვდიადი დღე რაღა უნდა იყოს... სათაყვანებელო ძმებო ვირთხებო. უკაცრავად, მერანთაგვებო, მერსედესთაგვებო! სიკეთის დასათესად ფასკუნჯებივით თავს დაეცით ამ ნამუსგარეცხილ, დაბერებულ წყვილს, ჩემი ცოდვით სავსე ამ ორ მიხრწნილ სექსუალურ მანიაკს. არ დაგენანოთ, არ შეგებრალოთ, დაგლიჯეთ, დაკორტნეთ, როგორც არწივმა პრომეთეს ღვიძლი... ეგრე, თქვენი გალესილი კბილების ჭირიმე...

უცებ ვიგრძენი, ალპინისტურ ფეხსაცმელზე რაღაც მომეჭიდა, ღრღნა დაიწყო... წამოვხტი, მაგიდაზე მოვაფათურე ხელები...

სროლა ნახევარ საათს გაგრძელდა. ნაპოლეონად ვიქეც, მაგრამ ვაი, რომ ვატერლოოს ბრძოლას ვხელმძღვანელობდი... ბროლის ჭაღი იატაკს დაენარცხა, პროჟექტორები დაიმსხვრნენ, ვაზნები შემომელიენ. უკუნ სიბნელეში დარჩენილმა თავს ვუშველე. იარაღი ვაჟკაცურად დავყარე, ბრძოლის ველი მივატოვე, კარს დავეტაკე, ურდული გავტეხე და კოშმარულ საშიშროებას გარეთ გამოვასწარი... მთვარე მოსდებოდა არე-მარეს. სხეულში სიხარულის ხანძარი ბობოქრობდა. ცოცხალი დავრჩი. ამისთანა დამარცხება ბევრ გამარჯვებას უდრიდა...

მას შემდეგ დამრჩა დარდად, რომ იმ უთავბოლო სროლამ ალბათ რამდენიმე ვირთხა შეიწირა, უდროოდ დაახუჭინა ჯილა თვალები. მაშინ როცა ცხოველთა სამყაროს გმართებს თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერო, გაანებივრო... ცხოველი ხომ ადამიანი არ არის, თუმცა ზოგი ადამიანი ნაღდი ცხოველია...

რაც შეეხება ვირთხას, მისი წითელ წიგნში შეტანის ჟამი დიდიხანია დადგა... ხოდა, რა გასაკვირია, თუკი იმ სასაწყობო ვატერლოოს გახსენებისას ლიტერატორ კაცს ცრემლი ღაპა-ღუპით მდის. ძველი ცოდვა მოუშუშებელ იარად, გველაძუობის სამარცხვინო ლაქად დამჩნევია სულს. მტანჯავს, მაწამებს ეს მარად განუკურნავი ტკივილი. განსაკუთრებით ღამით გაღვიძებულს ნამთვრალევზე... როცა წარმოვიდგენ უგუნური ტყვიებით განგმირულ, უაზროდ ჩაძაღლებულ ვირთხებს, შეშფოთებული წამოვვარდები ხოლმე და მსურს გლოვის კარავი დავდგა, ნაცარი დავიყარო მტეხიარე თავზე ნიშნად უაღრესი მწუხარებისა და ჭმუნვისა. მაგრამ გაზქურაში სად არის ნაცარი! ამიტომ ჩამქრალი სიგარეტებით და მათი ნავლით გატენილ შავი პლასტმასის საფერფლეს თავზე ჩამოვიცვამ... ვაი, ნენა, მაგენის გულობიზა ვითამ რეიზა უნდა გევიშრო სისხლი უბედურმა ყაზილარმა...“

ეს ყველაფერი ისე, სხვათაშორის. ფანტაზიის ასაფრენად. გასავარჯიშებლად.

ადამიანის დამოკიდებულებას სხვა ცოცხალ არსებებთან ძალიან ბევრი პირფერული დანაშრევი აქვს. ამ სიყვარულს თავისი სპეციფიკა გააჩნია. ოდნავ საჩოთიროა ალბათ, როცა სუფრაზე მჯდარი კაცი ბუნების ყველა შვილისადმი სიყვარულს ქადაგებს და სუკის მწვადს მიირთმევს. სახამუშოა კაცისა და ხარის, კაცისა და ცხენის მეგობრობა, რომელიც ამ ოთხფეხების დაკოდვის შემდეგ გაშლის ხოლმე ფრთებს... გაშლის ორივე მხრიდან... იმდენად, რომ პატრონი ხანდახან დაახლოვებული კონკრეტული ხვადაგის ხორცის ჭამაზე უარს ამბობს... ეს სიყვარული რეალურად არსებობს.

ამავე დროს ძნელი წარმოსადგენია ტრფიალება ვირთხებისადმი, რვაფეხებისა და სოლიტერებისადმი...

წითელ წიგნში შეაქვთ ცხოველის სახეობა მხოლოდ მაშინ, როცა მისი მოსპობის შესაძლებლობა თითქმის აღარ იწვევს ეჭვს. პირველ რიგში იმიტომ შეაქვთ, რომ ეკოლოგიური წონასწორობა არ დაირღვეს, რასაც იქნებ არასასურველი შედეგი მოყვეს. როგორც კი კანონით დაცული სახეობა მომრავლდება, შეცოდების გრძნობა სუსტდება და ზომიერი ნადირობა ნებადართული ხდება...

ყველაფრის მიუხედავად ადამიანის სიყვარულმა ცხოველების მიმართ ლიტერატურაში მძლავრი გამოხატულება ჰპოვა. გახსოვს, მაიაკოვსკის პოემის ლირიკული გმირი, მზად რომაა საკუთარი ღვიძლი ამოიღოს და შეაჭამოს საფუნთუშესთან მდგარს, დამშეულ და გაქუცულ ძაღლს... „მე არ მენანება, საყვარელო, ჭამე..." სად გაექცევი ესენინის ძუკნა ძაღლს, რომელსაც პატრონმა ახლად ნაშობი ლეკვები მდინარეში გადაუგდო, ძუკნას მთვარე თავის ლეკვად მოეჩვენა და ატირებული თვალები ოქროს ვარსკვლავებად ჩამოუგორდნენ თოვლში...

რა სიახლოვეა გადმოცემული მეტყველთა და უტყვთა შორის ამ სტრიქონებში: „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან, მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან, რა ატირდის, ატირდიან..."

ლიტერატურაში ხშირად ცხოველი ადამიანის გრძნობებით და გონებითაა დაჯილდოვებული. მაგრამ ნაღდი მწერალი არასდროს დაივიწყებს გმირის მეორე — ცხოველურ მხარეს და მხატვრული საშუალებებით შეახსენებს ხოლმე მკითხველს. ეს იგავ-არაკებშიც კი საჭიროა გაკეთდეს, თუმცა იქ მოქმედი პირები მელის თუ დათვის ნიღაბგაკეთებულ მსახიობებს გვაგონებენ... ვერც კაშტანკას, ვერც თეთრ ეშვს, ვერც ბაგირას მარტო ადამიანად ვერ აღიქვამ, რაც მწერლების მაღალ ოსტატობას მიუთითებს.

მაგრამ არიან ნაწარმოებები, სადაც ცხოველი მხოლოდ გარედანაა დანახული, მის, ასე ვთქვათ, აზროვნებაში წვდომის გარეშე. ამგვარია ერნესტ სეტონ-ტომპსონის შემოქმედება, მაგალითად, მოთხრობები მგელ ლობოზე. დღეს, როცა ბუნებრივ პირობებში მყოფ ცხოველზე დაკვირვების ჩატარება გაადვილდა, ამნაირი მიდგომა პერსპექტიული ჩანს.

ეს ამბავი ოცდათხუთმეტი წლის უკან მოხდა.

იყო დიდი ბანჯგვლიანი ძაღლი სახელად საარი. კავკასიურ ნაგაზს წააგავდა. მთელი დღე მიგდებულ ფიცრულ ნაგებობასთან იწვა მწვანე ბალახზე. გაურკვეველი იყო საარის საქმიანობა. უკარო ფიცრულს ყარაულობდა, რაშიც არაფერი ინახებოდა. როცა ვინმე ფიცრულში შევიდოდა, საარი ყურს არ გაიბერტყავდა. ყეფა და წკმუტუნი საერთოდ არ იცოდა.

ამასთან საარი არაფრით გავდა დაბეჩავებულ ძაღლს. მის განურჩეველ მზერაში ერთგვარი სიამაყე გამოსჭვიოდა, რუხი თავის მიხრა-მოხრა დარბაისლურ ზნეს ამჟღავნებდა.

საარის საწოლ ადგილიდან ხუთ-ექვს ნაბიჯში რკინის ბადის ღობე იყო, რაც ორსართულიანი აგარაკის დიდ ეზოს ქონდა შემორტყმული. ნაგაზის სამფლობელოს შორი-ახლოს ფრენბურთის მოედანი მდებარეობდა. საღამოს ხანს იქ ერთი ალიაქოთი იდგა. გოგო-ბიჭებს იმდენად ბურთის მოგერიება კი არ ახარებდათ, რამდენადაც ერთმანეთის სხეულების შეხება. საარს ხმაური არ აწუხებდა. შენც გითამაშია იქ ფრენბურთი...

ერთ დღეს თამაშის დროს შემთხვევით ფიცრულისკენ გაიხედე და საარი ფეხზე დამდგარი დაინახე. შეწყვეტილება ეს-ეს იყო დაემთავრებინა ორსართულიანი სახლის პატრონის ძაღლ სეტერთან — ჯილდასთან. ძაღლის ფიზიოლოგიის უცნაურობის გამო ვერ შორდებოდა ყოფილ პარტნიორს, ვერ წვებოდა. იდგნენ გადაბმულები. თანდათანობით ყველა მოთამაშემ შეამჩნია, რა ხდებოდა ღობის იქით, მაგრამ არავის არაფერი უთქვამს. თამაში გრძელდებოდა. მხოლოდ წამოძახილებს დაეტყოთ ოდნავ ყალბი ელფერი.

უცებ აგარაკის პატრონი გამოჩნდა. სტუმრებთან ერთად, რომლებშიც ქალები ერია, აქეთ გამოეწია.

— შენ სულ ტყუილად გირჩევნია პოინტერი, — ამბობდა პატრონი. — ინგლისურ სეტერს მონადირე ძაღლი ვერ შეედრება.

— როგორ გეკადრებათ, — სტუმარმა გამჭოლავი ჭროღა მზერა მიაპყრო, — პოინტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის გარეშე მწყერზე ნადირობა წყლის ნაყვაა.

— ახლა გაჩვენებ ჯილდას და შენ თვითონ იტყვი, რომ წმინდა წყლის ელიტაა... აქეთ უნდა იყოს სადმე.

რკინის ბადეში დაინახეს დანაღვლიანებული წყვილი.

ფიცრულთან მდგარი კაცი აწრიალდა. დაფეთებით ლამობდა რაიმე ღონე ჯილდას რეპუტაციის გადასარჩენად.

არ იყო დასაშვები, რომ ახალგაზრდა, გვაროვანი ძუკნის ამ ქარაფშუტულ ახირებას სერიოზული შედეგი მოყოლოდა. ჯილდას უფლება არ ქონდა იმ ღირსეული წინაპრებისთვის, რომლებიც ლამის სიგარას ეწეოდნენ, შთამომავლებად ხეპრე და გაუთლელი ლეკვები დაეყარა. დიდთავიანები, ბანჯგვლიანები...

მხატვრული სტვენის ოსტატმა კაცმა ჯილდა მანქანით ქალაქში წაიყვანა მუცლის მოსაშლელად. ალბათ ვეტერინარის დაუდევრობის გამო ჯილდა მოკვდა. ყავისფერი მანქანა კუბოსფერი აღმოჩნდა. სტვენის ოსტატი ამას ყოველგვარი ემოციების გარეშე მოყვა. მაინცდამაინც არც პატრონს შესცოდებია ადრე საყვარელი სეტერი. ჯილდამ ცუდი საქციელით სახელი გაიტეხა.

ყველა ქალაქგარეთ მდებარე რესტორანს თავისი ძაღლები ყავს. საარისგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ სეირნობას არ უკადრისობენ.

როდის უნდა დაწყებულიყო მეოცე საუკუნე — 1900 თუ 1901 წლის 1 იანვარს? არითმეტიკულად მეორე თარიღია სწორი. 1900 წლის 1 იანვარს დაიწყო ათას მეცხრაასე წელი, ხოლო დამთავრდა იგი 31 დეკემბერს. უმართებულოა, როცა ვამბობთ, მაგალითად, ათას ცხრაას სამი წელი. უფრო ზუსტია — ათას ცხრაას მესამე წელი.

მეოცე საუკუნეს ათას მეცხრაასე წლის დამდეგს შეხვდნენ. ასე ვთქვათ, ვადამდე. ქრისტიანული წელთაღრიცხვის მიმდევარმა სამყარომ მოუთმენლობა გამოიჩინა. ალბათ ჯეროვანი მოუთმენლობა. იმ ერთი წლის განმავლობაში, ვინ იცის, რამდენი ადამიანი გარდაიცვალა. ისინი ხომ ვერ ეღირსებოდნენ ახალ საუკუნესთან შეხვედრის სიხარულს. რაც შეეხება 1900 წელს შობილებს, იმ ასაკში სამხიარულო ბევრი სხვა რამეც ეყოფოდათ.

საფიქრალია, რომ ოცდამეერთე საუკუნეს და მესამე ათასწლეულს კაცობრიობა მეორიათასე წლის პირველ იანვარს შეეგებება...

აი, მეოთხე ათასწლეულის საქმე როგორ იქნება, დღეს ძნელი დასადგენია. მითუმეტეს, რომ იმ დროისათვის ხალხი ალბათ ახალ წელთაღრიცხვაზე გადავა.

დეკემბრის იმ ღამეს თოვლი მოსულიყო. ქალაქის ასფალტზე ფეხი ვერ მოეკიდა, მხოლოდ სახლების სახურავებს დაპატრონებოდა. უთენია მთაწმინდაზე მიმავალი უკაცრიელ ქუჩაში გადაეყარე ბიჭსა და გოგოს, და ეს უკანასკნელი ისეთი ნდობით და სურვილით, ისე მორჩილად ეკვროდა თანამგზავრს, რომ ცხადი იყო წუხელ მას უკანონოდ და მთლიანად სჩუქნიდა თავის ქალურ საუნჯეს, ღარიბ სიმდიდრეს, რაზე ძვირფასი არაფერი გააჩნდა...

როგორც კი მთაწმინდის აღმართს მიადექი, თოვლიც იქ დაგხვდა, თხელ ხელშეუხებ ფენას დაეფარა ქვაფენილი და ვიწრო, მოასფალტებული ტროტუარი, და შენ ტროტუარს აყევი. შენს წინ იქ არავის გაევლო, უკან კი თეთრი, ელექტრონის შუქზე ოდნავ შესამჩნევი ნაფეხურები მოგდევდნენ და ამის გამო უკან დარჩენილი თოვლი მაინც ის აღარ იყო, რაც წინ გხვდებოდა. და ეს თითქოს მცირე ამბავი აჩენდა სიამის მომტან შეგრძნებას. ამას ქონდა მნიშვნელობა, როგორც აქვს იგი გასათხოვარი გოგონას ქალიშვილობას... აქვს მნიშვნელობა, რაც არ უნდა თქვას ვითომ ევროპულად აღზრდილმა ხალხმა...

მამადავითის ეკლესია პატარა პროჟექტორებით თეთრად იყო განათებული, ხოლო ტროტუარს მიყვებოდნენ სწორედ ის ფარნები, რომლებიც მტკვრის მარცხენა სანაპიროდან მოჩანან, როგორც ძვირფასი სამკაულის შემადგენელი ალმასები...

ფუნიკულორის შუა გაჩერებაზე მისულმა დიდხანს უცქირე ქალაქს. ჯერ კიდევ ბნელოდა. ნამგალა მთვარე მთლად გამოლეულიყო. მანქანების ხმაური არ ისმოდა. ქვევით უხვად გაბნეული მომწვანო-მოლურჯოდ, მუქყვითლად და თეთრად მოკამკამე ნათურები დათოვლილ სახურავებთან ერთად სილაღის მომტან სილამაზეს ქმნიდნენ, ხოლო აღმოსავლეთით მთების თავზე გავლებული ნათელი, ვარდისფერნაკრავი სარიჟრაჟო ზოლი მოულოდნელ, დაუჯერებელ მშვენიერებას მატებდა არემარეს და იმასაც მიანიშნებდა, რომ ეს ზღაპარი მალე დასრულდებოდა...

ლიანდაგის გვერდით მიმავალ ციცაბო კიბეს მიყვებოდი, საფეხურებს უცქერდი, გზაში თითქმის არ შეგისვენია. მხოლოდ ზედა სადგურის შენობის წინ გამოსულმა კვლავ გადმოხედე ქალაქს. საკმაოდ გათენებულიყო. ანთებული ნათურა სანთლით საძებნელი გამხდარიყო. ქუჩის ლამპიონები ჩაექროთ. ზღაპარი გამოეთიშათ...

...ვერა, მაინც ვერ გადმოეცი, ვერ თქვი ის ყოვლადდღიური და გაუნელებელი სიყვარული, რასაც ყოველთვის გრძნობ მთაწმინდისადმი. და არ შეიძლება არ გრძნობდე, ვინაიდან მთაწმინდა დედის მარცხენა ძუძუა, რომელიც ქართულ პოეზიას თეთრ რძეს აწოვებს...



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ფრანც ბეკენბაუერი

# ჩემი მეგობრები—მეტოქენი

31 მაისს მექსიკაში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის წინადღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების სახელგანთქმული კაპიტანი, დღეს კი მისი მწვრთნელი ფრანც ბეკენბაუერი შეხვდა თავისი თაობის გამოჩენილ ფეხბურთელებს: პელეს, ლევ იაშინს, რივერას, ეისებიოს.

ჟურნალ „შტერნის" ფურცლებზე იგი გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს მსოფლიოში სახელგანთქმულ სპორტსმენებზე, რომლებმაც თანამედროვე ფეხბურთის ისტორიაში ნათელი ფურცლები ჩაწერეს; გვიამბობს მათ ბედ-იღბალზე, ამავე დროს ახალი შტრიხებით ავსებს დასავლეთის პროფესიული სპორტის პორტრეტს.

მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ამ თავისებური რეპორტაჟიდან.

პელე

ბრაზილიაში ზაფხულის დილაა — ლურჯი ცა და კაშკაშა მზე; ჩრდილში 30 გრადუსია, ზღვიდან მაცოცხლებელი ნიავი უბერავს. მაგრამ მე აქ იმისთვის კი არ ჩამოვსულვარ, რომ დროებით თავი დამეღწია ევროპის ავდრიანი ზამთრისათვის. მე ჩემი მეგობრის პელეს სტუმარი ვარ.

მისი ახალი სახლის აივანზე ვსხედვართ. ეს სახლი ნახევარკუნძულ გუარუხაზეა სანტოსიდან 15 წუთის სავალზე, სადაც პელემ 18 წელი ითამაშა ადგილობრივ საფეხბურთო კლუბში.

პელე სრულიად არ შეცვლილა, ყოველ შემთხვევაში ერთი შეხედვით ასე ჩანს. დრო თითქოს გაჩერდა მისთვის. წონაში არც ერთი გრამი არ მოუმატნია, კარგად ნავარჯიშევი სხეული და მსუბუქი სიარული აქვს... სიცილითაც ძველებურად იცინის თავისი დაბალი, მელოდიური ხმით, რომელიც ასე სენტიმენტალურად ჟღერს, როცა გიტარაზე დაამღერებს ხოლმე.

მე ბედნიერი ვიყავი ამ შეხვედრით იმიტომ, რომ ჩემთვის პელე ყველა დროის უდიდესი ფეხბურთელია.

მისი ნამდვილი სახელია ედსონ არანტის დუ ნასიმენტუ. სწორედ ეს სახელი დაარქვეს მშობლებმა, როცა ის დაიბადა 1940 წლის ოქტომბერში. გაიზარდა პატარა ქალაქში სანტოსიდან 400 კილომეტრზე. მამამისი პროფესიონალი ფეხბურთელი იყო, მაგრამ სიმდიდრე ვერ დააგროვა. როცა მძიმე ტრამვის შემდეგ უმუშევარი დარჩა, ოჯახს უკვე 8 წლის ედსონი არჩენდა. თავის პირველ კრუზეიროებს ის სისხლისფასად შოულობდა: ხან ფეხსაცმელების მწმენდავი იყო და ხანაც გაზეთების დამრიგებელი, მოგვიანებით, როცა კლუბ „სანტოსის" პროფესიონალი ფეხბურთელი გახდა, სახელად პელე დაირქვა.

და აი, იგი ზის საკუთარი სახლის აივანზე და აშკარად ამაყობს თავისი შენაძენით. მე მესმის მისი. ჩემთვის ნაცნობ ფეხბურთელთა უმრავლესობა დაბალი ფენიდან, სიღარიბიდან გამოვიდა. იმას, ვინც მოახერხა მაღლა ასვლა, პანიკური შიში აქვს იმისა, რომ შეიძლება ისევ იქ მოუხდეს დაბრუნება, საიდანაც თავი დაიხსნა.

სან-პაულუს აეროპორტში პელეს ძმა სიზინიო დაგვხვდა.

სახლისაკენ რომ მივდიოდით, გზაზე მან რამდენიმე მჟევრმეტყველური სიტყვა გვითხრა: „ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობენ თეთრები და შავები, მულატები და ინდიელები, პორტუგალიელები, გერმანელები და იაპონელები. ნებისმიერი პოლიტიკური მოღვაწე უარყოფს ჩვენთან რასიზმის არსებობას. მაგრამ ის არსებობს შენიღბულად, წვრილმან საყოფაცხოვრებო გამოვლინებებში და ძალიან ბევრი ბრაზილიელი იტანჯება დისკრიმინაციისაგან. თეთრები იყვნენ და დარჩნენ ბატონებად, შავი კი ყოველთვის შავი იქნება. პელეს შავი კანი აქვს, რომელიც დიდებისა და ფულის წყალობით ოდნავ ფერმკრთალდება. პელესათვის ახალი სახლი თუ რას ნიშნავს, ამას ვერ წარმოიდგენს ის, ვინც ბრაზილიას არ იცნობს".

პელეს ძალიან უხარია მეგობრების სტუმრობა და მთხოვს დიდხანს დავრჩე მასთან. მაგრამ მერე ახსენდება, რომ სამუშაოს მიტოვება არ შეუძლია — მე ვერასოდეს ვერ შევძლებდი მწვრთნელობას, — მეუბნება იგი, — ამისთვის მოთმინება არ მეყოფოდა, გარდა

ამისა, ჩემს ალსაზრდელებს უსაზღვრო მოთხოვნილებებს წავუყენებდი...

დიდი ხანია მას ვიცნობ, 1958 წლიდან, როცა პირველად დავინახე ტელეეკრანზე შვეციის მსოფლიო ჩემპიონატზე: „აი, იგი — პელე — ახალი სახწაული — თავდამსხმელი, თუმცა ჯერ 18 წლისაც არ არის!“ — ალტაცებით ყვიროდა ტელეკომენტატორი, იმ დროს მე „ბავარიის“ ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობდი, ერთ სეზონში 101 გოლი გავიტანე და უკვე ვუყოჩობდი, მაგრამ პელეს რომ ვუყურე, პირი დავალე. ის მინდორზე ისეთ რალაცეებს აკეთებდა, რომ სხვა ნორმალური ადამიანი ორივე ფეხს მოიმტვრევდა. ბურთს რომ მიიღებდა, გეგონებოდა ბუცებზე მიკრული აქვსო. ეს იყო ხელოვნება, არტისტიზმი, ჯადოქრობა. საკუთარმა ღირსებებმა ჩემს თვალში უცებ დაკარგეს ფასი. მაშინ რომ ვინმეს ეთქვა: პელესთან ერთად ოდესლაც ერთ გუნდში ითამაშებო, გიჟად ჩავთვლიდი.

მაგრამ 19 წლის შემდეგ, 1977 წლის მაისში ჩვენ მართლა ჩავიცვით ერთი გუნდის ერთნაირი სპორტული ფორმები. ეს იყო ნიუ-იორკის „კოსმოსი“. ამერიკელებმა მაშინ გადაწყვიტეს პოპულარიზაცია გაეკეთებინათ ფეხბურთისათვის, როგორც პროფესიული სპორტის ახალი სახეობისათვის ამერიკულ ფეხბურთთან (რეგბი), კალათბურთთან და ბეისბოლთან ერთად. და პელე იყო „სუპერვარსკვლავი“, რომელსაც მასების ინტერესები უნდა დაეპყრო.

## როცა „ვარსკვლავები“ ტირიან

მიუნჰენის „ბავარიიდან“ ნიუ-იორკის „კოსმოსში რომ გადავედი, ამერიკა უკვე მოეცვა საფეხბურთო ციებ-ცხელებას.

50-ჯერ ვითამაშე პელესთან ერთად. მერე დადგა განშორების ჟამი.

1977 წლის ოქტომბერში „კოსმოსმა მოაწყო პელესთან გამოსათხოვარი მატჩი; მოწინაალმდეგედ მოიწვიეს მისი ძველი კლუბი „სანტოსი“.

ნიუ-იორკის სტადიონ „ჯაიენტზე“ 75 ათასზე მეტმა მაყურებელმა მოიყარა თავი.

პელე პირველ ტაიმში „კოსმოსში“ თამაშობდა, მეორე ტაიმში კი უკანასკნელად ჩაიცვა თავისი მშობლიური კლუბის „სანტოსის“ ემბლემიანი მაისური.

პელეს არაერთხელ გავუკვირვებივარ ხასიათის ახალ-ახალი თვისებებით. მახსოვს, ეს მსოფლიოში აღიარებული ოსტატი, გულშემატკივართა კერპი, ადამიანი, ვინც მილიონებს ლებულობდა, როგორ ქვითინებდა გასახდელში მთელი გუნდის თვალწინ, როცა „კოსმოსის“ ბოსმა სტივ როსმა უცებ გამოაცხადა, რომ ჩვენი მწვრთნელი გორდონ ბრედლი მოხსნესო. არასოდეს მინახავს, პროფესიონალ ფეხბურთელს გულთან ასე ახლოს მიეტანოს ვინმეს ბედ-იღბალი.

ახლა, როცა მოგონებათა პრიზმაში ვატარებ დღევანდელ პელეს, ვხედავ, რომ შეცვლილა, — დასერიოზულებულა და უფრო მკაცრი გამხდარა.

— შენი არ ვიცი, პელე, და მე ვგრძნობ, რომ დავკარგე... უდარდელობა მას შემდეგ, რაც თამაშს თავი დავანებე. ადრე ჩვენ, მოთამაშეებს, ყოველთვის ვიღაც გვათავისუფლებდა ყველა პრობლემისაგან. შეიძლება ითქვას, ჩვენში ახშობდნენ დამოუკიდებლობის გრძნობას და მოულოდნელად როცა ყველაფერი უკან დარჩა, თითქოს თვალი აგეხილა და პირისპირ აღმოჩნდი ცხოვრების წინაშე...

— სწორია, ფრანც, ეს გრძნობა ჩემთვისაც ნაცნობია. ბევრ რალაცას მხოლოდ მას შემდეგ ჩავწვდი, რაც ფეხბურთიდან წამოვედი. გული გამიტყდა, დამეუფლა უკმაყოფილების გრძნობა — უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ქვეყნისადმი. ჩვენ ასე მდიდრები ვართ და მაინც მილიონობით ბრაზილიელი სიღატაკეში ცხოვრობს. რამდენი რამეა მოსაწესრიგებელი, მაგრამ ვის აინტერესებს ჭეშმარიტი პრობლემები? როცა ობოლი ბავშვების ყურადღების თაობაზე ხმაური ავტეხე, დემაგოგობა დამაბრალეს, — ვეცადე ამეტეხა განგაში ახალგაზრდებს შორის სისხლის სამართლის დანაშაულის ზრდის გამო, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია; „სანტოსში“ ჩემი თამაშის ბოლო წლის მთელი ჰონორარი გადავეცი საქველმოქმედო მიზნებისათვის, მაგრამ გაზეთებში დაწერეს, რომ ეს მორიგი სარეკლამო ფინტი იყო.

პელე — ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდარული წარსულია. მაგრამ როგორ გამოიყურება მისი დღევანდელობა? ჰყავს თუ არა ბრაზილიურ კლუბებს მომავალი პელეები?

ჩემი მეგობარი საკმაოდ პესიმისტურადაა განწყობილი: — „ჩვენ აღარა გვყავს დიდი ფეხბურთელები“. იმათგან, ვინც ეროვნულ ნაკრებში მისი მემკვიდრე გახდა, ბევრს არაფერს მოველით: „არა მგონია მეხიკოში ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდეს“.

ამაში ვერ დავეთანხმები, მაინის ფრანკფურტში ამხანაგურ შეხვედრაში დამარცხების მიუხედავად, ბრაზილიელები მსოფლიო ჩემპიონატის მთავარ ფავორიტებად მიმაჩნია. განა ეს თითქმის იგივე გუნდი არ არის, რომელმაც 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საუკეთესო ფეხბურთი რომ აჩვენა?

რაც არ უნდა მოხდეს მეხიკოში — გაიმარჯვებს თუ დამარცხდება ბრაზილიელთა გუნდი, პელე მათთანაა ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ იგი ტელეკომენტატორად მიიწვია.

საერთოდ, ძველებურადვე დიდია მასზე მოთხოვნილება: რეკლამას უკეთებს ნაირნაირ საქონელს, ძმასთან ერთად ხელმძღვანელობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფირმა „პელე კომერსს ენდ ენტერპრაისის“. ამ ფირმას ფილიალები აქვს სან-პაულოში, რიო-დე-ჟანეიროსა და ნიუ-იორკში. მას კინოშიც იღებენ. ჰქონდათ თუ არა წარმატება ამ ფილმებს?

— ეს არ გამიგონია, რომ მაყურებელს იერიშით აეღოს საბილეთო სალარო, — იცინის პელე, — მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვი, რომ როლი ჩამივარდა.

ახლა ის მონაწილეობს ტელესერიალში ბრაზილიის ფეხბურთის ისტორიის შესახებ.

პელემ ჩოგბურთის თამაში ისწავლა. მრავალჯერ და ყოველთვის წარუმატებლად მიცდია მისი დაჩაგვრა ფეხბურთის მოედანზე. ამიტომ ახლა ვერ ვუძლებ ცდუნებას ავიღო რევანში თუნდაც ჩოგანის საშუალებით. მოგებით კი ვიგებ, მაგრამ ძვირად მიჯდება. — სულს ძლივს ვითქვამ და დასისხლიანებული ფეხები მტკივა.

ჩემი ჩამოსვლის ამბავი გაუგიათ და ორი საათის შემდეგ ჩვენ ინტერვიუს ვაძლევთ რადიოს რეპორტიორს.

— როგორ დამთავრდა ჩოგბურთის მატჩი ფრანც ბეკენბაუერთან? — წასვლისას ეკითხება რეპორტიორი პელეს.

მე მგონი, ფრანცმა თავი არ უნდა მოიკლას ნაგების გამო, — პასუხობს პელე თვალის დაუხამხამებლად, — გზაში დაიღალა, დროის სხვაობამაც იმოქმედა, შეუჩვევლად ცხელა — ეს ყველაფერი გასაგებია...

— რაო? — ვყვირი მე, როცა მის პასუხს მითარგმნიან, — კი, მაგრამ მე ხომ მოგიგე?

ჩემი მეგობარი პელე გაოცებისაგან გაფართოებული თვალებით მიყურებს. იგი თვით უმანკოებაა!

როგორ შემეძლო თუნდაც ერთი წუთით მეფიქრა, რომ პელეს უფლება აქვს გულები დაუხეთქოს ბრაზილიელებს თავისი წაგების აღიარებით.

## ლევ იაშინი

მე და ლევ იაშინი ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ვსეირნობდით.

ცივმა, ნესტიანმა დილამ ადგილი დაუთმო დღეს, მაგრამ თავისი ნისლიანი საფარი ჯერ კიდევ არ ჩამოუცილებია მოსკოვის უდიდესი სპორტული არენისათვის.

ჩემი ცხოვრების მანძილზე რამდენჯერ გამოვსულვარ ამ სტადიონის სათამაშო მინდორზე! მაგრამ დღეს გვერდში მომყვება მსოფლიოში სახელგანთქმული ლევ იაშინი. ნეტავი თუ ახსოვს ის ტროპიკული, ცხელი საღამო რიო-დე-ჟანეიროში, როცა ჩვენ მსოფლიო ნაკრებში ერთად გამოვედით „მარაკანას“ გიგანტურ სტადიონზე და 150 ათასი კაცის ტაშისცემის ქარიშხალი დაგვატეხეს თავზე?

მოედანზე ვჩერდებით. იაშინი, ეს ლეგენდარული გოლკიპერი, ფეხბურთის გულშემატკივართა კერპი არამარტო თავის ქვეყანაში, ფეხბურთით შეპყრობილი ადამიანი, რომელთანაც ამდენი მოგონება მაკავშირებს, ჯოხით სინჯავს ბალახს, თითქოს ამოწმებს როგორი მინდორია დღესო. ჩემი აზრით, ფეხბურთელებს ეს ჩვევა მთელი სიცოცხლე არ უქრებათ.

ამ სტადიონზე, შარშან, აგვისტოში, ჩვენმა ნაკრებმა 0:1 წააგო, საბჭოთა გუნდმა მაშინ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მე მგონი მეხიკოში უფრო დიდ წარმატებას მიაღწევს, ვიდრე ესპანეთის წინა ჩემპიონატზე, სადაც ასე არ გაუმართლა.

— იქ, მინდვრის მეორე მხარეს, კარებში ვითამაშე ჩემი უკანასკნელი თამაში, — მიამბობს ლევ იაშინი. — ეს იყო 1971 წლის 27 მაისს, ჩემი გუნდი მოსკოვის „დინამო“ ევროპის ნაკრებს ხვდებოდა. ყველა იყო იქ — ჰერდ მიულერი, ვალი შულცი, ბობი ჩარლტონი, ეისებიო პორტუგალიიდან. მხოლოდ შენ არ ჩამოხვედი, ფრანც, საქმეები გქონდა?

— საქმეები კი არა, ექიმებმა არ გამომიშვეს — თირკმელში კენჭები აღმომაჩნდა. არა და, როგორ მინდოდა იმ მატჩში მონაწილეობა..

თავისი გამოსათხოვარი თამაში იაშინმა 41 წლის ასაკში ითამაშა. დღესაც არ დავიწყნია როგორ გამოიყვანეს სტადიონიდან ხელში აყვანილი 100 თასი მაყურებლის ოვაციებით.

მხოლოდ მაშინ ვიგრძენი ნათლად, რომ ჩემი დრო წავიდა, მძიმე დღე იყო.

იაშინი! ამ ჯადოქარი მეკარის სახელი გავიგონე, მგონი, 1955 წლის ზაფხულში, როცა ჩვენი ფეხბურთელები მოსკოვში შეხვდნენ საბჭოთა გუნდს. მაშინ ათი წლისა ვიყავი და მიუნჰენში ვცხოვრობდი. ჩვენ სახლთან ახლოს პატარა რესტორანში ტელევიზორი იდგა. თუმცა ჩანაწერი თამაშიდან სამი დღის შემდეგ აჩვენეს, რესტორანში მაინც იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ მისი პატრონი შეშინებული იყო, აქაურობა არ დამინგრიონო.

არც ისე დიდი ხნის წინ მტრულ ქვეყანათა შორის საფეხბურთო შეხვედრა სენსაცია იყო. ჩემს ირგვლივ მამაკაცების საუბარი ჯერ კიდევ ომის თემას არ სცილდებოდა. სპორტული კომენტატორი კი წამდაუწუმ ერთ ფრაზას გაჰყვიროდა: „იაშინმა აიღო ბურთი!“

ჩვენმა გუნდმა მაშინ წააგო. ვისმენდი სიტყვებს: „მოსკოვი, იაშინი, რუსეთი“ და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს თამაში სადღაც სხვა პლანეტაზე მიმდინარეობდა.

მოგონებები...

სტადიონის მთავარი შესასვლელის გვერდით სპორტის მუზეუმია მოთავსებული. ერთი სტენდი მთლიანად იაშინს ეძღვნება. აი, ისიც —ოქროს ბურთი — ევროპის საუკეთესო მოთამაშის ჯილდო, გვერდით კი ათობით მედალი, სამკერდე ნიშანი, ფოტოსურათი, სუვენირები.

## „პიროვნება, როგორსაც ბევრს ვერ შეხვდებით“

როგორი ბრწყინვალე სპორტული კარიერაა! 1956 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, 1960 წლის ევროპის ჩემპიონი, 1970 წლამდე ყველა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე? იგი კარებს იცავდა 78 საერთაშორისო შეხვედრაში, რომ, ალარაფერი ვთქვათ, თავის მშობლიურ „დინამოში“ ჩატარებულ მატჩებზე.

მაგრამ იაშინი სხვა სპორტული „ვარსკვლავებისაგან“ მარტო თავისი ტიტულებით კი არ გამოირჩეოდა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ის პიროვნებაა, როგორსაც ბევრს ვერ შეხვდებით ჩვენთან ფეხბურთში. იგი ასხივებდა ადამიანურ სითბოს, რაც ასე იშვიათია ჩვენს საქმეში. იგი იყო ინტელიგენტური მეკარე: ყოველთვის იღებდა ყველაზე უბრალო და ესე იგი, ყველაზე სწორ გადაწყვეტილებას თამაშში. იგი მეფობდა არა მარტო თავის საჯარიმო მოედანზე, არამედ „დირიჟორობდა“ მთელ დაცვას. რა მიმართულებითაც უნდა გაფრენილიყო ბურთი, იაშინი თითქოს უკვე ჩასაფრებული ელოდებოდა ისე, რომ არ სჭირდებოდა ფსევდოეფექტური ნახტომები. მას აღებული აქვს ასზე მეტი პენალტი. იქნებ თავდამსხმელებს მუხლები უკანკალებდათ, როცა იაშინთან პირისპირ რჩებოდნენ!

— ბავშვებო, შეხედეთ, აქ თვითონ ამხანაგი იაშინია! — ამბობს უცებ ექსკურსიამძღოლი. პიონერებით გარშემორტყმული ქალი თვალებს არ უჯერებს. ბავშვები მხურვალედ უკრავენ ტაშს. ყველგან, სადაც კი იმ დღეებში ვიყავი ლევ იაშინთან ერთად, მე მოწმე ვიყავი გულისამაჩუყებელი სცენების, რითაც ხალხი თავის სიყვარულს და პატივისცემას გამოხატავდა შესანიშნავი სპორტსმენის მიმართ და როგორ განსხვავდებოდა ეს შეხვედრები ჩვენში გამეფებული ფაცი-ფუცა, ბრტყელ-ბრტყელი თაყვანისცემისაგან:

მოსკოვი. აქ წუხელ საღამოს ჩამოვედი და ლევ იაშინი აეროპორტში დამხვდა. რამდენიმე თვის წინათაც მყავდა ნანახი, მაგრამ მაშინ შეჯიბრზე ვიყავი ჩამოსული და მთელი დრო დაკავებული მქონდა მოგზაურობითა და ვარჯიშებით. იაშინთან და მოსკოვთან შეხვედრა ძალიან ხანმოკლე იყო. ახლა კი სულ სხვაა: არც პრეს-კონფერენციები, არც თამაშისწინა დაძაბულობა და არც თამაშის შემდგომი ცუდი გუნება-განწყობილება, როგორც აგვისტოში იყო. ახლა შემიძლია ამ ქალაქს სხვა თვალით შევხედო.

„სადოვოე კოლცოზე“ მანქანების ნაკადში გზას ძლივს მივიკვლევთ. ისეთია შთაბეჭდილება, თითქოს მთელი ქალაქი ფეხზეა. როგორც იაშინი მიხსნის, მოსკოვისათვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. უკვე ვიყავი წითელ მოედანზე, დავტკბი კრემლის საოცარი ტაძრებით, ვუყურე ყარაულის ცვლას ლენინის მავზოლეუმთან.

ახლა მანქანით გავდივართ გორკის ქუჩაზე, ჩავუარეთ პუშკინის ძეგლს, ბელორუსიის ვაგზალს და აი, ლევ იაშინი მაცნობს:

— შეხედე, ფრანც, ეს „დინამოს“ სტადიონია. 20 წელზე მეტი აქ იყო ჩემი მეორე სახლი.

ლევ იაშინი მოსკოვის გარეუბანში გაიზარდა — სოკოლნიკები მაშინ გარეუბნად ითვლებოდა. ერთ-ერთ ქარხანაში სწავლობდა მღარავის პროფესიას. — იქ დავიწყე ფეხბურთის თამაში, — მიამბობს იგი. — ერთხელ მწვრთნელი მომიახლოვდა და მეუბნება: კარში ჩადგები! ხომ წარმოგიდგენია როგორ ვიდარდებდი! მაგრამ მერე გადავწყვიტე: თუ ასეა, მივაღწევ იმას, რომ ბურთი არ გავუშვა და თანაც მიწაზე რაც შეიძლება ნაკლებად ვიგორო. ამისთვის კი ტვინის განძრევა იყო საჭირო და იცი, რაღაცნაირად გამომივიდა“.

ალბათ სხვა ყველაფერიც გამოსდის. ახლა ლევ იაშინი ფეხბურთის სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკია (სსრკ სპორტკომიტეტში — რედ.) იგი თვლის, რომ ცხოვრებაში ორი შეცდომა დაუშვა: იმ უკანასკნელი თამაშის შემდეგ თავი რომ დაანება აქტიურ სპორტს და არ ისწავლა უცხო ენები.

იგი ამაყობს იმით, რომ რიო-დე-ჟანეიროში, მიუხედავად მოტეხილი ფეხისა, მონაწილეობა მიიღო მატჩში და თვით პელემაც კი ვერ გაუტანა გოლი.

## ბობი ჩარლტონი

ამჟამინდ ალარაფერი მაკვირვებს, მაგრამ ასეთი რამ კი ნამდვილად არ მინახავს: გვერდით მიდგას ფეხბურთის კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვიცე-პრეზიდენტი, რომელმაც მოულოდნელად დააძრო ჯიბიდან პისტოლეტი, ორჯერ გაისროლა ჰაერში და დაუყვირა დარბაზში თავმოყრილ ხალხს:

— ჯენტლმენებო, ყურადღებას ვითხოვ!

დარბაზში მაშინვე დუმილი გამეფდა.

— ბატონებო, — განაგრძელა ორატორმა, — დღეს სტუმრად გვყავს ბობი ჩარლტონი, რომელსაც თქვენ ელოდით. მაგრამ აქ კიდევ არის ერთი სტუმარი, რომელიც მოულოდნელად გვეწვია, ეს არის ბობის მეგობარი ფრანც ბეკენბაუერი. მივესალმოთ, ბატონებო! — და თავისი ზარბაზანი მშვიდად ჩააბრუნა ჯიბეში.

ბობი ჩარლტონმა ჩაიცინა:

— ფრანც, დღეს შენ ტიპიურ ინგლისურ დროსტარებას ნახავ.

ჩვენ ვდგავართ მანჩესტერის სპორტული საზოგადოების კლუბის „კლიფტონ ქანტრი კლაბის“ დარბაზის [illegible] 2 ათასი კაცია [illegible] ფეხბურთის, რაგბის, [illegible], კრიკეტის, აქვთ კეგელბანი.

ჩვენი მასპინძელი ფეხბურთის სექციაა. ბობი ჩარლტონს სთხოვეს ეამბნა თავის თავზე. შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლა ფასიანია. მაგრამ მაგიდებთან ვერც ერთ თავისუფალ ადგილს ვერ ნახავთ. ისეთ ადამიანთან შეხვედრა, როგორიც ბობია, ყოველდღე კი არ ხერხდება.

თითქმის 20 წლის წინათ ვთამაშობდი მის წინააღმდეგ. მაშინ 21 წლისა ვიყავი, ბობი ჩარლტონი ჩემზე 7 წლით უფროსი გახლდათ. ის უკვე თავისი კარიერის მწვერვალზე იყო, როცა 1966 წლის 30 ივლისს ერთმანეთს შევხვდით ლონდონის „უემბლის" სტადიონზე. მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო თამაში მიმდინარეობდა.

მე უნდა „დამეჭირა" ბობი ჩარლტონი, კაცი, რომელიც სულს უდგამდა ინგლისელების თამაშს; იგი სტაიერივით დარბოდა, გამუდმებით მოძრაობდა და სახიფათოდ, ხშირად კი წარმატებით ლაშქრავდა კარს.

მან საბოლოოდ გამომაცალა სიქა. ჩვენმა გუნდმა 2:4 წააგო.

1970 წელს მექსიკის ჩემპიონატზე ჩვენ ისევ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. მაგრამ ლიონში, სადაც ეს მატჩი შედგა, საქმე სულ სხვანაირად აეწყო, ვიდრე ლონდონში. მე ოთხი წლის გამოცდილება შევიძინე, ბობის კი ოთხი წელი მოემატა. ჩემი გოლის შემდეგ ანგარიში 1:2 რომ გახდა, მათი გუნდის მწვრთნელმა ბობი მინდვრიდან გაიყვანა. საბოლოოდ ჩვენ მოვიგეთ ანგარიშით 3:2.

ჩვენს გუნდებს შორის ეს ორი დუელი შეუდარებელი იყო დაძაბულობითა და დრამატიზმით. რა დიდებული სახელებია მათთან დაკავშირებული: ბობი მური — ინგლისელების კაპიტანი, ნობი სტაილზე — პატარა, ცქვიტი და საოცრად ენამწარე დამცველი, ჯეკი ჩარლტონი — ბობის უფროსი ძმა, მეკარე გორდონ ბენქსი, დამცველები ნიუტონი და კუპერი. მაგრამ ბობი ჩარლტონის სახელი ყველა დანარჩენს აფერმკრთალებდა.

106-ჯერ ითამაშა მან ინგლისისათვის, 700-ზე მეტი — „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" და თან 200 გოლი გაიტანა. მოიგო ევროპისა და ინგლისის თასები, ქვეყნის სამი ჩემპიონატი, იგი ბურთს თავის ნებაზე ათამაშებდა, მას უწოდებდნენ ინგლისელ პელეს, იგი „დირიჟორობდა" მთელი გუნდის თამაშს და თვითონაც ბევრი გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.

და აი, ბობი დგას „კლიფტონ ქანტრი კლაბში" შეკრებილთა წინაშე და ლაპარაკობს 1953 წლის ნაცრისფერი შემოდგომის დღეზე, როცა ის, თხუთმეტი წლის ბიჭი, დიდი ზომის პალტოში გამოწყობილი, ჩემოდნით ხელში ჩამოვიდა მატარებლიდან მანჩესტერის ცენტრალურ სადგურში.

## ფულისა და დიდების საწამლავი

ბობის სამშობლო — პატარა ქალაქი ნორტჰამბერლენდში. მანჩესტერიდან ორი საათის სავალზეა. ის მაღაროელთა წრეში გაიზარდა. დედის ძმები დიდი გატაცებით თამაშობდნენ ფეხბურთს.

— მე პროფესიონალად გახდომა მინდოდა. გამოვიანგარიშე, რომ თუ ყოველ წელიწადს 100 ფუნტს გადავდებდი, 20 წელიწადში იმდენ ფულს შევაგროვებდი, რომ ერთი პატარა საქმის გახსნასაც შევძლებდი. აი, ბატონებო, რაზე ვოცნებობდი, როცა „მანჩესტერ იუნაიტედში" მოვედი. უკვე პირველ გუნდში ვთამაშობდი და მაინც 16 ფუნტს მიხდიდნენ კვირაში. ეს ფული ზუსტად მეყო ველოსიპედისთვის, რომლითაც ვარჯიშებზე დავდიოდი. დღევანდელი ახალგაზრდა ფეხბურთელები გაცილებით განებივრებულები არიან. ამას წინათ ერთმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა სკანდალი მოაწყო იმის გამო, რომ სასტუმროს ნომერში მისი საყვარელი მარკის მინერალური წყალი არ დაახვედრეს. აი როგორ იცვლება დრო.

მას აპლოდისმენტებით პასუხობენ. მე ვფიქრობ, ადამიანებს ყველგან უყვართ იმის მოსმენა, რომ წინათ უკეთესი დრო იყო. ბობი კი კარგად იცნობს თავის აუდიტორიას.

ბობი ჩარლტონი, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „შეზლონგში ჩაჯდა" 1972 წელს 34 წლის ასაკში. „ასე მგონია ორიოდე წლით ადრე მაინც დავტოვე ფეხბურთი, — ამბობს იგი სასტუმროსკენ მიმავალ გზაზე. — მე ახლაც ადვილად გავუძლებდი ორ ტაიმს". 60 ათასზე მეტი მაყურებელი ესწრებოდა მის გამოსათხოვარ მატჩს „მანჩესტერ იუნაიტედის" კლუბის ცნობილ სტადიონზე „ოლდ ტეფორდზე".

— მერე როგორ გადაიტანე განშორება?

— მაინცდამაინც კარგად ვერ ვგრძნობდი თავს. მეორე დღეს დილაადრიან ჩვეულებრივ დავიწყე სპორტული ჩანთის ჩალაგება, მაგრამ ცოლმა შემაჩერა: „ბობი, საით აპირებ? შენ ხომ აღარ თამაშობ!" მხოლოდ სამი კვირის შემდეგ შემომთავაზა ჩემმა მეგობარმა ფრედი პაიმ დირექტორის ადგილი თავის სამოგზაურო ბიუროში. ასე გამოჩნდა საქმე.

ჩარლტონის სარეკლამო სახელის წყალობით საქმე კარგად აეწყო; მექსიკის წლევანდელ ჩემპიონატზეც ბობიმ გაუკეთა ორგანიზაცია ტურისტულ საგზურებს. გარდა ამისა, მან შექმნა სკოლა დამწყები ფეხბურთელებისათვის.

ბობიმ მაჩვენა „ოლდ ტრეფორდის" სტადიონი, სადაც 60 წელზე მეტია თავის თამაშებს მართავს „მანჩესტერ იუნაიტედი", ეს სპორტული საზოგადოების საკუთრებაა. 1941 წელს, — მიამბობს ბობი, — სტადიონი გერმანელების ბომბებმა დაანგრიეს, ომის შემდეგ აღადგინეს და სულ ახლახანს განაახლეს: გადახურული ტრიბუნები, სექტორებს შორის რკინის გისოსები, ტელეკამერების მთელი ბატარეია, რითაც პოულობენ განსაკუთრებით მეამბოხე თაყვანისმცემლებს.

— ჯერ კიდევ მოქმედებს თქვენზე „ბრიუ-

„ხელის შოკი?" — ვეკითხები მე. 1985 წლის 29 მაისს ევროპის თასისთვის გამართულ შეჯიბრში ტურინის „იუვენტუსსა" და ლივერპულის გუნდებს შორის გამართულ მატჩზე ბრიტანელ გულშემატკივართა თავაშვებულობამ ბრიუსელის სტადიონზე 39 კაცის სიცოცხლე შეიწირა.

— ამ სამარცხვინო ლაქას ვერ ჩამოვირეცხავთ. ისეთებს რა გამოლევს, ვერაფერს რომ ვერ შეასმენ, მაგრამ ბევრი უკვე გონს მოეგო. მართალია, ჩვენეთან მანჩესტერში ასეთი პრობლემები არასოდეს გვქონია, მაგრამ ბრიუსელში დაღუპულთა ცოდვა ჩვენს კისერზედაცაა.

კლუბში კედლებზე ჰკიდია წარსულში ცნობილი ფეხბურთელების სურათები. აქ არიან დენის ლოუ, ჯორჯ ბესტი, ჰენრი კოკბერნი. ბობის ვეკითხები:

— მითხარი, მართლა უკეთესად თამაშობდნენ მაშინ?

ის მხრებს იჩეჩავს:

— შეიძლება დღევანდელ ახალგაზრდობას ყველაფერი უფრო ადვილად მოხდის ხელში. ისინი ძალიან ადრე ეჩვევიან დიდ ფულს, მათი სახელები ძალზე სწრაფად ჩნდება გაზეთების სათაურებში. ჰოდა, ბევრს ეწყება „მუცლის გვრემა".

მეორე დღეს შევიტყვე, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანი ბრაიან რობსონი ტრავმის გამო დიდი შესვენების შემდეგ პირველად გამოვიდა მინდორზე და იმავე მატჩიდან გააძევეს სერიოზული დარღვევებისათვის. ჯერ მოწინააღმდეგეს გაარტყა სახეში, მერე კი ჩხუბი აუტეხა მსაჯს.

ბობი ჩარლტონი, რომელიც ადრე კაპიტანი იყო, 20 წლის სპორტული ცხოვრების მანძილზე არც ერთხელ გაუძევებიათ მინდვრიდან, სხვათაშორის, არც მე. ამითიც განვსხვავდებით ჩვენ ფეხბურთელთა დღევანდელი თაობისაგან.

— ბობი, რა აზრისა ხარ მეხიკოში მოთამაშე თქვენს გუნდზე?

— უკანასკნელი წლების მანძილზე არასოდეს გვითამაშია ისე კარგად, როგორც ამ სეზონში. არიან იმედისმომცემი ბიჭები. მაგალითად მარკ ჰეიტლი და რეი უილკინსი — ბოლო დროს იტალიაში რომ თამაშობდნენ. კარში კარგად დგას პიტერ შილტონი. მერე დამცველები — ჰერი სტევენსი და კენი სემსონი. ჰოდლის, ლინეკერსა და ჰეიტლის ბურთების გატანა შეუძლიათ. მაგრამ ყველაზე მეტად ის მაღელვებს, შეძლებს თუ არა რობსონი „უდირიჟოროს" გუნდს. 1970 წელს მექსიკაში რომ გაგვანადგურეს. რაშიც შენც გირევია ხელი, გუნდი დასუსტდა. ბევრმა „მოხუცმა" მაშინ დატოვა ფეხბურთი და დიდი ფეხბურთელების შეცვლა გაჭირდა. თანაც ჩვენ ვცდილობდით გადმოგვეღო კონტინენტალური ფეხბურთი — ნაკლები ბრძოლა და მეტი სათამაშო ელემენტები. მაგრამ ახლა ვცდილობთ აღვადგინოთ ბრიტანეთის ფეხბურთის ძველი ღირსებები, ამიტომ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ათას რამეზე ვლაპარაკობთ. ვმსჯელობთ ინგლისურ ლიგაში შემოღებული თამაშის შეფასების ახალ სისტემაზე: ყაიმს ძველებურად მოაქვს ერთი ქულა, მაგრამ მოგების შემთხვევაში ორის ნაცვლად სამი ქულა იწერება. „ახლა უკვე ვეღარავინ ინებივრებს ყაიმებით", — ასკვნის ბობი. მას აგონდება თავისი პირველი საერთაშორისო შეხვედრა მიუნჰენში და უცებ სახე ეღრუბლება.

— მიუნჰენში ხელმეორედ დავიბადე, — ამბობს იგი და მე ვიცი, რასაც გულისხმობს.

1957 წლის 6 თებერვალს „მანჩესტერ იუნაიტედი" ბელგრადის „ჩერვონა ზვეზდასთან" მატჩის შემდეგ შინ ბრუნდებოდა მიუნჰენის გავლით, სადაც მათი თვითმფრინავი ცოტა ხნით დაჯდა. აფრენის დროს თვითმფრინავი ვერ შეაკავეს: იგი დათოვლილ აეროდრომზე გასრიალდა და აეროპორტის ფარგლებს გასცდა. ხანძარმა 28 მგზავრის სიცოცხლე იმსხვერპლა, მათ შორის იყო 8 ფეხბურთელი, სამი გამცილებელი და 8 ჟურნალისტი.

— ტალღამ თვითმფრინავიდან გადმომაგდო და სწორედ ამან გადამარჩინა. ძლიერი შოკის გარდა არაფერი მომსვლია, მაგრამ მაშინ დავიფიცე, რომ აღარასოდეს აღარ ვითამაშებდი ფეხბურთს და აღარ ვიმგზავრებდი თვითმფრინავით.

20 წლის ბობიმ გატეხა ფიცი და შემდგომში მანჩესტერის გუნდის ცენტრალური ფიგურა გახდა.

ახლა ჩინეთში აპირებს წასვლას; იქ იგი მიიწვიეს ფეხბურთელთა სკოლის დასაარსებლად.

— იცი, ფრანც, ვფიქრობ, რომ მე და შენ პირდაპირ გაგვიმართლა: ჩვენ ხომ ფეხბურთის აყვავების ყველაზე დიდებულ პერიოდში ვთამაშობდით. ამისათვის ბედს უნდა ვუმადლოდეთ.

## ჯანი რივერა

ასეც ვფიქრობდი: ნახევარი საათიც კი არ გასულა რაც მილანში ვარ და საუბარი მხოლოდ ერთ თემას ეხება — „საუკუნის მატჩს": 1970 წელს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე წავაგეთ თამაში იტალიასთან ანგარიშით 3:4.

ეს არცაა გასაკვირი, როცა ისეთი თანამოსაუბრეები გყავს, როგორიცაა ჯანი რივერა და კარლ-ჰაინც შნელინგერი.

— აკი გეუბნები, ჯანი, სამი ნაღდი პენალტის უფლება გვქონდა, მაგრამ მსაჯმა... ცხარობს შნელინგერი.

— წყნარად, ძმობილო, — სიცილით იგერიებს რივერა. — სწორედ იმ მსაჯს საათზე დახედვა რომ არ დავიწყნოდა, შენ 92-ე წუთზე ვერც ბურთს შეაგდებდი და ვერც ანგარიშს

გაათანაბრებდი. მაშინ დამატებითი დროის გარეშეც გავარდებოდით.

ამ მატჩის შემდეგ 16 წელი გავიდა, მაგრამ ამ „საფეხბურთო დეტექტივის“ ირგვლივ მოგონებები ისე ცინცხალია, თითქოს ყველაფერი გუშინ მოხდაო.

მე ვთვლი, რომ მიუხედავად პატარა ტანისა, იგი სულ 170 სანტიმეტრისაა; რივერა ფეხბურთის გოლიათია. იგი ყველას ჯობდა რაღაც განსაკუთრებული ინტელიგენტურობითა და ალღოთი, რაც მას საშუალებას აძლევდა თამაში დაენახა რამდენიმე „სვლით“ ადრე. შესანიშნავი ტექნიკის მქონე რივერა 20 წლის მანძილზე კლუბ „მილანის“ წამყვანი მოთამაშე იყო. 1962 წლიდან 1974 წლამდე მონაწილეობა მიიღო ოთხ მსოფლიო ჩემპიონატში, თავის გუნდთან ერთად ათჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, არაერთხელ მოიპოვა ევროპის თასი.

ჩვენ ერთმანეთს მექსიკაში შევხვდით. მე შემეძლო მისი ღირსებების სრულად გამოცნობა, მას კი ჩემი ღირსებებისა — მხოლოდ სანახევროდ. საქმე ის გახლდათ, რომ ტრავმის გამო ბრძოლაში სრულად ვერ ვებმებოდი. დამატებითი დროის წინ, ხანმოკლე შესვენებისას, ხელი პლასტირით „მიმიწებეს“ ტანზე.

— არც ისე სასიამოვნო იყო მაშინ შენს წინააღმდეგ თამაში, — იგონებს რივერა. — თუ ტრავმირებულ ფეხბურთელს უტევ, მთელი მსოფლიო აღშფოთდება, თუ გაგექცევა და — სასაცილოდ არ ეყოფა. მე ჯანმრთელი ბეკენბაუერი მერჩია.

ასე ყველა ფეხბურთელი როდი ფიქრობს, მაგრამ ჯანი ბევრად სცილდება ბევრისმნახველ იტალიელ პროფესიონალ ფეხბურთელთა შაბლონს.

ახლა იგი 42 წლისაა. ინტელიგენტური სახე აქვს, რბილი ნაკვთებით, მოკლედ შეკრეჭილი თმა, რიხიანი საუბარი. მაგრამ თუ ტემპერამენტზე წავა საქმე, სამხრეთელს უფრო ცარლ-ჰაინც შნელინგერი გავს.

მე ჯანის ასეთ კითხვას ვუსვამ: რა არის მისთვის ფეხბურთი?

— ფეხბურთი თეატრივითაა. იგი შესაძლებლობას იძლევა გაერთო საკუთარი თავიც და სხვებიც. მე საერთოდ თავშეკავებული კაცი ვარ და მხოლოდ მინდორზე ვიყავი თვითდაჯერებული და თავსაც თავისუფლად ვგრძნობდი.

— ესე იგი, ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრ სიძნელეებს აწყდებოდი?

— მე ძალიან ადრე მივხვდი, რომ ფეხბურთელი შეზღუდულია. ყველა შენს პრობლემებს სხვები წყვეტენ და უფლებას არ გაძლევენ ფეხბურთის გარდა სხვა რამეთი დაინტერესდე. მაგრამ მე საკუთარი თავის იმედი მქონდა და მინდოდა შემენარჩუნებინა ფიქრის უნარი იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ჩემს ირგვლივ, არ შემოვფარგლულიყავი მარტო ფეხბურთით.

ცუდია, როცა წარმატება ძალიან ადრე მოდის. ის გართმევს იმას, რასაც ველ[illegible] იპოვი: ახალგაზრდობას და მასთან ერთად იმ ხანას, როცა ადამიანი ცდილობს დაბრძენდეს. თუ ამას ვერ ისწავლი, ცხოვრება მახეს დაგიგებს. მე ვცდილობდი წინ აღვდგომოდი ამას.

60-იანი წლების დასაწყისში ჯანი რივერა იტალიური ფეხბურთის ყველაზე ნიჭიერ წარმომადგენლად ითვლებოდა. მშობლიურ ალექსანდრიაში უმაღლეს ლიგაში უკვე 16 წლის ასაკში თამაშობდა სანამ ეს გახალცარი ბიჭუნა არ იყიდა „მილანის“ კლუბმა. 20 წლის განმავლობაში რივერამ 501-ჯერ ითამაშა მილანთა გუნდში.

## თამაშგარეშე

იგი ფეხბურთიდან 1979 წელს წავიდა და მაინც დარჩა ფეხბურთში. ჩვენი შეხვედრის მომენტში ჯანი კლუბ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი იყო. მაგრამ მან არ იცოდა იქნებოდა თუ არა ამ პოსტზე ხვალაც. ეს კიდევ ერთი ტიპიური იტალიური საფეხბურთო ისტორიაა.

„მილანი“, როგორც ყველა სხვა იტალიური პროფესიონალთა კლუბი, აქციონერული საზოგადოებას წარმოადგენს. ამ ცოტა ხნის წინ აქციების უმეტესობას დაეპატრონა მახობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეფე სილვიო ბერლუსკონი. მის კერძო სატელევიზიო არხს და სხვა ორ ტელესადგურს უფრო მეტი მაყურებელი ჰყავს, ვიდრე სახელმწიფო რადიოს და ტელევიზიის პროგრამებს. ეს გავლენა ბერლუსკონიმ თუ დასავლეთგერმანული მარკებით ვიანგარიშებთ 10 მილიონად იყიდა.

— გუშინ პრეს-კონფერენცია იყო, — მიამბობს რივერა. — მე კი არ მიმიპატიჟა. ვნახოთ დღეს რა მოხდება: ბოსი პირველად მოვა სტადიონზე, რათა ხალხს დაენახვოს.

რივერა აშკარად დაძაბული იყო. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა არ იცის რას უპირებს ახალი პატრონი: დატოვებს თუ არა. მწარე პერსპექტივაა ჯანი რივერასთვის, ვინც 1975 წელს თავისი კლუბი იხსნა სპორტული და ფინანსური კრახისაგან. მანვე გაუკეთა მობილიზება მდიდარ მეგობრებს, რომლებმაც იყიდეს კლუბის ყველა აქცია. ჯანი არამარტო გუნდის კაპიტანი გახდა, იგი კულისებშიც ახერხებდა ისრების გადაადგილებას. მან გამოცვალა მწვრთნელი, გამგეობა, პრეზიდენტი და გაიმარჯვა. 1979 წელს „მილანი“ კვლავ იტალიის ჩემპიონი გახდა. მხოლოდ ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ მიიღო ოფიციალურად რივერამ ვიცე-პრეზიდენტის პოსტი.

რივერას ორმაგ კარიერაზე უფრო უცნაურია მისი მეგობრობა მილანელ მღვდელ ელიჯოსთან. მდიდარი მილანელების შემოწირულებათა შედეგად დაარსა მღვდელმა სოციალური დახმარების საზოგადოება, ნარკომანების

მკურნალობის ცენტრი, სატელეფონო სამსახური იმ ხალხისათვის, ვისაც რჩევა-დარიგება, თანაგრძნობა და სიმშვიდე სჭირდება.

ჯანი რივერა, ვისაც იტალია „ოქროს ბიჭუნას“ეძახის, მხარში ამოუდგა ელიჯოს და იმათ, ვინც სარგებლობდა სატელეფონო „სულის სახსნელი“ მომსახურებით, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ ტელეფონის ხაზის მეორე ბოლოში მათ ამშვიდებდა არც მეტი, არც ნაკლები, ფეხბურთის „ვარსკვლავი“ რივერა.

— ჩვენს საფეხბურთო სამყაროში თეთრი ყვავი ვიყავი, ყოველ შემთხვევაში ასე მხატავდა პრესა. ჩვენთან არ უყვართ, როცა ვინმე რიგს გამოეყოფა. მაგრამ მე არ მინდოდა კვარცხლბეკზე შედგმულ კერპად ვქცეულიყავი. მე უფრო მეტის სურვილი მქონდა — დამემტკიცებინა რომ ადამიანს ვალდებულებები აკისრია საზოგადოების წინაშე.

სტადიონისკენ მიმავალ გზაზე ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატის პერსპექტივაზე ვმსჯელობთ. „თქვენ კარგი გუნდი გყავთ“ — ვეუბნები მე.

— მეც მასე ვფიქრობ. ჩვენ სტაბილური დაცვა გვყავს — ბერგომი და კაბრინი; ძლიერი ცენტრი — ბარეზი და ტარდელი. თავდასხმაში ალტობელის და დი ჯენაროს იმედი მაქვს. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენ ისევ შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ და ჩვენი მწვრთნელი ენცო ბეარზოტი თავის წინამორბედებისაგან განსხვავებით არ ექცევა პრესის გავლენის ქვეშ და არც სხვა კლუბების ჭკუაზე დადის.

— როგორ ფიქრობ, შენგან კარგი მწვრთნელი დადგებოდა?

— ვფიქრობ, რომ კი. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ წავალ მწვრთნელების აკადემიაში, იქ ყველა „ჭკუის კოლოფი“ სწავლებას დამიწყებს. დიპლომი იმისთვის, რისი სწავლაც არ შეიძლება! რა სისულელეა!

ვუახლოვდებით სტადიონს. „ბრავო ჯანი! სალამი შნელინგერს!“ — ტაშს უკრავენ გულშემატკივრები თავიანთ გუშინდელ „ღმერთებს“. მანქანების სადგომები და „სან-სიროს“ სტადიონის ტრიბუნებზე შესასვლელები მოფენილია რაღაც ფურცლებით. ვიღებ ერთს და ვკითხულობ: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბერლუსკონი!“ ასე უკეთებს რეკლამას საკუთარ თავს ახალი ბოსი. საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილი ტრიბუნისკენ მიმავალი ბოსი რივერამ მოხერხებულად „გამოიჭირა“ და ისინი ერთად წარსდგნენ მომლოდინე რეპორტიორების კამერის წინ. იტალიური საზოგადოების ახალი „სუპერვარსკვლავი“ ვერ დაუძვრა გუშინდელ „ვარსკვლავს“. ბერლუსკონი იღიმება, მაგრამ ღმერთმა უწყის რას ფიქრობს ამ დროს. მეორე დღეს მილანის გაზეთები დაბეჭდავენ ფოტოს: „ესე იგი, ეს ორნი ერთად რჩებიან?“ ყოველ შემთხვევაში, რივერამ ეს თავისი პატარა გამოსვლაც ისევე კარგად მოაწყო, როგორც თავის დროზე გენიალურ შეტევებს აწყობდა საფეხბურთო მოედანზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მოდი, ცოტა გავისეირნოთ, — მთავაზობს თამაშის შემდეგ. — მილანის ტაძარს გაჩვენებ. მისი სახურავიდან კარგად მოსჩანს მილანის ხედი. ტაძარში კი სანთლები ავანთოთ — შენ მექსიკაში წარმატებისთვის. მე კი „მილანში“ დასარჩენად.

იტალიიდან გამომგზავრების რამდენიმე დღის შემდეგ შევიტყვე, რომ დიდმა ბოსმა ბერლუსკონიმ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტად თავისი ძმა პაოლო დანიშნა. ჯანი რივერა იმ კლუბის გამგეობაშიც კი არ აირჩიეს, რომელსაც მეოთხედი საუკუნე ემსახურა. ახლა იმის იმედიღა მრჩება, რომ იქნებ უბრალოდ არ ჩაიაროს ჩემს მიერ დანთებულმა სანთელმა მილანის ტაძარში.

## ეისებიო

პელესთან, იაშინთან, ჩარლტონთან, რივერასთან მაკავშირებს ის ნათელი მატჩები, რომლებშიც ჩვენ მეტოქეები ვიყავით. ეისებიო სხვა საქმეა. ვიცნობდი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ არც ვიცნობდი. დავფიქრდი კიდეც: როდისმე გვითამაშნია ერთმანეთის პირისპირ? ძლივს გავიხსენე ორი მატჩი მის კლუბ „ბენფიკასა“ (ლისაბონი) და ჩემს კლუბ „ბავარიას“ შორის. სპორტულმა ბედმა არ შეგვახვედრა არც ევროპის თასის გათამაშებებზე, არც მსოფლიო ჩემპიონატებზე. რა თქმა უნდა, ხანდახან წამიერად ვხვდებოდით ხოლმე შესარჩევი თამაშების დროს, მაგალითად, დორტმუნდში, მაგრამ ნამდვილი კონტაქტები არ გვქონია.

ყოველთვის გული მწყდებოდა იმის გამო, რომ ეისებიო ფეხბურთის მთელ ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ მოთამაშედ მიმაჩნია. პორტუგალიის ყოფილი კოლონიის მოზამბიკის მკვიდრი ეისებიო პირველი აფრიკელი იყო, ვინც მსოფლიოში აღიარებულ ფეხბურთის „ვარსკვლავთა“ რიცხვში ითვლებოდა. 1966 წელს ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე მან 9 გოლი გაიტანა — ყველა „სნაიპერზე“ მეტი. „ბენფიკამ“ მისი წყალობით ორჯერ მოიპოვა ევროპის თასი. ბევრი ადარებდა „შავ პანტერას“ — ეისებიოს, „შავ მარგალიტს“ — პელეს.

...ლისაბონის აეროპორტის თავზე სქელი ნისლი იწვა და „ლიუფტგანზის“ თვითმფრინავი პორტში დაჯდა, 300 კილომეტრზე პორტუგალიის დედაქალაქიდან. როცა ბოლოსდაბოლოს ლისაბონის სასტუმროს მივაღწიეთ, აღმოჩნდა, რომ ეისებიო თურმე მოთმინებით გველოდა. გაბადრული, გასხივოსნებული ღიმილით და მკლავგაშლილი შემოგვეგება.

ეისებიო ჩემზე გახსნილი და იმპულსური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მასში იგრძ-

ნობა შინაგანი თავისუფლება. ჩანს, რომ ყოველგვარი ტვინის ჰყლეტის გარეშე ცხოვრობს ისეთად, როგორიც არის.

საფეხბურთო წრეებში რას აღარ ყვებიან მასზე: რომ უხვად ფლანგავს ფულს და ამით სარგებლობენ ის მრავალრიცხოვანი ძმაკაცები, როგორებიც ყოველთვის ბევრია „ვარსკვლავის“ გარშემო; რომ იგი გულუბრყვილოა და ცხოვრების სიტკბოება უყვარს; რომ დღეს იგი უკვე არც ისე მდიდარია. სადღაც კიდეც წავიკითხე, რომ მას ერგო ტრაგიკული ბედი იმ კაცისა, ვინც დიდების გამოცდას ვერ გაუძლო. მაგრამ თვითონ ძალიან კმაყოფილია თავისი ცხოვრებით.

ეისებიო მეუბნება, რომ ახლა თავის ძველ კლუბში „ბენფიკაში“ მეკარეებს წვრთნის, ეს კი საპასუხისმგებლო საქმეა. სულ ცოტა ხნის წინ ამ კაცის წინაშე მსოფლიოს საუკეთესო მეკარეები კანკალებდნენ. ის მარჯვენითაც ურტყამდა და მარცხენითაც. ამ დროს სხეულს ჯიბის დანასავით „კეცავდა“ და ბურთს კარში აგზავნიდა წარმოუდგენელი სიძლიერით.

ეისებიო ლისაბონს გვათვალიერებინებს და მერე ძველი ქალაქის ამოჩემებულ რესტორანში გვეპატიჟება. იქ ალბათ ფეხბურთის გულშემატკივრები იკრიბებიან — ეისებიოს ყველა ცნობს, გვესალმებიან და შეკითხვებს მაყრიან იმის თაობაზე, თუ როგორ ვაფასებ პორტუგალიელების შანსს მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატზე.

— თუ თქვენი გუნდი ისევე ითამაშებს, როგორც ჩვენთან შტუტგარდში, მაშინ შეძლებს სათანადო შთაბეჭდილების მოხდენას, — ვპასუხობ მე. — თქვენ შესანიშნავი თავდასხმა გყავთ, ფერნანდო გომეში ხომ ევროპის ყველაზე შედეგიანი ბომბარდირია.

როცა ეისებიო განვლილ მატჩებს იგონებს, გეგონებათ მის თვალწინ კინოფილმის კადრები მოძრაობენო. დღესაც კი შეუძლია გიამბოს ყველაფერი უწვრილმანეს დეტალებში: „მე ისინი ისევე, მახსოვს როგორც მოჭადრაკეს ყველა გათამაშებული პარტია“. ეს იქნება იმით აიხსნება, რომ ფეხბურთი ბავშვობიდან ავსებდა მთელ მის ცხოვრებას, ეს იყო მისი „უდიდესი შანსი“.

მისი სრული სახელია ეისებიო და სილვა ფერეირა. იგი დაიბადა 1942 წელს ლორენსუ-მარკიშში, მოზამბიკაში. მისმა ქვეყანამ მხოლოდ 1975 წელს მოიპოვა დამოუკიდებლობა. დღეს მოზამბიკა სახალხო რესპუბლიკა და ეისებიოს მშობლიურ ქალაქს ჰქვია მაპუტუ.

## „ოქროს არწივიდან“ „ოქროს ბურთამდე“

ეისებიოს მამა ადრე გარდაეცვალა. დედას მარტო მოუხდა რვა შვილის გაზრდა. დამატებითი შემოსავლის წყარო იყო მცირე თანხა, რომელსაც ეისებიო ღებულობდა ადგილობრივი ფეხბურთის კლუბში, როცა ცდილობდა რაც შეიძლება კარგად ეთამაშა. მალე შორეული ლისაბონის გაზეთებმა მოუხშირეს მისი სახელის ხსენება. გავიდა სულ ცოტა დროც და პორტუგალიის ორმა წამყვანმა კლუბმა ერთმანეთს დასცხო. „შავი ვუნდერკინდის“ მოსაპოვებელი უფლებისათვის გაიმარჯვა „ბენფიკამ“, სადაც ეისებიომ თამაში დაიწყო 1960 წელს.

პირველი სერიოზული გამოცდა მან ჩააბარა პარიზში: „ბენფიკა“ სამარცხვინოდ 0 : 5 აგებდა ბრაზილიის „სანტოსთან“ პელეს მონაწილეობით. მწვრთნელმა სათადარიგო სკამიდან მინდორზე გამოიყვანა ეისებიო. მან სამი გოლი გაიტანა და მსოფლიო სახელიც მოიხვეჭა.

— ყველა გაზეთი ჩემზე წერდა. ათასი რამ ვიყიდე და დედას და დებს გავუგზავნე: ის ბურთები ხომ მათი ეზხით გავიტანე.

ასე დაიწყო მისი გზა ფეხბურთის მწვერვალზე. უამრავი ჯილდო აქვს: აქ არის „ოქროს არწივი“, რომელიც „ბენფიკას“ კლუბმა მიანიჭა; „ოქროს ბუცი“ — ევროპის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელისა და „ოქროს ბურთი“. ეს ყველაფერი გამოფენილია სამოთახიანი ბინის პატარა ოთახში, სადაც ეისებიო ცოლთან და თავის ორ ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს.

„ზა რუბეჟომ“ № 24. 1986 წ.

თარგმნა მზია ერისთავმა

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-48-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პრიზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 4. 08. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4. 10. 86 წ. ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ. თაბახი 15,85. შეკვ. 1848. უე 04780. ტირაჟი 60.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина. 14.

644/192

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ*

# «ЦИСКАРИ»

**ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ**